

თერო სახოქია

ქართული სახოქიანი სიფყვა-თქმანი

ტოპი II

მ—ფ

პროფესორ ბიორბი ჩიბაიას რედაქციით

სახელგაგი

19 თბილისი 54

მაგარსუდ დგომა პრ. რასნე მტკიცეზე
 გიჩერება. ს.ჯ. გაკერპება, გაჯიურე-
 ბა, დაუზმობლობა. თავისი ნათქვა-
 მის გატანა. უცილობლობა, მოურ-
 დებლობა, წინააღმდეგობის გაწევა.
 შრ. მე სუანი ერასა ძიხამს, ტუვილა
 დ გ ა მ ა გ ა რ ზ ე დ ა (პ. ჟუჰიავილი);
 შრ. არ შეიძლება ზედმიწევნით იზი-
 სი განსახლერაო, თუ თვითოეული
 ბრალდებული რამოდენად არის დამ-
 ნაბეიგო, რადგანაც მეტად მაგარ-
 ზედ დგანაა და უარობენო (ილ.
 პავლევი).

მათუხააა პრ. სახელი ისრაელთა ერთ-
 ერთი წინაპართაგანისა. ს.ჯ. კაცი,
 შესანიშნავეი თავისი ხანგრძლივი სი-
 ცოცხლით. შრ. ხუთასი წელიწადი—
 შათსა და ას დღეა. ამახ ცოტა მეტი
 იცოცხლა, მაგრამ დღეს ძვალიც
 აღარსადა სჩანს მისი და ასავალ-
 დასავალიც არაეინ იცის!.. ისიც ისე
 გაჰქრა, როგორც ყველა! (აკაკი).

მათუსალა — ერთი იმ წინაპართა-
 განი იყო ისრაელთა (ნოეს პაპა),
 რომელმაც, თანახმად „დაბადებისა“,
 ყველაზე მეტ ხანს იცოცხლა, სახელ-
 დობრ 967 წელს. დღეს მათუსალა
 ხანგრძელ აუამიანისათვის გვიქვია.

მალაყს გადასვლა პრ. თავდაყირა გა-
 დასვლა. ს.ჯ. ოინბაზობა, მასხარა-
 მბა, თვალთმაქცობა. შრ. ეს ძველი
 წელიწადი ჩვენგან, კაცთაგან, ისე
 გატულლუტებული იყო, რომ არა
 მგონია თავის უტყუარ გამკითხავის
 (საუთუნიების) წინაშე თავისი ოინ-
 ბაზობა დაიშალოს, ერთ-ორს მა-
 ლაყს მაინც გადაევა (ილ. პავლე-
 ვაძე).

მალაყი — თამაშობაა, როცა ერთი
 მეორეს კისრით გადმოატრიანებს და
 ისე დაანარცხებს ძირს.

მალე დაწნავთ ხახალსაო? პრ. ქერის
 გასაწმენდად ხახალს მალე დაწნავთ?
 ს.ჯ. აქედან მალე წახვალთ, მალე
 მოგვეყდებით თავიდან, მალე მო-
 გეშორდებით?

ეს თქმა დაცინეთია.
 ხახალი — რკინის წყრილი მავ-
 თულებისაგან გაყვებელი, ფართო
 ხერხელებიანი ცხავია, რომელსაც ზემ-
 თაერესად ქერის დასაწმენდად ხმა-
 რობდნენ. შიგ გადის წვრილი კენჭები,
 მტვერი, წვრილი ნაშჯა, — წმინდა ქერი
 კი ზედა რჩება.

მამათხანობა იხ. ალამამა დ ხანობა.

მამაილა იხ. პირწაყარდნილი მამაა.

მამალ ბუზს თავზე არ ისვამს! პრ.
 მამალ ბუზსაც კი უშლის თავზე და-
 აჯდეს. ს.ჯ. ამაყია, ქედმაღალია,
 არაეისი ერიდება, ყოყოჩია. შრ.
 იმისი ცოლი, კეკე, ძალიან ყოყოჩობს,
 მამალ ბუზს თავზე არ ის-
 ვამს, აქაო და სხვისი ოფლის მო-
 ნაგარი ფულეებით ვკოქაობო („ივე-
 რია“, 1902, 258); შრ. თავი უქირავს
 ამაყად, ბუზს არ ისვამს თავ-
 ზედა (შ. მღვიმელი).

მამალ ინდოურივით იბერება პრ. მა-
 მალი ინდოურის მსგავსად იფხორე-
 ბა, განზე იწევს. ს.ჯ. თავი მოსწონს,
 ცუდმადიდობს, თავის გამორჩენა უნდა,
 გამოსაჩენი კი არაფერი აქვს.

მამასხხლად (გაყიდვა რისივე თუ სეს-
 ხება ფულისა) პრ. მამის სისხლის
 ფასად. ს.ჯ. მეტად ძვირად. შრ.
 უარს არ გვეტყვის (ხათა) ფულის
 სესხებაზე, მაგრამ მამასისხლად
 მსესხებს, და, ხომ იცი, ისიც
 რამდენი წვილ-წვილი თამასტუბი
 უქირავს ჩვენი (ვ. ბარნოვი); შრ. ნაგ-
 რამ, ახლა, სიტყვა არის, ან მოსა-
 ვალი არ მონივიდა, ან, მოხდა, ვაქ-
 რობა გაუვადილო. და მამასისხ-
 ლად რომ ღვინოები ვიყილო და
 ისიც ყულმოტეხილად დამიწუნო ეპა-
 რობა ღვინის პატრონებმა, ვერ მო-
 ვითმენდი ჩემის ხასიათის პატრონი
 (მელანია); შრ. ყველა ამ უბედურებას-
 თან ივანეკამ გაალო დუქანი და
 დაუწყო გლეხებს ცარცვა. ღვინო-

არაყს, მარილს, ცუდ, დამპალ თევზს მანანისხლად ჰყიდდა (ე. ვაზაშვილი).

მანანისხლად ნიშნავს მამის სისხლის მსგავსად, რომელსაც ფასი არ დაედება, მეტად ძვირია.

მამიდაშვილი პრ. მამის დის შვილი, ნათესავი. სვ. მიმდგომი, მიმკერძავი. ნაარის დანეტერი ისეთ დროსაც კი, როცა ნისაჟომი აშვარად სტყუის, მიკერძვისა და მიდგომის ღირსი არ არის. შტ. ლენორმანი, რაულსონი, ბ-ნი ნიკოლსკი ჩვენი მამიდაშვილები ან ნათელ-მირკონები ხომ არ არიან. რომ ნათელ მიდგომით ლაპარაკი შესწამონ? (ილ. ჰევაჟაძე).

მამინაცვალი პრ. შვილისათვის დედის მეორე ქნარი ანუ მამის ნაგეილი. სვ. ორგული, არამბრუნელი. შტ. მეფე ერეკლე II ს ჰსლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დიდაკაცი და მოწყალემა ეთხოვნა: „— სხვისა მამავ და ჩემო მამინაცვალა, ერთხელ ჩემგენაც მოიხელო,“ — ეხუმრნა დიდაკაცსა (ილ. ჰევაჟაძე).

მამისეული დანაა პრ. მამის ნაქონი დანაა. სვ. შვილი მამასა ჰგავს, პირ-წვარდნილი მამაა. შტ. ეს ბიჭი, არც იჭით, არც აქეთ, ნამდვილი მამისეული დანაა.

იგულისხნება, რომ მამას სანაქებო მკრელი დანა ჰქონდა, რომელსაც შვილივით ულოლიავებდა. და მამის თვისებანი თითქო ამ დანაზედაც იყო გადასული. შვილი, კიდევ, დანის სახით, დადარებულია თავის ქარჯს მამას. ეს თქმა ნაწილობრივად დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ, ძველათ ქარჯი დანისათვის საჭირო ფოლადის სიძვირის დროს, ქარჯი უანა ყველასათვის სანატრელი იყო.

მამიშენის მზეს! პრ. მამაშენის კუთვნილ მზეს. სვ. გაფიცებ მამაშენის სიცოცხლეს. შტ. მერცხალაძე სად გაჯიღონია, მამიშენის მზეს, გამორჩენილს თავადათაო? (რ. ერისთავი).

მამლის ბოლო (კაცი) პრ. მამლის ბოლოს მიმსგავსებული კაცი. სვ. ორპირი, დაუდეგარი, გაიძვრა, მოღალატე. შტ. შენისთანა მამლის ბოლო კაცს სახლის კარებანდე ვერ ენდობა ადამიანი.

მამლის ბოლო ჯერ პერპენდიკულარულად მალაა აშფერილი, მერე,

შუა წელიდან მოკაქულია და ქვევითაა დახრილი. ეს დახრილი ნაწილი მამლის ბოლოსი სულ მკირედ ნიავის შემობერვაზე ან თვითონ მამლის სხეულის ოდნავ შენძრევაზე იხრება იქითკენ, საითკენაც ნიავი გადახრის. ამრიგად, ეს ბოლო მამლისა იშვიათადაა ერთ, გაჩერებულ მდგომარეობაში, ნიადავ ქანაობს, ნიადავ იხრება ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს.

ჩვენი ხალხის მოსწრებული თქმით, მამლის ბოლო ხატოვანად ჰქვია ისეთ კაცს, ვისაც სიმტკიცე არა აქვს პირისა თუ ქცევისა, ვინც ახლა ერთს რომ იტყვის, იმის საწინააღმდეგოს თქმაზე სირცხვილი არ შეაწუხებს.

მამლის ყვილი პრ. ხშიანობა მამლისა. სვ. ნიშანი ვათენების მოახლოებისა, თვით ვათენების მოახლოება. შტ. ასე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მანამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამბოთავიც უტბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი (ილ. ჰევაჟაძე).

მანანა პრ. სასწაულებრივი საზრდო, რომელსაც, თანასმად ბიბლიისა, ღმერთი ისრავლებს თითქოს უგზავნიდა უდაბნოში. სვ. შიშილობისა და ნაკლებობის დროს მოულოდნელად საიდანმე გაჩენილი საზრდო; უხვი და იაფი მოწყალეობა. შტ. მეგობრობა გარემოების შვილია, დროებითი და ხანმოკლე!.. მაგრამ ისიც ისე იშვიათია, როგორც ერთხელ მხოლოდ ცით ქვეყნად მოვლენილი მანანა (აკი); შტ. დედა ღვთისამ, მოწყალეობით, ჩვენ ვადმოგვხედაო: ვუკი მოგვცა, მით გვიწვიმა ციდან „მანანაო“ (რ. ერისთავი).

მანდილის დახურვა იხ. ლეჩაქის დახურვა.

მანდილის მოხდა პრ. ქალის უმანდილობა, თავმიშველობა. სვ. უნაძულობა ქალისა. შტ. მერცხვენა, ხელისაღება პატიონსებაზე. შტ. ვაშ ასე? ნე ქალი არა ვყოფილვარ და ეს მანდილი არა მხურებია თავზედ, თუ შენივე კბილით არ დავაგლოჯინე შენივე ხორცები, დიდო ბატონო ამოტ! (ე. ბარნოვი); შტ. დაუფროქე (ცოლს), შევევრდევ: ნუ გამოძქერ ყელია. ნუ იხდი მაგ მანდილსა, აბარა საქნელია! (ხალხური ლექსი).

მანდილი ქალის ერთგვარი თავსაბურავია. ძველათ დედაკაცების ქალონის ემბლემა მანდილი ანუ ლეჩაქი იყო ისევე, როგორც მამაკაცობის ემბლემად ქული ითვლებოდა. დედაკაცისათვის უნამუსობად ითვლებოდა მანდილის მოხდა, უმანდილოდ, თავშიშველი სიარული, ისევე, როგორც მამაკაცისათვის ქულდმოხილობა, უქმოდ გარევა ხალხში. მანდილმონდილობა ქალისათვის აუგვიანობის, შერცხვენის ნიშნად ითვლებოდა.

ქართლ-კახეთში, ძველად, ქალს ქმრის ლალატისა და საერთოდ საქალო ნამუსიანობის კანონის უგულვებელყოფისათვის თვით სოფელი სჯიდა საჯაროდ. დანაშაუებს განოიყვანდნენ სოფლის შუაგულ ადგილას, მოწმენი დალდასტურებდნენ ქალის დანაშაულს, მოხდიდნენ მანდილს, როგორც მისი ტარების უღირსს, შესევამდნენ ვირზე პირუტყლს და კარ-კარ ჩამოაკარებდნენ. ყველანი მიშველ თავზე ლაფს ასხამდნენ და პერსიყვამდნენ, თავიანთი ზიზღისა და გულისწყრომა-ალწოფობის ნიშნად. ასე დასჯილ ქალზეა დორჩენილი ანდაზა: „უნამუსო ვირზე იჯდა—ფეხებს მოატლაჟუნებდაო“. ე. ი. უნამუსო ქალი ვირზე იჯდა დასასჯელად და ის კი. იმის მაგიერ, რომ სირცხვილით დამშვარიყო და ეს სირცხვილი გარეგნულად დაეჩნნია საფეხზე, ამ დასჯას არაფრად აგდებდა და ფეხებს ატოკებდაო. როგორც ამას წერება ხოლმე ვირის წასაქმებლად ჩვეულებრივ უღანაშულო და უღარდელი ადამიანი, როცა ვირზე ზის და მანძილი რამ აქვს გასაეღელი.

მანდილმონდილი ქალი მანდილოსნებს წინანდებურად ვერ გაეკარებოდა, მათთან ურთიერთობა მისთვის გაწყვეტილი იყო, ყველას განაპირებული და აბუებული ჰყავდა, სხვა ქალების სახლის კარები მისთვის დაკეტილი იყო, სანამ დრო და ხანი არ გავიდოდა და დანაშაუვით თავისი კარცა ყოფაქცევით სხვებს არ დაევიწყებდა წარსულ ამბავს და თავისკენ გულს არ მოაბრუნებინებდა.

ხეესურებითი ბოლო დრომდე დარჩენილი იყო პატივისცემა მანდილისა, პატივისცემა კულტად იყო გადაქცეული. საკმარისი იყო, ქალს ორ მონიშნარს შორის თავისი მანძილი ჩაეგდო, რომ ერთმანეთზე მოსაგლავად

მიწეულები მყისვე გაეშველებინა. ითუ ჩხუბი გაძლიერდა (ხეესურ მამაკაცთ შორის) და (კულის შვედვის მამასწავლებელი შეიქმნა, მონიშნარებს ქალები გადაუღვებინან შუაზე, მანდილგან მოიხიდან და იმათ (კაცების) წინ გადაისკრიან: „ემას დასდევით პატივი, გეყოთ, გაშველდითო“ (ვაჟა-ფშაველა).

მარაქაში გარევა, მარაქაში მოტანა პრ. ქალთა კრებულის წევრობა. სტყ. ადამიანად ჩავდება ვისიმე; რისაშე ღირსად ცნობა. შტ. გზა წინააზიანდ თავისუფალი იყო. იკონის სულთანნი მარაქაში ალარ იყო მოსატანი: შეძრწუნებული იგი უსიტყვოდ ასრულებდა ყოველივე ბრძანებას ყენისას (ე. ბარნოვი); შტ. ადუ; რას ჰლენო უპატრონო ძალივით! — დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიქმა ანბანგების სახსნაროდ, — შენც მითომ მარაქაში ერევი!.. შენი რაო? (ილ. ჰაჰვაჟაძე).

მარაქა ნიწნავს წრეს, კრებულს, ანდა საზოგადოებას, სადაც იღებენ წევრად ღირსიულს, უაუგოს; სახელგატეხილს, აუფლას კრებულის წევრები გაურბიან, მასთან ურთიერთობას თაკილობენ, თავიანთ წრეში არ ირევენ. როცა ასეთი უღირსი მოხდომებს წრეში გარევეს, დაცინვით ეტყვიან: „შენც მარაქაში ერევიო?“

მარგალიტი პრ. მაგარი, ბრწყინვალე, საღაფოვანი და მრგვალი ნივთიერება, რომელიც ბუდობს ერთგვარ ლოკოკინას ნივარაში. სტყ. ადამიანი ანდა საგანი, ყოვლად სრული, სიმშენიერით მოსილი, ნატიფი, ძვირფასი. შტ. დაეკე, რუსთველმან გავქექე, მისთვის გულ-ლახვარ-ლობილი. აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი (შ. რუსთაველი).

მარგილივით აშვერილი პრ. მარგილის მსგავსად დამდგარი. სტყ. მალიო, წოწოლა. აუღლებული. შტ. რამარგილივით წინაშვერილი ხარ, თუშო, რა გინდა? — ცოხუნჯა და გადაბხედა ღიმილით თავისს მეზობლებს (ე. ბუჭბარაძე).

მართალია, ისე მეცვითოს ფართალი პრ. რასაც ვამბობ, მართალია, ისე შევიძლო ფართლის ცვეთა. სტყ. ისე ვიცოცხლო, ისე დღევრძელ ვყო, როგორც მართალს ვამბობდე.

ამ თქმაში სიტყვა მართალი ერთმგება „ფართალს“ — ქსოვალს. ფართლის ცვეთა გულისხმობა დროს, რომელიც ვადის ამ ფართლის ტარების დროს, ან სიოცესეს, ხანგრძლივობას, მრავალჯერობობას.

მარილზე წასვლა, მარილზე გაგზავნა აღზევანს პრე. მარილის მოსატანად წავლა (გაგზავნა) აღზევანს. სვე. გარდაცვალება. მგლ., გოგირტას ამბავს ნუ მკითხავ, ზემო მშობო, რა ხანია, მარილზე წავიდო! იხ. შაბზე წასვლა.

საქართველოში საკუთარი მარილის საბადოების უქონლობის გამო, წინათ აღზევანს მიდიოდნენ ქვემარლის მოსატანად. ქართლიდან წამსვლელები მიდიოდნენ სოფ. ქვეთახევში, იქიდან მანგლისში გადადიოდნენ, მანგლისიდან — შალაში და მერე აღზევანს ჩადიოდნენ. კახეთიდან კი — სართიკალზე, სართიკალიდან — ბორჩლოზე, ბორჩლოდან — გუმბრზე და მერე — აღზევანს. მარილის მოსატანად მიდიოდა მთელი ქარავენი, ოთამოც, ას ურამისაგან შექმდარი. ერთ გზას უნდობოდნენ მთელ ერთ თვეს. მოგზაურობა მეტად საბიუთო იყო. მეურძემებს უხედვოდნენ ოსმალები, ძარცვავდნენ მარილზე წამოსულთ; თუ გაუთვლიანდებოდნენ. ხოცავდნენ კიდევ. ვინც მარილის მოსატანად მიდიოდა, მას წინდაწინვე გამოიტარებდნენ ხოლმე. იქამდე იყო იქ წასვლა საშიშროებისთან დაკავშირებული, რომ საკმაო იყო ვისმე ეთქვა — „მავანი მარილზე წავიდაო“, რომ მსმენელისათვის საეჭვო ყოფილიყო წამსვლელის უკან ცოცხლად დაბრუნება. აქედან მივიღეთ ეს თქმა. აღზევანს მარილზე წასვლა გამოხატავდა ისეთ ადგილას წასვლას, საიდანაც კაცი უკან ვეღარ დაბრუნდებოდა ცოცხალი.

ქვენოსვანეთში ძველათ მარილი ხონიან (აწ წულოუქიქი) აძქონდათ. გზა ცარინისწყლის ხეივანი ჩადიოდა და ზეგათ სსახეთით იყო. მარილზე წასვლელთაგან ბევრი იღოქებოდა. ამიტომაც თქმა — ხონში მარილზე წასვლა — გადაიქვა სიკვდილის სინონიმად. ვინმე რომ იღოქებოდა. იტყვოდნენ: — აჩაფ ჯამთ ბოათე — ხონში წავიდა მარილზეო!

მარილიანი: პრე. მარილგარეული, მარილმოყრილი. სვე. ემზიანი, სანდო-

მიანი, ლამაზი, მიმზიდველი. შერ-მერე-და, დედა-შენი? — ჰკითხა არჩილს დამა და თავისი მარილიანი თვლები მიაშუქა გიორგისა (რლ. კავკავაძე); შერ. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარილიანი: იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუღვენებარი თვალი (ილ. კავკავაძე); შერ. მარილის მთხარენელს თუ მარილს არ მისცემ. მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო (ხალხური ანდახა).

მარტი პრე. მარტის თვე. სვე. დაუდგრომელი, მიზეზიანი. შერ. მარტი პატარაძალი: დღეში ცხრაჯერ მოირთვებო (ხალხური ანდახა), აქედან: მარტში დაბადებული (იმავე მნიშვნელობით).

მარტი მეტად დაუდგარი თვეა: ხან წვიმს, ხან თოვს, ხან დარია. ამიტომაც (ყაა, რომ ქართულში მარტი სინონიმადაა გახმდარი ისეთი კაცისა, ვინც წამდაუწუმ იცვლის გუნებას: ერთ წუთს კარგს გუნებაზე რომ იყოს, მეორე წუთს ერთბაშად წუწუნს ნოკვეება, ან ბრაზობს.

მარტოტუჩაობა პრე. მარტო თავის საკუთარ ტუჩისათვის რომ ზრუნავს კაცი. სვე. ეგონსტობა, მხოლოდ თავის თავისათვის ზრუნვა, თავისეურობა. შერ. სახლში მცხოვრები ზემიანი ყველა შვილია; რა უნდა ჰქონდეს ზემიან დასამალავ-დასაჩქმალავი? მარტოტუჩაობა უნებლიედ შეიძლება უნდობლობად ჩაითვალოს (ვ. ბარნოვი).

მარტოხელი პრე. მარტო საკუთარი ხელის პატრონი. სვე. მარტოდმარტო, რომ არავინა ჰყავს შინა. შერ. ერთი მარტოხელი კაცი იყო. ისეთი მშვენიერი ქალი შეჰხვდა, რომ იმის შეუხედ კაცი პურსა სკუპდა (თ. რაზივაშვილი).

მარცხენა თეზზე ამდგარი პრე. ვინც დილას ლოკინიდან ადგომისას პირველად მარცხენა თეხი დაადგა ძირს. სვე. უგუნებოდ ამრგარი, მთელი დღე მარცხდაკვებებული, მარცხიანი. შერ. ყინ იცის, სათამდის მივიღოდა კურჩის ზრდილობიანი ბაასი, რომ ახალი პასაყერი არ მოჰმატებოდა მარცხენა თეხზე ამდგარ ეტლის პატრონს (ვ. გაბაშვილი).

ხალხის ცრუმორწმუნეობის თანახმად, საწოლიდან მარცხენა ფეხით ადგომას მთელი დღის განმავლობაში მოსდევდა მარცხიანობა, საქვეში ხელის მოცარვა, წაგება. მარცხენა ფეხის სწინადაბმდევოდ, მარჯვენა ფეხზე ადგომა ნიშანი იყო გამარჯვებისა, ყოველისავე დაწყებული საქმის წარმატებით ჩაბარებისა, იღბლიანობისა, ბედნიერებისა.

მარცხი იხ. ფათერაკი.

მარჯვენა ხელი ჰრღ. გულის მხარეს მდებარე მარცხენა ხელის მოპირდაპირე ხედაკიდური ადაქიანისა. სკვ. ერთჯული, საიბედო, დანხმარე საქვეში, მძველელა, თანაშეწე. შტრ. პირველი მაგალითი იყო, რომ ბატონის კაცს სთაფელში ხელი შეიხას და როგორ შეიხას? სიკვდილის პირზე მიაგდეს ბატონის დაახლოებული, მისი მარჯვენა ხელი! (ს. მაგლობიშვილი); შტრ. რაინდად კოლონიშვილი დასახელა თითონ ბატონიშვილმა. ურჩევდნან სევა წაყეყენა: ზურაბ მარჯვენა ხელით სამშვილდეს ციხესდკობა. არ შეიძლება მისი ჩამაშორებო (გ. ბარბოვი).

მარჯვენა ხელს ფიზიკური საქმიანობის დროს მთავარი როლი აქვს მნიშვნელოვანი. აქედან სრულიად ბუნებრივად დავრქვა ცხოვრებაში ჩვენს მთავარ დამხმარეს, თანაშემწეს, ერთჯულ ადამიანს—ჩენი „მარჯვენა ხელი“.

მარჯვენა ხელიმ არ შეგარჩება! ჰრღ. მარჯვენა ხელი არ დაგიშავდეს, არ მოგტყდეს ან არაფერს მოგტყრას. სკვ. მარჯვენა ხელის ხმარება არ მოგშლოდეს, საქმის კეთების უნარი არ წაგართმოდეს. მტერი არ მისცემოდეს საშუალება დაგჩაგროს, მოგერიოს. შტრ. ელემო თულუმშიშვილო, ვეფხვი ხარ, ველის კანჯარი, მარჯვენა ხელიმ ცეცხლს შეგარჩება: ზურაბს შენ დაცე ხანჯარი (გ. უმიკაშვილი).

იმ წუთიდან, რა წუთიდანაც ჩენი შორიული ჩინაპარი ადამიანად გადაიქცა, ე. ი. მიიღო ვერტიკალური ნდგომარეობა, წინა ფეხები ახლახნად ხელესად გადაიქცა, წელში გაიმართა. მისი მარჯვენა ხელი გადაიქცა მთავარ იარაღად ცხოვრების პირობებთან საბრძოლველად. მარჯვენა ხელით მოულობდა სახრდოს, მარჯვენა ხელით ეჭირა იარაღი, რომლითაც უშკლავდ-

ბოდა როგორც ნადირს, ისე მისთვის რისამე წასართმევად ან სულაც მოსაკლავად წამოსულ მტერს.

წარსულში ხეესური მტერს რომ მოკლავდა, უმძველად მოაპრიდა მარჯვენას. ეს მარჯვენა წინ მიპქონდა და სახლის გარეთა კედელზე ამბარებდა ხის ლურსნით. მტერის ოადენი მარჯვენაც ეხებებოდა კედელზე ნამბარებულში, მისი საიელი იმ ენეზად უფრო განთქმული იყო. როგორც მანაცისა, სწორუპოვარი ვაჟკაცისა და მტრის დამთრგუნველისა.

სრულიად ნორმალურად და ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ჩვენს მეტყველებაში გაჩენა ასეთი დალოცვის ფორმულისა, როგორცაა „ზემოთმოყვანილი მაგალითი: „მარჯვენა ხელიმ ცეცხლს შეგარჩეს!“ თუ მარჯვენა განუშორებელი და ღონიერი ექნებოდა ადამიანს, ცხოვრების განს გაკაფვა ოლონდაც რომ არ გაუჭირდებოდა. მარჯვენას მოვიჭრი ჰრღ. მარჯვენა

ხელს მჭრელი იარაღით მოვიშორებ სხეულისაგან, უმარჯვენახელოდ დავრჩები. სკვ. ჩნეს თვის ზეშაობის უნარის წაყარბები, ხელით არაფრის გაკეთება შემძლება, ფიზიკური საქმიანობისათვის გამოუსადეგარი დავრჩები. შტრ. მარჯვენას მოვიჭრი. თუ ეს ასე არ იქნება.

ერთგვარი ფიცის ფორმულა იყო ძველად. — მისი მთქმელი. ცდილობდა, მსმენელი დავრწმუნებინა თავისი ნათქვამის სინამდვილეში. ეს ფიცი იმდენად იყო ძლიერი და დამარწმუნებელი ხასიათისა, რამდენადაც მარჯვენა ხელი ითვლებოდა მთავარ და აუტოლებელ ორგანოდ ფიზიკური საქმიანობის შესასრულებლად. წინათ, როდესაც ფიზიკური ძალა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა ადამიანთა ცხოვრებაში, მარჯვენამოჭრილი კაცი ხახვეარ კაცად ითვლებოდა.

მარჯვენა ხელის მოჭრა ჰრღ. მოკვთა მჭრელი იარაღით მარჯვენა ხელის ნაწილისა, მაჯიდან თითების ბოლომდე. სკვ. მტრის მორჯვა, მოკვლა. მარჯვენა ხელის მოჭრა გულიახმობს: ადამიანის დუქლურებას, მისთვის რისამე კეთების და ოლო არსებობის საშუალების წართვებასაც, ამქდანაა იქმები: „ეს მარჯვენა ხელიმ მოჭერი, თუ...“; „მარჯვენა ხელიმ მოჭრება“.

მარჯვენის ქნევა ჰრდ. მარჯვენა ხელის ტრიალი ჰაერში. სვც. მუშაობა, განიადაგებული შრომა, დაუღალავი მეცადინეობა. რულუნება. შრ. მერე თავი დაესდებ ზურდაბასთვის (შვილისათვის) და დღემდე იმისთვისაც ვიცოცხლე. იმისთვის ვიქნევი დიდალა ვიდე ამ ჩემს მარჯვენას... (ან. ერისთავი-ხაიბურია).

მარჯვენის ჩამოცლა ჰრდ. მარჯვენა ხელის ჩამოშორება სხეულისაგან. სვც. წართმევა არსებობისათვის საკირო უმთავოეს საშუალებისა. შრ. ვაი, რა უდრო-უდროდ ჩამომაკალეს მარჯვენა! ვამობდი, ერთ-ერთი სახელში დავტრიალდებოდი, მეორე ან ქალაქისაკენ წავა. ან ლექმი. ვგებ ერთი-ორი გროში ვიშოვოთ-ჩეცვი (ირ. ევლიშვილი).

მას აქეთ ბევრ კოკა წყალს ჩაუფლავ! ჰრდ. იმის (რამე ამბის) შემდეგ ბევრი კოკა წყალი ჩაუტარებია მდინარეს. სვც. მას აქეთ დიდი ხანია გასული, ბევრი დრო გავიდა. შრ. კიდევ იხიტომა გვიტხე. ჩემ დროს აქ დუქანი იყო. მას აქეთ აქ ბევრ კოკა წყალს ჩაუფელია, ჩემო ზაქრო! — თქვა დიდის მძიშენელობით ხნიერმა და წამოწოლილი წამოებჯინა მკლავებზედ (ილ. ჰაქვაძე).

მასპინძლობა - კვეთა ჰრდ. საქმელ-სასმელის მირთმევა, ხორცის მოჭრა. სვც. პატოვისკემა. შრ. ასმათს უძს ხორცი ირმისა, იქმს მასპინძლოა - კვეთასა (შ. რუსთაველი).

მაქვავია (ვაქვავია. აქვავია) ჰრდ. ქვა მაქვს იმის ბაღლად, რაც საჭიროა მჭორდეს. სვც. სრულებით არაშეკრი მბაბდია. მგლ., გუშინ კიდევ მოხონდა რაღაცა, და დღეს სრულებით არა მაქვავია-რა.

ეს ავღებელი სიტყვა-პასუხის თქმა, როცა უნდათ გამოხატონ მთქმელის უკიდურესი ყოფა.

მაღალი სიტყვა ჰრდ. დიდი ხმოვანი სიტყვა, სვც. უქმები, უკადრისი. უხრდელი, გაჯავრებული სიტყვა. ქედ-მაღლურად ლაპარაკი. შრ. ახლა ძალიანაც ნუ ვაშოილებ თავს! როგორ შეგაბარეს, რომ მაღალი სიტყვა გითხარეს! დიდი ამბავი მომხდარა! (აქვს. ცაგარელი).

მაღალი ღობე ჰრდ. დიდი სიმაღლის ღობე. სვც. საბრკომი, ხელის შე-

შმული, საწინააღმდეგო. შრ. მიიწიე-შიიწიეს ჰერეთელებმა, მიაწყდ-მოაწყუნენ, რომ როგორმე გადაევიანთ გზისათვის და გაეთავისუფლებინათ ვეშაწილი, მაგრამ უყვლვან მაღალი ღობე დახვდათ, კკლიანი (ე. ბარნოვი).

მაღალი ხმა იხ. მაღალი სიტყვა.

მაღალ ფარდებს ლაპარაკი ჰრდ. მაღალ ფარდებს ზემოდან ლაპარაკი. სვც. ტრახბი, ბაქი-ბუქი, თავისმოწონება. შრ. ქვანი კი არ სტყუიან, ბ-ნი გოლმსტრემი არამართლობს და ფარისველსავეთ გულში ხელს იცემს, მაღალ ფარდებში სიმს აღოარუნებს, ვითომ-და ჩაგრულ ქეშმარიტებისათვის (ილ. ჰაქვაძე); შრ. იამ მიუგო: „ღობილო, ნუ იწვევ მაღლა ფარდებში, ვისაც შენ ვარდი ჰგონიხარ — ისინი უნდამ ცდებიან“ (შ. მღვიმელი).

მაღლა ახედვა ჰრდ. თვალების მიპყრობა ზევითკენ. სვც. ბელნიერება, სითამამე, კარგად ყოფნა. გაუჭირებლობა, გამარჯვება, მოსვენება. შრ. რა ვქნა, აქამდინაც არ დაეავდებდი მოუქმელს, მაგრამ ი დალოცვილმა ღმერთმა რო აღარ ამასედა მაღლა! (მგლანია); შრ. ი დალოცვილმა ღმერთმა რალა ჩვენზე მოიცალა: ეს ორი წელიწადია, მაღლა არ აგვიხედნიია, უსარჩობის გადაშკიდე (ს. მგლობლიშვილი).

მაღლა თაროზე ჰრდ. კედელზე მინარებული ფიცარი რისამე დასაწყობად. სვც. დაბალ ადგილისაგან თავის არიდება, მისწრაფება თვალსაჩინო ადგილისაკენ, სურვილი თვალსაჩინო ადგილის დაჭერისა, დაჩემება პირველობისა, დიდკაცობისა. შრ. რა ვაკეთეთ? რას ვშვებობდით? მაღლა თაროს, დაბლა — ყმებ-ს ტუნისა ვწოვდით (ილ. ჰაქვაძე); შრ. გოგრა არ გახდებდა შირაზის შუშა, თუნდა მაღლა თაროზე შესდევო (ბალხური ანდახა); შრ. აშკარაა, ან თვითონ არწრუნს ვაუბერია თავისი თავი. ან სხვას ვისმე მაღლა თაროზე შეუსკუპებია განგებ, რომ კაცს თვალმბი ამბოდა და თავისის თვალით არა მოეჩნრკიარა (ილ. ჰაქვაძე).

თარო — კედელს მაღლა მიდგმული ფიცარია, სადაც გამ-ჭურქული უღა-

გიათ. ხოლო მალა თარო—ხატოვანად წარმოადგენს, ძირს დასაჯდომ ადგილებთან შედარებით, მალისა და, მაშასადამე. ერთგვიანის უპირატესობით მოსრადვილის, სადაც უნდა იყოს დალაგებული, ოჯახში თუ რამეა სათუთი და რჩეული.

მალა იწვევს პრ. ცდილობს მალისაკენ წაიღეს. სკვ. ამპარტავენობს, მედიდურობას, უკადრისობს. იხ. თავს მალა იწვევს.

მალა ფრინველს არ გადაიფრენს და ღაღად — ჰიანჰველას არ გაატარებს, პრ. იმის (ვიზიდაც ლაპარაკია) ზემოთ ფრინველს არ შეიძლება გადაიფრენოს და მის უეხევეშიდანიც ჰიანჰველას არ შეუძლია გაიაროს. სკვ. ამაყია. ქვემოლია, უკადრისია, ამპარტავენი. შერ. და დიდის რიხით იქიმება (ბ-ნი წარი), თითქო მალა ფრინველს არ გადააფრენს და ღაღად ჰიანჰველას არ გაატარებს (ილ. კავკაზი).

მალა ცხა წვდებოდა და ძირს — დედაშიწას აყრუებდა. პრ. ცხადე აილიოდა ხმა და დედაშიწაზედაც უყრთასქენა იყო წაღებული შისგან. სკვ. მეტად ძლიერი ხმა იყო. შერ. ხალხის „ვაშასა“ და „გაღმარჯოს“ ძახილის გუგუნ-გრილი მალა ცხასა სწვდებოდა და ძირს დედაშიწას აყრუებდა (თერგდალული).

მაჩანხალა პრ. ვინც თრევით, ჩანჩალით მისდევს ვისმე უკახ. სკვ. უფოლადო, უშნო, უნარსმოკლებული, გლახა, უაერგილო. შერ. ხართალია, დიდი არაფერი ადგილი გვექირა მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმდენად კი შაინცა ვართ ჩავდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია გაუწყვეტლივ გვისხეიებს (ილ. კავკაზი).

მაჩვის ტახიკი პრ. მაჩვის კისერზე უღლის დასამაგრებელი ჯოხი. სკვ. მეტად დაბალი (მაჩვის მოკლე ფეხების გამო).

მაჩვის ფეხო პრ. მაჩვის ფეხის მსგავსი სკვ. დალეული, ჯუჯა, დაბალი, ბაჯაჯლანა. იხ. მაჩვის ტახიკი. დაკინებით თქმა. რომლითაც მიმართავს (ერთი — ანორმალურ მოყვანილობის) ადამიანს, მისი ფიზიკური ნაკლის გამოსახატავად და გასაქირ-

დავად. როგორც ვიცით, ძუძუმწოვართა შორის, მაჩვი ცხოველია. ტანთან შედარებით, მეტად უპროპორციო, დაბალი ფეხების მქონედ, და დაბალ, ჯუჯა ადამიანს კიდევ ამიტომ აღარებენ ხოლმე მაჩვის ფეხს.

მაძლარი შემოდგომა პრ. შინშილოკლული. სკვ. კმაყოფილი; როცა სავსება აყვლიადრისა, კირნახული ბლომადაა. შერ. გავიდნენ კიდევ დღეი და თეენი. დადგა მაძლარი შემოდგომა. სოფელში გაიძართა ქვეყრების რეცხვა, საწინახლების ხიხვა და წმენდა (ილ. კავკაზი).

მახათაზე ჩამოხრჩობა პრ. მახათას მთაზე ჩამოხრჩობა ადამიანისა. სკვ. ჩამოხრჩობა, დამნაშვის დასჯა ჩამოხრჩობით. შერ. რას რას მიშეუბიან! დედაკაცო, შე ოჯახდაქცეული, მახათაზე ჩამოხრჩობენ! ვაი, ვაი, ვაი!.. — ბუხსაც ვერაინ ავიფრენს! (აქვს. ცაგარელი).

მახათა — მთა თბილისის ალმოსავლეთით. გასული საუკუნის 80-ან წლებში დამნაშავენი. ვისაც ჩამოხრჩობას მიუხსილდნენ, ამ მთაზე აჰყავდათ და საჯაროდ ახრჩობდნენ. სიტყვა მახათა — ჩამოხრჩობის გამომხატველად გადაიქცა ისევე. როგორც „დაბალი აღთქმის“ გოლგოთა — გამომხატველი იყო ჯვარცმის, ტანჯვა-წვალების ადგილისა.

მახე პრ. იარალი ნადირის მოსატყუებლად და დასაქერად. სკვ. საფრთხე, დაფარული საშიშროება, ბიფათი. შერ. მე ძალიან კარგად ვაცი. რომ ის თავზეხელაღებული ბიჭა — მახეა, რომელსაც „მისთანაებში გაწურთენილი „ციცკარი“ „მოამბეს“ უგებს (ილ. კავკაზი).

მახე ადამიანი პრ. მახის მსგავსი ადამიანი. სკვ. ეშმაკი, ცხიერი. გაიძვერა, გაქნილი, უკეთური, სიაყის ჩამდენი. შერ. რა მახე ხარ, შენთვის ვერ გაჩერდები? (სტ. ვენოვაჯილი).

მახეში ვაბმა პრ. ნადირის მოსატყუებელ და დასაქერ იარალში თავის გაყოფა. სკვ. საფრთხეში ჩაფარდა, ხელის მოკარვა; ცუდ მდგომარეობაში ჩაფარდა. შერ. რომ ჩაფუჩი ჩიროს თავისი მახეში ვაბმა, კბილების კრაქუნთი, რომელსაც კენინა ღიმილს ეძახდა, (ლუარსაბმა) თქვა: — დალახერა ღმერთმა! — ეგ ველარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო

ოთხჯერ დაეთვალე (ილ. ჰაჰევაძე); შერ-
ყოვლად შეუძლებელია, — გააწყვე-
ტინა აპოლონმა: ეშმაკს რო კელაპ-
ტარს დაუნიებენ, ანგელოსს ეწეინე-
ბა; ანგელოსს დაუნთბენ — ეშმაკი
თვითებს დააბრიალებს, თავი მა-
ხეში ჩაგვიგდია, ძმარჯან, მა-
ხეში! (ს. ზეალობლაშვილი); შერ. ჰო და
რომ ეუყუარებდით ბიჭები დემეტრანთ
ალფასს. კბილები გვიკაწყაწებდა,
ელეთ-მელეთი მოგვდიოდა. ძლიერს
ვიმარებდით თავს. აკი მინც დღე-
ქარგეთ მოთმინება და მახეში
გაეყავით თავი (ე. ბარნოვი); შერ.
შენთვის არაფერია! ერთ კვირაზე
დაგაფიწყდება; მაგრამ სამართალს
მისცემ პასუხს! ასეთს მახეში
გაპყო ფეხები, რომ სულ თავი
და მხედი იწყველო! (აქვს. ცაგარული).

მახეში გაბმული ჰრდ. მოტყუებით და-
ქერილი. ზგვ. ხიფათში ჩაფარდნილი-
სათრთაში მოქცეული. შერ. რა უნდა
ქნა ამისთანა მახეში გაბმულს
ქარაფურტა ფრანგსა? (ილ. ჰაჰევაძე).

მახეში გაუფა ფეხებისა ია. მახეში
გაბმა.

მახვილის ჩაგება ქარქაშში ჰრდ. მკვეთ-
რი საქურველის შენახვა ქარქაშში.
ზგვ. მტერთან ბრძოლის დასრულება,
აღის შეწყვეტა, ლაშქრობაზე ხელის
ოშება. შერ. აღარ ეცალა (გ. ხალია-
ძეს); უნდა ებრძოლა თუნდ დამარ-
ცხებულს, ვერ ჩააგებდა მახ-
ვილს ქარქაშში (ე. ბარნოვი).

მახის დაგება ჰრდ. მახის დარწყმა,
დაღმა. ზგვ. შეპრობა მოტყუებით,
შეღდნა ვისიმე, ცულ დღეში ჩა-
გდება ვისიმე. შერ. თუ ამავე დროს
იგივე მტერი ტბილად გვილაპარა-
კება და რაღაც უფლებებს გვპირ-
დება. — ეს იმას ნიშნავს, რომ მტერი
მახის გვიგებს და ჩვენზე ხე-
ლით უნდა აიწინოს ციხე-სიმაგრე
(ი. ბ. სტალინი, თბაქლეზანი, 1, 174).

მახის დამრწყმელი ჰრდ. მახის და-
მეგებელი. ზგვ. ნოლოატე, ბოროტი,
ჩტერი. შერ. ბერის ჰაჰეს მას მტერი,
მზიანელი, დაბერი. მახის და-
მრწყმელი (დ. ჯერამიძე).

მახის დარწყმა იხ. მახის დაგება.

მანლობელი ჰრდ. ახლოს მყოფი. ზგვ.
ნათესაევი, მოკეთე. შერ. აი, ამასა

ჰქვიან — ერთსა და იმავე დროს კაც-
მა თვალი უყოს მგომბელსაც და მო-
სარჩლოსაც, მტერსაც და მოყუარე-
საც, შორეულსაც და მასლობელ-
საც ერთმანეთზე წასაქებლად (ილ.
ჰაჰევაძე).

**მაჰმადის მტრედით ყურში ჩამახის
ჰრდ.** მაჰმადის მტრედებზე მიბრძა-
ნებს ვინმე რასმე. ზგვ. მიბრძანებს
ვინმე რისამე გაკეთებას. შერ. ჩამ-
ახის ყურში (დგდა) მაჰმადის
მტრედით: მდიდარი კაცის
ქალი უნდა შეერთო ცოლად ეხლა-
ვეო და მღვდლად ეკურთხოყო (მე-
ლანია).

**მაჰმადიანობის დამარცხების (VII
საუტ. ახ. წ. ა.) მაჰმადთან არის და-
კავშირებული ეს თქმა.** ამაბადაა დარ-
ჩენილი, რომ მაჰმადს ერთი მტრე-
დის ხუნდი გაუზრდია. როცა უნდოდა
საკენი ექმია, ყურში ფეტვს ჩაყრიდა,
მხარზე მტრედს შეისვამდა და ყურში
ჩაყრილს ფეტვს აკრიკინებდა უტრემე.
ამნაირად კენჭვას ისე დაეჩვია მტრედს,
რომ როცა მაჰმადი საზოგადოებაში
სადმე იდგებოდა, მისი გაზრდილი
მტრედი მხარზე შეჰოათრისდებოდა,
ნისკარტს ყურში ჩაუყოფდა ფეტვის
საძებრად. მტრედი რომ მოჰმორიდე-
ბოდა, მაჰმადი დამსწრეთ მოუბრუნ-
დებოდა ხოლმე და ეუყოდა: აი ახლა
სული წმინდა მოვიდა ჩემთან და ყურში
ჩამახა: ხალხს უკადაგე და გაციან
ლეთიური რჯულით. გულუთყოლო
მსმენელთაც სჯეროდათ მისი ნათქვამი.
მახონის ჰამა კი ნუ გგონია! ჰრდ. მა-
ხონის ჰამასავით ადვილი არ გეგო-
ნოს (რამე საქმე). ზგვ. იოლი არ
გეგონოს, ძნელი გასაკეთებელია,
დიდი მოხერხება და ენერჯია სჭირია.
მგლ. რო იძახი, — ვაჰაკეთებ, გაუა-
კეთებო. მახონის ჰამა არ გე-
გონოს, ჩემო კარგო!

**მახობი — ქატოსაგან დაყენებული,
ხაშმოკიდებული, ნივრით, პიტხით. ქინ-
ძით და მარკლით შევრლებული სანუკვარ-
ი შეჰამანდია. მონეტეო. სასანიანობო
გემო აქვს. დაიქუვა არა სჭირია. წინათ
თბილისში ჯამობით ჰყიდდნენ ხოლმე
ქუჩა-ქუჩა. მას უფრო ხელმოკლე ხალხი
ეტანებოდა. ყველასათვის სელმისაწ-
ვლამო და თან ადვილი საქმეიო იყო.
აქედან, მახონის ჰამა გადატანილია
აღამიანზე, ვინც რამე ძნელ და პასუხ-
საგებ საქმის გაკეთებას ჩემულობს და**

ამ საქმეს საპირო სერიოზულობით არ მოეჭიდება ან კიდევ ძალა არ შესწევს მის გასაკეთებლად და მაინც თავისას არ იზღის, ფონს გადკვივს ეითომ იადვილებს, ნამდვილად კი ხელიდან არაფერი გამოჟღის და მასურებლის მხრივ მხოლოდ და მხოლოდ დაკრინებასა და სიბრალულს გამოიწვევს. ამბობენ აგრეთვე: ფლავის ქამა კი ნუ გგონია...

მაჯაგანში მოყვანა (საქმისა) პრ. მაჯაგანის საშალებით მოქნა, დარბილება ტყავისა. სვ. გაკეობა, დასრულება. შპრ. მაჯანკობაში იმისი ცოდნადალი არ ვაჩვენია ღნერთს; იმისას ამბობდნენ: რომ მოხლომოს, ბერს ცოლს შეართვედნებსო. მამასასლისსაც ეს უნდოდა და აკი გვეუქვაც ციბრუტივით დატრიალდა. ვინოსთან საქვე გაჩალბა. მაჯაგანში მოიყვანა (ივ. მენთეაშვილი).
მაჯაგანი დურა ტყავის მოსაქნელი იარაღია.

მაჯის წარკვეთა იხ. მარჯვენა ხელის მოჭრა.

მაჯის ცემა პრ. არტერიების (ქედლები) რიტმული ცემა, გულის მოძრაობით გამოწვეული. სვ. სიკოცხლის, არსებობის ნიშანი. შპრ. ძნელია ერის ცხოვრების მაჯის ცემა ისე შესწყდეს, რომ არა მოქმედებდეს რა ასე თუ ისე სახელობოდ (ილ. კეპაძე).

მგელთან ნაქიდავები იხ. მგელიფლითე. მგელი პრ. ძალისებური ოჯახის მტაცებელი ცხოველი. სვ. მტაცებელი, წამგლეჯი, გაუშალარი. შპრ. მგელი ცხვარში დაერია, — ვაი ერთის პატრონსაო (ხალხური ანდახ).

მგელიფლეჯია ქალი პრ. მგელის გაგლეჯა რომ შეუძლია, ისეთი ქალი. სვ. ყოჩალი, გულადი, შეუპოვარი, შემპართებელი.

მგელიფლითე პრ. ვინც მგელს. ებრძვის და ფლეთავს. სვ. ტანისამოს-შემოგლეჯილი. მგლ., ებიკი მთელი კოსმარე დღე ყველას ებღლარძუნება, სულ შემოიგლიჯა ტანისამოსი, ნამდვილი მგელიფლითეა!

ეს თქმე საქირდავია, ყბადასალები.

მტყვიან უფრო ახალგაზრდას, ვინც ტანისამოსს ან უფროთხილდება. სუ-

რათხატოვანად მგელისმფლეთავს ადარებენ, ვინც თავის ტანისამოსის მთლიანობას არ დაგიდევს და მისი შემოჩენისათვის არა ზრუნავს.

მგლისა და ყორნის ლუქმა პრ. მგლისა და ყორნის შესაქმელი. სვ. უპატრონოდ დასაქარგი, უგზოუკვლოდ დასალუპავი. შპრ. ღმერთის ჩეხხედ, დიდი ხანია, შეილო, ხელი აუღია. ბე მაინცა და მაინც მგლისა და ყორნის ლუქმა და ვარ გაჩენილი (ილ. კეპაძე).

მგლის კოვზ დავწვა პრ. დაუყოვნებლივ მგლის კოვზს ცეცხლში ჩაევაგდებ დასაწველად. სვ. ნაჭურდალის აღმოჩენის საშუალება. შპრ. ეილავ ჩამბარე ჩენი ნიეთები, თორემ ისე დაჯანყვულანებ, რომ გასაგისით არ აგშორდეს. ეხლავ მგლის კოვზს დავსწვამ... (ავს. ცაგარული).

ეს თქმა გამოხატეული იყო საშინელი ზუქარისა. ეს მუქარა საჯაროდ, ყველას ვასაგონად ჩაითქმებოდა დაზარალებულის მიერ იდუმალ დაზარალებულის მიმართ. მუქარაში ჩატანებულნი იყო აშკარა გაშოცხადება — დაზარალებულის მიერ დაზარალებულის დაუზოგველობისა, მისთვის მოსისხლე მტრად გადაკიდებისა, მის მიერ სასიკვდილოდ გაწირვისა.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შელოცვისთან, დაწვევლასთან, ჯადოსთან, მაგიასთან, ერთის სიტყვით, ცდასთან — უცნაური, ფანტასტური მოქმედებით გინა საქციელის მეშვეობით მივალწით ბუნების კანონების საწინააღმდეგო ამა თუ იმ ხასიათის შედეგს.

თუ ქურიდი, ვიზედაც ექვი ჰქონდათ, ახლო იყო, მაშინ დაემუქრებოდნენ: ეხლავ მგლის კოვზს დავწვათ, თუ ნაქურდალი უკან არ დაგიბრუნებიაო! ხოლო როცა ვისზემ საქმიელი რამ დაეკარგებოდა ისე, რომ მის ასავალ-დასავალს ვერაფერს გაიგებდა და აღარც ქურდის ვინაობის გამოკრევის იმედი რჩებოდა, უკანასკნელი და ერთადერთი საშუალება იყო — მგლის კოქისათვის მკითხავს ან კუდიანობით განთქმულს ქალს შეგლოცვა, ჯადო გაეკეთებინებინა, დაეწვევლინებინა მისი საქონლის მომპარავი და მერე მგლის

კოპი საჯაროდ ცეცხლში ჩაიგდო და ჩაეთქვა: ასე დაიწვას და დაიხრუკოს, ვინც შე (სახელი და გვარი) მომპარა ჩემი საყვარელი საქონელი და აქამდე არ გამოიპინინაო!.. კოპი ისულ რომ ჩანავლდებოდა, ფერფლს ფრთხილად გამოიღებდნენ, ქინძში რაშიმე გამოკრავენ და შეინახავდნენ.

კოპის დაწვის დამწყვეთ სწამლათ, რომ ადგილობრივ გარეულ მტაცებელ ცხოველებში ყველაზე ძაბუნებელი და ყველაზე საშიში ცხოველი — მგლის კოპის დაწვა თავის ძალს უქველად გამოაჩენდა, სწამლათ, რომ როგორც დაიწვა და მოისპო ის ნაწილი მგლის სხეულისა. რომელიც ყველაზე მეტად შველის მგლის სირბილში, ისე მოიკრუნებოდა და ჯადო და ცეცხლი შთანთქავს ქურდს, მოყვასის საქონლის მოპარეცხათვის.

მგლის მუცელში გახაძვრენო პრდ. მგლის მუცელში მოსათავსებელი. სკვ. წყეულა; მგლის შესაქმელი, სასიკვდილი.

მგლის მუხლის მომბა პრდ. მგლის ფეხების შებმა სხეულზე. სკვ. ჩქარი, გინა მგლური სიარულით სირბილი. შრ. გავიძელ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო, გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო (ხალხური სიძღვა). შრ. თუმცა ავად იყო ლაგაზი (თუშების გმირი), მაგრამ ამ თავგანწირვის დროს მგლის მუხლი მოიბა (იგ. ბუჭურული). შრ. ეგრამ დაინახ კობემა. მუხლი შეიბა მგლისაო (ს. მაკალათია).

ცნობილია. რომ მგელმა ძალზე სწრაფი სირბილი იცის. ამიტომაცაა, რომ ვისიმე ჩქარ სიარულს უტოლებენ ხოლმე მგლის სირბილს.

მგლის სულის მოდენა პრდ. სუნით შეტყობა მგლის სიხალღოვისა. სკვ. ხიფათის. საშიშროების წინდაწინ შეგრძნობა. შრ. დამაცა, ბებერო, მოგედინა მგლის სული, განა? — ამბობდა თავისთავად პირლია დარჩომილი გიტო. — შენ ხერხიანი ყოფილხარ, მაგრამ არც შე ვარ უხერხო (ილ. კავკაიძე).

მგლის თვალზე ნახვა (ვისიმე) პრდ. მგლის საშინელის თვალით შეხედვა ან შეთვალეობა. სკვ. არმოწონება, პირველი (კუდი შთაბეჭდილება ვისიმე ნახვაზე, გულში მისი სიძულე-

ლის აღძვრა, შეზიზღება, ათვალისწუნება, ბოროტების გამოხატვა. შრ. რა ვიცი, მგლის თვალზე დე კი ნახვა კაცი და ვერ გამოვიტო, რადგან — ბოროტიაო! რა ვუყოთ, რომ ავია, კეთილად მოექცევი და დაშოშმინდება (გ. ბარნოვი).

მბეცებში მგელი ცნობილია თავისი ულმობელობით, დაუნდობლობით და უალრესად მტაცებლური შიდრეკილებით. ამიტომ „მგლის თვალზე ნახვა“ გულისხმობს საშინელ მტრულ განზრახვას იმის წინააღმდეგ, ვისაც ეს თვალი მოხვდება.

მგლის ქონის მოცხება პრდ. მგლის ქონის წასმა, მგლის ქონით გასურა. სკვ. მოჯადოება, გრძნობათა შეცვრა, ადამიანის სახის მაკიერ მგლის სახის მიცემა ვისთვისმე. შრ. მგლის ქონი თუ მოსცხეს საწყალ ვაჟკაცს (იასეს), რომ ცუდი თვლით უჩვენება იგი სამძივარს (თავის სატრფოსს) (გ. ბარნოვი).

მგელი — ნადირთა შორის მეტად მავნებელ, შესაჯავრებელ ცხოველად ითვლება. მგლის ამ თვისებათა გამო, მის ქონსაც ხალხურ წამებათაში მიკუთვნება თვისება ადამიანში სიძულვილის გამომწვევისა. მისი ქონის ძალას მიმართავდნენ განსაკუთრებით სიყვარულის საქმეში, როცა ქალ-ვაჟს შორის ჩასახული რომანი ერთიმეორის საფერად არ მოიანდათ ან და შურითა და მტრობით ამ რომანის ჩაშლა სწავდათ.

მგლის ყურის გამომბა პრდ. ვითომ მგლის ყურები აბია. სკვ. ყურის მოყრუება, ვითომ არაფერი ესმის, რაც მის გარშემო ხდება. მკლ., რამდენი ვილაპარაკეთ, მაგრამ იზან მგლის ყური გამოიბა, თითქო მას არც კი ელაპარაკებდნანო.

მგელმა ყურის მოყრუება იცის, მიძუნძულებს და უკან ყვეფით ძალდი მისდევს. მგელი ზედაც არ უყურებს. გაიტყუებს შორს სოფლიდან. ტყეში, სადაც ჩასაფრებულნი არიან ახალგაზრდა მგლები, რომლებიც უკანდანი მივარდებიან ძალღს და გაგლეჯენ.

ამას ხატოვანად იტყვიან ისეთზე, ვისაც კარგად ესმის, რასაც ეუბნებიან, მაგრამ, რაკი მისთვის სახეირო არ არის, თავი ისე უპირავს, თითქო ყურში არაფერი შესდისო.

მგლობა პრ. მგლის თვისებათა გამოჩენა. სკვ. დაუნდობლობა, სიმძვირე, მტრული განწყობილება. შპრ. მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოავადო (ზალაფრი ანდახა). იბ. მგელი.

მგლოვიარედ ჯდღმა პრ. გლოვა მახლობელ ვისიმე მიცვალებულისა, მისი ქირისუფლობა. სკვ. რაიმე ზარალი და მის გამო დარდი, ნაღველი, წუხილი. სკვ. (მეშინოდა) ჩემს ათასს თუმანზე არ დამჯდარევიყავე კახეთში მგლოვიარედ (ლ. არაღზინი).

მღევს შეეკიდება პრ. მღევთან დაკიდებისა არ შეეშინდება. სკვ. ღონიერია, გულადია. შპრ. მამაკაცთან ერთად ერთნაირად იბრძვის ლუქმპურისათვის მთელ თავისს სიცოცხლეს. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგო მღევს შეეკიდება. შუატანისა, ჯმუხის, შეეწითელი, დიდრონი, დაყოფიებული ხელებით, ორკოდიან ტომარას წამოიკიდებს ზურგზედ (ფ. ვაბაშვილი).

მღუმარების ანგელოზმა ჩამოიარა პრ. რომ არ ლაპარაკობს, ისეთმა ანგელოზმა ჩამოიარა. სკვ. ყველანი დაჩუმდნენ, საერთო მღუმარება ჩამოვარდა. შპრ. ამ კაცის ხსენებაზე ქალი შეწითლდა და უსიამოვნობის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. შეგვყვირეთ ამ საგანზე ლაპარაკი. მღუმარების ანგელოზმა ჩამოიარა. რომ დამერღვია უხერხული დუმლი, ვთხოვე ქალს რამე ემღერა თარზე (ვ. ბარნოვი); შპრ. დაფიქრდა შაჰი, თითქო დაღონდა, თუ რამ უმძიმდა? ჩამოიარა აეთინებულ სუფრადიდ სიჩუმის ანგელოზმა (ვ. ბარნოვი).

ქართველებში სწამოდა, რომ ღვთისა ამა თუ იმ დავალებით ანგელოზები დადიან სოფელ-სოფელ და კარდაკარ. ზოგი მათგანი მღუმარების ან სიჩუმის ანგელოზია. როცა სახლში სადმე ლაპარაკობენ და ერთბაშად ყველანი დადუმდებიან. ეს დადუმება იმიტომ ხდება; რომ სწორედ ამ დროს ჩამოიარა მღუმარების ანგელოზმა.

მღულარე გადამსხა პრ. ცხელის წული გაფუფქვა. სკვ. უბედურება დამემართა. შპრ. მარტო ერთხელ მოასწრო (დათომ) ქოხს ქვეშ თვის-

თვის შეეხენდა და ეს საკმარისი იყო, რომ თივას მღულარე გადასხმოდა (მ. არაგვისპირელი).

მებალის ყურები მოისხა პრ. მებალეს რომ აქვს, სწორედ ისეთი ყურები გამოიბა თავზე. სკვ. თავის მოკატუხება, თავიდან ასხლტა რისამე, ვითომ არ ესმის, რასაც ეუბნებიან. მგლ. ჩემს მებობარს ბევრი ვუხვეწე, ბევრი ქირი მოვქანე, გაქირებამე მეგობრობა გაეწია და დამხმარებოდა, მაგრამ იმ დალოცვილმა მებალის ყურები მოისხა, ვითომ ყურში არც-კი შესვლია ჩემი ნათქვამი.

ქართლ-კახეთში, სადაც ისმის ეს თქმა, ხილის ბაღსა თუ ზეარში, როცა ხილი თუ ყურძენი მწიფეს, იმათს ყურისსაგდებლად მიჩენილი მებალე თავის ქოხში წის და დღე-ღა-ღამე თვალყური უქირავს, რათა ვინმე არ შემოიპაროს და ხილია, ბოსტნეულია თუ ყურძენი, ხელს არ გააყოლოს. ქურდებიც აბა რილას ქურდები არიან, თუ ზოგჯერ ეშმაკობას არ მიმართეს! თუ საქურდლად ორნი არიან წამოსულნი, ერთი მებალეს გამოიხმობს ბაღის კარებთან და ლაპარაკით შეიქცევს. ამასობაში მეორე ამბანავი მომხრებით ბაღში შეიპარება და რასაც მოახელებს, ჯიბე-უბე-კალთას გაივსება, თუ მოასწრო, თვითონაც გაძღება და თავს უშველის. პირადი ქურდი თავის გულში რომ იტყვის — ჰო, ახლა კი დრო უნდა იყოს აქაურობას გავეცალოო, გამოემევიდობება მებალეს.

მარტოდაჩენილი მებალე ბაღს რომ დაუვლის, ოღონდაც რომ შეამჩნევს, როგორ გაუტურბიათ!.. ამიტომ მებალე, მეორეჯერ რაც უნდა უძახონ — გამოიხედოო, აღარ გამოხედავს, თავს მოიყრუებს, ვითომ არ ესმის ძახილი; ზედაც არ შეხედავს და ხმას არ გასცემს, თუნდ საღამომდე უძახონ.

აი, აქვდა გახლავს წამოსული ეს თქმაცა: მებალის ყურები მოისხაო, და ხატოვანად ნიშნავს — ყურების მოყრუებას, გაუგონრობას იმისას, რაც ჩვენთვის სასიამოვნო და სარფა არ არის, რაც ხელს არ გვაძლევს.

კახეთში ამბობენ კიდევ: მეზერის ყურები მოისხაო.

მე ბუკე პრ. ვისაც ბუკი უპყრია და აუვირობს. სვ. ყველასათვის ამბის შემტყობინებელი, გამახმაურებელი რისაზე. უღრ. ამ ნაჯღანს „Novus“-მაკ კი, ამ სახელგანთქმულმა მე ბუკემ თ. გ. თუმანოვის ამქრისამ, ამას წინათ მიაართა ტრეტული სერიოზობისა (ილ. ჰავკვაძე).

მე დამხერტვა თავისი ვაფუჰებული საქმეო პრ. თავზე ვადროიყარა თავისი დანაშაულიო. სვ. თავისი ბრალი მე მომახვია თავზეო. იხ. ჩემზე შეიწმინდა ხელგებო.

მე დღეს-მეზვადიე პრ. ვინც იძახის: არა, დღეს გავაკეთებ, არა — ხვალაო. სვ. ზარინატი, უპირული, თავიძგრენია, მატყუარა. უღრ. მე დღეს-მეხვალა დღესაო უწვიმდეს და უთოვდეს... (ალბუტი ანდახა); იხ. დღეს-ხვალაობა.

მე ვარ და ჩემი ნაბადი პრ. ერთი მე ვარ და მეორე — ჩემი ნაბადი. სვ. ნაბადის მეტი არაფერი მაბადია, მთელი ჩემი ქონება — ნაბადია, ბევრი არაფერი მაქვს.

მე ვინა და პატიოსნებაო (ან სხვა რამე)? პრ. ჩემთან პატიოსნებას რა უნდა სვ. არ შემოდლა პატიოსნება და ვიჩემო, პატიოსნებაზე ხელი აღებული მაქვს. უღრ. როდის აქეთ დასდე პატიოსნებაზედ ხელი? პატიოსნება რა ვახსენდა დამამეკს, თითონაც კი შერცხვა და გაეცინა: მე ვინა და პატიოსნებაო! — მეონი ვაიფიქრა გულში (ილ. ჰავკვაძე).

მე ვის რა გველი შევუწვი? პრ. ვის შევაპარე შემწვარი გველი საქმელად? სვ. ვის რა დაუშავე, ვის რა სამტროო საქმე ვუწვი? უღრ., არ ვიცი, დმერთმანი, რას მერჩიან?! ვის რა გველი შევუწვი?!

მე ვის რა ვირი მოვპარე? პრ. მე სად მოვპარე ვისმე ვირი? სვ. არავისთვის არა დამიშავებია. რა, ზარალი არავისთვის მიმიყენებია. უღრ., ნეტა ვიცოდე, რას ჩამტყუებთან, ვის რა ვირი მოვპარე!

ვირი გლეხკაცის ოჯახში მეტად საქირო. ცხოველი იყო და მისი მოპარეაო ღოღონდაც რომ ზარალად ჩათვლებოდა პატრონს.

მე ვიცი, (ვისხსამე) ენას ჰალი მოედება!.. პრ. ვითომ ჰალი გამოედება

მის ენას?! სვ. არაფერი დააბრკოლებს, ცული რამე სთქვას, მორიდება არაფრისა აქვს ლაპარაკში, არაფრისა ეწინია, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს, კადნიერია.

მე ვერის ყურები. მოიხსა იხ. მე ბაღის ყურები მოიხსა.

მე ვოზლობის შეტყრა პრ. მე ვოზლობის ურთიერთობის შეწყვეტა. სვ. ვინმე განაპირება მე ვოზლობიდან მე ვოზლობური წესების დარღვევისათვის, მე ვოზლობის ღირსად უცხოვლობა. უღრ. სენი მერე პეტრესაც ვადიდო და (უცხვილი მოედო მთელ ოჯახს, დაიწვა და დაიდავა, უცხვილად დასამაოხი გახდა; სოყელმა კარი გამოუხურა, მე ვოზლობა შეუქრა და თითქმის შეაჩვენა (ე. გაბაშვილი).

ძველათ, თუ ვინმე მე ვოზლობის საწყენს რასმე ჩაიდენდა და მათს მე ვოზლობურ თავმოყვარეობა შეთახავდა, განაუწყენებელი მე ვოზლობი აიღებდნენ და დანაშავეს, მე ვოზლობის წესის დამრღვევს, მე ვოზლობას შეუქრავდნენ: მოსპობდნენ იმასთან ყოველგვარ მე ვოზლობურ ურთიერთობას; არც იმას ვეპარებოდნენ და ალარც იმას მიესვლებოდა მათთან; არავინ იკითხავდა დამნაშავე მე ვოზლობის ავკარგს, ალარც კირში მიხედავდნენ და ალარც ლხინში, — თითქო არც-კი არსებულა სოფელში ასეთი კაციო.

ასეთი სახე სასჯელისა ჯერ კიდევ არსებობდა ამ ნახევარი საუკუნის წინათ ქართლის სოფლებში.

მე თლებ-მეხვრება პრ. შემოდლა მოვითალო (ხორცი) და გამოვხრა კიდევალ (ძვალი); სვ. მოსათლელიცა მაქვს და გამოსახერელიც. გაღვ. გამოსალდგია (რამე), ხერისა ვხედვარ, სასარგებლოა, გამოსარჩენია. უღრ. მიშეღე რამე, ხელმწიფე, აგრემც იხარებ ძეობით. რად მინდა შეილის სახელი, თუ არა ეთლებ-ეხვრისა: დედასა სიმშლითა ჰკლავს, მტერს კი თამამად ებრძვისა (ე. გაბაშვილი).

ხატოვანად ეს თქმა გამოხატავს აღამიანის მატერიალურ უზრუნველყოფას, ბედნიერებას, სახარბიელო მდგომარეობას.

მე თოთხმეტები პრ. მე თოთხმეტე ნაწილსა მთხოვ ქონებისას. სვ. ლა-

უსრულებლად და უსაბუთოდ მიღ-
ვები. შგლ. ადამიანს რა მმართველს
შენი, რას მეთოთხმეტები, რომ
არ ვიცი?!

ძველათ, დაქვრივებული შალი თუ
გათხოვებას მონდომებდა, გარდა-
ცვლილი კმრის ქონებიდან მე-14 ნაწი-
ლი ერგებოდა, რაც, სხვა მონაწილეთა
წილთან შედარებით, მეტად მეტად
დად ითვლებოდა და განსაკუთრებით
მეშინ, თუ მიცვალებული ღარიბი
გლეხი იყო. ჩვეულებრივ ამ ნაწილზე-
დაც გაიმართებოდა ერთი დაუსრულე-
ბელი დაეა და ამ დავად ზოგჯერ სუ-
ლა(ალარა ღირდა ეს მე-14 ნაწილი.
შემდეგში სიტყვა თოთხმეტი და
აქედან წარმოებული ზნა თოთხმეტება
(ვეთოთხმეტები, მეთოთხმეტება) გა-
დაიქვა დაუსრულებელი დავის, ისე
უბრალო და უმნიშვნელო რაზედმე,
შესატყვისად. უფრო სახმარებელი
ფორმა ამისა არის კითხვითი სახე:
რას მეთოთხმეტები?!

თბილისში მეთოთხმეტე, წოდებითს
ბრუნებაში ხმარებული, სალანძღავ სიტ-
ყვად ითვლებოდა.

მეთუშენათბა ჰრ. მე ვიყო თუ შენ.
სტე კიშპობა, წინააღმდეგობა. ცი-
ლობა, თუ ორში რომელმა უნდა
გაიმარჯვოს. შრ. ამას უშლის იგი
ძიუნდობლობა, იგი ცილობა, იგი
ხარობა, იგი დაუძინებელი მეთუ-
შენობა, რომელიც ისე ძლიერ
მოქმედებს სახელმწიფოთა შორის
ყოველს საპოლიტიკო საქმეში (ილ.
კავკაზები).

მეიდანვე გამოვიდა (ვისიმე) სახელი
ჰრ. მეიდანვე ასხენეს ვისიმე სახელი.
სტე. გაითქვა ვისიმე სახელი, ყველამ
საქვეყნოდ საქვეა ვისიმე ქება თუ სა-
აუგო საქციელი. შრ. პირველ დღეს
სადილზე სულ შენს ვაჯეცობას მი-
ანობდა გრაფი, ერთის სიტყვით,
შენი სახელი გამოვიდა მე-
იდანზე (გრ. ორბელიანი).

ძველათ თბილისსა და სხვა ქალაქ-
სოფლებს ერთი ცენტრალური ადგილი
ჰქონდათ — მეიდანე, სადაც მცხოვრებ-
ნი გამოდირდნენ ქალაქში თუ ქალაქ-
გარეთ მომიდარ ამბების შესატყობად.
თბილისში ასეთი ჩეიდანე იყო ძველ
საეგზარხოსოს მოედანზე, მეფე გი-
ორგი XIII-ის სასახლის წინ, და ერ-
ქვა სალაყბო, ალბათ იმიტომ, რომ აქ
გამოსულები ლაყბობდნენ, ლაპარაკობ-

დნენ საქვეყნო საქმეებზე. ეს სალაყბო
ასრულებდა იმროს, რა როლიც დღეს
გაზეთსა აქვს ჩვენში. აქ აცხადებ-
დნენ მეფის ამა თუ იმ ბრძანებას. აქვე
უზიარებდნენ ერთნაგვის ომის ამბავს,
მებრძოლთა გამარჯვებას. მტერთან
მათს სიმარჯვეს, თუ სიჯანსი.

მე კი ვიქნები! ჰრ. მე არ ვიქნები.
სტე. სხვა იქნება. ამახ ვერ ვინამ.
შრ. აერთი (ნარ დონი) არც ისე-
თი ჯიუტია, რომ სთქვას და აღარ
გადასთვას, თითქო გაცუნებოდეს;
დაიხ, მე-კი ვიქნები, ერთი
ვსთქვა და აღარ გადასთქვაო, მაშ
თავზე ქული არა მსუტებიაო! (ილ.
კავკაზები).

მე კი მიყვილია (და გათენდება თუ
არა, — ეგ ღმერთმა იცის) ჰრ. მე
მიყვილია მაჯალეით გათენების შე-
სატყობინებლად. სტე. ვამიფრთხი-
ლებიხართ, ჩენი ვალი მომიხდია,
განსაცდელის მოახლოება შემიტყო-
ბინებია. შრ. მაშინ გულგელდაკარე-
ფილს ეს და დამრჩება სათვალელად:
მე მიყვილია და გათენდება თუ
არა, — ეგ ღმერთმა იცის (ილ. კავკა-
ზები; შრ. მე-კი მიყვილია, მაშ-
ინა არ იყო, და დანარჩენის შენ
იცი, იყავნ ნება შენი! — უთხრა და-
ციხვით იასე რომანიჩმა (ს. მალობ-
ლიშვილი).

ეს თქმა ნაკვეთია ანდაზისა: მა-
მალმა თქვაო: მე კი ვიყვილებ და გინდ
გათენდეს და გინდა არაო. ინმარება
გაფრთხილების, თავის მოვალეობის
შესრულების, პასუხისმგებლობის თა-
ვიდან მოხსნის აზრით.

მელაა ჰრ. ძალისებური ოჯახის
ხორციქვამი გარეული ცხოველი. ცნო-
ბილია თავისი ეშმაკობით. სტე. გაიძ-
ვირა, ცბიერი ადამიანი. შრ. ორში
ერთი: ან მართლა იმ ღნარს (საკუ-
თარის აზრის ქონება) მოკლებულია
(გ. თუმანოვი), ან ცოტა თუ ბევრი
ლიტერატურული კულანობა სკოდ-
ნია და ამასთან მეღურად მიცოც-
ვია და გვეღურად კებნა (ილ. კავკა-
ზები).

მელობა ჰრ. მელისებური საქციელი.
სტე. გაიძვირობა, ეშმაკობა, მოტყუ-
ება, ქლესობა, პირფრობა. შრ.
გულში სხვა ედვა თათბირი, გამო-
ჩნდა მისი მელობა (ფეშანგი).

მე ხაყველო ამიხეტყია ჰრ. პერან-
გის საყველო გამომიხეტყია. სტე.
უვალო ვარ, არაფერი დამმარადღეს,

არაფერი დამიშაებია. მგლ. აპა, ძმაო, ამას შემდეგ რამე რომ მოვივიდოს, მე არ დაძვრალდეს, რე, ჩემო კარგო, საყველო ამიბერტყია.

ძველათ ვინმე რასმე რომ მოიპარავდა, უბეში შეინახავდა, თუ დაიქვრდნენ, პეონანის საყულოს ამოაბერტყინებდნენ, რომ ნაპარაიცი ამოპყოლოდა. თუ უდანაშაულო იყო და ტყუილად სწამებდნენ, თავის სიმართლის დასამტკიცებლად საყულოს ამოიბერტყავდა და თან დაატანდა: მე საყველო ამიბერტყია...

მესისხლე შტერი პრ. ვინც თავისი მოწინააღმდეგის სისხლის დაღვრასა ცდილობს. სჯ. მკვლელი, საშინელი შტერი, უღმობელი. შრ. რა ძმა ნახოს, ვითამცა მესისხლე მისი ყოფილიყო, ესრე უზნდის (ვისრამიანი).

მეტი გზა არ არის პრ. სხვა გზა გასასვლელი მანძილისა არ არის. სჯ. საშუალება არ არის, გამოსავალი არ არის რისამე გასაყეთებლად, რისამე მისაღწევად. შრ. გაკირება მოუთმენელი, სახსარი კი ერთადერთი: ის ძვირფასი ქვა. გზა ალარ იყო, უნდა ვადიდვა ნაბიჯი ძნელი (მ. ბარნოვი); შრ. ხომ ხედავ, ჩვენო ქართველობავ, რომ სხვა გზა არ არის, რომ შვილი გაზარდო, თუ არ ისევე შენის ღვაწლითა და შენის ხარჯით (ილ. კაპაჯაუ).

მეტი თვალი და ყური დაგვიშლის პრ. სხვებმა არ დაგვიანახონ და ყური არ დაგვიგდონ. სჯ. არავინ უნდა დაგვიანახოს და არც ჩვენი ნათქვამი ვინმე გაიგონოს. საიღუმლოდ უნდა ვიყენეთ. შრ. ოთახში მობრძანდით. აქ მეტი თვალი და ყური დაგვიშლის. — დაუშაბა გრიგოლამ და მინ გამოუძღვა როსტომს (ანასტასია ერისთავი-ხონტარია).

მეტი ღუკმა გულზედ დაადგება პრ. წომეტიებული საქმელი გულზე დააწკება, დაამძიმებს. სჯ. და დაცივიით მოკარბებულ ქონებაზე უარს აბა ვინ იტყვისო! შრ. რას დაგვიკრებია გულზედ ეგ დასაწიფი ხელები, — აი, მოკვლევს ეგ უბგულო გული! მამაშენსა აქვს ცხოვება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ღუკმა გულზედ დაადგება, აი! (ილ. კაპაჯაუ).

მეტი რა გზა დარჩენია პრ. გასასვლელი

გზა მოსპობილი მაქვს. სჯ. საშუალება არა მაქვს სურვილს ვეწიო. შრ. როცა კაცი ვაძრაზდება და მოთმინებიდან გაძრია, მეტი რა გზა დარჩენია, რომ ხელი არ გამოილოს?! (მელანი); შრ. ჯერხანად, მეტი რა გზაა, უნდა დაეუჯეროთ ავტორსა, რომ ვითამცა ჩვენს ხბოს მგელი დაუქვრიაო (ილ. კაპაჯაუ).

მეუღლე პრ. ურმის უღელში შებმულთა ცალი. სჯ. ცოლი ან ქმარი. შრ. აღარც ისე პატარა იყო, ვერ გავრჩია უბრყვილო სიამე თვისტომური და ხორცთა სწრაფვა, შეუღლეთობისაკენ გაქანებული (მ. ბარნოვი).

ურმის უღელი გადატანილად შედარებულია ცხოვრების ტვირთის საზიდავ უღელთან, რომელშიაც შეებმებიან ხოლმე ცალი მხრით ქალი და მეორე მხრით — კაცი და ერთად უნდა სწიონ ეს უღელი, რომელსაც აწევს ტვირთად ზრუნვა ოჯახის კეთილდღეობისა, შვილებისა, შტერ-მოყვარისათვის და სხვ.

მელორის ცოლია პრ. ღორების მწყემსის ცოლია. სჯ. დაუბანელი, ქუქყიანი.

უკიდურესი სიღარიბის გამო, მელორენი, ძველათ, ჩვენში ცნობილი იყვნენ თავიანთის უსუფთაობით. ცოლებიც ქკრებსა ჰგვანდნენ. ხატოვანად ითქმის უსუფთაო, ბინძურ ქალზე. მეშაბათე პრ. შაბათობით მოსიარულე. სჯ. კარი-კარს მოსიარულე; მათხოვარა. მგლ. რა მეშაბათე გამიხდელი?!

ჩვენში, წინათ, მათხოვრები სოფლად თუ ქალაქად კვირის წინა დღით შაბათობით, ჩამოუვლიდნენ მოწყალეების სათხოვნელად, და ყველას თავის მოვალეობად მიაჩნდა ხელსაჩივლი არ გამოესტუმრებინა კარზე მომდგარი გაკირებული და ხელგაშეკრილი მათხოვარი.

მეშვიდე ცამდე მიწეული პრ. მეშვიდე ცამდე ასული. სჯ. ღმერთთან ასული, უმეტესად ბედნიერი, უზომოდ გიხარებულნი, მეტისმეტად კმაყოფილი, უნეტარესი. შრ. კაბუჯი აღტაცებული იყო და რას უკარნახებდა მას მეშვიდე ცამდინ მიწეული მისი გონება. ეს არც ესმოდ მას ცხადად (მ. ბარნოვი); შრ. რისხვით მობრუნდა ჩვენზედა ბორბალი ცისა შვიდისა (მ. რუსთაველი).

ხალხის წარმოდგენით ცა იყო შვიდი, ერთი-მეორეზე წამოდგმული. სულ უყანასკნელ მეშვიდე. ცაზე ანუ ვეკლაზე მაღლა, სუვევედა ღერითი, აქ იყო მისი ტახტი (იგუვე ტრაპეზი ანუ საყდარი). მეშვიდე ცას იქით არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ „ახალ აღთქმაში“ ცათა რიცხვი სამამდეა ჩამოსული: აღიტაცა დარევი-თარი კაცი ვიდრე მესამედ ცადმდე (ეპისტ. პაულესი, მეორე კორინთ. 11/2).

სხვადასხვა ხალხს თვლანში უდიდეს რიცხვად შერჩათ სხვადასხვა რიცხვი, მაგ., ებრაელთა „ფველ აღთქმაში“ უდიდეს რიცხვად მიაჩნდათ შვიდი. ქართველების წინაპრებს უდიდეს რიცხვად მიაჩნდათ ცხრა. აქედან დაჩვენოლია: ცხრა მთას იქით, ცხრა პური, ცხრათაიანი დღეი, ცხრა წყარო, ცხრა მუხა; დაწოლის დროის ლოცვა: „დაავუვები, დაეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ახგველოზი სულ თავით დამესვენება“, და სავ. ცხრას იქით ისევ თავიდან ვიწვებდით თვლას და ახალ ცხრანდ რომ მკვიდროდით, ვიტყოდით: ორი ცხრა, სამი ცხრა. ოთხი ცხრა და ა. შ. სომელად სულ ბოლოხანამდე ისმოდა: ერთი ცხრა პური გვასესხეთ, ორი ცხრა პური, სამი ცხრა პური და სხვ.

და როცა მწერალი ამბობს: „რას უკარანებდა მას (ქაბუქს აღტაცებულს) მეშვიდე ცამდე შიფეული გონება“. ცხალია, იმის თქმა უნდოდა, რომ ქაბუქს თავისი თავი უზოპო ბედნიერად მიაჩნდა. რადგან ასულიყო ყოველისავე სიხარულისა და ნეტარების წყალობდე!..

მე ჩემი კალა ვამიღეწია, ხარები ვაღამიყენება ჰრ. კალაზე ვასალეწი პურის ვალეწვას მორჩომღლვარ და დეწვაში ნამუშევარი ხარები უღლიდან გამომიშვია დასასვენებლად. ხვ. ჩემი ვასაკეთებელი საქმე ვამიკეთებია. ჩემი მოვალეობა ამისრულებია. მკლ. ზე, ჩემი კარგო, ჩემი კალო ვამიღეწია, და ახლა თქვენი თქვენ იცით.

სასოჯლო მეურნეობაში კალოს ლეწვა ყველაზე უმძიმეს. სასწრაფოდ ასასრულებელ, ყველა სამუშაოთა და მავგირგვინებელ საქმედ ითვლება. ხატოვანად იგულისხმება: დიდი საქმის

ვაკეთება, უმთავრესი მოვალეობის მოხდა.

მე ჩემი მემართება ხოლმე ჰრ. შემხედება ის, რაც უნდა დამემართოს. ხვ. ტანჯვა. წვალება, ცუდ მდგომარეობაში ყოფნა არ ამცლებია. შრ. ის კი არ იცოდა, რომ საწყალი დათო თვალს აღარ ხუჭავდა, ძალი რო გაიჩქრუნებდა, იმას თავისი დაემართებოდა ხოლმე (ილ. ჰავჰავაე). შრ. რა დაგემართა, შენი ქირიმე, შენი! ხმა ამოიღე, გეთაყვანე, თორემ ლამის მე ჩემი დამემართოს (ილ. ჰავჰავაე).

მეტამეტე ვოქია ჰრ. თორმეტს შემდეგ ძიულებული ვოქი ლორისა. ხვ. რაც არ უნდა გაჩენილიყო, მეტიჩარა, არამკითხე მოამბე, უყანონო. შრ. ხანუმა — (გადაპასუბული). შენ შენთვის ევღე ემანდ. მეტამეტე ვოქი ვით ნუ ეჩოები, თორემ კატრასავით თავს ვავიქეპე (აქვს. სავარელი).

ლორის ლეწი ძძძლები აქვს, არანაკლებ ათისა ან რვისა. კარგსა და ჯიშინ ლორს 12 ძძძუცა აქვს ხოლმე. დედა ლორს ვამოზრდა შეუძლია იმდენი ვოქისა, რამდენიც ძძძუ აქვს. მავსადადე, რაცხვი ვოქებისა არ უნდა ვადასკილდეს ძძძუთა რიცხვს, ზედმეტ ვოქი სასიცოცხლო არ იქნება, თუ ბელოვნურად არ ვასაზრდოვებ.

აქედან ხატოვანად მეტამეტე ვოქისა სახელი მიეყუთვნა ადამიანს. ვინც სხვათა საქმეში იჩრება, უმაქნისია, არაფერშია გამოსადეგი, არც თავისთვის და აღარც სხვისთვის, ვინც მეტიჩარაა და ზედმეტ ბარგად სხვათა აპკილებია. ახლაც მეტიჩარას, სხვათა საქმეში ჩამრევს, ვამასხარავებისა და მისი უღირსების გამოსახარავად ეტყვიან ხოლმე: ვასწი, შენ ჩემო ცამეტო იან ოღო, რაც ვულისხმობს მეტამეტე ვოქსა და მის მეტიჩრობას.

მეტეცხლე მეზობელი ჰრ. მეზობელი, რომელც ცეცხლს იძლივა ხოლმე. ხვ. ტბილი, მოკეთე მეზობელი; მალობელი. იხ. ცეცხლზე წყლის დასხმა.

ძველათ, როცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ასანთის ხმარება, ლამე დაწოლისას ცდილობდნენ კერაზე ცეცხლის ნატარში გაეხვიათ და ისე შეენახნათ რომ მეორე დილას შინა ჰქონოდათ ვა-

საჩაღბელი ცეცხლის ნაღვერდლები და ამისათვის მეზობლისას არ დასკირებოდით გადასვლა და თხოვნა. მახლობელ მეზობელს, რომლისაგან ასეთ შემთხვევაში ცეცხლი მოჰქონდათ — მეცეცხლე მეზობელი ერქვა, და რადგან ცეცხლის მიცემა დიდ სიკეთედ ითვლებოდა, ხატოვხოდ მეცეცხლე მეზობელი — ტკბილ, მოკეთე მეზობლად იყო მიჩნეული, მით უფრო, რომ წინათ ჩვენს ხალხსა სწამდა: ცეცხლს, რომელიც მეზობელს მიჰქონდა, შვიძლებოდა თან გაჰყოლოდა ყოველი მხარეა ოჯახისა, საიდ ნაყ ეს ცეცხლი გავიდოდა. მეც იმათში.. პრ. მეც იმათთან ვიყუფე. სტვ. რაც-სხვებს დაემართება ან ერუნება, მც დაწმინდით ანუ მერგოს. შრ. ამით ვინაგეგებ. რომ „ცულდა ჯდონას ცულდა წრომა სჯობია“. ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხვირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია... მეც იმათში... (ილ. კავჯავაძე).

მეც მანდა ვარ პრ. მეც იქა ვარ, საცა შენა ხარ. სტვ. მეც იმას ვამბობ, რასაც შენ... შრ. ჰოო, სწორედ ჩვენც მანდა ვართ, — ერთხმად კვირი დიუკრეს თავიდან ესტატემ და ყახახ-ოფიერება; — რაც მართალია, მართალია: თუ არა და, მოჰყოლიან: მიწა ჩვენიაო!! (მ. მგალობლიშვილი).

მეწველა ფური პრ. ძროხა, რომელიც იწველის, რძეს იძლევა. სტვ. ადამიანი ანუ საგანი, რომლისაგან განუწყვეტელი გამოჩენა აქვსთ. მგლ. ბიძა ჩვენი მეწველ ფურად გავიხადეთ, სულ არ გვეცოდება.

მეწყალვის პრ. წყალი უნდა ვასვა. სტვ. მებრალება, მეცოდება, გული მტკიავ მისთვის, ტკივილი უნდა დავუბო. ტანჯვა შევიმსუბუქო. შრ. ანუ მე ბერი დედა-შენისა ვგრე ხედვისათვის რად არ გეწყალვი? (ვის-რამიანი). შრ. მოკვდე, თავი არ მეწყალვი, ჩემი სისხლი ჩემსა ქედსა (მ. რუსთაველი).

განუსაზღვრელი სახე ამ ზმნისა არის — წყალვა, აწმყო დრო: მეწყალვის, გეწყალვის, ეწყალვის და სხვ. წარმოებულა სიტყვა წყლისაგან, რომლის მნიშვნელობა ორგანულ არსათვის ესდენ დიდია (იხ. წყალი).

მეხეცი დაჯაყარე თავზე პრ. მეხეცი კი არა მყოფის თავზე დაჯაყარე. სტვ. წყველა: ყოველგვარი უბედურება

გადავხდეს თავზე, თვით სიკვდილი შეგემთხვეს. შრ. დაგებრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიდან აცილი! აი. მეხეცი დაჯაყარე მე ქიციანი თავზედ... (ილ. კავჯავაძე); შრ. მეხეცი დაჯაყარე მაგის (ლიფსამბეს) ბებერ თავს, ბებრობასაც რომ არ თავილობს! შეხედე, პირი რომგოდ უღდას! (ლ. არდახიანი); შრ. კარგად იცოდნენ, რომ როსტომი გონს მოვიდოდა, ძალეზად შეიშენებოდა: ვაქაქურად შეებრძოლებოდა ვასაკის და მეხს დასცემდა ყველას, ვინც კი მონაწილე აღმოჩნდებოდა ამ შეთქმულებაში (ვ. ბარნოვი).

მეხის დატეხა პრ. მეხის გაღმოვლენა ვისსამე ან რისამე თავზე. სტვ. მონსკობა, განადგურება. შემუსვრა, აკლებება, განრისხება, გაწყრომა, მოკვლა. შრ. კიდეც რისხდება, მეხს დაჯატეხა უარყოფელთა. ძალათუ იგრძნო თავის ხელში იმედიანი! (ვ. ბარნოვი).

მეხის დაცემა იხ. მეხეცი დაჯაყარე თავზე!

მზად მომკილი და გაღწეილი პრ. სხვის მიერ მომკილი და გაღწეილი პური. სტვ. მზა-მზარეულის მოუვარე, შრომისა და გარჯის მოძლე. შრ. დაჯეც და აქნატუნე თავკვივით მზად მომკილი და გაღწეილი! (დ. მაჩხაწელი).

მზა-მზარეული იხ. მზად მომკილი და გაღწეილი.

მზა სუფრა პრ. სუფრა, სადაც საქმელსასიელი ყველაფერი ალაგია. სტვ. უშრომლად, ხელისგაუნძრეულად ხაშოვნი, შეძენილი სიკეთე. შრ. ბაქარ-ბეგის ნირი შეუშალა ახალდა ხანამ. აუფურტკენა დაწმენდილ-დაბზინებულნი ბეწვი, მაგრამ ის ჯერ აბრუს არ იტეხდა და იმ იმედითა სცხოვრობდა, რომ უწინდელი მზა სუფრა დაუბრუნდებოდა (ვ. ბარნოვი).

მზაკამია პრ. ვინც მზა-მზარეულსა სქანს. სტვ. ზარმაცი, ვისაც შრომა ეზარება, ვინც სხვის ვაკეთებულსა სქანს. შრ. სწორედ, რომ მზა-კამია ბუზებსა მკვანან იმათთანა კაცუნები (დ. მაჩხაწელი).

მზე პრ. ცენტრალური ზეციური მნათობი საპლანეტო სისტემისა, საცა ჩენა ვცხოვრობთ, რომელიც წარმო-

ადგენს უზარმაზარ, გავარვარებულ, სითბო-სინათლის გამომსხივებელ ბურთს. სკვ. სიკოცხლე, სიხაოული, ბედნიერება, სინათლე. ქეშმარიტება, სიმარადე, მშვენიერება. შტრ. ვიტკვი: „მოკვედე, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ შოგხედების“ (მ. რუსთაველი); შტრ. რა ფატიმანისას შევიდა (ავთანდილ) ლომი, მზე, მოყმე წყლიანი, უბრძანა: „მოვალ, მან ყმაძან დღევე-ლარ ნახოს მზიანი“ (მ. რუსთაველი).

ქართული მეტყველება აუარეცელ მასალას შეიცავს ჩვენში ერთ დროს მზისთაყვანისცემლობის არსებობისას. „ვეფხისტყაოსანი“ განსაკუთრებით მაჩვენებელია ამისა. ტაქვი იშვიათად გამოიყენება, რომ შიგ ხოტბა არ იყოს მზისა, სხვადასხვა ეპითეტებით არ იყოს შემოკობილი ეს აღრიხდელი კერპი ჩვენის წინაპრებისა.

კვირიაკეში მქვიდედ დღე მზისათვის ჰქოდათ შეწირული და მეგრულად დღესადა ჰქვიან ამ დღეს ბუა შდლა (მზის დღე) ანუ გერმანელთა Sonntag. სასაუბრო ქართულში ხომ ყოველ ნაბიჯზე გულისხმის: ჩემმა მზემ — ჩემს სიკოცხლესა ვეფიცავ; მზე და ღაუბნელ და — მოკვდა; დღისით — მზისით — ნათლად, ცხადად; დედას შევიღზე მზე და მთვარე ამოსდის — მზისა და მთვარისებრ ძვირფასია შეიღის სიკოცხლე დედისათვის; მზია — სახელი ქალისა; მზე თამზე — მეტად ლამაზის ქალის სახელი; სოფლის სახელი წაღვერს ახლო — მზე თამზე; მზე-ქაბუკი — სახელი ვაჟისა. ან კიდევ სასიმღერო ლექსი: მზე-შინაო, მზე-გარეთა, მზე, შენ შე-მოდო; მზისმა — მზის მადლმა და სხვ.

მზე ამომავალი ჰრ. ცისკიდურიდან გამორჩეხილი მზე. სკვ. მეტად ლამაზი, ტურთა, მშვენიერი. შტრ. მისა დღეს გამოჩნდენ ბრწყინვალე, ვითა მზე ამომავალი (მ. ციციშვილი).

მზე ვაუქრა ჰრ. შეწყდა მისთვის მზის სინათლისა და სითბოს გამოყოფა. სკვ. გარდაიცვალა, მოკვდა, ამ ქვეყნად არსებობა შესწყვიტა. შტრ. ჩახლდა ბედის ვარსკვლავი, მალე მზეც გაუქრებაო (ბაჩანა).

მზე, როგორც წყარო სინათლე-სითბოსი, ურომლისოდ არ შეუძლია არსებობა არათერის ორგანულს, წყარო-მოდგენილია ქართულთა შორეულ

წინაპრების მიერ თვით სიკოცხლის განსახიერებად, სიკოცხლის სინონიმად. ამიტომ ქართული უსამინელესი წყველა — „გავიქოეს მზე“ გამო-მხატვალა. მზის გაქრობასთან, ე. ი. სითბო-სინათლის გსავნის შეწყვეტასთან ერთად, ადამიანი და სახოვადოდ ყოველი ორგანული არსის სიკოცხლის შექმნელ პირობათა შეჩერებისა და მათი ბოლოს მოღებისა. იხ. მზე.

მზე და მთვარე ამოსდის და ჩასდის (დედას შევიღე) სკვ. დედას შევიღი ძალიან უყვარს, ძვირფასად უფირს, უფინსოდ სიკოცხლე არ შეუძლია, მისი ყურებით ვერა ძრღვება. შტრ. რევენამძეს ქერიგს გაიანეს ერთადერთი თორმეტის წლის გაამაზე-ვარდებული ქალი ჰყავდა და იმაზე ამოსდიოდა და ჩასდიოდა მზე (მაჩანელი). შტრ. რაზედ გამი-უბედურე ჩემი ერთადერთი ქალი, რომელზედაც მზე და მთვარე ამოსდიოდა (ავტ. ავაგრაელი).

მზეზე გამოფენა ჰრ. მზის მოხვედრება, მზეზე გამოტანა რისანე. სკვ. დაფარულის გამოჩენა, სააშქაროზე გამოტანა, საჯაროდ ვახპიანება, ყველასათვის შეტყობინება, ყველასათვის დანახვედა, ცხადყოფა. შტრ. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსქიანავს ვინე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავის სიგრძე-სიგანითა (ილ. ჰაუკვაძე); შტრ. კი „სატრუილო საგანი“ ჰქონია, თუ ამისთანა უმცერების შურით შეუთთხნის სახეს და ქვეყნის სასაცილოდ გამოიყვანს მზეზე (ილ. ჰაუკვაძე).

მზეზე გამოყვანა იხ. მზეზე გამოფენა

მზეთუნახავი ჰრ. ვინც მზეს არ უნახავს. ვისაც მზის სინათლე არ მიჰკარებია. სკვ. მეტად მშვენიერი, თეთრი, ძალზე ლამაზი; ვინც არაფერს აკეთებს. შტრ. მამა რა გნებაედა, ბატონი შენ უნდა ყოფილიყავ? მამა გიცხონდა, შენ უღელ-მამას-კი მზე თუნახავად უჯედი! პირველად შენ რომ გნახე. ისეთი კოკა გეკიდა ზურგზე, მეგონა — წელეები ჩააწყუდებამეთქი (ფ. გაბაშვილი). შტრ. როგორ მოგეწონა სარძლო? — ჰქითხა ცოლად. ლუარსაბბა ყურები ატკეპიტრა — მზე თუნახავს რომ იტკევიან

ის არის, — მიუგო დავითმა, — მე იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავს (ილ. პავლევი).

მზეუნახავი — ქართული ზღაპრების პიროვნებაა. ერთ შემთხვევაში ხელნაწილის ასულია. ცხრაკლიტულში მოთავსებული, სადაც, მის გამდღეს გარდა. ვარაუდ ვერაინ მიგვარება და სადაც მზის სხივებიც კი ვერ შეატანს. აქედან დაერქვა ეს სახელი: მზეთუნახავი, ე. ი. ვისაც მზის სხივები არ მოხვედრია. ანუ ქართველის იდეალი ქალის სილამაზისა: თეთრი, მზის სხივებზეაუხარელი, მეტად მშვენიერი. მზე ეკონება პრ. მზე კბილებს არკობს რაშიმე. სვ. მზის სხივები მეტად ცხელია. შრ. მთის წვერზედაც რომ იკბინება (მზე), ძირს გენია დაენტებოლა... (ვ. ბარნოვი).

მზე მალა (იყო ან იღვეს) პრ. როგორც მზე მალაა, (ახე, და იქიდან გადმოგვეტერის. სვ. უტველად, დილა(ი, სრული ზეშარიტება. შრ. წავყვანენ (საღათად), შეილილამა. ასე მალე, რომ მზე მალა იღვეს; თშავლობა დაგავწყულება, ჩენმა ცხონებამ (ვაა-ფავეადა).

მზეობა პრ. მზისაღარობა. სვ. სიმშვენიერე, სინათლე, სხივთმფენარობა. შრ. მურაზაშლილმა დაჰგმო თავი, რომ მის ქმედობა წმინდა გულით ვერ მოდიოდა. მის მიჯნურობა იყო ისევ ჯანღმოფენილი, აკლდა მზეობა (ვ. ბარნოვი).

მზესავით ნათელი სვ. უდავო, ცხადი ყველასათვის, მტკიცება არა სჭირია. შრ. ჩვენში ახალი რაზმი გამოდის საასპარეზოდ და ნელ-ნელა მატულობს, — ეს ყველა თვალხილულიათვის მზესავით ნათელი ფაქტიაო, თუნცა ჩვენი ცრუ-სამსონები ჰალას-ბიძას ფიცავდნ და უნდათ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არისო (ილ. პავლევი).

მზემ აყოლა პრ. მზესთან ერთად აღგომსა ლოგინიდან. სვ. ადრე აღგომა (დღილით). სიფხიზლე, სიმარჯვე, დაუნარებლობა. შრ. ოჯახის უფროსი(კ) მზის უნდა აპყოლოდა (ნინო მლიმელი).

მზეს ეთამაშება პრ. მზესთან თამაშსა და ვართობასა ბიძავს. სვ. მზეს ეჯობრება სილამაზათა, ძალიან ლამაზია (ქალზე თქმის).

მზეს ეუბნება: შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეთი პრ. გამეცალე, შენი ადგილი ხე უნდა დავიკუროო! სვ. მეტად ლამაზია, შერცხვის მზის სილამაზე მისი სილამაზესთან!.. მკლ. მავანი ქალი სილამაზით მზეს ეჯობრება და ეუბნება: შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეთი!..

მზეს მიჰხლომა პრ. მზისგან განშორება, მზის წაოთმევა, უხეოდ დარჩენა. სვ. სიკვდილი. შრ. კაცს შუბი ეპყარ, (ცხენი დაეცე, მართოანივე მიჰხდეს მზესა (მ. რუსთველი).

მზეს პირდაპირ უმზერს პრ. მედავს მზეს პირდაპირ უტყუროს. სვ. ამაყობს, კადენილება, მოუროდებელია. შრ. ახია იპაზე! რად დაუწყო მზეს პირდაპირ მზერა (ვ. ბარნოვი).

მზეს რაღა თვალთ შეხედოსი პრ. როგორღა უნდა გათხედოს მზეს უტყუროს! სვ. თვალის ვახელისა უნდა რცხვენოდეს, იმის საქმის ჩამდენს უფრო სიკვდილი შეეფერება. შრ. მაგრამ რომ გაუნამუსოვდეს (ნენე), მზეს რაღა თვალთ და როგორღა შეხედოს! რას იტყვის ქუყანა? ხომ იმის შეილებს თავი მოეპყრებათ და ყველასაგან თითთს ჩავენებოდ გახდებიან?! (ს. მგალობლიშვილი).

მზეს შეშურდება იმის სილამაზე პრ. მზეს დახარბდება მისი სილამაზე. სვ. ძალიან ლამაზია, მზეს არ დაუვარდება სიმშვენიერით. შრ. ივანე (ვისკარს უთხრა (მეფემ): წადი, იპოვე ჩემი ქალები და თქვენ მოაკცემთ ცოლებადო. უმტროსი ისეთი ლამაზია, რომ მზეს შეშურდება იმის სილამაზე. ის შენი ცოლი იქნებაო (თ. რაზივაშვილი).

მზე ჩაწურვაზეა სვ. მზე დასავალსაა, უნდა ჩავიდეს. შრ. ჩაწურვაზე დიყო, რომ მე დათიკო დავინახე, ცხენით მინდორ-მინდორ მომაველი. უკან ერთი შეძებარი მოსდევდა (ილ. პავლევი).

მზია პრ. მზის სადარი, მზის მსგავსი. სვ. მეტად მშვენიერი, სწორუპოვარი, უებრო. შრ. გიორგის დედა, მის მეუღლე ეახლობოდენ კრებულში მეფეს, ისიც წუთითა, რომ გამოცდილი თვალთ მოველოთ იქაურობისათვის, შეშლილი ნირის შესა-

სწორებლად; მზია ქალები ვაქაცოთა შორის, ზეიმის დროს (ვ. ბარნოვი).

მზიანი დღეა (შენთვის) ჰრდ. მზე გინათებს. სჯვ. კარგ დღეში ხარ, შენი საქვე კარგად მიდის, სასიხარულო ყოფაში ხარ, მსიარულება გმართებს. შრდ. — მაშ დამილოცე ძანც ეს გამისერთა შეილი! — უთხრა პეტრემ და შეილი წინ წამოუყვამა. მღვდელმა აკურთხა ის ბავშვი და თავზე აკოცა გალიმებლმა. — შეილო! ეს დღე დაიხსომე, — უთხრა შეილსა პეტრემ, — ეს დღე შე და შენთვის მზიანი დღეა (ილ. პავკავაძე). შრდ. მიწამ გიმოკმა, ბედ-შაყო, დღენი ვერ ნახე მზიანი. (მ. მლიქაძე).

მზითვეი დაგრაჩა ჰრდ. მზითვეი არ გა-შოგუენებინოს, შენს შემდეგ დარჩენილიყოს. სჯვ. მომკვდარიყავ, სი-ცოცხლეს გამოსალმებოდე. ზგლ. აი, მზითვეი დაგრაჩა, შე უხეირო, შენა!..

მზისათვის ყურება ჰრდ. თვლების მი-პყრობა მზისაკენ, მისი ცქერა. სჯვ. სიციცხლე, ცხოვრება, არსებობა. შრდ. ვერ გავგო ზვიადს (გულცივა-ძეს), რომ იმ ქობსაც ისევე უნდოდა არსებობა, როგორც თითონ მას, რომ იმასაც უყვარდა თავისი თავი და ჰსურდა მზისთვის ეყურე-ბინა (ვ. ბარნოვი); შრდ. აბა უურე წუთის სოფლის მუხანათობას! ეურა კიდევ, თამარ დედოფალი შეე მი-წაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებ-დეს! (ილ. პავკავაძე). შრდ. გადამკიდე-ბიან, ჯამაგირისა ხტქეი რამეო. რა ჯამაგირი მინდა!.. შე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცის ამარა დღეს მზეც ვუყურებ (ილია პავკავაძე). იხ. მზეც.

მზის ამოსვლა ჰრდ. ცისკიდურზე გა-მოჩენა მზისა. სჯვ. გაბედნიერება, სასიხარულო ამბის შემთხვევა. გა-მარჯვება. შრდ. ხალხმა მაშინათვე იცნო თედე. საბრალი ხალხს ღამე გაუთენდა. მზე ამოუვიდა (ვაჟ-ფშაველა). შრდ. ვეზირმან ცნა, გაეგება: ჩემსა მზეა ამოსრული. ამას თურე მახარება დღეს ნიშანი სა-ხარული! (მ. რუსთაველი). იხ. მზეც და მთვარე ამოსდის (დედას შეილზე).

მზის გული ჰრდ. მზის შუა ნაწილი.

სჯვ. ის ადგილი, რომელიც უფრო შექცულია მზისაკენ. შრდ. გაცოვა გარეთ (დედანეცი), სადღე მზის გულზე ითქვამა მარტოა და ი ბუროლთს ატანს ძალას! (სტეტი).

მზის დაზნელება ჰრდ. მზისათვის სრ-ნათლის წართვნება, მზის დამალვა, მზეზე გადაფარება რაიმე ნეილისა-სჯვ. მოკვლა, სიციცხლის წართვნება, თავს ზბედურობის დატყდობა, სი-ციცხლეს გამოსალმება შრდ. ზედ კი წამოგვაწყუნენ ჩასაფრებულებს! სად-ლა წავგივიდოდნენ ქეწროებნი! ისარი თუ შურდლის ქეწ წამოაყ-არეს ჩვენებმა ზევიდ-ან, მზე დაუბ-ნელეს (ვ. ბარნოვი); შრდ. ასათი სულ-სა უღებდა სიტყვითა საკვირველითა. თათთა ლე დაპხოცთ, ნუ ბნენი კმთ მზესა თქვენითა ბნელითა. (მ. რუსთაველი). იხ. მზის ამოსვლა.

მზისთვის შედგომა თვალისა ჰრდ. მზი-სათვის მიწერება თვლებისა. სჯვ. ცლა მიწუნდონეის დაზატრონებინ-სა, შრდ. ვერცხელებისათვის წაპოტინე-ბა. შრდ. თავისთვის უნდა დაპტრდო-ბოდა საკუთარ იღბალს. ეპ, მზის-თვის შეე დგა თვალი ეის ძალ-ეღვა უზრუნეილყო დაბრძებვისა-გან? (ვ. ბარნოვი).

მზის მოღენა ჰრდ. მზის დანახეება. სჯვ. სინათლეზე ყოფნა. შრდ. დათვის ან გალაში ჩასვსის, აღარ მომადინეს მზეო (მ. ვიკავაძე).

მზის გაუმძლარი ჰრდ. ვისაც მზე საძ-ლომად არა ჰქონია. სჯვ. ვისაც მო-ხუტებულობამდე არ უცხოვრია. ვინც ჯერ ისევ ახალგაზრდა გარდაცვლი-ლა. შრდ. მოგვიღეს კარიული. გა-უშემაძარი მზისაო, ჯალბათა შეუწყინარი, ბატონისა და ყმისაო (მონეველი ლეისი). იხ. მზისათვის ყურება.

ჩვენს ხალხს საპართლიანად წარ-მოდგენილი ქვეს მზე. როგორც წყარო და მომნიშველი სიციცხლისა: უნზე-ოდ ვერ წარმოუდგენია არსებობა რო-განული არსისა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ მზის ცქერით გაძლომა ხალ-ხურ მეტყუილებში ნიწნაკს დიდხანს სიციცხლეს, დედანიწაზე დიდხანს ყოფნას და ამ ყოფნით გამოყფას.

მზის მონათალი ჰრდ. მკრელი იარალით მოშორებული ნაწილი მზისა. სჯვ. ტურფა, მეტად ლამაზი, თვით მშვე-

ნიერება. მზისდარი. შერ. იყენეს ქცე-
ვითა — ტურფა, სახით მუნ მზისავე
მონათალინი (ნ. ცაიძეშვილი).

მზის ნატეხი პრ. მზის მონამტრევი
ნაწილი. სვ. მეტად ლამაზი, უზო-
მოდ მშვენიერი, უებრო, სწორუპო-
ვარი. შერ. — მზეუთნახაივი? არ გა-
მიგია; არც მანსოვს, ეთქვათ. —
მტკიცედ დაუელი ოჯახია უყარებე-
ლა; ეხლაკ სადმე გადაპზაენის
ღეთის შვილს, მზის ნატეხს
(ვ. ბარნოვი).

მზის ხინათლის დანატრულება პრ.
მზის სინათლის ნახეს მონატრებუ-
ლი. სვ. ბენლში დამწყვედევა, და-
ქერა, თაეიუფლების წართმევა, სა-
ქანში ჩაგდება. შგლ. ჩემის ავკაცო-
ბისათვის მემიპურეს, საქანში დამამ-
წყვედევა და ათი წლის განმავლობაში
მზის სინათლეს დამანატრუ-
ლეს.

მზის ფიცი პრ. საფიცრად მზე რომ
აქეთ გაძადარი. სვ. ფიცი, საბუთი
სიმართლისა. შერ. მაგრამ, ამ შენმა
უხეირო ლუარსაბმა ისე გაგინადეს
ფიციანი იმერული, რომ... რომ...
სულ ჩემი მზე ფიციცებინე (ილ.
პაპაძე); შერ. მეთემ ბოძანა: არ
გიწყრები, გმადლობ, ვფიცივე
შენა მზესო (საკვი); შერ. ჭფი-
ცა მზე თინათინისა. მის მზისა მო-
წუნარისა (მ. რუბთაველი).

ძველათ მნათობთაყვანისმცემლო-
ბის (ასტროლატირის) დროს, მთავარი
ღმერთი და. მამასადამე, საფიცარი —
ზზე იყო. იქიდანაა დარჩენილი: ჩემმა
ზზემ. ჩემს ძხესა ფფიცავე, მზისმა (მზის
ნაღლმა) და სავ. იხ. მზე.

მზის ქვეშ მყოფი პრ. ვისაც კი ზე-
ვიდან მზე დასკვერის სვ. დედა-
მიწაზე მცხოვრები ხალხი. შერ. რას
ამბობ. მგელო, ალალ-მართალს რა-
ზედ მაწვალებ. ჩემზედ ალალი მზის
ქვეშ ვერაფერს გაივლის (თ. რაზიკა-
შვილი).

მზის შვილი პრ. ვასაც მშობელად მზე
ჭყავს. სვ. ლამაზი, მეტად მშვენიე-
რი. შერ. ქალი კი არა, მზის შვი-
ლი უნდა იყოს იმის მყოფი, ზე-
ციური სული ხორცსხმული (ვ. ბარ-
ნოვი).

მზის ჩახვენება იხ. მზის დაბნე-
ლება.

მზის ახვლა პრ. საღამოს ცისკი-

ღურს ამოფარება მზისა. სვ. საში-
ნელი უბედურება, არსებობის შეწყ-
ვეტა, სიკვდილი. შერ. ერთი დრო
მზეც დავიღებდა, რომ ჩაგვივა
მზეც (გ. ნათავე).

მთაბარობა ცხოვრებისა პრ. მთად და
ბაოდ სიარული ცხოვრებისა. სვ. ავი
და კარგი, ცვალებადობა. ვან-
საცდელი. შერ. და დიდი ხნიდან
დაღუმებული ჩვილი დაჩაგრულ
ადამიანობისა, მთაბარობა უს-
წორმასწორო ცხოვრებისა არ
გაგახანა (ძველს მწერალს) თვისის
დაკვირვების გულისთქვის საგანდა
და ყოველივე ეს ცალკე თვისის კალ-
მის წვერზე არ აეგო (ილ. პაპაძე).

მთა და ბარი პრ. დედამიწის მთიანი
და ვაყ ადგილები სვ. რაც ადგი-
ლებია ვისსამე მფლობელობაში, რო-
გორც ვაყე, ისე მთიანი; მთელი ქვე-
ყანა. შერ. არჩიეს: მიესცეთ. იფერეთს
რაც იყოს, მთა და ბარია“ (ფი-
შანგი); შერ. შეიღწეულა ტყე
იარა; მთა და ბარი შეაჯერა
(პ. უშაკაშვილი).

მთა და ბარი ვასწორებულია პრ. მთა
და ბარი გატოლებულია, მალლი და
დაბალი ადგილები აღარ არის, ყვე-
ლა ერთის სიმაღლისაა. სვ. ყველა-
ნი გათანასწორდნენ, უფროს-უმც-
როსობა აღარ არის. შერ. მალლით
ცეცხლის წვიმა მოდის. დაბლა დგე-
ბა სისხლის ღვარი. ცა და მიწა გა-
დაბრუნდა, გაგვიცწორდა მთა
და ბარი! (საკვი) შერ. ლაპარაკობდ-
ნენ. კანონები დაიბეჭდაო, რომ ვე-
ლარც სცემსო, ველარც ხამუსს შეუტ-
რცხენსო; ერთის სიტყვითა. მთა და
ბარი გასწორდაო (ს. მაგლობლი-
შვილი).

მთას იქით გადაცილება პრ. მთის მე-
ორე მხარეს მოქცევა რისამე. სვ. შორს
მოფენა რამე ამზისა, ყველასა-
თვის უწყება ცნობისა რისამე. შერ.
ირაკლი ხანის შვილობა ძალიან სწამთ.
აქა. ჩვენ კი იმისი გვარი მთას იქით
გადავაცილეთ დაამთარაჯით!
(გრ. ორბელიანი).

მთაწმინდე სიასავით პრ. მთაწმინ-
დაში მყოფ სიას მსგავსად. სვ. ლარი-
ბი, უქეუო, უხეირო, სულელი. შერ.
სა(ცვალ) პერანგი არა გქონდა, ეხლა
ღლეთინობით გილაგია... შენი ძველი
სურთუქ-შარვალი შენახული მაქვს, გა-
მოვიტან და ქვეყანას ვაჩვენებ, მთა-

წმინდელ სიასავით რომ დადოდი ხოლმე (აჰს. ცაგარელი). სია განხორციელებული სახელია უხეირო, გონებანაკლები ადამიანისა.

მთვარე პრ. თანამგზავრი პლანეტა დედამიწისა, რომლის გარშემო იგი ტრიალებს და რომელსაც ლამ-ლამობით ანათებს მზის ანარეკლი სხივებით. სკვ. ლამაზი, მშვენიერი, საყვარელი, სათაყვანო, საღმრთებელი. შპრ. ჩვენ გავგზავნეთ წინავენი, რომელთაც კვლა უვლია, მოგვინახონ იგი მთვარე (ხესტან-დარეჯანი). ვისთვისაჰქირი გვაკლია (შ. რუსთაველი). შპრ. ვისი მზე ხარ, ვისი მთვარე, ვის უბეშო გძინავს ღამე (ხალაურო).

მიწეზიანა ხატია პრ. ისეთს ხატსა ჰგავს (კაცი), რომელიც ხან რას განიგონებს თავის წყრომის მიზეზად და ხან რას. სკვ. ქირვეული, ახირებული, მიზეზიანი, ჟინიანი, ჯიუტი.

ჩვენი ხალხის ძველი რწმენით, ავადყოფნის მიზეზი—ღვთაების თუ ამა თუ იმ წმიდანის ხატი იყო. ამ ხატისათვის მის მკვდრებელს ადამიანს უნდა პატივი ეცა, შესაწირავი მიერთშია ამ პატივისცემის მიზნად—ეს საზოგადო, ხოლო ავადყოფნის დროს—განსაკუთრებით უკანასკნელ შემთხვევაში, ხანაათის შესაწირავის თვისების თუ რაოდენობის (ცხვარი, დეკეული, ფულადი) განმსაზღვრელი იყო სოფლის მკითხავი, რომელსაც მიმართავდა ხოლმე ავადყოფის პატრონი.

ბუნებრივია, რომ ხატი, რომელსაც სთხოვდნენ ავადყოფის განკურნებას და ამისათვის მასთან შესაწირავი ნიჰქონდათ, შესაწირავს მიიღებდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ავადყოფის ვერა შევლიდა, ვითომც შესაწირავი ეცოტრავა, დაიწუნაო, და შემწირველნი შესაწირავს უმატებდნენ, მაგრამ ხატი მაინც თავის „მეოხებას არ იმეტებდა“ მთხოველისათვის, „მოწყალე თვალთ არ გადმოხედავდა“ თავისს მშობსავს, „მიზეზობდა“ და ამ მის მიზეზიანობისა ვერც ასავალი გავგოთ და ვერც დასავალი. ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ: ეს ხატი მიზეზიანიაო, ე. ი. ქირვეული, არ ვიცით, რითი მოვიგოთ მისი გული, რითი დაეკმაყოფილოთო.

ხატოვანად მიზეზიანი ხატის სახელი დეარქმის ადამიანს, როცა ჯიუტობს, მიზეზიანობს და კაცმა არ იცის, როგორ აამოს, როგორ და რითი მოიგოს მისი გული.

მითითება იხ. თითით საჩვენებელი.

მითომც ზღვაში ქვა გადაუვლია პრ. თითქო ზღვაში ქვა გადაუსროლია. სკვ. არ გაიმიანდება რამე ანბავე, გარეშე ვერაინ შეიტყობს, საიღუმლოება არ გამტლავდებდა, ვერაინ დაინახავს. შპრ. ის საიღუმლოება. რომელიცა მოეწერა ჩვენთვის, რასაკვირველია. ჩვენშივე დარჩება ისე, მითომც ზღვაში ქვა გადაუვლიაო (გრ. ორბელიანი).

მინამ პურს ნუ ჰსქამა პრ. მანამდის (სანამ რამე საქმე არ იქნება) პური ნუ გეკნება საქმელად. სკვ. მუქარა: საწადელს ვერ ეწვევი, სტრეილი არ აგისრულდება. შპრ. ბეჭერიც კი ეტროვალდობდნენ გლეხაკები, ნაგრამ დათოს შორს ეჭირა. შორს დაიჭირე, შენის თავის მზემ, სწორეთ დიანბიგი შეირთამს შენს გოგოსა! მინამ პურს ნუ სქამა. ამბობდნენ ხოლმე გაკოტბულნი და გულნატკენი საქროები (ილ. კავთავაძე).

მინდორს აზნელებს პრ. მინდორს გადაქარება და დაუზნელებია. სკვ. (საქონელი) ბეჭია, მრავალია. შპრ. ღმერთმა მოგვეთ, თქვენი ცხვარი და ძროხა მინდორს აზნელებს (დ. ზახანელი) შპრ. მოდის მაყარი და მი აზნელებენ გზასა (ჩუგაძე).

მირბილება პრ. ძვალის რბილად გადაქცევა. სკვ. ძალიან ცემა, უზომოდ გალახეა. შპრ. შევიდა კაცი სახლში, თან ერთი მოქნილი სახრე შეტანა, მიარბილა ცოლი, ამოჰქრა ქიტლაყი და გაავლო (თ. რახიან-შელი).

მის ბელს ძაღლიც არ დაჰყევდა პრ. ძალიან ვერ გაუბედავს მის ბელს შეჰყელო. სკვ. ბედნიერია, კარგათ არის მისი საქმე. შპრ. შეჰყარა ისეთ თავისი სახელწიფო, მარტო კამასმაზე აღარ ფიქრობდა, დაუღეო გული სახელწიფო საქმეებს და მის ბელს ძაღლიც აღარ დაჰყეფდა... (აკაცი) შპრ. ერთი ბეწო წინა-

სწარი ხედავს ღმერთს ებოძებინა, ჩვენს ზედს ძალი არ დაჰყუფდა, სამუდამოდ ქონებრივად დმოკიდებულ მღვთმარობას და ვიმეციდრებდით (ნადვიწყებული მუროლი).

(ზხად იყენენ) მისთვის სანთლად ანთებულ იყვნენ პრ. მისთვის სანთელივით დანწარმდნენ. სვ. თავი შეიწირათ მისთვის, თავი ენაცვალე ბინათ, ცეცხლი მოჰკიდებოდათ. შრ. აზნაზად ხალხი ისეთს გუნებაზე იყო მოსული, რომ უვლანი მზად იყვნენ ახთებულ იყვნენ სანთლად და დამწვარი იყვნენ მუცელას თვალწინ, — ისეთ ნაირად მოეწონათ მისი კაცთმოყვარეობა (ვაფთხაურ).

მისთვის (ეს) ჩირი და ჩამიჩია პრ. იმას ეს (ჩამე) უბრალო ჩირად და ჩამიჩად უჩანს. სვ. არაფრად მიაჩნია, აღვილია, დარდი არა აქვს.

მისი გვარდები დათვლება პრ. მისი ნებების დათვლა შეიძლება. სვ. ძალიან განზდარია, მკლეა.

მისი დღენი დათვლილია პრ. მისი დღეები (სიციოცხლისა) აღრიცხულია, გზო. ჩგარიშებულა, არამდენი დღე დარჩენია სასიციოცხოლ. სვ. დიდის ხნის სიციოცხლე არა აქვს, სულ მალე მოკიდება, დიდხანს ვერ იარსებებს. შრ. არამც თუ იეროდვერ უძლებდა ჩვენი კაცი ვაქრობას. ამბანაგობებმაც ვერ შესძლეს სოედის რიგზე წაყვანა; ან დაიკეტნენ და დღე აქვთ დათვლილი (ვ. ბარნოვი); შრ. თვითონ საცოდავ დღედაკაცსაც (ბაბალეს) გულმა შეუტყო, რომ დღენი მისი დათვლილია (ილ. კავკაზაძე).

მისი მუცლის გვრემა პრ. მისი მუცლის ტკივილი. სვ. მისი გაკვირება, მისი სადარდებელი, მისი თავში საცემი. შგლ. ჩემი მუცლის გვრემა — უფულობაა.

მის ნათქვამს წყალად ვერ გაატანს პრ. მის ნათქვამში წყალად ვერ გავა. სვ. მტკიცე სიტყვის ბატრონია, პირიანია, პატიოსანია.

მისი სანთელი არ გაჰქრეს პრ. მისი სანთელი მუდამ ნთებულიყოს. სვ. მისი სახელი და გვარი მუდამ იყოს, სიყდილის შენდვლე შეილება (ან შეილი) დარჩეს, გვარის განმგრძო-

ბი. შრ. მე შეილი უნდა გავუზარდო, რომ მისი სანთელი არ გაჰქრეს ქვეყანაზე, რომ მის ერდოში ბოლი არ შესწყდეს (ს. მგალობლიშვილი).

მისი სიტყვა ძირს არ დაიშვებო პრ. რასაც ის იტყვის, ძირს არ უნდა დაავდოს კაცმა. სვ. ქვეყანური ლაპარაკი იცის, მისი ხათქვამის მოუსმენლობა არ ეგების, მისი ნათქვამი უნდა ასრულდეს, მის ნათქვამს უყურადღებოდ ვერ დასტოვებს კაცი. შრ. არც იყო ხოლმე ისეთი შემსხვევა, რომ მისი (თავადის) სიტყვა ძირს დაეშვათ; ან ამ სიტყვა-დარიგებას ჰქონოდა ისეთი გაუღენა და ბოლო, როგორც სასურველი იყო თავადისათვის (მღაზნია).

მისი სული ჩემს ხელშია პრ. მისი სული ხელში მივირავს, არსად გავუწევებ. სვ. საცხებით ჩემზეა დამოკიდებული. რასაც მინდა, იმას ვუხამ. შრ. მაგრამ უნმეკროსი ნხთალსა ჰვანდა, თუმცა პლურტობა ამასაც გამოუვიდოდა ხელადამ. ისე სულგანაბული იყო, ისეთი დაშინებული, თითქო ამისი სული უფროსის ხელში არისო (ილ. კავკაზაძე).

ჩვენი ხალხის ძველებური წარმოდგენით, ჩვენს ორგანიზმში მოთავსებულია სული, უხილავი და ხელშეუხებელი, რომელზედაც დამოკიდებულია სიციოცხლე კაცისა, რომელიც თვით განსახიერებდა სიციოცხლისა. სხეულიდან ამ სულის ამოსვლასთან ერთად თავდება სიციოცხლე ადამიანისა. ხოლო როცა ვინმე ჩვენს ძალაზე დამოკიდებული ვაბობთ ხოლმე: იმისი სული, ჩ. ი. მთავარი პირობა მისი ყოფნისა. ჩვენს ხელშია, ჩვენს განკარგულებამაო, როცა გვინდა, მაშინ წაყართმეგთ, დაეაშორებთ სხეულსაო.

მისწრებაა პრ. გაკვირების დროს კაცს მიაწრება და უშველის. სვ. კაცის შველა და დახმარება იცის დროზე. შრ. ქვრივ-ობლებისა და ხელმოკლე ოჯახებისათვის კი სწორედ მისწრება იყო (თებერა) და სანთლით საძებნელი (ვ. ბარნოვი).

მისხის მისხამდე ჩასდია პრ. მეტად შორედ ნათესავამდე. სვ. მეტად შორედ. მეტად დიდის ხნიდან. შრ. უკანასკნელი ვინმე ხომ არა ვაო.

რომ ეკლესიაში უკანა კედელს ავე-
ტუზო; ჩემი ალაგი მისიის მის-
ხი დამ გადმოსულა ჩემზე, ბებია
ჩემის ლალუას ნემკვიდრობაა (ყ-
ვაბაშვილი). შერ. ვსთქვა უფალო მე-
გვარტომობა არშორად მისხი-მ-
სხისა (დ. გუზაბიშვილი).

მისხლით აწონა პრ. შეტყობა, რამ-
დენი მისხლის წონაა. სკვ. ზედმიწეფე-
ხით, ზუსტად შეტყობა რაოდენო-
ბისა. შერ. რას მიბრძანებ, ეკარე-
რინეჯან, თავით ფეხამდის მისხ-
ლით აყვებარ აწონილი, თქვენგან მკვე-
ხარობა სრულიად შეუძლებელია
(დ. არდახიანი).

ნისხალი არაბული სიტყვაა, აღნი-
შნავს საგნის სიმძიმის წონას, რო-
მელიც უდრის 4 დანგსა და 27 კე-
რატს, გინა 108 კერის მარცვლის
წონას.

მისხლობით გაცნობა (ვისიმე ან რისა-
ჩე) პრ. მისხლობით აწონით გაცნობა.
სკვ. ახლო გაცნობა. დაწერილებით
შეტყობა ვისიმე ან რისამე თვისებისა,
როგორც დადებითისა, ისე უა-წყ-
ფითისა. შერ. თვითონ (ოქრომ) გა.
სწია დანიმდებელმა, რომ მისს
ხვედრს მამულს ევლარაგინ გამოაპა-
რებდა, ჯადგან მისხლობით გა-
ეცნო, შეეგნო, თუ სად რა ჰქონდა.
(ან. ერისთავი-მოშტარია). **მხ. მისხლით**
აწონა.

მისხალი წონაში ერთ უმცირეს ერთე-
ულად ითვლება და გამოხატაგს უკნი-
ნის ოდნობის საგნისას. შორხელ თქმა-
ში მისხალი გვიჩვენებს მოქმედების
(გაცნობის) დაწერალებითობას, გა-
ცნობას ზედმიწეგნლიად, წერილად. მე-
ტის-მეტად დაახლოებით, ისე, რომ
კატს უწნობი და გაუფებარი არაფერი
რჩებოდეს და ყოველმხარევი წარბოდ-
გენა ჰქონდეს ამა თუ იმ პიროვნებასა
თუ საგანზე.

მიფუჩეჩება პრ. რაზედმე ზევიდან
ფუჩეჩის მიყრა. სკვ. რამე კითხვაზე
პირდაპირი, სათანადო პასუხის მიუ-
ცემლობა, სისწორით საქმის ვითა-
რების გამომგლავნების მაგიერ, ტყუ-
ილი სიტყვებით ახსნა-განმარტება
მისი. **იხ. მიშაბათება.**

მიქარვა პრ. ქარის მიდენა ვისკენმე.
სკვ. ტყუილის თქმა, ლაყობა. შერ.
ქალო ელისაბედ, ის ყმაწვილი რას
მიქქარავს?! ისე ლაპარაკობს,
თითქოს წერას აუტანიაო (ვ. ბარნოვი).
მიქია-მოქიაობა პრ. ერთმანეთის ქე-

ბა. სკვ. პირში ქება, ლაქუცი, მოა-
ლერსება.

მიშაბათება პრ. შაბათს საღამოს ლო-
ცვისათვის ზარების ჩამოოცკამდე
საჩქაროდ მოსწრაფება რისამე დამთა-
ერებისა. სკვ. მიფუჩეჩება, რაიმე სა-
ქმის დაუძთაერებლობა, სიჩქარით
და დასაწუნად გაკეთება. შგლ.
იჩქარა, იჩქარა და საქმე მიაშა-
ბათა, ნახევარი გაუქეთებელი და-
რჩა.

წინათ, შაბათობით კვირის სხვა
დღეებზე ადრე ათავებდნენ ყოველგვარ
მუშაობას. ეკლესიაში საღამოს ზარის
ჩამორეცვის შემდეგ დრო კვირამალად
ანუ კვირის ნაწილად ითვლებოდა და
ამ დროს ფიზიკური მუშაობა არ იგე-
ბოდა. ამიტომ გლეხი, თუ ყანაში
მუშაობდა. ტილოზდა შაბათს ადრე
დაესრულებინა ს.მუშაო, კვირამალად
არ მოეწრო. ამ ფაქტ-ფუქსა და სი-
ჩქარეში ნამუშევარი, ძალაუფლებრათ,
დაუძთაერებელი გამოუვიდოდა. გულ-
დაძმით და აჩქარებლივ ნაკეთებს
ძალზე ჩამორჩებოდა. შაბათის, ნაჩქარე-
ვად ნაკეთები — მიშაბათებული
ხდებოდა.

მიჩრდილებული — იხ. ჩრდილში მი-
ყენებული.

მიჩულული პრ. ჩულში, ფალასში შე-
ხვეული. სკვ. კული სანახავი, ღარი-
ბი, გაქირებული, უპატრონო. შერ.
სილამაზე მაღია, თუ რამე სხვა?
რად უნდა ვიყო მიჩულული და
სხვები კი ფართაშობდნენ? (ვ. ბარ-
ნოვი).

ჩული გვექვია ცოდ ფიჩვისათვის, რომ-
ლითაც ცხენსა თუ საქონელს დაეპურება
ბოლოე სიცივეში.

მიცემა ბლუჯეულად პრ. ორი გავსე-
ბული ხელით მიცემა. სკვ. გულუხება
მიცემა, ბლომად გამეცება რისამე.
შერ. ძალუე, გთხოვ გამომიგზავნო
წყვილი ეპოლმეტები, — ან თხოვნეტი
ანუ თერამეტი მანეთი ფასი და ბომ
იციო. ბლუჯეულად მოგცემთ
(ფ. ობზელიანი).

ქველათ საწყაოდ იხმარებოდა ადა-
მიანის სამოსელის კალთა. ცალი ხელი
და ორივე ხელი, ერთმანეთს მიკრული
ანუ ბლუჯა. იგივე ქეშვი, ნუქა.

მიძვრა-მოძვრა პრ. მიწვე მოწვევა,
ამოძრავება, ადგილის გამოცვლენი-
ნება, ამოქმედება, ხელის გამოღები-
ნება. შერ. ეს ათასნაირი წარღები
არ გაუქვთა (ავადმყოფს). ეს ათას-
ნაირ ბალახებში არ ჩააწვინა, ეს

სოფლები არ მისძრა-მოსძრა კითხვითა და ექიმების ძებნითა, ეს ვის არ დაადებინა ხელი, ვის არ ეხვეწა და ემუდარა ჩოქვითა (ილ. ჰაე-ჰაუაჟი).

მიწა გაირღვა და თან ჩაიტანა პრე. მიწამ პირო უყო და შიგ მოიქცია (ვინმე ან რამე). სჭვ. მოკვდა. და-იღუპა, დაიკარგა. შერ. სახტად და-მონალი ქალი უძწეოდ-ლა იხედებოდა ირგვლივ, მას-ლა ნატრობდა: გა-რღვეულიყო მიწა და თან ჩა-ეტანა იგი (ვ. ბარნოვი).

მიწა გრილია პრე. მიწა ცოცხალი, სითბო არა აქვს. სჭვ. სიკვდილის შემდეგ მიცვალებულის პატრონს მისი სიყვარული ავიწყდება. შერ. ნუ იტყვი, ჩემო კეთილო! მიწა გრილია. ნელ-ნელა გაგრილდება გული მგლოვ-რისა წასულს თან არაიენ გაჰყოლია. (ვ. ბარნოვი); შერ. გაიარა პირველი ხნის მიწარე ნალექით სავსე გრილობაში. მიწა გრილიაო, ნათქვამია და ძმებმაც ქვრივ რძალს ტრიტკოს დანაფლავების ხარჯი წარუდგინეს (ვგ. ყარაშაიხი).

მიწა დავეყაროს იხ. მიწადასაყ-რელი.

მიწადასაყრელი პრე. რასაც ან ვისაც მიწა უნდა დავეყაროს. სჭვ. სასიკე-დილი. ცოცხლად არდასარჩენი. მგლ. გაჩემდი, შე მიწადასაყრელი!.. იგულისხნება საფლავში ჩაშვება მიცვალებულისა, რომელსაც ზევიდან მიწა დაეყრება და დაიფლება. და ამი-ტოპაცა, რომ „მიწადასაყრელი“ ან „მიწა დავეყაროს“ გულისხმობს სიყვ-რულს იმისას, ვისაც ამ სიტყვებით მიჰნართაიენ გაბრაზებისა და გაბორო-ტების ეამს. ბუნებრივია, რომ ორივე სიტყვა დიდ და საშინელ წყევლად ითვლებოდა ქართულებში.

მიწად ღამხარა გაჭირვებამ პრე. მიწის პირამდე მოვიკავევ გაჭირებისაგან. სჭვ. ძალიან მიქირს, უკიდურეს დღეში ვარ.

მიწამ გიყოს პირი პრე. მიწამ პირი და-ლოს შენს შესაძენლად. სჭვ. წყალობა: მოკვდი, მიწაში დასამარხი გახდი. შერ. აი, შენ კი გიყოს მიწამ პირი, შე გიყო მანასე, შენ! ქერი რომ თავზე გენგრევა, ის გაბრაზიან, შე მიწის ლუქმა, შენა, თუ ორიოდ ძნა რომ გიომბდება, ისა? (ცხობიტი);

შერ. მახარეს ამბავი ვერაფერი გა-იგეს; არ იცოდნენ, კიდევ ცოცხალი იყო. თუ მიწამ დაუყო პირი (ვ. ბარნოვი).

მიწამ კარი გაულღო იხ. მიწამ გიყოს პირი.

მიწამ პირი ჰქნა და ჩაყლაპა, თუ მზემ მალლა აიტაცა პრე. მიწამ ჩა-ნთქა თუ მზემ მალლა ცაში აიტაცა. სჭვ. უკვალოდ დაიკარგა ვინმე ან რამე, მნახველი მისი არაიენაა. მგლ. მიწამ პირი ჰქნა და ჩაყლაპა, თუ მზემ მალლა აიტაცა ჩვენი ცხენი, იმის კვალს ვერსად მივაგე-ნით.

მიწამ ჩაიკრა გულში პრე. მიწამ მი-იხურტა გულმკერდზე. სჭვ. დაიმარხა მიწაში, მოკვდა. შერ. ცხოვრებისა-გან უარყოფილს. ბუნებისაგან და-ჩაგრულს და განწირულს სიკვდილი მიგიღებს სიყვარულით, მიწა ჩა-გიკრავს გულში, როგორც სატრფოს ნანატრს! - მკათიოდ და-ესახა ქალს (ვ. ბარნოვი).

მიწას ამძიმებს პრე. დედამიწას სიმძი-მის მსგავსად აწეება ზევიდან. სჭვ. ღირსი არ არის, ცოცხალი დალი-ოდეს, მისი ადგილი მიწის ზედა-პირზე კი არა, შიგ მიწაშია. მგლ. მაგისთანა უხვირო ღმერთს არ გა-უჩენია, რა საჭიროა, ტუუილად ამ-ძიმებს მიწას, ათასწილ სჯობია ცოცხალი აღარ იყოს თავისი და სხვისი ურგები.

მიწას არ ამოშგლია ვერ პრე. მიწიდან თავი არ ამოუყვია. სჭვ. პატარაა, შეუმჩნეველია. შერ. ჯერ მიწას არ ამოშგლია, ის არგასაშვები, და რეებსა შერება, რომ, უწინ დღე გაუქრეს, გაეაქაცდეს, მაშინ ხომ ქვეყანას ამოგდებს!.. (მელანია). იხ. მიწას არ ამოორებია.

მიწას გაკვრა პრე. მიწაზე გაწოლა. სჭვ. შეშინება, დამალვის (და, მორ-ჩილება. შერ. დიდი რამ არის მეფის მზახლობა. მაშინ ჩემ ბედს ძალდი არ დაჰყუფს! ჩემ მტერთა გუნდი მიწას გაეკვრის, სულს განა-ბაეს. გავშიმე მე მაშინ არწივისებრ ფრთებმა, გავინავარდებ და დავიმო-ნებ მთას აჯანყებულსა!.. (მ. გაბა-შვილი).

მიწას ემძიმებოდა პრე. დედამიწას მე-ტად ღილი სიმძიმე რამ აწვა ზევი-

დან. სკვ. ზედ დიდძალი ხალხი ან საქონელი იყო. შერ. ოდეს სცნეს ჰაბუთა ნადირობად გახვლა მეფისა, ეგოგონე შეიყარა ჯარი, მიწასა ემძიმებოდა (ორბელანი საბ).

მიწასთან გახწორება ჰრდ. მიწის პირად გართხმა. სკვ. ძლევა, მორევნა მოწინააღმდეგისა, მისი დამარცხება, მოსპობა. შერ. ხალხმა უშეველად უნდა ალაგმოს ეს ბნელი ძალები, მან მიწასთან უნდა გაასწოროს ისინი (სუაღინი, თხზულებანი, ტ. I, 182).

მიწასთან გახწორებული ჰრდ. მიწის პირად გართხმული. სკვ. დამარჯული, გარტაკებული, ყველაფერწართმეული, ურათროდ დარტყვებული; მოსპობილი, გაქრობილი, აღგვილი; შერტყენილი. შერ. — შენი პირიმე, კაჟო, ნუ იწყენ ბებერ, სიბერისაგან ქრთვამოლაყებულ, მიწასთან გასწორებულ დათოს სიტყვასა!.. (ილ. ჰაჰჰაჰაჰ); შერ. მოვა დრო და ყელა ეს საზღაურად გუხვდება, უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწალბებულ გლეხკაცობას (ილ. ჰაჰჰაჰაჰ). იხ. მიწასთან გასწორება.

მიწასთან პირის გავრთება ჰრდ. პირისა და მიწის შეერთება. სკვ. პირით მიწის კოცნა. შერ. პირი მიწას გააერთეს, მათ თაყვანი უსამოცნეს (ნ. ციციშვილი).

მიწას მიბარება ჰრდ. მიწისთვის გადაცემა შესანახავად. სკვ. მიცვალბულის დასაფლავება, სიკვდილი. შერ. მესამე დღეს ქრისტიანულის წესით შივბარეთ მიწასა იმისი ნათელი გვამი (ილ. ჰაჰჰაჰაჰ).

მიწაჩაუშვებელი ჰრდ. გათხრილ სამარეში არჩასაშვები. სკვ. წყუელი, უღირსი დამარხვისა, არაკაცია, ავაზაკი. შერ. ევნაცეალე იმასა (ჩემს შვილსა), რომ თავის საქმე კარგად წაიყვანა! ჩემი ავეტიკა სხვისებრ მიწაჩაუშვებელი არ არის!

ყველა კი არ არის, ჩვენნი ხალხის რწმენით, ღირსი დამარხვისა, მიწისათვის მიბარებისა!.. არის ადამიანი, რომელიც თავის მსგავსთაგან გამოირჩევა თავისი სიმბოროტით, აეკაცობით, და მისმა ლემმა, მის სიკვდილს შემდეგ, მიწა არ უნდა გააბინებუროს, არამედ უნდა გახდეს ძაღლისა და ნადირის საძიძველი, ანუ, თანახმად ამისა-

თვის მოგონილ სიტყვისა — მიწაჩაუშვებელი!..

მიწიდან აფხვრა იხ. დედამიწის ზურგიდან აღგვა.

მიწის აკვნება ჰრდ. აკვნად გადაქცევა მიწისა. სკვ. სიკვდილი, მიწაში დამარხება, მიწად ქცევა. შერ. რაგვარა ექნა პატრონობა. რამც გიფერე რამც გიგვანე? შენ მართკა გიგონებდე. მემცა მიწა ვიაკვენე. (ე. რუსთაველი); შერ. მე სააარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვენე (ნ. რუსთაველი).

მიწის გასკდომა ჰრდ. მიწის მიერ პირის დაყოფა რისამე ან ვისიმე შიგ ჩასაფარდნად. სკვ. გაუბედურება, მოკვდომა, სიკოცხლის მოსპობა შერ. თამროს ამ დროს მიწა რო გასქდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩიენა; დაასხა ცივმა ოფლმა, თვალთ სრულიად დაუბნელდა, ჩაჯდა დერეფენში ბალახის კონასთან (ს. ფალობოიშვილი).

მიწის დაყრა (მიცვალბულისათვის) ჰრდ. მიცვალბულის სხეულის ზევიდან მიწით დაფარვა. სკვ. შველა, პატრონობა, დახმარება, დღის სიკეთის ქმნა. შერ. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!.. ამ ხელემა გაგზარდა და ამ ხელემავე უნდა მიწა მოგაყაროს! (ილ. ჰაჰჰაჰაჰ)

ჩვენებური მიცვალბულის დასაფლავების წესების თანახმად, მიცვალბული უშეველად საფლავში უნდა იქმნეს ჩასვენებული და ზევიდანაც მიწა ჰქონდეს დაყრილი, რომ ნადირს მისი საფლავიდან ამოღება და შექმნა არ შეეძლოს. მიცვალბულისათვის დასაფლავება და მიწის მიყრა დამსაფლავებლის მბრძოლედ დიდ სიკეთედ ითვლება და ამიტომაცა აქვს ჩვენს ხალხს, სხვათა შორის, ასეთი ფორმულა ხეყნათხონისა: მიწა დამაყარე!..

მიწის ზურგს კანი ავყარე ჰრდ. მიწის ზურგს კანი მოვამორე, მიწის ზურგი დავეციეთ. სკვ. ბუერი ვიარე.

მიწის ლოკვა ჰრდ. ენის მოსმა მიწაზე. სკვ. თავის დამცირება, უღირსება. ადამიანის სახელის უტარებლობა, ქვემოწარმის დამსგავსება და მასავით მიწაზე გართხმა და პირის მიკარება მიწისათვის. შერ. განა ყოველივე მოვალეობა თავის ქვეყნის წინაშე არ უნდა დაიფიცოს და ქვემძრომ-

სავით მარტო მიწა არ უნდა ჰლოკოს (ილ ჰეკაჰე); შერ. თავის თავს დაუწყო ლაპარაკი: „წადი, პეპო, მიწა ალოკე, ხალხს შეხები დაულოკე. იმათ ფეხის მტვერი ალოკე!“ (აქვს. ცავაოლი).

მიწის ლუქმა ჰრე. მიწის შესაქმელი. სვ. სასიკვდილი. მიწაში დასაძარხად გასაძლომი. შერ. აი, შენ კი გიყოს მიწამ პირი, შე გიყო მანსე, შენა! კერი რომ თავზე გენგრევა, ის გიხარინა. შე მიწის ლუქმა, შენა, თუ ოროოდ ძნა რომ გიობდება, ისა?! (სკიტი).

მიწის მგელი ჰრე. მიწიდან ამოვარდნილი მგელი. სვ. მოულოდნელად, უებად. ერთბაშად მოვლენილი. შერ. ანასობაში თამრო წყაროზე ჩასულნი და ჯამებს რეცხდა, იმისი პატარა ძმა პანტას ქვეშ ტრიალებდა, კეჟანი ჯობი ემოვნა, იწვედა მავალს, ტრეტი გვეშებოდა და ხელახლავ მიჰყოფდა დაწვეას. ცეკო მიწის მგელსავით გაუჩნდა თამროს, მივიდა და წყაროს პირს ჩამოუჯდა (ს. მგალობლაშვილი).

ჩვეულებრივ, მიწის ზედაპირზე მავალ, ტყის მგელს გარდა, ჩვენი ხალხის რწმენით, არსებობს მეორენაირი მგელი, ზოოლოგიისათვის უცნობი, რომელიც ერთავე მიწაში ცხოვრობს, მის ზედაპირზე ჩვეულებრივ აღარ ამოღის. როცა ეს მგელი აღამიანს ვისმე ან საქონელს თვალს მოჰკრავს, ერთბაშად გამოხტება, მოიტაცებს და მიწაშივე ჩაიტანს, ასე რომ მიწაზე კვალს არაფერსა სტოვებს. ამიტომ როცა უკვლად დაეჯარებათ საქონელი, იძახიან: რა მიწის მგელი გამოუხტია! ამასვე იტყვიან კაცზე, როცა სრულიად მოულოდნელად, თითქოს უმიზეზოდ ფათერაკი რამ, მარცხი ემთხვევა.

მიწის მიერ პირის დაყოფა (ვისთვისმე) ჰრე. მიწის მიერ იქით-აქეთ გაწევა ვისიმე ხასნათქმელად. სვ. სიკვდილი, დაძარხება. შერ. შენთა შექთა შემომადგამ. ბნელსა გულსა ზელა მქუ: რსა. შენი ვიყო, სადამდისცა დამიყოფ დეს მიწა პირსა (წ. რუსთაველი); შერ. მახარეს ამაბაი ვერაფერი გაიგეს, არ იცოდნენ, კიდევ ცოცხალი იყო, თუ მიწამ დაუყო პირი (ვ. ბარნოვი).

მიწის მიერა (მიცვალებულსათვის) ჰრე. ზევიდან მიწის მიბხევა, მიწის ქვეშ მოყოლება, დასაფლავება. სვ. პატრივისცემა, სიკეთის ქმნა, მფარველობა. შერ. მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომამყარენით! (შ. რუსთაველი). იხ. მიწის დაყრა.

მიწის შვილი ჰრე. დედამიწაზე გაჩენილი აღამიანი. სვ. აღამიანი, სიკვდილის შვილი. შერ. ჰო, ისეც კარგი დაემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მიწის შვილები იქნებოდნენ. ცილად ხომ ვერ ჩამოფთინდებოდნენ? ეხლა ჩემ თამაშასა ცუგდეთ ყური და, თუ მოგეწონოთ, ჩაწეუთ და თეორია იქნებოთ (აჟა); შერ. შენებთ ამოისუნთქება ხალხი (შემოდგომაზე); შემოდგომა ხალხდრო არის მიწის შვილისათვის, ყუთიანი (ვ. ბარნოვი).

მიწა დაპირისპირებულია ზეცას, სადაც, თანახმად ძველი რწმენა-წარმოდგენისა, ისევე, როგორც მიწაზე, ცხოვრობენ სულიერნი არსნი: მამსა-დამე, მიწის შვილი იქნებიან აღამიანები, მიწიერნი, არსებანი მოცდადნი, ხოლო მათთან დაპირისპირებულნი არიან — ზეცის შვილი, ანუ ზეციერნი, არსებანი უხორცონი და უქვდაენი.

მიწვივ-დაბადებებიდან ჰრე. სულ მუღამ, რაც დაბადებულია აღამიანი. სვ. უხსოვარ დროიდან, ქვეყნის გაჩენიდან. რაც თავი გვახსოვს. შერ. თქვე დალოკილო, რათ მიხუთაჟ სულსა... მიწვივ-დაბადებებიდან გაუშინდლაძდე ჩემს კარმიდამოს და ზემოდგმულს ნაფუზარს არაფერ შეხეხია (ს. მგალობლაშვილი).

მიხედვა ჰრე. თვალების მიპყრობარხედმა. სვ. ზრუნვა, პატრონობა, შევლა, დახმარება, ხელისშეწყობა. შერ. პაპას დიდ ცოდვად და სასირცხვილოდ მიაჩნია აგრეთვე, რომ როცა ნათესაფი ან მეგობარი ვინმე დაუხარალდება, ამ დროს არ მივიღეს, არ მიიჩხედოს (ვაჟა-ფშაველა).

მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი ჰრე. არაპირდაპირი ლაპარაკი. სვ. ნამდვილი აზრის დაბნელება, სულ სხვა რაზიდრე ლაპარაკი და არა იმაზე, რაზედაც უნდა ილაპარაკონ; არეული ლაპარაკი. შერ. აჟი ნათლიდემ მიხვევ-მოხვევა არ

იცისო? ავი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მეამის-რა, — სთქვა არჩილმა და შეხედა დას, თითქო იმას ეკითხებოდა.

— მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? აღამიას მინამ ხელ-ფეხი ერჩის, ძარტო არ იქნება, საქნეა ტოლ-ანაანაგი მარტოხელისა (ილ. პავაჟაძე).

მისხიფებება პრ. ხის ფეხით მისვლა. სტვ. თრეით მისვლა, წყალებით, დიდის გაკირვებით ფეხების გადადგმა. შერ. მათალია, მე მივაყენე ზარალი ბუთლიას, იმ ლაბეს რომ მე იქ არ მივიხისფებებულ იყავი, იმ კაცს საბძელი არ დავწვებოდა (ვაჟა-ფშაველა); შერ. აღარ მომეშკა, არ შეიძლება, თუ ძმა ხარ, დაოჩიო. ან მაგას რა აბრძოლებდა, მაგ დალოცვილსა? როგორც მოვხისფებდი, ისევ ისევე წაახისფებდებოდი — ეს საქმე არ მოხდებოდა (ვაჟა-ფშაველა); შერ. ჯერაც არ მოხისფებებულ ხარ!.. (ბებნიშვილი).

მისხუთშაბათება პრ. ხუთშაბათის ნახუთეოის ძსგავსად გაკეთება რისამე. სტვ. მიფუჩეება, ძალღუმადურად გაკეთება, ნაჩქარევობა. შერ. ნე კაი კაცო და მე უკეთესი! ვთხოვე. კირი მოკაშვი, კარგად დამიკერე წალები-მეთქი და შენ კი ავლია და მიგოხუთშაბათები ია! ახი არ იქნება, არაფერი მოგცეს ადამიანმა!..

ძველათ, როცა პარასკევი ითელე-ბოდა უქმად, ლეთისმსახურების დღედ, როცა ხელით არაფერი უნდა გაკეთებულიყო, ყველა სახის ფიზიკური გარჯა-მუშაობა, განსაკუთრებით მიწის „შენარება“ აკრძალული იყო, წინა-დღეს, ხუთშაბათს უნდა დამთავრებულიყო, მზის ჩასვლამდე, ე. ი. სამშუაო დღის დასრულებამდე, თუ საქმე ძნელი მოსასწრები იქნებოდა, ადამიანს თავის თავისთვის ძალა უნდა დაეტანებინა და ავად იქნებოდა, თუ კარგად. ადრე იქნებოდა თუ მოგვიანებული, უნდა მიეხუთშაბათებინა, ხუთშაბათს უნდა დაესრულებინა, საპარასკეოდ არ უნდა დარჩენოდა. ცხადია, ზოგჯერ კარგად გამოვიდოდა ნასაქმარი, მაგრამ, უფრო ერთ შემთხვევაში, ხუთშაბათს დამთავრებულს საქმეს დალი ნაჩქარევობისა, მიფუჩეებისა, ჰაი-პარობით გაკეთებისა მინტეცუბოდა.

ქრისტიანობის შემოღებისა და კირიკიის შემვიდგ დღედ კვირის დადგენის შემდეგ ხუთშაბათს ემაგვირა შაბათი, კვირადალი, როცა საშაბათო საქმე უჭველად უნდა გათავშულიყო კვირადღამდე, ე. ი. როცა ეკლესიებში ზარის რეჟეა სამწუხრო ლოკედ არ მოუხმობდა მორწმუნეთ. რა თქმა უნდა, პარასკევის ჩვეულება ახლა კვირაზე გადმოვიდა და სასტიკად აკრძალული იყო ხელით საქმიანობა. ხუთშაბათის როლი შაბათს მიეკუთვნა და ამბობდნენ: შაბათაბათო, მიშაბათებო ე. ი. იჩქარა, ნაჩქარეოდ გააკეთა ესა თუ ის საქმეო!.. იხ. წინ ორი პარასკევი არ უღვევს.

მაჟიო პრ. გარკვეული, ცხადი. სტვ. აბრი, განზობება. შერ. ერთი იმათ შკაფიოსაც გაეიგებ, რა სწალიათ (ვენ. მენთეშვილი).

მკერდზე მუხლის დადგმა პრ. ძირს, პირალმა გართხნულ კაცის გულზე მუხლის დაქერა. სტვ. დამორჩილება, გაბატონება ვიზიდზე. შერ. ვერც ის გაეგოთ, აღა-შამდ-ხანს რალა დამპართოდა, რომ იყებოდა მთელი თავისი ჯარი. იმან მარჯვეთ ჩაიგდო ხელში დედა-ქალაქი და უმთავრესი სიმაგრე. მკერდზე მუხლი დაადგა მის ფეხქვეშ განბრთხულ საქართველოს (ბ. ბარბო).

როცა მოქიდავე მოქიდავეს ძირს დასცენს პირალმა, გულზე ცალ მუხლს დააბჯენს, მასზე გამოაჯვეების ნიშნად.

მკერდზე ხცემს წვერი პრ. მკერდზე აფენია წვერი. სტვ. გრძელი წვერი აქვს. შერ. მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით ჩაჩანაკი და ბებერი, მკერდზე სცემდა თოვლივითა ძიხუცებულს თეთრი წვერი (ილ. პავაჟაძე).

მკვახე სიტყვა პრ. უმწიფარი, მოუსვლელო. სტვ. უხეში. უზრდელი, ტლანკი ლაპარაკი. შერ. ბოლოს, მოთმინებლად გამოსული (მემამულე), თუმცა მკვახეს კი ვერას გუბუბუბადა სირაჯს, მაგრამ შეუძახებს: „შე უღმერთოე, გემო გაუშინჯე-და!..“ (რ. ელისთავი); შერ. მისნი მკვახედ მოუბარნი მთარახითა შეგვამწიფნა (შ. რუსთაველი).

მკვლარულაშარხავი პრ. ვისაც თავისი მკვლარი მიწაში არ დაუმარხავს. სტვ. შერცხენილი, თავის მოვალე-

ობის უგულვებელმყოფელი, მოკვეთილი. უღრ. და თუ სრულიად ვერ შესძლო დაშავება მკვდრისათვის „როგის დაყენება“, მაშინ იგი მოკვეთილსავით არის სოფელში. ყველა იმას აუყვდრის: „შე მკვდარ და უმარხავო, დედამა დასამარხავ გაუე, ჯერ იზისა ანა გაგაგავ რა, შენ რა კაცი ხაო!“ (ვათ-ფხაველა).

მკვდართვის მიზარება პრ. მკვდართვის წესანახად მიცემა. სტვ. მკვდარად ჩათვლა, შერკმევილად აღიარება, ადამიანთა შორის გამოჩენის უღირსად ჩათვლა. უღრ გვედრი, მოწყალეობისა ვადამათარო კალთა, თუ ცოცხლებში არ გამრეე, მაშ მიმბარე მკვდართა! (რ. გრისთავი).

მკვდარი ვირი ჩვენს ხელშია პრ. მკვდარი ვირის პატრონი ჩვენა ვართ. სტვ. ჩვენს განკარგულებაშია ყველაფერი, მდგომარეობის ბატონ-პატრონი ჩვენა ვართ, ჩვენ გვეყოთების ყველაფერი. უღრ. თუ „ერთობა“ იოსულა, სუყველამ ერთად ვისწავლეთ ჭკუა. არა, უჩასტოკში არ ვაგაზხენო აღდგომის ბატონი, ისეე მბაბის დავუკლა! პასკა მე-კი ვილარა ექამე? ეე. ეხლა მკვდარი ვირი ჩვენს ხელშია, საითაც გვინდა, თავს იქით ვუზამთ. მაშ! (იხ. ჯდოშვილი).

იგულისხმება, რომ მკვდარი ვირი მოკლებულია რაიმე მოძრაობისა და საკუთარ ნება-სურვილზე მოქმედების უნარს და მისი ღმრის ბატონ-პატრონი კიდევ ისაა, ვის ხელშიაც ის მოქცეულია.

მკვდარი ვირი ჩემს მიწაზე რომ იყოს, კუდი მეზობლის მიწაზე ექნება პრ. მკვდარი ვირის სხეული ჩემს მიწაზე, ხოლო მისი კუდი მეზობლის მიწაზე იქნება მოთაქსებული. სტვ. ჩემი მიწის სიგრძე-სიგანე უდრის ვირის სხეულის სიგრძის, მიწა სულ ცოტა მაქვს, ზედ მოსული მოსავლი არა მქოთნის. შჯლ. უმიწობით სული მაქვს ამორთმეული, ყველას ეშველა და მე კი იმთავითვე ერთი ბოლჩა მიწის ნერყურე ვარ. მკვდარი ვირი ჩემს მიწაზე რომ იყოს, კუდი მეზობლის მიწაზე იქნება.

მკვდარი ვირი ხომ არ მოვიყიდნია,

რომ ნალები აპყარო? პრ. მკვდარი ვირი არ მიყიდნია შენგან და ვერც ნალებს აპყრი. სტვ. რას მედავები, რას მემართლები, შენი არათფერი მმართებს, არათფერი მოგიციო და ისე მთხოვ რასმე. უღრ. არა, რა გინდათ, დედაე და თვლო, რა? მკვდარი ვირი ხომ არ მოგიყიდნია, რომ ნალები აპყარო? (დ. მახანელი).

მკვდარი ხომ არ გაგებანია? პრ. წყლით მიცვალებულის ტანი ხომ არ გაგებანიე? სტვ. ფული სად გიშოვინია, ასე მოულოდნელად, სად გამდიდრდი?

სანამ მიცვალებულს კუბოში ჩაასვენებდნენ, საქართველოში ყველგან მისთვის ტანი უნდა გაებანათ და თვთრ სეუდარაში ვაგებიათ. მიცვალებულის დასაფლავების ამ ერთ-ერთი წესის ასრულებას მოითხოვდა ჩვენის ხალხის ის რწმენა, რომლის ძალით მიცვალებული სულეთში ყოველისავე მწიკვლევანებისაგან გაბანილი და სპეტაკ სუდარაში შეგრაგნილი უნდა წამდვარეყო იქ უკვე იმაზე წინ მისულთა წინაშე.

ყველას კი არ მისდიოდა გული მიცვალებულისათვის ხელი შეეხო და მითუფრო — გაებანა. და გაჩნდნენ საგანგებო პირები, რომელთაც ხელობადა ჰქონდათ მიცვალებულთა გაბანვა. გამბანულთ თავიანთი შრომისათვის გასამრჯელოდ აძლევდნენ მიცვალებულის ნახმარ ტანისამოსს და ხშირად ფულითაც ასაჩუქრებდნენ. და რადგან, ფულის სიძვირის დროს, ფულის შოვნას შემთხვევითი და მოულოდნელი ხასიათი ჰქონდა, ყველას, ჩვეულებრივ უფულოს, ვისაც მოულოდნელად ფული აღმოაჩნდებოდა, ნაცნობები ეტყოდნენ: კაკო, ფული საიდან ვაგჩენია, — მკვდარი ხომ არ გაგებანიაო? მკვდარსაც კი ფეხებს გააქნევინებს პრ. მკვდარსაც კი გააცოცხლებს. სტვ. მეტისმეტი ხუმარაა, მხიარული გუნებისაა.

მკვდრის ძილი პრ. ისეთი ძილი, როგორითაც მკვდარსა სძინავს. სტვ. გულის ძილი, მძინარე. აღვილად რომ ვერ გამოიღვიძებს. უღრ, პატარა ხანს მთელი სოფელი მოიცავა მკვდრის ძილმა; ჩამოვარდა გულშესაღონებელი სიწუმე! ისე მიწყნარდა, ისე გაინაბა, გაიკმიდა ყო-

ველისფერი, სულიერი და უსულო არსება, თითქო ძარღვის ცემა შესწდომიათო. (ს. მალობიანი). უნ. თუ ღვევადები რუმბივით, გათენებამდე ველარას გაივებ, მკვდრის ძილი წამილებს (აჰაჰი).

მკლავებიდან მოვწყდი პრ. ჩემი სხეული ჩემს მკლავებს მოსწყდა. სტვ. იტირებდა და მივალა მკლავები, მკლავების განძრევა ალარ წინილია. უნ. მაშნუ დამზალდებ, წენის ღწერტის გულისათვის: ლე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავები დან მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ (ილ. ჰაჰაჰაჰი).

(ვისსამე) მკლავზე ვკიდივართ პრ. ვისსამე მკლავს ვებლაუქებით. სტვ. ინის იმედთა ვართ, იმან უნდა შეგვიანანოს. უნ. ამოტელა ქულფათობა ერთ ჯანლონგვატეხილ კაცის მკლავზე ვკიდივართ (ან. ზეჰაჰაჰი).

მკლავი მიქრის პრ. სხეულის იმ ნაწილს, რომელიც მხრიდან იდაყვამდეა, გაქრა შეუძლია. სტვ. მკლავში ლონე მაქეს, ფიზიკური ძალა წომილეს. უნ. რამდენი შეუღლებება შეანთხვია ჩალბოს ღემის-მომბამ და რამდენჯერ ატირა დედა ცხარე ტრემლით, მაგრამ გულს მაინდამანიც არ იღებდა, ვიდრე მუხლი მოსდებდა და მკლავი უქრიდა (აჰაჰაჰი).

მკლავი მიქრის უნდა გავიგოთ ასე: ჩემი ლონე მტრის სხეულსა სქრის, ჰკვეთს, აპობს, მისი მორევა, დამარცხება ძალმიძს. ამავე ხასიათისაა თქმები: თვალი მიქრის — კარგად და მაჯიოდ დანახვა შემიძლია შორი საგნისა. გონება მიქრის — ყველაფრის მიხედვრა, გაგება შემიძლია, კვიანი ვარ.

მკლავის განმტკიცება პრ. მკლავის გამაგრება. სტვ. ვაძლიერება, გლონიერება, დახმარება. უნ. ესმოდათ ეს ბიზანტიულ-და თვალს არ ამორებდნენ პატარა საქართველოს, ცდილობდნენ მკლავი გაემტკიცებინათ ქართველთა შეფეხისათვის, რომ ერთგულ მომხრეებდ ბრძოლებოდათ იგინი ამ გადამწყვეტ ბრძოლაში (ვ. ბარნოვი).

მკლავის მოღვენება პრ. მკლავის დამორჩილება პატრონისათვის, მისი

სამსახური. სტვ. ძალის ქონა, შემძლებლობა, ლონიერობა. უნ. მკლავიც მომღვედა, შეილებო, ფრანგულ მექირა მტრულია; ჩემი ფრანგულის ნაკრავსა მტერი არ გადაჩენია (ბალსო).

მკლავისაგანა წარმოდგარი ზმნა — გამკლავება, რაიცა ნიშნავს მოპარდა პირისაგანა შებრძოლებას. წინააღმდეგობას. შემართებას, ვაძლიანებას. ე. ი. ისეთ ნოქმედებას, რაც მკლავის საშუალებით უნდა სრულდებოდეს. მკლავისაგანა ვევაქს წარმოებული სიტყვები მკლავმაგარი და მკლავმაგრობა, ე. ი. ლონიერი და ლონიერობა.

მოამბეც ალარ გაუშვებს პრ. ამბის წამლებიც კი არ დასტოვებს. სტვ. მტრისათვის ჯარის ვაწყვეტა ისე, რომ ამბის წამლებიც კი არ დატოვებს. უნ. ბატონიშვილიც შეიძლებს კლდის ბილიკებით ჩამოუშვას მემრები და ვევერდიდა შეუტრის მებრძოლს. ვხედავ ბრწყინვალე აზრს ცხებულისას! ვგონებ, მოამბეცეც ალარ ვაგუშვათ! (ვ. ბარნოვი).

„მობრძანდის კაცის“ დატარება პრ. „მობრძანდა“ მთქელ კაცის ჩამოვლა. სტვ. ყველასათვის შეტრინება, მოპატიება ქორწილში. უნ. — გვიღე, ქალო, დღეს როჯმუხანთ ქორწილი აქვს? — როგორ არა, გენაცვალე, მობრძანდის კაცი დილასვე დაატარეს, ჩემთანაც იყო (ან. ერისთავი-ბიშტარია).

წინათ ქართლის სოფელში, როცა ქორწილში ჰპატივებდნენ ნაცრბმეგობრებს თუ მეზობლებს, ერთ-ერთ მეზობელს დაავალდებდნენ ჩამოვლას და ყველასათვის შეტრინებას. ესეც ჩაუვლიდა და ეტყუა: მაჟანს ქორწილი აქვს და გთხოვენ მობრძანდეთ დასასწრებლადო. აქედან ამ კაცს დაერქვა სახელად „მობრძანდის კაცი“.

მოგვეხადა ქული პრ. თავიდან ქული ნოგვაძერეს სტვ შეერცხვით, სასირცხვილო საქმე დაგვემართა, თავი გარეთ არ გამოგვეყოფა. უნ. ვინ ქართული და ვინ ავაზაკობა? ვის გაუგონია დღემდე ჩვენში ამგვარი რამეო? — იძახოდნენ საზოგადო. — ვაი შერცხვენილს, ვაი თამოქრილს!.. მოგვეხადა და ქული და

შეგვირცხვა ულვაშებო (აჰაი) იხ. თავში შველი; ქუდი არა გვხურავს.

მოდ და ასეთ კაცს ეშხე ელაპარაკე! პრ. ასეთ კაცთან არ შეიძლება ეშხე ლაპარაკი. სტვ. არაფერი იცის, არაფერი გაეგება ხელოვნებისა, პოეზიისა, რთული საგნის შესახებ. შტ. აბა, ნახეთ ის ქართველი პაქარნი, ნაბად წაპოსხმული, ლოთურად ჩით-მერდინით ყელზე, როგორ გულმოდგინედ შეჭურვებს თავის საყვარლის თანჯერებს, ვინც-კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდო, ამ ვირს ეშხე ელაპარაკე!“ (ილ. ჰაჰვაძე); შტ. სიტუვა კასტა, კასტური ვერ წაუკითხავს შეგნებულად. ვერ დაუსწავლია რიგიანად და მოდით და ამისთანა კაცს ეშხე ელაპარაკეთ (ილ. ჰაჰვაძე).

მოვლვა პრ. რამე საგნის შემოვლა შეიძლება. სტვ. ეშველება, კაცი მიუღდება, საქმე გაკეთდება, დაბრკოლების აცილება შეიძლება. შტ. ჩვენ აიით იშის თქმა კი არ გვიჩნდა, რომ წელზედ ჭრას შევლა არა აქვს, არსაიდან მოვევლება (ილ. ჰაჰვაძე).

მოენე პრ. ენის პატრონი, ენის ზიმტანი. სტვ. მტრის ამბის შემტყობინებელი, მტრის მხვერავი. შტ. — დიდ დედოფალს ყოველივე კარგად სკოდნია: ნამდვილი გაეგო, ზურამ ერისთავის (ოლი სად წავიდა მონონანდა, ან ვაჟაკი როგორ იტანჯვის! — მოენეხი ჰყავთ, ყველაფერი იციან (ვ. ბარნოვი).

მოვყრები პრ. პირთამდე გაევიხები, ხეიდან ვადმოვედინები. სტვ. ვიყოხლებ აქენაა და ამდენს წელიწადს, მიიღწევი ამდენსა და ამდენს ხანს. **ნაზარება** დიდი ხნოვანების აღსანიშნავად. მაგ.: კაცი ამ დროთ მოცყარე და ასეთი რამე არ მინახავს, ე. ი. დიდი ხანია ვცოცხლობ და სხვ. არის აგრეთვე დალოცვის ფორმულა, რომელსაც მოხუცებულნი ახალგაზრდას ეტყვიან: ჩემ დროთ მოგყაროს; ითქმის აგრეთვე. როცა ხნიერ და გარდაცვლილ მესამე პირზე ლაპარაკობენ: იმ დროთ მოგყაროსო.

მოვკრათ და მოვუკროთ პრ. ტომარაა გინა პარკს თავი მოვუკრათ კანათთ და მერე მოვუკროთ. სტვ.

მოვრჩეთ საქმის კეთებას, მეტს ნულარ ვინდომებთ, მეტს ნულარ გამოვუღებებთ. შტ. წერაში ხალხია ტომობა და ნათესაობა კი არ უნდა შემოიტანოთ სალაპარაკოდ და საკიცხავად, უნდა იქონიოთ სახეში ის წიგნი, პირნი ან საზოგადოება, რომელნიც ბოროტად მოქმედებენ. აქ მოვკრათ და მოუკროთ (რ. ერისთავი).

მოვსწყდი ყველას პრ. ჩამოვცილდი ყველას. სტვ. განმარტობით. ჩემი თავის სინამარა დავრჩი, სხვებში არ ვურჩევია. შტ. თავის ცუდკაცობით ყველას მოსწყდა, ყველამ ზურგი შეაქცია.

მოწყლომა იხმარება სიყვდილის მნიშვნელობითაც. მაგ.: მავანი მზიან ქვეყანას მოსწყდაო, ე. ი. მოშორდა იმ ქვეყანას, საცა მზე ანათებს — ჩვენს დედამიწას, წავიდა იქ, საცა მზე არ არის, მოკვდაო.

მოზღარბვა პრ. ზღარბს დამსგავსება. სტვ. მოკუნტვა, ეკლებს აშვედა. შტ. იმათ სახლის კარებთან მოვიზღარბე და მერე თავი მოვიმძინარე (ლ. არდახიანი).

მოზღვავება პრ. ზღვისებრ მოწოლა. სტვ. სიმრავლე, სიბევრე მომდგარი. შტ. მოვლენ გონს საოკინოზნი, შეჰკრებენ ძალებს და აკლაე აღსკეპბიანი ჩვენზედ უსჯულონი, მოზღვავებიანი (ვ. ბარნოვი).

მოზღვავებული პრ. ზღვისებრ მოწოლილი. სტვ. ბევრი, მრავალი. შტ. მოზღვავებული მხალხმა ცეცხლი ზალე ჩააქრო. მაგრამ ახლა სხვა თავშისისციემი საქმე გაუხდათ (ვაჟა-ფშაველა).

მიავავისე პრ. თავისათვის მკეთებელი. სტვ. მარტო თავისათვის მხოლუხველი, თავის კერძო, ვინც სხვას არა შეეწლის.

მოთავხვლება პრ. ხელთ ქონება თავის თავისა. სტვ. მოვნა, შექენა, პოვნა; მოცლა. შტ. ცოცა ფულიც მოვითავხვლეთ, რომ ვინცობაა გზაში დაგვევიანებოდა და საგზალს ქლება დაეწყო, ფულით წაგვენაცვლებინა ხელი (ს. მაღლობიშვილი).

თავხვლება პნიშნავს თავის თავის უკრობას ხელეშე, ე. ი. ისეთ მდგომარეობას ადამიანისას, როცა ეს უკანასკნელი თავის თავის პატრონი თვით არის, მის ხელთაა

მთელი გამგებლობა თვისი პირადობისა, ან მოკლილია რისამე საკეთებლად; იგივე სიტყვა ნიშნავს რისამე ქონებას, შეძენას, პოვნას. ს. მგალობლიშვილს სიტყვა მოთაგებლება შოვნის, მოკვირების მნიშვნელობითა აქვს ნახმარი.

მოთაროვება ჰრდ. თაროზე შენახულის (მაგ. საქმლისა) ძებნა. სჭვ. რაზე დამალულის ძებნა და აღმოჩენა, ცდა რისამე პოვნისა; გაძორჩენა, სარგებლობა. შრდ. აბა ერთი მოვეთაროვოთ. ელიზო შენახული კაცია, შესასუსნი ექნება რამ (მ. არაგვისპირელი).

მოთაფლვა ჰრდ. თაფლის დასხმა რანედზე. სჭვ. ტკბილი სიტყვების თქმა, შესაცდუნებლად, მოსარყუებლად ლაპარაკი.

მოთაფლული ენა აქვს ჰრდ. თაფლმოსხმული ენის პატრონია. სჭვ. ტკბილი ლაპარაკი იცის; მლიქვნელი, პირფერი, მიმფერებელი. ის. ენამოთაფლული.

მოთლა ჰრდ. ნაწილის მოშორება დანით სორცისა. ყველისა და სხვ. სჭვ. თავისთვის დადებდა რისამე, მარტო თავისთვის ზრუნვა, სხვისი ინტერესების უგულვებელყოფა; უსამართლოდ მოქცევა. შრდ. დროთა მიმელობაში ზოგან საქმე ისე წარმართა, რომ სახელმწიფომ იმძალავრა და სრულიად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და აღანიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მოთალა და საზოგადოება და აღანიანი ცარიელზე დასვა (ილ. ქვიპვაძე).

მოთინების ძაფის გაწყდომა ჰრდ. მოთინებისაგან შემდგარი ძეფის მთლიანობის დაოღვევა. სჭვ. მოთინების დასასრული. სულმოკლეობა. შრდ. მოთინების ძაფი გაწყდა. ხაღვილის და გესლის ფიალა პირს გაღწოვიდა (ფ. ბუჭურაული).

მოთხრა ჰრდ. მიწიდან ფესვებიანად ამოგდება. სჭვ. შერცხვენა, დაღუპვა, სახელის გატება საჯაროდ, გაუბილება. შრდ. ვაი, რაგვარ მოვიტხარე, — თავი ვიხრევი წაწიანსა! (პ. უშიაგვილი); შრდ. გაგონილა ასეთი სასაცილობა! გაგონილა ასეთი მოთხრა და ვაბიბარულება ისტორიისა! (ილ. ქვიპვაძე); შრდ. დაუწყეს გინება გზირისა: „ოცხალმა მოგვტხარაო და

მეცდარმან აგვაოხრაო“ (ს. თბელიანი).

„მართლმადიდებელი“ სასწმუნოების ეკლესიის მღვდლები თმაწვევს არ იკრეპდნენ და არც იპარსავენდნენ კათოლიკე მღვდლებივით. როცა

„მართლმადიდებელი“ მღვდელი რას-
მე დიდ დანაშაულს (კაცის კვლა ან
მისი მსგავსი პასუხსაგებ დაწაშული)
ჩაიდნდა, სანამ სამოქალაქო სასამარ-
თლო გაასამართლებდა, სასულიერო
მთავრობას მღვდლობის ხარისხი უნდა
აეყარნა მისთვის ეკლესიაში, რომელშიაც
ეს ხარისხი მიეჩნევა. ხარისხის აყრის
ცერემონიას თან სდევდა მაკრატლით
მოკლა თმა-წვერისა — რამდენსაც სამ-
ჯერ აკრეკით მაკრატელი აიღებდა.
აქედან დაერქვა ქართულად მღვდლო-
ბის ხარისხის აყრას — გაკრეკვა, ხოლო
მღვდლობისაგან გადაყენებულს — გა-
კრეკილი.

მყრალა ამოსდის პირიდან ჰრ. მყრალა
ბალახის სუნი ამოსდის პირიდან.
სკვ. შურიანია, ცუდი სიტყვების
თქმალა ემარჯება, კარგი სიტყვა
არაეისათვის ეშეტება. მგლ. გოგითანა
ბინძურსა და შუიანს ზეორეს ვერა
ნახავს ადამიანი, სულ მყრალა
ამოსდის პირიდან.

მყრალა (*Artemisia vulgaris*) — ბალ-
ხია, საშინელი მყრალი სუნის განო-
მშვეები. ხატოვანად იტყვიან მოშურნე,
ზოროტი ენის ადამიანზე.

მშვიდობითი ჰრ. და სკვ. კარგად იყა-
ვით, ცუდი არაფერი შეგემთხვესთ.
იხ. გამოეთხოვე.

ეს მეგობრობისა და პატივისცემის
ტერმინია, ხპარებული ერთმანეთთან
გამოთხოვების ეამს. სიტყვა „შეოკლე-
ბითაა ნამპარი, უნდა იყოს: „მშვიდო-
ბით ბრძანდებოდეთ, მშვიდობით მენა-
ხოთ!“ ჩვეულებრივ, სწორთა შორის,
შემოკლებით იხმარება, სრულს ფორმას
კი მიმართავენ, როცა უმცროსი უფროსს
გამოემშვიდობება.

„მშვიდობით“ იხმარება აგრეთვე
შემსამებელის მნიშვნელობით შეძაებების
დროს და გამოხატავს: მორჩა, დაიკარ-
გა, დაიღუპა, თვალთ ველარ ნახავ.

მშვიდობით, ცოლო და შეილო ჰრ.
ცოლშვილისანდმი გამოთხოვება. სკვ.
დავილუპე, წასულა, მორჩობილა ჩემი
საქაქე. შრ. დაიწყებეს ჩივირებში
მკრებთ ბუებუეს და მშვიდობით,
ცოლო და შეილო!.. გადირივა
ხოლმე დადინჯებული კახეთი! (ქიხი-
ყელი).

მშვილდისრიხ ძირს დადება იხ. მშვილ-
დის ძირს დადება.

მშვილდის ძირს დადება ჰრ. მშვილ-
დის გაშვება ხელიდან. სკვ. ბრძოლის
შეწყვერა, სიბერეში საეყაქაო საქ-
მეზე ხელის აღება; დაიორჩილება,
ჯობნილად, დამარცხებულად აღი-
არება თავისა. შრ. თუ ჩვენ მარ-
თალს არ ვამბობთ, აბა ერთი სა-
ბუთი, აბა ერთი მართალი სწაულ-
ლი, მართალი მეცნიერი... წამოგვი-
ყენოს პირში (გოლმსტრემმა), მიმინ
ჩვენ ჩვენ მშვილდს ძირს და-
ვდებთ და გოლმსტრემის წინაშე
ქედს მოვიხრით (ილ. კეკევაძე); შრ.
ეს, შვილო და ძმაო, კაცი რომ და-
ბერდება, მშვილდი უნდა ძირს
დასდოს (ილ. კეკევაძე); შრ. ევლარ შე-
ვიძელ მოწევა, დავერდი, მშვილ-
დი დაველო (დ. გურამიშვილი).

ეს თქმა იმდროინდელია, როცა საო-
მარ იარაღად ჩვენს ხალს მშვილდისარი
ჰქონდა. ხოლო თვით დადება მშვილ-
დისა ნიშნავს მის უხმარებლობას, ე. ი.
ნოპირდაპირის წინააღმდეგობაზე უარის
თქმას, ბრძოლაზე ხელის აღებას, უძ-
ლურებას, დამორჩილებას, დამარცხე-
ბულად, ჯობნილად აღიარებას თა-
ვისას.

მშვილდში გაგატარებუ ჰრ. მშვილდის
შეორე მხარეს ვაგიყვან. სკვ. ცუდს
დღეს დაგაუნებ, გაწვალებ, დაგსჯი.

მშრალზედ დარჩენა ჰრ. დარჩობა იქ,
სადაც ტენი არ არის. სკვ. უარაფ-
როდ დარჩენა, წაგება, დაკარგვა
ყველაფრისა, მოტყუება. შრ. აი,
ეკლაკ სისხლის ოფს ვაწვივებთ,
წვლებზე ფეხს ვიდვამთ, მოსავალი
მოგვეყავს, თქვენ მიგაქვთ, ჩვენ
მშრალზე ვრჩებით თევზით
და მშიერი კუჭით დაიწოწავთ ქვეყ-
ნად (ს. მგალობლიშვილი); შრ. წიხლი
მყრა, გამამბურთავა, ქვა ასაროლინა
კულითა, და მშრალზე დამსვა
მართოკა ჩემი ქამანჩა-სტერიოთა!..
(აკაი); შრ. უსაქმოდ მშრალზედ
დარჩენილი ხალი სულ სახლში
დაბრუნდა (ბებინსკი).

აქ გაქირებული კაცის მდგომარე-
ობა დადარებულია წყლიდან რიყებე-
გამოჯდებულ და უწყლოდ, მშრალზე
დარჩნილ თევზთან.

მშრალზე დახმა ის. მშრალზე და-
რჩენა.

მჩვარი პრ. ძველი ნახევი, ძონძი ქსო-
ვილისა. სკვ. მცირე ღირებულების
რამე, ჴნებისყოფი, გამოუსადეგარი
ადამიანი. შრ. ძე. მართალია, ერთი
ღარიბი აზნაურიშვილი ვარ, ერთი-
ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლო-
ბისათვის დიდი რამ არი, მაგრამ,
რაც უნდა იყოს, პაპი-ჩემის სახელს
მე მჩვრად არ გავხდი (ილ. პაპა-
ვაძე).

მჩვარში გამოკრა ის. მჩვარში გა-
ხვევა.

მჩვარში გახვევა (ვისიმე) პრ. ძველ
ძონძში მოთავსება ვისიმე. სკვ. და-
მცირება, დამდაბლება, შეურაცხყოფა.
შრ. მეორე ადგილას, აქ-ი თითონ
ბ-ნი ჟორდანი, ახვევს რა მჩვარ-
ში ძველ მოღვაწეებს, ასე გვიხატავს
ახალ მოღვაწეს, ე. ი. თავისს თავს
და თავისს მსგავსს (ილ. პაპა-
ვაძე).

მცურავი პრ. რაც დაცურავს. სკვ.
გველი. შრ. შემდეგ, ცხოვრებაში, ეს
შიში და უშრეტე მტრობა გველი-
სადმი გამეფა ბოლომდის. ნამდვილ
გველისადმი კი არა, — ქალაქ ადგი-
ლას, ბუნების კალთას აშორებული,
სად შეხვედბოდი მცურავს პი-
რისპირა? — გველის თვალების მე-
ქონ ადამიანისადმი (ვ. ბარნოვი).

ქართული ხალხის ძველი რწმენისა
და ზნეჩვეულებათა თანახმად, მაგნე-
ბელ ცხოველთ, როგორც დათვის, გველს,
პინკველას თავის ნამდვილს სახელს არ
ეძახდნენ. მათი სახელის ხსენება აკ-
რძალული იყო. მათის რწმენით, რომ
ახსენოს კაცმა ესენი თავიანთი ნამ-
დვილი სახელით, მაშინათვე გაჩნდებიან
და აუნებენ მხსენებელს. ამიტომია, რომ
ავიათთვის მეორენაირი სახელით უქ-
ვიათ (იგულისხმება, რომ ამ ცხოვე-
ლებმა ეს სახელები არ იციან). მგლ.
დათვისათვის — უწმინდური, გვე-
ლისათვის — უხსენებელი ანუ მცურ-
რავი, პინკველისათვის, როცა აბრე-
შუმის კია უზისთ და მათთვის საშიშოა
ახლო სადმე ყოფნა პინკველისა — შავ-
ნაბადი, კუზიანი.

მცხელა ის. რა მაგისი მცხელა?
მძიმე პრ. რაც ბევრს იწონის, ძნელი
წსალები, გაჭირებით დასაძვრელი
ადგილიდან. სკვ. მდიდარი, შეძლე-
ბული, ძვირფასი; აუჩქარებელი. შრ.

დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციინს
პირიო! მართალ ხარ, წახდა საქურ-
კლე თქვენი მძიმე და ძვირი-
ო (შ. რუსთაველი); შრ. დღეა-კაცმა მძი-
მედ ჩაღო ლიტრის ყელი ფულის
ადგილას და მოუთმენლად ელის
ქმრის მოსვლასა (თ. რაზიკაშვილი).

აქედან მომდინარეობს გამოთქმები:
მძიმე სალამი — მოწინებითი სალამი;
მძიმე-მძიმე ლაპარაკი — ნელ-ნელა,
ნება-ნება ლაპარაკი, ცდა სიბოძნის
გამოხატვისა; მძიმე შავებში მყოფი —
დიდი შგლოვიარე, უზომოდ დამწუხ-
რებული.

მძიმე უღლის დაწოლა (კისერზე) პრ.
ძნელი, გაჭირებით საზიდი უღლის
დაწოლა. სკვ. დიდი გაჭირება, ხელ-
მოკლეობა, სიღარიბე, სიძნელი, სი-
საწყლე, შრ. მძიმე უღელი და-
აწვით ხანში შესულებს (ვ. ბარ-
ნოვი).

მწვეარგამონაკიდ კურდღლის სიმა-
ლით პრ. ისეთის სიჩქარით, რა სიჩ-
ქარითაც მირბის კურდღელი, რო-
მელსაც მისდევს მწვეარი. სკვ. მე-
ტისმეტის სისწრაფით. შრ. იმ შე-
ჩვენებულმა, წამოძიარა წინ, თავი
დამიჭრა და მწვეარი გაამონაკიდ
კურდღლის სიმალით გასწია
თავის სახლისაკენ (მ. ფორთოხლებში)

მწერლობაზე (გინა კაიკაცობაზე) თავი
დაუღვია. სკვ. თავისი თავი მწერლად
(გინა კაიკაცად) მიაჩნია.

მწვანე კიტრივით თავი მოაქვს პრ.
ახალშემოსულ კიტრივით თავს
იწონებს. სკვ. უსაფუძვლო ტრა-
ბახი, ბაქი-ბუქი, თავის განდი-
ლება, ცუდმედილობა. შრ. რა
მწვანე კიტრი გგონია შე-
ნი თავი! რა მინდაო?! ბაეშეგ-
თან გაქვს საქმე, თუ ადამიანებდა
აღარ გვაქვს?.. (აქვ. ცაგარული), შრ.
ერთი ვილაც აშორილისებური აზ-
ბუქაძე ქვეყნის წინ მწვანე კიტ-
რივით თავს იწონებს. გაიგეთ,
მეც ვარ ქვეყანაზეო (აკაკი); შრ. თავ-
დად მსტატეს და მის კნეინას თავი
მწვანე კიტრივით მოჰქონდათ
(ს. მგალობლიშვილი).

ლიტერატურაში დარჩენილია მეფე
თეიმურაზ II-ის ლექსი „ხილთა ქება“,
სადაც ჩამოთვლილია ყველანაირი ხი-
ლის ღირსება-ნაქულთვანება, მათ
შორის კიტრიცაა. ავტორი თვით კიტრს

ალაპარაკებს. კიტრს ძალიან უნდა თავი იქოს, მაგრამ მისი ნაკულულოვანება ლირსებმა გაცილებითა სქარობს და რაც უნდა თავი იქოს, ხილად არ ჩათვლება. აი, თვითონ ლექსიც: „კიტრმა სთქვა: „რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა: მგავე და ტკბელი არა ვარ, კაცო რად მემოყვებინა!.. ვარილი ვარ, კაცსა ვაგებებარ, მერე თავი ვარ სენისა; ვინც რომ ჩემითა გაძღების, ციებაც შეეყრებისა“...“

დასასრულ, ხალხური გამოცანა სრულიად აუფასურება კიტრსა: „თავი მოაქნე მწვანეთა (სიმწვანით), მუცელსა ჰგვრემს მწარეთა“.

ამრიგად, თქმა: „მწვანე კიტრივით თავი მოაქეს“ ხატოვანად ამბობენ ისეთ ადამიანზე, ვისაც საქებარი არაფერი აქვს და მაინც თავს იწონებს, ბაქიბუქობს, ტრაბახობს.

მწვანე შტო (ზეთისხილისა) ნოეს მტრედისა ჰრდ. ნოეს მტრედის მიერ მოტანილი მწვანე შტო. ზვ. ნიშანი იმედისა, სასოებისა, ნუგეშინისა, მშვიდობისა. შრ. მოდიან ის თავგანწირულნი (სტუდენტები), ცოდნის სიყვარულით და წყურვილით შორს გადახვეწილნი და წინ მოიმძღვარებენ მეცნიერებას და მის მწვანე შტოს ნოეს მტრედისით, ნიშნად ხარებისა და ნუგეშისცემისა (ილ. ჰეპკაძე); შრ. და მოაქცია მისსა (ნოეს) მიმართ ტრედმან მიმწუხრი; და აქუნდა ზეთისხილისა რტო ფურცელითურთ პირსა შინა მისსა. და ცნა ნოე, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქვეყნისა („შექნათ“).

ეს თქმა ამოღებულია „დაბადებინდან“, სადაც მოთხრობილია ამბავი ლეგენდარული მსოფლიო წარღმისა. როდესაც ებრაელთა შამამთავარმა ნოემ კილოზნიდან გამოუშვა მტრედი ამბის გასაგებად — წყალმა იკლო თუ არაო. და მტრედმაც საღამოზე მოუტანა ზეთისხილის რტო. ნოემ სცნა წარღმის გათავება და იმედი მიეცა ვადარჩენისა.

ილ. ჰეპკაძეს ზეთისხილის რტოს მაგიერ ნახმარი აქვს მწვანე შტო ალბათ იმიტომ, რომ ეს მცენარე მარადმწვანეა. ზეთისხილის ხე ძველად საბერძნეთში სიბრძნისა, მშველდობისა, უხეებისა და ღიდების სიმბოლოდ მიანდათ.

მწეერის შეწვა ჰრდ. ცეცხლზე მწეერი რომ შეუწვა ვისმე და მიართვა. ზვ. განსაკუთრებული სიამოვნება და გულის მოგება ვისიმე, პატრვისცემა, გულმოსტლის დამშვიდება. ზვლ. გული მოუვა, თორემ მწეერს შეეწვაში!..

ფირინველებში მწეერი საქმელად საუფეთესო, ნახ, სანუკუარ და გემრიელ კერძად ითვლება ქართველის სუფრაზე. ჩვენს წინაპრებს საპატრიო ნადირობად მიანდათ მწეერზე ნადირობა მიმნიშოთი. დიდი პატრვისცემის ნიშნად ნანადირევე მწეერს მოართმევდნენ მოსაკითხად და ძღვნად, ვინც პატრვისცემად ან განსაკუთრებული სიყვარულის საგნად მიანდათ, ვისი გულის მოგება სწულდათ ან ვისგანაც წყალობას რასმე გამოელოდნენ.

ამიტომ დარჩა ეს თქმა გულის მოგების, კეთილგანწყობილების გამოძახებულ თქმად ქართულ მეტყველებაში. იგივე დარჩა გამწერალ, გაბოროტებულ ადამიანის დამამშვიდებელ საშუალების აღმნიშვნელ სიტყვებად.

მწეერიფრენია ჰრდ. ვინც მწერებს აფრენს. ზვ. სულელი. ზვლ. ასეთ სისულელეს მარტო შენისთანა მწეერი იფრენია თუ ჩაიდენდა.

მწეერი მრავლობითს რიცხვში ქართველეს სისულელის სიწონიად აქვს მიჩნეული. როცა უნდათ სთქვათ: მავანი ქუუანაკლებიაო, ამბობენ: მწერები ჰყავს და ბლომდაცაო!.. ის მწერები კი ნუ ააფრინე!

მწერალად ზრძანდება (რაზედმე) ჰრდ: შემომწერალია, არ ელაპარაკება არა აქვს. ზვ. და ირონიულად: არ იცის რამე. წარმოდგენა არა აქვს რაზედმე. შრ. ნუ თუ, მ-ნო ეჭრადანია, აქაც წაითხულის გაგებაზე მწერალად ზრძანებულ ხართ? ნუ თუ აქაც ნახტომი შეგშლიათ და ვერ გაგიგიათ, — რას ნიშნავს სიტყვა განსაკუთრებით? (ილ. ჰეპკაძე).

მწერები კი ნუ ააფრინე!.. ჰრდ. ძირს დამსხდარ მწერებს ნუ ააფრინე! ზვ. ნუ გაგიყდი, ნუ სულელობ, წინდაუხედავად ნუ იქცევი! შრ. ეიპ, დაუშვინე! მწერები კი ნუ ააფრინე!.. (ნ. ახიანი).

მწეერი გარეგნულად ლამაზი და საქმელად ძალზე გემრიელი ფრინვე-

ლია. იგი სხვა ფრინველებთან შედარებით მოკლებულია თავდაცვის საშუალებას. ფრინველთა უმეტესობა ხეებზე დაფრინავს; ხეებზევე ან ხის ფულურაში იფარავს თავს. ბევრი ფრინველი შეიარაღებულია კლანჭებით, ბასრი ნისკარტით, რომლებმაც ისინი იგერიებენ მოძალადე მტერს. მწყურის არც კლანჭები გააჩნია და არც ხეზე ჩამოჯდომის უნარი. ამაზე ანდაზაც გამოუთქვამთ: „არა შეჯდომს მწყური ხესა, არა იყო გვარი მისიო“. მართალია, მწყურს აქვს მიმეტრზის ანუ გაერმოსთან შეგუების უნარი, — იგი შემოსილია ჩაღისფერი ბუმბულით, მაგრამ ეს მას დიდად არა შეეღის. მწყური ბუდეს ყანასა და სათიბში იყუთებს. ამიტომ კოკისპირული წვიმა, სეტყვა თუ ნიაღვარი დიდ საფრთხეს წარმოადგენს მისთვის და განსაკუთრებით ბარტყებისათვის. ყანაში სიარულის დროს ადამიანს მწყური ფეხბმაც წამოედება და ცხვირწინ აუფრინდება ხოლმე. ამ დროს მისი მოკვლა ძალზე ადვილია. მწყური იმდენად მოკლებულია თავდაცვის საშუალებას, რომ მასზე ბავშვებიც კი დიდი წარმატებით ნადირობენ. მწყურს არ გააჩნია შორ მანძილზე ფრენის უნარი. ამიტომ იგი მონადირეს და მის ძალს შორს ვერ წაუღა. მწყურები შემოდგომის მიწურულს თბილ ქვეყნებისაკენ მიფრინავენ. გადასაფრენი აქვთ ზღვები (ხმელთაშუა ზღვა) და ხშირად ზღვაში ცვივიან დაღლილები. ზოგჯერ ისინი წეროებს შეასხდებიან ზურგზე და მათი დახმარებით ვადიან ზღვის იქითა მხარეს.

არსებობისათვის ბრძოლაში ასე სუსტი და მოუხერხებელი ფრინველი ხალხის თვალში მოუსახრებლობის, წინდაუხედავობისა და ქვეის სისუსტის სინონიმად იქცა. აქედან არის წარმონდგარი ხატოვანი თქმა: მწყურები კი ნუ ააფრინე!

როდესაც სურთ ნიუთითონ ვისმე არაგონიერული საქციელი და წინდაუხედავი მსჯელობა, ეტყვიან: მწყურები გყავსო.

ზოგჯერაც იტყვიან: მევანსა ჰყავსო, აა ბევრი ჰყავსო... და ამ წინდაუდებლად დამატებდა მწყურები იგულისხნება.

ზოგი რომ დაემუქრება ვისმე, მი-

აძახებს: ეგ ენა დააყენე, თორემ მე ვიცი, მწყურებს აგიფრენ, ე. ი. ჩუმად იყავ, თორემ შენს თავში დაბუდეულ მწყურებს სულ ერთიანად დაგიფრთხობ, მოგაშორებ და ამრიგად დაგაქვიანებო...

ან კიდევ, როცა ვინმე უმიზეზოდ გაწყურება, ერთხანს გაგვიბუტება, ვებუტებო: თუ წყურები, მწყურები და იქირეო. აქ წყურები მწყურების ერთიანად და გამწყურალს მოვადგონებო: შენი წყურმის მიზეზი მწყურების დაუქურლობაა, მეტი არაფერიო!..

მწყურების გამორეკვა (ვისმე) თავიდან ჰრდ. მწყურების არდაყენება ვისსამე თავში. სვ. ცემით ქუეის სწავლება, სისულელეზე ხელის აღებინება. შრ. მაშინ კი მიზეზი, ვწუდი და დაევიქირე გოგო. ლევახი კი თავდაღმა დაეშვა და საღ წავიდა და საღ არა, ეელარა გავიგვირა. დეე, წავიდეს, შორი გზა არ ექნება და როცა ჩავიგდებ ხელში, მაშინ მე ვიცი, როგორც მწყურებს გამოეფურეკ. ისე დაეზუბნი, ისე, რომ სიბერემდის ვეღარ დაავიწყდეს (ე. ვაბაშვილი). ის. მწყური ფრენია; მწყურები კი ნუ ააფრინე!

მწყურები ჰყავს თავში ის. მწყურები კი ნუ ააფრინე!..

მწყურებს აგიფრენ! ის. მწყურები კი ნუ ააფრინე!..

მკაღაზნაურა ჰრდ. მკაღის მკამელი აზნაური. სვ. მშიერი, ღარიბი, ხელმოკლე, უქონელი, გაქირებული. შრ. როდესაც სოფელს გაეჩხენებ, მაშინათვე თვალწინ წარმომიდგება ტყე, მინდვრები, მთები... მკითხავი, ქრდაგი, მღვდელ-ღიაყვანი, ნათე და გონების სიჩლუნგე, ქუდმომრუდებულ მკაღაზნაურა (ვაუა-ფაველი); შრ. წელი რომ აქვს გაწყურებულ, გახლავს მკაღაზნაური (გ. ლუონიძე).

სიმინდი, ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევის თანხმად (იხ. მისი „საქართველოს ისტ.“ I, გვ. 363), დასავლეთ საქართველოში XVII საუკუნის დამდეგსაა შემოსული, უნდა ვიფიქროთ, ლაზების საშუალებით. აქედან უნდა იყოს წარმომდგარი მგერულად სიმინდის სახელი ლაზური ან ლატი, ე. ი. ლაზების საქმელი. მაგრამ უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ მგერელის სუფ-

რაზე სიმინდის ფეკილისაგან გამო-
მცხვარ მქადს დიდხანს არ ექნებოდა ის
პატრიე და მოწონება, რაც პურსა და
ლომსა ჰქონდა. ჯერ ისე XIX საუკუნე-
ნის დასაწყისში სამეგრელოში უმთავ-
რესად პურსა და ლომსა თესდნენ და
მქადის ქაზა სიღარიბის ნიშნად ითვლე-
ბოდა. ყოველსავე შემთხვევაში, სა-
პატრიო სტუმროსათვის ხორბლის პუ-
რები უნდა გამოეცხო სტუმართმოყუ-
რე მეგრელ დიასახლისს.

აღმოსავლეთ საქართველოში სიმინ-
დის თესვა X VIII საუკუნის დამდეგს,
ე. ი. სამეგრელოზე ერთი საუკუნით
გვიან, უნდა იყოს შემოღებული. პირ-
ველად თვით გლეხებსაც ერცხეინებო-
დათ მქადის ქაზა და მქადისთვის სა-
ხელის გასატეხად ასეთი ლექსი გამო-
უთქვამს ხალხს: „მქადმა სთქვა: მეც
ეიხსენები სუფრისა ბოლოს გდებული.
მდიდარი კაცი არა მქამს, თუ არ უელ-
გადადებულა“. პრივილეგიური წოდებ-
ა ხომ არა ხმარობდა და არა საქმე-
ლად მქადს. და თუ ვინმე ღარიბი აზ-
ნაური იხმარდა და გაუგებდნენ, ქვეყ-
ნის ყბადასაღებად უნდა გამხდარიყო.
აი, ასეთი აზნაურს, ღარიბს, შეძლებით
გლეხკაცის ღონეზე ჩამოსულს, იტყოდ-
ნენ ხოლმე: ქადიკამია ანუ მქადაზ-
ნაურა ხარო. სწორედ ასეთ აზნაურ-
ზეა გამოთქმული ანდაზა: აზნაური
მქადს არა სქამს, თუ მოშივა,
პირსაც მომქამსო...

მქადივითა ცხვება პრ. მქადის მსგაე-
სად ცხობით მზადდება საქმელად.
სვც. უხვად და ადვილად კეთდება
რამე. იოლი საშოვარი, ყველასათვის
ხელმისაწვდომი. შარ. ერთი ოციოდე
სოფელი რომ გქონოდა (სპარსეთში),
კაი ფეშქაში მიგერთმია შაჰისათვის,
მორჩა და გათავდა, — ხანობას გა-
მოიკრავდი! სპარსეთში ხანობის
ღირსება მქადივითა ცხვებო-
და (ფრონელი) (ალ. ყფშიძე).

მქადი პურთან შედარებით ადვილი
გამოსაცხობია. მისი მოხელევა ცაცი-
ლებით უფრო იოლია, ვიდრე პურისა,
რომლის ცომი წებოვანია, ხილებს ეკ-
ერის და გამოცხობს თითების წამ-
დალწუმ მოწმენდა სკირია. გახურე-
ბულ თონეში (აღმოსავლეთ საქართვე-
ლოში) ჩააკრავენ თუ არა მქადის
მრგვალ კვერებს, სწრაფად გამოცხვება
და თონიდან ამოსაყრელები გახდება.

აქედან გადატანილად, სურათ-ხა-
ტოვანად ყოველ იოლად გასაკეთებელ
ან საშოვარ საქმეზე, შრომა ნაკლებად
რომ სკირია, დაცინებით და ყბადასა-
ლებად იტყვიან ხოლმე: მქადივი-
თა ცხვებო ან მაიანი მწერალი
მქადივით აცხობს თავის უნიჭო
ნაწერბოსო.

მქადი ვატეხილია პრ. მქადი მთელი
არ არის. სვც. საქმე გაფუტებულია,
იმის გამოკეთება შეუძლებელია. მგლ.
ცულათაა საქმე, მქადი ვატეხი-
ლია, ვერაფერი უშველის.

გამომცხვარი მქადი იყო ერთი ვატე-
და, იმისი გაწრთელება, მისთვის პირ-
ვანდელი ფორმის ნიცივა შეუძლებე-
ლია. იტენის. როცა რაიეც საქმე იძლე-
ნად გაფუტდება, რომ იმისი გამოკე-
თება, ადამიანის ძალ-ღონეს აღემა-
ტება.

მქადის კუტო ენატრება პრ. ნეტავი
მქადის კუტი მომცაო. სვც. ძალზე
ღარიბია, საქმელი არ აბალია. შარ.
პავლეს მქადის კუტი ცკი ენატ-
რება, შინშორისაგან კუტი უხმება;
თუ აცევა რამე, ისიც — ვალითა და
ვახშითა (გენ. მენთეაშვილი).

ჯერ თვითონ კარგად გამომცხვარი
მქადის ქაზა ქართლ-კახეთში დიდი სი-
ღარიბის ნიშნად ითვლებოდა და ახლა
მქადის კუტის ქაზა ხომ გაათქციულ
სიღარიბეს უნდა დაროლებოდა...
მქადის ლუკმა ენატრება ის. მქადის
კუტი ენატრება.

მქადში ნახშირს ვერ გამოარჩევს პრ.
იმის თავი არა აქვს — გაარჩიოს რომე-
ლია ნახშირისი მქადი და რომელი
უნახშირო. სვც. უწინო, უწარსმოკლე-
ბული, უქნარა. მგლ. აბა შენისთანა
უქნარას რა უნდა მოსთხოვოს კაცმა,
მქადში ნახშირი ვერ გამო-
გირჩევიია!..

ქართლ-კახეთში, სადაური(აა ეს
თქმა, მქადის კვერებს თონეში ჩააკრა-
ვენ და ისე აცხობენ. მაგრამ მოხდება
ხოლმე, რომ თონის კედელს კვერი
ზოგჯერ მოხსლტება და თონის ძირში
თავმოყრილ ნაღვერდალში ამოვიან-
გლება. ასეთი მქადი კუტად გამოცხვება
და რა თქმა უნდა, ნაკართან ერთად
ნახშირიც შეჭაიება. უქნარა და ზარ-
მაცის ასეთი მქადი რო ჩაუვარდება
ხელს, თავს არ იწუხებს ნახშირი ნო-
არბილოს მქადს და ისე ჰამოს. სწორეთ
ასეთის ადამიანის საქციელმა გამო-

ათქმევინა ჩვენს ხალხს ზემოთმოტანილი სიტყვები.

შკლე მადლობა პრ. გამხდარი, უცხო-მთ მადლობა. სკვ. ცარიელი, საქ-მით დაუდასტურებელი. შტრ. მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი შკლე მადლობა ოთარანთ ქვირვისათვის, ჰო, შენმა მზემ! (ილ. ჰავევაძე).

შკრელი თვალი პრ. შკრელი იარაღი-ვით გამკვეთელი თვალი. სკვ. რო-მელსაქ კარგი უნარი აქვს საგნის დანახვისა, ან საგნის ყოველის წვლილის შემჩნევისა. შტრ. აქ გონების შკრელი თვალი უნდა, რომ თვალად მკირენი, მაგრამ კეთილნი საქმენი, რომელნიც გამუდმებულ სრო-მით ერთმანეთზედ განუწყვეტლად აკინძულია, ზედ-ნაკეცია, იცნოს დი-ლის ზნეობის საქმედ და პატრივის(ე-მის ღირსად გადადოს (ილ. ჰავევაძე).

მხარზე ხელის გებადება (ვისთვისმე) პრ. ვისსამე მხარზე ხელის (ან ხე-ლების) დაწყობა. სკვ. მეგობრობის, თხოვნის გამოხატვა, ნიშანი კეთილ-განწყობილებისა. შტრ. მივიდნენ, სთხოვენ არსენას, მხარზე გა და-უღებენ ხელსა (არსენას ლექსი).

მხარ-თეძოზედ ძილი პრ. ძილი და მოსვენება მხარსა და თეძოზედ და-ყრდამით. სკვ. უღარდელად ყოფნა, უზრუნველობა. უფიქრებლობა, უსა-ქმურობა, სიზარმაცე. შტრ. მეტად გაურჯელი და ზარმაცი რამ იყო (ღარიბ-ლატაკი კაცი). ხელის გან-ძრევა ისიკვლიყოლად, როცა სხეები მუშაობდნენ, იმას მხარ-თეძო-ზედ ეძინა (თ. რაზივაშვილი).

მხართეძოზე წამოწოლა ის. გვერდზე წამოწოლა.

მხართეძოზე წოლა ის. მხართეძო-ზედ ძილი.

მხარის დაქერა პრ. გვერდთ ამოღვამა, მკლავის თათით კისრამდე მიწოლა ვის-სამე მხარზე. სკვ. გაქირების დროს ვისიმე შეველა, შეწევნა, დახმარება. შტრ. პროლეტარიატმა თავისი ვხით უნდა იაროს (ბრძანებს მარქსის „კრი-ტიკოსი“) და მხარი უნდა და-უქიროს წვირლ ბურჟუაზიას მხო-ლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს“ (ი. სტალინი. თხზულებანი ტ. I, გვ. 138).

მხარის მოქცევა პრ. მხარის მობრუ-

ნება, მოტრიალება. სკვ. გზის და-კარგვა, გზის აბნევა. შტრ. ემანდა გლია... ჩამძინებელი, უნდა შინ წამო-ვსულიყავ, მაგრამ მხარი მომეც-ცა, ვეღარ გავიგე რა, მე მეგონა, რომ ლაშისწყაროზე ვარ-მეთქი, მერე ე პანტაზე აიყელი (ს. მაკობლიშვილი).

მხარის საწყინარს შეუბნება პრ. სხე-ულის ცალი მხარე იმას მაგრძნობ-ნებს, რომ რალაც მეწყინება. სკვ. უბედურება მომელის. შტრ. ჩავიდეს (ყარაულები) ქცეულსა, დაბრუნდა ცეცხლის ალიო, შალვასა, ბოიგადა-სა, საწყინარს ეტყვის მხარიო („შუაური ლექსები“); შტრ. ადგა და გა-მაიმართა, გადმაიარა მთანია, არხო-ტის გადმოსაველში საწყინარს ეტყვის მხარიო („მოხვეური ლექსე-ბი“). ის. თვალი საწყინარს შე-უბნება.

მხარის გადახმა პრ. ორი ადამიანის მიერ სხეულის ნაწილების — მხარების ერთმანეთზე მიღება. სკვ. ერთმანე-ნის შეველა, მიხმარება, ერთად კე-თება საქმისა. შტრ. ამათ (სპარსთ და ოსმალთ) რომ ერთმანეთზედ ჰქონ-დეთ მხარი გადადამული, რო-გორც ერთმორწყუნება, შამპლის სუტუს უფრო მტკიცე ზღუდე იქნე-ბოდა (ილ. ჰავევაძე).

მხარის გასწორება პრ. ერთი მხარის გამართვა მეორის მხართან. სკვ. გა-ტოლება, თანასწორობის გაიწინა, გათანაბრება. შტრ. — ჩემო ნონაე! ბრძოლაში ნაცალი მყეველი და მი-ხარიან, რომ მხარს მისწორებ იქ მტრის ჩენაში, აქ კი შენ მუჯობნი ლეინოსთან ომში (ვ. ბარნოვი).

მხარის დაქერა პრ. მხარის მიტანა მხართან, მხარისაგან მხარის არჩა-მოკლება. სკვ. თანხმობით მოქმე-დება, მიშველება, დახმარება, თანა-მშრომლობა, გვერდში ამოდგომა. შტრ. საქართველოს ნაწილთ გაიგენი მხარს და უქერენ ეგრისის მთა-ვარს: ამათ იციან, გიორგისთან ჩემი კავშირი და საწყისი საქართველოს შესაკრებლად მძლავრ ბრძოლებისა (ვ. ბარნოვი); შტრ. ჩვენც თუ მხარი არ დაუქირავთ, ჩვენებურათ ერთმა ალთასა ჰქმნას პირი, მეორემ — ბალთას, ერთმა ცხვირი ეშმაკისაკენ გასწიოს, მეორემ ჯანდაბა-ლოზანი-საკენ, მაგან ერთმა რა ჰქმნას! (ფ. მენთეაშვილი); შტრ. მურიასი მაქვს

იმედი, ერთგულად მიქერს მხარსაო (თუშური ლექსი). ახ. მხარის მიცემა; მხარში ამოდგომა.

მხარის მიცემა ჰრღ. ვისსამე მხართან მხარის მიყრა. ზვ. მიშველება, დახმარება, გაქირებისაგან ხსნა, შეწყენა. შრ. ბეფრი რამ გვაკლია ჩვენ, ჭართველებს, მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით, საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ (ილ. ჰეჰვაძე). ახ. მხარის დაქერა.

ერთის მხრივ, თქმები მხარის მიცემა, მხარში ამოდგომა, მხარის მობმა გადაქცეულია სინონიმებად შევლისა, დახმარება-შეწყენისა, მეგობრობისა, ხოლო მეორეს მხრივ, მხარი-საგან წარმომდგარია სიტყვები: მოხმარება (მხარის მიყრა მხართან) — შეელა; მომხრე (მხარში ამომდგომი) — მეშველი, თანამოზიარე; მომხრობა (მხარში ამოყენება სხვისა) — თავის მხარეზე გადმოყენა მოყვასისა; მომხრეობა (მხარში ამოდგომა) — გამოსარჩლება; მხარ-და-მხარ, მხარი-მხარს — ერთიმეორის გვერდით.

მხარის მობმა ჰრღ. მიყრა მხარისა მხარზე. ზვ. შეელა, დახმარება, ვისსამე გვერდით ამოდგომა საერთო მტერთან საბრძოლველად. შრ. მხარი მომამბით, ამხანაგებო, გაყურებინებთ ამათ ლაყვანი! (ხ. ანტონოვი). ახ. მხარის მიცემა.

მხარის მოტეხა ჰრღ. სხეულის ჩახვევარი ნაწილის მომტყრევა. ზვ. დახმარებაზე უარის თქმა, ლალატი. შრ. ნუ მოგტეხ მხარსა, თუ კი გვამ მადლი დღემანდელ დილისა (ვაჟა-ფშაველა).

მხარის მოწყვეტა ჰრღ. აღამიანისათვის ცალი მხარის ჩამოშორება. ზვ. უმწოლო, თავისი თავის ანაბარა დარჩენა ვისიმე, დამხმარებლის, მშველელის დაკარგვა. შრ. გიორგის (მამას) გიგა (შვილი) მოუქლეს, მოსწყვიტეს საწყალს მხარია“ (ხალხური პოეზია).

თუ მხარში ამოდგომა შეელასა ნიშნავდა, მხარში ამოდგომლობას, მხარის მოწყვეტას პირველი ცნების ანუ მხარის მიცემის საწინააღმდეგო ცნება

უნდა გამოეხატა და გამოხატავს კიდეც. როცა აღამიანს ჩამოეცლება თავისი მშველელი, მხარში ამომდგომი, ვამბობთ: მხარი მოსწყდა ან მხარი მოსწყვიტეს და ახლა არ იცის საცოდავმა — რა ქეას ახალს თავი უმხროდ დარჩენილმა, მხარ მოწყვეტილმაო..

მხარში ამოდგომა ჰრღ. ვისსამე გვერდით დადგომა. ზვ. მიშველება, დახმარება, გაქირებისაგან ხსნა. შრ. დარწმუნებული ვარ! სჯულის ლალატი ქსნის ხეობაში დაამტკიცა მან: სარკინოზთა გვერდით იბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ. ეხლა ციმბა ამოდგებდა მხარში (ვ. ბარნოვი). ახ. მხარის დაქერა; მხარის მიცემა.

მხარში ამოყენება (ვისიმე) ჰრღ. თავის გვერდით დაყენება ვისიმე. ზვ. მიმხრობა, დამხმარედ, მშველელად, თანამოაზრედ გახდომა. შრ. დღეს ბისმარკმა უეცრად შესცვალა თავისი პოლიტიკა, პაპს და მის სამღვდლოებას თითქმის ისევე უკან დაუბრუნა, რაც მას წინათ დიდის ანბით და ყოფით ჩამოართვა, და ამით პაპი ისევ მხარში ამოიყენა (ილ. ჰეჰვაძე). ახ. მხარის მიცემა.

მხარჩახდილი ახ. დილჩახსნილი.

მხიარული (ფერი) ჰრღ. მოღბენილი, სახემციინარე, ვინც მოწყენილი და დალონებული არ არის. ზვ. ფერი ტანისამოსისა, საფერი ახალგაზრდათა და არამგლოვიარეთა; ვისაც უხარის რამე. შრ. ის დღეა და ის დღე, ჩაიცვა (ოთარაანთ ქერცემა) ლურჯი შალის პერანგი, შავი კაბა. თავზე შავი მანდილი მოიხვია და ეს ოცი წელიწადია, მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ (ილ. ჰეჰვაძე); შრ. შერმე ტრანა (როსტვენ მეფემ): „მხიარულსა ნუ ჩაიცმენ ჩემნი სპანი“ (მ. რუსთაველი); შრ. თითავ, შენც უნდა მოიროთ დღეს, შენი ქირიმე, ჩემი დიმიტრის გამოგზავნილი ახალი კაბა ჩაიცვი. — უ, რას მიბრძანებ, ქალბატონო! მეტად მხიარულია, ჩემ ხნიერობას არ მოუხდებდა (ილ. ჰეჰვაძე).

მხიარული ჰკუისა ჰრღ. არამოწყენილი, არადლონებული სკუისა. ზვ. დაირონიულად: მოსულელო, კუანაკლებო.

მხრების ჩამოყრა პრ. მხრების ზევი-
დან ძირს დაშვება, სკვ. დიოხენბა,
უსასობა, გულის გრტება. შერ. ამან
კრიკვად დაანება თავი ღვლას, გუ-
შინ საღამოს ვუთხარი, მაგრამ
მხრები კი ისევ მალე ჩამოყარა
(შელანია).

მკილვა გულისა პრ. გულში ჩარტყმა
მკრლისა სკვ. სინანული, ბრაზობა,
ნუქარა, გლოვა, ნწუხარება. შერ.
შოქიდან ბარელამაჟ გულს იმ-
ჯი იღვენ, ნუქარას მითვლიან, კბი-
ლებს მიორქვენ, მაგრამ რას გახ-
დებოდნენ?! (ვაჟა-ფშაველა).

6

ნაბაღზე გადახტომა პრ. ნაბადის სი-
გრძე მანძილზე ადგილის გადანაცვ-
ლება ერთი ხტომით. სკვ. სიმარჯ-
ვე, სწრაფი მოძრაობა. შერ. ყველა
ასაკს თავისი შემძლეობა აქვს და ახ-
ლად თვბადგმულს ვერ მოსთხოვთ
ნაბაღზე გადახტომას (ილ. ჰავ-
კაჟაძე). ის. სამ ნაბაღზე ხტება.

მეგლათ, როცა უნდოდით ერთიმე-
ორის სიმარჯვე და მოსხლერილობა
გამოეცადნათ მანძილზე გადახტომაში,
გადასახტომ მანძილზე ნაბადს გაშლი-
დნენ და ერთმანეთს გაეჯიბებოდნენ,
ზოგი მარჯვე გადახტომი იყო, სამ ნა-
ბაღზე (წვერებით ერთიმეორეზე მიღე-
ბული, რაც სულ უკანასკნელს — 7
მეტრს უდრიდა) ხტებოდა, ე. ი. სამ-
ჯერ ერთი ნაბადის ტოლა მანძილზე
ხტებოდა, რაც, რა თქმა უნდა, იშვია-
თი იყო.

ნაბადის გაშლა მიწა პრ. იმდენი მიწა
(დასამუშავებელი), რამდენზედაც ერთ-
თი ნაბადი გაიშლება და გადაეფარ-
ება. სკვ. სულ მცირედი ფართობი
მიწისა. შერ. და დაიხსომე: სადაც
დაჩება თუნდა ერთი მუქა ქართველ-
თა შვილი ნაბადის გაშლა თავის
მიწაზედ, იქ იქნება საქართველო
შეურყეველი (ვ. ბარნოვი).

ნაბიჭვარი პრ. უქორწინებულ დედ-მა-
ნისაგან დაბადებული შვილი. სკვ.
კანონა გარეშე მყოფი, არსებულ კან-
ონის მფარველობას მოკლებული.
შერ. რა ნაბიჭვრები ჩვენს ვართ
ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუ-
ბნებინან, ამით გვათათბირებენ!.. (ილ.
ჰავკაჟაძე).

წინათ, უქორწინებლად, ერთ-
გვარი მოქალაქიობოივი აქტის შე-
უსრულებლად შეუღლებულთა შვი-
ლი თავისუფალ სიყვარულის ნაყოფად
ითვისებოდა. ასეთი შვილი უკანონოდ
შობილი იყო, ე. ი. მოკლებული იყო
ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებას,
კანონ გარეშე იღვა, უკანონო შვილად,

ნაბიჭვრად ითვისებოდა. იგივე იყო გარ-
შემოყოფთა დაცივნის საგანი.

ხატოვანად ნაბიჭვარი ეწოდება ისეთს,
ვინც ცხოვრების მიერ გარიყულია,
ვისაც არაკეთილ მოქალაქეობრივი
უფლება არა აქვს.

ნაბუარას აღენა ის. ბრეს აღენა.

ნაღიმის გაყრა — პრ. ნაღიმისაგან მო-
შორება. სკვ. ნაღიმის გათავება, ნა-
ღიმის შეწყვეტა. შერ. შელამდა ზელა
და არა გაიყარეს ნაღიმი (ამი-
რან-დარეჯანიანი“).

ნაღიმის დაღება — სკვ. ნაღიმის გა-
მართვა, გაწყობა. შერ. კვლავ და-
ვიიდევით ნაღიმი, დავსხდით
ამოდ შეებულნი (შ. რუსთაფლი); შერ.
დილასა გამოვიდა მეფე და და-
ჯდა მასვე ადგილსა, დაისხნა დიდე-
ბულნი და დაიდგა ნაღიმი
(ამირან-დარეჯანიანი“); შერ. მერმე დი-
დებულნი მოაწვიენა, ნაღიმი და-
იდგა და ლხინი გამართა, („ქილი-
ლა და დაბნა“); შერ. მეფემ ნაღიმი
დაგვიდგა. დაიწვეს ნადირობის
თქმა (ს. ორბელიანი).

ნადირს ისარი არ ასცდება პრ. ნა-
დირს ისარი გვერდით არ გაუვლის,
პირდაპირ მოხედება. სკვ. რისხვის
მსხვერპლი უნდა გახდეს, მას ვერ-
სად წაუთვა. შერ. მარჯვე იცის მო-
ფიქრება (გიორგიმ) და მით უფრო
სამიზნა ჩვენთვის, საფრთხილო.
დროზედ უნდა ჩამოვრეკოთ საბედის-
წერო. — არ ასცდება ნადირს
ისარი! (ვ. ბარნოვი).

ნავალი კაცი პრ. ვისაც ბევრი უვლია.
სკვ. ბევრგან ნამყოფი, ბევრის რი-
საზე მზახელი, მტად გამოცდილი
ცხოვრებაში.

ნავარღზე წახვლა პრ. ხტომა, სირბი-
ლი. სკვ. გამაიარულება, ოცნების სა-
ნიჟოში გადასვლა, აღფრთოვანება.
შერ. ... იქ მომწყდარია წყარო (ცხოვ-
რებისა, აქ — დულს და ჩუბნუხებს,
იქ — სამარეა, აქ — აკვანი. წაეიდდა

ნ ა ვ ა რ დ ზ ე დ ჩემი გულის თქმა, როგორც გათამამებული მიმინო (ილ. ჰავ-ჰავაძე);

ნავის დანთქმა პრ. ნავის ჩაძირვა წყალში. სვც. დალუპვა, გაუბედურება. შტრ. სხვას ჩემი ცრემლი შეკმუსრავს, ან და მენ თქმებდა ნავია!... (რ. ვრისთავი).

ნავის გატყდა პრ. მოჯადოების ძალა გაქაოწყულდა. სვც. ეშველა, გზა გამოჩნდა ხსნიისა, რასმე გასაკეთებელს, მაგრამ დიდხანს არდაწყებულს საქმეს დაწყება ელისა; პირველი ნაბიჯი გადაიდგა, წინააღმდეგობა დაითრგუნა, სიბნელე გაჰქრა. შტლ. ჩემს მოკეთებთან, ეს ვართ წელიწადია, არა ყოფილვარ, მემდღორანდნენ - რად დაევიფიწყყო! როგორც იყო, გუშინ ნავსი გაატტებზე და ვინახულენ. იხ. დანავსვა.

ნავის სდევს. პრ. მოჯადოებულისა; სვც. დაჩაგრულია, წინააღმდეგობაშია ჩავარდნილი. შტრ. ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მავის საქმეს ყოველთვის ნავსი სდევს (ნ. ბარათაშვილი). იხ. დანავსვა.

ნაზუქი. პრ. პური ერბოზე მოზეულილი და კვერცხგარეული. სვც. კეთილდღეობა, გამორჩენა, სიბიბლე, სინაზე, სისათეთე. შტრ. (ვანუა) აბეზლებს лжепроизникებს და quasi-mat-რიატებს, ვითომ ააღო აართევს ამ топан-ის გუნებასა და იმის მანგზედ დაიწყეს ქადაგება და ამ ქადაგებით ხელთ იგდეს ქვეყნის ნაზუქიო... (ილ. ჰავაძე); შტრ. ამავისთანა ნაზუქებს თავი დავანებოთ. ჩვენ ბ-ნი ჩიმიშვიანის ნაწერს სხვა მხრით მივაქციეთ ყურადღება, და ტყუილს ანბობს თუ მართალს ბ-ნი ჩიმიშვიანის, ეს, არამტუთ გარჩევისა, ყურადღების ღირსიც არ არის (ილ. ჰავაძე). ნაზუქი ხატოვანად გვიქვია ცხოვრების გაშლილი სუფრისათვის, უდარდელ ცხოვრებისათვის, როცა ყველაფერი ხელგაუხმრველად მოგვერთმეივა თავისით.

ნაზუქის სუნი დაახრჩობს პრ. ნაზუქის სუნი მოჰკლავს. სვც. მდიდრულად იქნება, მარტო ნაზუქი ექნება საქმელად. შტრ. მამა გიცხონდათ, აქ თუ დაგიჯდათ (ქალი), ნაზუქის სუნი დანახრჩობს! (ვ. ხეჩუაშვილი). იხ. ნაზუქი.

ეს თქმა დაცინებითა. ნაზუქი ფუფუნების საკმელად მიაჩნდათ. და ანბორუმ, ვისაც გამოუღეველი ან შვილად ექნებოდა ნაზუქი საქმელად, შეძირბულად ითვლებოდა. გაქირებულს ნაზუქისათვის ხელი არ მიუწვდებოდა, მართო შეეძლო ენატრა ასეთი სანუყარი საკმელი. ასე რომ, ეს თქმა, ეიხედმე დაცინებით ხმარებული, გამოხატავს ადამიანის ხელმოკლეობას.

ნათელი პრ. რაც აშუქებს საგნებს და მათს დანახვას შეგვაძლებინებს. სვც. ტოდნა, ჭკუა, განმარტება, ქეშმარიტების წყარო. შტრ. მას აქეთ ხუთმეტი საუკუნეა და მთელი ეს ხუთმეტი საუკუნე გულში ჯვართი და ხელში ხლმით იბრძობა, იღვერება, სისასლა ჰლერიდა ქართველთა კაცი და ნათელი ბნელზედ ვერაყენ შეაცვლენინა (ილ. ჰავაძე).

ნათელის დღის ნახვა პრ. მზის სინათლით მოფენილი დღის ნახვა. სვც. ბედნიერად ცხოვრება, უზრუნველობა, უდარდლობა, სიბიბარულე. შტრ. ამ თემს ესრე წესობს: თუ ცოლი მოჰკიდება, ქმარი თან უნდა ჩაჰყვეს, თუ ქმარი მოჰკიდება, ცოლი უნდა ჩაჰყვეს. შვიდის დღის ნუზღს მისცემენ და შერე უნდა ზედ დააკედეს: მას უკან აღარ უნდა იტოცხლოს, ვეღარც დღე ნათელი ჰნახოს“ (ს. ორბელიანი); შტრ. აგერ ორმოც წელს გადავაბიჯე, ბატონუმობის გადავარდნიდან აქამომდე ამ მამულის გამო ერთი ნათელი დღე არ მინახავს. (ს. მაგალიბიშვილი).

ნათელის შვილი პრ. ვისაც სინათლე ჰყავს შობილად. სვც. სიყეთე, სიწმინდე, ქეშმარიტება. შტრ. ისეც სახვევარ შენის წყალობით, ნათელის შვილო (ვ. ბარათი).

ნათელ-მირონი პრ. დამოყვრებული ნათლობის საშუალებით. სვც. მიმდგომი, მიმეგრძევი, მხარის დაპქირი ისეთ დროს, როცა მისაკერბი სტყუის, მიეკრძებისა და მიდგომის დროსი არ არის. შტრ. ლენორმანი, რაულინ: მონი. ბ-ნი ნიკოლსკი ჩვენი მამიდაწველები ან ნათელ-მირონები ხომ არ არიან, რომ ამათაც მიდგომით დაპარაკი შესწამონ (ილ. ჰავაძე).

ნათელ-მირონობა პრ. დამოყვრება ნათლობის საშუალებით. სვც. მიეგრძევა, ქომავლობა, მხარის დაქერა, დახმარება

ისეთ დროს, როცა მისაკერძი სტუქუ-
ის, ამის ღირსი არ არის. უღრ. ბევრი
მაგალითებია გლეხთა და თავადაზ-
ნაურთა შორის ნათელ-მირონო-
ბისა და დამოუყვრებისაცა (ილ. კავ-
კაჟი).

ნათლიშამობა ის. ნათელ-მირონ-
ობა.

ნათურქალი პრ. ადგილი, სადაც თურქ-
თი მდგარა, საგანი, რაც თურქებს
ჰკუთვნებიათ ერთ დროს. სჭვ. ანაოხ-
რები, აკლებული, იავარყოფილი,
ღარბეული, შემუსვრილი, ნაბრძო-
ლები. უღრ. ალაფობდეს საკურ-
ქლესა მისსა, ვითა ნათურქალსა
(შ. რუსთაველი).

ნათურქალს უწოდებდნენ ადგილს,
რომელიც აკლებულა, იავარყოფილა
თურქების მიერ, სადაც თურქებს გაუფ-
ლიათ და დაუზარალებიათ ისევე, რო-
გორც კახეთში, ლეკების მოსახლერე
ადგილებში, იტყოდნენ ხოლმე ნალ-
ქარს — ლეკების მიერ ღარბეულ, აკ-
ლებულ ადგილების შესახებ. ის. ლე-
კიანობა.

ნათხოვარი პრ. სხვისათვის გამორთმე-
ული დროებით. სჭვ. სხვისი, რომ-
ისთვისაც გული არ მეწვის. უღრ. —
ღიალ. გინდა კი ხელი ჩაეყო (ფულუ-
როში), განა ხელი ნათხოვარი
მაქვს?! (ვაჟა-ფშაველა).

ნაღის მოხვედრა პრ. წიხლის დარტყმა.
სჭვ. შეურაცხყოფა, დაზიანება, დაშა-
ვება, ლანძღვა, სასჯელი. უღრ. მაგ-
რამ ჩვენ ერთობლივ საგვარეულომ
ხეოდ ვხა უნდა გამოვიჩინოთ. ეგ ნა-
ლი მთელს საგვარეულოსა ჰხვდღე-
ბა, მთელის თემის და გვარის
ქუქუია (ვაჟა-ფშაველა).

ნალად ნაგულსხმევია ნალიანი წი-
ხლი ცხოველისა.

ნალოსებრ თრევა პრ. თავქვეში ურემს
გამობმული ხე. სჭვ. ზედმეტი ბარგი,
შემკავებელი. უღრ. ისინი ცხოვრების
გაზნედ ნალოებად თუ გამო-
დგებიან, თორემ უღლის თავში ვერ
ჩადგებიან, უღონობის გამო (ი. კავკა-
ჟი).

ნალო ეწოდება ხეს, ხის ტოტებს,
რომელსაც გამოაბმენ ხოლმე მიახილს
ან შეშით დატვირთულ ურემს თავქვე-
ში, რომ ურემი არ დაქანდეს. ნალო
თრეგით მოსდევს ურემს და ერთგვარი
შემკავებელი მისი. შინ მოტანილი ნა-
ლო მერე უშად გამოდგება ხოლმე.

ნალო ჰქვია აგრეთვე უურმოლ თუ
უმარხილოდ მოთრეულ ხეს. ხატოვანად
იტყვიან ნალოსებრ ჩამომეკი-
დაო ისეთ ადამიანზე, ვინც არ გვე-
შვება და თავს გვაბზურებს. ასეთს ვერც-
ვით: თავს არ დამანებებ. — რა ნალო-
სებ ჩამომეკიდეო?!

ნალხა და ჩლიქს შუა გამოდის პრ.
ერთმანეთს მკიდროდ მიკვეთილ ნალსა
და ჩლიქს შუადან გამოდის. სჭვ.
უსახლეროდ უკირს.

ნამგალა მთვარესავით მიღებული პრ. ნა-
მგალის მსგავს მთვარისებრ დაპატარა-
ვებული. სჭვ. ძალიან მიღებული, წვრი-
ლი.

ნამტყუარში ფეხის დგომა პრ. ტყუი-
ლებში ჩადგომა. სჭვ. დანაშაულის
ჩადენა, მტყუენობა. უღრ. იმათი წი-
ნალმდევლობა ჩლუნგი, პასიური იყო,
რადგან ნამტყუარში ფეხი ედ-
გათ, თავს დამნაშავედ ჰკარძინ-
დნენ (ვაჟა-ფშაველა).

ნამუსგაქნილი პრ. ვისაც ნამუსი სი-
თხეში რაშიმე აქვს გახსნილი. სჭვ.
უნამუსო, ნამუსგაწყვეტილი, ნამუსია-
ნობის უარყოფილი. უღრ. ყველაფ-
რით ძალიან ლამაზი და მოხდენილი
იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სკირ-
და, — და ამ სენმა ისე იმას არ აენო,
როგორც მე: ქალების მუსუსი იყო
და ამისთანებში ნამუსგაქნი-
ლიცა (ილ. კავკაჟი).

ნამუსზედ შევლება ვისიმე პრ. ნა-
მუსისაკენ მდებარე ადგილის დაქე-
რინება ვისთვისმე. სჭვ. დანამუსია-
ნება, მოთხოვნა ნამუსის თანხმად
მოქცევისა. უღრ. — სთქვი, რა მოგცე?
— რაცა ვლირდე, ის მომეცი.
— ჩემს ნამუსზედ ავღებ, რაღა?
(ილ. კავკაჟი).

ნამუსზედ ხელის აღება პრ. ნამუსისა-
გან ხელის აღება. სჭვ. უნამუსობა,
უპატიოსნება, უარყოფა ნამუსისა.
უღრ. მართალია, გლეხნი-მეზობელნი
ნამუსზედ ხელაღებით ჰპარავენ
ტყვისა, უზღვენენ მოსავალსაო, უძო-
ვენენ ყორულებსაო, მაგრამ ამას იმი-
საგან სჩადიანო, რომ კერძობითს
საკუთრებას უფრო ნაკლებ პატივსა
სცემდნენ, ვიდრე სასოფლოს... (ილ.
კავკაჟი).

ნამუსის ლეჩაქის ახდა (ქალისათვის)
პრ. ქალის თავიდან ლეჩაქის მოშო-

რება. სვ. ქალის მიერ ნამუსზე ხელის აღება. შდრ. ნამუსის ლეჩაქი აგვეხადა. ოჯახის სიწმინდეზე ნაცარ-ტუტა დაგვეყარა (მ. გაბაშვილი).

როგორც ქართველ მამაკაცისათვის ქული (იხ. ნამუსის ქულის ახდა), ისე დედაკაცისათვის ლეჩაქი ითვლებოდა სიბოლოდ ნამუსიანობისა, პატროსნობისა, ზნეობრივი სიწმინდისა, კიკალობისა, ერთი სიტყვით, — ყოველგვარ ღირსებით შემკულობისა. ქართველ ქალს საფიცრადა ჰქონდა თავისი ლეჩაქი, როცა უნდოდა ქალს ეთქვა — ზნეობრივად ფაქიზი ვარ, უყვედრელიო, იტყუოდა: თუ ნამუსის ლეჩაქი მხურავს, რასაც მოვახსენებ, სისწორეა, ერთი ბეწო სიყალბე არ ურევიაო!

ნამუსის მოწმენდა ვისთვისმე პრდ. ნამუსის მოშორება ვისიმე სახისაგან. სვ. უნამუსობის სახელის მოშორება თავიდან.

ნამუსის ქულის ახდა. პრდ. ნამუსის ქულის მოშორება თავიდან. სვ. უნამუსობა, უპატროსნება. შდრ. ამისი (წოდებათა შორის უთანხმოების) მიზეზი იგივეა, რაც თვითველ ქაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქულის ახ და (ილ. კავკაძე).

ქული — სიმბოლო იყო ვაყაცის პატროსნებისა, სინილისისა. ქულს მოხდიდნენ მამაკაცს მაშინ, როცა უსინილისო საქმეს ჩაიდენდა და სასოფლოდ დასჯიდნენ ლაფის დასხმით. აგრეთვე ვაყცით ველდობდნენ (შერცხვენილად) ითვლებოდა, როცა ცოლი უღალატებდა (დაწერილებით იხ. თავში შველი).

ნამუსის შენახვა სვ. საიდუმლოების გაუშლენებლობა, საიდუმლოს დაცვა. შდრ. თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა (მ. რუსთაველი).

ნამუსის შეშვება სვ. უნამუსობაზე ხელის აღება, სინილისიანად მოქცევა, პატროსნობის გზაზე დგომა. შდრ. პირში თუ მიწვევდი, ნამუსი შაუშვა და სირცხვილით პირი დაეწვა (მელანი).

ნამუსიც კაი ხაქონელია პრდ. ნამუსიც დასაფასებელი რამ არის. სვ. კმარა უსინილისობა, საკეროა სინილისიერად მოქცევა. შდრ. მართალია, თქვენის

კეთილის გულის ამბავი ვიცით, რომ საცა პურია, ბინას იქ იკეთებთ, არა ჰკითხულობთ, პური ვისი გამომცხვარია და მიირთმევენ, ოღონდ კი გემრიელი იყოს, მაგრამ ნამუსიც კაი ხაქონელია: რას გვემართლებით? (ილ. კავკაძე); შდრ. ასეთს ყოფაში ჰყავდნენ სიბოლო თადე თავის თანამოძმე მწყემებსაც. არავინ იფიქრებდა, ნუ ვაწუხებთ, სინილისიც კარგა ხაქონელია! შენც არ მომიკვდე! ისინი თავისას განაგრძობდნენ. (დ. ნაუზურიშვილი).

ყვედრებით თქმა, როცა ნამუსს არაფრად აგდებენ, ნამუსზე ხელაღებულით ეტყვიან; ნურც ვერ მოქცევით ნამუსს, უიმისობა არ შეიძლებაო.

ნამცეცობა სულისა და გულისა პრდ. სულისა და გულის ნამუსიერება. სვ. დაწერილობა, ნაკლებობა კეთილშობილებისა, სიდიადისა, სულგრძელობისა, დიდბუნებოვნებისა. შდრ. საცოდაობა, სულისა და გულის ნამცეცობა ამისთანაებში იჩენს თავს და ამის გამომჩენელი კაცი უფრო შესაბრალისია, ვიდრე განსაკითხი და მსჯავრდასადებელი (ილ. კავკაძე).

ნანიანტი პრდ. ვინც ან რაც ნატერის საგანს შეადგენს ვისთვისმე. სვ. ძალიან ლამაზი, ყველაფრით შემაული, სანატრელი, სასურველი. შდრ. კვლავ ლატაკ სალომეს შვილი ნანიანტი დაეითზედ ჰბედავს და ჰფიქრობს? ავ ცხვირს არ დასცემს!.. (გ. ბარნოვი).

ნანის მოხვედრა პრდ. სინანული. სვ. დანანება, დანალელება, წუხილი, რომ ვერ დაეუფლეთ იმას, რაც გვინდოდა, ან როცა რასმე ვიტყვით ან წამოგვეცდება ისეთი, რაც არ უნდა გვექნა ან გვეთქვა. შდრ. ვერ ვაქე მათად საფერად, ამაზე მომხუდა მე ნანი (ფეშაგი).

ნაპოვნ დანახებ შემრჩა პრდ. როგორც ნაპოვნ დანას ვერავინ წამართბენს. სვ. ჩემი (ცული) მოქმედებისათვის მასუს არავინ მაგებინებს. მგლ. მტერს დიდი ზარალი მივაყენე და ყველაფერი ნაპოვნ დანახებ შემრჩა.

დღევანდელი ჩვეულებრივი რკინის დანის წინაპარი წარმოადგენდა კაეთის ნატების სწორპირს, ორსავე მხარეზე გალესილს და მჭრელს. ასეთი დანა გაჩნდა ჯერ მარცხად, შემთხვევით

და შერე ადამიანმა ცეცხლის საშუალებით მისი ხელოვნურად გაკეთებაც ისწავლა.

პირველი მკრელი იარაღი დანა უნდა ყოფილიყო და თანდათან განჩნდა ქვის ცული, ტარზე წამოგებული, საღვისი. ტყავის საფხეკი, შუბის წვერი და სხვ. და სხვ.

ქვის იარაღი, მრავალფეროვანად გამოსადეგდა და პირველ ადამიანისათვის სასაოგებლო და გამაადვილებელი ცხოვრებასა და ბუნების აუაროყულ სიმძნელე-დაბრკოლებასთან ბრძოლაში, ანავე ადამიანმა საიდუმლო ძალით შექმოსა. მისნური თვისება მიაკუთვნა და ბუნებრივად, ლოგიკურად გახანდა თავყაბისციემის საგნად.

შემდეგში, ათას და ათი-ათას წლებს შემდეგ, როცა ადამიანმა გაიცნო ჯერ ბოინჯაოსი და ბოლოს რკინის თვისება, იმისგან დაიწყო მკრელი პირების გაკეთება, და ის საიდუმლო თვისებანი, რაც ქვის დანებსა ჰქონდა, ბუნებრივად ამ რკინის დანებზედაც გადამოვიდა. დღეს, მაგალითად, ჩვენი ძღაბი ხალხი შულოცებში შავტარა დანას ძალიან ხშირად მიჰპართავს და იმის დახმარებით ცდილობს გაკრებას თავი დააღწიოს.

როცა პატარა ბავშვს მზის ჩასვლის შემდეგ (როცა ბნელი ძალები სოროენიდან განმოდან ადამიანისა და, განსაკუთრებით, უნწყო ყრმების საგნებლად) სახლიდან მიზობლისას გადაიყვანს დედა, ქვეშიდან დანას ამოუღებს, რომ ბავშვს ყოველივე ძალა დაეკარგოს დანასთან მიკარებისაგან, დანამ დაიფაროს მის ამარ დარჩენილი ყრმა.

დანას, როგორც იშვიით საგანს, ჩვენი ხალხი ძველად ხმარობდა ქალის დასანიშნად, რაიცა ცხადდა სანს მემდეგის ლექსიდან: „გოგოვ, გოგოვ, შეუფუალაო, ბიჭმა შემოგოთალაო: ან ნონე ჩემი დანაო, ან წამომეყვი თანაო!..“ სანამ სატევარი (იგრეე დანა, ნხოლოდ უფრო დიდი) და სხვა იარაღი განდებოდა, დანა იყო ერთადერთი იარაღი, რომელიც მამაკაცს სულ თან დაჰქონდა ქამარზე ჩამოკიდებული და ძვირადაც აფასებდა. როცა სოფლელი ბიჭი წამოიზრდებოდა, მის ოცნებრს საგანს შეადგენდა — ქამარზე ქარქაშით

დანის დაკიდება, რომლითაც თავისი დანის შესაფერ საქმეთა გაკეთება ყველაფრისა შეეძლო.

დანასთან შეერთებულა სხვადასხვა ცრუმორწმუნობა.

ძველათ ხშირად მიმართავდნენ შულოცებში შავტარა დანას და იმის დახმარებით ცდილობდნენ გაკრებისგან თავის დაღწევას. სახლიდან გაყვანილ ბავშვს უბეში დანას ჩაუღებდნენ, რომ ბავშვს ყოველივე ძალა დაეკარგოდა ბავშვის საწივალმდელოდ. უნდა მორიდებოდნენ მეგობრისათვის დანის ჩუქებას, ან, პირიქით, არ უნდა მიეღოთ საჩუქრად დანა მეგობრსაგან. ნიადგა უნდა ხსომებოდათ, რომ დანა უალრესად მკრელი იარაღი და სიმწარის გამონწვევ საგნად ითვლებოდა, მაშასადამე, გაღატანიად, ვინც ვის დანას აჩუქებდა, დანასთან ერთად გადასცემდა სიმწარეს, მწუხარებას, ტკივილს, წუხილს... თუ მაინცა და მაინც უნდოდათ მეგობრისათვის თავისი სიყვარული და პატივისცემა დანის საშუალებით გადაეხანდათ და იმასაც სურდა ეს ნივთი მიეღო, ერთის ხელიდან მეორისაში დანის გადაცემის აქტს უნდა მისცემოდა ხასიათი ალემ-მიცემისა, სყიდვა-გაყიდვისა. და მოსაჩვენებლად ამ ალემ-მიცემობისა, მიმღები მიცემს ვითომ დანის საფასურად აძლევდა სულ უმნიშვნელო და უღირალ რასმე, მაგ., ფული ერთი კაპეიკი ამისათვის საესებით საქმარისად ითვლებოდა. ფულის ბაღლად შეიძლებოდა სხვა უმნიშვნელო ნივთი რამ დაებრუნებინა.

დანის ამ საბედისწერო თვისებაში უნდა ვეძებოთ ახსნა იმ შეზიზვევისა, რომ „ბნესალომ და ეთერში“ აბესალომის ნაჩუქარი დანი იკლავს ეთერი თავს. ხალხის რწმენით, სხვათრიე არც შეიძლებოდა მათი სიყვარული გათვებულიყო!

ამავე ცრუმორწმუნობით, რაკი ერთი დაეკარგება პატრონს დანა, თუ ისე გდებული სადმე იპოვნა, ხომ კარგი, თორემ თუ ვისმე მპოვნელს შეაქნია ხელში, ვერ მოსთხოვდა, რადგან ამას მოყვებოდა ყოველგვარი ძირი, პატივი და ფათერაკი. ამიტომ ძველი პატრონი ამ დაკარგულ დანას საუკუნოდ უხდა გამომოხვებოდა და მის დაპატრონე-

ბაზე ხელი აეღო. ეს მპოვნელმა ძალიან კარგად იცოდა და დიდი გული იმიტრიალებდა; იცოდა, რომ რაკი იპოვნა ასეთი ძვირფასი ნივთი, მისი იყო, ვერაფერი დაეღებოდა.

ახლა ადვილი მისახვედრია, თუ საიდან შეიქმნა თქვა — ნაპოვნ და ნასებრ შემოჩაო! ამ თქმის ამხსნელი და განმმარტებელია თქმა: ხახვივით შემოჩაო (იხ. ეს თქმა), ე. ი. როგორც ნასესხებ ხახვს, რომელიც სიმბოლოა სიმწარისა და ვერ დაიბრუნებს მისხნებელი, ისე ვერ დაიბრუნებს კაცი დაკარგულ დანას.

ნაპოვნი პრ. თავის ან სხვის მიერ რამე დაკარგული ან დამალული და ხელახლად აღმოჩენილი. სვ. სულ ადვილად, გაურჯვლად, უშრომლად, უსასყიდლოდ შეძენილი ძვირფასი რამე, საბარბიელო. შპრ. შენობის ზედამხედველმაც წყალობის თვლით გადმოჰხედა პარტიმარ ოსტატს, კიდევ უნასროლად მათ მისი (ვიორგის) დამტკრეული რუსული და ობუნჯობა. შენობის პატრონისათვის ხომ მისი მუშაობა ნაპოვნი იყო და ნაპოვნი (ე. ბარბიეი).

ნაპოვნი უჩვეულები გამოიღინა — იხ. ნაწლები უჩანს.

ნარეკლიანი გზა პრ. გზა, მოფენილი ნარიითა და ეკლითა. სვ. დიდი გაქირება, დაბრკოლება თუ უსიამოვნება გადასაბახვი და დასაძლევია. შპრ. მივეს გაქე გზა მშვიდობისა, გამოვეს — ნარეკლიანი. (მოხევერი ლექსი).

იგულისხმება სავალი გზა, რომელიც გათვლილი არ იყო, ხეები, ნარი და ეკალი, თავისუფლად სიარულს ხელს უშლიდა. მკაზერს მათთან ბრძოლა და წინ ანართული დაბრკოლების ძლევა უხდებოდა, სანამ სანშვილობის გააღწევდა.

ნახახლარის რყევა ნარივით პრ. იქით-აქეთ ქანაობა წარისა, რომელიც ამოსულია იქ. საცა სახლი მდგარა. სვ. დაუდგრომლობა, მეორეობა, სიმტყიცის უქონლობა, ორკეულობა. შპრ. ნახახლარის ნარივით ირყევა (ე. ბარბიეი).

შენიშნულია, რომ ნახახლარზე ნიადგი ნოკიოია და ზედ ამოსული ნარი ტანს სწრაფად აიყრის. ნარი წერილია და სულ მცირეოდენი ნიადგია საკმაო,

რომ ნარმა იქით-აქეთ ქანაობა და რყევა დაიწყოს. გადატანითად ასეთ თქმას ხმარობენ ისეთ ადამიანზე, რომელსაც ხასიათის სიმტყიე ანა აქვს, ერთს წამს აქეთვე რომ არის, მეორე წამს სხვისაკენ გადაიხრება, ერთ წამს ერთს რომ იტყვის, მეორე წამს თავის ნათქვამის საწინააღმდეგოს გაიგონებთ მისგან.

ნასკვი პრ. გადაწული, შეწმენილი, ბაბთი ძაფი, კანაფი და სხვ. სვ. გაქირება, თავდაუღწეველი მდგომარეობა, რომლის ვერც თავის პოვნაა შესაძლებელი და ველარც ბოლოს. შპრ. აი ნასკვი ეხლანდელ სიბრძნესიტყრონა სწორედ აქ არის და თქვენ გამიხსენით (ილ. ჰავკაფე).

ნასკვის გახსნა. იხ. ნასკვის წვერის ქოვნა.

ნასკვის წვერის პოვნა პრ. გადაწული თავის გამოძებნა. სვ. გაქირებისათვის თავის დაღწევა, შევლა-ხსნა, გართულებულ მდგომარეობისათვის თავის მოვლა. შპრ. დამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უქნაუს ნასკვის წვერის ვერ უპოვეს გამოსახსნელად (ილ. ჰავკაფე); შპრ. აუ ანუ, ომერთო, დაღწევა თავი საკლავად და სრულად წავებდე, ანუ აქამდინ ნასკვი გავხსნა და დაეხსნა თავი პირთაგან („ვისარამიანი“)

ნასუფრალის გადაყრა (ვისთვისმე) პრ. ჰამის შემდეგ სუთნაზე ნარინეს შეძლევა ვისთვისაც. სვ. აგდება, ადანიანად ჩაუგდებლობა. შპრ. ჰმ!.. შინ ლტყმას გეაპლიახ პირიდან და გარედან ქი ნასუფრალს გვიქრიათ ძალღებდავით (აკაი); შპრ. დიდი, იყო ერთ დროს იმისთანა მიმართულებას რუსეთში, მაგრამ დიდი ხანია, ამ მიმართულების სუფრა აღაგდა და ჩვენი ლიბერალები დღევანდლამდე აის ხასუფრალით იკვებებთან (ილ. ჰავკაფე).

ნასყიდა იხ. ღარიბა.

ნაჩეხარა არ დამჩინია აუფხებელი პრ. რაც ნაჩეხარა შქონდა, უველა აევაეს (წყული). სვ. ბევრი წყალი მოჰხიდე, რაშიაქ ეი წყალი ხაისხმოლა, უველა აევაეს.

ნატეხარა ეწოდება უმთავრესად თიხის ჭურჭლის (კოკის, ქოთნის, ღოქის,

ქილას და სხვ.) ნატეხს, რომელიც წყლის ძოსახიდად, შეკეპანდის მოსახარმად აღარ გამოდგება, მაგრამ შეიძლება ზედ დაეტიოს შინაურ ფრინველთათვის სასმელი წყალი.

ნატვის თვალი პრ. ყოველგვარი სურვილის ამსრულებელი კვა. ზვ. ყოველგვარი, თვით შეუძლებელი სურვილის შემსრულებელი უშრომლად, ყოველისავე მონიჭებელი. შტ. ვამბობდით, აი ახლა ეწველა საქართველოსათ: სწავლა და განათლება მოეფინებაო, მდიდარი ქვეყანა სწავლულთ ხელში ნატვის თვალად გადაიქცევაო, ცხოვრება ადუღდებაო (ილ. პავლევი); შტ. პატრონივლი მიეაღერება, ნატვის თვალად გაუგორდება, ფეხქვეშ ზღაპრულ ხალხად დაეგება, ჯადოსუფრად გაეშლება წინ (ბარხოვი).

ჩვენი ხალხის ძველი ცრუმორწმუნობის თანახმად, ასეთი მდგომარეობის მომნიჭებელი ბევრია: მაგალითად, ცისკარის გახსნას შესწრება და ნატვა ყველაფრისა; აღის მიერ თავისი საყვარლის დალოცვა და ვაზენდირება; ნატვის ხალხი, რომელიც ფეხქვეშ დაეგება ადამიანს და ცხრა მთას იქით მდებარე ადგილს თვალის დახამხამებაში გადააფრენს; ჯადოსნური სუფრა, სავე ყოველგვარ საქმელ-სასმელითა, ადამიანს წინ რომ გაეშლება და სხვ. ერთი ამ ნატვათავანია — ნატვის თვალი.

ნატვის თვალი, ხალხური წარმოდგენით, — ერთგვარი კვა პატროსანი, ძვირფასი, მოელვარი, ბროლისა, გამჭვირვალე, მშვენიერი, მტრედის კვერცხის სიდიდისა. მისი პატრონისათვის ამ ქვეყნად არაფერი იქნება მიუწვდომელი, რასაც ინატრებს. მაგრამ უზედურება ის ვახლავს თურმე, რომ ამ ზღაპრული თვალის მნახველები კი არიან, მაგრამ მისი დამპატრონებელი — არაფერია. მისი მპყრობელია, ჩვეულებრივ, გველი, რომელსაც თურმე ძალზე უყვარს მისი თამაშება. უხვედრ ადგილას, სადმე შის გულზე, ხერულიდან გამოდის და ნატვის თვალს ზევით აავდებს და ძირს დაშვებულ თვალს პირით დაიქერს. ამ დროს კაკი უნდა მიეპაროს და მოსტაცოს. მაგრამ გველის სიმარჯვე ადა-

მიანის მიერ უძლებელია. და ჯერ ადამიანი არაფერია ყოფილა, გველისათვის თვალის მოტაცება შესძლებოდეს.

აღმოსავლეთ საქართველოში სწამთ, რომ გველი ნატვის თვალს ბნელ ღამეში ათამაშებს. დასავლეთ საქართველოში კი ჰგონიათ, რომ გველი თვალს დღისითაც ათამაშებს; უყვარს მთვარიან ღამეშიც მისი თამაშება, სადმე წყაროში.

ნატვის თვალს დასავლეთ საქართველოში ხვითოსაც ეძახიან.

ამგვარად, ნატვის თვალი მხოლოდ და მხოლოდ ზღაპრებში გვხვდება, ფანტაზიაში.

ნატვის თვალი აქვს ჯიბეში პრ. ჯიბეში ნატვის თვალი უდიეს. ზვ. სიმდიდრე გამოუღვევლი აქვს. შტ. იმას, ჩემო კარგო, სიმდიდრე გამოუღვევლი აქვს, რომ იტყვიან — ნატვის თვალი უდიეს ჯიბეში იო, სწორედ ის არის. ახ. შიოს მარანი.

ეს თქმა კითხვით ფორმაშიც იხმარება. მაგ., როცა ვისმე ფულის თხოვნით თავს აბეზრებენ, ფულის პატრონად გულვებულები აბეზარ მთხოვნელს ასე მოუხნდომებს თავიდან მოშორებას: რას ჩამაცივდი, ადამიანო, ჯიბეში ნატვის თვალს ხომ არა მაქვსო?!

ნატვის სუფრა გაუშალეს პრ. ყოველგვარ სასიხელ-საქმელით სავსე სუფრა დაუდგეს წინ. ზვ. მზამზარეულად, უშრომლად და გაურჯულად მიაჩნვის ყოველივე ცხოველებისათვის საჭირო სიკეთე. შტ. ჩვენი მეზობელი სულ იმას იძახის, — ერთი ნატვის სუფრა გამეშლებოდეს წინაო.

ნატვის სუფრა ხალხურ ზღაპრის პირველყოფილ ადამიანის შეზღუდულ გონიერების წარმოდგენის საგანია. ასეთის ადამიანის იდეალი და ნატვაა: მხარეთმცოდნე წამოწოლილ უშრომლად და გაურჯულად წინ დაედგას სუფრა, სავე ნაირნაირის საქმელებით და სასმელებით, რომელთაც შექმისა და დღეის მეტი არაფერი ეპირებათ.

ნატისუსალი ახდის პრ. დამწერის სუნი ასდის, ყველაფერი დასწვია ცეცხლში. ზვ. არაფერი აბადია, ძალზე ღარიბია. ყველაფერი დაჰკარგვია, უარაფროდ დარჩენილა. შტ. რაკი თათარს

ცხენი ჰყავს, თოფ-იარაღი აქვს, იგი კაცად იხსენება სოფელში, — თუნდ შინ, ოჯახში — ნატისუსალი ას- დიოდეს (ილ. ჰავევაძე). შტ. მარ- თლაც, ოჯახი თიონანად დაინგრა და დაიღუპა. ორი წლის შემდეგ არცერთ განაყოფს ნატისუსალი აღარ ადრიოდა (მელანია); შტ. თეიმუ- რაზი შეუდგა სამზადისსა სანიშ- ნობოდ. იან შეაწერა საყმოს საქორ- წილო ფული ორასი თუმანი. ყმებ- მაც, რომელთაც სიღარიბით ნატის- უსალი ასდიოდათ, ეალი აი- ლეს და მიართვეს შეწერილი ფული (ლ. არაბაიანი); შტ. უცნობოქმინილი ტარიელ ძეს მსგავსად ნატისუსალი- სა (შ. რუსთაველი);

ნატისუსალი — რისამე ნამწვის სუ- ნი. როცა ნატისუსალი ასდის სახლს, ნიზნავს, რომ ყველაფერი დაეწვა და სახლის პატრონი კაცი ცარიელ-ტარი- ელი დარჩა.

ნათაშურაზე ღრიალი ჰრდ. დიდ ნაწლავ- ში განაეალად გადაქცეულ ნიეთიერე- ბათათვის ჩხუბი. ზვ. უღირალ რა- ზედზე დავა, დაგვიანებით მისელა რისაზე შესაძენად. მგლ. როცა შეი- ძლება რამე გრგებოდა, შე კაი კაცო, დიიგვიანე და აღარ მოხვედი, და ახლა ნათაშურაზე ღრიალით რალა უნდა უშველო შენს გაფუქებულ საქ- მეს?!..

პირდაპირი მნიშვნელობით ეს თქმა ნახმარია რომელისამე ჩამორძეალ სა- ქონლის შესახებ, რომელსაც ნადირი თუ ძალეები დაეხვევიან და გვიან მო- სულებს დარჩებათ ფაშეში ანუ დიდ ნაწლავში (ეტი-წელში) მოუნელებლად გადასული და განავალად გადაქცეული ნიეთიერებანი, საქმელად ურგები და გამოუყენებელი. აღრენილები, სხვა რომ არა დარჩენიათ რა, ამ ნათაშურის ვარ- შემო მართავეს ღრიალსა და ერთიმეო- რის წევებს.

გადატანითად ეთქმის რაიმე საქმეში წილის დასადებად ღროზე მოუსვლე- ლობას და მოსვლას მაშინ-და, როცა ყველაფერი მორჩომილია, ყველას, რაცა ჰრგებოდა, წაიღო და დარჩენილა მხო- ლად ურგები და ყველას მიერ დაწუ- ნებული, რომლის გულისათვის დავა და. ვისიმე მომდურება, — სასაცილოა.

ნაფუზარს, თავა არ ჩამოშოქრანო ჰრდ. ჩემის ნათუზარის თავში ერთ ბეწო

ადგილსაც ვერ წამართმევენო. ზვ. ვერაფერს დამაკლებს ვინმე, ჩემგან ვერაფერს წაილებს, ტყუილად მემუქ- რებინს. მგლ. თუ მემუქრებინს, ზოგი მაშინ დაიკეფხონ, როცა ნაფუზარის თავი ჩამიქრანს!..

ნაფუზარი ან ნაფუძარი ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც ნახახლარი ან ბო- სელი სდგებით, საქონელი ჰყოლიან და მიწა გააბრეებულია. ასეთ ადგილზე უხვი მოსავალი იცის. პატრონი მე- ტად ძვირად აფასებდა ასეთ მიწას და ვისმე წართმევა რომ მოეღმებინა, უმალ თავს შეაკლავდა, სანამ თუნდ ერთ ფეხის დაღვამა მიწას დაანებებდა.

ზემოთმოტანილი თქმაც იმიტომია დარჩენილი ვისიმე მუქარის გასაბათი- ლებლად და უღრის: მიჰია და ნაფუ- ძარის თავი ჩამოშოქრანს, რომ ამით სასიკედილოდ გამაბოროტოსო!..

ნაფქვავე ჰრდ. პურის ფქვილი, ფქვილად ქცეული მარცვალი. ზვ. ქკუა, გონი- ვობა. შტ. ბეგის ნულარ ნაფუქვად, მოიტა ჩქარა იოხერი ფალიონი, თორო, ხო იცო, მე ცოტა ნაფქვავე მაქვს, კიდეც გაუჯაერდები (ვაფა-ფშაველა).

ფქვილი, რომლისაგან ცხებვა პური, ჩვენს გლეხს ასოციაციით მიუშვავსე- ბია ადამიანის ჰკუისათვის, თუ ეს თავ- ში არ არის, კაცი ველარ კაცობს. ქკუა- ნაკლებ ადამიანზე იტყვიან ხოლმე: უნაფქვოდ არისო!..

ნალარასა სცემენ ჰრდ. საყვირს აყვირე- ბენ. ზვ. ყველას აფრთხილებენ, ატ- ყობინებენ მამაძალა, დაუფარავად: ესა და ეს ამბავი მოხდაო, ან სამიშ- როებთაო. შტ. რუსეთის გაზეთები, რაც ძალი და ღონეა, ნალარასა სცემენ, რომ აქაურს წესებს ცვლი- ლება მოეღოსო! (ილ. ჰავევაძე).

ნაღების მოხდა ჰრდ. რძეს ზემოდან მო- ქცეული ცხიმი რომ მოაცილო. ზვ. რასმე რაც საუკეთესოა აქვს, მოაცი- ლო. სხვის ნაკეთობით სარგებლობა, აღება საუკეთესოსი. შტ. დაღვა ში- მოღგომა. კაცის მარჯვენამ მთა-ბარს, მინდვრებს ნაღები მოხადა; დარჩა გახრიოკებული დეღამიწა (ვაფა-ფშა- ვლა).

ნაღები ჰრდ. ცხიმი, რომელიც რძეს თავ- ში მოქცევა. ზვ. რისამე საუკეთესო ნაწილი. შტ. ჩვენს საკუთარს სუფ- რაზედ სხვანი ძლებიან, ჩვენის საყუ-

თარის ჯამიდან სველ ლუქმას სხვა იღებს. ჩვენი ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს (ილ. ჰავჭავაძე).

ნალექი ჰრ. კბილებით ნანაყი, დაფშენილი. **სჯვ.** გაკეთებული ტანჯვითა და წვალბით; რაც კველამ ილის, ყველას გაუგონია. **შრ.** ანბანის მწყურვალთ შეუწონავ სჯას და საუბარს, ინტელიგენცია ჰყვირის: დიდის ხნის ნალექსა ხელახლად გვაკონინებესო! (ილ. ჰავჭავაძე).

ნალექლას განივება ჰრ. ნალექლას ბუშტის გაღვება. **სჯვ.** დიდი დარდის გაჩენა, უზომო მწუხარების შემოწოლა, წუხილი, კმუნება, ურავა, სევდა. **შრ.** ეს იყო ბექედი მისი ნაილაჯობით გამოკვებისა. გულ-ღვიძლი დაეთუთა, ნალექლა გაუსივადედის სქერამ (ს. შგლობლინოვილი); **შრ.** მაზლ-რძალი გულზე სკდებოდნენ, სიბრახისაგან ნალექლა უსივდებოდათ. (გვ. მენთეაშვილი). **ახ.** ნალექელი.

ნალექლას დასხმა ენაზე ჰრ. ნალექლას მოაქურება ენაზე. **სჯვ.** მწარე სიტყვების ხმარება ლაპარაკში, პირიდან ტკბილის სიტყვების ამოუშვებლობა. **შგლ.** რა ნალექელა დაიისხი ენაზე, შე კიი ქაქო! ერთი ტკბილი რამ გამოურიე. **ახ.** ნალექელა.

ნალექლას დაქცევა ჰრ. ნალექლას ჩაღვრა სხეულში. **სჯვ.** გაანხლებება, გულის მოსვლა, ბრახი, აღელვება. **შრ.** ისეთია ეს დედაქაქი, სულ ნალექელა დაქცევა, წამოვიდა, დაწვა, მოიავადმყოფა თავი, წევს და კენისის (თ. რახაეაშვილი).

ნალექლას ჩაწურება გულში ჰრ. ნალექლას ჩაქცივა გულში. **სჯვ.** გულის დადარდიანება. მწუხარებას რომ დაეჩაგვრინება ქაქი. **შრ.** ეს რომ მტოდნოდა (რომ — ბატონსა და ყანის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიღვება), ღმერთსა ვფიქვად და ჩემ მამა-პაპის სალოცავსა, გულში ნალექლას ჩაეიწურავდი და იმის (ბატონის) სიყვარულს კი იქ არ ვავითარებდი (ილ. ჰავჭავაძე). **ახ.** ნალექელი.

ნალექელი ჰრ. სითხე მწარე, მოყვითალო. ან მოწწვანო-ყვითელი. გამოიყოფა ღვიძლისაგან. **სჯვ.** ბრახი, დარდა, სიციხარე. **შრ.** დედა ვარ შენი, დედა... ნალექელი გაქვს რალაქა და არ მეუბნები (ილ. ჰავჭავაძე).

ნალექლას სითხეს, როგორც ითქვა, გამოჰყოფს ადამიანისა და ცხოველის ღვიძლი. ითვლება თორმეტგოჯა ნალექებში საძლის მონელების საშუალებად. მერად მწარეა. ნალექელი გადაქცეულია სინონიმად ყოველისავე მწარისა. ანალოგიით, ალბათ, ასე მიეცა სიმწარის მნიშვნელობა ჩვენი გაიწარების გამომხატველ გრძნობას — დარდასა და სხვა მის სინონიმებს.

ნალექლას ხატოვანი მნიშვნელობა შემონახულია აღმოსავლურ ენებში — სპარსულსა, არაბულსა, თურქულსა და სხვა ენებში; შემონახულია ევროპულ ენებშიც: ფრანგულსა, გერმანულსა, ინგლისურსა, იტალიურში.

შემდეგი ქართული თქმები აშკარა მაჩვენებელია ნალექლის ხსენებასთან დარდის, მწუხარების, კაქშის წარმოდგენისა იმ კაცის შესახებ. ვინც ამ ნალექლით შეპყრობილია. დიდის და ხანგრძლივი კმუნვის, დარდისა თუ გაანხლების დროს, საერთოდ გულის მოსვლის დროს, გულის ცემის გახშირების გამო, სიმპტიურ ნერვის სისტემა აღგზნებულია, რაც იწვევს ნალექლის საღინარის ნერვის (ductus choleochos) დახშობას. მაშასადამე, ნალექელი გროვდება ბუშტში და ამ ბუშტის მოქულობა დიდდება, ანუ, როგორც ხატოვანად ამბობს ხოლმე ჩვენი ხალხი, ნალექლა სივდებაო, რაც ნიშნავს უზომო სიბრახეს.

ნალექლისაგან წარმოებული სიტყვებია: დანალექლიანებული — დადარდიანებული, დამწარებული; ნალექლა — სინანული, ბრუნვა; ნალელიანი — სეიდინანი, დარდიანი; ნალელიანობა — მწუხარება.

ნალექლის ჰამა ჰრ. პირში ჩაშვება მწარე ნალექლისა. **სჯვ.** დიდი დარდისა, ფიქრისა და მწუხარების განცდა. **შრ.** არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნალექქმულია (შ. რუსთაველი). **ახ.** ნალექელი.

ნალექლმა დაიგდო ჰრ. ნალექელი მოერიოა. **სჯვ.** მეტად დანალელიანდა. დარდმა გაანდღურა. **შრ.** იმ ცხოვრებულს არ ჩამოუვარდება. თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის... მას აქეთ და იგდო ნალექელმა (ილ. ჰავჭავაძე). **ახ.** ნალექელი.

ნალექლ-პირის გადაყრა ჰრ. გადანაქ-

ელბა ნალველ-ქირისა. სყვ. მოშორება დარდისა, გამზიარულება. შერ. შიდ ამოსულხარ ალეის ხე, გადაუყრა კაცს ნალველ-ქირსა (უბიჟაჟა). ის. ნალველი.

ნალვერდალზე წოლა პრ. ანთებულ ნახშირზე სხეულის დადება სიგრძეზე. სყვ. წვალბა, დაგვა, პატერი, მწუხარება, დარდ-ნალველი. შერ. კაკლუანი რომ გაოვიგებულ ნალვერდალზე იწვენენ და ილაგებოდნენ, ველარტ თევდორაანი წამოწოლილიყვენ ვარდის ფურცელზე საინეტაროდ (ვ. ბარნოვი).

ნალველის გაწევა პრ. ნალველის გატანა. სყვ. დარდი, ურგა, ნალვლობა. შერ. არტემ მინაიჩი — ვა! რა მენალველებბა?... (კეკეს ხეწნით) კეკე, შვილო!.. შენ თქვი, გრიგოლ არ მიწდათქო და ისეთ კაბას გიყიდი, რომ ჩინეთში არ იყოს იმისთანა, პა!.. კეკელა — თქვენ რა გენალვლებათ?... მე-კი ვიცნობ და! — არტემ მინაიჩი — ვა! „რა მენალვლებბა?“... მაშ ვინ გასწევს ნალველმბა? (რ. ერისთავი). ის. ნალველი.

ნაყე-ნაყეთ თქმა პრ. თითქო ნაყავს რასმე, როცა ლაპარაკობს. სყვ. მიძიმე-მიძიმე. გაქირებთ ლაპარაკი, ნაწუკიტ-ნაწუკეტ. სენწებით თქმა სათელისა. შერ. ტირილისაგან აკანკალებულის ხბით ნაყე-ნაყეთ უთხრა (მომაკვდავა) (ბენისელი).

ნაცარი პრ. ყოველისავე წვის ნაშთი; სყვ. საღისებით დამწვარი კამ. შერ. რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წულობა, რომელიც დიდის წინ ნაცარად იტყევა ხოლმე და დაბლის წინ — ცეცხლად?! (ილ. ჰავეაჟაძე).

ნაცარს ავფშრუკავ და იმასა ვჭამ (ოლონდ ეს რამე არა ვჭნა) პრ. ნაცარს წყალს გაელესავ, მოვადლებ და ვჭამ. სყვ. საქმეს გავიჭირებ, ყოველგვარ წვალბას ვანვიცი. ვიშიმ-შიღებ, ვიწურვიღებ, ოლონდ წადილს ვეწო. შერ. ნაცარს ავფშრუკავ და იმასა ვჭამ და ილოს კი მოჯამავირდ არ დაეყენებ (შელანია); შერ. კარგი დიასახლისი ნაცარს მოთუთქავს და ქმარ-შვილს კი არ დაამშვიეს-მეთქი (ივ. შაჰვარიანი).

ნაცარ-ტუტის ადენა პრ. ცეცხლის მოკიდების შემდეგ ნაცარტუტა რომ აუფა დამწვარს. სყვ. დაწვა, განადგურება, მოსპობა, გადაბუგვა. შერ.

გაუგზავნა მოციქული: გამოცხადდი ჩემ წინ შენო, თუ არ მოხვალ. შენს ქვეყანას ნაცარტუტას ავადენო. (ილ. ჰავეაჟაძე) შერ. თუ მალრიბის სახელმწიფო ებლავ არ დაეამხეთ და დედამიწსთან არ გაეასწორეთ, უფრო მეტად გაძლიერდება, ჩვენს ქვეყანას აიკლებს. ყველგან ნაცარტუტას ამოადენსო (თორღალაული); შერ. მაშ ლეკებს, სპარსოს ალებს რა ეუთო, დაეჭრათ ყელები? რად დაგავიწყდა, სოფელო, როგორს ნაცარტუტას გადენდნენ! (ვაჟა-ფშაველა).

ნაცარში ჯდომა პრ. ამა თუ იმ ნივთიერების წვის ნეშტზე გორაობა. სყვ. გლოვა. ტირილი, მწუხარება, დარდი, ნალველი, თავის შერცხვენა. შერ. ვკითხე თუ: „რად ზი ნაცართა, ან რად სტარ ცრემლითა ცხელითა? (ქაიხოსრო).“

ძველათ ქართველებს ჩვეულებადა ჰქონდათ, გლოვასა და მწუხარებისა და ავრეთვე თავის დამცირების ნიშნად იწვენენ კერის პირად, ულოგინოდ, ჩალაზე ან მისს მსგავს ძონდ რაზედმე. თმა-წყერს მოუშვებდნენ, ტანისამოსს არ იცვლიდნენ, გორაობდნენ ნაცარში, ნიშნად დიდი უბედურებისა და უსაზღვრო მწუხარებისა. ნაცრის მოთუთქვა ის. ნაცარს ავფშრუკავ და იმასა ვჭამ.

ნაცარქექია პრ. ვინც კეკასთან ნაცარსი ქექს. სყვ. უქნარა, ზარმაცი, უმპანისი. შერ. თუ ვახსოვო, ნაცარქექია მსელი ყველი დაიჭირა ხელში, მოუჭირა, წყალი ვადინა და ჰეიჭობდა: სხეას ასე ეგონება, ასეთი ღონიერი ვარო. რომ ქვასაც კი წყალს ვადენო (ილ. ჰავეაჟაძე); შერ. დედამ მომისმინა საჩივარი, შეკრა წარბებში და მითხრა: „როგორ ამხელ სირცხვილით, შე ნაცარქექია — შენაო?!“ (ვაკი).

ნაცარქექია — ხალხური ზღაპრის გმირია, რომელიც ერთადე კერასთან იჯდა და ნაცარს ქექავდა. მთელი მისი საქმიანობა ამითღა გამოიხატებოდა. გადატანითად ყოველ უქნარა კაცს აქედან დაერქვა ნაცარქექია.

ნაცარში ჩაბერება პრ. ყოველისავე წვის ნაშთში ჩარჩენა სიბერემდე. სყვ. შინ, გარეთ გაუსეულად. დაბერება (გასათხოვარი ქალზე ითქმის), გაუ-

თხოვრად დარჩენა. უღრ. თავი რომ გაგახებოთ, ვილა შემოგხედათ, თქვე შავ-ღღებე გარჩნალებო, ვილა?! უნდა ჩაბერდეთ ნაკარში, თქვე უბედურებო! (დ. კლიაშვილი).

ნაძირალა პრ. დანალექი, რომელსაც იძლევა რონელიმე სითხე. სვ. ყველაზე უარესი, ცული, ზნეობით გაფუჭებული, გახარხნილი, ავახაკი, ბოროტოქედი.

ნაწიბურის აშლა პრ. ტანისამოსის არშის აღწევა. სვ. საქმისგაფუჭება, ხელის მოკაფა. უღრ. ახლა კი მის დედაკაცურ სირცხვილს მთლად აქაშალა ნაწიბური (დ. მაჩხაშვილი).

ნაწილი არ უნახავს ის. პირში ნაწილი არ ჩასულა.

ნაწლავები დამეხვეწა პრ. ნაწლავები დაეწმინდა. ნაწლავები ცარიელია. სვ. ძმური ვარ, მუცელი ცარიელია. მგლ. კუჩის აშლის გამო ნაწლავები დამეხვეწა, არ ვიცო, რა მეშველება.

ნადახვეწა იხმარება სახვეწავით ხოსაგან ძაფის დასუფთავებისას. ამ შემთხვევაში ადამიანის ნაწლავი ეღარება დაეწმინდა ძაფს. ამბობენ აგრეთვე, დაეწმინდა ენა აქუსს, როცა კაცი ნატივ სიტყვებსა იხმარებს.

ნაწლავები ნაწლავებზე ხომ არ გიბიათო? პრ. ნაწლავები ერთიმეორისაზე ხომ არ გაქვსთ გადანასკვილებიო? სვ. განუყრელი მეგობრები ხართ, უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეგიძლიათ. მგლ. რა აზრია, რომ უერთმანეთოდ ვერა სძლებთ, თითქონაწლავები ნაწლავებზე გადაგიბამსთო!

ორ ადამიანის ნაწლავების ერთმანეთზე გადაბმა ხატოვანად გულისხმობს მათს მკიდრო მეგობრობას, სიყვარულს, მარადეაშს ერთად ყოფნას, კირსა და ღბინში განუშორებლობას, უერთმანეთოდ გაუძლებლობას.

ნაწლავები უჩანს პრ. მისი ნაწლავები გარეწესათვის სახილველია, გამოშვლებულია. სვ. ძალიან უჭირს, რაც შეუძლია, თავს ძალას ატანს რისამე გასაკეთებლად. უღრ. მაგის მამას სისაწყლისაგან ნაწლავები უჩანს (დ. მანთაშვილი). ის წელზე ფეხის დადგმა.

იგულისხმება, რომ მეტისმეტი ცდილობა და დაძაბვისაგან ნაწლავი ადამიანისა

მის გვამიდან გარეთ გამოდის. და ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე - ნაწლავები უჩანსო. ამ თქმისავე ფარდია თქმა: ნაპურკლები უჩანს ანუ ნაკაპურტები გამოდისო.

ნაწლავები ჩივიან პრ. ნაწლავები უქაყოფილებას გამოსთქვამენ, საქვებს თხოულობს რასმე. სვ. როცა უნდათ თქვან: ძალიან გვშია, გვაკამეთ რამეო. უღრ. ყაბანაშვილმა თითქმის ბურანში წამოიძახა ბოხის ხმით: შე დალოცვილო დიამბეგო, თუ გვაქმევი, გვაკამე, თორე ნაწლავები ჩივიან (ილ. კვაჭავაძე).

ნაწლავებში დაწყვლობა პრ. ნაწლავების დაწყვა. სვ. ძალიან დატანჯვა, სიკვდილს მიახლოება. უღრ. მეც აი, ქალის ამარასა ვარ, დაწვი, დავდაგე მეგვა, ეგ ბეჩავი, დაწყდა ხაწყვებში (ვათა-შაველა).

ნაწრთობა პრ. ცეცხლში გამოყვანილი რკინა ან ფოლადი სვ. გამოცდილი, ხასიათმტკიცე. უღრ. გონება ისე არწმუნდება დედაკაცს, მაგრამ ცხოვრებისაგან ნაწრთობს, ბევრჯელ შემკრთალ-შეშინებულს, ეხლაც უცნაური საშიშროება ელანდებოდა (ვ. ბარნოვი).

იგულისხმება გაქირება შეჩვევა და მოთმება, გაძლება ყოველგვარ ნაკლებულობისა, იმისვე მსგავსად, როგორც ფოლადს ან რკინას აწრთობენ ცეცხლში, რომ ძალიან მაგარი და მტკიცე გამოვიდეს.

ნაკუპურტები გამოიღინა ის. ნაკურტლები გამოიღინა.

ნახევარი ვერ დათვალოს (იმდენი მივარტყა) პრ. ნახევრის დათვალა ვერ შესძლოს. სვ. ბევრი, მრავალი. უღრ. არ ვისმის და მე გაავაგებინებ, ერთი დღერთმა ბრძანოს და ენაბო კიდევ მივყოფაში! გაგიხარაო, იმდენი მივარტყა, ნახევარი ვერ დათვალოს! (ვათა-შაველა).

ნახელაო პრ. რაც ხელში გქვრია, რასაც (მადლიანი) ხელით მიჰკარებხარ. სვ. საჩუქარი, წყალობა, საბოძვარი. მგლ. შენი ნახელარი ღიდხანს და ღიდხანს ნუ შრამიშალოს.

ნახელარი გულისხმობს საბოძვარს. და რადგან ყოველი საბოძვარი თუ წყალობა მაჩუქებლის ხელიდან უნდა გამოსულიყო, ეს ხელი მადლიანად ითვ-

ლებოდა, როგორც სამადლო საქმის მთესიელი. სიტყვა ნახელარ-ს ხატოვანად მიეცა მნიშვნელობა მოწყალებისა, გაკითხვისა, შებრალებისა.

ნახტომი ჰრღ. მიწიდან ამოვრება ძალის დატანებით, ერთი ადგილიდან მეორე ადგილას მოქცევა. სტვ. უცბად გადავიდა ერთ საგნიდან მეორეზე, თანამიმდევრობის დაუცველობა. ჰრღ. მაგრამ ამ ლიბერალს კული საქმე დაემართა. უცებობის ნახტომში აქ ისეთი დიდი მოუვიდა, რომ თავმოწონებული ლიბერალი, მისდა დაუკითხავად, რეტორიკადაც წარეში მოექცა (ილ. ჰავაიაძე).

ნახტომის გაზომვა ჰრღ. გასახტომი ადგილის გაზომვა, რომ იცოდე — შესძლებ თუ არა გახტომას. სტვ. მოიქცევა, სიფრთხილედ, წინდაწინვე აწონ-დაწონევა გასაკეთებლის თუ სათქმელის რისამე. ჰრღ. მოითქვე კარგად, ნახტომი კარგად, დინჯად გაზომე. რომ მეგრე სანახურწ არ გაჯიხდეს არც შენ და არც შენს მეგობრებს (ს. მგალობლიშვილი).

ნახტომის შეშლა ჰრღ. მარცხად, უხერხულად გადახტომა ერთ ადგილიდან მეორეზე. სტვ. დაბრკოლება, ხელის მოსარება, წინდაუხედავობა, მოუსახრებლობა, უკულმართობაზედ დადგომა. ჰრღ. ნუ თუ, ბ-ო უორდანიავ, აქა. უ წაკითხულის გაგებაზე მწერალად მძიანებულხარ? ნუ თუ აქა. ნახტომი შეგშლიათ და ვერ გაგიკითხებინ? (ილ. ჰავაიაძე). ჰრღ. რა თქმა უნდა, მხედართმთავრად ან ბეთის გამგებლად ეგვიპტეს რომ ჩვენი ავტორი (ხარ. დონი) ჰყოლებოდათ, უფრო შორსაც წავიდოდნენ. ვითომ ნახტომი შეგშლებოდათ, თუ? (ილ. ჰავაიაძე).

ნახტომშეშლილი ჰრღ. ვისაც უხერხულად, მარცხად მოუხდა ერთ ადგილიდან მეორეზე გადახტომა. სტვ. სიმართლეს, პატიოსნებას აღდენილი, უკულმართობაზედ დამდგარი, საქმე-არეული, ხელმოსარული. ჰრღ. ქიზიყის დეპოსაგან ნახტომშეშლილში ვაქიარ-ჩარჩებმა აგერ ნახივარი წელწინადა ახალ მოდად შემოიღეს ამერიკის ანუ მატური რეკლამების გზაზე (ს. ლახარიძე).

ნახშირა ჰრღ. ნახშირის მსგავსი. სტვ.

მეტად შავი, უშნო. ჰრღ. მუქი კი არა, სწორედ ზანგია ეს-გულშეკვდარის შეილი.

— მწირიანათ ჯიშია და ქუპრში გამოსული!

— აფსუსი არ არის, ამ თეთრ ბიქს ნახშირა გოგო ჩაეკრას გულში (ვ. ბარნოვი).

ნახშირი არ დამიწვია და კალო არ გაულეწილა ჩემს თავზე, თორემ სხვა ყველაფერი გადახვდოდა. ჰრღ. ნახშირის საწვავ ქურაში ნახშირი არ დამიწვავს და ჩემს თავზე პური არ ულევსითა, თორემ სხვა გაქირებდა არაფერი დამეკებოდა. სტვ. ვინ იცის, რა არ გადახვდებოდა თავზე. ვინ იცის, რა უბედურება არ გამოიპყდოდა! მგლ. ისეთი გამოსული კაცი ჩვენში მეორე არ არის, ნახშირი არ დაუწვიათ და მის თავზე კალო არ გაულეწიათ, თორემ სხვა ყველაფერი გადახვდებოდა თავს.

ნახშირის საწვავად მალად ადგილს იჩრევენ. აქ საქურედ მარკველად ამოიკრება ორბო, რომელსაც დაბლა გაუკეთდება კალო ანუ მოსწორებული ადგილი, ადვილად მისატრიალებულ-მოსატრიალებლად. ქურას ზემოდან შეშის ჩასაკეთებელი აქვს, ქვემოთ—სათალე, საიდანაც დაწვის შემდეგ ნახშირი გამოაქვსთ ბოლმე. ზემოდან შეუკეთებენ ქურის სიმაღლე შეშას. მეგრე ქვევითდნ ცეცხლს მისტმენ. ცეცხლი რომ გაძლიერდება, ქურას მიჰკეტავენ! მიწითა, ტალახითა ანუ დატრალაძავენ. ქურამ უნდა იბოლოს, რადგან ბოლი სრავს სანახშირე შეშას. რომ ჩაიწვება, შეშას კიდევ ჩაუმატებენ. როცა აივსება შეშით, ზევიდან დააყრიან ოფეტს ანუ ჯორ შეშას (სამი ჩარეკი სიგრძისა, რაც ჯორს აეკიდება). ოფეტი ნიღლი შეშისაა. ზემოდან ცეცხლმოკიდებულ და წვავათავებულ შეშას დაეყრება. კარგად უნდა დაეფაროთ, რომ ჰაერი სათვალედან არსიდან შევიდეს, თორემ თუ, ერთი ბეწოც არი, ჰაერი შევიდა, ერთიანად ჩანავლდება. ეგვე ოფეტი აქრობს ცეცხლმოკიდებულ შეშას და ნახშირად აქცევს.

შეშა ნელი წვისაგან ნახშირდებოდა. ერთი ქურა შეშის დაწვას ნახშირის მიხედვით სამი დღე-დაღამე სჭიროდა. სულ დიდი და განუწყვეტილი ფიზიკობა უნდოდა. გამომწვარი ნახშირი ერთ

ლამიდან შუადღემდე გაცივდებოდა და გამოიღებდნენ ჩოგნებით (ხის ჯოხებით) ქვეშოდან.

ნახშირის წვის პროცესში მენახშირენი დღე და ღამე მოუსვენებელივ თაყს დასტრიალებენ ქურას. დიდი შრომა და სიფრთხილე მოეთხოვებოდათ. ქიზიჯში, მაგალითად, მთელი ამბავია ნახშირის წვა. იდიან სოფლიდან 10—15 კილომეტრის მოშორებით ტყეში, სადაც მთელი ორი კვირა ჩრებიან.

ნახშირის წვისათვის საჭირო წვალეების გამო ნახშირის წვა ვადაქცეულა სიმბოლოდ განსაკუთრებული ეურადღებისა, მოუსვენებლად და უძილოდ გატარებულ არა ერთ და არა ორ დღე-ღამისა, განუწყვეტელი სიფხიზისა, რაზედაც დამოკიდებულია წარმატებით და სასურველად დაითავრება დაწყებული რაიმე მთიმე საქმისა.

ამავე მნიშვნელობისაა სურათ-ხატოვანად ხმარებული თქმა: ადამიანის თავზე კალოს გაღევვა. ძნების გაღევწის დროს კალოზე ანუ მრგვალად მოსწორებულ ადგილზე მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე გარშემო ტრიალებს უცვრამობმული ერთი (ზოგჯერ ორიც) უფელი ხარი. ახლა წარმოგიდგენიათ, ვინმემ რომ ვისსამე თავზე კალო გამართოს, რა დღეში ჩაივარდება მისი პატრონი!...

რავიერ პროცესი სოფლის მეურნეობისა, როგორც ხედავთ, გამომხატველია უსაზომო შრომისა, რომელიც წელში სწყვეტდა ხოლომე სოფელს. ამიტომაცაა დარჩენილი ზემოთხსენიანი თქმა. ეს თქმა გამოხატავს ადამიანს, რომელსაც, ვინ იცის, რა არ გადახდენია თავზე, რა სიმწარე არ უნახავს, რომელსაც თუ სადღე ავი და კარგი იყო, არაფერი დაჰქვებია; თუ აკლია რაზე, მხოლოდ როლი ნახშირის მწველისა და გამართვა მის თავზე კალოსი, რომ სხვას ზედ ეკალოვნა და მისთვის არც-კი მკითხნა, თუ რა უნელუმელ ცეცხლში იყო ჩაიარდნილი!

ნახშირს ხომ არა სწვამ? პრ. ისე იქცევი, როგორც ნახშირის მწველი იქცევა. სვ. რასა ძუნწობ, რას მონჭირებობ, ნუ ხარ ხელშოკერილი. მგლ. შე კაი კაცო. რა იქნება, ე ხილი ცოტა მერი გამოაყოლო, ნახშირს ხომ არა სწვამ?!

ნახშირის წვის დროს ქურაში ნახშირად გამოსაწვავ შეშას ისე გამოზოგილად, ისე ზუსტად ჩააწყო-

ბდნენ, რომ არც მეტი მოსულიყო და არც ნაკლები. სვ. როცა ვინმე ვისმე რასმე აძლევს და მიმცემი გამოზომილად, უმეტრ ნაკლებოდ აძლევს, მიმცემი, ცოტა არ იყოს, საუვედურის კილოთი ეუბნება: შე კაი კაცო. ნახშირს ხომ არა სწვამ, რომ ან მეტი არ გამოაყოლო ან ნაკლები არ მოგაცივდეს?! ცოტა მეტი რომ გამოაყოლო, რა იქნება, ქვეყნა იომ არ დაიქცევაო?! იხ. ნახშირი არ დამიწვია და კალო არ გამიღეწინა ჩემს თავზე.

ნაჯოგარი ხარია პრ. ჯოგში ნამყოფი ხარი. სვ. გასუქებულნი. გალალებული. მგლ. ე კაცი ნაჯოგარ ხარი ეით არ დადის?!

ხარ დასაკლავად რომ გამოარჩიევი, აღარ ამუშავებენ. ერთ ზეთოსა ჯოგში გაუშვებენ. იქ ხარი გასუქდება, გალალდება, გათამამდება და ამის შემდეგ დაკლავენ. ხატოვანად გასუქებულ, გათამამებულ ადამიანზე იტყვიან: ნაჯოგარ ხარსა ჰვავსო!

ნებიერობა ხორცისა პრ. ფუფუნებით შენახვა სხეულისა. სვ. გადამეტებული ზრუნვა ხორციელი ცხოვერებისათვის. უფლებელყოფა სულიერი ცხოვერებისა. შრ. ნებიერობა ხორცილისა სულისა წარსაწყვებდია (დ. ზურაბიშვილი).

ნებით თუ უნებლიეთ პრ. და სვ. ჩემის სურვილით თუ ჩემდა უნებურათ, მინდა თუ არ მინდა. შრ. არა, თადეობ, ბევრჯელ გარემოება ისეთს შემიბხვევას მიავყენებს კაცსა, რომ ნებით თუ უნებლიეთ კლამს მოაკივლებინებს ხელსა. ავმა კაცმა რომ ბრძოლა დაგიწყოსთ, ხელს არ გამოიღებთ? (ილ. კვაკვაძე).

ნებით და უნებლიეთ. იხ. ნებით და უნებლიეთ.

ნეკზე კბენა. იხ. თითზე კბენა.

ნეკის დაკარება, პრ. ნეკის შეხება სხეულის რომელსამე ნწილისათვის. სვ. სულ უმცირესი სიძლიერით დარტყმა ხელისა ვისთვისმე ხორციელ ტკივილის მისაყენებლად, შესაშინებლად. შრ. სამაგიერო არა დამიშავებინა-რა, არცროდის არავისაგან ნეკი არ დამკარებინა (ს. მგალობლიშვილი).

როცა გვიანდა მოწინააღმდეგეს ფიზიკური შეუარაცყოფა მივაყენოთ და ხელში იარაღი რამ არ გვიქირავს, ამი-

სათვის ამ შეურაცხყოფის მიყენების საქმეში ჩვენის ხელის ხუთივე თითი ღებულთს მონაწილეობას (სილისა თუ მუშტის სახით); რათა ტკივილის გრძნობა მაქსიმალური იყოს. ხოლო როცა ხუთისავე თითის მაგივრად მარტო ნეკის დაკარებას დაეაქისრებთ ჩვენის წადილის ასრულებას. რა თქმა უნდა, ეს არამეტოე მინიმალური ტკივილიც არ იქნება. არამედ იქნება ჩვენება იმისი, რომ ჩვენა გვსურს მოწინააღმდეგეთომ შევწავინათ ვაიძულეთ მოგვერიდოს და ჩვენს ხელს (თუ ხელებს) საგრძნობი და ეფექტური სუსხი არ გავმოტყუოს.

ნეკი ძაფი ჰრ. ნეკის სიგრძე ძაფი. სჭვ. სულ ცოტა, მკირე რაოდენობა. უღრ. მდინარაახთ მარიამსი ერთი ნეკი ძაფი მმართვეს და შივიკით, ჩემს სულს ნუ დაუძძიმებთ. (ბენიკლი).

ნეკნეში ჩემი აღარ არის ჰრ. ჩემი ნეკნეი თითქო სხვისი იყოს. სჭვ. დამამტკრიეს ნეკნები, მწარედ იცემის. უღრ. შექოვიდა (გოორჯი) თაელაში, ჩხუბი დამიწყო, გამლანდა, გავლანძღე და ჰერე ამომიღო ქვეშ და ისე გამხადა, რომ ნეკნები ჩემი აღარ არის (იღ. კაპაპაძე).

ნემსზე დასაცემალა ჰქონდა საქმე ჰრ. ნემსს უნდა წმობგებოდა. სჭვ. მეტად ცუდადა ჰქონდა საქმე, ძალზე უქირდა.

ნემსი არ ჩაიგდებოდა ჰრ. ნემსი არ ჩაეტოდა რამიმე. სჭვ. დიდი ვაწრობა (დიდძალ თაემოყრილ ხალხზე ითქმის). უღრ. მთელი ქიზიყის ეკლესიებში ნემსი არ ჩაიგდებოდა. ისე იყო ხალხით დატენილ მარიამობის თვის მარხვაში (იორეს-პონდნეია ქიზიყიდან "იგ." 1892, № 218); უღრ. ცოტა ხნის შემდეგ შევედით ახალს ეკლესიაში. სადაც ხალხის სიმრავლისაგან ნემსის კუნწი არ ჩაეწარდებოდა (გ. ფარადა-შვილი); უღრ. რა გორაბისა ქვეყანასა მივიდა, რამინ ნადრობით მომავალი, წინა ემთხუა, ეგზომი ნადირი დაეხლიცა, რომელ მთა და ბარი ველარ იტედა, ავაზისა და ძაღლისაგან მიწასა ზედა ნემსი აღარ დაეწარდებოდა (ავისრამინი).

ნემსის გადაბრუნება ის. ჩხირის გადაბრუნება.

ნემსის ყუნწში ძაფს არ გაუყრიდა

(ვისთვისმე) სჭვ. სულ უბრალო რასმე არ გააცთებდა, ზარმაცი იყო, დაუღვეარი. უღრ. მათი გულისათვის ნემსის ყუნწში ძაფსა არ გაეყრიდა ხოლმე, — არა მცალიანო (ავაი).

ნემსის ყუნწში გაძრომა ჰრ. ნემსის ყუნწის ბეორე მხარეს გაძრომა. სჭვ. ძალიან მონდომება, არაფრის დაუზოველობა, თავისი უკიდურესი გაკრების მიყენება გულისნადების ასასრულებლად, მიზნის მისაღწევად. მეტად ძნელი საქმის გაკეთება. უღრ. ისეთნაირად ქეთინებდნენ სიმები, თითქოს ქვეწკის ტანჯვა უნდოდათ ნემსის ყუნწში გაეძკრინათ და ისე დაედნოთ (ავაი). უღრ. მუცელას თუმცა არ შეეფერებოდა ეს დიდებული კაცის სახელი. რადგან მისი „მოსახლე“ ასეთი წერწეტი და წერილი იყო, რომ ნემსის ყუნწში გაძკრებოდა (ავა-ფაჰაჰა). ის წელებზე ფეხის დადგმა.

ნემსის ყუნწი უმკირესი ხერელია, რომელშიაც მხოლოდ ძაფი თუ გაუკრება. ამ შემთხვევაში ნათქვამი გაზიადებთია და გულისხმობს ადამიანის მიერ თავის დაუზოველობას, ყოველისავე ღონისძიებას, უკიდურეს საშუალებისათვის მიმართებას, ღონდ საწადელს ეწიოს, გულისნადები აისრულოს.

ნემსის ძე გამოვლია ჰრ. და სჭვ. ნემსი არ უძევეს, ნემსი არ გააჩნია. მგლ. ჩემი ბავშვების გადამკიდეს ნემსის ძე გამომეღლია.

ნემსის წვერი ჰრ. ნემსის ბოლო გამახული. სჭვ. კერვა. უღრ. ჩემსა და მისგან შეძენილ საბლს შუა ერთი ქობმახი-ლა იყო. ღარიბი დედა-შვილი ცხოვრობდნენ და იქ დედაც, ქალიც ნემსის წვერით გამოდიოდნენ. (ვ. ბარნოვი); უღრ. კერვით, რეხვით მტკივა ცერი, რაც აყენიდან აეყენე (შვილი), გამიზრდია ნემსის წვერით (გ. ლუონიძე).

ნემსს ვერ გადააბრუნებდნენ ჰრ. ნემსის ვერადარბილება არ შეეძლოთ. სჭვ. ვერაფერს, სულ უმნიშვნელო რასმესაც ვერ გააკეთებდნენ. უღრ. მთელი რჯახის ჩარხი სულ გულის იტყვებეტრიალებდა, უიმისოდ ნემსს ვერ გადააბრუნებდნენ (მგ. მეთემ-შვილი).

ნვისის გაღაბრუნება ხატოვანად გვიჩვენებს ყველაზე ადვილს, ყველას, დიდს თუ პატარას, ღონიერს თუ უღონოს რომ შეუძლია; ისეთი საქმის გაკეთებას.

ნერწყვის ყლაპვა პრ. წყლიანი და ცოტათი უბოვანი ტენის ჩაშვება ყელის საშუალებით კუჭში. სჭვ. შეუსრულებელი ნდომის, შოუწედენელ წადილის ვანცდა. უღრ. სახეს (ღიაშვევისას) მოყვითანო ფერი დასცემდა, — ცხადი ნიშანი, რომ თავის სიცოცხლეში ბევრი ნერწყვი უყლაპავს (ილ. პეკუაჟე).

ნეტავი პრასა მეჭამა და ეს (ჩაშე) არ შექნაო პრ. პრასის ქაბა მერჩინვა, ამის გაკეთებას. სჭვ. სასირცხვილო, დასაბანი საქციელი.

პრასა მწარე და პირში უსიამოვნო სუნის დამტოვებელი ბოსტნეულია, ამიტომ ერთდებიან მის ქაბას, რომ მეზობელს, მოლაპარაკეს პრასის მკამელოს ცული სუნი არ მუხვიდეს.

ნეტავი შენ! პრ. ნეტარება, ბედნიერება მოგენიქოს, ყველა შენ შემოგნატარიდეს! სჭვ. რაჟო, რის გულისათვის რა ისეთი გაქირებაა, თავი დაანებე (რასმე კეთებას), ნუ იზამ (რასმე). რა ძალა გადგას, მოკიცილია. რა გიკირს, მოკილილი ხომ არა ხარ?..

ნეზვიდან ამოთრევა პრ. სიბინძურედან ზეით ამოკვანა. სჭვ. ვაკიოზისაგაჲ ხსნა. სირცხვილის ამოკება. უღრ. მაგ წუნელიანის შვილი. ნეხვიდან ამოვათრიე და დღეს ყოველნაირად ცდილობს სირცხვილი მოკამოს. თავს ლაფი დამახსნას, სასაცილოდ ვახადოს ჩემი სახელიო?! (დ. კლდიაშვილი).

ნეხვში მოსული პრ. ნეხვისაგან აღმოკენებულა. სჭვ. უთვისტომო. უღირის ჩამოთავლობისა. უღრ. დედამ გამზარდა მენაცა. ნეხვიჩი არა ვარ მოსკული! (ვაჟა-ფშაველა).

ნიაღვარი პრ. ერთბაშად მოვარდნილი წყალი სწრაფი და წამლევადი. სჭვ. საერთო, უტეობი უბედურება, ყველას რომ ეწევა. უღრ. რაჟი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მუყუანი თან მიჰქის (ილ. პეკუაჟე).

ნივრის ფახად პრ. იმად, რადაც ნიორი ფასობს ბოლომე. სჭვ. მეტად იაფად, თითქმის მუქლად. უღრ. აბა ხომ დავ-

ლილი მაქვს იქაურობა, მთელი ქარბელაქანი ხელის გულივით ვიცი, და სად მიხვალ, რომ ნივრის ფასად არ იყიდო ყველანაირი საქონელი! (მელანი). ახ. დამარჩა ნივრის ნაქურჩალი.

ძველათ, ბოსტნეულთა შორის, ნიორი ყველაზე მეტი მოჰყავდათ და ყველაზე იათადაც ფასობდა, რასაც ამტკიცებს დღევანდლამდე დარჩენილი ზემოხსენებული თქმა. ეს ბოსტნეული, როგორც ვიცით, მდიდარია ვიტამინებით და მისწრებაა სურავანდით დაავადების დროს, რაიც ადამიანს უჩნდება უვიტამინო საქმელის ხმარების ნიადაგზე. ამ ბოლო ხანებში ნივრის იმდენი კეთილისმყოფელი თვისება აღმოჩნდა, რომ ზოგთ იმედი აქვსთ, ფილტვის ქლექის წინააღმდეგაც შეიძლება მისი გამოყენებო...

ნიორი დანაყა სჭვ. საჯდომზე დაეცა ბაეშე. მგლ. ჩვენმა ახლადფეხადგმულმა გოგონამ რამდენჯერაც ფეხი გადადგა, იმდენჯერ თავი ეერ შეიმგზრა და ნიორი დანაყა.

ეს თქმა ხუმრობითია. სალალობოდ ხმარობენ, როცა ახლადფეხადგმული ბავშვი საჯდომით დაეცემა მიწაზე, გინდა იაჯაქზე. ხლოო საჯდომით დაეცემას იმიტომ უტოლებენ ნივრის დანაყას, რომ სიმწარე ამ ბოსტნეულთაგანისა გამოხატავს ტკივილს, ვაწარებას, საჯდომით ბავშვის დაეცემისაგან გამოწვეულს.

ნიორწყალი ახ. განიორწყლება.

ნიორწყალივით გადაეხსა ყველა პრ. ნიორწყლის მსგაჲსად დაეხსა თავზე ყველას. სჭვ. ყველა წააჩხება, გადაჰიდა ერთმანეთს, მშვიდობიანობა დაარღვია. უღრ აქეთ-იქიდან ძალღებოვით გვესვვიან და გვლანძლავენ! ნაცნობი. მოყვარე და მეზობელი აღარ შეგვარჩინა (ვახუთის თანამშრომელმა), ყველას ნიორწყალივით გადაეხსა (ნ. ახიანი).

ნიორწყალი შედგება დანაყილ ნივრისა და წყლისაგან. შექამანდად ხმარობენ. ცნობილია ნივრის საშინელი მკრალი სუნი, რაც ყველას არ უყვარს, და ასეთებში ზიზღს იწვევს ეს ბოსტნეული.

ამიტომ, რამ გადატანილად, მი-

მსგავსებით ნიერის სუნი გამომხატველია ჩხუბისა, უსიამოვნებისა და საერთოდ მშვიდობიანობის დარღვევისა.

ნირის შეშლა პრ. სხვადასხვა საგნებზედ დადგენილი ფასების გამოკლა. სვ. სწორო გზიდან აცდება, ხელის შეშლა, დაბრკოლება, ღირსების აცლა. შერ. ბაქარბეგს ნირი შეუშლა ახალმა ხანამ, აუფერტება და წმინდელ-დაბზინებული მეწეი (გ. ბარნოვი); შერ. მაშინ შენ თითონ გაჯიუტდი: აღარ მინდა, აღარ მიაგებდარ. მე ხირს არ შეგიშლი, თავს შემოგეეღე (გ. ბარნოვი); შერ. ჩაფარხანა ძირისპირიერთ წამოიტრიაცა, სიავსულით საივზე აღმური აედინა, — რად დამიქოა ბებერმა ტყუილებშიო, მაგრამ მაინც ნირი არ იტყვად და ბოლოს თავისს დედამთილს გადასწვდა, ვითომდა იმისგან გაეგონა (დ. მანაძე).

ნისლის გადაფარება პრ. ნისლის მოქცევა თავის ზეოდან. სვ. დაბნელება, დაბუდოვანება. შერ. გაუძლიერდა ეს სურვილი (თავის შევლისა), მთლად შეიპყრო ის ამ სურვილმა, იმის გონებაში ყველაფერს ნისლი გადაეფარა, ამ მისწრაფების გარდა (გ. ბარნოვი).

ნიღაბის ახდა პრ. ტყუილის სახის ჩამოკლა. გამოძეღავენება ვისიფე ყალბის სახისა. სვ. თქმა, რასაც ვფიქრობთ და რასაც მანამდის ვმალავდით; ნამდვილი სახის გამოჩენა. შერ. დროა ნიღაბი აეხადოთ იმეროს გუნდს, რომლის მეცრიერნი ასეთს ყოფას გააწევენ ქართველებს, დიდისა და პ. ტარის გამოუკლებლად (ილ. ჰეპკეაძე).

ნიღაბის ჩამოფარება პრ. სახებზე მუყაოს ყალბი სახის ჩამოკლა. სვ. მოსატყუებელი გარეგნობის ჩვენება. დამალვა ნამდვილი სახისა, სულ სხვა სახის ჩვენება, თავის მოკატუნება. შერ. მაშასადამე, თუ კრიტიკას დღეს ჩვენში ფეხი არ აუდგამს, ამის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და არა იგი, რასაც იძაბიან ზოგნი იმისათვის, რომ ჩვენს ლიტერატურას ამის თავმოწონებით უჟღერისობენ და მათელობენ... და ზოგნი იმისათვის, რომ საკუთარს უღობობას ნიღაბი ჩამოაფარონ — ბრალი თვით აიცილონ და თითონ ლიტერატურას დასდენ (ილ. ჰეპკეაძე).

ნიშადურის მოცხება პრ. ამონიაკის მა-

რილის მოცხება. სვ. წაქეზება, შეგულიანება, გაცხარება, სტიმულაცია, გამწვარება, გამოროტება. შერ. მაშინ ურთიერთმორისი ყისტი, ებტიბარი (კრედიტი), ნდობა ვატებლია, და როცა ეს არ არის ფრთაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნიშადურმოცხობა მოსცხონ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის მხოლოდობით წყარო ხალხის სიმდიდრეა, — ერთ ნაბიჯსაც წინ ვერ წაადგმევიანებთ (ილ. ჰეპკეაძე). შერ. ბევრ მოტრფეიანულს დასწყევტია გული მოულოდნელი გაკიცხვით, ბარე ორს, საქმოდ გაძხადებულს, ამოსცხო ნიშადური და მათი სიყვარული სიმულელად გადაიკეთა (აქაი).

ნიშადურმოცხებული პრ. ამონიაკის მარილმოცხებული. სვ. წაქეზებული, შეგულიანებული, გაცხარებული, გამწვარებული, სტიმულებული, გამოროტებული. შერ. ესეთი ტონიკები საქმე არ არის. ეს ნიშადურმოცხებული იმ ხტუნება და მალაყებია საქმე იმეშია, რას ამბობს ბ-ნი ფარდანი მასუხად ჩვენის საბუთებისა (ილ. ჰეპკეაძე).

ნიშანში ამოღებული პრ. ის, ვისაც უნდა ესროლონ. სვ. ათეალისწუნებული, მტრად მიჩნეული, მოსაკლავად გამეტებული. შერ. ბ-ნს ეზოყს ნიშანში ამოღებული ჰეპკე ქართველი და როგორ გაუძლოს გულმა, რომ თავს ლაფი არ დასახას, თუ შესაძლებელია (ილ. ჰეპკეაძე).

ნიშნის მოგება პრ. ნიშნის ჩვენება. სვ. საყვედური, სამაგიეროს ვადანა. ჯავრის ყრა. შერ. იწყინა ქალმა გამწვარ-გაცხარდა, შეუთვალა სიტყვა წვერმახვი; მაგრამ... მალე მიუგონიშანი: უ ეთესხედ გათხოვდა, გული იოხა (გ. ბარნოვი).

ნიშნობა ახ. დანიშნება.

ნოეს ვაზის ღვინო პრ. ბიბლიურ მამათაერის ნოეს ვაზის ყურძნისაგან დაწურული ღვინო. სვ. საუკეთესო ღირსების ღვინო. შერ. ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ! რა ზუნაა გამოსე!... სწორედ ნოეს ვაზისა იქნება! (ან. ერისთავი-ხოშტარია).

დაბადებამი ღვინო დაკვეშირებულია ნოეს სახელთან. მსოფლიოს ეგრეთწოდებულ წარღვნის დამთავრებისა და კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ ნოემ, თანახმად დაბადებისა, მიწის დამშე-

ვებს მიჰყო ხელი და მევენახეობა დაიწყო. რთვლობას ყურძენი რომ დასწრო. ღვინო იკვება და დათვრა. აქედან წამოვიდა ღვინის ქება და დღეს, როცა უნდა ღვინოს კარგი ღვინის გამომხატვა, ამბობენ: ეგ ღვინო ხოც ვაზისაო, ე. ი. სულ თავანჯარაა, უკეთესი არ შეიძლებაო.

ნოვ კილობანი ჰრდ. კილობანი, რომელშიაც თავს იფარავდა წარღვნისაგან ნოვ. სტვ. სრული, უზარმაზარი, დიდის ტვეადობისა. მგლ. თქვენი ოთახი სწორეთ რომ ნოვს კილობანიცა, ქვეყნის ხალხს დაიტყვის!..

თანახმად „ღაბადების“ ლეგენდისა, ისრავლთა მამამთავარი ნოვ. მისი ცოლ-შვილი და ცხოველები ნოვს მიერ შეკრულ კილობანში ისხდნენ, რომ თავი გადაეჩინათ წარღვნისაგან.

გადატანითად და ხუმრობით დღეს ლაპაოაქში ნოვს კილობანს უწოდებენ ყველა ვრცელ საძოფველს, საცა დიდძალ ხალხს შეუძლია თავი შეათაროს.

ნოვს კილობანსავე ვეძახით განსაკუთრებული ტვეადობის კურქელს რასმე, მაგ., საწახელს, ზანდუქს და სხვ.

ნოვს მტრედი ჰრდ. მტრედი, რომელიც ნოვს კილობანიდან აფრინა. სტვ. იმედის მოძნიქებელი, სასიხარულო მოამბე. უღრ. რასაკვირველია, შენ ჩქარა მოხვიდოდი, ჩემო სწრაფო მიმიხოვ! ჩემო ნოვს მტრედო! (ზანტონოვი).

თანახმად „ღაბადების“ ლეგენდისა, ნოვმ, მისმა ცოლ-შვილმა და პირუტყვთ განსაზღვრულმა რიცხვმა წარღვნის დროს თავი შეათარეს ნოვს მიერ შეკრულ კილობანს. როცა ნოვმ ამბოდრომა გვეგო წარღვნის გათავების მამაგი, ამ გმინის გასაგებად ჯერ ყვაგი გამოუშვა. რაკი ყვაგი უკან აღარ დაბრუნდა, მას შემდეგ გაუშვა მტრედი, რომელმაც ზეთისხილის რტო მოუტანა. ნოვც მიხვდა, წყალს უქლია, წყლით დაფარული ხმელეთი გამოჩნილა და ჩვენც შეგვეძლება გარეთ კილობანიდან გამოსვლაო.

ამის შემდეგ ზეთისხილის შტო ითვლება, სხვათა შორის, იმედის სიმბოლოდ, ხოლო მტრედი — მახარობელი წარღვნის დასრულებისა, ნოვგუნად კაცობრიობისა. თქმა „ნოვს მტრედო!“ იხმარება ალერსის, მისიყვარულების, დაყვების გამოსახატავად.

ნუ გაიგონებ, ყურო, და ნუ გამოიტყვი, ენვ ჰრდ. ისეთი რამ, რაც არც ყურით

მრისმინება და აღარც ენით ითქმის. სტვ. ყოვლად საძაგელი, უსაზღვროდ ცუდი. უღრ. აქ ამჟამად ზოგიერთი წურბელა ეკვარია და სამქარაქა დედაცა ცუდები, გოგონები და ბიჭები ისე გააფთრებულან, რომ ნუ გაიგონებ, ყურო, და ნუ გამოიტყვი, ენაე, რა უმეტრულ მუქაოსა და ბრიყვეულ ცილით აღსავეტ ლანძღვა-გინებასაც ისინი უთვლიან მღვდელს და სხვ. (დ. მახანელი).

ნუგეში ჰრდ. ნუ გეშინიან, გოლი გაიმარე. სტვ. შვილი. უღრ. შენ ვისი ნუგეში იარ, შვილო? ჰო, შვილო, ჩემი ნუგეშიც ჯერ არ მოვალის და მარტოდამტოვის მინა სვიმ: ნაბლუჯა-შვილის თავდასავალი ივ. 1902, № 130.

ნუგზარ ერისთვის დროსაო. — სისხლის წვიმების დროსაო სტვ. ქვეყნის სერთო უბედურობის. ხალხის აწიოკებისა და უსაზღვრო ტანჯვა-წვალების დრო. უღრ. გლახა ქრია-შვილი: მინა? ეს მინდა, შენი ქიჩიმი, რომ პაპა-ჩემი ახხაური გხლებით ნუგზარ ერისთვის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო (ილ. ჰევაძე).

ნუგზარი იყო არაგვისა და მთიულეთის ერისთავი (XVII საუკ.), სიამბრის დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა. ცხოვრობდა ქართლის მეფე ლუარსაბის დროს, სპარსეთის ყეინის შაჰ-აბაზის ბრძანებით აწარეს 1622 წ.

დიდი განკითხვის დღე აღდა არაგვის ხეობის მცხოვრებ ფშავ-ხეცულთ, იმთავითვე მონობასა და ყმობას უჩვევით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოყვარეთა და ლაღთ!.. ნუგზარ ერისთავმა მოიწადინა მათი დაქვემდებარება, მათი დამონება. გაიმარტა სასტიკი ბრძოლა, უზომო სისხლის ღვრა, დამოუკიდებლობისათვის თავი გამოიღო მისი ხალხმა და უტიტურესობამდე განაწამებმა ამ ოსტრიქონიან ლეკსით გამოხატა ის ტანჯვა, რასაც ნუგზარ ერისთავისაგან განიცდიდა და რაც სისხლის წვიმას ეტოლებოდა.

დღეს ეს თქმა დარჩენილია არაგვის ხეობაში და სინონიმია საერთო დიდი უბედურობისა და ტანჯვა-წამებისა. (იმას) ნუ ეხუმრებით ჰრდ. იმასთან ხუმრობას თავი დაანებეთ! სტვ. ავკა-კობით ვერას დააკლებთ, სიავეს არ შეგარჩენსთ, სერიოზულად მოეკიდეთ.

შერ. ვინ ვის მოჰკლავს, კაცმა არ იცის... ზაქარა ჯიღაურს ნუ ეხუშრებოთ! მთელ ხეობაში კაცი არა სჯობიან, თავმომწონე კაცია, — უპასუხა მეორემ (ს. მაგალობლიშვილი).

ნუნუასა სწყალობს პრე. ლეინოს მოწყალე თვალთ უყურებს. სტვ. ლეინის სმა უყვარს, მსმელია. შერ. რა ბიქია, რა ბიქი, ეგ დედმამა ცხონებული! ნასწავლი, დიდი ჯამაგირის პატრონი, კარგი ოჯახის შვილი, ცოტა ნუნუასა სწყალობს, მაგრამ ფიქრი არ არის. ცოლს რომ შვირთავს, დაიფიცებს (მე. გაბაშვილი).

ნურა თვალმა ნუ ნახოს! პრე. ადამიანის თვალს არ დაენახება. სტვ. საშინელებათა, საზიზღარია, გულის ამრევიან; გასაოცარია, საკვირველია. შერ. ნურა თვალმა ნუ ნახოს. გზაზე იმისთანა ხალი ეფინა, რომ კაცი თვალს ვერ გაუსწორებდა. (ჯეჯელი). ეს თრახმა იხმარება ორნაირის აზრით: მოლაპარაკის მიერ თავის უსაზღვრო გულისწყრომის გამოსახატავად. როცა მსმენელთ მოუთხრობს საშინელების ან საზიზღარ რისამე სანახავის შესახებ;

მეორენაირად იხმარება უსაზღვრო გავირეების გამოსახატავად.

ნურა რამცა გევენების რა, ვიღრე პერანგის ზიდვა გეძლოსო პრე. ცუდი არაფერი შეგემთხვეს, სანამ პერანგის ტარების ძალა გექნება. სტვ. სულ დიდხანს გაცოცხლოს, სიცოცხლით გამიძებნო. შერ. მშვიდობით, ლუარსაბო, ნურამცა გევენების რა. ვიღრე პერანგის ზიდვა გეძლოსო (მე. ანტონოვი).

დალოცვის ფორმულაა, ხეცურეთში ხმარებული და ხშირადაც მისი ვარიანტი ქახეთში ასეთია: მანამდის არა გევენოს რა. სანამ პერანგის საკინძეს შეკვრა შეგეძლოს.

ორისავე თქმის მნიშვნელობა ერთი და იგივეა: ადამიანი ხელიდან წასულად, თავისთვის და სხვისთვის მეტ ბარჯად ჩაითვლება, თუ იმდენი ძალაც არ შერჩა, რომ ერანგი ზიდოს ან პერანგის საკინძეს შეკვრა ვეღარ შესძლოს, ე. ი. ვერ გამოიჩინოს მინიმალური ძალდონე, რომ შეეძლოს სიცოცხლე, თავის პატრონობა.

მ

ობლის ლუქმა პრე. უდღემამოს საქმელი. სტვ. ლარიბული, გაქირებული ცხოვერება. შერ. რალა საკითხავი იყო საწყალი გოგო! აქამდე თუ ობლის ლუქმა სსა სქამდა, ცრემლით ნაბეურებს, ეხლა, ლამის, ესე() დაჰკვეთოდა (ვ. ბარნოვი).

ობობას ქსელის გაზმა პრე. ობობას ქსელის მსგავსი გააკეთა. სტვ. დაქერა, ხელში ჩაგდება, ეშმაკობით და გაიძვირობით მოტყუება, დაბუნდოვანება საქმისა, გამოურკვევლობა. შერ. — ერიჰაა!.. ამთ აქ ობობას ქსელი გააბეს!... შეჰკვილა ოხუნჯურის კილოთი ივანემ — არაფერ გაართმევსთ, ნუ გეშინიანთ! (მე. ელფთოიძე).

ობობა (ლათინურად aranea) მწერიკია. ბადის მსგავს უხილავ ქსელის კეთება იცის, რომელსაც ბუზი აღვილად ვერ დაინახავს და შიგ ვეძებს. ასე ეშმაკობით შიგ გაბმულ მსხერობას მოძრაობის საშუალება ერთმევა და ობობაც მიაჯდება და სისხლს გამოსწოვს ხოლმე.

ხატოვანად ობობას ქსელი ეწოდება უოველგვარ ეშმაკობას, გაიძვირობას, თუ აეკაცობას. რომლითაც მტერი მტერს ვნებს და აზარალებს ხოლმე.

ოთარანთ ქვრივი პრე. ქვრივი დედაკაცი ოთარაშვილების ვვარისა (კახეთში). სტვ. გამარჯე ქალი, სამართლიანობის დამცველი. ქსამართლობის მდგენელი და მტერი დაუძინებელი; გულგაუტყებელი. შგლ. ჩვენი მეზობლის დედა ნანდილი ოთარანთ ქვრივია. — პირდაპირი, სამართლიანი, გამარჯე, არც სხვის შეარჩენს ჩასმე და არც სხვისას შვირჩენს.

ოთარანთ ქვრივი — მთავარი გმირია ილ. ქ. ვუკავაძის ამავე სახელწოდების მოთხრობისა და სინონიმი გაზრჯე გლეხი დედაკაცისა, ქიზში გულგაუტყებლისა, პირდაპირისა. რომლის ხელი და ფეხი დილიდან საღამომდე არ დადგებოდა; სინონიმი სამართლიანობისა, გაქირებულთა და დაწვრთმობისა.

ოთხამოლებით. ის. ოთხახმით.

ოთხანალებ. ის. ოთხახმით.

ოთხახმით—პრე. ოთხისავე ფეხის ამო-
ლებით. სვც. კენებით, ჩქარა. შერ.
უთანდლო იგი მინდორი ოთხ-ახ-
მით გადაიარა (მ. რუსთაველი).

ამ სიტყვაში ნაგულისხმებია ცხენის
ოთხისავე ფეხის ჩქარი ტემპით, ერთსა
და იმავე დროს მოძრაობა.

ოთხივე კუთხივე ჯვარი გეწეროს პრე.
ოთხივე მხრივე ჯვარი გამოგვსახოს
სხეულზე. სვც. დაგიფაროს ბოროტი-
სა და მაყინისაგან, გიხსნას განსაცდელ-
ლისა და უბედურებისაგან. შერ. რ-
გორ თუ „უბედურისაოა?!“. ოთხივე
კუთხივე ჯვარი გეწეროს! უბე-
დური თქვენა ხართ და არც არავი-
ცი რა! (ბ. ახიანი).

საწმუნოების გავლენით ძველათ
ჩვენს ხალხსა სწამდა, რომ გაქირების,
უბედურების, ხიფათ-განსაცდელის მი-
ხეობი იყო მაცუთური, ეშპაკი, მლაღვი,
კუდიანი, რომელიც იმისათვისაა გაჩე-
ნილი, რომ ავნოს ადამიანს, ყოველ ნა-
ბიჯზე ფათეარაჟი რამ შეამთხვიოს. ეშ-
მაკის მანქანების საწინააღმდეგო, მის
განსაქარწყლებელ და მაგიურ საშუალებე-
ბად შემოღებული იყო მარჯვენა ხელით
ჯვარის სახის გამოყენება სხეულზე,
სამის თითის — ცერისა. სალოკისა და
შუა თითის — მიღება ჯერ შობლზე, მე-
რე გულზე: შემდეგ მარჯვენა მხარეზე,
და ბოლოს, მარცხენაზე. ვინც რაიმე
საფრთხის დროს ამ ჯვარს, ჯვარცმულ
ქრისტეს სიმბოლოს, გამოისახავდა ანუ
„პირჯვარს დაიწერდა“, იმედი უნდა
ქონოდა, რომ საესებით უზარუნველყო-
ფილი იქნებოდა ყოველისავე ბოროტი-
სა და უეთურისაგან. ხოლო როცა უნ-
დოდათ ვინმე დაელოცებინათ ან სურდათ
გამოეთქვათ მისდამი თავიანთი კეთილ-
განწყობილება და გულწრფელი სურვილი
ხიფათის აცილებისა და კარზე მი-
მდგარ გაქირებისაგან მშვიდობით და
უვნებლად ვადარჩენისა, ერყოდნენ:
ჯვარი გეწეროს ან ჯვარი გეწე-
როს (ჩემის მხრით) ან კიდე: ოთხივე
კუთხივე (შენის სხეულის ოთხისავე
მხრით — წინიდან, ზურგიდან და იქით-
აქეთ გვერდებიდან) ჯვარი გეწეროს!
იჯულისხმებოდა, რომ მაგნეს ჯვა-
რისა საშინლად ეშინოდა და ვისაც ეს
ჯვარი ვადაეწერებოდა, ჯვარვადაეწე-
რილს ახლოს ვერ გაეკარებოდა და, მა-
შასხადამე, ვერცარას დააკლებდა.

ოთხ კედელ შუა პრე. გარშემო ოთხი
კედელი გერტყას სახლისა. სვც. ჩუ-
მად, საიდუმლოდ, შინაურულად, და-
ფარულად კეთება საქმისა. შერ. ჩვენც
თითონ არ ვიცით. ვისთვის და რის-
თვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყვე-
ლაფერი ოთხ კედელ შუა თავდებ-
და ჩვენში (ილ. ჰუკუაძე).

ოთხფეხის ჩაკვლა (ვისსაშე) საფლავში
პრე. ძალიან დაკვლა და ჩავდება მიც-
ვალეზულის საფლავში. სვც. შეგინება,
შებნილწვა ვისიმე სულისა. შერ. აბა
ბატონი ვინ არის!.. იმ დღეს აქეთ
გულში ჩამივარდა და შევივინე: იმი
დელ-მამის საფლავში ჩავაკალ
ოთხფეხი, რომელმაც, ჩემ თავათ,
არ გაზარდოს შვილი ხატობაზე-მეთქი
(ან ერისთავი-ბოშტარია). ის. კატის
დაკიდება.

მიცვალეზულთა სულებისათვის შე-
საწირავად ქართველი ხალხი წინათ
მიცვალეზულთა საფლავზე საქონელსა
მკლავდა. აშას „დასაკლავი“ ერქვა. „და-
საკლავად“ იხმარებოდა ისეთი ოთხფე-
ხი, რომელიც იქმებოდა, მაგ., ხარი,
ძროხა, ცხვარი და სხვ. ხოლო ის ქო-
ველი, რომელიც არ იქმებოდა, მაგ.,
ძალი, კატა და ამასთანავე უწმინ-
დურადაც ითვლებოდა, რა თქმა
უნდა, „დასაკლავად“ არ გამოდგე-
ბოდა და აზრადაც არაღის მოუვი-
დოდა მათი დაკვლა მიცვალეზუ-
ლის სულისათვის შესაწირავად. ასეთი
ცხოველის დაკვლაზე ლაპარაკი მაშინ-
ლა შეიძლებოდა, როცა უნდოდათ შე-
ვინება, „შურაცხუთფა მიცვალეზულის
სულისა“.

ასე რომ მოტანილ წინადადებაში
თქმა — ოთხფეხის (ძალის) ჩაკე-
ლა მოლაპარაკის მიერ თავის მოწი-
ნააღმდეგისა თუ მტრის დელ-მამის
საფლავში — უდრის დიდ, საშინელ
შევივნას, წაბილწვას, როგორც წარ-
მოდგენას კი შეეძლო მაშინ ადამიანს.
ოთხში ამოღება პრე. ოთხის ფეხით გა-
ტყავება. სვც. დიდის გაქირების მიყე-
ნება; ტანჯვა. წამება, მოკლა. შერ.
ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინ-
სპექტორი შემოვიდა. მაშინც ამი-
ქანკალდა მუხლები. ეს ისეთი შიშუ-
რალეზული ვინმე იყო, რომ ყმაწვი-
ლის „გაროშვას“ არა ერჩია რა-
სულ უზარალო მიზეზი საქმით იყო,
რომ ვინმე ოთხში ამოეღო (აკაკი).
როცა საქონელი უნდათ გაატყავონ

ისე, რომ ტუავი მუცელთან არ გაიქრას, მაშინ კისრიდან დაიწყებენ გატუავებას. ორივე წინა ფეხის ტუავს ჩამოაცილებენ, მერე დაპყვებიან და ასე გახდებიან ტუავს უკანაფეხებამდე. ასე გატუავება მეტად ძველია. ამიტომ მუქარა: ოთხში ამოგიღებ უდრის უსაზღვრო, სასიკვდილო ტანჯვის მიყენებას.

ოთხ კიპამდე პრ. ოთხჯერ კიპის მოქრამდე. სტვ. მეოთხე მოდგმამდე, სულ შორს. დიდი ხნის შემდეგ. მგლ. ქვევრში ღვინო იმდენი ჩადის, რომ ჩვენ კი არა, ოთხ კიპამდე გვეყოფა.

კიპი, ანუ, უფრო სწორედ, კიპლარი უნდა მოქრას ახლადდაბადებულს, ე. ი. ამა თუ იმ თაობის წარმომადგენელს. ხოლო როცა ვამბობთ ოთხ კიპამდეო, უნდა ვითქვით, რომ ერთ კიპად იგულისხმება ერთი თაობა, ოთხ კიპად კი — ოთხი თაობა, ე. ი. საკმაოდ შორეული დრო.

ლიტერატურაში ეს თქმა შემონახულია დე. ჩუბინაშვილის 1887 წელს გამოცემულ ქართულ-რუსულ ლექსიკონში. ის სიტყვა „კიპი“.

ოლოლო ჩემს საქმეს! პრ. ცუდად წავიდა ჩემი საქმე. სტვ. ჯანაბას ჩემი თაფი და ტანი. მგლ. ოლოლო ჩემს საქმეს! რაც უნდა მომივიდეს, არ მენალელება.

ოლოლო ქირად, ნიშნის მიგების თქმა. მას მიჭმართავთ ხოლმე, როცა ჩვენი ან ვისიმე სხვისი საქმე არც თუ ისე კარგადაა.

ჩვენი მწერლების ნაწერებში ამ თქმას ვხვდებით ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანში“. თანამედროვე ქართულში, ლაპარაკსა თუ წერაში ეს სიტყვა ძალზე იშვიათად იხმარება.

ამის გასწორება პრ. მოპირდაპირეთ მიერ ოპის შემართებით გასწორება. სტვ. შეებედა, შებრძოლებდა, შეჯიბრება. შპრ. სხვა ვერაფერი გაუსწორებდს ომს ცოდნასა, თუ არ ისევე ცოდნა, სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არ ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მართო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა (ილ. ჭავჭავაძე).

ნავარი პრ. ორფეხიანა გგუფის მწერი, მუშა საქონლის სისხლის მწოველი. სტვ. მძარცველი, მტაცებელი. დრ. ევროპის დიდი და პატარა ონავრები (ილ. ჭავჭავაძე).

ონავრობა პრ. მტაცებელი ცხოველის მსგავსი ქცევა. სტვ. მტაცებლობა, ყაჩაღობა, მეკობრეობა. მგლ. ჩვენმა მებობელმა ონავრობა ხელობად გაიხადა.

ორად ხომ არ გავიჭრები! პრ. შეუძლებლობის მიუხედავად ერთსაგან ორის გამოყვანა. სტვ. ერთსა და იმავე დროს ორი საქმის გაკეთების შეუძლებლობა. შპრ. მამ ხო გქნა, შენი ქირიმი, მე ორად ხო გავიჭრები? დათო დაღონდა, კოლატ გაჩუშდა. მერე თითქოს რაღაც მოგონდა კოლასა, წამოიძახა: — კაცო შეტაცებელ წაგიდეს და შენ ვენახში წაიხსი მუშა. გესმის თუ არა?! (ილ. ჭავჭავაძე).

ორგული პრ. ორი გულის პატრონი. სტვ. არაერთგული, გაუტანელი, დაუნდობელი, მუხანათი, პირმოთნე, ორპირი, მოლაღატე. შპრ. ორგულთა და გულით ერთთა მისთვის მორთეს ენა კებით (ნ. ციციშვილი).

როცა ვამბობენ — კაცო ერთგულია ვისიმე ან რისიმე, ანუ ერთი გული აქვს, იგულისხმება, რომ კაცი ვისმე რასმე ეუბნება. ეუბნება იმას, რაც გულში უდევს, რასაც ფიქრობს, არასა მალავს, დაფარული არაფერი აქვს. ხოლო სულ სხვაა ორგული, ერთის მაგიერ ორი გულის პატრონის საქმე! ასეთი კაცი პირში ერთს გეუბნებათ და გულში კი სულ ამის წინააღმდეგი უდევს, ანუ, უკეთ რომ ეთქვათ, აქვს ორი გული — ერთი მოჩვენებითი, ხოლო მეორე — დაფარული. — ორივე კი სულ ერთიმეორის მოწინააღმდეგე გრძნობის წარმომშობი.

ორენა პრ. ვისაც ორი ენა აქვს. სტვ. პირმოთნე, ტყუილის მოლაპარაკე. ის. ორპირი.

ორთხელმწიფე პრ. ორი ქვეყნის ხელმწიფე. სტვ. დიდი, ძლიერი, ყველაზე მეტი. შპრ. მაინც მე ის მიყვარს და ის უნდა შევიერთო ქმრად და სხვა არაფერს ქვეყანაზედ. თუნდაც რო ორთხელმწიფის შეილება მოიწადინოს ჩემი შეტაცება-მეთქი (დ. მაჩაბელი).

ორივე თვათ კამა პრ. კამის დროს ორივე ყბა მუშაობდეს. სტვ. მადიანად კამა. შპრ. ამოუჯდება გოგრალობის და ორივე ყბით სკამს. გვერდით თავის საყვარელი

კატა უზის, ისიც ამისავეთ გაგრიდა...
(გვა-გვაველა).

ორი თვალი ოთხად უნდა კაცს ჰქონდეს. ორმა თვალმა ოთხი თვალის ოდენობა უნდა გასწიოს. სჭვ. ძალიან ფრთხილად, დაკვირვებით უნდა უყუროს. მგლ დიდი სიფრთხილეა საჭირო ამდენ ქურდებში, ორი თვალი ოთხად უნდა გქონდეს, თორემ გაუქურდავს არ გაგიშვებენ.

ამ თქმასა ხმარობენ, როცა მეტად საშიში მდგომარეობაა, როცა სულ იქითაქებთ უნდა იცქირებოდეთ საფრთხის ასაცილებლად, როცა ერთი წყვილი თვალის მაგიერ ორი წყვილიც თითქო საქმარ არ არის ხიფათისა და მარცხისაგან თავის დასაღწევად.

ორივე ხელით დაბლაუება ჰრდ. ორისავე ხელის ჩაულება რისთვისმე. სჭვ საყსებით დაპატრონება, დაუფლება რისამე. შრ. თუ კი ვინმე გამოჩნდეს ღეთისნიერი, ცოლად წაყვანა მ.ოგინდომოს, ნულარც კი კითხულობ რამეს... ორივე ხელებით ჩაებლაუქე, არსად წაგივიდეს!.. (დ. კლდია-შვილი).

ხატოვანად ორივე ხელით დაბლაუება ბავიბატავს საქმისა თუ რამე ნივთისათვის მაგრად მოკიდებას ხელები-სას (გაცილებით უკეთესად, ვიდრე ცალის ხელით), ისე რომ მოწინააღმდეგეს ადვილად არ შეეძლოს წართმევა.

ორისავე ხელით (გაკეთება რისამე) ჰრდ. საქმეში ერთი ხელიც იღებდეს მონაწილეობას და მეორეცა. სჭვ. დიდის სიამოვნებით, სიხარულით. გულსავესებით. შრ. — თქვენ ეს მიბრძანეთ, მამყოფებთ თქვენთან, თუ არა, და დედიჩემისა მე ვიკი. — მამყოფებთო!.. ორისავე ხელით, სიხარულით. შენისთანას სად ვიშოვი! (ილ. ჰუპუაძე); შრ. ღმერთი ვისაც მისცემს, ორივე ხელით მისცემს!.. (ხალხური ანდახა); შრ. რაღა დავუქვა, ქალიავე, აი ეგრე ჯვარს დაცვა, დამტანჯა და მაწამა სიყვარულმა!.. და როცა ჩვენებამა ნიკოს დასიძება ორის ხელით მოიწადინეს... შოქნათლიან მთვარესავით გავივსე (დ. მანანელი); შრ. რა თქმა უნდა, ერთხაც და მეორეხაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორისავე ხელით ღმერთს მადლობას შესწირავენ (ილ. ჰუპუაძე).

ორი დღის სიცოცხლე ჰრდ. სიცოცხლე, რომელიც ორს დღეს გასტანს. სჭვ. ხანმოკლე, წუთიერი სიცოცხლე. შრ. ორის დღის სიცოცხლისათვის კაცმა ძალის ლეკვი შესქამარ (ხალხური ანდახა).

ინხარება, როცა მოხუცებული გულგატეხილი მეორეს ეუბნება: დიდი ხნის სიცოცხლე არა მაქვს, საცაა, უნდა მოკვადეო. მგლ. ორის დღის სიცოცხლე დამრჩენია და ისიც გაუხარელი უნდა მოკვადეო!..

ორის ფეხის გადადგმაზე ჰრდ. ორჯელ ფეხის გადადგმის ტოლ მანძილი. სჭვ. სულ ახლო, არა შორს, აქვე. შრ. მანდ დაუჯერებელი რა არის!.. შორი არ არის, თუ ქორი არ არის... აქვე ორი ფეხის გადადგმაზეა (ან. ერისთავი-ხომარა).

წინათ ორ წერტილს შუა მდებარე მანძილი ნაბიჯით ახუ ფეხის გადადგმით იზომებოდა. სულ უქცირესი ნაწილი ამ მანძილისა უდრიდა ერთ ან ორ ფეხის მონაცვლეობას. მაშასადამე, როცა უნდოდათ რომელისამე საგნის სიახლოვე, თუ სიშორე გამოეხატნათ და იტყოდნენ — ორის ფეხის გადადგმაზეო, ამით გვატყობინებდნენ მანძილის სიშორეს და ამა თუ იმ საგნის ახლობას, რომლის სანახავად შორს წასვლა საჭირო არ იყო.

ორის ხელით მიცემა (რისამე) ჰრდ. იმდენის მიცემა, რაც ორის ხელით შეიძლება. სჭვ. გულუხვად, სიამოვნებით. გულსავესებით გამეტება რისამე. შრ. ღმერთი ვისაც მისცემს — ორის ხელით მისცემს, ვისაც წართმევს, კიდევ ორის ხელით წართმევს (ხალხური ანდახა).

როცა კაცი მოყვასს ცალის ხელით აძლევს რასმე, როდენობა მიცემულისა განსაზღვრულია. როდესაც ორივე ხელი ღებულობს მონაწილეობას გაცემას, იგულისხმება, რომ მიმცემს არაფერი შური თავისი მოყვასისათვის და აძლევს მისაცემის მაქსიმუმს.

ორის ხელით პირს იბანს ჰრდ. პირის დასაბანად ორსავე ხელს იშველიებს. სჭვ. წამოიზარდა, შეუძლია თავის თავს უპატრონოს; კოპწიობს (ქალზე ითქმის). შრ. ჯერ რა არის! წამოიზარდება; ორივე ხელით დაიბანს პირსა და მაშინ ნახეთ!

დაგებუვიან მაგის მთხოვნელინ (ვ. ბარნოი).

ბავუვი, დედის დაუხმარებლად, თავისით რომ იყუებს პირის დაბანას, ჯერ ცალის ხელით ცოდვილობს უსუფთაობა ჩამოიშოროს პირიდან წყლის საშუალებით. მოჩიტებასა და წამოზრდასთან ერთად, შესძლებს ორივე ხელის ხმარებას, სახის კარგად დაბანას და გაკოიტაუებას.

და ამიტომაც იტყვიან ხოლმე: ამ გოგოს დააცათ. ერთი ორის ხელით პირი დაიბანოს, მაშინა ნახეთ, რა კობტა გოგო დადგესო!..

ორი შოლტი ტყავო ააძრო ზურგიდან ჰრდ. ორი საქალამანე ტყავი მოაპილა ზურგიდან. სვ. ძალზე სცემდა. შრ. ამ თხუთმეტით დღის წინათ ბათუმელმა კატომ გველივით ააქრულა ჩვენი ბრძენი Plebs-ი! რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიბრტყე მისცა და ერთის მაგიერ ორი შოლტი ტყავი ააძრო.

შოლტი ტყავი ჰქეიან გამოუქნელ ტყავის ნაჭერს, რომლისაგან ერთი წველი ქალამანი ამოისხებდა.

ორი არ დაღის ამისთანა ჰრდ. ორი კაციც არ მოიძებნება იჩის მსგავსი. სვ. ტოლი არა ჰყავს, იმისი სადარი იმკიათა. შრ. ამისთანა გამოკიდული შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა დედამიწის ზურგზედა (ილ. კაუჭავაძე).

ორი ხუთშაურადაა ჰრდ. ორის ფასი ხუთი შაურია. სვ. იაფია, ყველასათვის ხელმისაწვდომია, ძეირი არ არის. ძველათ ზოგიერთი იაფი ჩითი ერთი ალაბი სამ შაურად ფასდებოდა, მაგრამ თუ კაცი ორს ალაბს ან მერს იყიდოდა, ყოველ ორ ალაბზე ვაჭარი ხუთ შაურს, ანუ თითო ალაბზე 1/2 1/2 კაპიკს ართმეიდა მუშტარს. და ამ უკანასკნელსაც იაფად მიაჩნდა საქონელი.

ორ კაპიკად აქლემიო ჰრდ. აქლემი ორ კაპიკად იყიდებოდა. სვ. მუქთად. ამას იტყვიან ისეთ კაცზე, რომელსაც ფულის დახარჯვა ეხარება, მაგრამ ბაზარში მაინც მიღის იმ განზრახვით, რომ სულ მუქთად (როგორც, სიტყვაზე, აქლემი ორ კაპიკად) თუ იშოვა რამე, იყიდის.

ორ კერაზედ ცეცხლის დანთება ჰრდ. ცეცხლის გაჩენა ორ ოჯახის კერაზე. სვ. ორი ოჯახის მოკიდება.

ითქმის ცოლის მოლაღატე კაცზე. ორმაგად ნაქსოვი - ჰრდ. ორპირი ძაფით ნაქსოვი. სვ. მაგარი, გამძლე, ლონიერი, მრგვე, მტკიცე. შრ. იმედიაანდ ნაგებო (თებერა). ორმაგად ნაქსოვი ამაყად იდგა კრებაში და თავმომწონედ (ვ. ბარნოი).

ორმაგად ანუ ორპირად ნაქსოვი გულსხმობის რამდენიმე პირ ძაფით ნაქსოვ კსოვილს, რომელიც მტკიცე და გამძლეა. ადამიანზე ხატოუნად ნახმარი ეს სიტყუბი წარმოგვიდგენს მაგარს, გაჭირებაში გამძლეს და მტრის შემართებელ ვაეკაცს.

ორმო ვლესე ჰრდ. ორმოს კედლებს ეხახუნე. სვ. დიდხანს ვიყავ ორმოში ჩაგდებული დასაჯელად. შრ. მაინც იმას სიკეთე უნდოდა ჩემთვის, არა სიავაკე; თუმცა სიკეთის ნდომით იმ ცხოვრებულმა დაღისტანში ორმოები ძალესინა, მაგრამ რა ეუყოთ!.. (მელანია). ახ. ლოვინი ვლესე.

(უძირთ) ორმოს გათხრა (ვისთვისმე) ჰრდ. მიწის გათხრა საორმოოდ. სვ. თალატი, ორუღლობა. შრ. სამარულალს ფულით ვსჭირად, გროშისთვია კაცსა გაეყდრი, თვით ძმას ორმოს გაეყუთხრიდი და ჩემს ჯიბებს ნელ-ნელ ვზიდდი (ილ. კაუჭავაძე); შრ. ლოილ ძმასაც კი ორმოს ვუთხრით, მივიღო ფარკით (დ. მაჩხაწელი). შრ. მაგრამ ნამდვილი მიზეზი ჩვენი შიშისა სხვა არაეინ არის, გარდა „კინაზისა“, რომელიც, ყოველს ექვს გარეშეა, რომ უძირთ ორმოს გეითხრის (მელანია).

ორმოტრიალი ჰრდ. ორომების იქითაქეთ ხშირად მიტან-მოტანა. სვ. არეულობა ხალხისა, ჩოჩქოლი, აურ-ზაური, უწესრიგობა, ყუანე, შეხლას შემოხლა, ხმაურობა, თავპირისმტერევა. შრ. მე ვიდრე ხერხის თიხვილიდი. სად როგორ გამეყდრინა სხვის ორმოები. ბევრი თხილი შევწირე იმათ გაუმადლარ ლაშ-პირს... ეს თავგის ოინია. (დაბალ ხმაზე) სიმშოილანთიდან მუდამღამე ორმოტრილის, ტაშფანდურის და კინაურის ხმა ისმის (ვაჟა-ფშაველა).

როცა ქორწილსა თუ ქელესში ან დღეობაში სადმე შეკრებოლი ხალხი უწესრიგოდ ირევა, იქითაქეთ ეწუვეტება, ერთმანეთს ეხლება, როცა ატე-

ხილია საშინელი ჩოჩქოლი, აურზაური, — ამნაირ ყოფას უწოდებენ ორომტრიალს ანუ ორომის აქეთიქით ჩეულდებრივზე ხშირად და ვახუწყაეტილ ტრიალს, ერთ ადგილიდან მეორეცდ და იქიდან უკან შოტანას, თვით ორომის მტრიალებელთა იქითაქეთ წყვეტებას.

საბა ორბელიანსა და დ. ჩუბინა-შვილს სიტყვა ორომი თავიანთ ლექსიკონებში წერანილი არა აქვთ. აღნიშნული და იოკლე განმარტება დარბული აქვს პეტრე მირიანაშვილს თავის სალექსიკონო მასალათა კრებულში („ივერია“ 1900 წ.). ეს გახლავთ — ვარცილის დასაფარებელი ფიციარი, ტაბაკის ფორმისა, თავისივე დაბალი სამ თუ ოთხი გოჯის სიმაღლის ფეხებიანი. ვარცილიდან ცომის გუნდები რომ ამოაქეთ თონეში ჩასაკრავად, ჯერ ორომზე დააწყობენ იმდენს, რამდენიც ერთ გახურებულ თონეში ჩაეტევა და მერე, ზედეე გაბრტყელების შემდეგ, იქიდან იღებენ თონეში ჩასაკრავად. სოფლად როცა ქორწილი თუ ქვლები იყო, ბევრი პური უნდა გამოემსხვიარიყო, ამ პურს რამდენსამე თონეში აცხობდნენ და ერთს კი არა, რამდენსამე ორომს ატრიალეზდნენ, იქითაქეთ მიმოქონდათ ხშირ-ხშირად, ანუ ოჯახში ორომტრიალი იყო.

ორომის ხშირი ტრიალი და ხალხის ჯაჯგური ხატოვანად დაერქვა აურზაურს, შეხლა-შემოხლას, ჩოჩქოლს.

ორ-ორი პრ. სახელდობრ ორი. სვ. წყვილი, არც მეტი, არც ნაკლები. მკლ. მამას ორ-ორი შვილი მოუკვდა, გული გაუტყდა, უდროოდ დაბერდა.

განმეორება რიცხვისა აქ ხმარებულია აზრის გაძლიერების მიზნით. იმის სათქმელად, რომ ერთი კი არა, ორი შვილი მოუკვდა საბრალო მამასაო!

ამავე სახით და ამავე მნიშვნელობითაა წარმოებული და ხმარებული სხვა რაოდენობითი რიცხვითი სახელები: სამ-სამი, ოთხ-ოთხი და სხვ.

ორპირი პრ. ვისაც ან რასაც ორი პირი აქვს. სვ. პირმოთნე, ტუფილის მოლაპარაკე, მლიქვნელი; დანა ორის მხარით მჭრელი; ნაქსოვი, რომელსაც სარჩული და პირი სხვადასხვა ფერისა აქვს.

ორპირი მახვილია პრ. ისეთი მახვილია, რომელსაც ორის მხრითა აქვს პირი. სვ. სასარგებლო და მავნებელიც. ორი ერთიმეორეს მოწინააღმდეგე მოქმედების საშუალება. შრ. მართალია, კრედიტი ორპირი მახვილია. ვინც კრედიტით მოპოვებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გააძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრებაა და ვინც გაფლანგავს და ქერში ქულის სრლით ლხინს მოინდომებს, მისთვის ყელის გამოსაქრელი და საფლავის მთხრული (ილ. კავკავაძე); შრ. მაგრამ სასწავლებელიც არის და სასწავლებელიც. სკოლა, სასწავლებელი — ორპირი მახვილია! ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც! ეგ იმაზე დადოილებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა (ილ. კავკავაძე).

ორპირობა პრ. ორ პირის ქონება. სვ. ერთის თქმა, როცა გულში სულ სხვა გიღვეს. სიყალბე, სიცრუე, მოტყუება, დალატი. შრ. ის ლოლიკა, რომელსაც დღეს თ. გ. თუმანოვი ასე თმაგლეჯით ვაკვივის, „სადა ხარო“, მართლა სად იყო, რომ ეს სასაცილოდ ასაგდები ციფრები დაიჯერა და სხვასაც დასაჯერად მიართვა? ორპირობა არ არის, მაშ სხვა რა ჯანაბაა? (ილ. კავკავაძე).

ორლობეში საყვეარო არ ჩამიჭრა პრ. ორლობეში არ დამხვდე და მეორე უღელი ხარები ურემს არ მომიშორო, არ ჩამიხსნა. სვ. ვერაფერს დამაკლებ, ვერ მაჯობებ, ვერას მიზამ, ტუფილად იყვები ჩემს მორავნას.

ერთგვარი შეჭარის ფორმულაა ქართლ-კახეთში. როცა ურემში ორი უღელი ანუ ყვეარი ხარი აბია, წინა უღელს საყვეარო ჰქვია და უკანასკნელს ურმის თავის ანუ სამირე ხარები, რომლებსაც კაპანი აერთებს წინა ხარებთან. ორლობეში მეურმეს, სივიწროვის გამო, მოძრაობის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს, ვიდრე გუშლიდ ადგილზე, ასე რომ, მის მტერს, თუ ის გულად და მარჯვეცაა, ადვილად შეუძლია ჩაუჭრას კაპანი, რომლითაც საყვეარი ურემსაა მიმაგრებული და ხარები წაართვას.

ამ სიტყვების შთქმელი მოპირდაპირეს იმას ეუბნება: მიუხედავად ჩემის გაჭირებული მდგომარეობისა, ორღობენი მოიწყედებისა და, მაშასადამე, შედარებით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნისას, ვერას დამაყლებ, ბარებს ვერ წაბართმევ, ვერ მაჯობებ, ვერ მომგრევი, ტუთილად კვებნა შერგებნაო. ის. ბუხსაჲ ვერ აშიფრენ; ყუჩებზე დახვი არ დამაქრა. ორღობემ სავუვარი არ ჩამიხსნა ის. ორღობეში სავუვარი არ ჩამიქრა

ორშაბათის ყვინი ის. ყვინი. ორ ცეცხლ შუა ყოფნა პრ. წინიდან და ზურგიდან ცეცხლი რომ ენათს და შუათი აღამიანს რომ იყოს მოქცეული. სცვ. უკიდურესი გაქარება, საზეელი და ხსნა რომ არსაიდანა მქონდეს აღამიანს. შრ. ხბოლო თუ კავშირს შესწყვიტს „ეკონომიზმთან“ და კალკის ძი. მხრობა. მაშინ უქველად უნდა მოუწეოს ხელი უზრავლესობასაჲ“. — ეს კი ვერ გაუბედნია, და არის ასე ორ ცეცხლ შუა“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I. გვ. 156).

აღამიანს მარტო წინიდან თუ უნთია ცეცხლი, არ შეიძლება დაღუპულიად ჩაითვალოს, ოადგან შეუძლია უკან დაიხიოს, მოერიდოს ცეცხლს და თავს უშველოს მაგრამ ამ აღამიანისავე ყოფა თქვენ მაშინ იკითხებ, როცა ზურგიდანაც იგივე გადაულახველი ცეცხლი დახვდება, გზა შეეკვრის და ცეცხლის მსხვერპლი უნდა გახდეს. და ამიტომაც ადარებენ ქართულში უკიდურეს გაჭირებაში მყოფ აღამიანის მდგომარეობას, როცა ცის ქვეშ არაფერია და არაფერია მისი მშველელი და მისნელი, ორ ცეცხლ შუა მყოფ აღამიანის მდგომარეობასთან. ორ წყალ შუა (დგომა ან ყოფნა) პრ. როცა ორსავე მხარეზე, წინიდან და უკანიდან წყალია და კაცს ნაპირას გასვლა არ შეუძლია. სცვ. უსაშველოდ ყოფნა, დაღუპვის აუტუნელობა, გაჭირება, საფრთხე. შრ. იმას აღარ ვიტყვი, რომ ამისთანა ცუდკაცობა და ავკაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტეხს და აშიტრამე ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჩრებს ო (ილ. კაკუაფე); შრ. ორ წყალ შუა ა ვაეკაცი; ვერ ამოფეხვრა ექვი გულბნელი, ვერ მოჩილებდა შვე გრინობას ეგზომ, მის შთაგონე-

ბით განვეითარნა სასტიკი ქცევა (ვ. ბარნოვი); შრ. დავრჩით მე და სოფო ორ წყალ შუა (ვაფა-ფაველა); შრ. ორ წყალ შუა იყო: ცალკე დედის საცოდაობა სწყავდა, ცალკე კიდევ თაბროსი (ვლ. ჯარჯიშვილისა). ის. ორ ცეცხლ შუა.

თქმა იმ დროისა, ოდეს მდინარე-ნი უბიდონი იყვნენ და აღამიანისათვის წარმოადგენდნენ უცლეველ საბრკობს. ყოველ მის სხვაგვანან ურთიერთობისათვის გადაულახველ პირობას.

ორ ქირ შუა ყოფნა ის. ორ წყალ შუა დგომა.

ორ ხმას ერთად ვერ ამოიღებს პრ. ორ სიტყვას ერთად ვერ იტყვის, ერთმანეთს ვერ გადააბამს. სცვ. ჩუმი, უწყინარი.

ორჯველ მოკლული პრ. ვისაც ორჯველ აქვს სიცოცხლე წარმეული. სცვ. როცა კაცს ორი ისეთი სასირცხვილო და სადარდელი საქმე სჭირს, რომ თითოეული დათვანი თითო სიკვდილს უდრის. შრ. თითქო ის არ მეყოფოდა სირცხვილად — ცოლი წამართო, ხელშეკონილი მონიყვანა და ისეთი გაწიბილებული და დაჩაგრული დამაყენა (ჩონთამ). თავის კარებზე მე ცოცხალი კი არა ვარ, მე ორჯველ მოკლულს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. განა სიკვდილი, თავის მოკვლა ძნელია, აი ეს ხანჯარი (იმარჯვებს გულში წვერით). ამის მეტი კი არ უნდა, ერთს საათს ჟიკან აღარ ვიქნები, სულ დამავიწყდება მტერიც და მოკეთეც. მაგრამ ჯავრი მტრისა იქაც... (ვაფა-ფაველა)

ოტას დასხმა (თავზე) პრ. მტერის დაყრა თავზე. სცვ. თავის დამცირება, უღირსება, მორჩილების გამოცხადება, ერთგულება. შრ. მოკვდილთ მისსა ქალაქსა, ტურფასა, მაგრა ცოტასა; გამოეგებნის ლაშქარნი, ისხმი დეს მისთვის ოტასა (შ. რუს თაველი).

თეიმურაზ ბატონიშვილი ასე განმარტავს ამ თქმას: „აზიური ძველი ჩვეულება იყო, თუ მეფენი ლაშქრიდან მობრუნდებოდნენ და თვისსა სატახტოს ქალაქსა მოვიდოდნენ, ხალხი გაეგებებოდა და მის ნასიარულევის აღგილიდან მტერის აიღებდნენ და თავზე გადაიყრიდნენ. ეს იყო ნიშანი გულითა მზურვალთა ერთგულებისა მათისა.

ოტასა ისხმიდეს ამას ნიშნავს: თავზე მტვერს გადაიყრიდესო*.

ოფლი პრ. ტენი, სისველე, რომელსაც გამოყოფს ხოლმე ცხოველის სხეულის კანი. სვე. მიძიმე, წელში გაწყვეტი მუშაობა. შპრ. მაშინ განიხილენ თვალნი საწყალ მოხუცსა, მაშინ ნახა, რომ არამც თუ ოფლი და შრომა ეკუთვნის ბატონსა, რომ არამც თუ მარტო ცემა და ტუქვა შეუძლიან... არამედ შეუძლიან წარუწყვილონ სულიცა (ილ. კაეკვაძე).

ოფლი ათას წვერად მოსდის პრ. ათასის გზით ჩამოსდის ოფლი სახეზე. სვე. ბლომად მოსდის ოფლი, ძალზე გაოფლიანებულია. მგლ. საშინლადა ცხელოდა, თან მუშაობისაგან ძალზე დავიღალე და ოფლი ათას წვერად ჩამომდისოდა.

ოფლის მოხდა პრ. ოფლის მოწურვა. სვე. გაჭირებას გადაარჩენა, მოსვენება, გულის დამშვიდება. შპრ. ნუ გეშინიან, შენც მალე მოიხდის ოფლი! ერთი ეგ არი, გათხოვებისას ვერაფერს გაიგებ (მალანია).

ოფლისმღვრელი პრ. ვისაც ბევრი ოფლი გამოედინება კანიდან. სვე. ძალზე მშრომელი, მეტისმეტი გამარჯვა. შპრ. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მოართული ქვეყანა. ეს ჯანიანი, მკლავძლიერი ხალხი, გამარჯული და ოფლი სმღვრელი, — მამ რაღაღდა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ (ილ. კაეკვაძე).

ოფლის ღვრა პრ. ბევრი ოფლის გამოედინება სხეულიდან. სვე. ძალზე შრომა. ვადამეტებული ცდა. შპრ. საქმლის საშოვრად ოფლის ღვრამ უმეტესურ ნაბიჯის შედეგია, რომელიც უნებლიეთ გადადგა კაცმა მდიდარ და თბილ ადგილებიდან მჭირ და გრილ ქვეყნისაკენ... (ვ. ბარნოვი); შპრ. ეხლა ვაეცაკობა იმისაკი არ უნდა, რომ სისხლსა ღვრიდეს, ვაეცაკობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰქვაროს (ილ. კაეკვაძე); შპრ. მუდამკვირა ხელმწიფესთან სადილობდა მუცელა. მისა მოჩილი ძმები კი ოფლსა ჰქვარიდნენ, ძმას ქეითს არ უშლიდნენ (ვაეა-შეა-ელა).

ოფლის ხარჯვა პრ. ოფლის დენა სხეულიდან. სვე. შრომის ვაწევა. შპრ.

ქვრივის მაზლი — სულაც არა. იქაც ჩამორთმევაა და აქაც. იქ უფრო ძნელი არის, რომ კაცს ვაშენებელი ევენახი ჩამოართოს კაცმა და ჩემს კაცს კი, ჩემს საკუთარს ცარიელ სახნავე მიწაზე, რა ოფლი და ხარჯვია! არა, ჩემო რძალო? (ილ. კაეკვაძე). ის. ოფლი წურავა.

ოფლი ჩამოსრუცხს პრ. ოფლი წურაწურით ჩამოსდის სახეზე. სვე. ბლომად მოსდის ოფლი, ძალზე გაოფლიანებულია. მგლ. სახეზე ოფლი ისე ჩამორეცხს, კაცი იტყვის — ეს არის, ახლა ამოსულა წყლიდანაო!...
ოფლში გაცურებულნი ის. ოფლში ცურვა.

ოფლში ვაწურვა პრ. დიდი ოფლის მოდენა. სვე. ძალიან უჭირს, მეტისმეტი ძალა ადგას, ბევრსა შრომობს. შპრ. „ივერიის“ შინაურის მიმომხილველმა იპრილის წიგნში სთქვა, რომ ზოგიერთნი, ვინც ახალის თაობის სახელს ტყუილად იჩემებო, ოფლში ვაწურება და მაგკითხვას პასუხს ვერ უპოვისო (ილ. კაეკვაძე); შპრ. ამბობდნენ: მარჯვედ იყო ბესარიონი (ლოლობერიძე), მაგრამ ბევრი ოფლი კი აწურავისო (აკაკი); შპრ. ხაშს რიტორთა დაშვრეს ენა, მაქებელთა ოფლთა წურვა (ნ. ციციშვილი).

ოფლში გაცურული პრ. ოფლი გამოწურული რომ ჰქონდეს. სვე. ბევრი ოფლი რომ სდენოდეს; ბევრი გაჭირება რომ სდგომოდეს თავზე. ის. ოფლში ვაწურვა.

ოფლში ცურვა პრ. ოფლი ისე ბლომად შემოსდგომია, რომ შიგ ცურვა შეიძლება. სვე. დიდი ოფლის დენა. შპრ. მხლებელი შეგზრუნდა და დაეჯლო ვაღლილი, მაგრამ სიგრილეს ნაჩევეი მაინც ოფლში სცურავდა, შამფურით ბრუნავდა (ვ. ბარნოვი); შპრ. გირჩევ, დაეხსენ მაგდენსა ცივმოსა და ოფლში ცურვასა (დ. გურამიშვილი).

ოქროს პრ. ძვირფასი ლითონი, ყვითელი და ბრწყინვალე. სვე. ყველაფრით შემული, ძვირფასი, ყოველის ღირსებით დაჯილდოებული. შპრ. აი, როგორ აქებდა ლევანას (ყაზარა) თავის მეგობრებთან: „ეგ ძუძუდალოცვილისშვილი, სწორედ ოქროა, ოქროა!“ (მელანია).

ოქროს აბების ჩაყლაპვინება პრ. ოქ-

რო რომ ჩაუდოს კაცმა პირში ვისმე და გადააყლაპუნოს. ჰყვ. ქრთამის მიცემა. შერ. ხოროზან, პატარა იმასაც ჩაეყლაპინოთ ოქროს აბები (გ. ერისთავი).

ოქროს დრო ჰრღ. ოქროს ხანა, ჰყვ. ბედნიერი დრო, კეთილად მოსაგონარი ხანა, დრო, რომლის, განმავლობაში წარმატებით, ყველაფრით შორქმული, ცხოვრობდა ესა თუ ის ერი. შერ. (პატკანოვმა) ქვეყანას აუწყუა, ვითომც უსწავლელი და უმცუარი. ესე იგი უქანასენელი სომეხი მშინაკი უპიროველესი და წინწაწული ყოფილა ქართველებზე, როცა ქართველების ოქროს დრო იყო: ხომ ფანატრიკოსობაც შეგვწამა, ახლა სხვა გზიდან მოგვიარა (ილ. ჰეპუაძე).

ოქროს მადანი აქვს ჰრღ. საბადოები აქვს, საიდანაც გამოდის ძვირფასი ლითონი. ჰყვ. ძალზე მდიდარია, გამოუღვევლი ფული აქვს. შერ. ბარაქა ამ ოჯახსა! — უთხრა სოსიკამ. — ბიჭო, რა არის, სულ მხარეთმობე ხარ წაპოწოლილი? შენ რათუოდ ოქროს მადანი გაქვს, რომ არაუფერს აქეთებ (ე. გაბაშვილი); შერ. ამისათვის ერთმანეთზე ცოტად თუ ბევრად შეუწინარებელს ამბებს მოგვითხრობს ისეთის კადნიერებით, თითქო მართალია და ისეთის გახარებით, თითქო ოქროს მადანი უპოვიაო (ილ. ჰეპუაძე).

ოქროს საციქველია ჰრღ. ხის მაგივრად ოქროსაგახ გაკეთებული საციქველი. ჰყვ. ძუნწი, გამოუსადიგარი, გაქირვებაში რომ არავის უშველის, ისეთია. მგლ. რა გიზავს, რომ დამეხმარო გაქირვებულს, ნუ ხარ ოქროს საციქველი!

სა(ციქველი ეწოდება ოჯახში სახმარნიეთს, როგორცაა: ჯამ-ქურქელი, ავეჯეულობა, რომელთაც მეზობლობაში ინათხოვრებენ და ათხოვებენ კიდევცა. სა(ცა სიამტკბილობის მეზობლობაა, იქ არ შეიძლება სა(ციქველი ერთმანეთს დაუქირონ. საციქველი, ჩვეულებრივ, ხისა და მისი შექმნა ყველასათვის ხელმისაწვდომია.

სულ სხვა გახლავთ საციქველი ოქროსი!.. მისი თხოვება შეუძლებლად მისაჩნევი უნდა გამხდარიყო პატრონისათვის იმის შიშით, რომ ვისაც ათხო-

ვებდნენ, დასაკუთრება არ მოეწოდებინა და ამ მიზნით ნათხოვარ საციქველის დაბრუნება არ გასჭირვობდა.

და აი, ამიტომ ხატოვანად ოქროს საციქველიაო ხალხმა დაარქვა ადამიანს, რომელიც მეზობელს არას ათხოვებს, არაფერში დაეხმარება, ხელს არ გაუშვართავს.

ოქროს ფახად ჰრღ. რამდენადაც ოქრო ღირს. ჰყვ. მეტად ძვირად, ძვირფასად. შერ. მუნ ვაქარმან ოქროს ფახად ცხენი მისცა, არ უძღვანა (შ. რუსთაველი).

ოქროს ხანა ახ. ოქროს დრო. ოცდამათხ საათში ჰრღ. დღე-ღამის განმეულობაში. ჰყვ. სწრაფად, ჩქარა.

ოცის კაცი ჰრღ. ყოველთვის ოცს რომ შესცქერის. ჰყვ. მეფის სახელმწიფოს შობელი, ჩინოვნიკი*, ვისაც ყოველი ლმობიერება, ადამიანობა, ადამიანის სიბრალული გულიდან ამორეცხილი აქვს. შერ. აწინდელი მღვდელი — ჩინოვნიკია, იგი ნამდვილი ბიუროკრატია, ოცის კაცად გამხდარი, კისერზე აწეეს სოფელსა (ს. მგალობლიშვილი).

რუსეთის თვითმპყრობელობის დროს სახელმწიფო აპარატში მოსასახურეთ „ჩინოვნიკებს“, ბიუროკრატებს ეძახდნენ. ესენი ბოროტად სარგებლობდნენ თავიანთი უფლებით, მოქალაქეთა ინტერესებს და საქმის არსებითად სამსახურს უფლებელყოფდნენ და თავიანთი თანამდებობის ფორმალურ მხარეს გაზვიადებულ მნიშვნელობას აძლევდნენ. ესენი, ამასთანავე, თავიანთ საქმეს გულგრილად ეკიდებოდნენ, უხალისოდ და დაცივებით, გასაქირდავად ოცის კაცებს ეძახდნენ, რადგან სამსახურში ჯამაგირს ყოველი თვის 20 რიხებში ღებულობდნენ.

ოწინარით ასაწევი ჰრღ. ვისიმე მძლავ ასაწევად საქირაო ოწინარი. ჰყვ. ვისაც თვითონ რისამე გაკეთების შნო არა აქვს, ნიადაგ სხვის დახმარება, შევლა სჭირია. მგლ. ცუდადაა, ჩემო ქარგო, შენი საქმე. უნარი ცხოვრებისთან ბრძოლისა დაგეყარვა, თუ სხვამ არ გიშველა, ლუქმა რა არის, ლუქმა ვერ ჩაგიდგია პირში, ოწინარი თ ასაწევიო, რომ იტყვიან, აბა ისა ხარ, სწორედ!

დაცივებითი, საქირდავი თქვაა. ამით მიმართავენ მცონარა და უშნო ალა-

მიანს, რომელიც სულ სხვას შესცქერის თვალ-წარბში, ერთთავად სხვათა მოიძებნა და თვითონ კი ესიკვდილება განძრევა და ფხის გამოჩენა.

ლატინეასთან ერთად ამითვე გამოხატავენ სურვილს ასეთი უქნარა გულისხმაში ჩავარდეს, იკმაროს სიხარმავე და თვითონაც გამოიროს ხელი. და როცა დაინახავენ მისი შხარით რისამე გაკეთების სურვილს, სხვასაც არ დაუხარება - დაეხმაროს, საქმის გაკეთება გაუადვილოს.

ოხერი მკვლარივით ამეკიდა ჰრ. უპატრონო ძველდარივით არ ჩამომეფანა.

სკვ. ჩემი საპატრონებელი ვახდა, თავიდან ვერ მოვიშორე. შგლ. შენც ერთი, ოხერი მკვლარივით ამეკიდა დე და სადარდებელი გამიხილი..

ოხერი მკვლარი ეწოდება უპატრონო მკვლარს, ვისაც მიწისთვის მიმბარებელი არავინა ჰყავს და თუ ვინმე არ გამოუჩნდა, დაუმარხავი დარჩება.

გადატანილად ოხერი მკვლარი ისეთი ადამიანია, რომელმაც თავისი გაჭირება სხვას უნდა ვაუხადოს თავში საცემად, სხვას უნდა ვაუხადოს და თავისთვის აპატრონებინოს.

ოხრად დარჩომა ჰრ. უპატრონოდ, თავმინებებულად დარჩენა. სკვ. წყევლა: სიკვდილი. შრ. უი. უწინამც დღე გამქრობია! ვიკადრებდი კი არა, მე ჩემის ხელით თავს მოვიკლავედი. ოხრად დამრჩეს ქირით შემოტანილი ქონება! რა თავადიშვილის საქმე! (ილ. პავლევიძე).

ოხში მოხვლა ჰრ. სამაგიეროს გადახდა. სკვ. ჯავრის ამოყრა. შრ. ერთი ასეთნაირად ვალეტილი და გასაფუქებელი რამ ვიყავ, რომ თითონ ანტი-ქრისტეც ვერ მოგიდოდა ჩემის ოხტიდან! (დ. მაჩხაველი).

ოჯახდაქცეული ჰრ. ვისაც აშენებული ოჯახი დაენგრა. სკვ. უბედური, გამოხრებული, უკუღმართი, ბოროტი.

შრ. გაბრო! გაბრო! (თავისთვის) აბა თუ გაიღვიძოს ამ ოჯახდაქცეულმა!.. (რ. ერისთავი).

ოჯახი ჰრ. კერა, ადგილი, სადაც ცეცხლს ანახებენ. სკვ. სახლი, ცოლ-შვილი, კომლი. შგლ. დაგეტყეს ოჯახი. რას მიმართლები უდანაშაულო აღამიანს! ხს. კერა.

სიტყვა ოჯახი. ანუ ოჩაკ - თურქულია და ნიშნავს კერას, სახლის შუა ადგილს. სადაც ცეცხლს ანთებენ და ამ ცეცხლს გარშემო სახლში მცხოვრებნი თავს იყრიან. ოჯახი, უფრო ვიწრო მნიშვნელობით. ქართულად მაიხვენებელია ცოლ-შვილისა.

ოჯახის აშენება ჰრ. ვისაც სახლი არა სდგამია და ახლა სდგამს. სკვ. წარმატება, მოგება, გამარჯვება, ბღენიერება, სიკეთის შეძენა. შრ. სულხან - (გააღებს კარებს, შემოვა და ამით (ქალ-ვაჟს) რომ დაინახავს, იქვე კარებთან შედგება გაოცებული) ეს კარგი, ამბავია!.. ახლა ამიხედა ოჯახი, აი!.. (რ. ერისთავი).

ოჯახის დაქცევა ჰრ. აშენებული ოჯახის დანგრევა. სკვ. უბედურება, გაოხრება, უკუღმართობა, ბოროტება, მოსპობა, ყოველისავე სიმდიდრის დაკარგვა. ამოწყდომა. შრ. ამის გამო დიორღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთიერთობის ქვირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვექცა და ვაწყყალით და მიწასთან გავსწორდით (ილ. პავლევიძე).

ოჯახის მუქუჭი (ქალი) ჰრ. ქალი, რომელიც საოჯახო საქმეს მუქაში იჭერს. სკვ. ვინც ერთგულად ეკიდება ოჯახის საქმეს, ვინც მუყაითი მე-ოჯახია.

ამბობენ აგრეთვე: საქმის მუქუჭი კაცი. ე. ი. საქმის ერთგული, კარგი მოსაქმე კაცი, სანამ არ გააყეთებს საქმეს, არ მოეშება.

3

პანტასავით ჩამოსვლა ჰრ. პანტის მსგავსად ცვენა. სკვ. მრავლად, ისე, როგორც დარხელი პანტის ხიდან ცვივა ხოლმე. შრ. მისგან (ჯანდიერისაგან) ნახოცი ლეკნისა პანტისავეთ ჩამოდიხა (პ. უმიან-შვილი).

პანტა, ანუ გარეული მსხალი საშინ-

ლად ბევრს იხსამს ნაყოფს. როცა მომწიფებულ ხეს დაარბევენ, თითქო წვიმა მოდისო, ისე ცვივა ძირს ნაყოფი. პანტასავით ცვენა ხატოვანად გამოხატველია რისამე სიმრავლისა, რომელიც ეფინება ზვიდან ძირს, დედამიწის პირზე.

პანტის ჩირი ჰრ. გამხმარი გარეული

მსხალი. სკვ. მღარე, ყოველსავე ფასს მოკლებული. უღრ. მისი სიცოცხლე ღირს პანტის ჩირი (მაჰუა).

პანტის ჩირი მღარე ხმელ ბილად ითვლება. და ამიტომაც, რომ როცა უნდათ რომელისამე საგნის სიმღარე გამოხატონ, დაადარებენ პანტის ჩირს.

პანჩურის ამოკვრა პრღ. მუხლის თავის მირტყმა საჯდომზე. სკვ. დიდი შეურაცყოფა, მოშორება, ჩამოხსნა, ხელის აღება, გალანძლევა, უარის თქმა. უღრ. მე უნდა ვიქცე თავი ქვა, რომ, თუ ვინიცომა, შენ დაგითხოვეს, შეაწველი და შეწეწე აღარ შეყოლება, მეც დღესაც თუ ხვალე პანჩურსა მკრამენ და გამომაჯღებენ (ილ. ჰაჰაჰაჰა); უღრ. თუ ამას ავად ვაძობდე. პანლუ რი ამომკარია (დ. გურამიშვილი); უღრ. პაპაშენს ბაბუაჩემი სიტკბოთი შემოპიზუნებია, დღეს კი იმისმა მოდგმა შენგნით პანლური იწუნია!.. (რ. ერისთავი); უღრ. აღარ აშინებს ტყუობა, აჟარც ხრეკები ქაჯური, დღეს თუ ხვალ, იმედინაობს, ჯაქვებს უქიროს პანჩური (ვაჟა-ფშაველა); უღრ. აქამდის თავისთან მიყოლია, მთელი ქარბალაქანი მომატარა, ახლა-კი მაშილო რალაცა ყითლი იმ ოჯახდასაქცევმა, ამომკრა ქიტლაცყი და გამომაჯღო ცარიელ-ტარიელი; უღრ. ამ მდებრიო ხალხმა კი არ ინდომა არც შენი ვატაცებული სიყვარული, არც შენი სამსახური; გიქირა პანლური და შეურაცყოფით გამოგიტუმრა (მელანია).

პანლურის (იმავე პანჩურის) ან ქიტლაცყის ამოკვრა გულისხმობს პანლუ-ამოკრულის ზნეობრივ დამცივებას, შერცხვებას და დამდაბლებას მაყურებელთა თვალში.

პანლურის წვნივა იხ. პანლური ამოკვრა.

პაპიჩემის მოსაკითხავად წავიდა პრღ. წაიდა (საიქიოს), რომ პაპაჩემის ამბავი გაიგოს. სკვ. მოკვდა. უღრ. რა ჩემი ბრალია! — შეაშმუშნა მხრები კოდელმა. — მე დამბაჩა დავცალე. იმან კი თურმე შუბლი შეუშვირა ტყვიას და პაპი-ჩემის მოსაკითხავად წავიდა! იმდენი მოიკითხოს, სანამ მოეწყინებოდეს (მელანია).

პარკის აკილება და ვიხზე მიღგომა კარზე პრღ. პატარა ტომარის მოგდება ზურგზე და კარი-კარ სიარული. სკვ. სისაწყული, სიღარიბე, ხელმოკლეობა, მითხოვრობა. უღრ. ყველას რო ოროლი კოდი (ხორბალი) დაუფრგო, ბოლოს მეც უნდა პარკი ავიკიდო და კარზე მივადგივისკისაო (ან. ერისთავი-ხომტარია).

პასუხის დაყრა პრღ. პასუხის ძირს დაშვება. სკვ. პასუხის თქმეწინება, პასუხის ვაცემა, პასუხის მიღება. უღრ. ვერა და ვეყარეთ პასუხი ჩვენ საუბრითა ჩვენითა (მ. რუსთაველი).

პატარძალივით შორთული პრღ. პატარძალის მსგავსად გამოწყობილი. სკვ. მეტად ლამაზად შორთული. უღრ. სულ რამდენსავე ყვირაზედ გადააკეთათავისი ახალი მაშული, შორთო პატარძალივით (ე. ბარნოვი); უღრ. ჯგუფად მომიგროვდა ყველაფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს, პატარძალსავით შორთულ ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო (ილ. ჰაჰაჰაჰა).

პატარძალი ეწოდება საქორწინოდ გამზადებულ გასათხოვარ ქალს, რომელსაც განსაკუთრებული გულმოდგინებით შორთავდნენ ხოლმე ისე, რომ სიხეებში, არაპატარძლებში, უნდა გამოჩნულიყო თავის გარეგნობით.

პატარძალივით ჯდომა პრღ. პატარძლის მსგავსად ერთ ალაგას ჯდომა ანუ უმოძრაოდ გაჩერება. სკვ. არაფრის კეთება, ხელის გაუნძრევლობა, უსაქმურობა. მგლ. რა პატარძალივით ზიხარ, ქალო, ხელი გაანძრე, მიდექ-მოდექ, ხომ ხედავ, სახლში გამკეთებელი შენს მეტი არავინაა?!

ძველთა ქალი ხშირად მოტაცებით მოჰყავდათ ქმრის სახლში, ქალის დეგამისა და თვით ქალის სურვილის წინააღმდეგ. იგულისხმებოდა. რომ მოტაცებული და ასეთნაირად ქმრის სახლში ძალად შემოყვანილი ქალი გამბრაზებული იყო, ებუტებოდა ყველას, ხმას არავისა სცემდა, თავის მომტაცებლის სახლი თავის სახლად არ მიანდა და, მაშასადამე, არც მის ოჯახის წევრად სთვლიდა თავის თავს. ბუნებრივია, რომ ასეთი ქალი თავდაპირველად სახლში არავითარ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, სანამ დრო-

უამი არ გავლიდა და არ მიეჩვეოდა თავის მდგომარეობას. აქედანაა თქმა: „პატარადალივით ჯდომა“, „რა პატარადალივითა ზიხარო...“ ე. ი. არაფერს აკეთებ, ხევის ნაკეთებით გინდა იოლად გამოავიდრო.

პატივი თქვენთან პრ. პატივისცემა მოიხიანებენია თქვენთვის! სკვ. თქვენ კულს აბა როგორ გაკადრებთ! მგლ. პატივი თქვენთან და ჩვენმა ნაცნობმა ძალიან გადაამლაშა, რომ ისეთი პართული დახარჯა! ახ. უკაცრაო პატივი!

ეს ნობორიშების თქმა იხმარება უხერხულ და უზრდელ სიტყვების წარმოთქმის დროს, ამ სიტყვების სიმკვების შესაბამისად, უზრდელ სიტყვა-პასუხისათვის ზრდილობის იერის და უკარგველობისათვის და იმის სათქმელად, რომ: მართალია, წამომცდა უკმეხი სიტყვა, სიტლანქე გამომივიდა, მაგრამ გარწუნებთ, არ მინდოდა ასეთი კადნიერება. მაპატიეთ, შემინდეთო! იხმარება როგორც შეტანილი წინადადება და უდრის უკაცრაოდ პატივი!

პატიოსანი პრ. პატივით მოსილი. სკვ. დაცინვით: უპატიოსნო, სინიღისზე ხელაღებული. უღრ. მე, რასაკვირველია, თქვენი ძმის ნაარმევე ფულებს შინ არ შევიტან, სულ სამადლოდ დაეკრიგებ, ახ ეკლესიებს შეეწირავ. თქვენ კი კარგათ წამოსწევთ წელში თქვენს ვაჭრობას. თქვენ პატიოსანი ძმას (ლევანს) კი რვა ათასი თუმანი ძლიერ მოსწყვეტს წელს (მეღანა).

პატიოსანი სიტყვის მიცემა პრ. სინდისიანი სიტყვის თქმა. სკვ. პატიოსანი სიტყვით დაპირება რისამე უკველად ვაკეთებისა. მგლ. პატიოსანი სიტყვას გაძლევ, რასაც მხოვე, ხელისათვის შექველად გიშოვნო.

პატიოსნებაზე ხელის დადება პრ. პატიოსნებისათვის ხელის დადარება. სკვ. პატიოსნურად მოქცევა, პატიოსნობის დაჩენება. უღრ. როდის აქვთ დასდეთ პატიოსნებაზედ ხელი? პატიოსნება რო გაახსენდა დიამბეგს. თითონაც კი შერცხვა და გაეცინა: მე ვინა და პატიოსნებამო! მგონი, გაიფიქრა გულში (ილ. კავკაზი).

პატივს წვერი შემოერღვა პრ. პატივის ნაქსოვის ძაფის თავი ნაქსოვისაგან განცალკევდა. სკვ. საქმეს რასმე შეეპარა გაფუჭება, რომელიც ბოლომდე იღოს, საქმის გამობრუნებას ვერაფერი უშველის. უღრ. ბალკანის ნახევარკუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულებით წვერი შემოერღვა, როგორც პატივს. და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდე რღვევით უნდა წავიდეს (ილ. კავკაზი); უღრ. ყოველი წესი, ჩემო საყვარელნო, პატივსა ჰგავს; თუ კი ერთი წვერი შემოერღვა, გათავდა კიდევ — სულ ბოლომდე რღვევით წავა (ილ. კავკაზი).

პილატეს ცრემლი პრ. ცრემლი, რომელიც მოედინა თვალთაგან პონტოელ პილატეს. სკვ. და ირონიულად: არაყი, სიმწარე. უღრ. თევდორემ შეიპატივა ზიზი რეუქანში, თანაც ორი ქიქა პილატეს ცრემლი გადაეცემა, ზურგიელი დაუთალა, შოთი მოუმტვრია (ე. ბარათი).

ლეგენდის თანახმად, იესო ქრისტეს ჯვარცმანზე, რომაელთა მძარტველს — იუდეველთა პონტოელ პილატეს. სიმწარისაგან თვალთაგან ცრემლები წამოსცივდა თურმე, და ქართველი ხალხის მიერ ანალოგიაა გატარებული არყის სიწხარესა და პილატეს ცრემლების სიმწარეს შორის.

პილპილმყოფილი მადლი პრ. მადლი, რომელსაც ზემოდან პილპილი მოჰყრია. სკვ. დაუყვდრებული, ლანძღვადატანებული სიტყვა. უღრ. ერთხელ ერთი მათხოვარა მიადგა კარს. თორაანთ ქერივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია — თვისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად დაზოთიანად გამოგილანძლათ (ილ. კავკაზი).

პირადღებულნი პრ. ვისაც პირი აქვს დაღებულნი (სალაპარაკოდ). სკვ. საგინებელი, სახელგატეხილი, სალანძღავი, წყულო. უღრ. სთქვა ჯუღბერ: „სამთა ჰმარათებენ გარდახვეწა: ერთი — თემთაგან პირადღებულსა; მეორეს — ურჩის ცოლის უფალსა; მესამეს — პატრონის ორგულსა“ (ს. ორბელიანი). ახ. ყბადღებულნი.

პირადღებულნი პრ. პირის მიერ თქმა. სკვ. პირიდან წამოცდენა. მგლ. რო

გორ გაბედვ და პირად როგორ და თქვი!

პირად შედგება პრ. პირზედ მიკრობა. სცვ. დაბრალება, დამნაშავედ გამოყვანა. შერ. თუ ჩვენს სოფელს შესდეს პირად იმის (სოსიკას) სიკვდილი, ყველა ტულებს ავისხავთ და მთლად ბატონის სახლს ძირს დავუშვებთ (ს. მჯალბონიჭვილი).

პირაკანული იხ. პირის აკანვა.

პირაკრულია პრ. ტუჩები ერთიმეორისათვის აქვს მიკრული. სცვ. დაშლილი აქვს ლაპარაკი, ნება არა აქვს ლაპარაკისა, მუხჯად უნდა იჯდეს, ვერ ლაპარაკობს. შერ. სად შესწლებს იგი (საერო სკოლა) მოსანზადებულ კლასობასაც იმისთანა უმაღლეს სასწავლებლისათვის. საცა მარტო რუსული ენა მოქმედებს და ღვდა-ეხა პირაკრულია (ილ. კეკეაძე).

პირალმა გაშხლართვა ვისიმე პრ. ვინმემ ვინმე ძირს პირალია რომ დაანარცხოს. სცვ. ჯობნა, მორევენა, ძლევა. მგლ. მართალია, მტერმა არ დაინდო, მაგრამ მეც სამაგერო გადადებუდი: ვეცი და პირალმა გა-ვშხლართე.

ქართულ კიდაობაში ერთ-ერთი მოკიდავე მაშინ ითვლება ძლეულად, როცა მოწინააღმდეგე ბეჭებზე დასცემს, ცისთვის შეახედინებს და თვითონაც ზეიდან გულზე მიუხლს დააკერს. აქედან პირალმა გაშხლართვის გადართანი-თად მნიშვნელობა მიეცა საბოლოოდ დამარცხებისა, ძლევისა, მორევისა.

პირბადის ტარება პრ. სახეზე პირბადის აფარება. სცვ. დამალვა ნამდვილი სახისა; სხვახარად ჩვენება, ვიდრე არის. შერ. სიხარბით დაბრმავებულმა და ფულის ყოველს წამს ცქერით გატაცებულმა მეტ ბარგად ჩარცხა თითქმის დედის მუცლიდან თანდაყოლილი სიფრთხილე და გაიძვერობა. წლის გასულს საქვეყნოდ მოიგლიჯა ლიბერალ პატრიოტების პირბადე და დაცინვით გადისროლა სანაღვისაკენ (ნ. ლომოური); შერ. ის (დედაჩემი) იყო ნამეტანი ჩვილი გულის მქონე და მოყვარული, მაგრამ დიდ ოჯახში ნამყოფი, დარეჯან ბატონიშვილის გაზრდილი და პატრების ნამოწაფარი, განგებ პირბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილის განზრახვით (აკაც).

პირგამშრალი პრ. პირში ნერწყვი ცოტა ან სულ რომ არ ექნება. სცვ. გულქვა, უალერსო, უგემური. შერ. წაეიდა ძველი წელიწადი — ეგ უგემური, უმადური, უმადლო. ილაჯ-გაწყვეტილი და პირგამშრალი ბებრუტუნა (ილ. კეკეაძე).

პირგახეული პრ. ტუჩებგამობილი. სცვ. მოურიდებელი, უკაცრული, უსირცხვილო. აღვიანი, ცხადი ტყუილი. შერ. განა პირუთვნელს მისრეკელს „ნარ-დონის“ პირგახეულ ტყუილებისას მარტო ეს უნდა ეთქვა და სხვა არაფერი? „ნარ-დონა“ რუსთაველი განა მარტო იმით ამოსეარა ლაფში, — განა მარტო ამის გამო შესვლა ვირზედ? (ილ. კეკეაძე).

პირგახეულობა პრ. შეკრული ტუჩების გამობა. სცვ. მოურიდებელი, უკაცრული ლაპარაკი, უსირცხვილო სიტყუების ხმარება. შერ. დააკვირდი თარეხულად მოყვანილ სიტყუებს ვა-ნუხასას. ნამეტნავად ქვეშ ხახგისმულებს და მიბრძანეთ: ამგვარს უწმა-წურს პირგახეულობას რა უნდა დაერქვას? (ილ. კეკეაძე).

პირბანანილი პრ. წყლით პირიდან უსუფთაობა ჩამოშორებული. სცვ. ყველაფერწართმეული, უარარაოდ დარტოვებული, ცარიელ-ტარიელი. შერ. მშენიერ გამართულ სამოსახლოდან პირბანანილიები გამოგვიყვანა (ბატონმა) (ან. ვრისთავი-ხომტარია).

ზინა „ბანა“ გამოხატავს წყლით უსუფთაობის რისამე მოშორებას ჰვენი სხეულისაგან (მთლად ან ხაწილობა-რეიდ). ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ პირიდან შოებანება, შორდება ქონება, სამოსახლო ადგილი, საერთოდ — შეძლება და ამ შეძლების პატრონი დარჩება ცარიელზე.

პირდაპირი პრ. ვინც ან რაც სწორი ხაზით მიიმართება. სცვ. პატროსანი, მართალი, უეშაკო, გულით უზინჯო.

პირდაღებული პრ. კაცს მოუკუთავი, ლიად რომ ექნება პირი. სცვ. გაოცებული, გაკვირებული, უდარდელი, გამოშტერებული. შერ. მთელი დიდებულები და ხელწიფეც იღვანენ და პირდაღებულები შესცქეროდნენ რაშისა და ბურთის თანაშს (თ. რაზიკაშვილი); შერ. მდიდან დედნი, მდიდან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე

ხელსაყრელი, როგორც ყოველივემართ (ილ. ჰაჯაჰაძე).

პირველი პრ. რიგითი სახელი ერთი-სა. სვ. ყველაზე უკეთესი, ყველას მჯობობ; სხვებთან თავში მდგომი; სიმღერაში — დამწყები. მკლ. გივი პირველი მოწაფეა თავის კლასში.

პირზე აქერია პრ. პირზე აქვს დაკერებული რანე სათქმელი, გინა სიტყვები. სვ. ერთთავად ერთსა და იმასვე იძახის, თითქო სხვა სიტყვების რისამე თქმა გაუწყდაო. ურ. „ამიტომ არის, რომ მეტაფიზიკოსებს ყველგან — მუდმივი სამართლიანობა“ და „სუცული ქეშმარიტება“ აქერიათ პირზე“ (ი. ხტალინი, თხზულებანი, ტ. I. გვ. 256). იხ. ენაზე აქერია.

პირზე დაუდგრომელი პრ. ვინც პირზე არა დგას. სვ. ვინც პირობას არღვევს, ვინც მიცემულ სიტყვას არ ასრულებს.

პირზე კლიტის დადება პრ. პირის დაკეტვა კლიტით. სვ. მტკიცედ დადებულია, არაფრის თქმა. ურ. მაგრამ პირზე კლიტე ედვა და ცეცხლზე ცეცხლი ედებოდა. სიტყვა აღარ ჰქონდა პირში და მხოლოდ საზარლად გაღმუოდა (ე. ბარნოვი); ურ. უფრო სწორად, გრძობა, აზრი და რწმენა ვერ იკავებს, ვერ იჭერს, არამედ მისგან დაჩრდილული, პირზე კლიტე დადებული მდუმარებს, ხნის ამოღებას ველრა ჰბედავს (ეჟაფაევა).

პირზე კოცნა პრ. პირზე მიდება ტუჩებისა. სვ. სიყვარული, ალერსი, მოფერება. ურ. სულხან — (თამარს) რომელი ქალი?! ქალი მითხარ!.. მაშ, მე ხომ პირზე დარვა კოცნებდი?... (რ. ერისთავი); ურ. სანამ ის კოჭაობდა, გორგლები ეილაცამ ნოჰპარა და ცარიელი მიბრძანდა ოსტატთან. ოსტატი აბა რა პირს დაუკოცნიდა, მერე ფეიქარა?! სცემა და გააგლო (თ. რახიკაშვილი).

პირზე შური ჩამოისვა პრ. მურით დაიფარა სახე. სვ. თავს გვარიდებს, არ გვიჯობებს, რცხვენია მურჩამოსმულის მსგავსად. იხ. პირშავი.

პირზე მურჩამოსმული იხ. პირშავი.

პირზე ხელის აფარება პრ. სახის დამალვა ხელით. სვ. სახის დამალვა,

სასირცხვილო საქმის ჩადენა, აუგიანობა. ურ. რომ პირნათლად დავხედეთ ამ განკითხვის დღეს, რომ სირცხვილით პირზე ხელი არავიფაროთ ჩვენთა მომდევართა წინაშე, რომ ჩვენი ხსენება საწყევარი არ გავიხადოთ, მაგ მძიმე ტვირთს უნდა ყოველის ჩვენის სულიერის და ხორციელის ძალით ცნობიერად და წინდახევალით გავეძღვეთ (ილ. ჰაჯაჰაძე).

პირზე ხელის დაფარება (ვისთვისმე) პრ. ვინმემ ვისმე პირზე ხელი დააფაროს. სვ. ლაპარაკის, რისამე თქმის აკრძალვა, გაჩუმება, დაუღმება ვისიმე. ურ. მეზობელი თავადანაურები ეტყოდნენ: ასე და ასე გავიგეთ, რა დამგაოხრიათ, რატომ არ აცხადებთო, — (ჯვარის მამა) ყელსა პირზე ყელს აფარებდა: სულ ტუჩოლია, ვინ მოგაასენათო? (ს. მგალობლიშვილი).

პირზე ტყავის ამრობა პრ. პირიდან ტყავის გადაცლა. სვ. შეწუხება ვინმე, თავის მობებობა (თხოვნითა, ხეწნითა, საჩივრითა).

პირთეთრი იხ. პირხათელი.

პირი პრ. ღრუ, რომელიც ადამიანს პირისახის ქვედა ნაწილში აქვს ორ ყბას შუა. სვ. პირობა, თანხმობა, სიტყვა; მკრელი მხარე იარაღისა; გარეთა მხარე ქსოვილისა. ურ. ნაძლევეცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკენილეს (შ. რუსთაველი); ურ. მავას კი მართლს ამბობ, — სთქვე ერთმა მოსამართლემ, — ის (გიორგი) ტუჩილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია (ილ. ჰაჯაჰაძე); ურ. გავიდა მოციქული და უთხრა: გაეხარნეს არამთა. მეფესა და თქვა: მაგა პირსა ჯერვარ (ამირან-დარჯიანიანი); ურ. წახდენის დროს მამა-შვილთაც არა ჰქონდათ ერთი პირი (დ. გურამიშვილი).

პირი ბევრგვარის მნიშვნელობით იხმარება ქართულში. მაგრამ მთავარია მნიშვნელობა: სიტყვის მიცემისა, რისამე დაპირებისა, ნათქვამის ასრულებისა. აქედანაა წარმოებული სიტყვები: პირობა — სიტყვის მიცემა, პირის შერცხვენა — დაპირებულის აუსრულებლობა, პირიანი — ვინც ნათქვამს აასრულებს, უპირული — ვინც ნათქვამს გადავა და სხვ. და სხვ.

პირიანად ყიდვა პრ. პირის შესაფე-

რად შეიძენა. სცვ. იაფად ყიდვა.
 პირი არ აჩვენა (ვისმე) პრდ. პირი და-
 უმალა ვისმე. სცვ. ტკბილად არ მო-
 ეყარა, არ მოეალერსა.

პირი არ შეღება პრდ. პირის დაღება
 არ შემოდლია. სცვ. დაბარდინანებუ-
 ლი ვარ, მწუხარე ვარ, ლაპარაკის
 თავი არა მაქვს. შერ. რაც უნდა გა-
 ჯავრებული მივიღე სახლში, რაც
 უნდა ჯავრი მაწვეს გულზედ და
 პირი არ მეღებოდეს, მოეა ჩემი
 ცოლი, ისეთ სიტყვას შეტყვის, ისე
 მომეჩქევა, რო სულ სიცილით და-
 ვსუსტდებო (თ. რახიკაშვილი).

პირი გამოირეცხე პრდ. პირიდან უსუფ-
 თაობა მოიშორე. სცვ. ღირსი არა
 ხარ ამა თუ იმ ღირსეულ ადამიანზე
 ილაპარაკო. ესა თუ ის ადამიანი შე-
 ნი სახსენებელი არ არის. შერ. ბა-
 სიკო — დემეტრანთ შაშო ხო არ
 დანიშნულა, პა?

- შაშო!?. პირი გამოირეცხე!
 რაო, ხო არ გეპრიანება? შენ ვინ
 მოგცენს, შვილო, იმის თავს, იმისი
 მამა კურსონიკებს დაედებს! (ი. ენდო-
 შვილი).

პირიდან ამოშვება პრდ. პირიდან გა-
 მოსვლის საშუალების მიცემა. სცვ.
 გაბედვა ლაპარაკისა, რისამე თქმისა.
 შერ. თვითმოქმედებით შექმნა რისა-
 მე — ქებაა, და ქართველის ქებას
 ამა პირიღამ როგორ ამოუშ-
 ვებს ბულვარის კრიტიკოსი (ნარ-
 დონი) (ილ. ჭავჭავაძე).

პირიდან დორბლების ყრა ის. პირი-
 დან ცეცხლის ყრა.

პირიდან ლუქმას იღებდა და იმას აჭ-
 მევდა პრდ. თავის პირში ჩადებულ
 ლუქმას გარეთ გამოიღებდა და იმას
 (ვისმე) აძლევდა შესაქმელად. სცვ.
 თვითონ იკლებდა და სხვას აძლევ-
 და, მოყვასი თავის თავს ერჩინა.

პირიდან ლუქმის გამოგლეჯა ის. პირ-
 იდან ლუქმის გამოცლა.

პირიდან ლუქმის გამოცლა პრდ. პირ-
 ში ჩადებული ლუქმის წართმევა. სცვ.
 ქონების წართმევა, ძარცვა, გლეჯა,
 ცარიელზე დასმა. შერ. აი ესა ვართ
 ქართველები, ჩემო აპოლონ! ერთმა-
 ნეთისათვის პირში სული გვშურს,
 ერთმანეთს პირიდან ლუქმას
 ვაძლავთ (ი. მგალობლიშვილი); შერ.
 — ჰმ!.. შინ ლუქმას გვაძლავთ

პირიდან და გარედან კი ნასულ-
 რალს გვიყრიან ძალღებსავეთ (აკაი).
 შერ. ეხლა მაგებებისათვის თავს ვილა-
 იბრძობებ? ყველას თავის თვისი ოჯახი
 გააბლდომია თავში საცემი. ვერ ჰხე-
 დაე, ერთმანეთს თავპირს ვაქმევთ,
 არა, მე კარგად ვიცხოვრო, არა მგო
 და ერთმანეთს პირიდან ლუქმას
 ვაძლავთ (ვან. მენთაშაშვილი).

პირიდან ლუქმის წართმევა ის. პირი-
 დან ლუქმის გამოცლა.

პირიდან ნაპერწკლების ყრა ის. პირი-
 დან ცეცხლის ყრა.

პირიდან ცეცხლის ყრა პრდ. როცა
 ვისმე პირიდან ცეცხლი სცვივა. სცვ.
 უზომო გულმოსულობა, გაანჩხლე-
 ბა, სიციოფე, გბრაზება, გაბოროტე-
 ბა. რისხვის სიტყვების წამოსოლა,
 წყრომა, გაჯავრება. შერ. ღომი პირ-
 იდან ცეცხლს ჰყრიდა, კლან-
 ქები მოიძარგა, კბილები დაილე-
 საო (ვაჟა-ფშაველა); შერ. ბევრი აოწ-
 მუნა ბატონმა თიბურაზმა, იგ ყვე-
 ლა ტუშულიაო... ბევრი ცხვეწა თათ-
 რებს, ქართველებსაც... ჯავრობდა,
 პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა,
 მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა-რა
 (ნ. ლომოური).

პირიდან ცოფების ყრა ის. პირიდან
 ცეცხლის ყრა.

პირი დაუობდება სიჩუმით პრდ. პირზე
 ობი გადაეკერის ხანგრძლივი დუმი-
 ლისაგან. სცვ. დაცინვით რეტისმერად
 ლაპარაკის მოყვარულზე იტყვიან.
 არ შეუძლია გაჩუმება — უნდა რა-
 მე ილაპარაკოსო, შერ. რა ჰქნას,
 ქა, მამო რა სთქვას? პირი-ღაუობ-
 დება სიჩუმით და სხვა საგანი
 რა აქვს სალაპარაკო? სხვას რას ჰხე-
 დაეს, სხვა რა ეთმის? (ვან. გაბაშვილი).

პირი და ხელი იმისაკენ (ან შეჩვენ)
 პრდ. პირი და ხელი იმისაკენ (ან შეჩვენ-
 კენ) მოტირიალდეს. სცვ. რაც პირი-
 დან წყველა გამოვა ან ხელებით
 ქვები გაისროლება, სულ იმას მო-
 ხიდეს, ერთი არ ასცდეს. ეს იმას
 ნიშნავს, რომ რაც პირიდან ამო-
 გვიღია, შენვე ჯიან დავბირუნ-
 დეს და ჩემის ხელებით ქვები
 მიგუყაროს ჩასაქვავებელსა და დასა-
 მიწებელსაო! ის. ჩაქვავება.

პირი ვერ აქნევინებს ვისმე) ჩვენკენ
 პრდ. პირი ჩვენკენ ვერ მოაბრუნებო-
 ნეს. სცვ. მოკეთებდა ვერ გავიხი-

დეს, მტრული განწყობილება მეგობრულად ვერ შეაცვლევინეს. უღრ. გარდა ამ მტრმა და ლიგნით უკეთურთა ბზარვამ და საღვამ იმოდენა ჯათა, სასხლის ღერა, თავგანწირვა, ამოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძღვრებულს ქვეყანას და ერთხელ ზურგმემოკეთეს ბედს პირი ჩვენ კენ ველარ აქნევი ენეს (ილ. ჰუჯავაძე).

პირი იბრუნა პრ. პირი უკან მიიღო, მოტრიალდა. სვ. ურთიერთობაზე უარი განაცხადა, მეგობრობაზე ხელი აიღო, მეორეს არ უშველა, მტრად გადაიქცა, მიატოვა, თავი გაანება; განედიდურდა. უღრ. მაგრამ ხელი ჰქრა ყნისათვისაგან მოგზავნილებსა, პირი იბრუნა მედიდურად; სიცილიც კი დააყარა ზოგიერთ საწყალს (გ. ბარნოვი); უღრ. საყოცნელად მოხვეულსა მოარიდა პირი (ღ. გურამიშვილი).

როცა ვინმე გვაწყენინებს რასმე ან როცა ისეთი ვინმე შეგვხვდება, რომლის ნახვა არ გვესიამოვნება, უკეთეს შევთხვევაში, მოვერიდებით თვალბში ვუყურით, პირს უკან მივიდებით და თავს მივანებებთ.

პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებული (აჟადმყოფს) პრ. იმ ქვეყანას (საიქიოს, სულეთს) უცქერის, იქითკენ იყურება. სვ. არ მორჩება, სასიცოცხლო აღარ არის, შალე მოკვდება. უღრ. კაცმა რომ ნახოს (აჟადმყოფი), იტყოდა — ეს ამ ქვეყნისა აღარ არის, პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებულიო (ილ. ჰუჯავაძე).

პირი მაქვს, ვანა ქვების ძირითი პრ. ჩემი პირი პირსა ჰვავს, წმინდა და არა ქვების ძირითი შვილი. სვ. კაცს, რასაც დავპირდები, შეეუსრულებ, პირს არ გადავალ, პირშავი კი არა ვარ, ნათქვამი გაერტხო.

ქვაბი ჩვეულებრივად შეშისა ან ნახშირისაგან გაწენილ ცეცხლზე დგას, ასეთ ქვაბს ძირი თვითავედ შავი აქვს მურისაგან. ეს თვისება სიშავისა ხატოვანად მიკეთვნილი ჰქონდა უპირულ კაცს და სოფელს მისთვის ხატოვანად ქვაბისძირა უწოდებია.

პირი მიატებსა მთელმა ქვეყანამ (მავანს) პრ. მთელმა ხალხმა მავანს უპიროდ დაუწყო ყურება. სვ. მა-

ვანს ყველანი გადაემტერნენ, მისთვის სიკეთე არავის უხდა, ყველანი მისი ავისმომომნი არიან.

პირი მიყო მიწამ პრ. მიწამ პირი ალო ჩემ გადასაყლაპავად. სვ. დავიღუპე, მოგვკიდი. უღრ. თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დაეღუპულიყავ (ვათა-ფაშვლა).

პირი მომტებსა პრ. სალაპარაკო ორგანო მომამტერია. სვ. ხმა არ ამომამტებინა, ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა.

როცა აღამიანის პირი დანაგებულა, იგულისხმება, ლაპარაკის უხარი დაბრკოლებულია და კაცს რეტყულება არ შეუძლია. ვისიმე ნათქვამის დაუჯერებლობა, ამ ნათქვამისათვის ყოველსავე ფასის დაჯაგავა უღრის აღამიანის მტყვევების ორგანოს — პირის მოტებას იმ აზრით, რომ აღამიანმა პირი უნდა დააღუმოს, აღარა სთქვას რა, რადგან მის ნათქვამს, სულ ერთია, არავითარი ფასი აქვს. პირმოტებილად ითვლება ის, ვისაც ნათქვამს არ უჯერებენ, ხოლო პირისმტებელად — ის, ვინც ვისმე ნათქვამს რასმე არ უჯერებს, არ აღაპარაკებს, უბნობის საშუალებას ართმევს.

პირი მტრისაკენ ის. პატრივი თქვენთან. პირი ნუ დავიღია პრ. პირი ლიად ნუ გაქვს. სვ. მარჯვედ იყავ, გაინძერ! ის. პირ დაღებულ ი.

პირის აკანჯა პრ. პირის აყვრა. სვ. დუმილი, სიჩუმე, მტყვევების შეჩერება, უბრობა. უღრ. ძალთა მართის იქვე გვერდით უზის უბედურობის მოწმე. იგი მოწმე თითონაც შიგ

ურგევა საქმეში და პირი აქვს აკანცილი, მაგრამ შეუძლიან ოდესმე სათრეად დალოს მართს სახელი, საგმობელ-საზისლარი გახადოს იგი (გ. ბარნოვი).

პირის ართმევა პრ. პირის არიდება, აცილება, მოშორება. სვ. უკუღმა წასვლა, ხელის შეშლა, დარაჯერა, დაბრკოლება. უღრ. ჰო. ჩემო რძალო, თუ იქ ჯერით არის საქმე დავწისით, აქაც წესით უნდა იყოს დაციული უფროსობა, თორემ ოჯახს პირი აერთმევა. აიბნევა და დაიქსაქსება. — მიუგო უფროსმა და ჩიბუსს დაუწყო ტენა (გ. ბარნოვი).

პირის არიდება პრ. პირის განზე მი-

ბრუნება, დანახვის უნდომლობა. პირ-
დაპირ არ შეხედვა. სვ. დახმარება-
ზე, შეელაზე უარის თქმა, მეგობ-
რობის გაწყვეტა, რცხენა. შ.რ.
ღმერთო, გავგიყთოხე ჯეჯილი, ნუ
ა არ იღებ პირსაო! (ვაჟ-ფშველა);
შ.რ. ის-ი არ გვახსოვს, რომ ღმერ-
თი მარტო გამსჯელის მწყალობელია
და უხეროს, უქმს, უსაქმურს პირს
ა რ იღებს (ილ. ჰუჰვაჟაძე).

პირის აღება ჰრ. პირის ჰოვნა. სვ.გ.
თანხმობის აღება, დაყაბულება, პი-
რობის ჩამორთვნა. შ.რ. ნიხაკომ
გადასწყვიტა ბაბუყას ცოლად შე-
რთვა, მისი ღელამისაგანაც პირი
ა ილო (მელანია); შ.რ. დარისპან,
სანამ იმათგან პირი არ აილო,
ნუ რას დაკლავ, იქნება არ წამოვრ-
დნენ და მოვხადება ტუილიად წა-
გვიხდება (ან. ერისთავი-აოშტარია).

რაიზე საგანზე შეთანხმების დროს
მთავარ როლს თამაშობს პირი. რო-
მელშიაც მოთაესებულია ენა, გამოხატ-
ველი ამა თუ იმ აზრისა. ენის ნათქვამი
გამოდის პირიდან, რომლის ახსნა-და-
ყოფაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ
ბგერის შეკავება თუ გამოსვლა პირი-
დან. ამა თუ იმ საგანზე შეთანხმებ-
დასტური ისმის შემთანხმებელთა პი-
რიდან და ამბობენ: მაყანისაგან პირი
ავიღეო, ე. ი. პირობა ჩამოვართვიო,
დამპირდაო ან დაეპირდი, პირი მი-
ქეციო.

პირის ბრუნება ჰრ. პირის შექცევა,
პირის მიწართლლების გამოცელა.
სვ. გაწყრომა, ბტრომა, ბოროტე-
ბის მიგება; უკან წამოსვლა. შ.რ.
მეფე იყო, მძლე შექძლო ეკარანხა
ბედისწერისათვის; თუ არა და იბ-
რუნებ და პირს ა ელვარე კეთილთ
მოცემები და მოიციავდა მისსა გვირ-
გობის ბნელი უქუნი (გ. ბარხოვი); შ.რ.
ჩავალ ქალაქსა, საქმე იქ ბეგრია,
ღლიურად სადმე ვიიუშავებ, ერთი-
ორიოდ გროშს შევაგროვებ და იქ
კალობას იქნება პირი ისევ აქეთ
ვიბრუნო (ეკუბტი).

პირის გასვლელება ჰრ. პირში სეკლის,
ნამიანის რისამე შეშვება. სვ. რაიმე
ხილის (წულიანის) კემა.

პირის გატება ჰრ. პირის დამტერევა.
სვ. თავის ვალდებულები შეუსრუ-
ლებლობა, პირობის დარღვევა. შ.რ.
მალლა ღმერთს გაძლეგ თავდებულ,

არ გაგიტეხო პირია (რ. ერის-
თავი).

პირის გაშავება ის. პირშავეი.

პირის გახვევა ჰრ. შერეული პირი
რომ გაიძობა და ბაგეები ერთმა-
ნეთს მოშორდება. სვ. მოურიღებე-
ლის, უჯაკაულის ლაპარაკი, უსიო-
ცხვილო სიტყვების ხმარება. შ.რ.
ბიწს ურცხვობისას საზღვარი არა
აქვს. რაკი ერთხელ კაცმა ურცხვო-
ბისათვის პირი გაიხნია, იმას აღა-
რა დააყენებს რა, თუნდა ათასი ბა-
ყი გაუქვთო და ათასი ნალო გამო-
ბაბი (ილ. ჰუჰვაჟაძე).

პირის გემო ჰრ. პირის სიტკმო. სვ.
ნარჩევი საქმლის სიყვარული. შ.რ.
ახლა ვაიგო, შენი ვირიმი, რო ჩემი
აღსასრულის დღე მოვიდა, პირის
გემოს მივდიო, ეს მაინც შემრჩე-
ბაო (ვაჟ-ფშველა).

პირის დაკვრევილება ჰრ. ვისმე რაზედ-
მე ან ვიზედმე პირი რომ დააკარე-
ბინო. სვ. დაყოლება, საქმის გაკე-
თებინება, დათახმება. შ.რ. იმით
(ვაჟრების) შეტოქეობას ის მოჰყვა,
რომ სასახლის ფასმა ერთი-ორად
აიწია, მაგრამ ანანომ (სასახლის პატ-
რონმა) შეავლო ქვა და შეუშვირა
თავი; პირი ვერცერთმა ვერ
დააკერევიცინა გასასყიდად (მელა-
ნია); შ.რ. გარსევაზუნდაც იმიტომ
დააკერევიცინეს პირი (თინას)
(ვგ. მენთეშაშვილი); შ.რ. როგორც იყო,
დააკერევიცინეს კოლას პირი
ქორწილში წასვლაზე (ვგ. მენთეშაშვი-
ლი).

პირის დაპირება ჰრ. პირად გახდომა
პირისა. სვ. პირობის, სიტყვის რი-
სამე მიცემა, დადგენა, გადაწყვეტა
რისამე. შ.რ. კვლავ შეჭოიციეს (თი-
ნათინმა და ავთანდილმა) ერთმანერ-
თსა, დააპიოეს ესე პირი (შ. რუს-
თაშვილი).

პირის დასკვნა ჰრ. პირის გადანასკვნა
რაზედმე სვ. შეთანხმება, პირობის
დადება. შ.რ. ნაძლევიცა გააჩინეს
(როსტევიანმა და ავთანდილმა). ამა
პირსა დაასკენიღეს: ვინცა
იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღე
ვლიდეს (შ. რუსთაშვილი).

პირის დატოკება ჰრ. პირის მოძრაობა.
სვ. ლაპარაკი, პირსმე თქმა. შ.რ. ვისაც
უთხრეს თავიანთი განხრახება, ყველაძ

სასაცილოდ აიგლო ისინი: „ძლივს გამოგვიჩნდნენ გულშემატიყარნი და კუთლისმყოფელნი; აგვიხილეს თვალები, გამოგვაფხიზლეს და იმთ წინააღმდეგ რომ პირი დავატოკოთ, ღმერთმა ენა არ უნდა გაგვიხმოსო?“ (მელანია).

პირის დაღება პრ. პირის დატოვება მოუკუჰაჰად. სვ. გაოცება, გაკვირვება, სახტად დარჩენა, უზრუნველობა, უდარდებობა. უღრ. და რა დაბრუნდა შინ მზარეული, ნეტა იცოდეთ, იმან რა ნახა... სწორედ გაშტრდა, დაალო ხახა... (რ. ვრისთავი); უღრ. საქმე თუ გექნეთ, ხომ კარგი, თუ არა აღებთ პირსაო (ი. დავითაშვილი).

პირის დაყოფილება პრ. ვისმე პირი რომ ნოაკუნსჰინოთ. სვ. ვინმე რომ გააჩუგოთ, ხმა არ ამოაღებინოთ, ამხილოთ დანაშაულში, ბრალეული გამოიყვანოთ, თავის გასამართლებლად არ აღაპარაკოთ, ვისმე თავის დანაშაულისათვის ისეთი საბუთი წაუყენოთ, ხმა ვერ ამოიღოს. მგლ. რევაზს უნდოდა თავი ემართლებინა, მაგრამ მე პირი დავაყოფინე.

პირის დაწყობა პრ. პირის დლაგება საღმე. სვ. მოლაპარაკება, შეთანხმება, პირობის დადება. უღრ. მაშინ სოფელმა დააწყო პირი და შეჰკიდეს ალუდი (ალუდს ეძახდნენ თუშები სამღვთოს).

პირის ერთად ბანა პრ. ორმა ერთად რომ დაიბანოს პირი. სვ. ერთმანეთთან დაახლოება, დამეგობრება, ერთად შეზრდილობა. უღრ. შენ და იმას პირი ერთად არ გიბანიათ (ზარაშიძე, გურული ლექსიკონი).

ორი ადამიანის მიერ პირის ერთად ბანა გულისხმობს მათს ერთად, მზარდაპარა ყოფნას, ერთის ცხოვრებით ცხოვრებას, დაახლოებას, მეგობრულ კავშირს, მეგობრობას.

ეს თქმა გურულია და გურიაში დღესაც, როცა უნდათ ერთიმეორის მოყვარულობა, დაახლოება, მეგობრობა გამოხატონ, ერთიმეორეს ეტყვიან: ჩვენ ხომ ერთიმეორისათვის წყალი დავისხამს ხელზე, ერთიმეორისათვის პირი დავგიბანინებიაო! ან კიდევ, როცა ამის მერტოქე ხარი უნდა დამოსთქვან, იტყვიან: მე და შენ პირი ერთად არ გვიბანია, ე. ი.

მეგობრები არა ვართ, საერთო არაფერი გვექონია, ერთმანეთისათვის უცხონი ვართ.

პირის ზიარება პრ. ზიარება, რომელიც ჩემს პირში უნდა ჩავიდეს. სვ. წმინდა რამ, ძვირფასი, ჩემი სიყვითის მომნიჭებელი, ჩემი გამბედნიერებელი. უღრ. ნუ კი გეწყინებათ, დღეს ჩემი დედა ბრძანდები, ჩემი პირის ზიარება, ავი და კარგი ყველგან არის (აქვს. ცაგარელი).

ზიარება — ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომელიც შედგება პურისა და ღვინისაგან და ვითომ განახორციელებს იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს. ზიარება ითვლებოდა ცოდვათაგან ადამიანის განწმენდ საშუალებად.

პირის თხოვნა პრ. პირის გამორთვევა. სვ. პირობის ან პ:ტიოსანი სიტყვის ჩამორთვევა. მგლ. მეგობარმა მეგობარს პირი სთხოვა.

პირის კოჰლას გაწყვეტა პრ. პირიდან გამოშავალი კომბოს მოსპობა. სვ. გაჩერება სულთქმისა, სულის ღებისა, უსულოდ დარჩენა, სიკვდილი. უღრ. ღმერთმა შენ გაცოცხლოს, ჩვენო ტიტე, პირი (ს) კომლი ნუ გაგიწყვიტოს, ჩვენმა კუბოსაღვთიმშობელმა... (ს. მაგლობლიოსი).

ადამიანის სული (სიცოცხლე) დაღარებულია კვამლს, რომელიც სლის წვის მდგომარეობაში მყოფ ნივთი იქნება. ასე რომ, ხატოვანად ადამიანის სულის ექვივალენტია კვამლი ცეცხლისა. ამიტომაც, რომ როცა უნდათ ვინმე დასწყველონ, მიაძახებენ: შე პირკომლი გასაწყვეტო ან გაგიწყედეს პირის კომლიო! ხოლო დალოცვის დროს ასე მიმართავენ: პირი (ს) კომლი ნუ გაგიწყვიტოსო!..

პირის მიკარება (საქმლესათვის) პრ. პირით შეხება საქმლისათვის. სვ. მცირედის რისამე შექვა, უფრო ხშირად გაბუტულის ან უშალოდ მყოფ ავადმყოფის მიერ. უღრ. ის-ის იყო, მთელი საღილი აღარც ხმა ამოუღია, აღარც პირი მიუკარებია რისთვისმე (ილ. კაჭკაჭაძე).

პირის მიცემა ის. პირის შექცრა. **პირის მორიდება ის.** პირი იბრუნა. **პირის მოტყუება პრ.** შეკლენა პირისა. სვ. მოტა რისამე შექვა, არასა.

ძღომად. უღრ. დავისვამდი! შე ვიცი, მაგ ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოვდნენ, აი!.. ვერა მხედავ, ტუეში ბალახი მუხლამდია! ფასი ხომ არ გაგია. გაგეშო, პირი მთო ტყუეზინათ (ილ. ჭავჭავაძე).

პირის მოყოფა პრ. პირის მოშვერა. სვე პირის დაღება და დაუსრულებელი ლაპარაკი. უღრ. გაუწყურა იმას ნათელ-ძირიონი!.. მოწყო პირი, ქალო, და ქვეყნის ტალანში კი მომსვარა!.. (რ. ერისთავი).

პირის მოშლა პრ. პირის წარხოცვა. სვე. დღეობული პირობის გაუქმება. უღრ. მზობანა: „მივიკირს, რად მხოველ მშლელი პირისა მტკიცისა“ (შ. რუსთაველი).

პირის მოწმენდა პრ. პირის მოსუფთავება, პირიდან ქუტუყის მოშორება. სვე. გაპირებისაგან ხსნა, შველა, ხელის გაძართვა. უღრ. ხელ არის და ზაალიანთ გარგარი უნდა მოეკრიფო, ექვი-შვიდი მანეთი ხელში უნდა ჩავუთუთო, — ზევ ოთარანთ შპანკი აღუბალი ქალაქში უნდა გავგზავნო, ამ ორ-სამ დღეში ოთხი-ხუთი თუმანი პირს არ მომწმენდს, ხუშრობა ხომ არ არის! (ე. ვაბაშვილი). ის. პირს ვერ მომწმენდს.

პირის მოჭერა პრ. პირი ღიად არა ჰქონდეს სვე. სიჩუმე, მორიდება ლაპარაკისა, ხისი ამოუღებლობა, უთქმელობა, დუმბილი. უღრ. წამოვიდა ეს დალაქი, აბა რას იტყვის, პირს უჭერს — კრიტს არა სძრავს, არავის არ ანდობს (თ. რაზიკაშვილი).

პირის მოხსნა პრ. მოყოლებული პირის გაღება. სვე. დაწყება რისამე კეთებისა, გამოჩენა, ბევრი ლაპარაკი. უღრ. ავი საქციელის მდევნელი ზრდილობიანი. მართებული — გონება-გახსნილი პატროსანი კაცი რისთვის აღიძვრის ბოლმე დევნად? იმისათვის ხომ არა, რომ ქუდი ჰერსა ჰერას, აცა, ჩემს მოძმეს ძლიეს ცუდი ვუპოვეო და ჩემს ლანძღვით საესე გულად პირს მოეუხსნიო (ილ. ჭავჭავაძე).

პირის ბღნეველი პრ. ვინც პირს იღმეპავს, ვინც იწყანება. სვე. მშიშარა, გაუთვლადეი, შეძრკალი, შეწყუხებული. უღრ. რა უარება მამაცისა, ომშიგან პირის ბღნეველსა (შ. რუსთაველი); უღრ. ვირემ უჩნდათ ერთმანერთი,

იზახლიან პირსა ბღნეკით (შ. რუსთაველი).

პირისპირ (ვისთანმე ან რასთანმე) პრ. პირის მოპირდაპირედ. სვე. ერთიმეორის პირდაპირ, მადლობლად, მიღვმით, უშუალოდ, ერთად. უღრ. ციხივალისა, იგი თინავალს გზის პირში შეიყარნენ თურმე პირისპირ დოღბედ და ხერხეულიძენი (ს. მგალიზ-ლიწვილი).

პირის ქარად არ ეყოფა პრ. პირიდან გამონავალ პიერად საეშაო არ იქნება. სვე. სულ ცოტად, ოდნავად არ ეყოფა. უღრ. ასლან ბატონს დაუბარებია ის ბიჭი, თურმე დაპირდა, ერთს კანებს გაიჭუტებ, თუ ონისეს განილანავო.

— ჩვენი ბატონისათვის უთქვანს: დურმიშანი! ისეთს ბიჭს დავიბარებ, დევს ბეჭს მოსტეხსო, შენი ოხისე პიოის ქარად არ ეყოფაო (ვ. ბარნოვი).

პირის ქარის ვაშლა პრ. გათანტევა, ამოძრავება პიოიდან გამომავალ პიერისა. სვე. ალაპარაკება, ენის ამოძრავება. უღრ. სულების გამოწვევის უფლება სულის მკითხავს ეცუფების მხოლოდ, უფლისაგან აქვს ბინიკებული ძალა, გამოიწვიოს სულები და „პირის ქარი გააშლეინოს“ ე. ი. ალაპარაკოს (ე. ვაბაშვილი).

პირის ქმნა (ვიცენმე ან საითვენმე) პრ. პირის მიქცევა. სვე. წამოსვლა, მიმართულების აღება, გზას დადგომა, შეხედვა. მხარის დაქერა. უღრ. მაგრამ შორს არის ფარად და სწორადაც არ ვიცი, სად არის იგი. არც ის ვიცი. როდის იზამს პირს შინისაკენ (ვ. ბარნოვი); უღრ. მხოლოდ მოითხოვდა (ყენი) არ ექნათ (ქართველთ) პირი მყინვარეთისაკენ, აღმოფხვრათ იმედები რუსთ ხელმწიფისა (ვ. ბარნოვი).

პირის ქცევა პრ. მოლაპარაკისაგან პირის მიბრუნება განზე. სვე. უარის თქმა, დაპირებულის აუსრულებლობა. უღრ. მოსწყდათ წყლი ქოლყევებს, მაგრამ რაკი დაპირდნენ, პირს ხომ ვერ უქცევდნენ, მისცეს ხელსაფუკევიდ და უთხრეს: სანამ სახლში არ მიიტანო. არ მოატრიიალო (თ. რაზიკაშვილი).

პირის შეეცრა პრ. რაიმე საყერელით შეერთება პირისა. სვე. შეთანხმება,

ერთმეორისათვის რისამე შეპირება; გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტილება. უღრმეკარეს პირი ერთობილითა, შეიმორშუმეს იგი რჩევა (ფეშანგი); უღრ. დიდი მოყვარულნი იყვნენ ორნივე (საქურისი და ძონა). შეჭკარეს პირი (ს. ორბელიანი).

პირის შენახვა ჰრდ. პირის დაცვა. სცვ. ვავრთაილებულად, წინდახედულად ლაპარაკი, ზედმეტი თქმის მორიდება.

პირის შერცხვენა ჰრდ. პირისათვის სირცხვილის ძიყვნება. სცვ. დაპირებულიის შეუსრულებლობა, სასირცხვილო საქმის ჩადენა. უღრ. ასეა თუ ისე, ამ საქმეს უნდა უსათუოდ მოველოს, რომ ჯერ ქვეყნის საქმეს არ ელაპარტოს და მერე თვად-ახნაურობამ პირი არ შეირცხვიროს (ილ. ჭავჭავაძე).

პირის ჩატკბარუნება ჰრდ. პირში ტკბილი საქმლის ჩაშვება. სცვ. სიამოვნების განცდა; ტკბილით გათავება ჭაპისა. უღრ. ამას შემდეგს წერილში ვიტყვი და ეხლა-კი ერთს კიდევ დავუქნებ პირის ჩასატკბარუნებლად (ილ. ჭავჭავაძე).

პირის წყალი ჰრდ. პირში მღვარი წყალი. სცვ. სინიღისი, პატიონება. უღრ. — მე გითხარ-ყე, მას კაცსა მინდობა და პირის წყალი არა აქვს და ნუ ამოიკვანდ ნეთქი, და არ დამიჯერო! (აქილია და დანანა*). ის. წყალი.

პირიქითა ქვეყნისაკენ მიქცეული ჰრდ. პირიქითა ქვეყნისაკენ პირაშებრუნებული. სცვ. მომაკვდავი. უღრ. მთელი ოცდაერთი დღე ამგვარ მღვობარეობაში ვყოფილვყავ... ოცდამეორედღეს მომსვლიდა ოფლი და საღამომდე პირიქითა ქვეყნისაკენ მიქცეული პირაქითისაკენ მოვბრუნებულვყავ (ნ. ლაშოვი).

პირიქითა ქვეყანა — საიქიო; პირაქითა ქვეყანა — სააქაო.

პირი — პიშკარი აჭხს (შავანს) ჰრდ. მავანის პირი კიშკაოივით ფართოა. სცვ. ენაზე არათფერი დაადგება, საიდუმლოს შენახვა არ იცის, არ იცის, რა უნდა სთქვას და რა არა.

პირკატანაცემი ჰრდ. ვისაც პირში კატა მივარდა. სცვ. სახტად დარჩენილი, გაოცებული, ვისაც მოულოდნელად გასაკვირველი რაინე აქვს გაჯონილი, ვინა დანახული, მსგავსად მოულოდნელად პირში კატის ცემისა. უღრ.

თაფლოს გულცივობისაგან პირკატანაცემი უკანვე დაბრუნებულა იმ განზრახვით, რომ მეცადინეობას არ მოუვლოს, იქნებ მეორედ, შემდეგ მოსულაზე მაინც გაიმარჯვოს თაფლობე, ფარ-ხმალი დააყრევინოს (ეფ. მენთეშაშვილი); უღრ. უთხრა ეს ზურაბმა და თან ჯოხი დაუტარა ჩიბუხს ისე მარჯვედ, რომ ჩიბუხი ხალხში გადავარდა, ხოლო ღვთისუნელი პირსკატანაცემი დარჩა და დიდხანს ვერ გამორკვეულიყო (ეფ. მენთეშაშვილი).

პირმანგი ჰრდ. პირით მთვარის მსგავსი. სცვ. ლამაზი, მშვენიერი. უღრ. პირმანგ დედოფალს დაჰმჩნეოდა სურვილთ ნაყოფი (ვ. ბარნოვი).

პირმოხეული ლანძღვა ჰრდ. მოგლეჯილ პირიდან გამომავალი ლანძღვა. სცვ. უწმაწური, საშინელი ლანძღვა.

პირ (ს) მუწუქი შევრიდება ჰრდ. პირის მორიდება მუწუქეა ცკი იცისო. სცვ. პირში თქმას კაცი უნდა მოერიდოს, საწყენი რამ პირში არ უნდა უთხრას სხვას. უღრ. რა იყო, ქა, რა პირში მიახალე, პირ მუწუქი მევრიდება (ეფ. მენთეშაშვილი).

ეს თქმა ამტკიცებს, რომ მუწუქი რა არის, მუწუქეც კი ერიდება კაცს პირზე წამოაჯდეს და ცუდ შესახედვად გახადოს. მაშასადამე, მით უფრო აღამიანს, შეგნებულ არსებას მოეთხოვება მოყვანის პირის დაზოგვა, მორიდება, პატივისცემაო.

პირნათელი ჰრდ. ვისაც პირსახე გაშავებული არა აქვს, ვისაც პირზე ნათელი გადაჰფენია, ბრწყინვალე პირის პატრონი, ნათემოსილი. სცვ. მართალი, უდანაშაულო, უბრალო, უტოდველი. უღრ. მის, ჩემს საყვარელს, ღმერთო მყავარე, დაშორებულვარ, აწ შამამყარე გულითა მართლითა, პირითა ნათლითა შეურცხვენლად (დ. გურამიშვილი); უღრ. წესიც აგრეა, ბატონო! — უპასუხა (მეფე გიორგი XIII-ეს) კარისკაცმა, თქნე ზელმწიფე ბრძანდებითი. პირნათლად უნდა სუფევდეთო, და მეკი — თქვენნი ყმა ვარ, პირშავადაც რომ ვიყო, არა მიშავს რაო (ილ. ჭავჭავაძე); უღრ. ჩვენ ვეცადოთ, ყველასთან პირნათლად დავიყოთ და თუ მრუდობა გამოვრევა, მაშინ განზე კედლე-ბო! (აქვს. ცავარელი). ის. პირშავი.

პირსა საცო ღავადოთ პრ. პირი დავიცვათ. სკვ. არაფერი ვთქვათ, დავუღმდეთ, არაფერი წამოგვეცდეს ზედმეტი.

იხმარება იმ შემთხვევაში, როცა კაცი ზედმეტს ან უხამსს რასმე ლაპარაკობს და საჭიროა მისი შეჩერება, კალპორში ჩაყენება.

პირს გადასვლა ის. პირის ქცევა. პირს ვერ მოსწმენდს პრ. პირიდან გარეშე ნივთიერებას ვერ მოაშორებს. სკვ. მცირეა, არ ეყოფა, მის გაჭირებას ვერ უშველის. უქმარობა. შრ. შემოდგომაზე მამას წირვა უნდა გადაუხადო; ხუთი თუმანი პირს ვერ მომწმენდს (ე. ვაბაშვილი); შრ. რადგანაც მესამე ზეარცი გააყიდა (კორტე) და ვალიც იმდენი ემართა, რომ მეოთხე ზეარი და მთელი მისი სხვა მამულებიც პირს ვერ მოსწმენდნენ მის ვალებს... (მელანი).

ეს თქმა დაკავშირებულია ქანასთან. როცა პირში საკმელი ნეტად განსაზღვრული რაოდენობისა ჩავდის, ზედ პირზე არაფერი გვჩება, რომ მოსაწმენდი იყოს. ხოლო როცა ბლომად ვიდებთ პირში საკმელს, პირში ჩასვლასთან ერთად ზედ პირზე იქით-აქით გვჩება პირსდაცილებული საკმლის ნაწილი, რომელსაც ხელსახოცით მოვიწმენდავთ ხოლმე და აი, აქედან გამზდარა პირის მოუწმენლობა — სინციონის, სიპრატვის, უქმარობის სინონიმად.

პირკატა მეცა პრ. პირში კატა მომვარდა. სკვ: სახტად დაერჩი, გავოცდი, მოულოდნელად რაიმე გასაკვირველი გავიგონე, გინა დაეინახე, მსგავსად მოულოდნელად პირში კატის ცემისა. შრ. გათენებისას ისახარს ყმაწვილის ატეხილი ტირილი შემოესმა, ადგა, მივიდა ქალბატონის ოთახში და პირკატა კი ეცა: ბარბარე გაქანებული ხერინავდა და კონას ლოგინი კი ცარიელი იყო (ე. ვაბაშვილი); შრ. ეიკითხეთ მისი (პროფესორის) ვინაობა და პირკატა კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპირიონისა, პროფესორი, დიდი მკოდნეც იურისპრუდენციისაო (ილ. ჰაჰვაძე).

პირს ნუ იცდენ პრ. პირს ნუ მოაყდენ ძურარლო ლაპარაკით. სკვ. უსაფუძვლო ლაპარაკს თავი დაანებე, კვიანური რამე სთქვი. შრ. მაშ, ჩე-

მო ქეთევან, ტყუილად პირს ნუ იცდენ! ჩემმა შეილებმა, ინჯილერმა ან დობხურმა, უფულო, ცარიელტარიელი ქალი უნდა შეერთონ? (ნ. ახიანი).

პირს უჯან წაიღებს (რასმე) პრ. პირს ააცილებს. სკვ. და დაცინეთ: ვითომც არ დალევს ან არ შეჭამს, ვითომც დაიწუნებს, უარს იტყვის. ამას იტყვიან ისეთზე, ვინც, მაგ., სმის მოყვარეა, ან რისამე ქამის, და ვერ მოითმენს უქმელობას ან უსმელობას და მაინც იძახის — არ მინდაო.

პირტიტველი პრ. ვისაც პირი შიშველი აქვს, წვერ-ულვაში ჯერ არ ამოსვლია. სკვ. მეტად ახალგაზრდა, ვისაც ვეაყაცობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია. შგლ. საკმეს სათავეში სულ პირტიტველი ბიჭები ჩასდგომიან და, თქვენს ლხენას, აბა იმათ რა უნდა გამიკეთონ!..

იხმარება დაცინებით, როცა ლაპარაკია იმ ახალგაზრდებზე, რომელთაც ჯერ არ მოეთხოვებათ ის ქეჟა და გამოცდილება, რაც წვერ-ულვაშიანთ, მოწიფულთ და დავაყაცებულთ.

პირუტყვი პრ. საკონელი, რომელიც პირს ადამიანივით ვერ ამეტყველებს. სკვ. ადამიანი სულელი და ტლანჭი, ცხოველის მსგავსი.

პირქვე დამხობა პრ. წაქცევა ვისიმე ან რისანე ისე, რომ პირი ქვევითა ჰქონდეს. სკვ. ძლევა, დამარცხება, დაჩაგვრა, შელახვა, დათრგუნვა, მორევა, მოსპობა. შრ. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყობება დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა (ილ. ჰაჰვაძე).

პირქვედამხობილი პრ. ვინმე ან რამე წაქცეულბ ისე, რომ პირი ქვევითკენა ჰქონდეს. სკვ. ძლეული, დამარცხებული, დაჩაგრული, შელახული, დათრგუნული. მორევილი, მოსპობილი. შრ. ბ-ნი გოლპსტრემი არამართლობს და ფარისევლსავით გულში ხელს იცემს, მაღალ ფარდებში სიმს ატოარუნებს, ვითომ და ჩაგრულ ქეშმარტებისათვის, ვითომ და პირქვედამხობილ მართლისა-

თვის სისხლის ცრემლსა ღვრის (ილ. კავკაზი).

პირქვე დასამარხავო პრ. წყევლა: დასიბვის დროს პირი ქვეითა ჰქონდა მიცვალბულს და ზურგითა ზევით. სვ. უბედურება, დაღუპვა. შერ. სიჭაღლიძა უთხრა სიცოცხლეს: სიცოცხლე, ჩემი ძმა ხაო. — მე შენი ძმა რათ ვიქნები. შენ პირქვე დასამარხავო (პ. უმიკაშვილი).

ქრისტიანული წესის თანახმად, მიცვალბული პირადმა უნდა ყოფილიყო ჩასვენებული საფლავში, რომ ქრისტეს მეროდ მოსვლისას, „განსჯად ცხოველთა და მკვდართა“, როცა მიცვალბულნი აღდგებოდნენ, პირი აღმოსავლეთისაკენ უნდა ჰქონოდათ შექიჯული. პირქვე დამარხულები ამ საშუალებას მოკლებულნი იქნებოდნენ და მათთვის ეს დიდი უბედურება იქნებოდა. მამასადამე, წყევლა „პირქვე დასამარხავო“ მეტად მიიმე წყევლად ითვლებოდა.

პირღია პრ. ვისაც პირი მოკლებული არა აქვს. სვ. სულელი. გაუფრთხილ: ბელი, უდარდელი, უზრუნველი, გაოცებული; ვინც არაფერს აკეთებს. შერ. რა ვაკეთოთ? რას ვშერებოდით? — შენი ზტერი!.. პირღიადა დაერჩით და ცას შეეყუროდით (ილ. კავკაზი).

პირღნიოში პრ. პირცული. სვ. პირიდან უველაფერი (უღდი) რომ ამოღის, ლაქლაქა, ყბადი, პირზე რომ არაფერი დაადებდა.

პირშავი პრ. შავი ფერის პირიანი ადამიანი. სვ. დამნაშავე, მტყუანი, უნამუსო, უსინიღისო, უსირცხვილო, უპირწყლო, სახელგატყბილი, უპირული. შერ. მამისა იმას უნდა ეთაკილებოდეს, ვინც მამასთან პირშავია (ილ. კავკაზი); შერ. მართალია, — უპასუხა პატრონმა, — შენთან პირ შავი ვარ, მაგრამ რა ვქნა, ჩემო ვირო, რა წყაღს ჩაუღდე? (ვაჟა-ფშაველა).

ძველათ საქართველოში (ქართლში მე-XX საუკუნის დასაწყისამდე) ერთერთი სახე დამნაშავის დასჯისა — პირისახეზე საჯაროდ მურის წასმა ანუ პირის გაშავება იყო. მოსამართლემად სოფლის თავი ეკცები იყვნენ. ესენი დაწნაშავეს (ქურდობა, მეძაგობა) მუ-

რით ან ნახშირით პირის სახეს გაუშავებდნენ; თუ ქურდი იყო, ყელზე ნაქურდალს ჩამოჰკიდებდნენ და ისე ჩამოატარებდნენ სოფელში კარდაკარ. დამნაშავე ყველას წინაშე აღიარებდა თავის დანაშაულს, თავის „პირშავობას“ და „პირნათლებში“ (უღანაშაულოებში) ვერ გაეყოლა.

შემდეგში ეს სახეი — პირშავი ხატოვანად დაერქვა ყველას, ვინც რასმე აშავებდა და არღვედა სოფლად შემოდებულ წესებს ცხოვრებისას, ხოლო პირშავობა დაერქვა საერთოდ დანაშაულს, უსათნობებს.

1905 წლის რევოლუციის დროს ქართლის სოფელ მერეთში ერთი ფურცელადის ცოლი, მეტად მსუბუქის ყოფიქვერისა და გვირის შემარცხვიელი, გაუსამართლებია სოფელს. პირზე მუხრი წაუსვამს, სახედარზე შეუსვამს და ისე შემოუტარებინებიათ მთელი სოფელი...

ღღეს, როცა ვისმე რისამე გაეფთებას დაეპირდებიო და სრულებით დაგვაიწყებდა დანაპირები, მოყვასი რომ შეგვხვებდა, მოსამბოღედ ვადრეკეთებ: შენთან პირ შავად ვარო, ე. ი. დამნაშავე ვარ, მაპატიეო.

პირშავის მეტოქე სიტყვაა — პირნათელი, ხოლო პირშავობისა — პირნათელობა.

პირშენაზრვილი ის. პირშავი ი.

პირშენახული პრ. ვისაც პირი დატული აქვს. სვ. ვინც ფრთხილი ლაპარაკი იცის, ვინც ზედმეტის თქმას ერიდება.

პირში ალის ქარი ჩაუვარდა პრ. პირი გავესო ალის ქართ. სვ. გაჩუმდა, ვერაფერი სთქვა.

იტყვიან, როცა რამე კამათის დროს ვისმე აჯობებენ და გააჩუმებენ და ის პასუხის გაცემას ვერ მოახერხებს.

პირში არ ჩაიშვება პრ. შეუძლებელია პირში ჩაშვება რისამე. სვ. უკვირროა, ეს დღია, მწარეა, არ იქმნევა. მგლ. ელვინო, ჩემო პარგო, პირში არ ჩაიშვება და შენ კიდევ ასე ძვირად აფასებ!..

პირში ბუზი ჩაიძვრა პრ. გაფრთხილდი; ბუზი არ გადაყლაპო. სვ. უსაქმურად ხარ, პირი ღია გაქვს.

პირში ბურთის ჩაჩრა (ვისთვისმე) პრ. პირი ბურთით რომ გამოუტენო ვის-

მე. სვ. იძულებით გაჩუმება ვისიმე, ლაპარაკის საშუალების წართმევა. უღრ. ქერივი. — ასე რომ, შენაო, რადგანაც მეტატორხე ხარ და ეთილშობილიო, გლეხთან წინ არ წამოდგეო; გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებ, კრძალვ.თ და შიშით უნდა ამოილოო (ილ. პაპაუაძე); უღრ. ვიცოდ და. ემშაობას ვერ გამიგებდნენ, თუ განიგებდნენ კიდევ. ისე მეჭირა სოფლის მოხელეები ბელში, რომ ყველას ბურთსა სჩარიდნენ პირში (დ. მაიხანელი).

პირში გემო ჰქონია პრ. კარგი საქმელები ჰქვარებია. სვ. საერთოდ კარგები ჰქვარებია, კარგის ავისაგარეგარევის უნარი ჰქონია; კარგი გემოვნებისა ყოფილა. უღრ. დიამბეგობა — შენ რას იტყვი, მკითხვილო? — კარგია. — კმ, კმი, — ჩაიცინებ ჩემ-ჩემად და იტყვი ჩემზედ: ჯამის დამწერსაც კი ჰქონია პირში გემოო! — არ თუ? (ილ. პაპაუაძე).

პირში ენა აღარა აქვს პრ. პირიდან ენა გამოდებული აქვს. სვ. ლაპარაკის უნარი წართმეული აქვს, ვეღარ ლაპარაკობს, პირტუყვსა ჰკავს. უღრ. ნინოს გარდაცვალების მეორე დღეს, ლევან ცოცხალმკვდარი მოიტანეს, პირში ენა აღარა აქონდა, ისე დამთვრალიყო (რ. ერისთავი).

პირში თითგამოვლებული პრ. ვისაც პირში აქვს თითი ჩადებული და მეორე უკან გამოვლებული. სვ. ცარიელი, უარაფრად დარჩენილი.

ცარიელი კაცი დადარებულია თითს, რომელიც გამოვლებულია პირში და თუ რამ ზედ ეყრო. პირში ჩარჩენილა. პირში თქმა პრ. მოპირდაპირეს რომ უყურებ. ისე უთხრა ყველაფერი. სვ. მოურთიღებლად, უმისრად თქმა სიმართლისა.

პირში ლაგამის ამოდება პრ. აღაგმევა, პირში ლაგამის გაკეთება. სვ. შეჩერება, დაბრკოლება, დამორჩილება, დასჯა, გაჩუმება. უღრ. ამ ფიქრებით მიწვა დერეფანში ბოძთან სასთუმალზე და განიზრახა, რომ ლაგამი ამოედო პირში იმსოფლის ამომგდებ კაცისათვის, სოფლის მასწარალებელ კაცისათვის, რომელსაც ფიქრის ეძახდნენ და რომელმაც ის ხალხში შეარცხინა (ს. მვალბოლიშვილი); უღრ. მამ რა გგონია! ვაი, რომ ჩვენ

ურხალი მარტო იყო, — ახ. რა ნეტარი დრო იყო! — მაშინ რომ პირში ლაგამი ამომედო. ესლა მე რა მიქრამი! (ილ. პაპაუაძე).

პირში ლუქმას მოთვლის პრ. იმას უყურებს. პირში რაინდნ ლუქმას ჩაეიდებ. სვ. ჩემთვის საქმელი არ ემეტება; მაცედრის — გაცედეო. უღრ. ბოროტისაგან (აღვიცი) თან გადასჯე და უმწეო ზნაღუ დანსტოვა უხუგემოდ დედინაცელის ხელში. დედინაცელი პირში ლუქმას უთვლიდა (ეგ. მენსეშვილი); უღრ. უქონლობით რომ მისდოცეს ეს ცოდვე არაფერი, ნიკრამ რალცა უეფერებელი პირ დასჩენდა, ლამის აღამინს პირში ლუქმა დაუთვალოს (ფ. ბარნოვი).

პირში მოქმელი ირ. პირში თქმა. პირში მივარდნა პრ. ზედ პირთან მიხტობა. სვ. არდაცალება რისამე თქმისა, დაშლა ლაპარაკისა, გაჩუმება, ლაპარაკის შეწყვეტენება. უღრ. ქერივის მაზლი — (ყურამთ) რა არის, ჩემო მაზლო, პირში მომვარდები ხოლმე და აღამინს სიტყვის არ მოაფიქრებინებ (ილ. პაპაუაძე).

პირში მიცემა პრ. პირში ჩაგდებს (გადასაყლაპავად). სვ. ხელში ჩაგდება მტრისათვის, დალუგვა პირში ჩასაფარებად, შესაქნელად. უღრ. არ ვიცი, — რომელი ბეზლობა და ჯანუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯობიანობის განიწყვის, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდა ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში ნე ვარ, მივლს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მუვლეფელს (ილ. პაპაუაძე); უღრ. საბარათაანო, მართალია, ყოველთვის პირში მისცემია მტერს, მაგრამ უბრძოლველად კი არასოდეს! (ფ. ბარნოვი).

პირში ნაწილი არ ჩამსვლია პრ. პირში მცირე რამ არ ჩასულა. სვ. არაფერი მიკამია, უქმელი ვარ. მშვიდრი ვარ. უღრ. ქიტუასაც მომივდა. იმის პირში მთელი დღე ნაწილი არ ჩასულიყო (მ. არაგვისპირელი); უღრ. დღეს ანანოს ნაწილი არ უნა-

ბავს და არც ღამე ძილი მოსვლია (მელანია).

წაწილი — რისამე (ამ შემთხვევაში — პურისა) უმცირესი განაყოფი ანუ ნატეხი. იმპარება სურლის უქმელობის აღსანაშნავედ და თავის შესაბრალეზლად. იმის მხრივ, ვინც უქმელად დარჩენილა.

პირში ნერწყვი მოსდიოდა ჰრდ. პირში სანერწყვე ჯირკვლების შიერ ნერწყვის გაპოყოფა. ზვ. დიდი სურვილი, გადამეტებული ნდომა უნრ ვებოდა, რაზე ძალზე უნდებოდა. შრ. ყარყარა თინანო რომ დაცქროალებდა, მიღუას პირში ნერწყვი მოსდიოდა და თან გაბედულება ეკარგებოდა, იმედი ერყოდა (მ. ბარნოვი); შრ. ...თორემ ნახუქი ყელში არც იმათ დაადგებოდათ. რადგანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვსთ, იპათაც კარგად უჭრით კბილი და პირშიაც ნერწყვი ბლომად მოსდიოთ სიმსუნაგისაგანაო (ილ. კეკეაძე).

პირში ხული უდგია ჰრდ. სულის ყოფნა პირში, სულის ბინადრობა სხეულში. ზვ. ცოცხლად ყოფნა. შრ. რა არის, ქა? ზოგი სამუდამოდ ეთხოვება თავის გულის საყვარელსა! შენი ცეცო ხო, — ღმერთმა სიყვდილისაგან დაფაროს, ხო ცოცხალია, პირში სული ხომ მიიცი უდგია! (მ. მაკლიბიშვილი); შრ. ჯერი მიდგა ჩენს მეფეზეც... — რატომ მე არ მომიდგაო, იმას ცოცხალს არ გაუშვებ, თუ პირში სული მიდგიაო (ილ. კეკეაძე).

პირში სწვდა ჰრდ. პირში მივარდა, პირზე ხელი მოჰკიდა. ზვ. რისამე თქმა არ დაცლა, ხელი შეუშალა ელაპარაკნა, გააჩუმა უცხად. მგლ. მიწოდლა ყველაფერი მეთქვა, როგორც იყო საქმე, მაგრამ პირში მწვდია, თქმა არაფრისა დამაცალა.

პირში ტყვია ჩაიდულა ჰრდ. ცეცხლისაგან გამძნარი ტყვია პირში ჩაისხა. შვ. გაკერპდა, საიდუმლო არაფერი წამოციდინა, ერთი სიტყვაც არა სატყა.

პირში უვარდება (ვისმე) ჰრდ. უნდა თავისი საეული სხვის პირში მოაქციოს. ზვ. სხვას ლაპარაკს არ აცლის, სულ თვითონ უნდა ილაპარაკოს, სხვას სიტყვას არ ათქმევინებს.

შრ. ვითომ თუ მოერიდოს (ლიფსიმე) ვაეკაცსა! შენ არ მომკვდებ, სულ პირში უფარდება, სიტყვას არ ათქმევინებს, სულ თვითონ უნდა ილაპარაკოს (ლ. არდაზანი).

პირში უნდა ჩაუღო ჰრდ. მავანს თუ შენ არ ჩაუთე პირში საქმელი, თვითონ ვერ ძოახერხებს. ზვ. უშნოა, მოხერხება აკლია, თუ სხვამ ადვილად არ აუხსნა, ვერ მიხვდება. მგლ. თუ შენ პირში არ ჩაგვიღო კაცმა, ისე შენ თავად ვერ მოახერხებ კამას.

დაცინებით თქმა ისეთზე, ვისაც სულ ელეგენტარული საქმის გაკეთებისათვის ხელი არ მიუწყდება. ეს თქმა წარმოშობილია ბავშვის აღზრდის ჩვეულებისაგან. დედის ძურუს შემდეგ, როცა ბავშვი საქმის კემას იწყებს, დედა ისე კვება ბავშვს, რომ უკანასკნელს პირში ლუქის ჩადების დროს დაღეკვა არ დასჯიარდეს და დაუბრკოლებლად გადაუკალოს.

გადატანითად, ხატოვანად ეს თქმა უდგება მიუხევედრელ, გონებაჩლუნგ ადამიანს, რომელსაც სულ უბრალო, ელეგენტარული აზრისა თუ ქეშმარიტების გაგება უჭირს, ვერ მიხვედრილა, ამ აზრსა თუ ქეშმარიტებას სადა აქვს თავი და ბოლო, თუ ვინმე სხვა არ მიიშველა, დაწვრილებით არ განუშარტა, ადვილი გასაგები სიტყვებით არ აუხსნა ეს აზრი და ქეშმარიტება.

პირში ყურება ჰრდ. პირდაპირ ცქერა. ზვ. პირფერობა, ლაქუცი, მლიქვნელობა, მიფერება, ვისიმე სიამოვნება გამოჩენისათვის.

პირში შეშმა ჰრდ. პირში ძგერება; პირში მივარდნა. ზვ. უსაბუთოდ ვისიმე ნათქვამის გაქარწყლების ცდა, ვისიმე ნათქვამის საწინააღმდეგო აზრის გამოტყობა; დავა; შესიტყვება.

პირში შემოშტკერის ჰრდ. პირში მიყურებს. ზვ. ჩემის იმედითაა, ჩემგან გამოელის შეელას, ხსნას, დახმარებას.

პირში ჩაგდება (ვისამე) ჰრდ. ვისიმე მოთავსება სხვის პირში. ზვ. ვისიმე სალაპარაკოდ და საყვედურის საგნად გახდომა, ვისმეზე სხვებისათვის ძვირის თქმევინება. შრ. ცოტა რძლდება ჰშურდათ და არ ვისიტონ გულში ეშმაქი შეუშვეს, მერე სულ

იმას ცდილობდნენ, როგორმე ძმების პირში ჩაეგდოთ ქერივი, ხან რას უგონებდნენ, ხან რასაც (თ. რახი-კაშვილი).

პირში ჩადება პრ. რისამე მოთავსება ვისსამე პირში. სვკ. ზარბაც ვისმე კაცმა პირში რომ ჩაუდოს საშემლი და იმას დაღუპვისა და გადაყალბის მეტე არა უნდოდეს რა. მკლ პირში იაკ რომ ჩაგვიდოს კაცმა, რა საკიროა, შენ გადაყალბასაც ვერ მოახერხებ!..

ეს თქმა განსაკუთრებით იხმარება შეუსმენელ, მიუხედავად, გონებით ჩამორჩენილ ადამიანზე, რომელსაც რასმე საგანზე სულ დიდაანს უნდა ეჩიჩინო, ყოველივე უნდა გადაუღებო, იქნებ მაშინ მაინც გაანძროს ტვინი და მიხედეს, რასაც ეუბნებიან, რაც უნდა გააყეთოს და რა გზასაც უნდა დაადგეს.

პირში ჩადნობა პრ. პირში ტუბილ რისამე მსგავსად ჩაადნობდა. სვკ. ვითომ მებრად ტუბილი, სააღერსო, სასურელი. შერ. აი ვინც შენ დაგიქნედა ხელსა, შენმა მზემ, პირში ჩაადნებოდი, აპუხტს რომ გვეხარ (ს. მალობლივილი).

ამ თქმაში მოლაპარაკის თვისება დადარბულია ტუბილ რასმე, პირში ჩადებული რომ დნება და ადამიანს მებრად სასიამოვნო გრძნობას განაცდევინებს.

პირში ჩავარდნა პრ. ვისსამე პირში მოქცევა, სვკ. ვისივე გაქირადვის საგანზე გახდომმა, ვისამე მიერ სასაცილოდ აგდება. მკლ. შენს პირში იცნუ ჩავევარდე!..

როცა კვიმატი ენის პატრონთან გვაქვს საქმე, ვინაერით ხოლმე: იქნუ გავვიხდეს საქცი, რომ მის პირში ჩავვარდეთო! ხატოვანად ეს თქმა გამობხატავს სურვილს: არ გახდეს მავანი მოურიდებელ და ცუდ ენის პატრონ ადამიანის სალაპარაკო საგანად.

პირში ჩაღის გამოვლება პრ. პირით ჩაღის გლოკვირება. სვკ. მოტყუება, წართმევა. ცარიელზე დასმა, დაუქმეაფილღობობა. შერ. ეი, კაცებო, ძლიერ ოსტატურად არ გამოავლო პირში ჩაღა, იმ სახლკარ ამოწყვეტილმა რა ოინი უყო საწყალს! (მელანია).

ჩაღის გამოვლებით პირში არც ვემო რჩება და აღარც ყუათი რამ, ადამი-

ანს კი ჰგონია, პირში საწუკარი რამ საუშემლი ჩამიდგოს და, ის კი თურმე ტუტუდება. ჩალა პირტუტვის საკვირია და იმას რომ გამოავლებინ პირში ადამიანს, ამით იქასაც ეუბნებიან — პირტუტვი ხარ (ჩაღის მკამელი), შეუსმენელი.

პირში ჩაუფრთხება (ვისთვისმე) პრ. პირში ჩახერწყება ვისთვისმე. სვკ. შეტყუება, აუგინად ალიარება. ყოველი ღირსების წართმევა. შერ. ერთი ჯავი ამოყარე კოტეი და მერე რაც გინდა მამთხოვე: თუ არ შეგისრულო, მაშინ პირში ჩამაფრთხე, — უფი შენ კაცობასა-თქო! (მელანია).

როცა რაიმე დანაშაულისათვის სოფელი ასამართლებდა კაცს, ყველანი თავზე ლაფს ასხამდნენ და თან ნერწყვიდნენ პირში, — ამ უფრთხის ღირსი ხარ, მეტის არაფრისა.

პირში წადგომა პრ. ვისსამე პირდაპირ გაჩერება, თვალში თვალის გაყრა. სვკ. მიიღება, დანაშაულის დაბრალება, ბრალეულად გამოყვანა, გამტყუება. მკლ. ქურდს მოწმე პირში წაუდგა და საჯაროდ ალიარა მისი ავკაცობა.

პირში წაყენება პრ. დაყენება ვისიმე ვისსამე წინაშე. სვკ. ორი ადამიანის ერთმანეთის პირდაპირ დაყენება, მათი ნათქვამის სისწორის შესამოწმებლად. შერ. დღევანდელ დღეს აღვილად შესაძლებელია, რომ ერთი უნამუსო კაცი ვინე იწოვოს ჩვენმა ნამუსიანმა კორესპონდენტმა და ჩემდა გასამტყუებლად პირში წამომიყენოს (ილ. კავკაზი).

პირში წყლის გაშრობა პრ. პირის დარჩენა უწყლოდ. სვკ. უსირცხვილობა, უსინდისო საქციელი, ავკაცობა. ბოროტება, უსამართლობა. შერ. რომ არ გაგონილა ყურით და ენით არ თქმულა ქალისაგან ვეკაცის გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები! სირცხვილი აღარ არის ახლანდელს დროში, პირში წყალი გაგვშრობია! (ილ. კავკაზი). ის. წყალი.

პირში წყლის ჩაგუბება ის. პირში წყალის ჩაყენება.

პირში წყლის ჩაყენება პრ. პირის გავსება წყლით. სვკ. გაჩენება, ლაპარაკის შეუძლებლობა, მდუმარება

ხმის ამოუღებლობა. უღრ. რას დანატრი, ჩემო ძმობო! თავისუფლად ხომ დაეღაპარაკები მაინც დედაშენს! მე კი იხასიაც მოკლებული ვარ. პირში წყალი უნდა ჩაეიყენო ხოლმე, როცა მამაჩემთან ერთად ვარ (მელანია); უღრ. ჩვენს დღევანდელს შირის დეციე აქა აქვს გაძმარეი შიში მერისისა აქედან მოჰქრის. მოდით და პირში წყალი ჩაიყენეთ და ნურას იტყვიეთ, აქაო და ახალი წელიწადიო (ილ. ჰევაჰაძე).

პირჩაღაგამოვლებული პრ. ვისაც პირით ჩალა აქვს გალოკვილი, სტვ. მოტყუებულის, დარბეული, დაუპაყოფილებელი, ცარიელზე დასძული. უღრ. მერე ზიუბრუნდა (ილია ჰევაჰაძე) ძველ ამრჩევლებს და უთხრა: „საზოგადო საქმისათვის, რაც მეტიც ამბანავი, ისა სჯობს და ჩვენც უნდა მაღლი შევსწიროთ ახლად ჩაწერილებს, მაგრამ ხმის უფლება ეხლავე უნდა მივსცეთ, რაც კანონს ეწინააღმდეგება, თუ შემდეგ კისათვის, კანონისამებრო?“ ძველი ამრჩევლები მიხედნენ და დაიყარეს ერთხად: „შემდეგისათვის! შემდეგისათვის!“ დ.რჩენე პირჩაღაგამოვლებული, როგორც ახალი არჩევლები, ისე ასარჩევიც (აკაი). ახ. პირში ჩალის გამოვლება.

პირწვარდნილი მამაა პრ. მთელი პირი თითქო მამას წავარდნია პირიდანო, ისე ჰგავს მამას შვილი. სტვ. საესებით მამასა ჰგავს, ნამდვილი მამაა. უღრ. იმისათვის არც ფული იყო და არცა რამ სხვა, რომ შეძლებულიყო გამოეყვებნა თავი, გამოეზარდნა თავისი სულზე უტკებესი შვილი გიგო, პირწვარდნილი მამა (რ. ფაღუნაშვილი).

პირწყალი მოუვიდა ნდომით პრ. ნდომისაგან პირში წყალი დაუგროვდა. სტვ. ძალიან მოუხდა (კარგის რისამე დანახვაზე). უღრ. ქალმა ისე ნათლად იგრძნო იმ სისხლის გემო, რომ ნდომით პირწყალი მოუვიდა; თვალები დაღლიენენ, სურვილის ნისლი გადაეფინა ზედ (ვ. ბარბოვი).

პირწყლიანი პრ. ვისაც პირი წყლიანი აქვს. სტვ. ლამაზი. უღრ. მე მგონია, ის უბედური (დათიყო) თავის ნათესავსაც არ დაინდობდა მაგისთანებში (ქალების მუსუსიანობაში) — ისეთი თავდაუქერელი იყო, რაკი პირ-

წყლიან გოგოს დაინახავდა (ილ. ჰევაჰაძე).

პირწყლიანობა პრ. როცა პირს წყალი აქვს. სტვ. მკერმტყველება, ლამაზი ლამაზაკი. უღრ. მღვდელმა არ მიუშვა მუხლებამდინ (საკოცნელად). მაშინ პეტრემ პირნათლად შეშხედა და გონებაგახარებულმა წამოიძახა: — დაილოცე შენის ენის პირწყლიანობა!.. ღმერთი მალიდან გიყურებს, შე ლეთისაკან კურთხეულო აღამიანო (ილ. ჰევაჰაძე).

პიტნავება პრ. პიტნად მიჩნევა ან ჩაგდება. სტვ. მოწონება, სიამოვნება, რადმე ჩაგდება. უღრ. ყიზლარში მგელი დაარჩო (ტროპეთ გიგოლიმ) დაგლიჯა, გადაუარაო, ორი დეეცა ყაჩაღი, არაჩი იპიტნავაო (მხევეური ლეჟსი).

პიტნა სურნელოვანი ბალახია, ქართულის სუფრაზე, სხვა მწვანელთა შორის, თელსაჩინო აღგრილი უქირავს და ყველასათვის სანუჯავრია ცალკე მისი სუნისა, ცალკე იმ სასიამოვნო და გამაყოცხლებელ გემოსათვის, რომელსაც ადამიანს აგრძნობინებს მისი ეთეროვანი ზეთი. ხმარობენ გემოს მისაცემად სასმელებისა, პატარა ნამცხვარებისა და სხვათათვის.

პრასა-ნიახურია პრ. პრასისა და ნიახურის მსგავსია. სტვ. არაფერია, უმნიშვნელოა, სალაპარაკოდ არა ღირს. უღრ. ნარავი — ეხლა რა იყო? მაშო — პრასა-ნიახური!.. ნიკოლას სიყვარულზედ უნდა გავცვალო ეგ ხოკერი? (აქვს. ცაგარელი).

პრასა მექამნა, მერჩივნა ამის ქმნას თუ თქმას პრ. და სტვ. პრასის კამა სჯობია ამის ქმნასა თუ თქმას.

პრასის, ისე როგორც ნიორის. კამის შემდეგ პირში მოსარიდებელი სუნი რჩება ხოლმე. ამ თქმასა ხმარობენ რამე სააუტო საქმის გაკეთების ან უხამის თქმის შემდეგ, სინანულის, თავის მიმართ საყვედურის გამოთქმის ნიშნად.

პრისტაული პრ. პრისტაეებმა (ბოქაულეებმა) რომ იციან, ისეთი (ცემბტყეა). სტვ. მაგარი, დაუზოგველი სილა, უწყალოდ ცემა. უღრ. წადი, — შეუკურთხა საძაგლად კოლამა და ერთი ასეთი სილა შემოჰქრა, რომ გიტო დაბარბაცდა, — ვირო! შენ

კეენის მეტი არა გკოდნია-რა, — და ერთი კიდევ უთავაზა პ რ ის ტ ა უ ლ ი ი მ ე დ მ ო ტ უ ე ბ უ ლ მ ა ბ ა ტ ო ნ მ ა (ილ. ჰეკევაძე); შერ. არა; ძმავ, გემო იმაშია, როცა კისერში არ წა-გკრავს, — ისეთი „პ რ ი მ ტ ა უ ლ ი“ გაუშალო, სუქან ყბაში, რომ ფეხზე ფუთიანი წალებმა ცველარ გააჩე-ფოს!.. (ილ. ელფუთიძე).

რუსეთის მეფის თვითმპყრობელო-ბის დროს როგორც თვით რუსეთის, ისე საქართველოს ქალაქებსა და მახ-რებში წესიერების დამკველბად და საერთოდ აღმინისტრაციული ფუნქცი-ების აღმსრულებლად ბოქაულები იყე-ნენ დანიშნულნი, რომელთაც რუსულ სახელს — პრისტავებს რუსულად პრის-ტავი ნიშნავს თანამდებობის კაცს) ეძახდნენ. „წესიერების“ დასამყარებ-ლად და „ქუის სასწავლებლად“ მა-შინდელ პრისტავს ვისიმე ცემა ხელით თუ მათარახით ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა, ამიტომ დაარქვა ხალხმა და-უზოგველ ცემა-ტყეპას „პ რ ის ტ ა უ ლ ი“.

პრტყელი პრ. რასაც ზედაპირი ერ-თიანი. სწორი აქვს. სტვ. მუვირალა, თავმომწონე. ქედმალური, მოური-დებელი. შერ. არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყე-ნია მართებულის კაცისათვის და ვურჩეთ ქართულს ლიტერატურას თავისდღეში არც ერთი და არც მე-ორე არ შეიწყნაროს, რაც უნდა პ ტ ყ ა ლ ი სახელი კრიტიკისა, თუ რეცენზიისა დაარქვას უსაბუთო ქცე-ვისა (ილ. ჰეკევაძე).

პრტყელ-პრტყელად მოუბარი სტვ. მო-ურიდებლად, ტრბახით, თავის ქე-ბით მოლაპარაკე. შერ. მოლით და გაიგეთ, ამ ხუთში რომელშია მარ-თალი ჩვენი პ ტ ყ ე ლ ა-პ ტ ყ ე ლ ა დ მოუბარი მეცნიერი (ნარ. დონი) (ილ. ჰეკევაძე).

პურად დაჯდომა პრ. პურისათვის დაჯდომა. სტვ. კემა-სმის დაწყება. შერ. გამოვიდის სავარსამის ძე, ბე-რი კაცი იყო, დაჯდის პურად და რა პირველი ღვინო მიაართან, უხბის მონათა იმიერ და ამიერ („ამი-რან-დარეჯანიანი“).

პურაძვირი პრ. ვინც სხვისთვის პურს ძვირად იმეტებს. სტვ. ვისაც სტუ-მარი არ უყვარს, გულუხვად არ უხვ-

დება ხოლმე მომსვლელს, სტუმრი-სათვის საკმელ-სასმელის მიცემა ეჯავ-რება. შერ. პურაძვირის კაცისა მარბილი მერი დაიხაოჯება (პ. უშია-შვილი); შერ. არასოდეს არ ცხონდე-ბა უშვილო და პურაძვირი; თუ პურაძვირი ცხონდება, სამოთხე-ში შევა ვირი (ხალხური ლექსი).

პური აღარ მიკამია! პრ. პური აღარ მექნება საკმელად. სტვ. და ირონი-ულად: დავიღუპები, რალა მეშველე-ბა შერ. უხ. თავს მოვიკლავ, პურს აღარ ვსკამა! რა მენაღვლებო! (ნ. ახანი).

ხმარობენ ნიშნის მისაგებად, როცა ვინმე მეორეს დააყვედრის სი.ეთეს და ეტყვის — ჩემგან დახმარებასა და შევლას ნულარ მოგლო! ვისაც ამას ეუბნებიან, უპასუხებს: თუ შენ არ და-მეხმარე, ეგ არის — პური აღარ მი-კამიაო! ე. ი. ველარ ვიცხოვრებო.

პური არსობისა პრ. არსებობისა-თვის საჭირო საზრდო. სტვ. საჭირო, აუცილებელი საზრდო ჩვენი ცხოვ-რებისათვის. შერ. ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსობითი პურია. უამბობად აღამიანი ყველაფერს მოკლებულა: აღამიანობასაც, სარჩო-საბ:ღებელ-საც, ღონესაც და შეძლებასაც (ილ. ჰეკევაძე).

პური აღარ იქმების შენთან პრ. შენ-თან ერთად სუფრაზე ვერ დაჯდება კაცი და პურს ვერასკამს. სტვ. უსვინი-დისო ხარ. აუვიანი, შერ. ცხენილი. შერ. გვარი მოსთხარე და ნათესავი; სირცხვილით დასკერ სუყველას თავ-ვი; საქმე ჰქენ კახური, შენ თანა ქალთ პური აღარ ექმების (დ. გურამიშვილი).

პური დაჯდა პრ. პურის ნატეხმა ვერ-ტიკალური მდგომარეობა მიიღო. სტვ. სტუმარი მოვა. შერ. დახე, ქა-ლო, პური დაჯდა: ნამდვილ გე-წყევა ვინმე (ე. ბარნოვი).

ეს თქმა ჩვენი ხალხის ერთი ცრუ-მორწმუნეობათაგანია: პურის დაჯდომა ეროლება სუფრაზე ახალის, შემოსწრე-ბულის კაცის დაჯდომას და იტყვიან: სტუმარი მოვაო.

პური ერთად გავვტეხია პრ. პური ერთად ნატეხებად გვიქცივია. სტვ. პური ერთად გვიკამია; ერთად გვი-ცხოვრია, ერთმანეთის მახლობელს,

მეგობარნი ვართ. უღრ. ერთ დროს მე და შენ ხომ მეგობრები ვიყავით, პური ერთად გავგიტეხია, ერთ ჭერქვეშ დაგვიხველებია, სხვა არა იყოს რა (ილ. ჰაჰაჰაჰა).

ქართულ სუფრაზე, ძველათ, არ ეგებოდა პური დანიით დაეპურათ, — უშუქველად ხელით უნდა დაეტეხნათ და ისე დაერეგებინათ. პურის გატეხა კი ჰინის დაწყებას ნიშნავდა. ხოლო იგივე — გავრცელებით — მეგობრობას, რადგან. ვინც ერთად, მხარდა-მხარე, უსხედან სუფრას და პურს სჯ.მენ, იგულისხმება, რომ კარგად განწყობილნი არიან ურთიერთთან, ვინაიღ.ნ პურობის დროს თავის ნებით კაცი გვერდით არ მოისვენებს ისეთსა, ვინც არ ესაიწოვებება.

პურით გავსება ბედლისა ჰრდ. ბელელში ბლომა პულის ჩაურა. ზგვ. სამსახური, თავის ნათლარის მიცემა ვისთვისმე. უღრ არცერთი თავადი, არცერთი მეფე არ მოისურვებდა, რომ ებატონათ და განეგოთ რომელიმე მხარე. თუ ეს მხარე... არ უცხვდება ბატონს ბედელს პური თ და არ იყო ყოველს წუთს მისი ფეხთა მტვერი (ი. ვეღოშვილი).

პურის კუტი ენატრება ჰრდ. ნატრობს, თუ პური არა, კუტი მაინც მომცა პურისათ. ზგვ. ძალზე გაკირებულია, ნახევრად მშვიერია. მგლ. რაღა საკითხავი ვარ! პურის კუტი რა არის, ისიც კი შენატრება. ის. რა შენი კუტით გაზრდილი ვარ!

პურის სახელის დავიწყება ჰრდ. ვერ მოგონება, თუ რა ჰქვია პურსა. ზგვ. გაძძეკება, მოუტლლობა, მერისმეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა. უღრ. აი, დასწყველოს ღმერთმა, დღეს რა მომდის! ისე ვარ გაძძეკებული, რომ ლამის პურის სახელიც დამავიწყდეს (ქვიტი).

პურის წილ ჰვინს მიცემა ჰრდ. პურის მთხოვნელს ქვა რომ მისცე, ზგვ. ბორბტება, გულქვაობა, შეუბრალებლობა. უღრ. უღრ. უღრ. მიღის. მიღის ხალხი და გათახსირებულს გლახაკს არავისაგან საკმაო ნუგეში არ ეძლევა და სჩივის: მე პურს ვსთხოვო, ის ქვას მიღებს ხელშიო (ილ. ჰაჰაჰაჰა); უღრ. ყმაწვილმა შეიძულა სწავლა, შეიზიზღა სასწავლებელი, რომელიც დედინაც-

ლობას უწევდა მას, რომელიც პურიის მაგივრად ქვას მიუპყრობდა, რომელიც თევის მაგივრად გველს მიღებდა (გ. ბარნოვი).

პურის ჰაჰა ჰრდ. საქველად პურის ხმა-რება. ზგვ. ცხოვრება. უღრ. დღეს შენა ხარ, ხელ--სხვა მოუა, რა დაგრჩება სამუდამო!.. ეს არა სჯობს, რომ სიმაართლით ხალხს აძამო, პურიც სქამო?! (რ. ერისთავი). ის. პური აღარ მიქამია.

პურმარილზე ფეხის დადგმა ის. პურმარილი.

პურ-მარილი ჰრდ. პური და მარილი. ზგვ. პატრივისცემა, სტუმართმოყვარეობა. უღრ. თუ შენ შემეწევი, ჩემო დამო. და ჩემს პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანთ (ილ. ჰაჰაჰაჰა); უღრ. კნიაზ. მე თქვენგან დავალბებული ვარ — შენი პურ-მარილი აქამდის არის (ყელზე უჩვენებს) (გ. ერისთავი); უღრ. თუ მართალსა მოგახსენებთო, გვეწინაო, და თუ დავიდუმებთ, შენი ეგზომი პური და მარილი რომ გვქამია, იგი თვალსა დაგვიუენებსო. რასა იქ და ან რას აძირებო (თომსარიანი“).

აღამიანს თუ პური და მარილი აქვს, შეიძლება „პურობა“ გამართოს, ხოლო თუ ორივე აკლია, სუფრა „კოქლია“, პურობას „პურობა“ არ დაერქმის.

პურ-მარილი კალთაზე უყრია ჰრდ. საქველი კალთაზე აქვს მოთავსებული. ზგვ. პატრივისცემის დახსენება არ იცის, უზადურია. უღრ. შენ რომ ახლა თამბაქო დაგრყუა. განა სიკეთედ ჩაგითვლის?! ეს ისეთი ძალღია. რომ ახლავე დაივიწყდება. პურ-მარილი კალთაზე დ უყრია... (ილ. ელფეთერიძე).

როცა ვისმე რამე კალთაზე უყრია, ეს იმას ნიშნავს, რომ კალთაზე დაყრილი დიდ რაღმე არ მიაჩნია. არ უფრთხილდება, აღვილად შეიძლება დაუტყვიდეს. მაგრამ იმისათვის არც კი იღარდებს.

ეს თქმა მიუღება ისეთ კაცს, რომელიც არ აფასებს სხვის ამაგს. აღვილად ივიწყებს.

პურ-მარილიანი ჰრდ. ვისაც პური და მარილი აქვს. ზგვ. სტუმართმოყვარე, ვისაც უყვარს გულუხვად დაუხედეს ხოლმე სტუმარს, სტუმარისა-

თვის საქმელ-სასმელი არ ეზოგებოდეს. უღრ. პურ-მარილი ქვაზედ დასდევ, გამოივლი — იქ დაგებდება (პ. უიჯავაძე).

პურ-მარილის დაიწყება პრ. პურისა და მარილის ქაშის არმოგონება. ხვ. პატივისცემის დაიწყება, სიკეთის დაუსისოწობა. უღრ. მოსე — თუ შენ შემწყევი, ჩემო საღვარელო დაო, და ჩუას პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმე კიდევ საქმეზედ მოვა (ილ. ჰაჰავაძე). ახ. პურ-მარილ უწამებელი.

პურ-მარილობა პრ. საცა სუფრაზე პური და მარილია და სკამენ. ხვ. პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა. უღრ. აი. ბატონო პოსრედნიკო, პურ-მარილობა ბატონ-ყმობაშიაც უფილია თურმე! (ილ. ჰაჰავაძე). ახ. პურ-მარილი.

პურ-მარილუწამებელი პრ. ვისაც პურ-მარილი ათა სწამს, ვისაც პურ-მარილის პატივისცემა არა აქვს. ხვ. ვინც პატივისცემის ფასი არ იცის, ვინც პატივისცემისათვის სამაგიეროს გადახდა არ იცის. უღრ. შენზედ, ნუ გეწყინების-კი. გიგოო, მართალს კი გეტყვი, ბევრ ცუდიც გამოგონავ შენა, არ ვიცი, სხვა ხვესურთ იციან. თუ არა, პურ-მარილ უწამებელ კაც ასავ გიგოოვ. გამიგონავის (ვაჟა-ფშაველა). ახ. პურ-მარილის დაიწყება.

ქართველთა შორის სტუმართმოყვარეობა და პურ-მარილობა მიწყვიდილად პატრეცემული ყოფილა. მასპინძლის მიერ სტუმრისათვის დახარჯული პურ-მარილი დიდად ფასდებოდა და ის სახლი, სადაც პატივისცემა სცემდნენ სტუმარს, ამ უკანასკნელისათვის საკუთარ სახლად ითვლებოდა, ხოლო მასპინძელნი — მოკეთებდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პურ-მარილობა კულტად იყო გადაქცეული და პურ-მარილის დაფასება ყველასთვის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა. ხოლო ის კაცი, ვისაც პატივისცემა არა ჰქონდა პურ-მარილისა. ითვლებოდა პურ-მარილ უწამებლად, აღამიანურ ღირსებას მოკლებულ არსებდა.

პურსა და წყალზე ყოფნა პრ. ვისიმე მოკემულ პურითა და წყლით საზრდობდა. ხვ. სხვის კმაყოფაზე ცხოვ-

რება, სხვის ხარჯით არსებობა, სამოწყალოდ დარჩენა, სხვისი შესანახი. უღრ. ჩემი გოგო — ავია თუ კარგია, ამით პურსა და წყალზე არ არის (ან. ერისთავი-ხუჭარია).

ცარიელი პური შექამნდის გარეშე და წყალი გულისხნობს ძალზე მწირ, ღარიბულ საზრდოს, უროზლობა ეტოლება შინშილს, ამ სიტყვის პირდაპირის გაგებით. ხოლო ვინც ასეთ საზრდოს დასჯერდება და იმით კმაყოფილია, ისეთისათვის გვიქვია: ძალზე გაკირებული და უპატრონო.

პურს მაქმევს პრ. პურს მიძღვის საქმელად. ხვ. მარჩენს. შენინახავს, მაცხოვრებს. უღრ. გაბრიელ — მოურაობა რა ხელობაა, რა პურს მაქმევს?! (ბ. ერისთავი).

რაც აღამიანმა გაიცნო პურის თვისება, ის გადაიქცა ფიზიკური არსებობისათვის აუცილებელ საგნად. შენდევში სიტყვა პური ბუნებრივად განზოგადდა სიტყვა ცხოვრებასთან, გადაიქცა არსებობის, საზრდობის, რჩენის სინონიმად, ასე რომ, თქმა: პურს მაქმევს (იგულისხმება რაიმე ხელობა) ხატოვანდ ნიშნავს: მაცხოვრებს, მარჩენს. მასაზრდოებს.

პური, ამავე დროს, ისევე ბუნებრივად, ისევე ლოგიკურად იქცა სათაჯანო კულტის საგნად. პურის კვებებს აკე უბდნენ სალოცაების მისარებად. სამსხვერპლოდ; პურის გავრცელების სუფრაზე არ ეგებოდა, უშეველად ხელით უნდა გაეტეხათ (იხ. „პური გავტეხით“); კანის დროს პურის ნატეხი ძირს რომ დაეარდნოლიყო. უნდა აეღოთ, სული შეიღებრათ მიკრობილი მტვერის მოსაშორებლად, მოხეოდნენ და სუფრაზედვე უნდა დაედვათ მოწიწებით: პურის დადება თუდარღმა ცოცხად ითვლებოდა; სუფრაზე სანამ პირში ჩაიდებდნენ ლუქმას — პირჯვარი უნდა დაეწერნათ.

პურის მომალის გამოცანობ წინასწარმეტყველოთ თვისებრივად მიწაწეოდნენ, მაგ. პურის ნატეხი თუ სუფრაზე ვერტიკალურ მდგომარეობას მიიღებდა, იტყოდნენ: პური დაჯდა, ე. ი. სტუმარი მოვალ და სხვ.

პურშავი პრ. შავპურიანი. ხვ. პურ-აძვირი, უპურმარილო, სხვისათვის პური რომ არ ემეტება.

პურ-ღვინისათვის ფეხი დამიდგა პრ. ჩემი პური და ღვინო ფეხით გათ-

ლა. ლევ. ჩემი პარტიის ცემა დაივიწყა, შეუვადლო. ახ. პურ-მარჩილი.

პურ-ლვინო, როგორც პურ-მარჩილი, ქართული სუფრის მთავარი ელემენტებია. სუფრაზე მარტო პური და ღვინოც თუ არის, ესეთი სუფრა სავსე ითვლება. მაშასადამე, კაცის პარტიისა ცემად საქმარისია ექონდეს პური და ღვინო. რომ „სირცხვილი არა სკამო“. მაგრამ ამჟვე დროს, სტუმარი, რომელსაც პურ-ლვინით გაუძახინდლდენ,

მოვალეა თავის მასპინძლის პარტიის ცემა დააფასოს, დაისომოს, პურისა და ღვინის გემოს მარად ტყბილად იგონებდეს. დიდ სააუგოდ ჩაეთვლება, თუ ეს ელემენტარული ვალი დაივიწყა, თუ თავის მასპინძლის მიერ შეთავაზებულ პურსა და ღვინოს „ფეხი დაადგა“. ფეხის დადგმა კი გულისხმობს: არაფრად ჩავდებას იმისას, რასაც ეს ფეხი დაედგმის.

უ

უამთა სვლა პრ. დროის მიმდინარეობა. ლევ. ერთხელ, როდისმე, ხანი რომ გაივლის. შერ. ბევრიც რომ ვივადგაბოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვახელ დამყარებული იმედი, მინც ბოლოს „უამთა სვლა“ ამ კანონზედ დაგვაქენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება (ილ. კაჭავაძე).

უამთა სიავე პრ. დროების მიერ მოტანილი უბედურება. ლევ. უბედობა, უტელმართობა. შერ. რასაკვირველია, ამ „უამთა სიავეის“ გამო სხვადა-

სხვა აზრი გამოითქვა, ზოგი სომხების სასარგებლოდ და ზოგი იმით წინააღმდეგ (ნ. ურბნელი).

უამი პრ. შავი ქირი. ლევ. უშნო, საზიზღარი. შერ. ბიძაშენი უჩემოთ ირთავს!.. იპ. იპ! ნეტავე ხანუძას თიებს! ფოშტის ცხენივით ქალაქის ქუჩები მაქელინა, ორმოცის წლის ქაში ამატუნტრუყებინა და ეხლა სხვას ირთავს! (აქვს. ცაგარული).

უამნი მეფობენო ახ. დრონი მეფობენო.

რ

რამ სიტყვის მასუხია! პრ. ნათქვამის შესაფერი მასუხი არ არის. ლევ. შეუფერებელი, უხამსი, არკამოსაჩენი. შერ. ნუ დაივიწყებთ, რომ ნახევრად მიშველი გურამიანთკარელი გლეხი გზად ძიშავალი ყოფილა ჩემის ტუიდან, როცა მე ვოკების მტრეკვისათვის მიყურებია! თუნდ ეგვე იყოს, ორმოკთუნინანი ქურქი აქ რა სახსენებთა! რა სიტყვის მასუხია! (ილ. კაჭავაძე).

რამ ალაზანი ჩაგივარდა მუცელში? ახ. ალაზანი.

რამ ასკილივით თავს იქნევს პრ. ასკილის შერკავსად ერთთავად თავს იქნევს. ლევ. მარალსა თუ ტყუილზე ორივეზე თანხმობას აცხადებ, ორკოფობ. შერ. შე კი ვაქო, რამ ასკილივით თ თავს იქნევს! საჭაროა, თუ არ არს საჭარო, ყველას ეთანამებო! ასკილის ბურჩი ერთთავად ქანაობს, თუ, ოდნავდაც არის, ნიავე უბერავს, ირყევა.

რამ ბაყიას მატეხს? პრ. რამ ბაყია მოპიტეხეო. ლევ. რამ ძალიან მესაყვედურები, რამ საყვედურებით ამავსეო? შერ. შე კი ვაქო, რამ დაგიშავე, სიკეთის მტერი რამ მიქნია, რომ ასე ბაყია მატეხავო?..

ამბობენ აგრეთვე: რამ ბაყია დამარტყიო? ბაყი ანუ ბაყია ქართლში იხმარება საყვედურის მნიშვნელობით; აგრეთვე შესატყვისია დიდგულობისა, განგაშისა, მზაურობისა. საბამ ორბელიანი ასე განმარტავს ამ სიტყვას: გარდამოვლინ სამღერავეო. ასე რომ ეს ორი განმარტება ერთხანირია და გამოხატავს ჩვენს გულისწყრომას, რომლითაც მივმართავთ ვისმე, როცა მისთვის არაფერი დაგვიშავებია სასაყვედურო და ის მაინც არ იშლის და არ ერიდება ჩვენს წყენინებას, ჩვენის სურვილის წინააღმდეგ გაკეთებას რისამე.

რამ ზოზობის ყვავევით გადიკარებო? პრ. ისე (იშვიათად) გეინახულებ ხოლმე, როგორც ზოზობას გადაკარ-

გული ყვავიო. სჭვ. იშვიათად სანახაეი ხარო. შერ. ვაი, შენ ჩემო თავო! როგორ თუ აიყრებო? ვინც კაცია-და, ბუხს ავითრენს!—იგრიილა ხალხმა და მიიწია სოსიკასაკენ, რომელიც ბზობის ყვავივით საღაღც გაქრა. (ს. მალოლივილი); შერ. აჰა, ყვავიო, ბზო. აგერიოს გზო!.. გზას იქიდან, გზას აქედან ჩვენი ყანა დგაო, თათრების ყანა დალაქე, ჩვენი კარგა შეინახე (ხალხური ლექსი).

ამ თქმით მიმართავენ ნაცნობ-მეგობარს, რომელიც დიდხანს დარჩება საღამე და გვიანობამდე არ დაეწახევა თავისიანებს. როცა გამოჩნდება, ვაიკვირებენ და უსაყვედურებენ—ამდენ ხანს რად დაგვივიწყე და ბზობის ყვავივით რად გადაიკარგე და აღარ გამოჩნდიო!..

ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვაობა ბზობის ყვავის ამბავს ასე განგვიმართავს.

როგორც ვიცით, ყვავს სოფლისათვის აქვს თავი შეფარებული მთელი ზამთრის განმავლობაში, თავს არიდებს მინდორ-ველის და ტყეების დიდ თოვლსა და სუსსს, უმთავრესად—საზრდოს უშოვრობას. ხლო ბზობას (აღდგომის წინა კვირას), ე. ი. ახალ გაზაფხულზე, სოფელსა შორდება მეორე ზამთრამდე და მინდორად გაფრინდება, საცა მისთვის საზრდოს შოვნა უკვე ავილია.

ბზობის დღეს რომ დაინახავენ მინდორში გასაფრეხად გამზადებულ ყვავს, ბზის ტოტს იმისაკენ გაიშვებენ და უსურვებენ გზის არევისა. შორს გადაკარგვას, რომ კირნახულს მისგან არა ევნოს რა.

რა ბრძანებაა! ის. რა სათქმელია! რა ბუზმა გიკბინა! ჰრდ. რომელმა ბუზმა გიკბინა? სჭვ. რამ გაგამწარა, რასა ცხარობ, რა გული მოგდის?!.. მგლ. რას ცხარობ, აღმამანო, არ იტყვი, რა ბუზმა გიკბინა?

ამას ეტყვიან უმიზეზოდ (ან სულ მცირე. უმნიშვნელო მიზეზის გამო) გაცხარებულს. რასაც ამსჯავსებენ ამა თუ იმ ბუზის კბენისაგან გამოწვეულ უმნიშვნელო ტკივლს.

რა გინდა სული და გულიო!.. ჰრდ. სული და გული, სთქვი, რა გინდა, მოგართვა. სჭვ. უველაფერია, რასაც ინატრებ, სისავსე, სიუხვე. შერ. რა გინდა, სული და გული, რომ

იმათ მეფურ სუფრაზედ არა ყოფილიყო: ჩიტის რძეც კი იპოვებოდა და ყოველის სიყვითა და სიმსუქნითა დღულდა და გდმოდოდა (დ. მახანელი). შერ. ხურგინი საესე ჰქონდა (სიძეს) ბატ-ქათამ-ინდოურებით, რა გინდა, სული და გული, რომ შიგ არ ეწყო: ჩურჩალები გინდა, თურაშაული ვაშლები, გულაპის მსხლეები, ნამცხვარი და ქაღები (ვაჟა-ფშაველა); შერ. სალაყობზედ ხალხს ააურებდნენ. შტკერის ტოტად თუ გადმოეშათ ღვინო წითელი! ხორცი ხონჩებით, ძოოხა, თობლები, კვიცის სუკები; მონლოლი ამას ეტანებოდნენ. წვეწეულობა. რა გინდა, სული და გული, სუფრაზედარ იყო! (ვ. ბარნოვი).

რა დავითესია, რასა მკო? ჰრდ. რაც არ დავითესია. რა უნდა მომყო? სჭვ. არაფერი გქონია და არც უფლება გაქვს მოითხოვო. შერ. მოვდილით შინ... (სადილისათვის). რა დავითესია—რასა მკო? (ივ. მაჭავარიანი).

რა დაგკარგვია! ის. რა დაჰკარგე, რას ეძებ?...

რადაც უნდა ღირდა! ჰრდ. ბევრად ღირდა. სჭვ. ძვირფასი, მშვენიერია. შერ. იმის (ცხენის) მშვენიერი თავ-კისერი, ვანიერი დიდი მკერდი, იმისი შავი შმაგი თვალები, იმისი სიამაყე, იმისი ერთი ვაეკაჟური გადმოხედვა კაი მხედრისათვის რათაც უნდა ღირდა (ილ. ჰაევაძე).

რა დაჰკარგე, რას ეძებ ჰრდ. რა დაჰკარგე, რომ ეძებო! სჭვ. იმას ეძებ, რაც არ დაგკარგავსო, არა დაგკარგავს რა, მამსადამე. არც უნდა ეძებო, არაფერი გქონია. შერ. ალექსანდრემ ნახა, რომ ეს ხალხი ცოტა ზარბოშად იყო, იფიქრა: აქ ჩემი საქმე არ არისო—რა დავკარგე და რას ეძებო! (რ. ერისთავი); შერ. რა გინდა. შვილოსან-მეთვი ვეუბნებოდი, —შენ რა დავიკარგავს, რას ეძებ?—კარგებისა რომ ევადრე. გავაშველეს, როგორც იყო (ვაჟა-ფშაველა).

რა დღეს, რა ხვალ! ჰრდ. თუ დღეს არა, ხვალ იქნება. სჭვ. არ აცდება, უეჭველად მოხდება რამე, სულ მალე. მგლ. რა დღეს, რა ხვალ—ქურდს ქურდობა არ შერჩება, ე. ი. სულ მალე გადახდება.

რა ეკალმა უჩხვლიტა! ჰრღ. რომელი ეკლის ხვევი შეერქო ხორცში?! ხვტ. რამ ვაანწაროა, რამ ააღლევა, რამ შეაშფოთა, რამ გააწიწმავა?! შღრ. ლუწარსაბი — (გაკვირვებული თავისთავად), ე, რატო ეგრე წამოფრინდა! რა ეკალმა უჩხვლიტა, ნეტა ვიცოდნე? (იღ. ჰაჰაჰაჰა).

რა ენაზე ვთქვი ჰრღ. კარგ ენაზე ვთქვი. ხვტ. ბედნიერ ენაზე მომიხდა ამის (რისამც) თქმა.

ხნარობენ, როცა რასმე იტყვიან და სწორედ ის მოხდება.

რა თავი მოგაქვს ნიახურის ფოჩივითა?! ჰრღ. ნიახურის ფოჩივით თავს რას იწონებ?! ხვტ. თავის მოსაწონებელი არაფერი გაქვს და მაინც თავს იწონებ!... შღრ. თავი ნუ გამოგვიღვი ან ნიახურის ფოჩივითა! (ხალხური პოეზია).

ნიახური მწვანილებში ყველაზე უფრო ფართო ფურცლებიანია; იმისი ფოჩი, ლამაზად გადაშლილი, გაცილებით სასიამოვნო საყურებელია, ოხრახუშისა თუ ქინძის ფოჩთან შედარებით. მაგრამ ასეა თუ ისე, ნიახური მაინც მწვანილია და მწვანილი! შეიძლება ოხრახუშთან ან ქინძთან მოაწონოს თავი, მაგრამ იმას იქით მისი ღირსება ვერ წავა, სხვა ლამაზ მცენარეთ ვერ დაედრება და გვერდით ვერ ამოუდგება!..

ბატოვანად ითქმის ისეთზე, ვისაც თავის მოსაწონებელი არაფერი აქვს, მაგრამ მაინც ეხტიბარს არ იტებს, ცუდრედილობს და უნდა გამოჩნდეს სხვაზე უკეთესად, ისეთად, ვისაც სხვები ვერ დაედრებიან.

რა თვალზე ნახა?! ჰრღ. როგორის თვალთა ნახა ვინმე. ხვტ. ხნახველზე რა შთაბეჭდილება დატოვა. შღრ. იორამი — ნე საითლა ავითარიე?! რა ვიცი, რა თვალზე ჰნახავს კაცი ქალსა. ან თუ ქალი კაცსა?! ქირის ვაჯის მაყრად წავიდა ვალვა; იქ ქორწილში ენახა, მოსწონებოდა (ვაჟა-ფშაველა).

რა მივერტივინა გამიხდა?! ჰრღ. რა სარკე, რა შიგ საცქერალი გინებდა! ხვტ. რას ჩამატივდი, დამეხსენი, მომეშვი, თავიდან მომწყდი. შღლ. იცი, ჩემო ძმაო, მომწყდი თავიდან, რა მივერტივინა გამიხდა!..

საბა ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში მივერტივინა სარ-

კესა ჰქვია. ამასვე ეძახიან დღეს კახეთში იმ ნიეთს, რაშიაც იჭვრიტებიან ხოლმე, როცა თავის სახარ დაწახავს სურთ. მივერტივინა ხარო, ხატოვანად ეტყვიან ისეთ კაცს, ვინც თავს აბეზრებს ვისნე. ჩააცივდება, აღარ მოეშვება, სულ პირში შეჭყურებს ისევე, როგორც ჩვენი სახე შენოგვეყურებს საჩივრად, როცა შიგ ვიციკირებთ.

რა ნალოსებ ამეკიდე?! ჰრღ. რა ურემში გამობშულ ძელივით ჩამომეკიდე! ხვტ. რას ჩამატივდი, რას ამიხრდი, რა თავს მამებრებ, რატომ არ ჩამორეხსნები?! შღლ. შენ თუ ერთი ნალოსებ ამეკიდე, მერე თავიდან არ მომეხსნები და საშველს არ მომცემ. ახ. ნალოსებ თრევა.

ნალო, ანუ სათარი — დიდი ძელია, რომელიც კერაზე დაიდება, ასე ვთქვათ, დედა-შეშად და თავზე ჩამოსდებენ ხოლმე წვრილ შეშებს, რომელთაც ქვეშიდან ადგილი თავისუფალი უნდა ჰქონდეს ჰაერის მოძრაობისათვის, რათა ცეცხლს უფრო ადვილად მოეკიდოს. ამ ნალოს, წვრილი შეშით დატვირთულ და ცუდნად წამოღებულ ურემს თუ მარხილს უკან გამოაბამენ და თრევეთ მოაქვთ, ნალო უშნოდ მისთრავს ურემს, თვისი სიმძიმითა და სიკლანჭით ურემს პირდაპირ სიარულს უშლის და, ნავის საჩესავით იქით-აქით აბრუნებინებს პირს.

ხატოვანად ნალო დაერქმის ისეთ კაცს, ვინც ვისმე გადაეკიდება, აეთრევა და თავს აბეზრებს თავის უალაგო თუ უღრო თუ თან უხეში მოთხოვნილი. ესე ჩაიცივებით, რომ მისი თავიდან მოშორება ძალიან გასაკვირია ხოლმე.

რალა მიქნია!.. ჰრღ. აბა რა გამიკეთებია!.. ხვტ. იმის გაკეთებალა მაკლია. ამას არ გავეკეთებ, ეს გასაკეთებელი არ არის. შღრ. ქვეყანაში გამოგვასალმა და ახლა ვაპირებო?! რალა მიქნია!.. (რ. ვარსთავი).

დაცინვითი თქმაა, როცა ვინზე სხვას აკისრებს ისეთის რისაძე გაკეთებას, რაც, მეტი რომ არა ვთქვათ, სასაცილოა, მასხარად აგდება იმისი, ვისაც ამის გაკეთებასა სთხოვენ.

რა თითთ საფლავს გამითხრი?! ჰრღ. ჩემი საფლავის გასათხოვლ იარაღად თითს იხმარ განა?! ხვტ. ჩემ სასიკეთოდ, რა შვილი ხარ, ჯანი გაიგდებინო! განა არ ვიცი, ჩემთვის თავს

არ შეიწუხებ! ჩემი გაქირვება აბა რაში გედარდება! შენგან სიკეთეს არას გამოველი! მგლ. ათას რასმე მპირდები, მაგრამ ვიცი და დარწმუნებული ვახლავარ, რომ შენ თითოთ საფლავს არ გამი-
 თ. ხ რ ი!...

თითო მიწის ვათხრას თან სდევს დიდი ჯაფა და ტანჯვა და თქმაც ანიტოვია ხატოვანად მაჩვენებელი უზომო შრომისა. რომელიც უნდა ჩაატაროს მოყვარულმა ადამიანმა მოყვარულ ადამიანსათვის.

რა თოკი დაახრჩობს? პრ. ჩვეულებრივი თოკი ვერ გაუძლებს დასახრჩობად. სკვ. დიდი დანაშაულია, ავკაცია, ავაზაკია, თოკით ჩამოხრჩობაზე მეტი სასჯელი ეკუთვნის. მგლ. შენისთანა ავაზაკს, ნეტავ ვიცოდე, რა თოკი დაახრჩობს?!

ძველათ იყო შემთხვევა, როდესაც დიდი დანაშაულის ჩამოსახრჩობად თოკს ხმარობდნენ. მაგრამ ამ თქმაში დანაშაულის დანაშაული ვაზავადებულადაა წარბოდგენილი და ჩვეულებრივი თოკი, რაც ჩვეულებრივი დანაშაულის ჩამოსახრჩობად სამყოფად ჩაითვლებოდა, არა-ჩვეულებრივ დანაშაულებს (იგულისხმება ავკაცობით დამძი-ებული) ვეღარ გაუძლებდა და გაწყდებოდა, მაშასადამე, იმას არაჩვეულებრივი სიმაგრის თოკი სჭირდებოდა.

რაილა ჯაჭვი და ბეგთარი უნდა! პრ. ჯაჭვანი და აბჯარი არა სჭირია. სკვ. გასაზვიადებელი არაფერია. უბრალო რამაა, ადვილი გასაკეთებელია, იოლია. მგლ. ეს საჭმე ისეთი იოლია, რომ ჯაჭვი და ბეგთარი არ უნდა, უიმათოდაც მოველება საჭმეს.

ჯაჭვ-ბეგთარი ერთგვარი პერანგი-სებური ჩასაცმელია, რკინის პატარა რგოლებისაგან ასხმული. ჯაჭვ-ბეგთარს ტანზე იცვამდნენ მტერთან ბრძოლის დროს, რათა დაეფარათ სხეული მტრის მკრელი იარაღისაგან.

ხატოვანად ჯაჭვ-ბეგთარს ამიტომ მიეკუთვნა განსაკუთრებული როლი ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარებაში და საერთოდ ყველაფრის გაკეთებასა და მძიმე კითხვის გადაჭრის საქმეში. რა კალი ვიბნა! ახ. კეკე რ ზე დ გ ო მ ა. რა კბილებსა ძყრი! პრ. რა ვარგეთ გამოგვიყრია კბილები! სკვ. რას იღრიკები! შტრ. რატო შენ ქერქში არა

დგები?! სახლიდან ხო ვერ ამერი?! კეკელუასებრ, სუ რო კ ბ ი ლ ე ბ ს ა ჰ ყ რ ი! (ნ. ახიანი).

ეს თქმა ზიზლითი და ყვედრებითა. მიმართავენ ამ თქმით ისეთს. ვინც უმიზნოდ იღრიკება, კბილენს აჩენს, თითქო იმისთვის, რომ დასცინოს თანამოსაუბრეს, მასხარად აიგდოს.

რა კევი ჩავიდვია პირში? პრ. კევის ხონ არა ლეკავ? სკვ. რა გაუგებრად ლაპარაკობ, ადამიანურად ვერ იტყვი ს.თქმელსა?! მგლ. რა კევი ჩავიდვია პირში?! სანამ შენ იტყოლე ჩანსე, კაცს გული ვადაეღვია...

კევი ერთგვარი ხის ფისია. კევის გასართობად პირში იდებენ და ლეკენ. კევის ლეკვის დროს მის მღებველს არ შეუძლია მკაფიოდ, მისახვიდრეოდ და მალე ელაპარაკოს მსმენელს. ხატოვანად. ვადატანითად ყოველს ზოზინით, გაუგებრად მოლაპარაკეს. ან საქმეში გვიანს—კევილეკიას უწოდებენ. და აი, ამიტომაც. ასეთ წყრომითა და ყვედრებით ეტყვიან ხოლმე: რა დაგემართა, რა კევი ჩავიდვია პირშიო!...

რა შავისი მცხელა! პრ. იმისი სიცხე არა მწევეს. სკვ. იმისი დარდი არა მაქვს, ის არ მწეულებს, არ მანაღლებს, მე სულ სხვა მიჭირს. შტრ. ოპ, ჩიიკო, შენა? მანდ რას აკეთებ ამ თბილსა და პატროსან დღიში?! სტირი კოლეცა? შენ ხომ შენს ეშმაკობას არ მოიშლი!

—არა. ძმობას გეფიცები! რა შავისი მცხელა! ძალიან დაკოდილი ვარ, იმაო, დაკოდილი! ვერას მიშველი, წამალი არაფერი იცი!—რსმობა მწუხარე ხმა ნუერიდან (ვაჟა-ფშაველა).

რა მარგალიტის საყულო ჩამოვახიე?! პრ. შენთვის მარგალიტის საყულო არა ჩაიძობიო? სკვ. ისეთი დიდი რამ არა დამიშავებია შენთვის, შენი რისხვა არ დამიმისახურებია. მგლ. რას მერჩი, ადამიანო, რა მარგალიტის საყულო ჩამოვახიე!...

მარგალიტის საყულო ქალისათვის ძვირფასს სამკაულად და განძად ითვლებოდა. ყოველსავე შემთხვევაში, ისეთად, რომ ყველას არ მიუწოდებოდა ხელი ამ საყულოთი დაემშვენებინა თავისი ყელი. ასე რომ, ვინც ასეთ განსა ჩამოახევედა მოყვასს ყელიდან, დიდ დანაშავედ და სასჯელის ღირსად ითვლე-

ბოდა როგორც საყლოს პატრონის, ისე სხვთა თვალში.

რამ გიკბინა? პრ. კბილები რამ ჩაგას-სი ხორცილი? სვ. რამ გაგაანჩხლა, რამ გაგამწარა, რამ გაგაბრაზა? პრ. რამ გიკბინა დღეს. ყმაწვილო? რას ირვეი დღევანდელი დღე? (დ. კლდიაშვილი).

რამდენი ზევითაა (მიწაზე), იმდენი ქვე-შაა (მიწაში) პრ. რაც სიმაღლე აქვს ნიწას ზემოდან, იმდენი მიწაშია ჩა-სული. სვ. დიდი გაიძვერა და ეშმა-კია. მკლ. ეს კაცი დიდი გაიძვერა ვინმეა. ყველა ძალიან უნდა უფრ-თხილდეს: რამდენი ზევითაა, იმდენი ქვეშაა!

ხალხის ძველი წარმოდგენით, ეშმაკი და გაიძვერა კაცი ორმაგი სიმაღლისა იყო. იგულისხმებოდა, რომ მისი სხეუ-ლის ერთი ნაწილი მიწის ზედაპირზე იყო, გარეშეთათვის გარეგნულად სა-ხილველი და მოსაგერიებელი. მაგრამ სხეულის იმდენივე ნაწილი, მოყვასისა-თვის ეშმაკობა-ვნების მიმყენებელი, მი-წის ქვეშ იყო დამალული, სხვისთვის უხილავი და ბელმითუწვდომელი, რის გამოც ადამიანი მის წინააღმდეგ უძ-ლურად და უთარაღო მსხვერპლს წარმო-ადგენდა.

რამდენი პერანგი მაქვს შენზე (ან თქვენზე) მეტი დაცვეთილი!.. პრ. პიოდაპირ ტანზე სატარებელი სა-ცვალი რამდენი დამიგლეჯია ხმარე-ბისაგან შენზე მეტი? სვ. რამდენი მიცხოვრია შენზე მეტი, რამდენითა ვარ შენზე დიდი, შენზე ხნირი. პრ. ეგ ყველა, ყოლა, ჰკითხა ბერომ პეტ-რეს, და იბერიკაცს შარმახანს რა-ღა აწვალდა. ბიკო, რამდენი პერანგი აქვს თქვენზე მე-ტი გაცვეთილი? (ვაფ-ფშაველა).

ჩვენში ძვილათ, განსაკუთრებით მთაში, მაშაქაცს რაც უფრო მეტი პერანგი ექნებოდა დაცვეთილი, მით უფრო ხნირად, გამოცდილად და ქუთი-ან დიოვლებოდა, მით უფრო უპირა-ტესობის პრეტენზია ჰქონდა იმათთან შედარებით, ვისაც პერანგების მცირე-დი რიცხვი უტარებია თავის სხეულზე. რამდენი სულივით შემომტრიალებ? პრ. რამდენი სულივით გარშემო მივლი? სვ. რატომ არა მშორდები, რას ჩამაცივდი, რატომ არ დამეხს-

ნები, რა გინდა ჩემგან, თავი ნუ წა-ილე! მკლ. რა მკვდრის სული-ვით შემომტრიალებ, რა მშარ-თებს, ადამიანო? შენი?

ჩვენი ხალხის ძველი წარმოდგენით, სიკვდილი შედეგი იყო სულის განშო-რების სახეულისაგან. სხეულს მიწას მიბაძვრებდნენ, ხოლო სული სულების სამუდამო სამყოფში ანუ სულითში უნდა წასულიყო. მაგრამ სულითში წასვლამდე მიცვალებულის სულისათვის სააქაოს დარჩენილ ქირისუფლებს ხარკი უნდა გადაეხადათ. ყოველ კვირა საკურთხი (ტაბლა) უნდა ეკეთებინათ; სიკვდილის მეორმოცე დღეს საკლავი უნდა დაეკ-ლათ მის საფლავზე. სანამ ამ „ხარჯს“ არ გადაუხდიდნენ, სული სახლის გარ-შემო ტრიალებდა, ღამე ძილში არ ას-ვენებდა ქირისუფლებს, სიზმარში გა-მოეცხადებოდა ხოლმე და დაეინებით სთხოვდა ყველა კუთვნილი წესის შეს-რულებას. როცა ხარჯს გადაუხდიდნენ, „სული“ (იგულისხმებოდა დაბმული) აიხსნებოდა და ისიც სახლს თავს ანე-ბებდა.

ხატოვანად ეს თქმა იხმარება ისეთ ადამიანზე, ვინც თავს გვაბეზრებს, მა-ნამდე არ მოგვასვენებს, სანამ არ მიე-ცემთ, რასაც თხოულობს ჩვენგან, სანამ სურვილს არ დაეუკმაყოფილებთ.

რამ შუშია გახლაო! პრ. რამ შუშია დიქოაო! სვ. ძვირი მოსაპარავი გახდაო, იშ-ვითათია, საუცხოვოა! მკლ. რამ შუ-შია გახლდი, რომ ასე დაგვიძვირე შენი ნახეა?

XIII საუკუნის კარაბადინში („წიგ-ნი საეკიმოა“) ვკითხულობთ: მუშია სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ერთ-გვარ საცხს (unguentum); იხმარება გადა-ტეხილი ძვლის გასამთელებლად. მიიღება მისი ფისისაგან, ლათინურად Bitumen Arabicum ეძახიან.

ქართველი ხალხის ძველ მეწამლეთა ახსნა-განმარტებით, მუშია წითელი ფე-რისაა, ქვისებრ მაგარია, ილესება, წი-თელი ქარით დაავადებულს კურნავსო. ეტყობა, დიდი გასავალი ჰქონდა ჩვენში და ძვირადაც ფასობდა. რაიმე ძვირ-ფასი საგნის ლირსების შესაფასებლად ამ საგანს მუშიას დაადარებდნენ ან როცა ძალიან უფრთხილდებოდნენ რას-მე, იტყობდნენ: რამ შუშია სე ბ რ უ ფ რ-თ ხ ი ლ დ ე ბ ი ო! ან კიდევ, თუ იშვი-ათი საშოვარი იყო რაიმე, იტყობდნენ

მუმიდა ღირსო! მუმიას სახელწოდება დამოწმებულია ქართლ-კახეთში, სვანეთში, გურიასა და რაქა-ლეჩხუმში.

რა ნაფუჯრის თავებს ჩამიპრი იხნათუხარს თავი არ ჩამომიქრაო.

რა ნიორივით გაიპარაო! იხ. დამრჩა ნიორის ნაქურჩალო.

რა ნიშა ხარი ხარ?! პრ. არც ისეთი ხარ, შუბლზე თეთრი ნიშანი გვონდეს. სვც. საფერებელი არა ხარ, არც ისეთი ხარ, კაცმა სულ შენ გილოლიაოს. შგლ. არც ისეთი ნიშა ხარი ხარ, ყველაფერი შენ განაცვალაო!..

ნიშა—თეთრი ნიშანი შუბლზე, საქონელსა აქვს ხოლმე, სილამაზის ნიშნად ითვლება. იხმარება ვისიმე ვალაქარბებით განებივრების აზრით.

რაო, ჩემო?! პრ. რა უნდა დაგემართოს, რაც ჩემი ხარ?! სვც. მე რა უნდა შემემართოს, მე რა შუაში ვარ, რას შემართობიან, ვის რა დაეშუავე? შრ. მამ არა ღირს წყალში ვასვლა, რა მინდა ან-კი გაღმა რო გავიდე? რაო, ჩემო? სჯობია არ დავასველო. მართლაც შესცივა (გუა-ფხავა); შრ. იმ ქვეყანას, რომელსაც ეყენი (ინგლისელები და პორტუგალიელები) ერთმანეთს ედაუვებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს და ან ინგლისის რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას?! იქაურებს თავისი ქვეყანა უნდათ და რაო ჩემო? (ილ. ჰაჰავაჰე).

რა პირით გეჩვენო პრ. როგორ შემოგხედო?! სვც. მრცხენია, ვეღარ შემოგხედავ. შრ. (მღვდელი) გამარჯვებული არ მიდიოდა წინ და რა პირით უნდა სჩვენი ებოდა ქალს (კოლს) (ვ. ბარნოვი).

რა სათქმელია პრ. თქმად არა ღირს. სვც. უაზრობაა, უტკუობაა. უანგარიშობაა, ზედმეტია. შრ. რა სათქმელია! ყველას სჩვევია უცნაურობა ხანდისხან. მღორე წყალიც შეითამაშებს, შესტუორცინს მოულოდნელ ტალღას (ვ. ბარნოვი); შრ. ფული რა არის?! ხელის ქუჭკია... ერთი თუმანი რა სათქმელია!... ჯგირი რომ არ შევარჩინე,—ეს რადა ჰღირს! (ილ. ჰაჰავაჰე).

რა საქნელია! პრ. არ არის საქნელი! სვც. უკულია, დასავლობია, სააუგოა, საძრახისია, სირცხელია. შრ. ძმა

ძმასთან ვერ მოთავსებულა, რა საქნელია! როგორ უნდა იცხოვრონ და ვასწიონ ცხოვრების კაპანი? (ს. მაგლობლივილი).

რასაც ამოსთქვამს, აღარ ჩასთქვამს პრ. რასაც პირიდან ამოუშვებს, უკანვე არ ჩაუშვებს სვც. თავისნათევებია, ჯიუტია. შრ. რა ვენა. შვილო, ჩემი რა ბრალია? ბევრი ელაპარაკე მამაშენს, ნაგრამ ხომ იცი იმისი ხასიათი: რასაც ამოსთქვამს, აღარ ჩასთქვამს, შეაგლო ქვა და შეუწვირა თავი (ფნ. ვენთემაჯვილი).

რას იტყვიან! პრ. რა უნდა სთქვან!.. სვც. ბალხი რა აზრისა იქნება! დავგძრახავენ, გაგვეციტხავენ, დაგმობენ ჩვენს საქციულს, ვაგვლახძლავენ, ავად ვავახნებენ.

უპიროვნო წინადადებაა, რომლითაც გამოითქმის შიში, წინდახედულობა, შემაკავებელი ანუ გამაფრთხილებელი აღაწიანისა ცულისა და სააუგო ქვეყისაგან. იმავე თქმას უღრის და ამავე შესატყვისისა თქმა—ვინ რას იტყვის!..

რას მიქვიან! რას ევძახი ამა თუ იმ საგანს. სვც. არ უნდა, საჭირო არ არის, სახსენებელიც არ არის, რა შუაშია ეს, ასე არ შეიძლება, ეს ასე არ უნდა გაკეთდეს. შრ. რას გვიქვიან აქ ლიბერალიზმია, ან რეტროგრადობაა, როცა ჩვენს ვინაობას, ჩვენს თავბედს ასე აბიაზრობენ და ძირიანად სთხრიან! (ილ. ჰაჰავაჰე).

რა სუფრას გამოშლი?! პრ. რა ქსოვილს გადააფარებ ტაბლაზე პურის საქნელად! სვც. რა ნიარ-ნიარ საქმელს მაქმევე, რა პატრისა მცემ; რა სიკეთეს მიზამ, რა მეგობარულად მომიტყობი? შრ. ნუ დამემღერები, არ მილაღატნია და ისევ დაგინბრუნდი შენი ნაშობი; ვნახოთ, სამაგრიროდ რა სუფრას გამოშლი!.. (ან. ერისთავი-ბომბარია).

სუფრა ჰქვია ქსოვილს ტაბლაზე (ძველად ტახტზე) ან ძირს მწვანეზე გადასაფარებელს, რომ ზედ სასმელ-საქმელი დავლაგებინათ და ვარშემო მოსუფრალნი შემოხსნომოდნენ. ხატოვანად სუფრა გულისხმობს მაგიდაზე საქმელ-სასაჯლის, დალაგებას და მოსუფრალთა პატივისცემას. მოყვანილ ოქმაში სუფრა ნიბნავს საერთოდ პატრისცემას გამასპნძლებას, გულუხვად და

ხედრას მასპინძლის მიერ, პურმარილი-ახობას, სიყვარულს, მეგობრობას, გაქირებაში შევლას.

ეს თქმა ცნობილია უმეტესად ქართლ-კახეთში. ზოგჯერ უმატებენ სიტყვა წართვისა და ამბობენ: რა წართვის სუფრას გამოიშლიო! წართვა გამოხატავს სუფრაზე დაგროვილ საქმელს, ლეინოს, მტკვრის ტოტად გადმოსწებულს. (ვ. ბარნოვი). წართვა ჰქვია ამ პურობისა და სმეულობის შეუწყვეტლობას, გაბმას. ქამა-სმაში დღისა და ღამის გარეთებას... დაუსრულებელ სიმღერა-მარაყელეამიერს, ერთიმეორის დღეგრძელობას.

ხსენებული თქმა, უმეტეს შემთხვევაში, იხმარება ნახევრად კიბხეთით და ნახევრად დაციხეთით სახით. როცა ვინმე ჩენი ტოლი და სწორი წყალობას რასმე გვპირდება და ჩვენ კი საექვოდ გვიჩანს მისი შეძლება ან მისი გულწრფელობა, ვეტყვით: რა სუფრას გამოიშლიო! ვ. ი. ტყუილად გვპირდები, — სად შენა და სად რაშიმე გამოდგომაო!..

რას წაიღებ? ჰრ. რას წაიტან თან? სკვ. რას დაძაყებ, რას დამიშავებ. შერ. ახლა მიპოვნონ ჩენმა მტრებმა! რომ მიპოვნონ კიდევ. რას წაიღებენ? სულ ქვით ჩაეაშეშებ, მანამ აქ ამოვლენ! ტარიელი ხომ მღვდებსაც გაუმჯალავდა, ქვაბი რომ იპოვნა (ვ. ბარნოვი).

რა ტოლი მომდევ? ჰრ. რა ტოლი დამიდევ უღელზე? სკვ. რა გამიქირე საქმე. ადვილი საკეთებელი მძიმე საკეთებლად რად გამოხადე? მგლ. შენ რამ ტოლი არ მოგვიღე რ ჩემთვის, არა მიქირდა რა... ახ. ტოლის დედება.

როცა უღელში ცალი სუსტი და ცალი პირველზე მეტად ღონიერი ხარი უბია, ღონიერი წინ მიიწევს და უღელიც თან მიაქვს. სუსტი ხარი უკანა ჩრება და ურმის ტარების წონასწორობა ირღვევა. წონასწორობის დასადგენად ღონიერ ხარს უღელს დაუმოკლებენ, ე. ი. სიმძიმის ცენტრს გადაანაცვლებენ და ანუ ტოლს დაუღებენ. ამ შემთხვევაში მთელი სიმძიმე ღონიერს ხარს დააწვება და სუსტიც უღელს გაასწორებს, მხოლოდ ღონიერი ხარის ხარჯზე.

(ცხოვრებაში, ვთქვათ, ერთი კაცი რასმე აკეთებს. ამ დროს მეორემ თა-

ვისი საკეთებელი პირველს მოახვია თავზე. აი ასეთ შემთხვევაში ხატოვანად იტყვიან: რა ტოლი მომდევო?..

რა ფეხზე ჰინი დაიდვი? ჰრ. ფეხზე ჰინი ხომ არ დაიდვია? სკვ. რა ერთადგილას გაჩერებულხარ, რატომ აღარ იძვრი? მგლ. შეკაი კაცო, რატომ არ გამოივლი ჩვენკენა. ფეხზე ჰინი ხომ არ დაიდვია?...

ჰინი საღებავი მცენარეა, რომელსაც უმთავრესად თმის წითლად შესაღებად იღებდნენ ძველათ თავზე. როცა ჰინს იღებდნენ, ერთ ხანს უძრავად იყვნენ, რომ საღებავი კარგად მოჰქიდებოდა თმას.

ჰინს ფეხებზედაც იღებდნენ ხოლმე, ფეხის ფრჩხილების შესაღებად და როცა იღებდნენ, უძრავად ისხდნენ სახლში, გარეთ აღარ გამოდიოდნენ მეორე დღემდე. რომ საოუბავს კარგად შეეღებნა ფრჩხილები. აქედან ჰინის დაღება ხატოვანად გულისხმობს უძრობას. ერთ ახლაგას გაჩერებას, სადმე მისვლა-მოსვლის შეწყვეტას.

რა ფლავი გიცვიდებ? ჰრ. შენი საქმელი ფლავი თბილი არ იქნება. სკვ. რა საქმე გიბრკოლდება, რასა ზარალობ? შერ. გორში რა ფლავი გიცვიდებოდა? რა მიგარბენინებდა? (მ. ხეჩუაშვილი).

ფლავი სანუკვარ საქმელად ითვლება. მისი ქამა კარგია თბილად. გასუფრებულ ფლავს ახლად მოზარშულისა და სუფრაზე მისართმევე ფლავის ღირსება და ფასი როდი აქვს! იმიტომაც, რომ ფლავის გაცივება უღრის გადატანითად საქმის რისამე გაფუჭებას, დაბრკოლებას, გინა ზარალს, საწყენსა და სადარღებელს.

რა ყანდი-კეთილს მომართმევ? ჰრ. ყანდი-კეთილს ვერ მაქმევ. სკვ. სიკეთეს ვერას მიზამ. ვერ მაამებ. პატრის ვერა მცევ, ვერ გამომასპინძლებდი. მგლ. არა. რომ მეპატიეები, რას მეპატიეები, მე შენ გეტყვი, ყანდი-კეთილი არ მომართვა!...

ყანდი შაქარყინულსა ჰქვია. ძველათ ძვირად საშოვარი იყო; ვისაც ჰქონდა, მისი მირთმევა სტუმრისათვის დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად ითვლებოდა. ეს თქმა იხმარება ნიშნის მოკვებით, დაციხეთით, როცა ვინმე ვისმე ეპატიეობა და გამასპინძლებისათვის კი არა აქვს, ღონე არ შესწევს სტუმრის პატივისცემისათვის.

რა ქარმა მოგაგდო? პრ. რომელმა ქარმა წამოგისროლა?! სვ. საიდან, როგორ მოსულხარ? შრ. ამირინდო, მობრძანდი, დაბრძანდი, რა ქარმა მოგაგდო, სად ბრძანებულხარ? (გ. ერისთავი); შრ. ლუარსაბ — მიმინოც დაეპურე და ზურგზე დაეისვი. ცოტა მოინელსო და სანადიროლაც გაეწყვე .. (ლევანს დაინახავს) ოპ, ლევან? (იციინის) რა ქარს ვადმოუგდინხარ?... (გ. ერისთავი); შრ. შენ აქაური არა ხარ; უქაცრავად, რომელი ქვეყნიდანა ბრანდები? ან რა ქარმა ვადმოგაგდო. მიკვირს, ამ ჩვენს ქვეყანაში? (ვაჟა-ფშაველა).

რალა მიქნია! პრ. რალა გამიკეთებია! სვ. აბა სწორედ. ამას გავაკეთებ! მეტი საქმე არა მაქვს, ეს ვაკეთო! რალ უნდა ვაკეთო?! შრ. ლიზა — რასაკვირველია!.. რალა მიქნია! წავიდე და სოფელში ჩაეჯდე!.. მაგისტვის თუ გაავთავე აქ სწავლა!.. (გ. ერისთავი). შრ. კელუა — ლიზა, შენი თვლების ქვირიმე, კოქლურათ რომ იცი, ისე ითამაშე. შენ გენაცვალე! ლიზა — რალა მიქნია! (აქუს. ცაგარელი); შრ. ოცი თუმიანი უნდა მივცე, მითომ იმის კუთით! რალა მიქნია! ახლა რა არის — მაშინებს!.. (ილ. კავკაიძე).

რა შენი კუტით გაზრდილი ვარ? პრ. რა პურის კუტიებით გაგიზრდივარ! სვ. ჩემს გაზრდაში რა წილი გიდევს, რა ხარჯი მოგსვლია! რა მმართვებს შენი! შრ. რომ ძიყვირი, რა შენი კუტით გაზრდილი ვარ? ნაყმევი ვარ შენი... ვინმე ლაწირაკი კუჩის ბიჭი, თუ შენი ხელში შემეპყვრალი? (აქუს. ცაგარელი).

პურის კუტს საქმელად ნორმალურად გამომცხვარი პურის ღირსება არა აქვს; გაფუფბული არ არის, სრული გამოცხოზა აქლია, უფრო შეკუმშულს ცოპს უახლოვდება, თონის კედელს მოშორებულს და ნაღვერდალში ჩავარდინოს; ხშირად ბლომიდ ნაცარი და ნახშირი აქვს მიკრული, გარედან გარუჯულია, შუაგული ცომადა აქვს დარჩენილი. კუტით გაზრდილი გულსხმობს უკიდურეს სიღარიბეში გამოზრდილს.

რა შენი მცხელა? ის. შენთვის არა მცხელა.

რა შენი ცალი და ანათალი ვარ? პრ. რა შენი ტოლი და შენგან მონაპერი

ვარ? სვ. რა შენთან დასადარებელი ვარ, შენს ფარდად თუ მაკლებ? მკლ. გირჩევნია, შენთვის დაეტიო, ჩემთან არაფერი გესაქმება. შენი ცალი და ანათალი არ გახლავარ!..

რა შეილია პრ. რა დედ-მამის ნაშობია! სვ. არ არის კარგი ვუკაცი, ადამიანის ღირსება აქლია. უკეთური, ხელიდან სიკეთე არ გამოუვა, გაიძვერაა, მართალს არ ამბობს. შრ. რა შეილებმა არ ვიცით ჩვენს, როგორ უნდა ქამა ლეშისა, — სთქვეს სხვებმა (მკლებმა) სიცილით (ვაჟა-ფშაველა); შრ. თქვენგან ამოგდებულია ბარი, განა არ გიცნობთ, რა შეილებიცა ბრძანდებით? (ვაჟა-ფშაველა); შრ. დაღის (ზარაფი მალუა) მოვალეებში და ყველას აწუხებს, ფული დამიბრუნეთ, გაუკოტრილი. რა შეილია! ეკუობა, რაზე იცის და თავდარიგს იქერს, თორემ იმისთანა მღვარსლაეს რა გააკოტრებდა? (გ. ბარნოვი). ის. არა შეილი.

რა ჩემი ვადასახადია? პრ. მე რალ უნდა ვადავიხადო? სვ. რა ჩემი პასუხსაგებია, რა ჩემი სახლევია? შრ. ბატონო, ჩვენ რას გვეჩით? ძალაც თქვენს ხელშია და სამართალიცაო; ვინმე მოთარეშეთაგანმა ჩვენ სოფელში გაიაროს, ჩვენ რა ვიცით და რა ჩვენი ვადასახადიაო? (აქაი).

რა ჩლაში ჩამჯდარხარ? პრ. რა ჩლა შეგიმოსია?! რას დალონებულხარ. რას დამმარებულხარ, ვისმე ხომ არა გლოვობ? შრ. რა ჩლაში ჩამჯდარხარ? (გ. ერისთავი).

ჩლა ეწოდება სუფრის ვადასაწყმენდ ტოლს, რომელიც საერთოდ. მუდამ სველია, აგრეთვე ჯოხზე წამოცმულ ჩვარს, რომელსაც ქვევრის ამორუხვის დროს ძირში ჩარჩენილი ნარეცი წულის ამოსაწურავად ხმარობენ; ჩლაზე ეძახიან ძველძველ საძრახ ტანისამოსს. ასეთ ტანისამოსს ხმარობდნენ ხოლმე წინათ მიცვალებულის ჰირისფალნი, რომელნიც, გლოვის ნიშნად, ყვირს პირად ატარებდნენ დროს და კერის პირასვე იძნებდნენ ჩლაზე, ტანისამოსგაუსხვლად.

რა ცალი გკიდია? პრ. რა ტერითი გაქვს მოკიდებული ზურგზე. სვ. მოუტლელად ყოფნა, დროს უქონლობა. შრ. ლუარსაბ — არა მცალიან. მანია — რა ცალი გკიდია? (გ. ერისთავი).

ცალი (ტირით) ამ შემთხვევაში ერთმანეთს სიტყვა მცალია-ს. ეტყვიან იხეთს, ვინც მცალილია, ნაგრამ საქმის გაკეთება ეხარება ან არ უნდა და იძახის — არა მცალიაო.

რაცა ვარ — მე ვარო! პრ. თუ ვინმე რა-ნის წარმოადგენს, ისეც მე ვარო! სჯვ. ავლასა ვეჯობი, არ ჩემისთანა არა-ვინაა, მე ვერაფერ შემედგობა; ტრა-ბახი. კვიხხა. შრ. როგორც ვიცი. თ. მ. მანაბელი გაგებაზე პატარა მწარალად და უმზარაბად ბრძანდება, თუმცა არც ერთ შემთხვევასარ გა-უშვებს, რომ არ გვითხრას მისებუ-რის თაენოწონებით და გულში ხე-ლის ცემითა: რაცა ვარ, მე ვა-რო! (ილ. პეპეაძე).

რაც თავი შემისწავლია პრ. მას აქეთ, რაც ჩემი თავი გავიციანი. სჯვ. რაც შევხებულად ვუყურებ ცხოვრებას, რაც დავეკვირები, რაც ავისადა კარ-ვის გარჩევა ვისწავლავ, მას აქეთ... შრ. გლეხი — შაი, შაი, შაი, შაი არა? მგონს-თვის ჩემს სულს როგორ დაუფხმძიებ. რაც თავი შემისწავლია, შენი შირობე. მე ვინახავ მაგათა, მაგათის მიღობი დემურთ მემც ბლომად მიძ-ლევს (ილ. პეპეაძე).

რაც მართალია, მართალია პრ. სიმართ-ლე — სიმართლედ დარჩება. სჯვ. სი-მართლის წინააღმდეგ არავის რა ეთქ-მის, ქეშმარიტება — ქეშმარიტებად დარჩება.

რაც ცოდვისა მეკითხა? პრ. რა და-ნაწაულისათვის მომძხოვეს პასუხი? სჯვ. რა უბედურება შემემთხვა, რა დავაშავე ისეთი? მგლ. წლავლად ყვე-ლაფერთი დავხარადი, არ ვიცი, რა ცოდვისა იეკითხა. ახ. ცოდვა.

რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიბრტყე მის-ცა! პრ. სიგრძე და სიბრტყე (სხე-ულისა) გაუთანასწორა, ერთმეორეს გაუტოლა. სჯვ. ძალზე სცემა, უცე-მარი აღვილი არ შეარჩინა ტანზე. შრ. ამ თხუთმეტობდ დღის წინად ბათუნელმა კატომ გველივით ააქურღა ჩვენი ბრძენი Plebs-ი, რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიბრტყე მისცა და ერთის მაგიერ ორი შოლტი ტყა-ვი ააძრო (გრ. ყიფშიძე); შრ. ჩემი და ჩვენი დიდინაცვლის ნახსლეთის აკვანს არწევდა (ჩემი და); ბაღმდა თურმე ტირილობ დავიწყო, ძუძუ მოითხოვა, და რათა ტირიო, მოსდგა და რაც

სიგრძე ჰქონდა, ის სიგრძე მისცა (რ. ერისთავი).

რა წითელი კვერცხია! პრ. წითელი კვერცხი ხომ არ არის! სჯვ. საფერე-ბელი, სალოლიავებელი არ არის, ყვე-ლაზე უკეთესობამდე ბევრი უკლია, სხვას არავისა ჯობია.

წითელი ფერი სილამაზის გამოშატ-ველ ფერად ითვლება. ძველად სააღდ-გომოდ წითლად შეღებილი კვერცხი იყო საფერებელ და სალოლიავებელ ადა-მინათან დასადარებელი.

რა წითელი კოჭია! ახ. რა წითელი კვერცხია.

რა წინა ხარებში დამაკლდებიანო ახ. წინა ხარებში მოუტლდება.

რა წიწაკა გიქამია! პრ. წიწაკა ხომარ დაგილენია და გადაგიოპავს! სჯვ. განწარება, გაცეცლება, გულის მოსე-ლა, სიანჩხლე. შრ. ბაღდასარა — (ყველუას შეუტევა) გიფია ეს დე-დაკაცო!... ტო! ალარ დადგები... რა წიწაკა გიქამია! ჩემს საქ-მეში ნუ ერევი და!.. (რ. ერისთავი).

რა წყალში ჩავვარდე, რა ღვარს მივეცე! პრ. წყალში და ღვარში უნდა და-ვინარხო თავი! სჯვ. რა უიღორეს სა-შუალეხას მიემართო მძიმე მდგომარე-ობიდან თავის დასაღწევად? შრ. რა ექნა, რა ვაწყვეინე ი დალოცვილებს (ხატებს), რა ასე მღვებარედ გამიხა-დეს ე უღირსი შვილი! რა წყალში ჩავვარდე, რა ღვარს მივეცე; ერთი ფთილები თუ არ დავასხმევიც, არ იქნება (ს. მგალობლიშვილი); შრ. რა უნდა ექნათ, რა ხევისა და წყალს უნდა მისცემოდნენ (გნ. მენტეშაშვილი); შრ. ვერ გაიქცევი და ვერ ჩავახარებ ესეთი საქარხი საქმე დამემართა და მომეშველე-მეთქი! დე-დაც ვერას ეტყვის, ვერაფერს მოახ-სენებს ხოლმე. ნეტა რა ექნა, რა წყალში ჩავვარდე!... — ლონობ-და დამმარებელი (გ. ბაროვი).

რა წყლისა და რა სვინიდიხისა! უსინი-დისო, უპატოისნო. შრ. ვინ იცის რა წყლისა და რა სვინიდი-სისა! — წაიტურტუნა მესამე, — ერთი შეხედეთ, რა რიგად გაუყარა, თვალი-თვალში იმ ყმაწვილს, ლეკი-კარიანთ ბატონიშვილს! (გა. გაბა-შვილი). ახ. წყალი.

ამოწერილ მაგალითში წყალი ნახ-მარია პატროსნებისა და ნამუსიანო-ბის მნიშვნელობით.

რა ჰკუა აქვს ის. რა ჰკუა და უშლის?!

რა ჰკუა და უშლის? ჰრ. და და ცინებით: ჰკუა არ დაუშლის. სვ. იმისგან (ვიხედავ ლაპარაკი) ყველაფერია მოსალოდნელი, უკეთუა, კუუს თანახმაა არ იქ (1934).

რა ხევისა და წყალს მივეცე ის. რა წყალში ჩავევადე. რა დევაოს მივეცი!

რა ხეირს და გვაყრის! ჰრ. რა სიკეთეს და გვაბნეყს თავზე. სვ. არ გვასარგებლებს, სიკეთეს არ გეზანს! შრ. აბა თქვენე იფიქრეთ. ზე. ნრა მკობევილმა ცე და თქვენ რომ აბრები შევიხიხრის. და აბრების სჯაშა შევიდეს, რა ხეირს და გვაყრის! (ილ. ჰაჰაჰაჰა).

რა ხელი გაქვს ჰრ. რა ხელის პატრონი ხარ? სვ. რა უფლება გაქვს, შენ ვინა გკითხავს? შრ. შენ რა ხელი გაქვს, ჩვენს საქმეში რომ ერევი? ის. ხელი.

რა ხილია! ჰრ. როგორი ხილია! სვ. და და ცინებით: რა ვარგია, რა ლისებისა! შრ. ალაღ-ბედად ყური საღლაქ მოუკრავს. რომ ეს ზღაბდელს დროში ერთად ერთი სახარისი. ერთად-ერთი გზა გამოძიებისა და მართლს იქლევისა — კრიტიკაა, და ვერ დაუსწავლია. ვერ შეუთვსებია კი, ეს კრიტიკა — რა ხილია! (ილ. ჰაჰაჰაჰა): შრ. ვირმა რა იცის, ხტრმა რა ხილია! (ხაზუბური ანდაზა).

რის ვაი-ვაგლანბით ჰრ. ვაის ძახილით და წუთილით. სვ. ვაქირებთ, შევალეობთ, ცუთად, ოღნაყ. შრ. რის ვაი-ვაგლანბით ეიშოვე სასურველი წიგნი? შრ. ვითა სიცილი - ტირილსა, ვაგლანბი მიჯობს მღერასა (შ. რუსთაველი).

რის ფლავი. რის ბოზბაში? ჰრ. რომელ ფლავზე. რომელ ბოზბაში? მე ლაპარაკობ? სვ. ლაპარაკის საგანს რას აბნელებ? მე რას გელაპარაკებდი და შენ რაღას ამბობ? საიდან სადაო? რა სისულელეს ჩმახავ? შრ. ყურუმსალი ვიყო. თუ მე ამისი მესმოდეს რამე!.. (გრიგოლს) კნიახ!.. სიტყვას ბანზე ნუ ისვარი, და!.. რა თვალს, რა პრელო?.. რის ფლავი, რის ბოზბაში? (რ. ერისთავი); შრ. აი დიდება შენთვის, უფალო! ჯეაკუე არ აითქვამს პანგალა-პანგალაო!.. რას ამბობ, ადამიანო. რასა პბოდავ, წყაფი მითხრა! რაის სიყვარულს წამაღლიო,

რის ფლავი, რის ბოზბაში და ჩიხირთა! შენ ხატის ლენო ხომ არ დაიღვენია ამ დილაობაზე? (დ. მაჩხაყელი).

რისხვით მოტრიალებულა ჩვენზე ცხს ბორბაღის სვ. დემოთი გავეიოსებია, გავეწრომი, დიდი დასაწული ჩავეიდენია, დიდი უბედურება და გეტებია თაყს, რისხვით მოტრიალებულა ჩვენზე ცხს ბორბაღის. მე კი არაფერი ვიციო! (გ. ბარბოვი).

რისხვის ქუბება ჰრ. ქოტილის მსგავსად გეწომა. სვ. ნეტო, ნეტო განჩისხა, საშინელი ბოზოა, ყვროსალი. შრ. თვალები (დამბეგისა) სოკრად სწრაფი და წვრილი (არჩან). ასეთის თვისებისანი, რომ თაფლს ჰკათეს. ოდეს უფურცს ძლიერს ამ ქვეყნისა... გ. ი. უზღდის ნაჩაღნიკა, სოვეტნიკა და სხ., და რისხვას აქუხებებს, ოდეს უფურცს უძღღრსა ამ ქვეყნისა (ილ. ჰაჰაჰაჰა).

ჩიუეზე დარჩომა ის. მშრალზე დარჩომა.

ჩიუეზე ქვა იბოვნა! ჰრ. ნდინარის ნაპირას, სავა ბევრი ჰვაა. ჯე ნახა. სვ. და და ცინებით: ვითომ დიდი საქნე გააკეთა! ის. საყდარში ბატი ნახა!

ჩიუეზე ჰყრია? ჰრ. რიყის ქვებთან ერთად არის? სვ. ყველაგნა, ადვილი საშოვიარია, ბევრია? შრ. დალოცვილო, განა ბრილიანტები კი რიყეზე ჰყრია?! (რ. ერისთავი).

ჩკინაა ჰრ. მაგარი ლითონი. სვ. მაგალი, ვაჭრებელი, გულადი, ხასიათ-მტკიცე. შრ. ვატყუა ეს რკინის დედაკაციკაო — ამბობდნენ ზოგიერთნი; — ეს თესივმაგარი ხეც წამოიქცაო (ილ. ჰაჰაჰაჰა).

ჩკინის კარის შეხვნა ჰრ. მტრის მიერ მოწინააღმდეგის ციხის თუ სხვა რან შენობის კარის ჩამოკება. მისი დატოვება უკაროდ. სვ. მტრის მიერ მოწინააღმდეგის ციხე-სიჯარის აღება, მოწინააღმდეგის ძლევა. მისი დასუსტება. შრ. ნაკეთაუროს ციხეზე შენ შექსენ რკინის კართა (ხალხოთ პოეზია); შრ. ვერ ვაივითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ ვაუთ ჩეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია! — ასე ათიკენესა ერმა, როკა დასტორიდა გუამს თავისის სახელოვანის მეფეას.

ერეკლე რკინის კარი იყოსაქართ-
ველოსი (ილ. ჰაევაძე).

მეღვალე ციხეს, სიმბერეს, როგორც
ყოველგვარ შენობას, კარი ჰქონდა და,
ასეა შესაძლებელი იქნებოდა, ეს კარი
რკინისა უნდა ყოფილიყო, მაგარი, რომ
პეტრს ვირაფევი დაელო ციხისათვის.
ბოლო თუ მტერი ასეთი კარის შესხას
მოახერხებდა, იგულისხმებოდა, რომ
არ მსხნილ, უკარო ციხის ალებას წინ
რა უფარა და მოწინააღმდეგეც ძლე-
ლი და დამორჩილებული იქნებოდა.
ხატოვანი თქმით. ისეთივე მნიშვნე-
ლობა აქვს ძლიერ პიროვნებას ქვეყნის
ეთილდღეობისათვის, როგორც ციხი-
ათვის რკინის კარს.

რკინის მკვნიტელად ჰქვ. ვინც კილებით
რკინას ხაწილ-ნაწილად აქცევს. სვ-
ლონიერი, შემძლებელი, მოურყვევლი.
შქრ. ან არის მღვდი ლომ-გმირი, ან
არის რკინის მკვნიტელი (ს. უში-
კაშვილი).

რკინის მღვდი იხ. რკინის მკვნი-
ტელი.

რკინის საღებავით შემორტყმა ჰქვ.
რკინის საღებავის მსგავსად გარშემო
შემოკრა. სვ. მებრდ ღონიერად მე-
ნოქერა, საძრავის არიციკმა. შქრ.
ბუნებრივი კონდავ გადაიზიქა გვერდ-
ზედ: ველარ შეიმაგრა თავი. მანამ
გასწორდა უნაჯირზედ. მას რკინის
საღებავით გარს შემო-
კრეა ბოწინააღმდეგის მკლავები
(ვ. ბარნოვი).

რკინის ტაბიკებით უღელში ჩაქრული
ჰქვ. რკინის ტაბიკებით უღელს მი-
მაგრიებული. სვ. იძულებული, გაქი-
რებული. შქრ. დაეზარა (ყარ მანს). გა-
ურბინა უარის აზრმა; იქვე ჩაუქოა:
ხუ გასწევი, რკინის ტაბიკებით
უღელში ჩაქრული! შეატყო
(ყოლმ) ქმარს შემოქმება, გაუღიმა,
ლყა ნიუბერო (ვ. ბარნოვი).

რკინის ქალამანს ჩავიცვამ, რკინის
ჯოხს დავიპერ, დუნიას დავავლი
ჰქვ. რკინის ქალამანი, რკინის ჯო-
ხიანი ქვეყანის დავივლი. სვ. დი-
ხანს ვივლი (სანამ რკინის ქალამანი
გამირღებდეს), უნახავს ადგოლს არ
დაეკოვებ. ოღონდ მოსაძებნი მოე-
ძენო. შქრ. აქ არ იქნება, სხვაგან
მოესძებნი: რკინის ქალამანს ჩა-
ვიცვამ, რკინის ჯოხს დავი-
პერ; დუნიას დავივლი და კაი
კაცის შეილს კი მიგვემ, კაი გვარის-

შვილსა მეთქი, გაიგე? (ს. მაღლობლიშვი-
ლი): შქრ. მე მარტო ისა ვარ, რომ
ჩემს ჯავრს არაივის შევარჩენ, ტუ-
ვილ-უბრალოდ არაივის დეფიავიცი-
ბი. თუ გაიქრდა, რკინის ქალამ-
ნებს ჩავიცვამ. რკინის ჯოხს
ავიღებ ხელში და ხელმწიფედ
ვივლი (ილ. ჰაევაძე).

რკინის ქალამანი გულისხმობს უც-
ვეთელ ქალამანს, რკინის ჯოხი —
სიმბერეს და გაძძლებას; დუნიას
მოვლა — ქვეყნიერების, მსოფლიოს
თუნდ ერთი კუთხის უნახავის არდა-
ტოვებას, ოღონდ რისამე მძებნელმა
მოსაძებნი მოსძებნოს და ბოლოს, შეძ-
ლოს საწადელს ეწიოს.

როგორია!.. ჰქვ. რა ნაირია! სვ. რო-
გორ მოგწონთ; ცუდია, მოსაწონი არ
არის. შქრ. მაშ რაღა გინდათ, მკითხ-
ველნო, ეუ-ნალის წარმატების იმედს
თქვენ გახვევთ კისერზედ. თვითონვე
გუთობდათ: ჩემი იცილი ნუ გეცნობა-
თ. როგორია!.. (ილ. ჰაევაძე).

ზოგჯერ ეს თქმა ლაპარაკში, აღშ-
ფოთებისთან ერთად, გაოცებას და აღ-
ტაცებასაც გამოხატავს.

როგორც ბუზები თაფლს, ისე მიხე-
ვით ჰქვ. ისე ეტანებიან, როგორც
ბუზები თაფლს ესევიან. სვ. უცბად,
სულსწრაფად შეეხებიან, ხელს მოჭ-
კიდებენ. შქრ. არ არის ევროპაში
თვალსაჩინო სახელმწიფო, რომ აღ-
მოსაყლეთის საქმეში თავის საკუთა-
რი წილი არ ეგულებოდეს. ერთმა
ვინმემ კი გააწოდოს ხელი და, რო-
გორც ბუზები თაფლს, ისე მი-
ესევიან სხვანიც ყველანი (ილ. ჰაე-
ვაძე).

როგორც გეწიროსთ, ისე სწირეთ ჰქვ.
ეკლესიაში წირვის წესს ნულარ შე-
სცელოთ. სვ. როგორც გუელთა, ისე
ვიაროთ. კანონიერებას ხუ დავარ-
ღვეთ, უწესოებას ვერიდოთ. შქრ. რას
ამბობს ეს ბერი?! რატომ თავისს წი-
ნანძღვარს არ აძლევს მცნებას? თვითო
კიდევ გვიბოძე ამ ღვინისა და შენ-
დობას მოგვცემ. თქვენ როგორც
გეწიროთ, ისე სწირეთ (იოანე
ბატონიშვილი); შქრ. შენ სულ ი
ოხერა წრენები გალაპარაკებს, ჩვენ
კი, როგორც გეწიროთ, ისე
ისე ვწიროთ (ს. მაღლობლიშვილი).

როგორც ერთი კაცი ჰქვ. ერთი კაცის
მსგავსად. სვ. თანხმობით, ერთსუ-
ლოვნად, შეერთებულად, ყველა. შქრ.

მართლაც, მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიმსქვეალა იგი, თითქო ერთი კაციაო (ილ. ჰევაიაძე).

როგორც თავის ორ თვალსა, ისე გაგიფრთხილდება პრ. საკუთარ ორი თვალის მსგ. ესაღ გაგიფრთხილდება. სტვ. მეტიმეტად გაგიფრთხილდება, მოგივლის, ბრუნებს შენთვის. შერ. თუ შენ ბელში მეყოლები, მე რალა მომკლავს! გაბრძიელი კაი ალალი ბიქია. კაი ხელლონიერი, ჯახიანი ბიქია. ისე გაგიფრთხილდება, როგორც თავის ორ თვალსა (ილ. ჰევაიაძე).

როგორც თევზი უწყლოდ პრ. როგორც თევზი. უწყლოდ ვერ გასცლებს. სტვ. აუცლებელი. ურომლისობაც შეუძლებელია; მოყვდება. შერ. და დიწყებოდა მაშინვე კორო. — ეს არსებითი პური ჩვენი დედებისა, ურომლისობთ გაძლება არ შეუძლიანთ, როგორც თევზსა უწყლოდ (ილ. ჰევაიაძე).

როგორც თევზი წყალში პრ. როგორც თევზი წყალში, კარგადა გრძნობს თავს. სტვ. სრულიად ბედნიერია, თავის გემოზე ცხოვრობს. შერ. ავიკაცი ისე გრძნობდა თავს ბნელაში, როგორც თევზი წყალში (თ. რაზიკაშვილი.)

როგორც კედელს (არ ენმოდა) პრ. კედლის მსგავსი იყო (შეუსმინარი) სტვ. არათერი ენმოდა, სრულებით შერ. იყო კერპი (კერპაძე). ძალით აღებდა კარებსა და შედიოდა იმ სახლში, სადაც არაფის იამებოდა (ლ. არდახანი).

როგორც კოკას წყალი გადაუგდო პრ. კოკას პიროდან წყლის გადაღურა. სტვ. სწრაფად, ხელად, თვალის დახმამაგებაზე.

იტყვიან ავადმყოფობაზე, როცა კას რაიმე წამლის საშუალებით ხელად მოშორდება: ისე მოშორდა ავადმყოფობა, როგორც კოკას წყალი გადაუგდო.

როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დასტრიალებდა (ვისმე) პრ. კრუხი რომ უელიდეს წიწილებს, ისე. სტვ. ერთუღად. მოუშორებლივ. შერ. განა არა, სთქვა თავისთავად (პეტრემ), — მაშინვე მივხვდი, რალაც ამბავია. როგორც კრუხი წიწილას, ისე გარს დამტრიალებდა.

და. ნაბდანი იყო, მაგასავით თვალზედ ქული ჩამოეთხატა. სწორედ ისე ის ბიქია, თუნდა დაგენადქეო (ილ. ჰევაიაძე).

როგორც სიკვდილი, ისე ეჯავრება პრ. სიკვდილის მსგავსად ეჯავრება. სტვ. სამხნლად ეჯავრება, მეტისმეტად სძულს. შერ. ჩვენებურს ხალხს, როგორც სიკვდილი, ისე ეჯავრება მომბრეგებელ მოსამართლესთან სიარული (ილ. ჰევაიაძე).

როგორც ცა და დედამიწა (ერთმანეთზე შორს) პრ. როგორც ცა და შორეული მიწისაგან. სტვ. დიდი განსხვავებაა ორ ადამიანს შორის, ან ორი საგნის ფასს შორის. შერ. ახლა შეადარეთ და ისე ვერ დასწვდებიან ისინი იროდიონს, როგორც ცა დედამიწას (ს. შვალაბლი-შვილი).

როგორც ძალს კატა, ისე ეჯავრებოდა პრ. როგორც ძალს სძულს კატა, მევანს იმე ძალს მავანი. სტვ. ძალიან ეჯავრებოდა, მეტისმეტად სძულდა. შერ. დათოს, როგორც ძალს კატა, ეჯავრებოდა გირა, ყოველთვის აბეზღებდა ხოლმე დიდ ბატონთან და აოაგრთებულ ვაილაბა ლუარსაბისაგან (ილ. ჰევაიაძე).

როდინობის კვირაში პრ. იმ კვირას, როცა როდინობა იქნება. სტვ. თავის დღეში. არც როდის. შერ. მე მებამაგებოდა და გული მწყიდებოდა, ერთმა გულმა მეითხა: შენ როდის და წაიითხაეო (სამოციქულოს)? ჩემ მაგიერ, მეორემ მიუგო: - როდინობის კვირაში იო! - (ავა). აქ სიტყვა როდინობა — რითმული შეწყობაა სიტყვა როდის-თან და თვით ფრაზა იხმარება დაციონის სახით.

როდინ-როდინ... პრ. რა დროს, რა დროს; როცა, როცა. სტვ. ძალიან დიდის ხნის შემდეგ. ძალიან გვიან. შერ. ქეთევანმა როდის-როდის მიაწია (სახლკაცს) და შედგა შესასვენებლად (ან. რისთავი-ხომბარია).

რომელ დავთარში სწერია? პრ. ეს ამბავი, რომელ წიგნში არის დაწერილი? სტვ. სადაური კანონია. სადაური წესია! შერ. ცას არაფერ შევადებდებით, ნაგრამ ასე უმადურად თავიდან მოწყვეტა დემოშორება რომელ დავთარში წერია? (აბაბი).

რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა! პრ. ძნელია ყველას ჩამოთვლა. სვ. ბეგრაია, აუროსტელია. შერა ვიცი, რომელი ერთი ერთი ჩამოთვალოს კაცმა თითზე! (დ. მახანელი).

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! პრ. ვიასკ ყურები ასხია. ვაი-გაონოს (ნათქვამი). სვ. დაე ყველამ გაიგონოს ავი და ბოროტი კაცის საქციელი და დამრახოსო; ქეთის სასწავლებელი რან გაიგონოს, კარგად წერსინო. კარგად დაუკვილოდსო. შერ. ნუთუ აქა ეგ „ნიქნა“ პლაპარაკობს და არა გულზაზივესო. უტუვი ავგლობა ირათ ციმართ, ვის ძმობასა და ერთობას ვერე ებლაუკებიან და ვის სადიდებელს და ღირსსახსოვალს დიეს ვერე უკადრისად, უმართებულოდ და უზრდელად ექცევიან!.. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!.. (ილ. ჰაქვაძე).

ვის სიტყვები იხმარება იმ შევთხევამს, როცა უნდათ ყურადღება მი-აქცევინონ საზოგადოებას, მსმენელთ რაიმე საჭირბოროტო კითხვისათვის რაიმე სერიოზული საქმის თაობაზე და-აფიქრონ. რაიმე უსამართლობა საამ-კაროზე გამოიტანონ და პროტესტი, საერთო აღშფოთება და დარტყინვა გამოიწვიონ ყველას მხრივ.

როსტომი პრ. სახელი ხალხურ ზეპირ-სიტყვაობის გმირისა. სვ. ბუზბერა-ზი. გიორი. უძლველი მებრძოლი. შერ. ლერეთო ჩემო, რა მეთართება? თუ აქა ვარ. ამის გერდხედ, ამის უბეში. თვით როსტომ ვარ, საბრ-ძოლველად განმზ-დებული, სწორედ ისეთი, თათარხანთან რომ ვიბრძო-დი გიორგის გვერდხედ (ვ. ბარნოვი).

როცა ვირი ხეზე გავა პრ. როცა ვირი შესძლებს ხეზე ასვლას. სვ. არას-დროს.

როცა იმის ხელით პური რამ გამოცხ-ვეს, ჩვენ წილს ნულარ დაგვიდებს პრ. როცა იმან პური გამოაცხობს, ჩვენ ნო გვაკმევს. სვ. უშნოა, არა-ფრის გაკეთება იმ შეუძლია. შერ. დღე, ე ირად იქონიოს. Хорош еши-спешит-მ და როცა — „ნარ-დონის“ ხელით პური რამ გამო-ცხვეს. ჩვენ წილს ნულარ და-გვიდებს (ილ. ჰაქვაძე).

როცა მუცელი უკბილოდ ფაფასა სქამ-დათ! პრ. როცა ნუცელს ფაფის სა-

კმელად კბილი არა სკიროდა. სვ. რო-ცა ცოდნა, მიხედვითობა საკირო-ალარ იყო, უმართოდ იოლს ვადი-ოდნენ. შერ. აწინდელი ცხოვრების გაუ-უმართებელი წესწობილებანი ხომ დედამიწასთან ასწოებენ სოფ-ლის მეურნეობასაც და შია კიონა-ხულსაც. წყარად რს დრო, როცა მუცელი უკბილოდ ფაფასა სქამდაო, უცოდინარი მეურნე ვე-ლარ იცხოვრებს, მორჩომილი საქქვა (ქიხიყელი).

რქა-დეკეულები არ გამომირეკო ბაი-დანი პრ. დეკეულებსაც ვო გამო-მირეკავ ბაიდაი. სვ. ვერას დამა-კლებ, ვერ მაჯობებ. ვერ წამყრევი. ვერ მახალალებ. ვერას წამართვე-შერ. თორემ რქა-დეკეულები არ გამომირეკო ბაიდანი!.. (ს. მგა-ლიბლიშვილი).

სიტყვა რქა. რქოსანი საქონლის რომე-ლსავე წარმომადგენელთაგანდაკევირე-ბით ხმარებული აღნიშნავს ს საქონ-ლის ხნოვანებას. ფრაზაში ნახმარი რქა-დეკეულები იქნება საფურცდი ეულები, რომელთაც ზრდა გათავიებული აქვთ, საცაა, უნდა იმაკონ და სბრები მოი-გობ. ასეთი დიკეული, რალა თქმა უნ-და. უფრო ნეტადაფასობს, ვიდრე ერ-თისა თუ ორი წლის ბოჩოლა. მაშას-ადამე, ასეთი ხნის საქონლის წაგვრა უფრო დასაჯლისებელი და საგრძნობი იქნება გლეხკაცის მეურნეობისათვის, ვიდრე უფრო ნორჩისაქონლის წარტა-ცება.

ანიტომ თქმა: რქა-დეკეულის წაგვრა — გაიზნატველია დიდი მატე-რიალური დაზარალებისა ვისინე ვის-განზე.

რქები ამოგვიდა?! პრ. თავზე რქები გაიზნდა! სვ. რა შიგითინა განსა-კურთხეული, სხვას რომ არა აქვს, იეთი რა შეგემატა? რა მოიქე?

იტყვიან სულწასულ. მოუთმენელ აღმიანს, რომელსაც უნდა სხვაზე აღ-რე მიიღოს რამე.

რქები არ დამატკო! პრ. რქები არ დამატკო. სვ. ვერაფერს თამა-კლებ. ვერას მიზამ, შინი არ მეშინია.

ჩჩეულნი ამა ქვეყნისანი პრ. ტოლებს შორის, მსგავსთა შორის არჩეულნი, გამოყოფილნი. სვ. საუკეთესონი, სა-პატიონი. ყოველი ღირსები: შეუკულ-ნი, მისაბანნი, პირველობის სახელის

ტარების ღირსნი. შერ. ისტორიაში აუცეროი ძაგალითი არ არის რომ ახალი მიმართულება პირველ ხანშივე ადვილად იკავებდეს გზას, მარტო „რჩეულნი ამა ქვეყნისანი“, მარტო ცით ერთგვარ მადლსებულნი მიუხდებიან ხოლმე ახალ მიმართულებას. რის მომასწავებელია და რაშია გამოსადეგი ამ არსებობისათვის ბოძოლაში (ილ. კავკაზი); შერ. ჩვენ ანია იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითრც ბანკის საქმე ისეთი ღილი და მიძე რამ იყოს, რომ მარტო „რჩეულნი ამა ქვეყნისათა“ შეეძლოსთ მისი შესწავლა და სხვას არაჲს (ილ. კავკაზი).

რძე-ნაღები ის. ნაღები.

რწყევინება პრ. რაც სტომაქში იყო, ძალით უკახვე ამოღებინება პირის საშალეით. სცვ. წართმულის შეურჩენლობა, უკან დაბრუნებინება. გადაადვივინება საჩაგვიროსი. წარმოებული მოქარა: ვარწყევინებ, ე. ი. რ. ცემი გვიკამია, პირიდან უკანვე ამოკალებინებ. უკანონოდ შეძენილის წართმევა.

რწყილიატყვე პრ. ვინც რწყილის ტყავს აკლის. სცვ. ძუნწი, ხელმოქერალი. ის. რწყილს ატყავებს.

რწყილს ატყავებს პრ. რწყილს ტყავს აკლის სხე-ლადან. სცვ. ძუნწი. ხელმოქერილია. მონდომება რისაზე გამოლობისა იქ, საცა არაუფერია. შერ. ნატერის ძვალი, რომ ემოვნა. მაინც ვერს გზით გაძლებოდა, მაინც კიდევ ამ საკოდე რწყილსაც გაატყავებდა და გულთვიძლს განოპლიდა სმწვადედ რწყილიატყავე (დ. მანხაელი).

რჩიმა-კვდომის დღე მადგია პრ. ისეთი დღე ძაცვას. რომ არ იცი, დავრჩები (ყო. ხალი). თუ მოეჭვები. სცვ. ძალიან გაკვირებული ვარ.

რწყილის კბენის ოდენა პრ. რწყილის ნაქების ადგილის ტოლა. სცვ. სულ მცირე. შერ. ამას (ტეოსს) გაუფიროდა, რომ კაცი როგორ უნდა დასცეს, აკანკალოს წყალში ჩაუარუნებო; მერე ღამის პეხრე, რომელმაც ამისთანა რამე რწყილის კბენის ოდენათაც არ უნდა შეამჩნიოს! (ს. მალბლიშვილი).

რჯულამდის ჩაყოლა პრ. რჯულამდის ხელის მიწედნა, რჯულის შეხება. სცვ. არაფრის შერჩენა რჯულის გამო. შერ. თედლორე, ე თქვენი საქმე მაკვირებს, კაცო! აღამიანი როჯიუტი იქნება, კი ვიცი, მაგრამ ასე რჯულამდის ჩაყოლა კი კარგი არ არის! (ან. ერისთავი-ხობუარი).

სარწმუნოებას, სჯულს, აღამიანთა ურთიერთობისათვის სახელმძღვანელო კანონებს ქართველის ცხოვებაში ძველათ თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა. ამ სჯულისათვის ქართველი მზად იყო, თუ საჭირო იქნებოდა, თვით სიკაცებულ შეეწირა. ამათომ ქართველს შეიძლებოდა ყოველგვარი დამკვირება. ყოველგვარი შეურაცხყოფა, უდიდესი მატერი-ალური ზარალი და ფიზიკური ტანჯვა და შევიწროება მოეთინა, შეგრჩინა მტრისათვის, მხოლოდ ვერ აპატებდა თავის წმიდათა-წმიდის - სარწმუნოების, რჯულისათვის ხელის შეხებას, ნისს შეხილწვას. ამიტომ ითვლებოდა უსამინდლეს გინებად სიტყვა - რჯულ-ძალო! ე. ი. დადარება აღამიანისა ძალს, რომელსაც, ჩენი ხალხის აზრით, არაერთი მორალი, არაერთი რჯული გააჩნია და არც შეიძლება გაანდეს, როგორც პირუტყუს.

რჯულზე ხელაღებული პრ. ვისაც რჯულისათვის თავი დაუწებებია. ვინც ურჯულოდ დაჩენილა. სცვ. უსენინდისო, უპატიონსო, ბოროტი, უკეთური. შეუბრალებელი. უწყოლო. მგლ-აბა. შენისთანა რჯულზე ხელაღებულის გაკვირებულისა შებრალება მოეთხოვება! ის. რჯულამდის ჩაყოლა.

რჯულის ვაგდებინება (ვისთვისმე) პრ. რჯულზე ხელის აღებინება რჯულის უარყოფინება. სცვ. წვალება, ტანჯვა, წაწება, დაჩაგვრა. შერ. აქაც კნიაზ არღოთინსკიმ შეუტია ჩემის აფშერონელებითა, სოლ რჯული გაავდებინა (გ. ბებელიანი).

რჯულის ვაგდებინებ. ვისთვისმე გულისხმობს უზომო ხორციელ და სულიერ ტანჯვის მიყენებას, იძულებას რჯულზე უარი სთქვას, დაგმოს სჯული, რომლის ვაგდებ, მორწმუნეს აზრით. აღამიანის არსებობა წარმოუდგენელია და იგი მკვდარს, ლეშს ემსგავსება.

ს

საათშა დაჰქრა! პრ. საათის რეკვის ხმა გაისმა. სვ. დრო დადგა. შერ. იმ დროს იყო, რომ მარებს გამოეცალა ხელიდან აღმასხანი. ზურაბის საათშა დაჰქრა და იანე უცხად, მოულოდნელად, მკათოდ, რომ გაანცვიფრა ვეფხვი... (ვ. ბარნოვი).

საანბანო ჰეწმარიტება პრ. დასაბამი, სინამდვილე. სვ. ყველასათვის საცნობარი, ხათლი, ცხადი. შერ. ახლა საანბანო ჰეწმარიტება დგა დაიქცა ის ჩოდღერება, რომელიც ამბობს, რომ ეგრედწოდებული ცილაობა საეკონომიო მოედანზედ ლაღად არ უნდა პარკაზბდეს და ამ ცილაობის სილაღეს საზღვაო ჟნდა დაედოსო (ნ. ურბნული). ახ. ანბანი.

საბანე ღვინო პრ. სიმღერაში ბნის მკქვეინებელი რაოდენობა ღვინისა. სვ. სად ცოტა (ოლი.სამი ხელადა). ერთ სადილზე საძყოფი ღვინო. შერ. კარგია, კაცო, გეყოფა! ჩემი შიშველტრტველა ცოლშვილი ე მაგ საბანე ღვინოს შეხარის აღდგომის კერცხივითა (დ. მანხანელი).

ქართულ სუფრას განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა და მისი ნიშანდობლივი ელემენტი იყო ღვინო და სიმღერა! სამოთხე ქიკა ღვინოს რომ დალევდნენ. მოსუფრალნი სმისა და სიმღერის გუნებაზედაც დადგებოდნენ. სიმღერის მოძახილისათვის ბანიც უნდა მიეყოლებინათ. ხოლო ამ ბანს მანამდე არ ამოიღებდა მობანეს ყელი, სანამ კარგად არ დასველდებოდა ღვინით.

და აი თქმაც — საბანე ღვინო ამ ბანის განმრწვევ, მერინახეთა ამაღლერებელ რაოდენობის ღვინოს გულისხმობდა. ეს საბანე ღვინო ვადაქციულა გლეხის ვენახის სიერკის მაჩვენებლადაც. ერთი საბანე ღვინო მომივიდაო, რომ იტყოდა გლეხი, ამით მოსაუბრეთათვის უნდა გაეგებინებინა, ვითომ ერთ სუფრასა სამყოფი, ძალიან ცოტა ღვინო მომივიდა და არ ვიცო: ან სახელდაშე საიდან ვაგაჩინო, ან ცოტაოდენი ვასაყიდი საიდან მოვარჩინო, ან კიდევ — სტუქარს რითა ვსცე პატივით? იმავე შიხაარსისა თქმა გარე კახეთში: ერთი შემღერება ღვინო თუ მომივა მთელს ვენახშიო, ე. ი. იმდენე მომივა, რომ სიმღერის გამოსაწვევად თუ იკმარებს სტუმართათვისა.

საბედისწეროს ჩამორეკვა პრ. უბედურობის მაკნე ზარის დარეკვა. სვ. ვაფრთხილება მომავალ უბედურობის შესახებ. შერ. მარჯვედ რკის მოთქერება და მით უფრო საშიშია ჩვენთვის. საფრთხილო, დროზედ უნდა ჩამოვრეკოთ საბედისწერო (ვ. ბაოოვი).

საბედისწეროში გამოწვევა პრ. რაც ბედად ხედა, იმისი შეყვედრება. სვ. სასიკვდილო, საუბედურო ამბის გადაიქცევა. შერ. რა გარისხებს. შე დალოცვილო? გვეგონია, საბედისწეროში გამოიწვიე ამირთამირი და იმისათვის დავედვით განზე! (ვ. ბარნოვი).

ძველი რწმენით, ადამიანის შვილი რომ იბადება, მის შუბლზე ზეგარდმო უხილავის ხელით იწერება, თუ როდის ან რა სახის სიკვდილით უნდა მოკვდეს. ამასა ჰქვია: ბედისაგან დაწერილი (შუბლზე) ან ბედისწერა ხოლო საბედისწეროში გამოწვევა ვისიმე ნიშნავს — მისთვის შემთხვევინებას იმისას, რაც ბედისაგან უწერია, რითაც უნდა მოკვდეს.

საბელის გდება პრ. თოკის სროლა (დასაქერად). სვ. ცდა ხელში ჩასაგდებად. რაიმე შარის დასაბრალებლად. შერ. მით მის გამსყიდველს ნებიაა ხედა ყელთ საბელის მოდება (დ. გურამიშვილი).

საბელი ყელისა პრ. ყელზე მოსაბმელი თოკი ვისიმე დასაქერად; დასამორჩილებელი. სვ. ურჩობაზე ხელის აღებინების საშუალება. შერ. სად არის ეს ამისთანა ღვთისნიერი კუთხე. თუ ხაწილი საქართველოსი, რომ თავის განათლებისათვის თითონვე სურდეს მოყლა და პატრონობა და მარტოსი უშლიდეს, რომ საბელი ყელისა ტფილისში მყოფს გამეგებას ეჭიროს და არ უშვებდეს ხელიდამ? (ილ. კავთავაძე); შერ. აწ. დაო (ასმათ). შენთა ხელთა ჩემი საბელი ყელისა, სხეად უღონოა უშველად ჩემას აღპკრობა ხელისა (ნ. რ.სთაველი).

ძველად დამნაშავეს ან მონას ყელზე საბელს მოაბამდნენ და ისე დაჰყავდათ თავის ნებაზე, ან თუ დახრჩობა უნდოდათ. იმავე საბელის წვერის მოქერით დაახრჩობდნენ ხოლმე.

საბელს უთრევენ ჰრდ. საბელს თრევით ატარებინებენ. ხვ. ატუებენ.

საბელსობაშულ საქონელს გაუშვებენ ნებაზე და ისიც მიათრევენ საბელს და თანაც ჰკონია თავისუფალი ვარ, შე მიძლია ჩემს ნებაზე წავიდეო, და როცა შინამდე მივა, საქონლის პატრონი საბელის წვერს ხელს წაავლებს და დააბანს მოტუებულ საქონელს.

საბლის წვერები მას უბუკია ჰრდ. თოკის წვერები ხელში უჭირავს. ხვ. ძალაუფლება მისია. რაც უნდა, იქას მიხანს ჩემი დახარება შეუძლია. შერ. მაინც კიდევ ყველა ბიებები მის (გმირისულის) ხელში იყენენ; საბლის წვერები მას ეპყრა ხელთა. ბატონანთ ბიებები ამისთვის იფურცობდნენ მას და ემორჩილებოდნენ (ს მგალობლიშვილი); შერ. ვერ მომწონს, კაცო: თოკი მოგიბავს ყელზე მარყუშად, საბელის წვერები მიიკითხა ქალისათვის ხელში (ვ. ბარნოვი).

რევენ ან, საერთოდ, შეპყრობილ მტრის კისერზე საბელს ან ღვლერეს მოაბამდნენ ხოლმე წამოსაყვანად, და თუ საბელსობაშულ გაუძალიანდებოდა ან გაქცეუას მოინდომებდა, საბელის წვერს როგორცდნენ და უჩრხს მორჩილებას მოაგონებდნენ.

საბლის წვერები ყელში ეჭირება ჰრდ. თოკის წვერებს ყელში უეგრენ დასახრობად. ხვ. ძალიან უჭირს, საქნე სასიკეთლოდ აქვს. შერ. რაც ძალა და ღონე აქვს, იქითაქვთ აწყდებდა, თავს აჩენის. როგორც ამ საბლიდან თავი დააძვრინოს, მოაგვაროს რამე, მაგრამ რაც უფრო ხეტს ეწევა, საბლის წვერები უფრო მალა ეჭირება ყელში (ყან. მესთეშაშვილი).

საბლის წვერზე გვილივარ ჰრდ. თოკის წვერი აელში მაქვს მობშული. ხვ. ძალიან მიჭირს, უქანასკნელ დღეში ვარ. შერ. ალავე, ალაჯან (ეუბნებდა გლეხი ვაქარს), საბლის წვერზე ვიდი ვარ. გენაცვა. და გენა არ გიმბრალედი, ალაჯახ, რომ ესე თულეში მიჭირსო (დ. მაჩანელი) ის. ბეწვეზედა ჰკიდია.

საბრინჯე ჰრდ. რისთვისაც ბრინჯი უნდა მოიხაზოს. ხვ. ქელებ გადასახდლო. საი. ედღე! მგლ. შე საბრინჯევი, აქამდის ბატომ არ მოხველ?! მიცვალებულის ქელებში აღმოსავ-

ლეთ საქართველოში უქველად ბრინჯისაგან მოხარულ შილაფლავსმართებელდნენ ხოლმე მოტუებო. როცა ეტყვიან ვისმე: შე საბრინჯეო! -- ამით უნდათ უთხრან: ისეა დღეში ჩასადღებო, რომ შენთვის ბრინჯის (შილაფლავის) მოხარება იყოს საქიო. ე. ი. სასიკეთლო!.. სიტყვა საბრინჯეო იხმარება. უჭეტეს მცმთხვევაში, ხუნრობითად. და (იხიეოად).

საგმობრად დაღება ჰრდ და ხვ. ღან ძლეა. თოვეა ძაგება. გიო. შერ. კოქე: რადგან ქეყნისა კაცნი ანა მოსავლისათვის აჯაკად და საგმობრად მდებენ. ამხსავის ეს უმჯობია... (ქილილა და დამანა). ის. აუგად და დება.

საგუგულე თოვლი ჰრდ. გუგულის ხმობის დოლის თოვი. ხვ. მკორე თოვლი. ქართლში საგუგულე თოვლს ეძახიან თოვლს, რომელსაც გაზაფხულის პირზე და იდებს, სწოეთ იმ დროს, როცა გუგულები უკვე უხმობენ გაზაფხულის მსვლას.

საგულისგულო ჰრდ. გულის სადარი. ხვ. მოსაწონებელი, თვლისათვის სასიამოვნო, ფერფასი. საუკეთესო. რჩეული, სანატრელი. შერ. საგულისგულო უნდა ჯალავდეს (მხითვალ)! არაფერ უნდა სთქვას: გაეხარდათ, რომ მშურობელი იშოვეს სიძე და პატარძალი ცარიელი გაისტუმრესო (ვ. ბარნოვი).

ხადა და სად ჰრდ. ხან რომელ და ხან რომელ ადგილას. ხვ. აქაც, იქაც, ბევრგან. ხშირად. შერ. თუხგი, კასრი, ტაშტი, ქეები, პირმოტეხილი კოკობი, ვარცლი, თაბახი, ყველა თავთავის ადგილას გაეიწკრივე, რადგანაც ცოლი ჩვენს ქვარს წაიღია და დასად გაეარდებოდა ცხრილით (ცეპრტი).

ხადავე ჰრდ. ცხენის ნოსართავის ნაწილი. როსლითაც მხედარს თავის ნებაზე მიჰყავს ხოლმე (ხენი. ხვ. ადამიანის მოქმედი ხელმძღვანელი და მოწვესრიგებელი გონება. აზრი, შეგნება. შერ. მართო უეციობამ წართვა სადავე ცაცსა და პისარვის მოძვრება ამ საგნის თაობაზედ ჰერ, ულესის სვეტებამდე მიიყვანა (ილ. კეკელიძე).

ხადავეთა მიცემა ის. სადავის მიშვეება. ხადავის მიშვეება ჰრდ. ცხენის სადავის ანუ ლაგამის თავისუფლად მიწეება.

სკვ. ცხენის მიშვება თავის ნებაზე: დაძმული არაეინა ჰყავდეს და შეეძლოს გოდ იაროს, ვინდ არა. შარ. აღიკრძო იყო, რომ სადავეები შიუშკა (მეფის მთაფრობა) „შინაურ მტრების“ მიხართ და შორიდან უკრებდა მოპარობის გაჩაღებას“ (ი. სტალინი, თაბუღანი, ტ. 1, გვ. 165).

სადავე შოშვებული აქვს იოქმის ადაძიანზე, ვისაც დაეკოვება ორიენტაციის, გზის გაგნების უნარი ან აგრეთვე ისეთ ადაძიანზე, რომელიც შეიძლება, სულაც არ დარღობდეს იმაზე — გაქალულ გზით იღის. თუ გაუქალავათ, ახიანზე; თავის ვასაკეთებულ საქმეს სახრი ნად აკეთებს, თუ უაზროდ.

ზადვის წყაჩა პრ. პირიდან გამოვლდა ლა. აჩიას. სკვ. თვესუთლებს მიუკმა თვეს ნებაზე გატარება. ლმობიერება შარ. გამარჯვებული მკლავის მექონი რომ არის (გიორგი სააკაძე) და მეფეთაუ თავისი სიუხვის კალთამს. სზე დაუბეუყათ. იქას გაულაღებია, წაუყურიათ ნისთვის სადავეც ივ. ბაზივი.

სადა სცემს! პრ. ერთხელ თუ რამდენჯერაც ურჩუას ხელით ან სხვა რამ იარაღით, სკვ. ანიშნეს, მოაგონებს რასმე. თავს იჩენს. შარ. ერთის იტყუეთ. კაკობრიობას საზოგადოებრივი წინსვლა შეუყენებია. და, მასას. დამე. ი ევ ის კაკობრიობის პროგრესი შეუჩრავს და შეუბოავს. ჰხედავ: ამ წყველ ოჯახის ცოდვები სადა სცემს! (ილ. კავჭავაძე).

სადაური პრ. რომელიმე ადგილის ნიკოპოები სკვ. შორეული, ადაქარგული ადგილ სა შარ. სად წაიყვან სადაურსა. სად აღუთხვრი სადით ძირსა (მ. რუსთაველი).

სადაც თავისი სთქვას, იქ ჩემი პრ. რა ადგილსაც თვისას იტყვის, იქ ჩემიცა სთქვას. სკვ. სადაც ან ვისთანაც თავისი სიყოფილის ამბავს დიკვებებს, იქ ჩემი ვეფაიობის ამბავიც ახსენოს; იმაზე თუ უკეთესი არა, უარესი არა ვარ შარ. და ამის შემდეგ კნიაზი ჯიბრში მოდებდა. წავიდეს ეხლა და სადაც თავისი სთქვას, იქ ჩემი (იქი. ივანეილი).

სადაც იქნება და სადაც არა პრ. სადაც იქნება სამყოფელი საძებარისა და სადაც არ იქნება ეს სამყოფელი. სკვ. სადაც უნდა იყოს, რაც უნდა ძნელი საპოვნელი იყოს, თავი არ და-

ზოგოს კაცმა ძებნად. შარ. დაიბარა მოწინავე ხელწიფემ ვაფი და უბრძანა: წადი და, სადაც იქნება და სადაც არა, ის ქალი მრიცენო! (თ. რაბიკაშვილი).

სადედაბეროდ გახდომა პრ. დედაბერი სავერად გახდომა. სკვ. ვეფაიკური ლიოსების დაქარგვა, გაუფასურება, ზამოქვეითება. შარ. ვაი, ვაი მე უბედურსა! — ჩაიკრავდა ხოლმე (ოთარაანთ ქერივი) გულში ხელს, — სადაც დაბეროდა და ვახდა ეს ვეფაიცის იარაღი. მოგიცაათ. თქვე საწყლებო, ვაი პატრონი!.. (ილ. კავჭავაძე).

სად თავი გქონდეთ და სად ფეხები! (ვერ გაიგოთ) პრ. ვერ გაიგოთ, სად გედებათ თავი ან ფეხები სკვ. დამახსებროთ, ძვალი და რბილი გაგეროთოთ. თიხიკრად მოგსპოთ. შარ. ისე გადმოგაბრუნოთ, რომ სად თავი გქონდეთ, სად ფეხები, ვერ გაიგოთ! (აქვს. ცაგარელი).

სად თოვა და სად წვიმა ამდენი ხალხი... პრ. თოვლისა და ხვ. მასებრი საიდან წამოვიდა ამდენი ხალხი! სკვ. ამდენი ურიცხვი ხალხი რამ გააჩინა, მრავალი ხალხია. შკვ. წამოვიდა მტრის ჯარი, ყველა იმას იძახდა: სად თოვა და სად წვიმა ამდენი ხალხიო!

სადილის ვახშმად გადაქმნა პრ. სადილისათვის ვახშმის მიყოლიება. სკვ. გაბპით ქაშა, სუჯრის აჯლდობლია. შარ. ბაბუტის მამაკი ანსად იყო: მზიარული სადილი ვახშმად გადაექმნათ და აღარ ეთობოდათ აღარც ნასუფრალი (მ. ბარნოვი).

სად იყო და სად არა პრ. არავინ იცის. რომელ ადგილასა ან რომელ ადგილას არ არის. სკვ. მოულოდნელად, საიდგანლაც გამოტყვრა ერობაშად შარ. გული ქონდა გაწყალეული. სად იყო და სად არა, რისგანმე შეშინებული, შაიულვაშა ისე გამოქეხნებოდა და დედოფალს კალთაში შეუჭრებოდა, იტყუოდ — აქ არის და ბადებული და დამშვიდებლასაც იქ ეძებოს (ქაბაძე).

სად წავა... პრ. რა ადგილას წავა! სკვ. დიუსრულებელია, მეტად შორია. შარ. ბევრის მნახველი ვარ, კიდევ უფრო მეტის გამგონე. მაგრამ ყველა რომ მოყოფალო, სად წავა!.. (დ. მახანელი); შარ. ის ახარებდა ხუცესს,

რომ თავისი სიტყვა გაიყენა, ნება თუ სურვილი აისრულა და არავის დაუღო. ე!ა! სად წავედიო და, რომ ყელასათვის დაეთმო? (ი. ბარნოვი); შარ. თავ სიცილს კაცი არ შოუქლავს! კაცი რომ სულელების ებღბოთა ღრეკვას აპყვეს, სად წავეა? (ილ. კაპუაძე).

ხანოთა უღელის წვევაჰრე. უღლის წაღება უღლის ამოარავეება წინისაჲცენ. სჲცე მძიმე საქმის კეთება; საქმეწინა საქმიანობა შერ. იგრძნო (ქარაილობამ) რომ ღონე ერთობაშია. ერთად თავი იყრაში. ერთად საერთო უღლის წევაში. ერთდანეთის მხარის მი. ემაში (ილ. კაპუაძე).

ხანოთა ფერხულში ჩაბმაჰრე. სხეებთან ხელი ხელჩაკიდებულად თამაში. სჲცე. საერთო მზიარულებაში მონაწილეობის წილება, საქმეწინა ნეტარების გაზიარება. შერ. საერთო ფერხულში ყველა ებმება (ს. მგალობლ. შვილი).

ფერხულა — ცეკვა ოცისა. ორმოცისა და მანაც სამოც და მეტიც ქალი-სა და კცისა მოკეკვავენი ხელი-ხელჩაკიდებულნი სიმღერით წრეს აკეთებენ თამაშობის ადგილას. ფერხული ხატოვანად გადაქეიულია საერთო მზიარულების სინონიმად.

ხანგე სუფრაზე წის ჰრე. მის სუფრაზე აუარებელი სასმელ საქუელია. სჲცე მდიდარი. არაფერი აკლა. საქმეწინა სასმელო საძებარი არა აქვს შერ. რა მკითხავე გინდა და მაჩიევი: იმათ ერთად ერთი ბიჭი ჰყავსთ. სხვა სულ ქალიბი: ჩვენი სახლი ვაფებით არის სასეე მაათთან -- გაე-ვე და გაიტანენ. ჩვეთან -- შემოვლინ. შემოატარენ. — მხოლოდ შემდეგში! ეხლა გჯგობიან, საეგე სუფრაზე უფრო თავის სხიდან (ვ. ბა-ზნოვი).

ხანგე ქისის ქონებაჰრე. გატენილი ქისის ქონება. სჲცე სიმდიდარი. ბევრი ფულის ქონა. შერ. ვაქარს ნუ უკდებთ ყურსაო .. თქვენის უ(ყოლინარობით იმათ საეგე აქვსთ ქისისაო (ი. დანთაშილი).

ხათვეშივე ამღვრევა წყლისაჰრე. გაბანძურება წყლისა იქ, საიდანაც გაშორის. სჲცე. დაწყობისთანავე გაუფრეება საქნია, რამე წამოწყებისა. შერ. გერაგის გაყარობ (კოლს), ყველა ზურგს შემომამქვეს. ოჯახში ვერსად ვერ წავიყვან, ერთის სიტყვიო. საქმისათვის არ არის კარგი, მაგრამ რო-

გორ და რა მოვახერხო! საით რა ვითქეპრო! ეჰ, წყალი სათავეშივე ამღვრეა (ავს. ცაგარელი).

ხათხუნალი ჰრე. ადგილი. სადაც კაცი სიცივისაგან იფარავს თავს, თბილად. სჲცე. კარგი საწყურელი ადგილი, საცა საეგება და უხევაა ყველაფრისა. შერ. აფსუს! ფონს ვერ გავიდა და ვერსად მოითბო გასათბობლად გაშევილი ხელები. თუ ეს ნობნდ მაშინ. ეხლა ხომ სულ შეუძლებელია მაგ ხელობით (ბეზლობით) კაცთა თავი გაიტანოს სათბუნალხედ (ილ. კაპუაძე).

ხათვალავე ჰრე. საანგარიშებელი, დასათვლელი. აღსარიცხველი. სჲცე. ანგარიში ჩასადგები. უშუაღდებობაში საქმევი. კარგად მისაჩხევი. ღირსებით შემეკული. მნიშვნელოვანი. შერ. სათვალავეში ცხარაო. სულ კოქლი და ბრმაო... (ხაღზური ანდახა).

ხათლელი დუმა ჰრე. ცხვისი ღუმესათვის ადგილად მისაქუელი. სჲცე. გამოსაყენებელი, საექსპლუატაციო, გასათქვენელი. დასაჩერავი, ხელწამოსაყრავი. შერ. შექძლო თუ არა ყოფილიყო ქიზიუსსეთ სათლელ დუმად? არა, რადგანაც ქიზიუი მაშინ წარმოადგენდა ამოღებულ ხმაღს გარეშე მტრის წინააღმდეგ (ი. ვეფხთვიანი; შერ. სოფელი დუმაა. ნელ-ნელა მოთალევი. შეილოსნ, ის გიორგენია (ვაჟა-ფშაველა).

ხათოკე ჰრე. გასათოკი. სჲცე. გივი, ავახაი, ბორბოტი, ავაკაცი. შერ. რა ეს, რა ის. ავი გეუხნებით, ერთი ემშაკის კვერცხი. ერთი ქაჯის წიწილა, ერთი კოდბაარა, ერთი თავხეხულაღებელი სათოკე. ერთი... ეოთი. (დ. მახანელი).

ხათოფეზე არ მეკარება ჰრე. იმ მანძილზე სანამ თოთის ტყვია მიუჭედება. სჲცე. მეოღდება, შორს გამიბნის. ახლოს არ მეკარება

ხათოფეზედ ის. თოთის მანძილზე.

ხათრევი ჰრე. თრევით სატარებელი. სჲცე. საგინებელი. საკი(ხ)ელი, აუჯის სათქმელი, სალანძღავი, საგმობელი, საზიზლიაო. შერ. შესამე, ლეჟისი არს სანადიმოდ. სამღერელად, საშიკოდ, სალალობოდ. ამხანაგთა სათრეველად (მ. რუსთაველი); შერ. იგი მოწმე თითონაც შიგ ურევი. საქმეში და პირი აქვს აკანლი, მაგრამ შეუძლიან ოღდესე სათრეველად დასდოს მარ-

თას სახელი, საგზობელ-საზიხლარო გახადოს რგი (ც. ბარნოვი). ახ. თმით თრევა.

. რაშიმე დამნაშავე ქალის დასჯის ერთის. ხე იყო მიწაზე თრევა თმით, ან ცხენის კულზე გამობმა და ისე თრევა. ან პირდაპირ რასმე გამოაბანდღენ და მიწა-მიწა ათრევენ.

. სათუთო გამოსვლა ჰრ. საეკვოდგომ-მაღობისათვის თავის დაღწევა. ზვ. გაქირებრისათვის გინა სასიკვილო ავადმყოფობისათვის თავის დაღწევა, (ოცხლად გადაოჩენა. ითქმის გაქირებულ ავადმყოფზე, როცა ავადმყოფობის კრიზისი (ანთების, სახადის დროს) გაუელის.

სათუთო მღვეა ჰრ. საეკვოდგომ-ობაში ჩაყენება ვისიმე ან რისამე. ზვ. არ იცოდეს, რა მოელის; დაღწევა თუ გადარჩენა. შრ. საბრალოებს სათუოში რათ აძლევთ, ვეგბა ვერ მოითმინონ სატანჯველი? („აღასობა“).

სათქმელად არ გაძღვეა ჰრ. არ უნდა ილაპარაკო ზვ. რაც გითხარი, საიდუმლოდ შეინახე, არავის უთხრა. ზღ. ვეთაყვა, რასაც გვეუბნები, სათქმელად არ გაძღვე.

საიდან კული ღლიახაო!.. ჰრ. კულს ღლიაში რა უნდაო! ზვ. საიდან სადაო, შეუძლებელი რამ. ახ. საიდან სადა!..

საიდამ მობრძანდი აგრე ჰკვიანი? ჰრ. რატომ აქამდე არ ვიცოდით, თუ ისეთი ჰკვიანი იყავი! ზვ. ჰკუის ნატამალი არა გცხია, დიდი უქყოფანზე ბრძანებულხარ!..

ეს თქმა, წსგავსადვე თქმებისა — აღა ბაღში მიბრძანდება — მიხედ-მოხედვის ქირიმე და ბატონს ჩემს გაუშარჯოს! (ახ. თავთავის ადგილზე) — დაცინებითა ეტყვიან მობაასეს, ვინცა ცდილობს სხვა უქყოფად ჩასთვალოს და მოატყუოს. მთქმელი გამობატავს მოპირდაპირის ჰკუის სისუსტეს და მის აშკარა სურვილს სხვათა მოტყუებისა და ვაცუროებისა.

საიდან ხად? ჰრ. რომელ ადგილიდან, რომელ ადგილას. ზვ. შორიდან. მოლოდინელ ადგილიდან; ერთიმეორეს რომ არ უხვება, მიუფრებელი. შრ. ვგრეა, ჩემო ვბრევი! — მიხება გლახაკამ. წიკნი იმისთანა რამ არის, რომ თქვენთვის სოფლის

ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას — სოფელში წაიღებს; საიდან გან სად კაცს კაცთან გაალაპარაკებს (იღ. ჰავგავაძე); შრ. ჰრ-და. თავის ტოლი და ამხანაგი რომ აღარ იკადრა სიძულე, მოინდომა ადგოკატი... პროკურორი... მინისტრი! საიდან სადაო. (აქვს. ცაგარელი).

სათაც იყო და არ იყო ჰრ. საიდანაც კიდეც ჩახდა და კიდეც არა ჩანდა. ზვ. როგორღნელად, მისწრებაზე. სწორედ კარგ დროს. შრ. ძე დერეფანში მხარ-თეძოზე ვიყავ წამოწოლილი. საითაც იყო და არ იყო, ჩემ წინ ყურდაცქვეტილი კურდღელი გაჩნდა, შეხტა და შემოტრიალდა (ვაჟ-ფაშვლა).

საით დაუღეო? ჰრ. ურემს საით, ენ დაუღე ტვიითი! ზვ. და დაციხვით: სად დაგიღეია ღვინო, სად გისვამს, სად დამთვრალხარო? ახ. საით ეტენ წვიმდაო!..

ნასვამ კაცს ჰკითხავენ დაციხვით. ღვინო მიმსვავსებულა ურეიზე დასადებ ტვიითს და დამთვრალსა ჰკითხავენ საით დაუღეო (ტვიითი). ე. ი. საით ეტენ ჩაისხი ღვინო?

საით ეტენ წვიმდაო ჰრ. წვიმა რომელ ადგლისაკენ მოდიოდაო? ზვ. და დაციხვით: სად დაგიღეია ღვინო, სად გისვამს, სად დამთვრალხარო?!.. ახ. საით დაუღეო?

ნასვამ კაცს ჰკითხავენ დაციხვით. ამ თქმით ღვინო, როგორც სითვე. მიმსვავსებულა წვიმას. რომელიც უხვად მოდის, მსვავსად ნასვამის მიერ უხვად დაღეული ღვინისა.

საიქიოს ვასტუმრება ჰრ. ამ ქვეყნიდან ვასტუმრება იქ, საცა სულები ცხოვრობენ. ზვ. მოკვლა, მოსპობა. სიცოცხლის წართმევა. შრ. ვე მგონია. ერთი დიდი საბუთი უნდა გქონდეს; ეს უკაცრავად ჯვარს აცვით და საიქიოს გაიხტუმროთ (იღ. ჰავგავაძე); შრ. ახლა მე წიუტორნი! წიუძლოთ მე გაუხდი იმათ, საიქიოსაც გაგისტუმრებ!.. (აქვს. ცაგარელი).

საიქიოს ვასტუმრებულა ჰრ. აქედან იქ გასტუმრებულა, საცა სულები არიან. ზვ. მოსპობილი, მკვდარი. მოკლული. შრ. სხვა მრავალ ცოდვების გარდა თავის სიცოცხლე ი. სულ მკირედი, ერთი ორასი მუცელ-მწყვეტილი ადამიანი მარცხ ეყოლესა უღრო-უემოდ საიქიოს ვას-

ტუმრებულნი თავის უშვილობის წამლით (დ. მანხანელი).

საკართანო პრ. რაცკართან უნდა მოხდეს სკვ. საღვთგობელი კართან დასაღვეო. შერ. მეფეო, მეფე! საკართანო! სალოქო ფუფე! — მინასენა გიორგიმ (ვ. ბაონოვი).

ფშაე-ხეესურეთში, როცა ჰამა-სამამო-რჩიბიახ და სტუმარი მასპინძელს უნდა გამოეთხოვოს, უკანასკნელი დასაღვეი საღვთგობელი — საკართანო, ე. ი. კარში გასაღველი, მწეიდობით როგზაურობისა და მშვედობით დარჩენისათვის.

საკაცეთი წასაღებო! პრ. მკედართ წასაღებო საკაცებე დასაკრავო და ისე წასაღებო. სკვ. მკედარივით წასაღებო, სასკედელიე.

საკბილო პრ. რასაც კბილს დაადგამს საკიო საკელად, რაც კბილში მოხდება. სკვ. რასაც მოვიხმართ, რასაც ხელში ჩავიგდებთ; საფერი, ჟპრიანი. შერ. როცა თვითეული ჩვენგანი ცალკე და ყოველნივე საერთოდ ანისთანა უპატოურს ქცევას იზიზღებს და ითაკილებს, როგორც ადამიანის შემგინებელს ქცევას, — მაშინ ბეერს ჩვენს ეგრედწოდებულს ლიტერატორს საკბილო პირიდან გამოეცლება (ილ. ჰავაჰაძე); შერ. მაინც კიდევ იმედი არ დავკარგე, ხუთ წამს შემოვირბინე ყოველი კუთხე და ადგილი მოედინისა. მაგრამ არა დამხვდა-რა ჩემი საკბილო სავაქრო (ლ. არდახანი).

საკვირველებიდან გამოსვლა სკვ. მეტისმეტად გაკვირება, უზომოდ გაოცება. შერ. სანდრო კლდე ალაღმართალი ბიჭია და საკვირველი არ არის, რაც იმას უყო. სხვებს ლუკრო ასეთი სერიები უყო იმ პირქუშმა, რომ ქვეყანა საკვირველობიდან გამოდის (მელანია).

საკინძის ჩამოწყვეტა პრ. პერანგის შესაკერელი ლიღების მოგლეჯა. სკვ. ჩხუბი. დავიდარაბა, ცემა-ტყუა.

საკირებსბარ ანთება პრ. კირის საწვავ ლუმელივით გახურება. სკვ. ძლიერად მოღება ცეცხლისა. გულის მოსვლა, გაბრაზება. შერ. ავენთო როგორც

საკირე, დავიწვა თავის აღზედა (ვაჟა-ფშაველა).

საკირე უნთია გულში პრ. საკირეს ცეცხლი აქვს გულში გაზაღებული. სკვ. დიდი დარდი აქვს. დარად სწუსს, უზომოდა ნაღვლობს. შერ. რა საკირე ენთოთ გულში და რა ცეცხლმა ვაიოა! (მ. დავითიძე).

კირის გამოსაწვავად. როგორც ცნობილია, დიდი ცეცხლის შეკეთება ხოლმე საკირო.

საკირეში გადაძახება პრ. კირის საწვავ ღონელში ჩადება. სკვ. დასჯა, სასიკვდილოდ გაძებება, მსალობა, ცეცხლში დწვა შერ. ბარემ მოგვისვენ ფიჩხი დიდ-პატარიანთ, ცკიან, დედაკაციანათ და გვიძახონ ანთებულ საკირეში (მელანია).

საკლად თავის დაღება პრ. თავის დაწებება მოსაკლავ. დ. სკვ. სრული შორჩილება, დამოწება. შერ. მე თავი საკლად დამბიღო, არს მისგან ნაუბარია (მ. ციციშვილი).

საკმეველის კმევა პრ. საკმეველის წვით დანდგარი სკრნელება. სკვ. გადამეტებული ჰება ვისიმე, პირფერობა, ლაქუტი. შერ. დღეიდან ჩემი სტუმარი სულთამხუთავი იქნება, უნდა ვუქმნიო საკმევი, სან: ელიც მისთვის იქნება (ვაჟა); შერ. როგორც მოგეხსენებათ ამისი კეთილი ამბავი და ჩეულება. გაუგორდა და განოკუგორდა ხელის გულს კრებას, უქმია შესაფერი საკმევი, სკოლის მასწავლებელთაცა (ილ. ჰავაჰაძე). ის გუნდოუქის კმევა.

საკმეველი სურნელოვანი ფისია, რომელიც სუბს განსაკუთრებით ძაშინ უშვებს. როცა იწვის. ეს ფისი სხვადასხვა ხეებსა აქვს. იმბარება საქრისტიანო ეკლესიებში მღვდელ მსახურების დროს.

ხალამს ვერავინ დასწრებს პრ. პირველად ის აიღივს სხვას სალამს. სკვ. მზადაა, ცდილობს ყველას პატოვი სცეს. შერ. ხალამს ვერავინ დაასწრებს: სულ სიცილით გელაძარაკება (ბებნიშვილი); შერ. უწინ ბზარში ვერ გაველიდი ხოლმე; ჰქციანი ყაზუა მოდისო, იბახოდენ. ახლა კი ისინი, ვინც ქეციანი ყაზუს მეძახდნენ, ყაზარ სტეფანის მეძახიან. ქუჩაში ხომ

საღამს ვერავის დაეასწრებ ხოლმე ის მგალობლობელი).

ხალახანა პრე. სასაქლაო. სკვ. საზიზ-ლარი, ბინძური. უწმინდური, დასა-ცინი. მისხარად ასაგდები.

ხალექსოდ საქმის გახდომა პრე. ვისმე-ზე ძალით ძიერ დასაცინი ლეჩის გამოთქმა. სკვ დაცინვა, უბად აღება, ქვეყანაში თავის მოჭრა. შერ. თუ ძ. ლათა ხარ წაძოყენილი, მთელი სოფელი აქა ვართ. ღეთის მადლმა, გაეწუდეთ. ის გვიჩვენია, სანამ სა-ღე ქსოდ საქმე გაგვიხდეს (აღ. ყაზბეგი).

ძველათ, როცა ხალხის მიერ დაღვნი ზნეობის ნორმებს გადავიდოდა ვინმე. როცა სოფლის წეს-ადათს შელახავდა. თუ სოფლის სასამართლოს მიერ მისჯილ ფიზიკურ სასჯელს თავს დააღწევდა. ბეორეხაირს სასჯელს. სასჯელს ზიზობიყს, და ზოგჯერ ფიზიკურ საჯილ უფრო ფეტიტურს, მინსკერ ასცდებოდა: ეს იყო სოჭლის შელექსეთა იერ შეთახვა კამფლეტისა, ლექსის გამოთქმა და კვიმტი სიტყვებით კტენა. საჯაროდ გაიქცევა, სააუგო საქციელის ჩამდენისა. ასეთ ადამიანზე იტყოდნენ საღექსოდ გაიხდა და საქმეო. ან როცა უნდოდათ — მოყვასი შეეყავებინათ და სოფლის წესიერების განხრები არ შეელახვიებნათ, უჩეედნენ - საღექსოდ ნუ გაიხდი საქმესაო!

ხალცვაგად გახდომა პრე. გახდომა ისეთათ, ვიზებაღ ლოკულობენ. სკვ. ძიერჟასად გადაქცევა. შერ. ვინც შეუუვარდება, ქმარის არარის? მოიყვანოს და იცხოვროს!.. ქა, მართლა საღოცაგად არ გაგვიხდა! (აქს. სოკარელი).

ხალს კლდეზე დამყარება პრე. მყარ ფოძეზე აწენება რისაეე სკვ. მტყი-კედ საფუძელი-ნად, საიმედოდ კეთება საქმისა. შერ. მას თავისი ნამოქმედარი საღს კლდეზე ეგონა დამყარებული, რომელს ვერ შე-მოსრავდნენ ძალნიცა ჯოჯობეთისა-ნი (ვ. ბარნოვი).

ხამაგვიროს ვადახდა პრე. მსგავსი სა-მაგვიროს დაბრუნება. სკვ. ვისმე მიმართ მიგება ისეთი საქციელისა, როგორც მან ჩაიღინა.

ხამალავში დამალვა პრე. დამალვა სხვებისათვის მიუგნებელ ადგილას. სკვ. შენახვა საიდუმლოსი, არ გამე-

ლენება, არგახმიანება. შერ. დიპ-ლომატია ამის პასუხს ჯერ სამა-ღაეში ქმალავს (ილ. კაქავაძე).

ხამანის ჩახმა პრე. სამოჯრო ქვის ჩამაგ-რება ამოთხრილი მიწაში. სკვ. გან-დევნა თემის საზღვრებიდან, ყოველ-გვაი ლიოსების აყრა. საზოგადოების წინაშე უდიდეს და საქვეყნო დამნა-შავიად გამოცხადება. შერ. სამთავ (მყავალს, ონისს და გელას) ჩაე-სვათ სათემო სამანი, სამნიე თეი-საგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქნენ (აღ. ყაზბეგი).

სამანი გვიქვია მამულის გინა რო-მელისაშე საფლობელოს თუ ქვეყნის საზღვრის, მიჯნის აღმნიშვნელ ქისა ანუ სევა რამ ნიშნისათვის. სათანის აღ-სანიშნავად გათხრიდენ მიწას. შიგ ჩა-სეამდნენ მალა ქვას იეს რამ ნახევარი მიწაში ყოფილიყო დამალული და ბეო-რე ნახევარი მალა ამოწვერილი, და გამაგოდნენ მიწითა და ლორით, რომ თავისი აღვილად არ გადახრი-ლიყო ან არ წაქციულიყო. პირიქით — ვერტიკალურ მდგომარეობაში და უყე-ლსათვის სახილველი ყოფილიყო.

ძველათ საქართველოს ჩრდილოე-თის ერთ-ერთ ნაწილში ხევში ძვე-ლი დოზეთის მახრა) თემის ყრილობა არჩედა ხოლმე თავის დაინაშავე წევრის საქმე. სასჯელის ღირსს ეს ყრილობა მიუ-ჯიდა ამა თუ იმ სასჯელს. დანა-შაოლის მიხედვით. თემის ყრილობის განაჩენი საბოლოო იყო.

სათემო სასამართლოს წინაშე წარ-დგომის მიხეზი უნდა ყოფილიყო: ცო-ლისათვის — ლალატი ქმრისა, შერცხვენა თემისა და სახლისა, გაწბილება ოჯახ-ხისა და ნათესაობისა; ქმრისათვის — მეზობლისა და მოძმის სისხლის დაღე-რა, ცოლის ცუდი საქციელის მიხეზად გახდომა, თემის მკვდობიანობის და-რღიყვა. გატეხა თემის პირისა: ასევე სა-ზოგადოდ თემის წყროსათვის — სი-აცის გაწბილება, მეზობლის ოჯახობის შურააცხოფა, შერცხვენა ქუდოსანთა სქესისა. დარღვევა თემის წესისა, გა-ტეხა მეზობლის სხლისა...

მოსამართლე თემის თავნი ასეთთა დანაშავეთ შეეკრავდნენ (სამოქა-ლაქო უფლებათ აპყრიდნენ), თემისაგან მოსწყვეტდნენ ისე, რომ არავითარი კავშირი ქმროდათ თავიანთ თანამო-ძმებთან, შეაჩვენებდნენ და განდევნე-

ნენ თემის საზღვრებიდან. ამგვარად, მოაშორებდნენ თავიანთ კერას, მიწა-წყალს, აღარ ენებოდნენ და თავიანთი სახელობის დატოვებისათვის შესწორების მიზნით თემში მონაწილეობის მიღებისა.

იგივე თემის თავიანთ ამასთანავე დასწვევლიდნენ და თემისაგან განდევნილებად გამოაცხადებდნენ ყველას, ვინც: დამნაშავეთ ხელს ვაწვევდა, როგორც რეზოლუციის წყალობით იმის მიხედვით. შეიკრებულს და ახსენებდა და ანა თუ იასახიო სიტყვებითა და თანაგრძობას გამოუხატავდა...

ანის შემდეგ ხ ლხი ვაძვრებდა ღრმა ორმის და საზოგადოებრივ მოსაგონებლად მალაღი ქაქის ქვას სანად ჩასვლიდა.

ანაზრად, ვისაც სამანი ჩაესმოდან, ე. ი. ვერც თემიდან განდევნიებოდა. უნდა გამოსალმებოდა თემობას და სხვა ადგილას უნდა შექმნიხოდა. უცხოთა შორის უნდა ეხიზრებოდა სიციხის ღრმად სწავლებდა.

აქედან ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რად იცვლებოდა უსამინდევს წვევლად მთიელი ხალხი ფორმულა წვევლისა. რომელსაც იმის მიხედვით ანა თუ იმ დიდი ბოროტების ჩადენის, სათემო ადამიანების წევრებად მიიღობ: შე სამან ჩასასმელოო!

სანას ჩ. უსე მდინე იმ შემთხვევაშიც, როცა დანაშაუვ ხელში არა ჰქაზებდათ ან ბისი ვ ნობა არ იცოდნენ და, მამსადავმე სამანის ჩასმის წესს ხალხის მას ვ: რა ხედოდა, ე. ი. განჩინებას გამოეკანდნენ და სამანს ჩ. უსეაძენენ მის დაუსწრებლად.

ქართულ ლიტერატურაში სამანის ჩასმის აზრები აღნიშნული აქვს ალ. უახუბეს "მოდლოარში".

სამანში ჩატანება (დამნაშავის) სახელისა ჰრ. სასარანე ქვასთან ჩაშვება სახელისა. სვე. დაწვევლა. შიჩენება. შეკრულია შრ. არამც თუ მხოლოდ დამნაშავეს სახელი იო სამანში ჩატანებულ ი, არამედ ისიც, ვინც განდევნილს წყალს მიწოდებდა, ლუქმას გაუშვრდა (ალ. ვახუშტი). ახ. სამანის ჩასმა.

სამანს მიჯნა ან საზღვრის მაჩვენებელი ჰქვია. ხევში ღიდ სათემო დამნაშავეს. ვინც თემის ძველთაგანვე წმინდად დაიწყო ხე. ჩვეულებას დაარსებვდა, სათემო ყარლობაზე თემის საზღვრებიდან გამოეყვება ანუ ძველ ბერ-

ძნთა ოსტრაკიზმს რომ მიუსჯიდნენ, ამავე დროს გაუთხრიდნენ ორმოა და მის სახელობაზე შიგ ჩასვამდნენ მალაღ ქაქის ქვას. ეს ქვა, ანუ სანანი იუო ხიშანი მისი გაძევებისა და აგრეთვე მ. ჩვენებელი საზღვრისა, რომლის გადმოლადა აკრძალული ჰქონდა. მთიელე ბი სამანის ქვის ჩასმისთან ერთად დაატანდნენ წვევლას დამნაშავის სახელისას და ამ დაწვევლას ერქვა: "სამანში ჩატანება სახელისა". და სამანში ჩატანდნენ არა მარტო დამნაშავის სახელს, არამედ იმისაც, ვინც დამნაშავეს და თვითად განდევნილს. შეკრულ-შიჩენებულს ანა თუ იმ სახით დაეხმარებოდა რაინე, ხელს მოეწართავდა.

სამარების ჩაყოლა ჰრ. საფლავადე არაოცილება. სვე. სიკვდილადე. მთელი სიციხედე თავის არღებება. შრ. მეტრე ისეთი ვარ, რომ მეტრეს საპარის კარამდე მიეყვები და ჩემს ვალს ეი არ შევარჩენო (თ. იახიჯალი): შრ. ქა, ვერა, ხედავთ, როგორ აბუჩავ და გვიქვია! სამარქმდის ჩაეყვები და როგორც მინდა, იმ მოვიყვან საქმეს... (აქვ. ავაზული).

სამარის გათხრა ჰრ. ნიწის გათხრაშიგ მიკვალბულის დასათლავად. სვე. ვისივე მოცილის განზრ: ხვა. ვი. ითე მსსპობა. შრ. შვეი რ: აქცია სასიკვდილო იერიშით მოდის რეოლუციებზე. მას უნდა ჩვენი ოაზები არიგდარიოს და სამარე გაუთხაროს ხალხის რეოლუციის (თ. ხალხი, თახელებანი, ტ. 1, გვ. 169).

სამართლის ფხის ახსმა ჰრ. სანართების ექრელი პირის გაყვება. სვე. მერისქრტად გაბრახება. გულის მოუვანა, გალმსახება. შრ. კერის მკვლად არის ბუნებისაგან დამბადებული (ჩემი ცოლი) და ვერავეს შეუნდობს სახლის დალატს, თუნდაც; ნასახ ვარეწრობისა. არც გამოეპარება მას ესეთი მომხერა, მოძრაობა თუნდ მხოლოდ ჰაზრის: უტყუარი ალო ეტყვის და წამოიკოჩრება, სამართლის ფხის აისხამს ისეც ალხილი (ე. ბაროვი).

სამართლის გაბრუნება ჰრ. ბრუნდელ, არასწორად გადაწვევა სამართლისა. სვე. უსწორით გადაწვევა საქმისა შრ. ვნახოთ, ვინ გამოვა მარსალი, ვინ მტყუანი, ლმერთი გულს

უფრო სინჯავს, მიწამ საქმეს: იქ სამართალი არ გაბრუნდდება (ილ. პეპუაძე).

სამართლის ხახვორი პრე. სამართლის ასანჯარი იაოალი. სტე. პირუთვნლობა, სანაოთლიახობა. შერ. თაშასადანე. იგი (ია:ე ანდრონიკაშვილი) ყოფილა წსაჯულად იმისთანა ხანებშიაც. როცა ახალი წესები შემოღებულნი არ იყვნენ და ძველნი კი, სამართლიანად ათვალწუნებულნი, მსაჯულს სახსარს აძლევდა ყოველივე ცუდკაცობა ჩაედინა და სამართლის სასწორო იხე ებრუნებინა, როგორც გუნებაში გაუვლიდა (ილ. პეპუაძე).

სამარიდან წამოყენება პრე. სამარეში დაჟულელი კაკის ამოღება და ფეხზე დაწეობა. სტე. ვაკოცხლება. მქედრეთით აღდგენა. შერ. ამოღამ აქ, ჩემთან, შეიკრებიან და გვექნება ბაასი ლიტერატურაზედ, კითხვა მათგან დაწერილ თხზულებათ და ჩვენს ლიტერატურას. ეგონებ, სამარიღგან წაშოვავ ენებთ... (რ. ელისთაე).

სამარის გათხრა პრე. მიწის ამოთხრა მიცვალებულისათვის, მიწის ამარად გახდობა. სტე. სიკვდილი, სიციოცხლის მოსპობა. შერ. მკედარი მნახო. დამიტრიე, სულთქმა გაათანისთანე, მე სამარიე გამითხარიე, აქა მიწა მიაჯ:ნე (მ. რუსთაველი).

პირველყოფილი ადამიანი რომ კვდებოდა. მისი ლემის და ეა აზრად აოავის მოსდიოდა, გარეული ნადირის კერძად ხდებოდა, თუ თავისივე მსგავსი შიმშილის დასაუჩრებლად არ გამოიყენებდა. ადამიანის ასუბობის ამ ხანაში ადამიანსა და პირრტყეს შორის განსხევება დიდი არაფერი იყო.

შემდეგში, ამავე ადამიანის თანდათან გნეთარებასთან ერთად, ჩენის პირველყოფილი წინაპარის ბავშურმა ანუ ოდნე განვითარებულმა გონებამ გადასწყვიტა, რომ სიკვდილთან ერთად არ ისპობა ადამიანი. ის მხოლოდ იცვლის სახეს ანუ გადაიცვლება. ეს გადაცვლება დღევანდელ ქართულ პარაკში სიკვდილის ტეაზინდ დარჩა, ხოლო იმისათვის, ვინცა კვდება, მიცვალებული ეკვიქიან.

მიცვალებულს ხშირად ხედავენ სიზმრად, მშირად იგონებენ მისნი ნათესავნი. მისნი მახლობელი თუ შორეულნი, მეგობარნი თუ მტერნი.

რაკი ადამიანი სიკვდილს შემდეგ საბოლოოდ არ ისპობა, მისნა ცოცხლად დარჩენილმა მახლობლებმა გამოიგონეს მისი დაცვის იქერი საშუალება. როგორცა მიწის ანუ სამარის გათხრა. შიგ ჩასვენება ანუ ყოველდღიორ ზრუნვისაგან განთავისუფლება, მოსევენება და ზევიდანაც მიწის დაყრა, რომ ნადირი მის ლეშა არ შეეხოს.

მეგრულში დღემდე შენახულა ასეთი ლანძღვითი თქმა: სამარიე გინთხორი, ე. ი. სამარიე გაითხარიე, მოკვდი! ასეთ ლანძღვის, შერცხვენის, გულისხმაში ჩასაგდებ ფრანას იტყვიან მოყვასს, როცა ეს ჩაიდენს მეტად სასირო, ხელოო საქმეს. ისეთს, რომ მეზობლებში არ გამოიგლება, უჯობს თავისიე ხელით მოიკლას თავი და სამარეში ჩაწვეს, ზევიდან მიწა მიიყაროს და აქიდან ზევით აღარ ამოვიდეს.

სამარის კარამდე პრე. დასასაფლავებელ ადგილამდე. სტე. დიდხანს, სანამ არ მოუკვდება.

სამარის კარამდე მიყოლა ის. სამარიემდის ჩაყოლა.

სამარის კარის ვალება პრე. საფლავის გამზადება შიგ ჩასასუელლად. სტე. სიკვდილი, საფლავში დაფლვა. მიწაში დამარხვა. შერ. მოულადილად გაიროს სამარის კარი ჩენს წინაშე (მ. ბარნოვი).

სამარისაქენ ფეხის გაშვერა პრე. საფლავისაქენ ფეხის ვაწოდება. სტე. სიკვდილის მოახლოება, მოკლე ხნის სიციოცხლის დარჩენა, სიკვდილის მოლენი. შერ. საფლავი ქვეყნის მოლენე ვაქეაისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისაქენ ფეხი არ გაუშვერიო“ (ილ. პეპუაძე).

სამარის მთხრელი პრე. მიცვალებულის დასასაფლავებლად მიწის გამოთხრელი. სტე. მკვლელი, მოლაღატე. სიციოცხლეს გამომსალმებელი. შერ. ხნალს ნუ ჩაახედაე, მოყმეო, ხნალი მშიერი მგელია: ვაგიპრის, ვაგი-

ხალისებს, ზოლოს სამარის მთხრელია (ვაჟა ფშაველა).

სამარ-სუღარად ვეძებდი პრ. ჩემთვის ძალიან საკირო იყო. რასაც ვეძებდი ისევე, როგორც მიცვალბუღლისათვის სანაწევ და სუღარაა საკირო. ხვ. მეტიმეტად საკირო იყო ჩემთვის, აუცილებელი. მგლ. ჩვენი საყვარელი მწერლის ბელნიერი მკირდებოდა, სამარ-სუღარად ვეძებდი, მაგრამ ვერსად ვიწოვე.

ეს თქვა ლეჩხუი-სევანეთში ისმის და ხშირადღა მინათავენ რაინდ დიდი გაქირების გამოსახატავად, რადგან ძველად მიცვალბუღლ უსუღაროდ და უსამაროდ აო დანიშარებოდა, ერთიცა და მეორეც აუცილებელი იყო მის დასასაფლავებლად.

სამარცხვინო ბოძზე გაქვრა პრ. ბოძი, რომელზედაც საჯაროდ დაქვლებდნენ ხოლმე სიყვდილმისჯილს. ხვ. სააჯო, შესარცხვინი საქის გამომქვლავებდა; საჯაროდ დაძრახვა. შრ. თუ საძრახვისა არ ამხილ და სამარცხვინო ბოძზე არ გააქვრა, მაშინ მაქინისილა ეგ თქვენი ნოწონებელი, თქვენი ქაღელეი დო-ყლაპია დიბარლობა? (ილ. პაუკაძე); შრ. და განა საყადრისია სალტერატურო ორგანოსათვის ბულვარის სულელობა აილოს და თავზე მოახვიოს მთელს ინტელიგენციას, მთელს ქართველთა საზოგადოებას და ამისათვის სამარცხვინო ბოძზე გააქვრას ერთიცა და მეორეც? (ილ. პაუკაძე).

სამარცხვინო ბოძი ხმარებაში იყო ვეროლაში 1789 წლამდე. ბძის დაქვლებოლა ქვინდა ჩინის საყვლური, რომელსაც უვლზე გადაამყვდნენ სიყვდილით დასასჯელს და ისე დაქვლებდნენ, რომ ყველას ზედ მცქირან და ემბილნა. ის. თაველაფის და სხვა.

სამახარობლო მერგება პრ. რისამე ხარებისათვის ჯილდო მიკუთვნის. ხვ. გასახარელი. ამავი შებიჯობინებია. ძველათ, ბრძოლის დროს, გამარჯვებული ეხარე, სანამ თვით გამარჯვდებოდა შინ, მერეზე გამარჯვების ამბის შერჯობინებელს ანუ მახარობელს გზავნიდა წინდაწინ, რომელსაც სამახარობლოს აძლევდნენ ანუ ასაჩუქრებდნენ შესაფერისად.

სამახარობლოს აძლევდნენ აგრეთვე ქორწილში მაყრიონს, რომელიც წინ-

დაწინ გამოეყოფოდა მთელს საქორწილო პროცესიას, ცხენის ჯენებით წამოვიდოდა და შინაუღოს შეატური ბინებაში პატარძლის წამოყვანას. ამ მენდნებებში იგლისხმებოდა, რომ ქალი ძალათა, მშობლებისა და თვით ქალის სურვილის წინააღმდეგ მიჰყავდათ, რაც მართლაც ასე იყო სულ ძველათ, როცა ქალს ნოტაციებთ ირთავდნენ ხოლმე და რასაც სამეგრელოში ჯერ ისევე ამ სამოცი წლის წინათ ვხედავდით. ამ ძალაობას მოჰყვებოდა ბძის ტრიალი, თოფდამბაჩის სროლა, სისხლის ღვრა. ერთის სიტყვით, ბრძოლა ქალის პატრონებსა და მომტაცებელთ (ჩეფესი და მის ამხანაგებ-მაყრიონებს) შო-ის, და ისიც იგულისხმებოდა, რომ ამ ბრძოლიდან გამარჯვებულები მეფე-მაყრიონები იყვნენ გამოსულნი. ასეთს მახარობელს ჯერ პირში შექარს ჩაუდებდნენ (აქედანაა წარმოშობილი თქმა: "შენს პირს შექარი" ან. შენს პირს შექარი!) და მერე შესაფერი საჩუქარი ანუ სამახარობლო იღვე სხვა იყო.

დღეს "სამახარობლო მერგება" გეტყვით ის, ვინც რამე სასიამოვნო ამბავი უნდა გითხვას და საჩუქრის მიღების საქმე წინდაწინ უნდა უხრუნველყო.

სამგლე გოჭივით ატულმა პრ. მგლის მიერ მოსატაციებლ გოჭივით ქვირილი. ხვ. განსაცდელს პირდაპირ უყარდება პირში, ხიფათში რალათი ჩაგდება თავისა. გაუფრთხილებლობა. შრ. როგორღაც გზა-ყვლი ამერიკა და დავიბნივე, თავი სინანულით დავიწეე და ლამის წაწყმედის გზაზე გავიღე და სამგლე გოჭივით გავისისწრივე (ილ. პაუკაძე); შრ. ვანო (გაცხარებული) — თქვენ როგორღაც სამგლე გოჭივით ატეხილხართ. ეს იყო-ღით, სისხლი დაიღვრება! (აქუს. ცაგარელი).

სამზეო პრ. ადგილი, სადაც მზეა. ხვ. ჩვენი დედამიწა. საცა ნათელია; შრ. კითხულობდა (რაიბოლი) სოფელში (შილდაში) ამ ნაენობებს და ზოგი თუ მეჭდარი აღმოჩნდა, სხვა ისევე იარებოდა სამზეოს (ვაჟა-ფშაველა); შრ. მინაი წყალმა წაგვართვა, მოშორდა სამზეოსა.

წინათ ფშაველები და თუშები დედამიწას სამზეოს ეძახდნენ, ხოლო იმ ქვეყანას, საცა ადამიანის სულები უნ-

და იყენენ და მზე არ არის, საცა ბნელა. საცა შავადაა ყველაფერი, შავეთს უწოდებდნენ.

სამთვარიომ ხომ არ მოგთარა?! პრ. ხეჯარეი ხომ აო გაგხადა ავად. ზვე. რამ გაგაიჯა, რას მიედ-შოედენი, რაა რთოჯე? შერ. შე სინხლის გულდა, შე, ნა გი იარა სამთვარიომ! (სეკუნდარული).

სამრვარიომ — ჩვენს ხალხს უქვია ნერვებით დაავადებულთა მდგომარეობის აღიარებულ ზოგად სიტყვათ. ამ ავადმყოფობით შეპყრობილთა დამე გულიანობითა სძინავთ და ამ დროს ლოგინდნან წაწოდებარნი ავტომატურად დაიხრებინან უგზო-უცლოდ, ასრულებდენ სხვადასხვა რთულ საქმეს. უნეტეს წინთვეგვი თვალები უხელიათ. ამას მოუწია ნორმალური ძილი. გამოლოცებულს სრულებით აღარ ავგონდება, რაც ღმად და არ აკა ჩაიდნათ. უფრო ვრცელი გაგებით; ამ ტერმინით ცნობილია მიუჯეტებელი მოძრაობა, ღრმა შინაობისა ან ისტერიული ბნელის გაველნით განოწვეული.

როგორც თქვათა დარჩენილი, ჩვენს ხალხს სწავდა, რომ ბთვარეს გაეღენა ჰქონდა ზოგერთთა ჯანმრთელობაზე, ხოლო მცნინებამ იყის, რომ სამთვარიომ ფიქრურად შეუყულთა დაავადება. მაღალის სრწენა კი იმით აინ: ნება, რომ ავადყოფის დასახასიათებელი მოვლენები ზოგჯერ მთვარის სინათლეზე ნელაქნებოდა. აქედან წარმოიშვა თვით სახელი ავადმყოფობისა — სამთვარიომ, ანუ ლათინური ლუნატიზმისი.

ქართულ სამთვარიომს ანუ ლუნატიზმის სინონიმა სომნამბულიზმი (ლათინურად სომნუს — ძილი და ამბულო — დაეხეტიალება) ანუ ძილში ხეტიალი.

თორე ავადმყოფთა ჰქვია ლუნატიკი, რაც ნინენის ფანტასტიკის უსწავროს წინათ ეგონათ, რომ ლუნატიკის ქვეაგონება იცვლება მთვარის მოქცევასთან ერთად. თვითონ სიტყვა ლუნატიკი წარმოებულთა სიტყვა ლუნატიზმისაგან, რაც ნინენის მძინარის მიერ ძილში ფიზიკობას. ძილში სიარულს.

ეს ავადმყოფობა საქართველოში, უნდა იფიქროთ, დიდი ხნიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. სხვათა შორის, ამირი აც უნდა შეიქრინათ. მთვარისათვის ერთი დღე კვირაში მზის დღის (კვირის) მომდევნო დღე ანუ თუთაშა

(მეგრულად თუთაშ დლა — მთვარის დღე). მთვარის თაყვანისცემის ნიშნებს ჩვენამდის მოვლენვითა; მეგრულები. ახლად დაბადებულ მთვარეს რომ დაინახვენ, შემსდგი ლოცვის ფორმულით მიმართავენ: „თუთა ახალი. დორი ნთ, სი გიმიარი!“ (მთვარე ახლო, ღმერთო. შენ გამაბარე!) და თან კაცლის კბილებზე დააქრებენ და უჩქეფებენ: ისე გავევიბრწინენ (გაგვეითერთ), როგორც შენა ბრწყინავო.

სამი დღის ხმ წყალზე ჩავა და წყალს დაღვეს (და შენ რაღა დაგეძართა!) პრ. სამი დღის ზღვებულ ხმოს წყალზე ჩასვლა შეიძლია და შენ კი აოა. ზვე. ზახტი ხარ, მოძრაობა გეზარება. მგლ. შე აი კაცო, სამის დღის ხმოს რა აჩის. წყალზე ჩავა და წყალს დაღვეს და შენ რაღა დაგეძართა, რომ განძრვილის უნარი წავრთმევი და სხვათა პირში შემავ ქერალი გაძიდ რაბა?!
ეს ანდაზისებური თვის ყვირებებით კილო მიმართულია ნეონა, სამყარად მიანის წინააღმდეგვისაც თითის ანძრვად ეზარება და მოატრულია მზახარეულად ჩაუვრდა ლეკვა პირში. ამ თქმას მიზნადა აქვს შეარცხენის მცონარა. გულისხმაში ჩააგდოს, თავის თავი სამის დღის ხმზე მალა დააყენებინოს და შეავგებინოს, რომ ცხოვრება ბრძოლაა. და ვინც ხელსარანძრეს, ვინც კრიკაში არ უდგას ან ცხოვრება. ვინც ან ცხოვრებას გაქეღვინება, არამც თუ სუფთაზე ან მოუსეამენ, ასეთს ჩასუფრალად არ ერგება...

სამი კალოს იქით პრ. მანძილი რომელიც უდრის სამი კალოს დამეტრის სიგრძის. ზვე. სულ ახლო იქავე, ყუჩიძირში. შერ. აქვე. ახლო გახლავართ, სამი კალოს იქით (აქვე. ცაჯარელი).

პურის საღეწი კალო მრგვლია და დამეტრი უდიდესი სიგრძეა მისი. წინათ კალო დიდიც იყო და პატარაც. ეს იახე იყო დამოკიდებული. თუ რა შეძლება ჰქონდა მის პატარონს და რა რაოდენობის ჰირნახულს ღეწავდა.

საშუალო სიდიდის კალოს დამეტრი, ჩვეულებრივ, წარმოადგენდა 15—20 მეტრს. ასე რომ თქმაში აღნიშნულ „სამ კალოს იქით“ უნდა უდრიდეს, სულ ბევრი, 40—50 მეტრის ანუ კალომეტრის მეოცედის მანძილს, რაც უნდა ჩაითვალოს ერთ წერტილი.

დან მეორე წერტილამდე სულ მოკლე მანძილად.

კალო, როგორც მანძილის საზომი, ხალხურ თქმაში იგივეა, რაც: შენოვლა, სამი ნაბადი, სათოფე, ცხრა მთა და სხვ.

სამკალი ჰრდ. მოსამკალად შემოსული ხორბლეული. ზღვ. უხვი მოსავალი. რაიზე შრომის უხვი შედეგი, გასაკეთებელი, სასარგებლო საქმე. შრ. სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაჲნი მცირედ (მათ, IX, 37).

სამიწე ჰრდ. მიწად გასახდომი. ზღვ. წყველა: სასიკვდილე, სიკოტლეს გამოსასალმებელი, მიწის შესაქნელი. შრ. ერთი დედაბერი გოდანთ მათეს ცოლს შესწიოდა: ი ჩვენმა სამიწე გოგომ სიკოტლემ ჩავგაწარა, არც დღე სძინავს და არც ღამე (ქვიტი); შრ. ავი კაცი და მგელი ერთად შემიფარდებია: ე. ი. მგელსა სულ გაგლეჯაზე უჭყეტია ი სამიწე თვლები; რასაც მიეკარება, სუ ააყროლებს და აამძოვრებს ხოლმე (ს. მგალობლიშვილი).

სამოთხე ჰრდ. თანახმად სხვადასხვა რელიგიებისა, ცხონებულთა სამყოფელი ადგილი. ზღვ. მშენიერი ადგილი, ნეტარებით, უბრუნველად და უღარდელად საცხოვრებელი. შრ. ყველაფერი ალალი იყოს იმაზე: ბღღვრიალა თვალეში დაეკონიდი, ცხადათ სამოთხეში შევიდოდი. რას გაკვირთ, სიტყვა გვქონდა მიცემული. დანიშნულეებით ვიყავით (ვ. ბარნოვი); შრ. შენ არ იცი, ეს მიწური ჩემთვის რა განძია ეს ერთად-ერთი ქონებაა, მაზიჩემისაგან დარჩენილი და გინდ დამცინე, სხვაგან სამოთხეს მიჩვენია (ილ. ჰევაჲთე).

ადამიანს, იმავე თავითვე, გულსა ზარავდა გათვალისწინება იმისა, რომ აღრე ოუ გვიან მისი ხორციელი არსებობა უნდა შემწყდარიყო, მოსპობილიყო, მისი სხეული შავს მიწას უნდა შეექმნა.

სამოთხის გახალისება ჰრდ. სამოთხის კლტის დასაკეტი და გასალეზი იარაღი. ზღვ. ბედნიერება, წარმატება, გულის წადლის ასასრულებელი. შრ. ესეა ძმაო!.. სხვა შენთვის და შენ—სხვისათვის, აი, ეხა ცხოვრებისა, აი — ხილი ცხოვნებისა, აი — გასალეზი სამოთხისა!.. (ილ. ჰევაჲთე).

სამოთხის კარის ვაღება ჰრდ. სამოთხეში შესვლას არაფერი უშლიდეს. ზღვ. გულის წადლის ასრულება, სანატრულ მდგომარეობაში ჩავარდნა. შრ. აწ შემკრთალ-დამფრთხალი გოგო მაშინ დამშვიდებით მიენდობოდა მას, იმდენად დაუხლოვდებოდა თავის დანიშნულს, ნდობით დაეყრდნობოდა მის მარჯვენას და გაეღებოდა თვედორას სამოთხის კარი, აუსრულდებოდა ნატერა (ვ. ბარნოვი); შრ. განა ქართულის ერის ძაგებით, სულიერად და ხორციელად წაწყმედიოთ ჩვენ ჩვენს სამოთხის კარი გაეღებებ? (ილ. ჰევაჲთე). ახ. სამოთხე.

სამოჯამაგირო მყუდრო ჰრდ. მყუდრო, მოფარებული ადგილი, სადაც მოჯამაგირეს შეუძლია მოისვენოს ისე, რომ ვერავინ დაინახოს. ზღვ. სიზარმაკე, უსაქმურობა, თავიძვრენიაობა. შრ. შენ, ჩემო ძმაო, ოლონდ სამოჯამაგირო მყუდრო იპოვნო, მეტი არა გინდა რა.

მოჯამაგირე, როცა ზანტია, ეძებს ისეთს მყუდრო ადგილს, საცა შეუძლია უსაქმურად გაიყვანოს დრო ისე, რომ არავინ დაინახოს, განსაკუთრებით დამქირავეებლმა. დამქირავებელი კილევ ასეთს სულ იმას აყვედრის: შენ მყუდროს დაეძებ, არაფრის ვაკეთება არ გინდაო.

იოქმის საერთოდ ზარმაც კაცზე, რომელსაც ხელიშ განძრევა ესიკვდილება, ცდილობს მასზე დაკისრებულ საქმეზე ხელი აიღოს, სადმე სამოჯამაგირო მყუდროში წამოწვეს მხართეძოზე და იყოს ასე, განცხრომაში.

სამუავე ჰრდ. რაც დასამავეებელია. ზღვ. დათვის კერძო, დათვის შესაქმელო, დასაღუპავო, სასიკვდილე. შრ. ახ, შეღათვის სამუავევე, საით მიხეტები!?

დათვი ხორცს რომ იპოვის, რაც მორჩება, მიწაში ჩაჰფლავს და ზევიდან

ხის ტოტებს დაახურავს, რომ სხვამ არ მოპაროს. ასე შენახული ხორცი მთავრდება და კარგი საქმელი ხდება. კაცს რომ დასაწყევლად გაიმეტებენ ხეუსურეთში, ეტყვიან: ახ, შე დათვის სამაჯავეო!.. ე. ი. დათვმა გჰამოს, დათვის კერძი გახდით...

სავსე გახლავს **პრ.** სიციარიელე არ არის ქურტულში. ყველგან არის. ზგ. არა გვაქვს, არა გვიღვეს რა. შერ. აბა, აღეტი, ქეთანაე, და ნახე კილობანში: თუ სავსეთ არის, მიეციო... წვერი წაატეხე, შეილო!... ქეთანამ მოახსენა, რომ კილობანში პური სავსეთ გახლავს თო (ს. გოლობლიშვილი); შერ. — დედამ ორი პური გვასესხეთ და ხვალ მოგართმევთო. — სამსეღ გახლავს თო! იმ კვირა რომ წაიღეთ, ჯერ ისიც არ მოგიტანიათ თქო... (ივ. შაჰვარიანი).

წინათ, ქართლ-კახეთის სოფლებში, როცა პური შემოაკლდებოდათ და ამ დროს მეზობელი ითხოვდა, ვისაც სთხოვდნენ, თავის დღეში არ ეტყოდა: პური არა მაქვს, არამედ: სავსეთ გახლავთო (კილობანიო). პურზე არ ითქმოდა ნაკლებობა ან უქონლობა იმიტომ რომ სწამდათ, ასე რომ ვთქვათ, მართლა შემოგვიჩვევა ნაკლებობა, კილობანში (საცა პურს ინახავენ გაუხმებლობისათვის) ბარაქა გამოგვეღვევაო. სულ უნდა ვიძახოთ ხოლმე — არისო, და მაშინ სავსება დაისადგურებს ჩვენს ოჯახში, პური არ გამოგვეღვევაო.

მსგავსადვე, მთხოვნილი, ვისაც სთხოვს პურს, არ ეტყვის: კილობანი (საპურე) ცარიელი მაქვსო, არამედ: სავსეთ არის და ერთი-ორი პური მასესხეო.

სამხონი **პრ.** მოსამართლე შებრაელთა, ცნობილი თავისი ღონითა და სიძლიერთათ, რომელმაც ერთი ვირის ყბით ათასი ფილისტიმელი დაიპარცხა. ზგ. კაცი დიდი ფიზიკური ღონისა, მოურევნელი. შერ. ჩვენში ახალი რაზმი გამოდის სასპარეზოდ და ნელ-ნელა მატულობს, — ეს ყველა თვალხილულათვის მზესავით ნათელი ფაქტია, თუმცა ჩვენი ცრუ-სამსონები ჰალას-ბიძლას ფიცავენ და უნდათ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენს მეტი არავინ არისო (ილ. კავკაძე).

სამტუჩიანი (ქალი) **პრ.** ვისაც ერთის მაგიერ სამი ტუჩი აქვს (სალაპარაკოდ). ზგ. სამი ტუჩის ოდენა ლაპარაკი შეუძლია, ყბელი, ლაპარაკში ყველას რომ მოლოდინს, ერთი სამს რომ გასწვდება და პასუხს გასცემს.

სამწყსო **პრ.** ვინც მოსამწყვესია. ქრისტიანები თავის მოძღვრის მიმართ სამწყსოდ იწოდება.

სამშობლოს დრუბლის დანახვასაც კი ველარ ახერხებდნენ (ისეთი საქმე დამართო) **პრ.** არ შეგეძლოს შენის ქეყნის ცის დრუბლების ნახვა, სამშობლოდან შორს გაგაძიონ. შერ. ყაზარ ყარამანიჩი მოგიკვდეს, თუ შენ, გეგენას ბიჭო, თავი არ ვაცნობოს, თუ აქამდე ვერ გიცივია! თუ ისეთი საქმე ვერ დაგმართო, რომ სამშობლოს დრუბლის დანახვასაც უკეთ ველარ ახერხებდნენ. მაშ მე კაცი აღარ ვიყო და თავზედ ქული აღარ მეხუროს (მელანი).

ეს მუქარაა, რომელიც გულისხმობს სასამართლოში ჩივილს მოწინააღმდეგისათვის და ისე წყევნას საქმიანს, რომ სამშობლოს მოსწყვიტონ და უშორეს ქეყანაში (იგულისხმებენ — ციმბირში) გადაასახლონ დასასჯელად.

სამზრამდისინ **სავალი** **პრ.** შუადღის ეამს ცაზე რომ გადაიხრება მზე, იქამდე გველიო მანძილი. ზგ. მზის ამოსვლიდან მზის ვადახრამდე გასაყვლილი მანძილი. შერ. გაიხარა დიდად და გამოეგება წინა მეფე იამანთა და ყოველი დიდებული სამხრამდლისინ სავალსა (ანჰირან-დაოჯანინი).

სანამ ხული მიდგახ **პრ.** სანამ სული სხეულიდან არ ამოსვლია. ზგ. სანამ ცოცხალეარ. ახ. სული დგამა.

სანამ ყვავსა და ყორანს ფრთებზე არ დაეღვებათ (რამე ამბავი) **პრ.** სანამ ყვავი და ყორანი არ დაიწყებენ რაიმე ამბის ტარებას. ზგ. სანამ ყველანი არ გაიგებენ საიდუმლო რასმე ამბავს, სანამ ქვეყნას არ შოედება. შერ. ანკო, გენაცვალოს დედა, შეილო, სანამ ყვავსა და ყორანს ფრთებზე არ დაეკიდებათ, მანამ ხომ ჩემამდის არ მოაღწევს ეს შენი საიდუმლო? რად მიმაღავ, რომ შენ ტიტკო გიყვარს?... (ან. ერისთავი-ხოშტარია).

იგულისხმება, რომ როცა ვისიმე დასაძალავი რამ ამბავი გახშირდება, ბევრი იშორებენ. ბოლოს, სოფელში არაფერი დარჩება ვინმე, რომ არ გაიგოს ეს ამბავი. ჩვენი ხალხის ხატოვანი თქმით, ცაში სოფელს გარშემო მფრინავ ყვავ-ყორნებსაც მიეკვრებათ ეს ამბავი ფრთებზე და საცა მისწვდებათ, ყველაზე გაავრცელებენ: გაიგეთ, ასე და ასე მომხდარაო!

სანახიროზე დადგომა (ან გამოტანა) პრე. ვისიმე ნახირის გასაჩერებელ ადგილას დაყენება ან რისამე გამოტანა. ხვყ. შუა ალაგას, თვალსაჩინო, ყველასათვის დასანახავ, დასაძხარ და ხელმისაწვდომ ადგილას; გამოაშქარავენა. მკლ. უნდა თავი შეიკავო, საიდუმლო შეინახო! ვანა სანახიროზე უნდა დადგე და ყველას შეატყობინო — ასე და ასე იყოო!..

როცა სოფლის ნახირი საძოვრად უნდა გაერეკა მწყემსს, საქონლის პატრონები ერთ შუაგულ ადგილას მოურეკავდნენ ხოლმე თავ-თავიანთ საქონელს. უკან რომ დაბრუნდებოდა მწყემსი, სანახიროზევე მორეკავდა და პატრონები თავიანთ საქონელს შინ გარეკავდნენ. აქედან ფიგურალურად სანახიროზე უდრის რისამე გამოაშქარავენას, ყველასათვის დანახვენებას.

სანთელდაშრტილი ვარ პრე. ჩემი სანთელი გამქარაა. ხვყ. უბედური ვარ, უსაშველო ვარ, ჩემი საქმე უკუღმაა წასული.

სანთელივით დაწვა ის. სანთელივით დნობა.

სანთელივით დნობა პრე. სანთელივით სითხედ ვადაქცევა. ხვყ. გახლობა, დამქლევენა. შერ. ამას მოსთქმინის, იწვოდის, ვითა სანთელი დნებოდის (შ. რუსთაველი); შერ. მალე ორი თვე შესრულდება, რაც კარახელი ავად არის, სააქაო პირი აღარ უჩანს, დევით ვაქცავი ჩა დნა სანთელივით ლოვინში (ვათ-თუშაველი).

სანთელი მინთიხარ პრე. ჩემს წინ სინათლე ხარ დანთებული. ხვყ. შვილი მყევხარ საიმედო, შენ შემოგხარი, შენით სულდგმულვარ, შენზე ამომდის და ჩამდის მზე და მთვარე. შერ. რო დამეკარვა (შვილო), რაღა ვქნა, ერთი მინთიხარ სანთელი (მხორხული). ის. სანთელი მიქრება.

შვილი, ისიც ვაფი, თუ ერთადერთი ოჯახში, ქართველი ხალხის შეხედულებით, დედ-მამისათვის იგივეა, რაც ბნელაში მყოფი ადამიანისათვის სანთელი. უშვილო (უუყო) ოჯახი ჩვენს ხალხს დაღუპულად მიიჩნია, რადგან ოჯახში მათს სიკვდილს შემდეგ მათ კერაზე ცეცხლის შემნახავი არაფერი იქნება, მათ ვეზარის განმგებლობი მოიპობა. ამიტომ ერთ შვილს ისე შეჰხარიათ, როგორც ბნელში მყოფი ადამიანი წყვილილის გამშფანტველს, გზის მაჩვენებელ სანთელს.

სანთელი მიქრება პრე. სანთელი აღარ მინათებს. ხვყ. შვილი მიკვდება, ვუბედურდება, საცოდავი ვხდები. შერ. გენაცვალეთ, გამომყევით მღვდელთან, ვაწირვინო. მე ჩაქოლეილს ერთი სანთელი მიქრება, ჩემილოს ბატონები გაუწყარენ... (ელ. ჩერკეზი-შვილი).

ჩვენი ხალხს შვილი, შთამომავლობა მიიჩნია სანთლად, მისი ცხოვრების გამგრძელებლად და მანათობლად, ხოლო შვილის სიკვდილი, უძიოდ დარჩენა მისთვის უდრის სანთლის გაქრობას, ბნელში დარჩენას.

სანთელი მოასვენე პრე. სანთელი ჩაქრე. ხვყ. დიდხანს წვის შემდეგ სანთლის წვა შეიჩერე ძალ-ღონის აღსადგენად. შერ. დაიცა, დამსვი, სანთელს მოვასვენებ! (შ. არაჯიში-რელი).

წინათ, ღამით, დაწოლისას, კერიაზე ცეცხლს კი არ ჩააქრობდნენ, არამედ შეახვედნენ ნაცარში, რომ შერეო დილას ცეცხლი საძებარი არა ქპროდათ. მერე, ცეცხლის კულტის განვითარებისთან ერთად, ნებით და უნებლიეთ, ცეცხლის ჩაქრობა ცოდვად და დიდ უბედურებად ითვლებოდა. აქედან წარმოიშვა წყველა: წყალი დაგესხას ცეცხლზეო ან კერაზე ცეცხლი ჩაგქარესო, ე. ი. ამოწვდიოთ ისე, რომ ცოცხალი, ცეცხლის დამნთები არაფერი დაგირჩეთ სახლშიო.

ამიტომ ცეცხლთან დაკავშირებით სიტყვა ჩაქრობის ხმარება აკრძალული იყო, ცოდვად ითვლებოდა. როცა უნდოდათ ცეცხლის შეხვევა, იტყოდნენ — მოასვენე ცეცხლიო.

ესივე იტყოდნენ სანთელზედაც, როცა უნდოდათ ეთქვათ: სანთელს ნუ სწვამო, გააქრეს მაგივრად იტყოდნენ — მოასვენეო.

სიტყვა ჩაქრობის მაგივრად მოსვენება თანაბრად იხმარება როგორც კერაზე დანთებულ ცეცხლისა, ისე მოკიდებული სანთლის შესახებაც. **სანთლით საქმეებარე ჰრდ. სანთლის საშუალებით** საქონელი. **სჯვ. გულმოდგინედ** საქმენელი, ძნელი საქონელი, იმეოთად სანახავი. **შდრ. სოფელში**, კარგად ხელავენენ ბიჟის (თებერას) უნარსა. **ქვრივობლებისა და ხელმოკლე ოჯახებისათვის** სწორედ მისწრება **აყო და სანთლით საქმეებარე** (ვ. ბარნოი).

ლამეში ან, საზოგადოდ, ბნელაში, საცა თვალებით ვერასა ხელდავს ადამიანი, გზის გასაგნებლად და შიგ მოთაგნებულ საგნების გასარჩევად ადამიანს სანთელი-და გააჩნდა. ამიტომ შემდეგში თქმა „სანთლით საქმეებარე“ გადაიქცა სინონიმად გულმოდგინედ საქმენელის, იმეოთად სანახავისა.

ეს თქმა იმ დროისაა, როცა ადამიანმა სანთლის ხმარება იწყავლა და იმის საშუალებით ეძებდა ღამის სიბნელეში დაკარგულს რასმე.

სანთლის გაქრობა ჰრდ. სანთლის მომცემ (ქონისა, ცვილისა) ნივთიერების წვის შეჩერება. სჯვ. სიცოცხლის შეჩერება, სიკვდილი. შდრ. თორემ სამუდამოდ გაქრება დათეთა და მგელთა სანთელი (ვაფ-ფშაველა); **შდრ. თქვენ** გაანათეთ სამყარო, ეგ რომ გამიქრა სანთელი (ვაფ-ფშაველა).

სანთელი, მისი საშუალებით სამყაროსი და გარშემოშოფ ადამიანთა თუ საგანთა ხილვა—სიმბოლოა სიცოცხლისა არსებობისა. სადაც სანთელი, სინათლე არ არის, იქ სიბნელეა, წყევლიაღია, სიწორებლე, ქვეყნად არსებობა ქრება. **საპრასე არ მომიფუცენო!** ჰრდ. პრასის დასათესი ადგილი არ დამიტკეპნო ფეხით, რომ ამოსვლა დაუშალო. **სჯვ. ვერას დაშაკლებ, ბუზსაც ვერ ამიფორენ.**

საპრასე საერთოდ იმერეთში და კერძოდ გურია-სამეგრელოში პატარა ბოსტანსა ჰქვიან, სადაც პრასასთან ერთად სხვა მწვანელოც ითესება, როგორც ნიჟურის (სონა), ობრახუშის (მაკილო), ქინძი და სხვა. მაგრამ პრასას იმათში საპატროადგილი უქირავს და მთელს ბოსტანს საპრასეც ალბათ იმიტომ დაერქვა. მისი მოთვლით მიინცადამინც დიდი ზარალი არ მოუყა მოსახლეს, მაგრამ ამ თქმით მტერს აგროძობინებს,

რომ საპრასე რა არის, იმასაც კი ვერ დამიზარალებო.

საპურყველო ლაპარაკი (რომელსამე ეხანე) ჰრდ. პურისა და ყველის სახელის ცოცხნა ლაპარაკში. **სჯვ. ორიოდ უსაქიროეს სიტყვის ცოცხნა რომელსაწე ეხანე.**

სარბიელი ჰრდ. ადგილი გარშემოვლებული ფიცრით ან მესერით ცხენების ან ეტლების სარბენლად. **სჯვ. ცხოვრების გასავლელი მანძილი, თვით ცხოვრება. შდრ. და დღე** თითქმის ისე არ გადის, რომ სადმე, რასაკვირველია, განათლებულს ქვეყნებში—კი კოტად თუ ბევრად დედათა საქმე ფეხს არ იმაგრებდეს და ცხოვრების სარბიელზედ კოტ-კოტობით მიინც ადგილს არ იპყრობდეს შემდეგის წარმატებისათვის (ილ. ბეჟავე).

სარდიონად წასვლა ქორწილში ჰრდ. სარდიონის მსგავსად წასვლა ქორწილში. სჯვ. საპატრიეებლად წასვლა სადმე, ურიდობა, კანდიერება, უსირცხვილობა, თავხედობა. **შგლ. პეტრეს** თავის შვილის ქორწილი ჰქონია, მოდი, რაც იქნება, იქნება, სარდიონად წავიდეთ!..

ჩვენებურ ქორწილში სტუმრები მეფიანთაგანაა მოწვეული; არიან მოწვეულნი დედოფლიანთაგანაც. მაგრამ გამოიერევა თავმოყვარებობაზე ხელალებული კაცი, რომელიც არ დაგიდევთ ამ წესს, აილირებს თავს და გაერევა მექორწილებში, ვითომ აქ არაფერი! ნეფიანთ ეგობრთა, რომ დედოფლიანთის მხრივად დაპატრიეებული, ხოლო დედოფლიანნი ფიქრობენ, — ალბათ ნეფიანთ წვეულიაო. კითხვით არაყინ შეჰკადრებს — ვინ მოგიწვიათო?

სწორედ ასეთი ტიპისა ყოფილა რაკაში ერთი ვინმე სარდიონი, რომელიც ბერეს არ დაგიდევდათ, — დაპატრიედნენ, თუ არა, ქორწილში სარდიონს თავი ისე ექირა, ვითომ ქუდით იყო მოწვეული (იხ. ქუდზე ძახილი). სარდიონს მიმბამეილენიც აღმოუჩნდნენ, — და ამბობდნენ: მოდი, ამა და ამა სარდიონში სარდიონად წავიდეთ. ხოლო სარდიონად წასვლა გადაიქცა ურიდების, უსირცხვილობის, თავხედობის სინონიმად.

სარეკელა ნამდვილი ჰრდ. სწორედ სარეკელასა ჰგავს. **სჯვ. თავის წამლებად,**

უაზროდ და გაუჩივრებლივ მოლაპარაკე, ლაქლაქა. მგლ. ე ოჯახქორი სარეკელაა ნამდვილი. რა-კი ერთი დაიწყებს რატრატს, მერე კი აღარ გაჩერდება.

სარეკელა წისქვილის ქვაზე დაიდებული ჯოხია, ფეხის მსგავსად გათლილი, კრიკაზე მობმული. წისქვილის ქვის მოძრაობისაგან ისიც მოძრაობს და კრიკადან ხორბალს ჩამოჰყრის ხოლმე წისქვილის ქვაში ჩასაცვენად. სარეკელას ერთთავად კაქუნი გაულის. და აი სარეკელა კაქუნსაა და მსგავსებული ლაპარაკი ყბებისა და უაზროდ მოლაქლაქე ადამიანისა.

სარკე პრ. გლუვი და ზურგიდან მოკალული შეშა, რომელიც ზედაპირიდან აირეკლავს ხოლმე საგნებს. სკვ. რაც გამოხატავს რასმე და ჩვენ თვალწი აყენებს. შრ. მეორეს მხრით. იგი (ეურხალ-გაზეთობა) არის სარკე საზოგადოების რთულის ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა (ილ. კავკავაძე).

სარმის გამოკვრა პრ. კიდაობის დროს საამარებელი ილეთის ხმარება, მოწინააღმდეგის მოულოდნელად დამარცხებისათვის სკვ. მოულოდნელად ღალატი, არდნდობა. შრ. გარდა ამისა, სამინისტროს ღუპისას, რომელიც თავით ფეხამდე ბურეუზიას ეკუთვნის, სარმა გამოკვრა (პარლამენტმა) და ძირს დასცა (ილ. კავკავაძე).

სარტყელში ხელის ჩავლება პრ. ქამარში ხელის მოკიდება. სკვ. ერთად ყოფნა, მოუშორებლობა, უკან დევნა. შრ. ერთად-ერთი მიგობარი შენა მყეხარ ამ ქვეყნად, მხოლოდ შენთვის ჩამიკლია სარტყელში ხელი, მაგრამ ხანდახან ისე შეჩვენება, თითქო შენც უნდა ხელიდან გამიხსლტე და მიეთარო ჩემს თვალთავან (ჟ. ბარნოვი).

სარჩო ამაჰლის ბანშია პრ. საზროლო, საქმელ-სასმელი სახლში აღარ ეტევა და ქვევიდან ზევით, სახლის ბანში (იგულისხმება მიწური სახლის ერდო ანუ სართული) ამოსდისო. სკვ. მდიდარია, შეძლებულია, ყველაფერი თავსაყრელად აქვს. შრ. სარჩო ამაჰლის ბანშია, ოქრო და ვერცხლეულობა აღარ ეტევა კარშია (ხალხური სიტყვიერება).

გაზვიადებული თქმა დიდი ქონების პატრონობის გამოსახატავად. მოკლე-

დაც გამოსთქვამენ ხოლმე იმავე აზრს: „ბანში ამოსდისო!“ იგულისხნება ყველაფრით უზომო სიმდიდრის პატრონობა, განსაკუთრებით საზრდოსი, როგორც აუცილებელისა არსებობისათვის.

სარჩოს პირი პრ. ქონების პირისახე. სკვ. ცხოვრება, სარჩო-საბადებელი საქმელ-სასმელი. შრ. მოვიდოდი და თან იმაზე ვფიქრობდი, რომ სარჩოს პირი ზოგს იმთავითვე დაყვება ბუნებით; ქვიდან გამოიღებს და შეიძენს კი (ჟ. ბარნოვი).

სარჩული პრ. ქსოვილი, რომელსაც უღებენ ქვეშ ტანისამოსს და რომელზედაც დამყარებულია საპირე ანუ ტანისამოსის პირი, გარეთა, ზედა ნაწილი. სკვ. საფუძველი, მასალა, დასაყრდნობი, დაფარული მიზეზი. შრ. ამის გამო არც ერთი უეჭველი საბუთი არ უღვეს სარჩულად არცერთს ისტორიულს ფაქტს ჩვენის ხალხის ცხოვრებისას (ილ. კავკავაძე); შრ. ისხდნენ მეგობრები, ჩიბუსს შეეჭკოდნენ, იტყობდნენ თითქო გულუბრკველოდ; კარგათ კი იცოდნენ, რა სარჩული ეღვევა მათ ტკბილ მუსიკას (ჟ. ბარნოვი).

სარჩული სჯობს საპირესა პრ. ტანისამოსის ქვედა მხარე სჯობს გარეთა მხარეს. სკვ. თქმის ისეთ რამეზე, რომლის მეორეხარისხოვანი ნაწილი მთავარ ნაწილსა სჯობს.

სარჩული ქსოვილია, რომელიც ქვეშიდან აქვს დადებული ტანისამოსს, ხოლო საპირე გვექვეა ტანისამოსის გარეთა მხარისათვის. საპირე სულ მუდამ უეჭეთისა ბოლმე სარჩულზე. ეს თქმა ორ-აზროვნობითია და იხმარება, როცა ქალბატონი გარეგნობით ნაკლებია თავის მოსამსახურე ქალზე, ე. ი. მოსამსახურე ქალბატონისა სჯობია და როცა თავაზიანობისათვის არ უნდათ ქალბატონის უღამაზობა პირდაპირ დაასახელონ და გაურბიან პირში სიმართლის თქმას.

ხასა გაიქრე! პრ. სასა ქარს მიეცი, სასა მოისპე. სკვ. გაჩუმდი, ნულარ ლაპარაკობ.

სასაცილოდაც არა ყოფნის პრ. სასაცილო მასალასაც არ იძლევა რამე საგანი. სკვ. სრულებით არ არის ყურადღების ღირსი, სერიოზულობისა არა სცხია რა. არც კი გააცინებს კაცს. შრ. ბალღებს, რასაკვირველია,

გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავესტ
 ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და
 უკვირთ, როგორც ერთი რამ უტუ-
 უყარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა
 და მეცნიერებისა. ქუუა-დამჯდარს
 კაცს-კი ეს სამახსარო ოინები სასა-
 ცილოდაც არა ჰყოფნის (ილ. ჰავაჰაჰა);
 შერ. უსუსურმა ბავშვმა გამ-
 ქურდა. ტისაც ვეტყვი, დამცინებს,
 ჯალბასაც კი სიცილად არ ვე-
 ყოფი (ილ. ჰავაჰაჰა).

სასახლე პრ. მეფის, ვინმე დიდებულის
 ანაშექლებულის საცხოვრებელი დიდ-
 მშენიერი სახლი. სვე. კუბო, მიცვა-
 ლებულის ჩასასვენებელი.

მიცვალებულის კულტი, რომელიც
 არსებობდა ყველა ერში, ქართველებში
 უკიდურესობამდე იყო განვითარებული.
 ეს კულტი ავალბდა განსაკუთრებული პა-
 ტივის ცემის გამომხატველი სიტყვები ეხ-
 მარნათ მიცვალებულის ხსენების დროს.
 როცა უნდოდათ ეთქვათ—მავანი მოკე-
 ლაო, ამბობდნენ მიცვალა ან განისყე-
 ნაო, ან როცა სურდათ ეთქვათ სისაფ-
 ლაოზე წაიღეთ მიცვალებულიო, ამ-
 ბობდნენ: წავასვენეთო. კუბოს, რომელ-
 შიაც ჩასვენებული იყო მიცვალებული,
 როგორც განსაკუთრებული პატივისცე-
 მის ღირსს საგანს, სასახლეს უწოდებ-
 დნენ.

სასახლე ააგო პრ. სახლის ასაშენებელი
 ადგილი მოზომა. სვე. და დაცი-
 ვით: მიწაზე გაიშლართა. მგლ. ნაწ-
 იმარი იყო, კაცს ფეხი უცურდებო-
 და. ამ დროს გამოიარა შოთამ და
 თქვენი მოწონებული სასახლე
 ააგო.

ძირს დაცემული ადამიანის სხეული მის
 მოყვასში დაცივით და გაზვიადე-
 ბით დადარებულია სახლს, რომელიც
 ქვევიდან (საძირკვლის ჩაყრით) იწყება,
 მსგავსად წაქეუული ადამიანისა, ზეზე
 წამოდგომამდე მიწას რომ იყო დაქ-
 რული.

ამბობენ აგრეთვე, როცა ვინმე წაი-
 ქცევა—სასახლე მოზომაო, ე. ი.
 სახლის დასადგმელად საჭირო ადგილი
 მოზომა თავისი სხეულთათო.

იმავე წაქეული კაცს ზოჯჯერ და-
 ცინვითვე შეეკითხებიან: ვინ მოგცა სახ-
 ლის (ადგილის) მოზომვის ნებაო?

სასახლე მოზომაო ის, სასახლე
 ააგო.

სახისხარი პრ. სისხლის დანთხვის გა-

მომწვევი ადგილი გინა საქმე. სვე.
 საშიში ადგილი, სადაც მოსალოდნე-
 ლია დაქრა, სიკვდილი, სამაგიეროს
 გადახდა.

სახსრობა პრ. სიმძიმის საზომი ხელსა-
 წყო. სვე. სიმართლის წარმოება,
 ემბლემა სამართლიანობისა. პრ.
 თურმე ნუ იტყვიო, ჩვენს საზოგადო-
 ებას, ხალხს თვალ-ყური სჭერია თა-
 ვის შვილებზედ, თვალყური უდევნე-
 ბია მის მოქმედებისათვის და უტყუ-
 არი სასწორი სჭერია ხელში, რომ
 კაცი მართლა მართო მის კაცურის
 ღირსების კვალობაზედ დაფთხოს
 (ილ. ჰავაჰაჰა).

სახსლავის წვერამდე მივიდა ის, სასხ-
 ლაე ის წვერზე ჰკიდია.

სახსლავის წვერზე ჰკიდია პრ. ვაზის
 რქის მოსაჭრელი იარაღის წვერზე
 ჰკიდია. სვე. უკიდურეს დღეშია,
 ხსნის გზა აღარა აქვს, იღუპება. მგლ.
 უკიდურეს დღეში ვარ, ძმაო, რომ
 იტყვიან—სასხლავის წვერზე
 ჰკიდიაო, სწორედ ისეა ჩემი საქმე.

ვაზის გასხვლის დროს ზედმეტ რქას
 მოასხლავენ, მოაშორებენ დედა-ვაზს,
 რომ დატოვებულმა რქებმა უკეთ გაი-
 ხაროს და ნაყოფი მეტი მოიხსნას. ამ
 ზედმეტი რქის მოსაშორებელი იარაღს
 სასხლავი ჰქვია, მოკაუქებული წვერი
 აქვს და მეტად მკრელია. თქმა გუ-
 ლისხმობს ადამიანის ყოფნას ამ სასხ-
 ლავის ძალზე გაღვსილ წვერზე, რომელ-
 ციც, რქის მოსხვლის მსგავსად, თუ
 მკვდარი არა, მძიმედ დაქრილი მაინც
 ძირს დაეცემა.

ამიტომაც, რომ თქმა—სასხლავის
 წვერზე ჰკიდია, გამოხატაის ადამიანის
 უზომოდ გაჭირებულ ყოფნას.

სატალახო პრ. რაც ტალახისათვისაა
 საჭირო. სვე. ღვინო, რომელსაც წვე-
 ულების დასრულებისას სვამენ და
 სატალახო ჰქვია. მგლ. საღლეგრძე-
 ლობების სმას, ეს არის, მოვრჩით.

მოდ, ახლა ბარემ სატალახოც
 დავლიოთ და მოვრჩით ყველაფერს.
 ძველათ, როცა წვეულება რამე,
 ლხინი დასრულდებოდა, ცოცხლების
 საღლეგრძელს და მიცვალებულთა შე-
 სანდობარს და საყოველღწმინდაოს და-
 ლევდნენ. სტუმრები, ის იყო, უნდა და-
 შლილიყვნენ, საბოლოო დასაღვევი იყო
 სატალახო, ე. ი. იმისა. რომ ტალახში
 არსად ჩავარდნილიყვნენ, შინ მშვიდო-

ბით და უვნებლად მისულიყვნენ. აქედან სატრალახო იქცა ყოველისავე საქმის დასასრულებელ, საბოლოო აქტის სინონიმად.

სატანაც ვერას დასტყუებს ჰრ. თვით სატანა იოტყუებით ვერას წაართმევს. **სტვ.** ეშმაკიც ვერ აჯობებს, ქუეჩანია. **შრ.** ჩემ მაკარინეს სატანაც ვერას დასტყუებს, ვაი არა აქვს შენს პაულებს (გ. ერისთავი).

სატკივარი ჰრ. ცელილება ჯანის სიმრთელისა, ნორმალურ მდგომარეობი-საგან გადახრა. **სტვ.** ვაქრება, საზრუნავი, დარდი. **შრ.** გლუბკაცობა-მაიც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამასუქია, რომ თავის სატკივარს თითონვე უნდა უწამლოს, თავის თავს თითონვე უნდა უშველოს (ილ. ჰავეაძე).

საუკუნო ძილი ჰრ. საუკუნოების განმავლობაში ძილის მდგომარეობაში ყოფნა. **სტვ.** სიკვდილი. **მგლ.** ჩვენმა ნაცრობმა ამ ერთი თვის წინათ თქვენი ქირი წაიღო, — საუკუნო ძილით დაიძინა.

საფანდოლ გახდომა საქმისა ჰრ. ხერხის, ეშმაკობის დაქირება საქმეში. **სტვ.** შეუძლებლობა სწორე გზით საქმის გაკეთებისა, საქმის გაფუჭება.

კაცმა ვინმე ცოლს კუროსთან წაასწრო. დაქვიდა თავის ქულის შემარცხვენელს. საქმე რომ მისპირდა, ცოლმა ლოგინიდან მიიძახა: „ფანდოლ უყავი, ჩემო ქმაროვო.“ — „საფანდოლ არ უნდა გაგეხადა საქმეო“ — უპასუხა ქმარმა.

საფანელი ჰრ. ფქვილი, რომელსაც ცომის დაგუნდავების დროს ხმარობენ, რომ ცომი არ ეკრობოდეს არც ფარცლსა და არც ხელებს. **სტვ.** ქონება, შეძლება, საშუალება არსებობისათვის. **შრ.** რასაკვირველია, პირდაპირ სახლში ცხოვრებას და მეგობრობის გაჩაღებას ჯერ ვერ შეისძლებს, რადგან ოჯახს ახლად მოწყობა უნდა, ხოლო მოწყობას — ბევრი საფანელი (ვ. ბარნოვი); **შრ.** ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელი (ხალხური ანდაზა).

საფარი ჰრ. დასამალი, თავის გადასარჩენი ადგილი. **სტვ.** მფარველობა, დაცვა, გადასარჩენი. **შრ.** სხვა მადის მწყურვალმა სულმა კაცისამ იგრძნო, რომ ამ მოძღვრების („თვალის თვა-

ლისა წილ, კბილი კბილისა წილ“) საფარ-ქვეშ ველარ იდგომილება დიდხანს (ილ. ჰავეაძე).

საფიცო მადგას ჰრ. გულისმოსასვლელი მიერის. **სტვ.** მიერის, უკიდურეს მდგომარეობაში ვარ.

საფლავიდან ამოღება (მამა-პაპისა) ჰრ. საფლავის გათხრა და იქიდან დამარხული შიცვალეზულის ნეშტის ამოღება. **სტვ.** შეგინება მიცვალებულისა, გაუპატიურება, გალანძღვა. **შრ.** არავინ გლეხი, როგორც არავინ კაცი, ისეთის ლანძღვით და თრევით თავის მამა-პაპის საფლავიდან არ ამოიღებს, ასე არ გააუპატიურებს თავის დედ-მამის ხსენებას (ილ. ჰავეაძე); **შრ.** არ ერჩივნა, ქალები ჰყოლოდა, ლუკმა-პურს მადლიანად შეაქვდნენ, უკანასკნელს დღეებს არ ჩააშამებდნენ, სულსა და ხორცს არ შეუგინებდნენ, ლანძღვით მამასაც საფლავიდან არ ამოიღებდნენ (გან. შენთმამუილი); **შრ.** მომდგა ამაზედ (გიორგი) და ქიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა (ილ. ჰავეაძე).

ქართველთა მიცვალებულის დასაფლავების წესის თანახმად, მიცვალებულის გვამი უშეკვლად დასაფლავებული (მეგრულად: ფულუა — დამალვა, საფულე სამალავი), ანუ არც იგეგვა, დამალული უნდა იყოს, და არავინ დაძრას ადგილიდან. ამიტომ ცხადია, მიცვალებულის საფლავიდან ამოღება შეუძლებელ და საშინელ ცოდვად ითვლებოდა ქართველის თვალში!..

საფლავი მეთხრება ჰრ. ჩემოვის საფლავსა სთხრიან. **სტვ.** ვკვდები. სიცოცხლე მესპობა. **შრ.** შვილი მიკვდება, ერთადერთი ვაჟკაცი, დათავიანებული შვილი. ცეცხლზე წყალი მესხმევა, ცოცხალს საფლავი მეთხრება! (ან. ერისთავი-ხომტარია).

საფლავის გათხრა ვისთვისმე ჰრ. მიწის გათხრა ვისისამე დასასაფლავებლად. **სტვ.** სასიკვდილო დაუზოგველობა. მოსისხლე მტრობა. **შრ.** რომელთა მეცნიერნი, საცა გინდათ და არ გინდათ, მთელს ქართველს ერს — დიან. მთელს ქართველს ერს! — თავზე ლაფს ასხამენ ქვეყნის წინაშე და საფლავს უთხრიან (ილ. ჰავეაძე).

ხაფლავის გათხრა თავისივე ხელით პრ. თავისთვის საფლავის მომზადება, თავისავე ხელით. ზკვ. სასირცხვილო საქმია ჩადენა (რის შემდეგ კაცს თავის მოვლელად დარჩენია), თავის შერცხვენა. შპრ. მამ როგორა კნებავს ან გერკნაინაში გამეცნიერებულს ვაებატონს, რომ ბანკმა თავისის ხელითვე საფლავი არ გაითხროს? (ილ. პაპუაძე).

ხაფლავის კარებამდე პრ. საფლავში შესასვლელამდე. ზკვ. სანამ ცოცხალია. სიკვდილამდე. შპრ. და ამიტომაც ადვილად მისახვედრია, რომ თავი ვახტანვს (ორბელიანს) საფლავის კარამდე მიჰყოლია ეგ სიყვარული კითხვისა (ილ. პაპუაძე).

ხაფლავის მთხრელი პრ. მიწის გამთხრელი ვისსანე დასასაფლავებლად. ზკვ. დაუზოგველი, მოსისხლე მტერი, მკვლელი, დამლუპველი. შპრ. მართალია, კრედიტი ორპირი მახვილია! ვინც კრედიტით მოპოვებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გააძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფება და ვინც გაჭულანავს და ქერში ქულის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოშკერელია და საფლავის მთხრელი (ილ. პაპუაძე); შპრ. ხმალს ნუ ჩახედავ, მოყმეო, ხმალი მშიერი მგელია. გაგიქრის, გაგიხალიხებს, ბოლოს საფლავის მთხრელია (ვაჟა-ფშაველა).

ხაფლავი ჯერ კიდევ სველ-სველი იყო პრ. საფლავი ჯერ კიდევ მშრალი არ იყო. ზკვ. დიდი ხანი არ იყო გასული მიცვალებულის დამარხვიდან.

ხაფლავში გადატრიალება (მიცვალებულისა) პრ. საფლავში მდებარეობის გამოცლა. ზკვ. მეტად ცუდის ამბის გავიგება, სასირცხვილო საქმე, შეურაცხყოფა. შპრ. მოჯამაჯირედ უნდა დაეღებე. გული შენ აღარ მიღება (უთხრა გიორგიმ დედას).

— **ეგ რა სთქვი, შეილო?** მამის შენის შეილი და ბოჯანო მოჯამაჯირობა? საიდან სადარო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამა-შენი სირცხვილისაგან... (ილ. პაპუაძე).

ხაფლავში ჩასვლა პრ. საფლავს შიგნიდან ზოთავსება ხსეულისა. ზკვ. სიკვდილი, სიცოცხლე განზორბება.

ხაფლავში ჩაყოლა პრ. საფლავში მიცვალებულთან ერთად ცოცხლად რომ

დაიმარხოს კაცი. ზკვ. სხვისი უზომო სიყვარული. სხვისთვის თავის დაუზოგველობა, სხვისთვის თავის დაწირვა. მკლ. გირჩენია შენ თავს შენ თვითონვე მოუარო და შენთვის იხრუნო, თორემ არ გეგონოს, საფლავში ვინმე ჩაგყვეს!

უნდა ვიფიქროთ, რომ ძველათ, ჩვენში ჩვეულებადა ჰქონდათ: ვინმე რომ მოკვდებოდა, საფლავში თან უნდა ჩაჰყოლოდნენ: ცოლი—ქმარს, მონა და ყმა—ბატონს, დედა—შვილს. ამნაირად, მიცვალებულს საიქიმოში უნდა გაჰყოლოდნენ, როგორც ერთგულნი მოსამსახურენი, რომელნიც უხად იყვნენ მიცვალებულისათვის თავები და ენოცნათ და საფლავში ჩაჰყოლოდნენ.

დღეს ეს თქმა გამოძახტეულია უსაზღვრო ერთგულებისა, ერთის მიერ მეორისათვის თავის დაუზოგველობისა. მისთვის თვით სასიკვდილედ მზადყოფნისა.

ხაფლავში ჩაყოლება პრ. მიცვალბულისათვის რისამე ან ვისამე ჩაყოლება საფლავში. ზკვ. საუკუნოდ შერჩენა, სამუდამო მითვისება. შპრ. სხვა ვინ ჩაჰყოლია საფლავში ვისმე, რომ მამაშენმაც იმათ მიჰბაძოს?!.. (ან. ერისთავი-ხუმბარია); შპრ. რომ ეს დიდი დანაშაულობა თან არ ჩავიყოლოთ საფლავში და კუუაბრწყინვალე მომავალი თაობის უკუდასაღებად არ შევიქნათ, გემართებს ახლა მაინც დროებით უკან მიიყაყნოთ ზოგიერთი მაგრე რიგად არა საჭირო ცხოვრების კითხვებიც, კერძო პიროვნული შენ-ჩემობაც (დ. მაჩაყალი).

ძველათ სწამდათ, რომ მიცვალბული საიქიმოშიაც განაგრძობდა სააქაო, მიწიერ ცხოვრებას. მამასადამე, ამ მიცვალბულს თან უნდა ჩაჰყოლოდნენ მისი ცოლი, მონა-მოსამსახურენი; უნდა ჩაეყოლებინათ ცხენი, იარაღი და სხვ. ეს ასე ხდებოდა ძველათ, თელი კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე. შემდეგში, როცა ზნე ჩვეულება ხალხისა უფრო შერბილდა და წინანდელი საზარელი სახე შედარებით ჩამოეკალა, დარჩა მხოლოდ მიმსგავსება; მოგონება წარსულისა, სიმბოლურად ჩაყოლება საფლავში ცოლისა და სხვებისა. ასე, მაგალითად: თვითონ ცოლის მაგიერ მისი მოჭრილი თმები ჩაჰყებოდა საფლავში მიცვალბულ ქმარს; მონების მაგიერ—მათი მოჭრილი ყურები; იმის მაგიერ, რომ ცოცხალი ცხენი ჩა-

ეუკლებინათ, მიცვალბულის ნაჯდომ, შავებგადაფარებულ და შეკაზმულ ცხენს რამდენჯერმე გარშემო შემოატარებდნენ საფლავს და ასეთი სიმულაციის შემდეგ შინ წამოიყვანდნენ. იარაღის, თამბაქოს, ტალკევისის, ხელადით ღვინის ჩატანება კი დიდხნობამდე დარჩა.

ახლა რომ ვიტყვი — საფლავში არავინ ჩავყავდა, ან საფლავში არ ჩავყვებო, ნიშნავს: შენთვის არავინ იღარდებს, თავს არავინ შეიწუხებს. ან შენთვის თავს არ წევიწუხებს, შენი ღარდი არა მაქვსო.

საფლავში წაღება პრ. საფლავში ჩატანა. სვ. შეუსრულებლობა, მოუსრულებლობა რისაზე გაკეთებისა. უღრ. რამდენი რამ უნდაოდა ეთქვა სიცოცხლის დროს სულის დღევის ეაზს (ქარახელს). მაგრამ სნეულებამ არ მისცა ნება და ყველა სათქმელი საწუხარია, რაც რამ ჰქონდა, საფლავში წაიღო, თან გაიყოლა (ვაფ-ფაველა).

საფუძვლით შერყევა პრ. შერყევა შენობას იმ ნაწილისა, რომელზედაც ეს შენობა დამყარებულია. სვ. სისუსტე, მომავალი დანგრევის ნიშანი, მოსპობა, დამარცხება. უღრ. იძულებული შეიქმნა თბილისის მიდარობებში შებენობა და კაცი თუ ქალი გამდიდრებულ მტერს და დამარცხდა. კინალამ თავი წააგო. საფუძვლით შეირყა მისი სამეფო ტახტი (ე. ბარნოვი).

საფქვავის დაფქვა პრ. წისქვილის ქვით დაფშენა, ფქვილად ქცევა მარცვლეულისა. სვ. ხელის მომართვა, გამარჯვება, საქმის გაკეთება, მოგება. უღრ. დაიფქვის იმით (ეთურისა და დუთას) საფქვაკვი, საჯერო, გინდა ხალია (ვაფ-ფაველა).

საქალამნე პრ. ქალამნის სასყიდელი ფული ან ქალამნის ჩამოსახმელად სამყოფი ტყავი. სვ. გასამარჯელო; ქრთამი, მოსასყიდი, ფეხის ქირა. უღრ. ყაღმა (თხრობა ბოძანა (უსხი-სა). მასცა საქალამნე ერავებოდა. ქოსას ვინდა რას ეუბნებოდა! (ს. ორბელიანი); უღრ. ნუ თუ არ გაგიგონია იმისი ხმა, რომ გააგრძელებს ხოლმე თავის ენასავით, გასწვილებს და გაპიკილებს. ერთი მობიდან მესამე მთაზე გაიგონება იმისი ხმა, უნდა იმას შეეხებოდა და გამოვართვა წამლები, იქნება. თვითონაც წამოვიდეს, ფეხის ქალამანს მე მივცემ, იმაზე

შენ არ შეგაწუხებ (ვაფ-ფაველა).

ძველათ, როცა ჩვენი მდაბიო ხალხი ფეხშიშველად დადიოდა, ამოსხმულ ქალამნის ჩაცმა შეძლებულთა პრივილეგიას შეადგენდა. ღმერთისათვის ქალამანი ნატერის საგანი გახლდათ. აი, ასეთ დროს ვინმე ვისმე რასმე დაევალებდა, იგულისხმებოდა, რომ დაევალების შესასრულებლად საქირო იყო სადმე წასვლა, შორი უგზო გზის გავლა ფეხით, და ამისათვის ფეხისქირად დაპირდებოდნენ საქალამნე ტყავს ანუ, მოკლედ, საქალამნეს. საქალამნე ტყავი დროთა ვითარებაში გადაიქცა დასახმარებელ, ვისსამე მოსაქრთამავ, გულის მოსაგებ, სამართლის სასწორის თავისკენ გადმოსახრელ საგანად. მეგრულში ქალამნის სახელად დღემდე დარჩენილია ძველი ქართული სახელი, აწ თანამედროვე ქართულ ლაპარაკში დავიწყებული და დარჩენილი მხოლოდ ს. ორბელიანის ლექსიონში — ჩაფულა. ჩაფულა ანუ ჩაფულას (იმავე ქალამნის) შიცივა ვისთვისმე მეგრულად ნიშნავს ქრთამის შიცივას, ვისსამე მოსყიდვას.

ქართლ-კახეთში სიტყვა საქალამნე იხმარებოდა ვისთვისმე რაიმე დაევალების ასრულებისათვის გასამარჯელოს შიცივის მნიშვნელობით. სიტყვა საქალამნე სიყვებდნენ აგრეთვე რუსულად თუნდინი ქალაქის ფულის აღსანიშნავად. რუსეთის სახელმწიფო ხაზინის საკრედიტო ათთუნდინი სქელ ქალაქზე იბეჭდებოდა და ხალხი ხუმრობით ამსგავსებდა საქალამნე ტყავს. და თუ ვისმე ორი-სამი ათთუნდინი ჰქონდა, იტყოდა ხოლმე: ორი-სამი საქალამნე მაქვსო.

საქვეყნოდ დაღება პრ. ქვეყნის წინაშე რომ დაიდება ვინმე. სვ. ყველას სალაპარაკოდ გახდომა, ყველას მიერ ყბადღება, ყველასაგან კილვა-დაცინვა, ყველას მიერ დაზარაბვა. უღრ. არა, შეილო, ცემა როგორ იქნება (კოლისა) უფრო საქვეყნოდ და ვიდებით (ნ. ახანი).

ვისსამე საქვეყნოდ დაღება გულისხმობს ვისგანმე ჩადენას ისეთის საქმისას, რომლის გამო ილაპარაკებენ და ყველანი ამ საუფო საქმის ჩამდნენ დაპგობნენ, გაპიკილდნენ, ყბად იღებენ. საქმე გავიჭირე პრ. საქმე ძნელ გასაკეთებლად გავიხადე. სვ. განგებ ძნელ გარემოებაში ჩავიგდე თავი.

შერ. შენ-კი. მკითხველო, ის-კი არ იცოდე, რომ თითო სიტყვას, რასაც ეს წერილი ქვევით მოგახსენებს, იქნება თითო კანტი სისხლიც თან ამოჰყოლოდეს. რახედ გაიკირე საქმეო, ნეტყვი შენ (ილ. პავჰაძე).

საქმე საქმეზედ მოიყვანა ახ. საქმის მოსვლა საქმეზედ.

საქმეს შესციონებს ჰრდ. საქმიანობას მოციინარი სახით უყურებს. სვც. მხიარულად აცეთებს საკეთებელს. შერ. ესეც იმისათვის გულმოდგინება, დაუხარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძენულად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესციონებს სო.—სულ პირდაპირგემილია და წარბშეკრულიო (ილ. პავჰაძე).

საქმე შემოგელია? ჰრდ. საქმე არა გაქვს? სვც. არაფერი გენადლეება, დარდი არაფრისა გაქვს. შგლ. შენ, ჩემო ძმო, საქმე ხომ არა შემოგლევი ა, უთენია ფულს რომ მთხოვე უფულო კაცსა?!

ასეთის საყვედურის კილოთი მიმართავენ ხოლმე ისეთსა, ვინც თავის მოქმედებაში კანონზომიერებას არ იჩენს და სხვასაც ხელს უშლის რისამე გაკეთებაში.

საქმე შეფერხდა ჰრდ. საქმე გაჩერდა. სვც. საქმე დაბრკოლდა. შგლ. არა გვიშავდა რა, მაგრამ ამ უქანასკნელ დროს ჩვენი საქმე როგორაც შეფერხდა.

სიარულის დროს ფეხების უხერხულად გადადგმას მიჰყვება სიარულის თუ სულ შეჩერება არა, შენელება მაინც, რასაც ვეძახით შეფერხებას, გადატანილად შეფერხება გვიქვია ამოძრავებულ საქმის შეჩერებას, დადგომას, მის წინსვლის შეწყვეტას.

საქმეში ჩაფურთხება ჰრდ. ნერწყვის გარევა საქმეში. სვც. საქმის გაფუჭება. შერ. ოპ, ლმერთმა გკითხოს, ალექსი მელიქიჩ, როგორც მე შენ თავი მომჭერი! ეგვე, ძმავე, საქმეში შენ ჩააფურთხე და შენვე გაასწორე, მე არაფერი ვიცი! (მელანი).

საქმე ჩემთან გექნებათ! ჰრდ. ჩემთან ისაქმეობ. სვც. დაუსჯელი ვერ გადამირჩებით. დანაშაულს არ შეგარჩნთ, სამაგიეროს გადაგიხდით.

ნუქარის გამომხატველი თქმაა, როცა უნდათ ამ ნუქარას ზრდილობიანი თორბა მისცენ.

საქმე წახულია ჰრდ. საქმემ აქედან აღ-

გილი გადაინაცვლა, აქ არ გაჩერდა. სვც: დალუპულია, გაფუჭებულია, და ზარალებულია, შერ. ბიჭო, მძინარეს ჯიბეები დამაქრებს!... არა, შვილო, რაკი ქართველმა რუსული შლაპა დაიხურა, იმისი საქმე წახულია (ილ. პავჰაძე).

საქმის დაწვევა ჰრდ. საქმის ქმნა. სვც. კულის საქმის ქმნა, მტრობის გამოჩენა, შურისძიება, სიამის მიგება. შერ. საქმე ის არის, რომ მანამ კუტრული ტუფლისში იყო, სომხების ქება-დიდებაში მოიღალა, ხოლო როცა წავიდა ერევნის გუბერნიაში და თავისის თვალთ დააკვირდა სომხებს, მაშინ ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ—კი საქმე იმათ დააწვიო! მოჰყო პირი და ბრე გააღინა (ილ. პავჰაძე).

საქმის მოსვლა საქმეზედ ჰრდ. საქმედ ქცევა საქმისა. სვც. დამთავრება, დასრულება საქმისა, რისამე გაკეთება. შერ. მოსე—შენ თუ შემეწყვეცი, ჩემო საყვარელო დაო, და ჩემს პურ-მაროსს არ დაიფწყებ, საქმე კილევ საქმეზედ მოვა (ილ. პავჰაძე); შერ. არაფერს შევეუშინდი, არაფერს გავემეცი, საქმე საქმეზედ მოვიყვანე და ჩემი გავიტანეო (ილ. პავჰაძე).

საქოლაგი ჰრდ. ქვების მისაყრელი. განსატიფენელი. სვც. მოსასპობი, მოსაკედინებელი; შესარცხვენი, თავისმომჭრელი, სახელის გასატეხი. შერ. ქვეყანა და სახელი შევიანახეთ, სახსენებელი არ ამოვიყვითეთ, შევირჩინეთ, საქოლაგი არავის ავაგებინეთ (ილ. პავჰაძე); შერ. იმან (ქუჩემ) გაოცებულმა დაუგდო ყური და საფაღალახოთ გაიგონა, რომ დიდი და პატარა საქოლაგს უგებდა მას (მ. გაბაშვილი). ახ. ჩაქვაკეობა.

ძველათ საქოლაგი ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც დამნაშავეს ჩააქვაკებდნენ ანუ ქვების დაკრებითა ჰკლავდნენ, განტვიფნავდნენ. ამ ქვებისაგან დამდგარი ყორე საზარელი საყურებელი იყო გამველ-გამომვლელისათვის. ვინც გაივლიდა, უშეშელად თითო ქვა უნდა მიემატებინა.

ზემო ქართლის სოფელ სერში ერთი საქოლაგის ამბავს ასე აგვიწერს ჩვენი ბელეტრისტი სოფრომ მგალობლიშვილი (ახ. მისი მოგონება „წარსულიდან“, „მოამბე“, 1899, XII, გვ. 15—16):

„საქართველოში შაჰ-აბაზის შემოსევის დროს ერთს მებატონეს, გვარად დოღლაძეს, განუზრახავს მტარვალისათვის ერთგულების გამოცხადება, მერე ცხინვალის ხეობის დაქვეა და გაბატონება.

ცხინვალისაკენ მიმავალ გზის პირად დოღლაძე და მამულის საშველად წუნარის ხეობიდან წამოსულნი ცხრა ძმა ხერხეულიძენი ერთმანეთს პირისპირ შეჰყრიან. ხერხეულიძეებს მოღალატისათვის უთქვამთ:

— შევიტყვეთ, მამულსა ჰოლატობ, თათარს აძლევ მხარს იმ დროს, როდესაც ჩვენი თავი ესაქიროება მასო; სჯულისა და მამულის დასაცავად მთელი საქართველოს ერი აღიქმურვა. გულის ცახცახით ელის იმ სანატრულ დროს, როდესაც მოსისხლე მტერს შეხვდება, შეაკვდება მას, კბილით შესკამს მას, თუ იარაღი გაუცივდება... და შენ კი ამისთანა დროს სახლში ძმა ძმაზედ მიგყავს სისხლის საღერველადო? ეს ასე არ იქნება, თუ წელზედ ეს ხმალი გვარტყიაო, — უთხრეს ხერხეულიძეებმა და გადაუღობეს გზა.

— ჩამოღეკით, თქვე თავხედობ! ვინც შევიშინებიათ, მე ის არ გახლავართო, — უთხრა თურმე ამჟამად დოღლაძემ, რომელიც თურმე ძალიან ვაჟკაცი იყო, ამჟამად და ამასთან უზრდელი. შემოჰქრა თურმე ცხენს მათრახი და, ის არის, ხელში მახვილით უნდა ზედ მიაგდოს ცხენი ხერხეულიძეზედ, რომ იელვა ხერხეულიძის ხმალმა და ერთი შემოკვრით თავი ტანს მოაშორაო. ორივე მხრივ ივრიალა ხალხმა:

— ვაშა, ვაშა ჩვენს დამხსნელს!

მთლად ჯარმა მუხლი მოიყარა საოცარ ვაჟკაცთა წინაშე და მდებლად თავყანი სცეს. იმავე ადგილზედ მიაყარეს ყორე, ლოდი, ჩააქეავეს და ისე „საქოლაეი“ აუგეს იმ მოღალატე არაკაცსაო. მაშინ ხერხეულიძეებმა ასეთი წყევლა წარმოსთქვეს: „ვინც აქ გამველელმა ამ საქოლაეზედ ქვა არ მიაგდოს, მასაც სწვევია საქოლაეის ზედიო“. ის დღეა და ეს დღე, ყველა გამველელ-გამომველი უსათუოდ ქვას მიაგდებს ამ საქოლაეზედ.

მართლაცდა, სოფ. სერისა დაახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი ამ გზაზე რომ გამოივლიან, უსათუოდ ისე ინსტიქტურად ქვას მიაგდებენ და წარმოსთქმენ ამ სიტყვებს: „წყეულიმც ყო-

ფილხარა!“ ამ საქოლაეიდან ქვას ვერა-ვინ აიღებს; და უშველბელი ხროვაა ქვისა შეუვლებული საფლავისნაირად. დღესაც, სოფ. სერში დარჩენილია ამბად, რომ აქ ბოროტი კაცია დაქოლიო, მაგრამ ვინ, სად და როდის — არ იციან“.

საქოჩრე გვეზდება ჰრე. თავის ქალას სარქველი უნდა აგვეხადოს. ზეგ. ძალიან გვიქირს, ვიღუპებით, უნდა მოვკვდეთ.

საქოჩრიდან კოქებამდე ჰრე. თავიდან მოკიდებული ფეხებამდე. ზეგ. მთლად, მთელი სხეულის სიგრძეზე. ჰრე. დამკონდეს მტერი, ტიტე დალონდა, კივმა ოფლმა დაასხა და საქოჩრიდან კოქებამდე ცხელმა გრუანტელმა ელვასავით დაუბრინა (ს. მგალილიძეშვილი). ის. თხემით ტერფამდე.

სალათას ძილით დამძინება ჰრე. გამოუღვიძებლად ძილი, გამოღვიძებას არ აპირებდეს კაცი, მოქმედებას ერიდებოდეს. ზეგ. უდარდელია, უზრუნველობა, სიზარამცე. ჰრე. მისი სალათას ძილით მიძინებული კუთვარება კი არავითარ საზრდოს სულისას არა თხოულობს (დ. მახანელი).

საღერღელი აშეშალა ჰრე. რითაც იღერდება რამე, ის ამიმოძრავდა. ზეგ. ძალიან მომინდა, მადა აღმეძრა. ჰრე. ან კილევ იმისთანანი, რომელიც უკრ კილევ თავის ადგილას სხედან და საღერღელი კი აშლიათ მაღლა აცოცვისათვის, იერას გზით-კი ვერ აცოცვილან (ილ. კეკეაძე); ჰრე. „რა ყოჩაღი რამ ხარ, ბეჭელო!“ და ახლა მეორე ლოყაზე მიჰქვინა (ქალბატონმა). ცოტა არ იყოს, შეეჩერდი, შეეჩერდი, მარა მერე ვითქირე: ამას საღერღელი აშლია და რაკი პწყენახუა საქმე, ახლა ჩემი ნახე-მეთქი (ვაჟა-ფშაველა).

საღერღელი ხელის წისკვილსა ჰქვინა, რომელიც წმინდად ვერა ფქვავს, არამედ მსხვილად ლერღავს, მაგრამ მინიმალური უშვებს საქმელად საეარგის საზრდოს.

საღორე ჰრე. ღორების დასამწყვედევო ადგილი, ღორების სამყოფელი. ზეგ. სახლი, გინა ბინა მეტად უსუფთაო, ბინძური დაუკველი, მიულაგებელი.

საყდარში ხატები დაეკარგება პრ. საყდარში დაკიდებულ ხატებს ვერ იპოვნის. სვ. უშხო, უფერგოლი, თვალსაინო რისამე დანახვის უნარს მოკლებული. მგლ. ის, ჩემო ძმაო, ასეთი უშხო რამ არის, რომ საყდარში ხატები დაეკარგება! ახ. საყდარში ხატი იპოვნა.

საყდარში ხატები, ჩვეულებრივ, ბევრია. ძალზე მოსულელო, დაფანტული უნდა იყოს ადამიანი, რისამე დანახვის უნარს ძალზე უნდა იყოს მოკლებული, რომ იმდენ ხატებში ხატი ვერ შეამჩნიოს და დაეკარგოს. საერთოდ ეს ითქმის ისეთზე, ვინც გონებადაფანტული და დაკვირვების ნიქს მოკლებულია.

საყდარში ხატი იპოვნა პრ. საყდარში ხატი აღმოაჩინა. სვ. და ირონიულად: იქ აღმოაჩინა რამე, სადაც რისამე აღმოჩენა ყველას შეუძლია, აღმოჩენა ადვილია, არავითარი შრომა სჭირია. ახ. რ იყებე ქვა იპოვნა.

საყელოთა გარდახევა პრ. ტანისამოსის საყელოების დაფხრეწვა. სვ. გლოვა, მწუხარება. შრ. ახლოს მყოფსა სიკვდილისა ჯდა და პიროს დაებღინჯა, საყელონი გარდენივნეს, თავი სრულად დაეგლიჯა (მ. რუსთაველი); შრ. რა ვირომან ცნა მოაბადნი საქმე და ცოლისა მისისა მისგან წაგურა, საყელონი გარდაიგლიჯნა, თავსა ხელნი იკრა და უცნობო იქნა („ვისრამიანი“).

ქართელებში მგლოვიარობის ნიშანი, სხვათა შორის, პერანგის საყინის ჩაპოგლეჯა, საყელოთა გარდახევა, გულის გაღალღევა დასამჯილად, დასაკაწრავედ.

საყელოთა ამოხრატვა პრ. ხელის მოკიდება პერანგის საყელოსათვის და რამდენჯერმე ამოწევა ქვემოდან ზევით, რომ პერანგქვეშ მოქცეული თუ რამეა, გარეთ გაჰიოყაროს. სვ. რისიმე მოცილების ნიშანი, ბორკოსა და სიამეის განრიდება, უდანაშაულოდ აღიარება თავისა. შრ. და, და, და! რა ლეთის გარეგანი ყოფილა, გენაცვათ!—იბე რტყავდნენ საყელოს მეზობლები;—გველიც არ დასტოვებს თავის წიწილს უმწეოთ და ეს რა ჰქნა ი შეჩვენებულმა! (ვ. ბარნიკი).

საყელოს გამოხრატვა გულისხმობს სიმბოლოურად: პერანგ ქვეშ მოქცეულის ანუ დამალულის რისამე გარეთ ამოყარა, გარეთ გამოჩინას ყველას და-

სანახებლად, რომ დაფარული არაფერი გვაქვსო.

ცხადია, ეს თქმა დარჩენილია იმ დროიდან, როდეს პირველი საფარველი ადამიანის სხეულისა ჯერ მხოლოდ პერანგი იყო, ქამარშემოკერილი. სრულეობით ბუნებრივია და ერთადერთი წარმოსადგენი, რომ ამავე პერანგის უბეები იყო რისამე კანონიერისა თუ უკანონო გზით შემენის შესანახი თუ გადასახიდი შოენის ადგილიდან თავის პირველყოფილ ბინამდე. ამისივე მსგავსადაა, რომ სოფლად გლეხის ბიჭები პერანგის უბეებს დღესაც ხმარობენ ტყეში ან ხეებზე დაკრეფილი ხილის ან მეზობლის ვენახში მოპარული ყურძნის ჩასაყრელად. როცა პერანგა დამნაშავეს დაიქვრდნენ ქურდობაზე, იმას თავის უდანაშაულობის დასამტკიცებლად პერანგის საყელოები უნდა ამოხრატყნა და ამით ეჩვენებინა: ნახეთ, არაფერი ძაქვს, უვალო ვარ; არაფერი მეკითხებაო.

საყელოს ამოხრატვის დროს დაატანენ ხოლმე: უვალო ვიყვე! ზოგიც: ამან შენის შარისაგან!..

საყელოში გაწევა პრ. საყელოდან ზევით ამოშვრა. სვ. ყოყელოთა, ყოყელოჩინობა, თავის მწოვნება, მეტიჩრობა. შრ. თუ რომელიმე სოფლის მოხელე, მამასახლისი იქნება თუ სულა „საყელოში იწევეს“, სოფელი უწყრება: „ბატონყმობა დიდი ხანია გადაუარდა, შენ გინდა ისევე დაიბრუნო?!“ (ფაქ-ფაქველა).

საყვედურების გულის გახსნა პრ. გახსნა გულისა, სადაც საყვედურებით მოთავსებული: სვ. საყვედურებით ავისება, ბევრი საყვედურის თქმა. მგლ. ჰა, ნუ მოხსენი საყვედურების გუდას თავი, გეყოფა! გუდა აქ ნახმარია, როგორც ქურქელი, ბევრის რისამე ჩამტევი.

საყვედურებით ამავსო პრ. ცარიელი ადგილი არ შემარჩინა, სულ საყვედურებით ამავსო. სვ. უზომო უკმაყოფილება გამოშიცხადა, საშინლად დამემღურა. მგლ. ჩემი მეზობელი ტყუილ-უბრალოდ მომდგა და სულ საყვედურებით ამავსო.

საყვედურებით ცხვირის გახრეტვა პრ. საყვედურის საშუალებით ცხვირში ნახვრეტი გაუკეთოს ვინმე ვისმე. სვ. ვისთვისმე ბევრის საყვედურის თქმა,

გმობა, შერცხვენა. შერ. მეგრე კი დადგებიან, მაძაცხონებულები, და საყვედურით ცხვირს გაგვიხვერტენ: „ბედნიერი დღეები მოდის და ახალი ვერა მოვიკარით რაო!“ (დ. მანახელი).

საყველ-პურო ჰრდ. ყველისა და პურის (მოსათხოვნელი). ჰყვ. სულ ცოტა, მცირედი, უბრალო, ადვილი, ელემენტარული. შერ. სიტყვა „კაპიტალი“ საყოველღეო, საყველ-პურო საუბარში ხშირად იხმარება, ვითარცა ფულადი ქონება ადამიანისა, და განა მეცნიერული მნიშვნელობა ამ სიტყვისა ეს არის? (ილ. ჭავჭავაძე).

საყურღად ნატერფალი ჰრდ. საყურღად ქუსლის მიკრული ტალახის გაკეთება. ჰყვ. სიმდაბლე, უღირსება. შერ. ხამს, ყურსა გვეგდოს საყურღად ჩვენ თქვენი ნატერფალია (მ. რუსთაველი).

თემიურაზ ბატონიშვილი ამ თქმას ასე განმარტავს: „ძველთა შინა დროთა მონათა პატრონი მათნი ყურთა საყურესა გაუყრიდნენ ანუ ტყვედ მოყვანილთა, რომელნიც ნიშანნი მონებისა იყო“. მაშასადამე, ეს თქმა ჩვენც ასე უნდა ავხსნათ: ჩვენ უღირსნი ვართ თქვენი იმდენად, რომ შესაფერი იქნება საყურეებად ყურში გაიკეთოთ თქვენს ფეხებს მიკრული და მერე ჩამოვარდნილი ტალახით.

საშვილიშვილი ჰრდ. შვილიშვილებსა და შვიდეგ მოღვაძასაც რომ ეყოფა, იმდენი. ჰყვ. სამარადისო, სამუდამო, საუკუნო. შერ. ვეჩხუბებოდით ჩვენს ხუცესს, როცა საყდას მიათვისა ეს სამოსახლო ადგილი; რამდენჯერ გავაშწარეთ იმის გულისათვის! ეხლა ვხედავ. კარგი საქმე გააკეთა, საშვილიშვილი: დიდებული ხატია, ბევრ ხალხს იზიდავს და არ ეყოფოდა პატარა ცხო (მ. ბარნოვი).

საჩემქბილო ჰრდ. ჩემი კბილები რომ მოერევა, ისეთი. ჰყვ. ჩემი შესაფერი, საჩემო, ჩემი გემოსი. შერ. მუაუნაშვილი გამტერდა, ქუა-გონება დაებნა და რამდენსადა ხანს შერცხვენილი, პირდაღებული და თვალბდაქუცრილი დარჩა. უცებ ერთმა საინფლოზარმა გაურბინა თავში: ასე თავისუფლად მოკისკისე ქალი სწორედ საჩემქბილო უნდა იყვისო (ნ. ლომოური).

საჩეჩლაზედაც კი დაუსვამს ჰრდ. საჩეჩლაზედაც კი მჯდარა. ჰყვ. ყოველგვარი სიმწარე და ტანჯვა გამოუყვლია.

საჩეჩელი — ლითონის წაწვეტებულ მეთულზე დარკმულ ხის სამეურნეო იარაღია მატყლის საჩეჩლად. ძველთა ერთგვარი სახე იყო დამნაშავეის დასჯისა: ჩახდიდნენ დასასჯელს და შიშველის საჯდომით აიძულებდნენ საჩეჩელზე დამჯდარიყო, რაც, უნდა ვიგულისხმოთ, მეტისმეტი მწარე და სატანჯველი უნდა ყოფილიყო. ასეთ კაცზე იტყოდნენ ხოლმე: იმას, ვინ იცის, რა სიმწარე არ უნახავს თავის სიცოცხლეში, საჩეჩელზედაც კი დაუსვამს თო!..

საცა არა მგონია ჰრდ. საცა არც კი ვფიქრობ მის (რისამე ან ვისამე) ყოფნას. ჰყვ. ყველგან. შგლ. ახირებული კაცია კოწია, საცა არა მგონია, კრელტარა კოვზივით ჩაეჩრება.

საცა დაულამდება, იქ გაუთენდება ჰრდ. რა ადგილას ღამე მოესწრება, იქვე მოასწრებს გათენება. ჰყვ. უბინაო, უსახლ-კარო, ფეხმოუკიდებელი. შერ. საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო (მ. ბართაშვილი).

საცერ ქვევით ანაბერტუა ჰრდ. საცერ ქვევიდან შერჩენილი ფქვილი გაბერტყალი. ჰყვ. ცოტა და ცუდი, სულ უკანასკნელი.

ფქვილის გაცრას რომ შორჩებთან, საცერს ქვემოდან უმნიშვნელო რაოდენობა შერჩება ფქვილისა, რომელიც არც არაფრად დააჩნდება გაციოდ ფქვილს და არც უიმისობა შეეტყობა. მას არავითარი მნიშვნელობა აქვს ფქვილის რაოდენობისათვის. აი, ასეთ ანაბერტყას დააჩრებენ ხოლმე კაცს, ყოველსავე დღისებას მოკლებულს, რომელსაც არც თავისთვის შესწევს შნო რისამე გაკეთებისა და საზოგადოებისათვისაც უხმარია, რომლის ყოფნა თუ არყოფნა არავის არაფრად მიაჩნია.

ხაცერში გავარდება პრ. საცერში ზემოდან ჩავარდნილი ქვემოთ გამოვა. ზგ. ეშმაკია. მოხერხებულია, მარჯვეა, გაიძეირაა. მგლ. ისეთი მოხერხებული ვინმეა, რომ ცხოვრებაში არ დაიკარგება, რომ გავირდეს, საცერში გავვარდებო. ახ. აღიდაში გამოსულა; ნემსის ყუნწში გაძვრება.

საცერს მეტად ვიწრო თვლები აქვს და თუ ამ თვლებში ადამიანი გაუტია, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ეს ადამიანი ძალზე ელასტური უნდა იყოს. საცერში გავარდნა ხატოვანად ითქმის ისეთზე, ვინც თვისი მოხერხებით ყოველგვარ სიძნელესა სძლევს, თვისი სიმარჯვით ცხოვრების ყოველგვარ პირობებს შეეგუება, თავის ძალ-ღონეს გარემოს შეუფარდებს, მიდგებ-მოდგება და ფონს მაინც გავა, თავისი გაიტანს.

საციმბირო პრ. ვინც ციმბირშია გასაგზავნი, ვადასახლებელი. ზგ. დიდი დამნაშავე, ბოროტმოქმედი, ავაზაკი, სამშობლოდან შორს ქვეყანაში გადკარგვის და დიდი სასჯელის ღირსი. შრ. მე, ჩემო ბატონო, აბა თქვენს ბრძანებას სად წაუვიდოდი. წამსვლელი ვყოფილიყავ, დიდი ხანია, ლეკოში ვადგვარდებოდი, ან თუნდა ათჯერაც საციმბირო გავედებოდი (ლ. არდახანი); შრ. აი ეგ მურტალი, ევა!... კარგათ უყავით, რომ გაამტყუნეთ!.. მაგისტანა კაცს ვგრე უნდა (დაბლა ხმით). ეგ, სწორე მოვანხნოთ, ქურდიც აჩის, საციმბიროა (ილ. ჰაჰვაძე).

საცოლე პრ. ცოლის შერთვის ასაკისა. ზგ. მომწიფებული, ასაკში მოსული.

საცოს დადება პირზე პრ. პირზე დადება საცავისა, შესანახისა. ზგ. გაჩუმება, უთქმელობა, დადუმება.

საცრის სათხოვნელად მისვლა პრ. მეზობლისათვის საცრის გამოსართმევიც მისული. ზგ. ვისაც ეჩქარება, ვინც ერთთავად იძახის: დრო არა მაქვსო. მგლ. შენ, ჩემო ძმავ, საცრის სათხოვნელად მოსულსა ჰგებებარ!

საცრის სათხოვნელად მისვლა გულისხმობს, რომ სათხოვნელად მოსულს ეჩქარება, რადგან შინ ფქვილი ელოდება გასაცრელი, მოსაზელი, გამოსაცხობი და ცდილობს, რაც შეიძლება, მოემიწოდოს სუფრასზე პური მაშინვე ხალხს. ასეთ კაცს რომ უთხრან: ცოტა

ხანს დაჯექ—გვიამბე იქითურ-აქითურისაო, არ უნდა დათანხმდეს. ხატოვანად იტყვიან ისეთზე, ვინც საღმე მიაღდა რომ სთხოვენ, დაჯექი, გვიამბე რამეო, ის, საქმეც რომ არა ჰქონდეს, მაინც იძახის.—მეჩქარება, არა მცალა, უნდა წავიდეო.

აი, ასეთზე იტყვიან დაცინვით:—საცრის სათხოვნელად მოსულაო...

საცხოვრებელიდან განდგომა პრ. საცხოვრებლის განზე დარჩენა. ზგ. საარსებო საშუალებათა გარეშე დარჩენა, მთელი ქონების დახარჯვა, უსაცხოვრებლოდ დარჩენა, გაღარიბება, უსახსროდ დარჩენა. შრ. დატრიალდნენ შშობლები, ათასნაირად უწამლეს, ყველაფერი სცადეს, არაფერი არ დაზოგეს; თითქმის გადგნენ საცხოვრებელიდან, ველარა უშველეს რა (ვ. ბარნოვი).

საძალღორედ გახდომა პრ. ძალღორედ და ღორის შესაქმელად გახდომა, ძალღორისა და ღორისათვის ხელისმისაწვდენი. ზგ. უბატონოდ გახდომა, ყურისგდებასა და ზარუნვას მოკლებულად დარჩომა. შრ. იმ შენ ოხერის შინ მაინც აღარ შემოიტან? ხომ წახდა (სიმინდი) და საძალღორედ გახდა?.. (რ. ერისთავი).

საძირკველი პრ. ქვა-ღორღი ჩაყრილი ამოთხრილი, ზედ შენობის კედლების დასაყრდნობად. ზგ. უმთავრესი დასაყრდნობი, საფუძველი. შრ. ერთიც და მეორეც (დიდი საქმე XIX საუკუნისა) იმისთანანი არიან, რომ ევროპის პოლიტიკურს და ეკონომიურს წყობას ძველსა ძირკველს ურყევენ და საჭიროდ ჰხდებიან ძველის სანაცვლოდ ახლის ჩადგმას (ილ. ჰაჰვაძე); შრ. აიგოს ის დიდებული ძეგლი საქართველოს შეერთებისა, რომლისათვისაც არა თუ მოუმზადა მან მასალა საიმედო, არამედ რომლისა ძირკველიც მკვიდრად ჩაჰყარა (ვ. ბარნოვი).

საძრომელა პრ. ვიწრო ადგილი გასაველილი. ზგ. თავის გამოსახსნელი, მიზანს მისაღწევი საშუალება. გაჭირვებისათვის თავის დასაღწევი. შრ. თეკლე—(სულხანს) ქალს საყარაულოთ ნუ გაუხდება საქმე, თორემ ბევრს საძრომელას იშოვნის!.. (რ. ერისთავი).

საძევეს შემოწყდომა პრ. ცხენის კულ-
ქვეშ შემოვლებული გრძელი ლეგის
გაწყდომა. ხვ. დაბრკოლება, ხელის
შემლა, საქმის გაფუჭება, ბელუქულ-
მართობა. შრ. თუ უწინ მოცადის
საქონლის ყოლა დიდი იყო, ესლა
ამასაც საძევე ში მოაწყდა. თათ-
რებშიაც საძევეარი დაცოტავდა, და-
ძვირდა (ილ. პავაძე).

საძევე გრძელი ლეგია, რომელიც
ცხენის, ჯორის და სხვ. კულქვეშა
შემოვლებული და უნაგირის კეხს მი-
მაგრებულნი. მისი დანიშნულებაა—და-
მართში უნაგირი ზურგზედ დაიჭიროს
და კისრისაკენ აღარ გაუშვას. როცა
საძევე გაწყდება, დაღმართში უნაგირი
წინ წამოკურდება, ზოგჯერ სულაც
გადმოვარდება. შეიძლება მხედარი ძირს
გადმოაგდოს კიდეცა და მისი მგზავ-
რობა შეაფერხოს. ამიტომ საძევეს
შე მოაწყდომა ხატოვანად ნიშნავს
საქმის დაბრკოლებას, შეფერხებას, ხე-
ლის შეშლას.

საწვეროსნოს აქავება პრ. სურვილი
მოფხანისა ყბისა ანუ სახის იმ აღ-
გილისა, საცა უკვე წვირა ან უნდა
ამოვიდეს. ხვ. საყვარელი კაცის თუ
ქალის კოცნა, სასიხარულო ამბის
გაგონება ან სასიამოვნო ვისიმე ნახვა
და მისთან აღერსი. შრ. დაცლილი
მაქეს, როცა კაქავის ხმას გავიგო-
ნებ და საწვეროსნო ამქავედ-
ება, უსათუოდ გასახარელს რასმე
ან ენახავ. ან მეტყვის ვინმე (ან. ერის-
თავი-ბოშტარია).

ეს თქმა ეკუთვნის ერთ-ერთ ცრუ-
მორწმუნეობათაგანს, რომლის საშუა-
ლებით ცრუმორწმუნეს ვითომც შეუძ-
ლია განქვრიტოს, გამოიცილოს, წინდა-
წინ იგრძნოს, თუ რა მოელის, თავს
რა უნდა გადახდეს, რა შეემთხვევა—
ავი თუ კარგი, დაცლილი აქვს, რომ
როცა ლოყა მოეფხანება, სასიხარულო
რასმე ყურით მოისმენს ან თვალთ და-
ინახავს, აკოცებს ვისმე სანატრელს და
დასტება.

საწუთროს დაცლა პრ. წუთიერი სამყო-
ფელის ანუ სააქაოს დაცარიელება,
ამ ქვეყნიდან წასვლა. ხვ. სიკვდილი.
შრ. მან (ავსიტყვა კაცმან) მოახსენა
(ვეზირს) ტირილით: პირმზე დედო-
ფალმა საწუთროს დასცალაო
და მისმა ნაღველმა მოჰკლაო (ს. ორ-
ბელიანი).

საწუალი პრ. ვისაც წყალი უჭირს, ვი-
საც წყალი აკლია. ხვ. ვაჭირებულნი,
უქმელი, საცოდავი, ღარიბი, შესაბ-
რალელები. ან. წყალი.

საწყევარის აგება პრ. წყველის წარ-
მოსათქმელი მენობის აგება. ხვ. შერ-
ცხენა, ჩირქის მოცხენა, ლაფის და-
სხმა. საჯაროდ თავის მოქრა, სახე-
ლის გატება. ვგლ. მინდია არ იყო,
რომ საწყევარი აუგეს მართო
თავისი თავი კი არა, მთელი თემი
შეარცხენია. ან. ლაფის დასხმა;
საქოლა ვი.

საწყევარის აგება, თ. რახიკაშვილის
გადმოცემის თანახმად, ერთი სასჯელ-
თაგანია ამა თუ იმ დანაშაულის ჩამ-
დენისა და დღევანდლამდე დარჩენილია
ხევსურეთში. თვით საწყევარი—ქვის პა-
ტარა კოშკია და ზემოდან ადამიანის გა-
მხმარი მინაღვამი დევს. ამ საწყევარის
აგებისას იტყვიან იმის მისამართით, ვის
სახეზედაც ააგებენ: შენი სულისა და
შენი მკედრის სულისა იყოსო!.. ამავე
წყვეის ფორმულას განიმეორებს ყველა,
ვინც ამ კოშკთან გაივლის.

საწყევარის აგება დამნაშაულისათვის
მეტად სასიკრებელი და სათაკილოა,
ზნეობრივად კნინდება ყველას თვალში,
თავის თავს თემიდან გარიყულადა
გრძნობს, მოკვეთილად. ერცხვინება
არა მართო საწყევარაგებულს, არამედ
ერცხვინება მთელს ამ სოფელსაც, სა-
დაურიცაა დამნაშავე. საწყევარაგებული
მეტად უბედურად სთვლის თავს, შესა-
ბრალისად: ხატში ვერ მივსვლება,
მკედარს რიგით ვერ დამარხავს, ტაბ-
ლას ვერ გაუკეთებ, მთელს თემში შერ-
ცხვინილია, ათვალისწუნებულნი, მისი
ფსიქიკა მწარედ შელახულია, ყველასა-
ვან თითოთ საჩვენებელია.

როცა უნდათ ვინმე მწარედ შეუ-
რაცხუნ, დაკმონ, მოკლედ ეტყვიან: აი,
შე დაწყევარასა გებო! და ამ
ორდა-ორ სიტყვაში საესებით გამოით-
ქმის მთქმელისა და გამგონის ურთიერთ
მტრული განწყობილება.

საწყინარს შეუბნება (მხარა) პრ. მხარი
მაგრძობინებს, რომ საწყენი რამ
მომელის. ხვ. უბედურება შემემთხ-
ვევა, მეწყინება რამ. შრ. ძალიან
დაიგვიანა. შაბათს უნდა მოსულიყო,
დღესაც არსადა სჩანს. საწყინარს რ
მეუბნება! ბოროტი ხომ არ შე-
ემთხვა სახლიდან გასულს? ომერთო,
დავიხსენი — გაიფიქრა გულნაზმა

(ვ. ბარნოვი); შერ. საწყალ და თუშის ცაუებსა, საწყინო ეტყვის მხარი! (პ. უშიაშვილი). შერ. ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული! (შ. რუსთაველი).

ამაო რწმუნის საფუძველზე სწამდათ, რომ ადამიანის ორგანიზმში წინდაწინ იგრძნობს ხოლმე მომავალ საწყენს თუ მახარებლობას და ამას სხეულის სხვადასხვა ხაწილების მოძრაობით გამოხატავს ხოლმე.

მაგ., თუ მარჯვენა ხელის გული გვექავება, ფულს გავცემთ სხვაზე, ხოლო მარცხენა ხელის გულის ქველი იმას მოასწავებს, რომ სხვისაგან ჩვენ მივიღებთ ფულს; თვალის ჩქარი ხამხამი სასიამოვნო ვისიმე ნახვასა ნიშნავს; ლოყის ქველი — კოცნას; ან კიდევ ლოყის ხოკვას რამე მწარე ამბისა თუ შემთხვევისა გამო.

მხარი ადამიანის სხეულისა იქნება მახარებელი ან საწყინო ამბის წინდაწინ მარჯვენა ხელი, ანუ, როგორც რუსთაველი ამბობს: სახარული ნიშანი გვახარებს ხოლმე კარგს, მასიამოვნებელს ამბავსო.

საწყლობა ჰრდ. ვისაც წყალი სჭირია, წყლის ნაკლებობას განიცდის. ზგვ. გაკირება, სიღარიბე, ხელმოკლეობა. შერ. დავპატივე შინ, ვასმიე არაყი, ვაქმიე პური, რაც ჩემი საწყლობა იქნებოდა (ვაგაფშაველა).

საქმელია თუ სახმელი? ჰრდ. ეს (რაც არის) იქმევა თუ იქმევა? ზგვ. სახელდობრ რა არის, რა თვისებისაა, რა კქვია?

საქმელმა უგოდრა ჰრდ. საქმელმა გოდრისებ გაუხადა მეტყელი. ზგვ. უზომოდ ქაშა, ძღომის დავიწყება.

სახანჯლო საქმე. ჰრდ. საცა ხანჯალი იქნება საქირო. ზგვ. საჩხუბარი. სისხლის დასაღვრელი საქმე, რასაც ხანჯლის ამოღება და დატრიალება დასჭირდება. შერ. რა მოხდება მაშინ? რას იტყვიან ალგეთელები და რა პასუხს მისცემს ბარათაშვილი? ან, იქნებ, ხმაც არ გასცენ და პირდაპირ სახანჯლო საქმეზე გადავიდნენ (ვ. ბარნოვი).

სახელნელი ჰრდ. სამუშაებელი შინაური საქონელი. ზგვ. დასაბარჩილებელი. საჩაგრაი, მოსარევი. შერ. ამ ადვილად სახელნელმა „ადგილობრივმა ვითარებამ“ ამ ბოლო დროს უფ-

რო გაიდგა ფეხი, ვიდრე უწინ (ილ. ჰავაშვიდი).

სახედრისა თქვით ჰრდ. სახედრის შესახებ ილაპარაკეო, სახედარი ახსენეო. ზგვ. ისა სთქვი, რაც ჩვენ გვარგებს და ხელს მოგვეცემსო.

ერთ დედ-მამას გასათხოვარი ქალი ჰყოლიათ, მაგრამ მზითვეზე ნაკლებდა ყოფილან და ამის გამო ქალი გაუთხოვარია რჩებოდა. ერთხელ ქალის დედის ქმრისათვის ეთქვა: სახედარი რომ გვეყავს, გავყიდოთ და ფული ჩვენს ქალს მზითვეში გავატაროთო. ქმარს უარი ეთქვა: რას ამბობ, დედაცაო, ჩვენი მარჩენელი ეს ერთი სახედარია გვეყავს და ისიც რომ გავყიდოთ, რა გვეშველებო? ცოლი მაინც თავისას არ იშლიდა და გადაკერი ჩამოუგდება ლაპარაკს ხოლმე. ქალს ეთქვა დედისათვის: „დედი, შენ სახედრისა თქვიო“, ე. ი. სახედრის გაყიდვას დააწევიო... (ვლ. ცაგარის ნაამბობი).

ეს თქმა იხმარება, როცა ორი გაკირებული მოსაუბრე სხვადასხვა გზით ცდილობს ფონს გასვლას და სწორის გზით გავლას ვერ მიმხვდარან. მაშინ ერთი, უფრო მიხვედრილი, მეორეს წაელის — ასე და ასე მოვიქცეთ და არ სხვაფრეიო.

სახეზე ნათელი გადამფენია ჰრდ. სახე, რომელიც სინათლის სხივებსა ჰქენს გარშემო. ზგვ. ვისი სახეც გამოხატავს სიმართლეს. სიხარულს, კმაყოფილებას, სევსვიანობას.

სახელდაც მეყოფა და სახრავადაც ჰრდ. სასახელოდ და პრაქტიკულად გამოსაყენებლად მეყოფა. ზგვ. ყველა მხრით სამყოფია. შერ. დიდი კაცის ნეკის შეხებაც დიდი მოწყალებაა. ბ-ნმა ეორდანიამ პასუხი მალისა, თუნდაც „ზხადაგზა“ და ეს სახელდაც მეყოფა და სახრავადაც (ილ. ჰავაშვიდი).

სახელი ჰრდ. სიტყვა რომელსაზე პიროვნების ან საგნის აღმნიშვნელი, გამოსარჩევად სხვა პიროვნებისა თუ საგნისაგან. ზგვ. დიდება, გამოჩინება, პატივი. შერ. თქვენ იმაზედ გააბით გაუთაებელი ლაპარაკი, რომ ვალის ამღებმა ფული როგორ უნდა მოიხმაროს და ვალის გადაუხდელიობისათვის გასასყიდი მამული გარშე კაცს რა გზით არ ჩაუვარდეს ხელშიო, და

თუ ამაზედ გალაპარაკეს, სახელი და დიდება მსხენელთა მოთმინებასა! (ილ. ჰეპკაძე).

სახელის გატეხა ჰრ. ვისიმე სახელწოდების დამსხვრევა. ზვ. პატივის ახდა, შერცხვინა, გაწბილება, ლაფის დასვმა. შერ. გიწყალობეს? მოითხოვე? ახლა უნდა თქვან, ალუღაანთ სახლიდან არის ეს გაახათ: შენისთანა ბედშაეისაგან უნდა გაატყედეს ჩემი ოჯახის სახელი? (ე. ბარნოვი); შერ. ნუ თუ ამის თქმელებმა არ იციან, რომ ანისთანა წარამარად თქმული სიტყვა საზოგადო საქმეს, როგორც ბანკია, ბელს უტრის და ტყუილ-უბრალოდ სახელს უტეხავს?! (ილ. ჰეპკაძე).

სახლოდ ქონება ჰრ. ხელში დასაქვრება. ხელში საპურობად ქონება. ზვ. დასაკუთრება, პატრონობა. შერ. ქალაქი ქონდა (მეჭთარ მანუჩარს) სახლოდ, დიდი ვინ, ანუ წურილა (ფეშანგი).

პიოიეყოფილ ადამიანის პირველი საკუთრება იყო ის, რაც იმას ხელთ ეპყრა, რაც ხელში ეჭირა, ისიც იმ დროს, ოდეს ტანთ არა ემოსა რა ამა თუ იმ ნივთის შესანახად, შესანარჩუნებლად და მხოლოდ მის ხელებს უნდა ეკისრნა როლი რაიმე ნაშოვნი ნივთის დამცველის თუ შემრჩენელისა. ასეთ-სავე სურათსა ვხედავთ, როცა მყეფარს სადმე ნაშოვნი ძვალი თუ ხორცის ნაჭერი კბილებით უჭირავს და ცდილობს თავის საკუთრებას მოუაროს, არავის დაანებოს.

სახე უღიშს ის. სახე უციინის.
სახე უციინის ჰრ. მოციინარე სახე აქვს. ზვ. მიხარულია, უნაღვლოა, უდარდელია.

სახვალზეგიო ჰრ. ხელისა და ზეგისათვის ზვ. საქმის გაკეთების გადადება, გაკინაზურება, სიზარმავე, თავიპყრენობა. შერ. დღე-ყოველ თავის შეგობართ ზვარბლით დატვირთულს წარაუღინებდის (თავგი). საბოლოოსა არას სინჯეიდა და სახვალზეგიოს არას იგონებდა (პიოილა და დამანა“).

სახლამოგვილი ჰრ. ვისი სახლიც ნავივიეთ ცოცხს გაჰყვა. ზვ. ამოწყვეტილი, ვისაც ოჯახის წევრები სულ დაეჭრა. შვლ. ეს სახლი დიდი ხანია ამოგვილია. შიგ არავინა ცხოვრობს.

სახლია, კარია... ჰრ. სახლი და კარი მაქვს მოსაველი. ზვ. ბევრი საზრუნავი და სადარდელი მაქვს. შერ. მე, ჩემი თავიოზ, მადლობა ღმერთსა, კარგათა ვარ, მაგრამ ამდენ საქმეში ვარ გაბმული და ვერ ვიცილი, რომ უფრო მალე-მალე გნახო ხოლმე, — სახლია, კარია, ყველას გაძლიოა უნდა (ილ. ჰეპკაძე).

სახლის ახსნა ჰრ. დაკეტილი სახლის გაღება. ზვ. შერიგება, უზრაბელობის დასრულება, შინ შეშვება, ურთიერთობის განახლება. შერ. ასე გაინაპირეს და მოიძაგეს ბესო! საინ წელიწადი ასე აბუებული ჰყავდათ. იღბალზე, გაჩნდნენ შუაში მოკეთებები და ეს ხალხი (ბესო და სოფლელები) შეარჩეს და სახლი აუხსნეს (დავლილი).

ძველათ, სოფლის წინაშე დანაშაუვს, ამ სოფლის ნება-სურვილის უფლებდელ-წყოფელ წევრს სოფლივე ასანართლებდა, სოფლივე სჯიდა მამა-პაპითვე დაწესებულ სასჯელითა, დანაშაულის სიმძიმისადა კვალად. სხვა სასჯელთა შორის სოფელსა ქჭონდა შემოღებულნი შემდეგი სასჯელიცა — სახლის კარის ანუ პირდაპირ სახლის შექერა დამნაშაეისათვის, მისი განაპირება, მასთან უმზრახელობა. ის. სახლის კარის შექერა.

ხანი და დრო არა გავიდოდა და იტყოდნენ — ჰო, ახლა-კი ეყოფათ, დამნაშაევეს აპატიებდნენ და მისთვის შექრულ სახლს აუხსნიდნენ, ე. ი. ძველს ურთიერთობას. ნეზობლობას, მისვლა-მოსვლას განახლებდნენ.

სახლის ახსნის ამბავი ცხოველად აქვს აწერილი 1904 წლის № 110 განუთ „ივერია“-ში სოფ. ქემერტიდან (ქართლი) მოწერილ კორესპონდენციასში ამ გავითის თანამშრომელს დვადილს. ამ კორესპონდენციას იხე (უხადლად წარმოდგენილი სურათი ხალხის ზვეულებსა, რომ საქირდა ეთვლით კორესპონდენციის უნდავესი ნაწილი თითქმის უცლებლივ ანოვიეროთ.

„ატეხილია დაეა ამ ბილიჩე ბესოა (მეტრეელი) და აწოდნა ხალხს შორის. ბოლოს, ბაღნა თავის საწარმოელნი მართათ და „სახლი შეტყვის“, ე. ი. ბესოს აღარსად უწეუბდნენ: აღარც აწეზობლობოდ, არც სამოვარბი, არც უკალზე, არც ელაპარაკებოდნენ, არც უბრძა

და ლხინში ეკარებოდნენ. ასე გაინაპირეს და მოიძაგეს ბესო. ამოად ხდილობდა ბესო ყოველწლივ სამღვთოსა და პატრიარქაზე ნიშნობებს. სამი წელიწადი ისე აბუებული ჰყავდათ. ძნელია სოფელში ასეთი ცხოვრება, ძნელი ასატანია. ძნელი იყო ერთად შეზრდილ დაბრუნებულ ბესოს და მის კბილის ხალხის ასეთი უზრაველობა. იბაღბე. გაჩნდნენ შუაში ნოკეთები და ეს ხალხი შვარცივს და სახლი აუხსნეს. ვერ წარმოიდგენთ მათს სიხარულს! ხელგაპყრობილები ერთმანეთს ეხვეოდნენ და ტიროდნენ, თითქო ლაშქრობიდან ცოცხლები და გამარჯვებულები დაბრუნდნენ!.. ერთმა მოხუცებულმა, 85 წლის კაცმა, საბა მალაღაძემ, ბესო თავის სახლში რომ დანიხა, ტირილით შესძახა: „მოდო, ჩემო სამი წლის უნახავო ბესო, მოდი, შენი ქირიმი!“

სახლშიც გაგვწორებითაჲ ჰრდ. სახლის (ოჯახის) წევრები ერთმანეთის სწორები გაგვბომოდეთ! ზეც. ოჯახში უმცროს-უფროსობა, ერთმანეთის მოჩივლება, პატივისცემა და ვაგონება მოგსპობოდეთ... ზღ. ჩვენს მწიგნობელს, ღიღინახია, სახლს გაუწიოდან.

ბეჭდათ. როცა ოჯახი უფროსების მორჩილებანე იყო დამყარებული, უმცროსებს სიტყვამუბრუნებლივ უნდა შეესრულებინათ უფროსებს ნათქვამი. ეს კანონი იყო. ხოლო თუ ეს წესი დაირღვეოდა, ოჯახში ყველაფერი აირეოდა, წყურთა შორის თანხმობა გაქრებოდა. ხოლო ასეთ პირობებში ოჯახის წარმატება წარმოადგენლად მიიჩნდათ და ასეთ ამბავს ერქვა: **სახლის გასწორება**. ამას ყველა ვერიდებოდა, როგორც ღიდ უბედურებას რასჰე.

აწიტიან შეიქმნა სიტყვები **სახლიმც გაგვწორებითაჲ საშინელ წყევლად**.

სახლსათვის გრძელი ფიჩხი რომ მოგვსვათ, ხელში არა მოგვხდებოდანო ჰრდ. სახლში გრძელ ფიჩხსაც არაფერი მოჰყვებოდა. ზეც. არაფერი იყო სახლში, ცარიელი იყო. შერ. გარეგანი შევიდა სანაზრო სამნარტველოში მწერლად, რადგან შინ კარა აღარას შეუქმდა და გარეთ—ძალდი. ამათ **სახლისათვის გრძელი ფიჩხი რომ მოგვსვათ, ხელში არა მოგვხდებოდანო** — რა (ეგნ. მენთეაშვილი).

სახლის გაცივება ჰრდ. სითბოს წარტანევა სახლისათვის. ზეც. უკაცობა სახლში, ამოწყვეტა. შერ. წარ, შვილო, კილობანძია (ყველი), ტაბაჭზედ აწყვია, აილე და ჩქაო ჩამოუარე შეზობლებს. სახლს ხომ ვერ გავაცივებთ, ნეთიანთ უნდა დახედეს ვინღე თუ არა? (აქვს. ცაგარელი).

იგულისხმება მოყვლობა, ამოწყვეტა ოჯახის წევრებისა. და როგორც პირდაპირი შედეგი ამისა — ქერის მოშლა და ცეცხლის ჩაქრობა. აქვდა — სითბოს მოსპობა და სიცივის დამყარება. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს უკაცობას, სახლის დაცარიელებას.

სახლის კარი (ვისიშე) არ ვიცი, საით არის ჰრდ. არ ვიცი, ვისსანე სახლს კარი საითქენ აბია. ზეც. იმათს არა ვყოფილვარ, არ ვიცი, სადა დგანან. შერ. რაც ამ სოფელში მოესულვარ, იმათი (ბატონიანთ) სახლის კარი არ ვიცი, საით არის (ან. ვრისთავი-ზომტარია).

სახლის კარი ყოველთვის ღიაა კარგი კაცისათვის ჰრდ. სხვათა სახლის კარი მუდამ დაუცეკავია რიგიან ადამიანისათვის. ზეც. ყველგან სიამოვნებით დაუხვდებიან სასიამოვნო სტუმარს. შერ. ბიჭო, ისე კი არა ჰქნა, რომ კერა არ დაგვალოცვიანო! მღვდელს იაზმა ახლევინე, დედამა მონიხსნიე, სახლის ანგელონი გაახარე.—**ბატონი ბრძანდებით!** ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღიაა კარგი კაცისათვის, — მიუჯოთებრამ (ვ. ბარნოვი); შერ. მისი სახლი ყოველთვის და ყველასათვის, ვინც უნდა ყოფილიყო, ღია იყო (იბეჭურაული).

სახლის კარის შეკვრა (ვისთვისშე) ჰრდ. სახლის კარის დახშვა. ზეც. სახლში შეუსვენებლობა, უზრახველობის ჩამოგდება, ურთიერთობის შეწყვეტა, მტრად გადაკიდება. მოძაგება, აბუება, ქირში თუ ლხინში გაუქარებლობა. შერ. ვმითანა კაცებს, — უჩვენა (ცეცომა) თითოთ ფილუანე. — სახლის კარი შეეუქრათ... მეზობლად ნუ გავტარებთ; გუთანში ხარს ნუ შეეუბამთ; მუშად ნუ გაცევიებით, შენ ხარ ჩემი ბატონი; ქირსა და ლხინში ნუ მივხედდათ, რა არის, ვითომ ნუ ყოფილან ეგები სოფელში, ისეთ ვინაგარიშოთ (ს. მაგლობლიშვილი).

ქართლ-კახეთში აეს, ბოროტს, რაიმე დადი დანაშაულის ჩამდენ მეზობელს სოფელი დასასჯელად ბოიკოტს უტყობდა, სახლს შეუტყავეს: სახლში აღარსად უშუქებენ, აიარაც საძოვარზე, აღარც წყალზე გაატარებენ, არ ელაპარაკებიან, კიოსა თუ ლინში არ გაეკაობიან. ერთი სიტყვით — გაინაპირებენ. ნოიძაგებენ, აბუებული ჰყავთ, ზოგი (აბუებული) შემომწყრალ მეზობლების გულის მოსაგებად და ძველებურ მეზობლურ კეთილ განწყობილებას აღსადგენად სეთმოსა მდილობს, მეზობლებს ეპატრიებდა დროს გასატარებლად, მაგრამ გაბრაზებული მეზობლები მის შეძლეულს პურ-მარილსაც არა ჰხარბდებიან და სათოფეზედ არ ეიარებიან. როცა ასეთ კაცს შემომწყრალ მეზობლებთან შეარიგებენ, სახლს აუხსნიან, ე. ი. მასთან ნისელა-მოსელა და ურთიერთობა ნებადართული ხდება სოფლისათვის.

სახლის კარის შეკრა გლეხისათვის, თვით სოფელს გარდა, შეეკლო მღვდელსაც. თუ მღვდელმოქმედების წესების შესრულებასათვის დაწესებულ გადასახადს არ გადაუხსნიდა გლეხი, მღვდელი სახლს შეუტყავედა, მხოლოდ ვალის გადახდის შემდეგ აუხსნიდა სახლის კარს. იმ სახლის კარის ახსნა.

სახლის კერის გახარება პრ. განხიარულება სახლის სახურავის ქუჩა ნაწილისა. სტვ. განხიარულება ოჯახისა ცოლის შიყვანით. შტრ. შვილო. — ეუბნებოდა ის დღე და ღამე მუდამ დაღონებულს შექროს, ცხვირი რას დავიშვია, როდემდის უნდა იყო მაგრე მარტო, აგრე გამაჟიკრებელი?! მოიყვანე ღამაზი გოგო, სახლის კერი გაახარე. ჩემს მოხუცებულობას ნუგეში ეცი... (მე ვაბაშვილი).

სახლი ხომ წყალში არ გვიდგახს? პრ. ჩენი სახლი მიწაზედ გვიდგას და არა წყალში. სტვ. უბედურები, უკოშელნი, ყოველსავე არსებობისათვის საქიროსა და აუცილებელს მოკლებულნი არა ვართ. შტრ. ქა, იშოენი (პურს ბაზარში) რა სათქმელია?! სახლი წყალში ხომ არ გიდგას! ბაზარში თული უნდა დახარჯო და აქ კი (ჩვენსა) ღეთისწყალბა არის (რ. ფავლენიშვილი).

საცხოვრებელ სახლს, ჩვეულებრივ, მყარ ნიადაგზედა ედგამთ ხოლომე, საცა

შეიძლება გაჩერდნენ და იცხოვრონ ოჯახის წევრთ, ვაიხიზონ საქონელი და საოჯახო მიწები, რაც საქირო და სახმარი ამათთვის უშეაქვსთა კერა, საცა ინთება ცეცხლი, რომლის გარშემო თავს იყრიან ოჯახის წევრნი და ურომლოდ წარმოუდგენელი იყო ძველებურ ოჯახის არსებობა.

სურათი ძირიან-ფესვიანად გამოიყვლება, თუ ვინიცომაა ვისზე აზრად მოუვიდა ან იძულებულ იქნა წყალში ჩადგას სახლი. შეუძლებელია წარმოიდგინოთ თუნდ ერთი რამ, რაც სახლთან არსებითადაა დაკავშირებული: ყოველთ უწინარეს, შეუძლებელია ასეთ სახლში კერა და ზედ ცეცხლი გაჩაღებული. ავეჯისა, საციქელისა და საქონლისა ზომ ნულარა ბრძანებთ!.. წყლის მღინარება ერთს ალაგას არათერს გააჩერებს, წაულებელს არათრისაგან არათერს დასტოვებს...

მაშასადამე, თქმა ხატოვანად გვიჩვენებს სახლ-კარის უქონლობას და აქედან გამომდინარე მატერიალურს სრულს სიღარიბესა და სისაწყესს. ხოლო ვითომ პატრონს ასეთ ულაგო ალაგას ჩადგოლის სახლისას წარმოგვიდგებს, როგორც უიდიურეს სიღარიბეში ჩაფლულს, რომელსაც არ გააჩნია ოჯახი, კერა, ცოლ-შვილი, ურომლებოდ ძველად, ძველებურთა წარმოდგენით, ადანიანი არ აღაშინაობდა.

სახლს ცეცხლი უქიდაა პრ. სახლი ცეცხლიაგან იწვის. სტვ. დიდი გაქოვბაა, ყველა უნდა მიეშელოს, დიდი სისურვეთა საქირო. შტრ. ყველანა გაუხარდებდა, რასაკვირველია, ეს ამისთანა უმანკობით სავსე დასიქნა, ტანს დაუკრავენ ორატოვებსა, მერე ისეთის სისწრაფით გამოსცივიან გარეთ, თითქო სახლს ცეცხლი წაეკიდაო (ილ. კავთაძე).

ხანშელო და ხანშეო პრ. რაც ხველისა და მისათვის არის. სტვ. ის ადგილები, რაც ხველეთზე ანუ დედამიწაზე და მზეზე არის. შტრ. ბევრი იარა მზის სიძემ. პეროი ქვეყანა ვაიარა, გაათავა სახმელო და სამზეოს მოება (თ. რაზაშვილი).

სახმილის დავსება პრ. გახურებული ლუმელის ჩაქრობა. ცეცხლის განვლება. სტვ. დარღ-მწყობარების შეწყვეტა, დასრულება. შტრ. ვერ დავისებდა სახმელსა (ავთანდილი,

იწვის ცეცხლითა ხშირითა (მ. რუსთაველი).

სახშილის მოღება პრ. დიდ ცეცხლში გახვევა. სვ. დიდი დარღ-მწუხარება, უხონო ნალევლი. შრ. ვადრეთ თუ: ბნეო, სახშილი გვედების შენგან აღისა (მ. რუსთაველი).

სახრე დავეკრა—კომბალი დამარტუას პრ. სახრეს დავეკრას მოწინააღმდეგეშ კომბალი მიაგებოს. სვ. რამე საცემ იარაღს კაცმა საფერი იარაღი უფეროს; ტოლს ტოლი ამოუდგას მხარში: სწორს სწორი უფრო გაიტაროს როგორც ლხინში, ისე კირში. შრ. რა ჩემი საქმეა თავადი, ვინდა აზნაური? ჩემი ტოლი კაცი მინდა: სახრე დავეკრა—კომბალი დამარტუას (რ. ფაღვნიშვილი).

აზრი ამ თქმისა ის არის, რომ ტოლი ტოლს უფრო გაუგებს გაკირებას, გულის ტკივილს და, მაშასადამე, უნდა ასეთები ეახლნენ ერთმანეთს. ურთიერთობა დაივირობ; ასეთებთან შემატებულენი უფრო გაიტანენ ცხოვრებაში, ვიდრე სულ სხვადასხვა შეხედულებისა, სხვადასხვა წრის და აღზრდისა და ფსიქოლოგიის ხალხთან.

ასეთი იყო შეხედულება ჩვენის გლეხისა, შეხედულება, მთელის საუკუნოების განმავლობაში ცხოვრების ამა თუ იმ პირობათა გავლენით შემუშავებული. ამ გლეხს თავისი მეზობელი გლეხის ნათქვამი უფრო ესმოდა, ვიდრე თავადისა და აზნაურისა, რომელთა ბატონობა კისერზე ძძიმე უღლად აწვა და ჰქმნიდა ორ მოპირდაპირე, შეურიგებელს ბანაკს, რომელთა ინტერესები და ფიქრ-აზრი დამეტრულდა წინააღმდეგნი იყვნენ ერთიმეორისა.

კიდევ ამიტომ გამოჰკვართა ქართველთა გლეხმა ასე სხარტულად თავის მდგომარეობის გამომატველი თქმა, რომელშიაც, როგორც სარკეში, მოჩანს მისი საუკუნეობით შენუშავებული ნათქვამი აზრი და დადგებილი კეშმართება, რომლითაც იგი დღევანდლამდე ხელძღვანელობდა და ცხოვრებაში გზას იკვლევდა.

სახრინავზე მიდგომა პრ. ხრინვის დაწება. სვ. უცანაკენელ დღემი ყოფნა, უკიდარიის გაკირება, მოქონება, უსასრობა. შრ. ცხოვრება კი თანდათან ძნელდებოდა და ბაქარაანთ საქმე სახრინავზე მიდ-

გა (ე. ბარნოვი); შრ. იმისმა მოსამსახურე გოგამ მიაბმო დაწერილებით, ქალო, რომ სახრინავზეა თურმე ძიღდგარი მავათი საქმე, სახრინავზე (ან. ერისთავი-ხომტარია).

როცა კაცი კვდება, ზოგჯერ სულთქმა გაძნელებულია და ხრიალით ანუ ხრინვით ამოსდის ჰაერი პირიდან. ამ სულის ამოსვლის წუთის სადარია ხოლმე უკიდურესი გაკირება კაცისა, რომელსაც საშველი არსითა აქვს, ყველაფერში ხელ-ფეხი შეჰკერია უსახსროდ შთენილს, ყველასაგან გაუქითხავს, და სწორედ ასეთზე იტყვიან: მისი საქმე სახრინავზეა მიდგარიო...

სახრის აღების შეძლება პრ. ღონე სახრის დაქერისა ხელში (საქონლის გასარეკად). სვ. საოჯახო საქმის გაკეთების შეძლება. შრ. ვენაცუვალმერთს, ლექსო მომესწრო, ღალე ვანოც შესძლებს სახრის აღებას და სასახლესაც შევიძენთ და სავენახესაც (ი. ვედოშვილი).

სახრის გაღმოქნევა პრ. სახრის ამართვა დასარტუმლად. სვ. მუქარა. შეშინება, ვადაკვრა, ნიშნება, შეტყობინება. შრ. აბა ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულიც და მოსავლის პატრონიც — ყანაში ის ორი დღეც იქნება, — სთქვა რალაც ნიშნის მოგებით ელისაბედნა და უნებლიეთ შეხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეყიდა მოსავალიც და მამულიც...

დარეჯანს ეწყინა. ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნივა (ილ. კეკელიძე).

სახსენებელი პრ. ვინც ან რაც შეიძლება კაცმა ახსენოს. სვ. სადარი, ანგარიში მისათანი. ტოლი. ფარღი. შრ. ყოველთფერი ამ ცხენზედ გაავებიწება კაცსა, რომ მისი პატრონი თავმოწონე და ნებიერი თავადი შეილია. სხვა ორი ცხენი ამასთან არ იყო სრულიად სახსენებელი (ილ. კეკელიძე).

სახტომი პრ. ადგილი, სადაც უნდა გადახტე. სვ. უცები გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე, მანძილი. შრ. თხამ საწერკავი ნახაო და სახტომი კი — არა, გადახტა და კისერი მოიტებაო (ანდახ).

სახტომი ერთგვარი საბრკომა სწორ, უზიფათო, დაუბრკოლებლად სიარულისათვის. ყოველი ფრთხილი და წინდახედული კაცი გზაში შეზღუდრილ სარკოსს თავის სიზარჯეს შეუფარდებს სახტომის მანძილს, გამოიანგარინების — რაიღენად სძლეეს პისი სიზარჯე ამ სინდრელს და მხოლოდ 'ვაშინ გაბრდაჲს გადასტონას ისე, რომ აიცილოს მთხრებელში ჩავარდნა.

ზემოთმოტანილი ასეთი ბრძნული ზედგამოჭრილი ანდაზაც იმისათვის შექმნა ჩვენმა ძალაზმა სახტომის შეახებდ, რომ ხანი და გამოუცდილი გააფრთხილოს, გზაზე უზიფათოდ ატაროს, ყოველგვარ საქმიანობაში წინდახედულება მიაწველებინოს

სულზე დადგომა. ის. სულის საქმეზე დადგომა.

სულზე დება პრ. როცა სული ეურება იორცს. სვ. მომაკუაოზა, სიკვდილის მოახლოება. შარ. დედა მოიკედა, მამა სულზედა ნიძეს და ესტირიო მუდამ სულ ზედა (დ. ზარამი-შვილი).

სულზედ თქვა პრ. სულის (წაწყმენდის) მიშით თქვა. სვ. სიზარალის თქმა, სიზარალის დაუძალაობა. ტყუილის უთქველობა. შარ. ალექსანდრე წაეიდა ნეპურესთან და ჰკითხა: შენს სულზედ სთქვი, ის პურები მომიტანე, რომლებიც მე განიკეთე, თუ არაო? (თ. რაზიკაშვილი).

სულზე მიგდება პრ. სულისათვის ჩაბარება, სულისათვის მინდობა. სვ. სოლისა ანუ სეინრდისისათვის მოთხოვნა რაიზე ნაკისრ საქმის ასრულებისა. შარ. ასუმა: — ვშენ სულზე მოგვიგდიო! ჩემ სულზე მოგვიგდიო და იმითრმაც ვერ მოგართვის გოკის თავი და!.. (მ. ზანაშვილი). ის. შენმა სულმა ზლოს.

აქ ასული — ხმარებულია, როგორც სეინრდისი, რომელსაც ეკისრება პასუხისგება პირობის აუსრულებლობისათვის. **სულზედ შევარდნა** ის. სულზედ შეგდება.

სულზე მისწრება პრ. ვისიმე სულის ამოსვლამდის მისვლა. სვ. ძლიეს მისწრება, რაიმე გაკირების დროს დროზე მისწრება. სანამ მოკვდებოდა.

სულ ზემა თაროზე დასხამენ სტუმ-

რებს პრ. თაროს ზემოდან მიუჩენენ ადგილს სტუმრებს. სვ. საუკეთესო, სიპატიო ალაგას დასხამენ სტუმრებს.

სულთა ამოხდენა პრ. სულის ამოღება სხეულიდან. სვ. უზომოდ ტანჯვა, მოკვლა, მოსპობა, წამება. შარ. თქვენ ერთმანერთსა არ მიძედეო, მე სულნი ამომხადენით! (მ. რუსთაველი).

სულთა ბრძოლა პრ. ბოძოლა სულისა. სვ. ზნეობოიე ტანჯვა, მოახლოებული დასასრული რისამე. შარ. ამისი აშუარა მეგალითი ტყისა და საძოვრების სათემოდ ხმარება, რომელსაც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწყუხაროდ, დღეს სულთებრძეის რუსთა კანონების ზედმოქმედების გამო (ილ. ჰაპაჰაჰე); შარ. ეგ რა მგ სურეის პასუხია და საქუალი მეგი მამა რო სულს ებრძოდა. მე იქ ვიყავი და... (ს. მგალაპილი); შარ. ხეესური მიცვალებულს დღის ამბით მარხავს. როდესაც სხეული დაუწყებს 'სულ ბრძოლას,' ე. ი. სიკვდილისაკენ პირს მიიღებს. ხეესური სხეულს გარედ გამოიტანს, რომ სული გარედ დალიოს (ევა-ფანაჰე).

სიკვდილის დროს, ჩენი ძველი რწმენით, ზორცი სულს ებრძვის, არ უშვებს ანოვიდეს ტანიდან.

სულთა გაყრა პრ. სულის მოშორება, უსულოდ დარჩენა. სვ. სიკვდილი. შარ. გნახე სულთა გაუყრელმან, ფიცის ასე დაეამტკიცე (მ. რუსთაველი); შარ. ზენაო, სულთა ნუ გამყრი, ამბითა მპრეტდი ამ ალსა (მ. რუსთაველი).

წარმოებული სიტყვები: სულთა გაყრილი — მკედარი, უსულოდ დარჩენილი; სულთა გაუყრელი — უცხალი, ვისაც სული შერჩენილი აქვს.

სულთაგან დაცლა პრ. სულის ამოღება, სულის მოშორება. სვ. მოკვლა, უსიცოცხლოდ დატოვება. შარ. იისერსი ხელი წამოკრა (არსტომია ზურაბს), ფიცხლავ დასცალა სულთაგან (მ. უმიკაშვილი).

სულთა მდგმელი პრ. სხეულში სულის ჩამდგმელი. სვ. მაცოცხლებელი. ხელის შემწყობი, დამხმარე, მშველელი. შარ. ბანკის სულთა მდგმელი — ბირეთა. ბირეთაც კიდევ მიტად ყურმახეილია და მგრძობობიერი (ილ. ჰაპაჰაჰე).

სულთაჲდ ზელს მანჯღის ახ. სულამდე მომდევს.

სულთამსუთავი ჰრდ. სულის ღების განჯელებელი. სჯვ. მანჯღლებელი, მტახჯეელი, ზონჯღინებელი, სიკედლის ზომბახლოებელი. შარ. სიკედლის ბოქაულს, სულთამსუთავს. ხელთუპირა ალს.სრულებლად. ღმერთთან. ზოგიერთებისათი დაჭქრთამაჲ, ხახს ჩაულბობ და უქან გააბრუნებ! (ილ. ჰეჰვაჰე); შარ. ეს კი ვიცი, რომ ამისსა სიტყუებმა ძლიერ ჩანაფიქრეს და ამის შეძლეჲ თუნდა ჩემს სულთამსუთავი ყოფილიყო, თამბაძლ თვალს გაუუსწორებდი (ილ. ჰეჰვაჰე). ხალხის ძველი რელიგიური რწმენის-თანახლად, სულთამსუთავი გულისხმობს ანგელოზს, რომელიც მომავლადეს თავს დაადგება და დააჩქარებს სულის ამოსდას.

სულთაქათი ჰრდ. სულს აქეთ. სჯვ. სულს გარდა, რაცა მყვანან, თუ მბადია. შარ. დამიდევს თვლები! იმიტომ გავიქრე ე სულთაქათი, რომ ჩვენებურ ტეტრიებისთინ გამეზარდნა (შეილი)? (უნჯ. მეთემბაჰეი).

სულთომობრძაობა ჰრდ. ბრძოლა სჯლისა. სჯვ. ზნეობრივი ტანჯა, მოასლოებული დასასრული რისამე. შარ. როცა ლიტერატურა, — ეგ ადამიანის ქულისა და გონების საგანძე, — წიკედლებს მავ სადაკობას (ბეზობას), როცა მამბეზლარს თავის კაოს გაულებს ხოლმე, მაშინ თვით საზოგადოების გაბრწილება ცხადია და სულს თმობ რძაობა მისის წყობისა უქველია (ილ. ჰეჰვაჰე). ახ. სულთა ბრძოლა.

სული ჰრდ. შებერვა, სუნი. სჯვ. ცოლი; ძვირუასი; მცხოვრები; სიცოცხლე. შარ. წანოიზარდა, გამრჯულ დედას შეეშველა, უშნოდ განხეილი კერა წელში გამართა. საბარო ურემი, უღელი შიჲ, ძროაა, კეებულა. რა უჯირდა! მოზერებს იყიდდა, ახალ სულსაც მოიყვანდა და... (ბ. ბარნივი).

სული ღვთისნეტყეულებისა და იდელისტური ფილოსოფიის სილოგინია. აღნიშნავს, ანიმისტურ და სარწმუნოებრივ წებეღლოებათა თანახმად, იმ ნიეთერებს, რომელიც ცალკეა, უნატერიოა და სხელისაგან გამოიყოფა და ვითონც ორგანულსა და არაორგანულ საგნებს ანიჭებდეს სიცოცხლეს, აძლედეს მოძრაობის უნარს.

აი თქმები, რომლებიც სულთანაა დაკავშირებული და გაბობნატვენ ადამიანის მღვდლმარების ამო თუ იმ სახეს.

ამ ოჯახში 5 სულია — ამ ოჯახში ხუთი მცხოვრებია დიდი და პატარა; მაჟანი ამხანაგების სულია — ამხანაგების საყურელი კაცია; სული განუტევა — მოკვდა; სული და გული ადამიანია — შეტად კარგა ვინება; ქეთილი სული — ქეთილი ადამიანი; ბოროტი სული — ბოროტი ადამიანი; სულზედ მივდებმა — სინდისზე მივდებმა; სული და დედმა ვისთვისმე — ვისთვისმე თავის გაწირვა; სულის და დედმა — მოსიყენება; სულის მიბარება — გარდაცულება. სიკედლი; შენმა სულმა ზორო — შენი სული იყოს პასუხისმგებელი; ჩემმა სულმა — ჩემს სულსა ვუფიცე; შენ იცი და შენმა სულმა შენ იცი და შენმა სინდისმა; სულის ამოხრომა — სიკედლი; სულის ლევა — სულის გამოშვება სიკედლიან, სიკედლი; სულის მობრუნება — მოსიყენება; სულის ამოხრომა — ტანჯვა, წვალება, მოკვლა; სულთმოობრძაობა — მომავლადე; ჩემი სულია ჩემი ძვირფასო! უსულო ადამიანი — ვინც არაფერსა გრძნობს; სულწასული — ვისაც მოთნიბნა არ შეუძლია და სხე. და სხე.

სული ბურღოში გახვია ჰრდ. კალოს ნაგაეში ამოვლება სულისა. სჯვ. ცუდი საქმე ჩაიდინა, სიამე, სბოროტე. შარ. ყველა, ყველა, მაგრამ რატომ ეგრე ჩავდივართ, ქა, სული ბურღოში არ გავხვიოთ და საჯოჯოხეთოდ არ გავიხადოთ. უწინდელი დრო ხო აღარაა! რო ჩვენ ქეიფზე გქრით და ეკერავთ, რატო ერთი იამუნეს-კი არა ვკითხავთ! (დ. მაჩხანელი).

სული გამვარდეს ჰრდ. სული ჩემს სხეულს მოზორდეს. სჯვ. დევი, მოეკვდე, სიცოცხლე მოვისწრაფო. შარ. მე ჯანი და სული გამვარდეს, იმ ბიჭებსაც ღმერთმა გზა მისცეთ. ამ ცოდვის შეილს (ქალს) რა ვუყო? (მელანია).

სული და გული ჰრდ. და სჯვ. საფუძველი ადამიანის არსებობისა, სიცოცხლისა. მამებელი. შარ. ამით უარყო (წესდებამ) პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სული და გულია ყოვე-

ლის წყობისა და ნამეტნაველ თვით-მმართველობისა (ილ. პაპუაძე).

სული და ხორცი გლეხისა ბატონის ხელში იყო პრე. გლეხის სული და ხორცი ბატონს ხელში ექარა. სკვ. მთელის არსებით გლეხი ბატონის ეკუთვნოდა და ბატონი იყო სრული პატრონი გლეხისა, ბატონს რაც უნდოდა, იმას უზამდა გლეხს, პასუხს არაფრს წინაშე ავებდა. შერ. სულიცა და ხორციც ძველად გლეხისა ბატონის ხელში იყო (ს. მაღლობლოშვილი).

სულიერი ახ. სულიელი.

სული ეშმაკს მისცა პრე. თავის სულს ეშმაკი დააპატრონა. სკვ. მეტად ცუდი საქმე. უდიდესი ბოროტება ჩაიდინა. შერ. მღვდელს უგარძენია, თავი დაეღუპეო და სული ეშმაკს მიეცეო, უშვერია ფიხი და ჩავარდნილა მტკვარში, რომელსაც ხელად ჩაუძირინია (ქ. კობახიძე); შერ. მან მისცა სული ეშმაკებს: „მე გამომიპრთვით თვერი“ (თუშუაი ლექსი).

სულით დაღვევა პრე. სულის მოშორება სხეულისაგან. სკვ. სიკვდილი, სიციცხლის მოშორება. შერ. ტავანში ჩრბილი გაჰქონდა რძეს და სასიამოვნო სუნს გვაბნევედა ცხვირში. თან სულით ვიღვოდი, როდის მოჩჩებოდა ძროხების წველას, რომ ტავანით ჩემთვის რძე დაელევიანებინა (ვაჟა-ფშაველა); შერ. იგ სული არის ჩემი და თავისი ნებითა კაცისაგან სულთაღვევა არ გვგებინს (სიხარბიანი).

სულით ხორცამდე გაუღვევა თავისა ახ. სულით ხორცამდე გაცლა.

სულით ხორცამდე გაცლა პრე. წართმევა, დაღუპევა როგორც სულისა, ისე ხორცისა. სკვ. საესებით დაღუპევა, არაფრის დარჩენა, ყოველფრის წართმევა. შერ. ხელახლა წამომიარა, სულით ხორცამდის გამცალა, ნათლია-მამასახლისმა ერთ თუნჯ არაფში გამცელა! (რ. ერისთავი); შერ. გარწმუნებ, თქვენ მოვალეს უკან დევნით დაიღალებით და ბოლოს, იქნება, სრულიად ვეღარ აიღოთ რა. თქვენი მოვალე იტყვის: „გავოტრდიო“. აბა, რაღასა იქთ წამინ? სულით ხორცამდის ხომ დაიღუპებით! (ლ. არდახანი);

სულით ხორცამდე დაღუპევა ახ. სულით ხორცამდე გაცლა.

სული იქრა პრე. სული მოედინა. სკვ. იგრძნო სიახლოვე ეისმე ან რისანე. შერ. ამა საუბარსა ზედა სული თურმე იცა კაცთა და მოვილოდა იგი ნეცი, შამბსა გამოლწდა, ფერხითა მისთა ხვა კლდითა რღვევასა ჰგებანდა („ამიჲან-დარჯანიანი“).

სული იცა ახ. სული იქრა.

სული კბილით მიჭირავს პრე. კბილის საშუალებით ვიკავებ სულს. სკვ. სიკვდილის პირასა ვარ, მოივასა ეცოცხლო; მეტად მიჭირს. შერ. მე სიკვდილსა მივსწორვოდი, სულთა კბილით შენმა ხევედა (ქაიხარაი); შერ. ოცი წელი ხომ მაინც შენი ყმა და მღშა ვიყავი, შე კაი კაცო, ერთი-ორი კვირა რა გავიხდებოდა, რომ შეგენახე მე ხომ, ეს არის, სული კბილით მიჭირთა არს და, საცაა, გადაებრუნდები და მოვკვდები (ვაჟა-ფშაველა).

ეს თქმა იმისია, რომ სიკვდილი არავის უნდა და ამიტომ ყველა ცდილობს კბილები კბილებს დააპროს, სხეულიდან სული აღარ გააოუშვას, დააპროს და სიკვდილი თავიდან აიშოროს.

სული მოიღვა პრე. წამეალი სული უკან დაიბრუნა. სკვ. გამოკოცხლდა, მოლონიერდა, მოკეთდა. შერ. იშობლის მზრუნველობით თან-და-თან სული მოიღვა (სიკვდილის პირას მისულმა გერისომ), ბორცვი ჩაჯდა და რავდენისაზე თვის შემდეგ ხელში ველარავინ ამეგრებდა (ან. ერისთავი-ნოშტარი).

სული მოითქვა პრე. ამოისუნთქა თავი-სულუად. სკვ. ქონებრივად მოლონიერდა, შეძლებული გახდა, გაპირებას თავი დააღწია.

იგულისხმება, რომ კაცს როცა რამე უჭირს ან ეშინია, თავისუფლად ვეღარა სუნთქავს.

სული მოიპარა პრე. თავისი სული ქურდულად მიითვისა. სკვ. სული განაბა, თავი მკედრად ანუ უსულოდ მოაჩვენა.

სულიმწარედ მოლოდინი პრე. გამწარებული სულით ლოდინი. სკვ. მოუთმენლობა.

სულისაგან დაცლა პრე. სულისაგან დაცარიელება სხეულისა. სკვ. სიკვდილი. შერ. სულისაგან დაეი-

ცალე, მეტი აღარავარ. ახ. სულის განლევა გვამთავან.

სულისა და გულის დაკეტვა პრ. სულისა და გულის მოქცევა დახურულია. სჯვ. დაღონება, დაკმუნება, უსასობა, შეწუხება. შერ. ნობრუნდა ფიცხლად და გაეჩანა კარებისაკენ გასავლელად. მაგრამ ამაოჲ: კარები უკვე ნაგრა. ძალიან მაგრა იყო დაუკლიო. ძალიან შეწუხდა. სული და გული დაეკეტა (ნაჲ-ფნაჲჲ).

სულის ამორთმევა პრ. სულის ამორღება სხეულიდან. სჯვ. უზომო ტანჯვის ნიუენება, მოკვლა, მოსპობა. შერ. ვენაი არ დაოქება, ყანა, სიმინდი, რო ჩვენმა გასატიელეებელმა საქონელმა არ ააოაროს; კაცი არ არის, რომ თქვენ წყალი არ წაგერთმითო: ებღუნძელაშვილია და სუ სული ამოგვართვა!.. (ს. მგალობლიშვილი); შერ. განეშო, რა მუქთი ფეხები მაქეს, მაგათ (კაპეჩების) ძებნაში მერე სული ამომართმევოდა? (ილ. ჰეჲჲჲჲ).

სულის ამოსვლა პრ. სულის ამოხდონა სხეულიდან. სჯვ. სიკვდილი. შერ. სულთამოსვლის მონატრე ვარ, არც ცოცხალვარ, არცა მკვდარი (ნ. ციციშვილი).

სულის ამოძრება პრ. სხეულიდან სულის განოყვანა გარეთ, სხეულს მოშორება სულისა. სჯვ. სიკვდილი, სიკოცხლის შექცევა. შერ. ჩენი ჯანი ნაგათ (ჩაფრებმა) შექანეს, სისხლი დამიურითეს და კარზე მომდგარ სიკვდილსაც კი თავისუფლად სულის ამოძრობას არ აცლიანო (პეტრი).

სულის ამოხდენა პრ. სულის ამოყვანა სხეულიდან. სჯვ. უზომოდ ტანჯვა, მოკვლა, მოსპობა, წამება. შერ. რაკი კერძო საკოთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მის მერმეთ--დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაქობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოაოო. სული ამოხდა (ილ. ჰეჲჲჲჲ); შერ. თქვენ ერთმანერთსა არ მიძხედეთ. მე სულნი ამოხდა დენით! (შ. რუსთაველი); შერ. მართლა და რაჩედ იქლექებ თავს. დასთანხმდები: ნ. კარგი... მაგრამ რომ არ დასთანხმდებიან, რომ შენი მოშორება მაგათი სულის ამოხდა იქნება! (პეტრ. ცაგარელი); შერ. სულთა ამოხდენი გუამთავან, მიწასთან გაესწორდა (ფეშინგი).

სულის არდაჲერა პრ. სულის მიცემა, დათმობა. სჯვ. თავის დაუზოგველობა, სხვისთვის სასიკვდილოდ მზადყოფნა, თავის განწირვა. შერ. ფიციო შითხრა: სული ც ვინდეს, არცა იგი და გიქირო (კაიხოსრო).

სულის გაცვენა პრ. სულის დაბნევა-სჯვ. სულის ამოსვლა სხეულიდან; სიკვდილი, სიკოცხლის მოსპობა; ძალიან ნდომა რისამე. შერ. მაგ საქმეს, რასაც შენ ამბობ, რასაც წამს ღიდა შეიტყობს. მაშინათვე სული გასცევივა (რ. ერისთავი); შერ. ერთად შეხედდრისათვის სული ს(ცივიყოლათ, ეწანწკლებოდათ (ებნ. მენთე-შაშვილი).

სულის დაგირავება პრ. გირაოდ მიცემა სულისა. სჯვ. დიდი გაკვირება. შერ. ჩალის ფასად გადაგდება (ქირანახულისა) და ჩარჩების ხელში ჩაგდება ვერ მოგვიხერხებია, სანამ ფულისათვის სული ს დაგირავებას არ შევეუდგებით (სოფესპონდენცია, „ფ.“ 1891, გვ. 4).

როცა კაცს ზომამე მეტად გაუქირდებოდა, როგორც ძველათ ჩვენს ხალხსა სწამდა, ეშმაკთან მიდიოდა და სხობოდა გაქირებისაგან დახსნას, ფულის სესხებას. ეშმაკი ფულის მაგიერ მოსთხოვდა სულის დაგირავებას, რომ მერე სული დარჩენოდა და ჯოჯობეთში წაეყვანა საწვალბლად.

სულის დაწოგვა ვისთვისმე პრ. დანანება, მიუტეობა, არგამეტება სულისა. სჯვ. დანანება სხვისთვის თავის განწირვისა, სხვისთვის სიკვდილისა. შერ. ხელმწიფემან ვალთა მუქფად არ დაწოგოს შენთვის სული (ნ. ციციშვილი).

სულის დაღევა ახ. სულად ღევა.

სულის დაღება პრ. სულის ძირს დაშვება. სჯვ. დამშვიდება, დაწყნარება, გაჩუმება, გატყრინება. შერ. რავგარ გიყვარს, რავგარ გიღირს? თქვი. დავილო მერე სული (შ. რუსთაველი); შერ. მაწყინე და გამარისხე, ვერ დავილდი დიდანს სული (შ. რუსთაველი).

სულის დაწვა პრ. სულისათვის ცეცხლის მოკვლევა. სჯვ. სიათვის, ბოროტების ჩაღენა, აეკაცობა, უგვანობა, უხამსობა. შერ. შენ ხომ შენ ქმარს უღალატე, იაშინ დასწვი შენი სული (პ. უშიაშვილი); შერ. აბა, სული როგორ დავწო, თავის დღე-

ში ტუქული არ მიტყვამს: რომ ვთქვა, ძალიან ლამაზია მეტეჟი — არ არის (აქვს. ავაგოელი).

სულის დგმა პრ. სულის ყოფნა სხეულში; სტვ. ძლივს ცხოვრება, ოდნავ არსებობა, გაქირებით ყოფნა; სიკოცხლე; ძვირფასი; მოსვენებით ყოფნა. შარ. მივირის, სულნი სადღა მი დღან, ვიტყუი მისგან ნაუბარსა! (შ. რუსთაველი); შარ. ეს ერთადერთი ქალი მყავს, ბარონო მეფეჟ, მემკვიდრეა ჩენი და სულს დგმა (შ. ბარონოვი); შარ. მართალია, მართალი! — შეჰყვირა გულგაკეთებულმა ხალხმა, — ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ ან სოფელში და ან იგენი! სულთა დგომა ალარ არის. სულთა დგომა (შ. მაკობლიშვილი); შარ. შემოვიდა შექრუშვითა, ძლივ ეტყობის სულთა დგმანი (ფეშინგი). ახ. სული.

სულის მიერ წაძლევა პრ. ძალაობის განაღწევა სულის მიერ. სტვ. მოთმენლობა. შარ. გზაზედ ბიჭები ნახა, რომ კოკაობდნენ. თვითონაც სულმა წასასლია, გორგლები ივგე დაწყობა და თვითონ კი კოქს ჩაუგდა (თ. რაზიაშვილი).

სულის მიტანება პრ. სულის მისწრება. სტვ. ცოცხლად დარჩენა, გაძლება განსახლებურულ წმამდე. შარ. იგრე ავად არის (ძე შენი), ლამემდინ სულს ვერ მიატანს (ს. ოზბელიანი).

სულის მიცემა პრ. სულის მიკუთვნება ვისთვისმე. სტვ. ვისთვისმე თავის მოკვლა, სხვისთვის სიკოცხლეს გამოთხოვება. სხვისთვის თავის განწირვა. შარ. არს გული თქვენი საჩემო უფროსი ძმისა სრულისა, არ გეშუქებდის სიკოცხლე, არცა მოცემა სულისა (შ. რუსთაველი).

სულის მობრუნება პრ. წამავალ სულის არგაშვება, უკან გამობრუნება. სტვ. მდგომარეობის გაუმჯობესება, გაქირვებისათვის თავის დაღწევა; შესვენება, ღონის მოკრეფა; კარგად გაბლობა, მოკლა; სიღარიბისათვის თავის დაღწევა. შარ. გოგისა (წყლის შუილი) წარსულს უღვიძებდა და აგონებდა იმ დროს, როდესაც მოკლა, აღარც-კი ჰქონდა, რომ ცოტა ხანს შეესვენა და სული მოებრუნებინა (შ. არაგვისპირელი); შარ. მალა და ველარ დამალა აფშინამ წყლული გულისა, არ ეთქვა, აღარ შეაძლო ვაჟ-

კაცს მობრუნევა სულისა (ვაჟაფშაველი); შარ. ანგვარად, ორი-სამი დღის მშვივობი ღამიროლ წყალში მოთუთქულ ბალახით იბრუნებდნენ სულს (ო. ფეოსანი).

იგულისხმება მეტად ვაჟირებული, სიკვდილის კარზე მიწდგარი მდგომარეობა აღამიანისა, როცა კვდება ანუ სული ამოსდის და ამ დროს ახერხებს ეს სხეულიდან მიმავალი სული სხეულშივე დააბრუნოს და ნით მოისვენოს, გულზე ეფონოს, სიკოცხლეს დაუბრუნდეს.

სულის მოქმა ახ. სულის მობრუნება.

სულის მოქცევა პრ. სულის მობრუნება. სტვ. სულთქმა. შარ. კაცი სიციხისაგან დაოსებული, სულს ძლივს იქცევიდა (ო. პავლეძე).

სულის მტერი პრ. სულის მოძულე, სულის სიავის მდომი. სტვ. ვინც სულისათვის არა ზრუნავს, ბოროტი, ავკაცი, უკეთური, სულის წასაწყენი საქმის რამდენი. შარ. შენზედ ორსულად რო ვიყავი, ისენი სანადაროდ წავიდნენ: ვაჟი გაჩნდებოდა — უღელი უნდა დამეღვა, ქალი — ჯათა. მე ჯარა დაედგა, მაგრამ ერთმა სულის მტერმა ბებერმა მილატა: ის ჯარა აიღო და უღელი დადგო (თ. რაზიაშვილი); შარ. არა, ისე ჩემად მოხედინა მაინც იმ სულის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა. — სთქვა დარჯანმა (ო. პავლეძე); შარ. მეწერილმანის ბებერი მიუყარდა კერით, წყელით და უშვიროის ლეკსით დაუწყო სული მტერმა ლანძღვა და არ გაათავა, სანამ ყებთი არ ჩამოსცივიდა... (ქ. არაბიანი).

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად. ვინც ბოროტებას მისდევს. კეთილ საქმის გაუბრძობის, ასეთი კაცი თავის სულისათვის არა ზრუნავს, თავის სულის ცხოვნება არ აღარცხება.

სულის საქმეზე დადგომა პრ. სასულიერო საქმეთა კეთების დაწყება. სტვ. სიკეთის ქმნა, საწონიების თესვა. სულის ცხოვნებისათვის ზრუნვა. შარ. აქამდინ სულ ცოდვებს ვშვებოდი (სთქვა მგელმა), მოდი, ეხლა სული სსაქმეზე დაეღგებო, იერუსალიმში წავალ, ბერად შედგებო (თ. რაზიაშვილი); შარ. მორღმანი — არა. გეთავყვანი, მე მაგ ცოდვაში ვერ ჩავ-

დგები. ერთი სულის საქმეზედ შემდგარი დედაკაცი ვარ (ილ. პეპკაძე).

სულის ღვბა პრ. სულის თქმა, სულის ნობოუნება. ზვ. სიცოცხლე.

სულის ჩადგმა პრ. ვისაზე სხეულის შივნით სულის ჩასა. ზვ. გაპირების დროს წველა. დახმარება, უცედურობის ამორება, სიკვდილისაგან გადაჩენა (ავადმყოფისა), დასრულება ღისაზე. შრ. იქნება დისციპლინა ისე საპიროდ არსდ იყოს, როგორც კრებულად ავაზაკობაში, საცა მარტო ხნამოუდებელს მორჩილებას და ერთის უფროსის კაცის ნებას შეუძლიან თავი დააქვიროს კრებულად ავაზაკობასა და სული ჩაუდგას (ილ. პეპკაძე); შრ. ამ თავიწიერა დალოცილობა მამულ-დედული ააყვავილა, ჩაუდგა სული; თითონ აცხოვრებს თავისსა მამულს (ფ. ბარნოვი). ის. სული.

სულის ჩამდგმელი პრ. ვინც სულს ჩაუდგამს. ზვ. მსნელი, მშვედელი, დანაშარე. მაცოხლებელი, ყოველისავე სიკეთის მიზნიკებელი, კეთილისმყოფელი, მკედრის გამსოცხლებელი. შრ. ქალი გაპომცნაურა (მომლორს). ლამბო ყელაფერი. ჩემი მანაც შენა ბრძანდები და ჩემი სულის ჩამდგმელიცაო... (თ. რაზიკაშვილი); შრ. გარე ნობით ეხლა კაცი ვეღარკვი შეატყობდა, რომ გული გამოჭნული ჰქონდა სახლს, სულის ჩამდგმელები აღარა ჰყვანდა და უსულო რამ გვამს მიემსგავსებოდა შეფერილს (ფ. ბარნოვი). ის. სულის ჩადგმა.

სულის ცვენა შიშით პრ. სულის დატყენა, მოშორება სხეულისაგან შიშით; ზვ. სიკვდილი. შრ. დედამ ისეთის მრისხანის სახით შეხედა მქანკალს, ისე საინლად დაუბრიალა თვალები, რომ სხეას იქვე სული გასცივიდებოდა (ლ. არაბაიანი); შრ. სიკეთით? შრ. სიკეთით კი არა, საჯიბედ აილ (ვაკეთილი). ფულისათვის სული გვევივა და ანაგარაზაზე ლაპარაკობ? (იხ. სოწლუაშვილი).

სულის ცხოვნება პრ. საუფრო ცხოვრება, სულის გასტუმრება საწოთხეში. ზვ. სანადლო საქის გაქვებება, კაიკაცობა. სიკეთის დათესვა, ყვლა-სი შელა.

სულის წამლებელი პრ. სულის მომტაცებელი, სულის ამომხდელი, უსულოდ დამტოვებელი. ზვ. მოიკვლენი. შრ. ორი ევზომი მათისა მტევებისაგან შეკახმული კაცი ჩამოქრა და ორგინითვე ქოსი და ბუკი ამას ჰყვიროდა: „ისწრადეთო, ჰე, სული-სა წამლებელნი!“ (პისრაბინი). ის. სული სწალემა.

სულის წასვლა პრ. სულის განშორება სხეულისაგან, უსულოდ დარჩენა. ზვ. მოუთმენლობა. შრ. იქვე მდგომარე ქალბმა ხელი ჰქვას (ნინას). წრენი გამოვადეღ და თანაც მოაქახეს: — იი, ქა! რალას იპრანეები? ხომ ვიცით, თამაშობისათვის სული მიგდისო (ილ. ვაჟაფშაველი).

სულის წალემა (ვისგანმე) პრ. სულის მოტაცება, სულის ამოხდა, უსულოდ დატოვება. ზვ. მოკვლა. შრ. მისისა (ვისს) გამოჩენისაგან დატყუედა რამინის გული, თუ სთქვა, გრძელულმან მოწაილა რამინ, რომელ ერთითა ნახვითა სული წაუღო (პისრაბინი).

სულის წუთვა პრ. სულის შეპყრობა, ხელში ჩააღუჯვა. ზვ. ტანჯვა, მოკვდინება. შრ. ეგ ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისათვის უცემს, როგორც თავისთვის (ილ. პეპკაძე).

სული ტკბილია პრ. სასიამოვნო გემოსია სული. ზვ. სიცოცხლე სახარბიელოა, ძვირფასია, ყველანი ძალზე ეებლაუქებით, სიკვდილი არავის გვინდა, სიკვდილისა ვშინიათ. შრ. შემოვადაწყვეტილებამ თუმცა სულის ხალხს ააღლევა, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს—სული ტკბილია!— ჩარბდნენ, დაემორჩილნენ სვე-ბედსა (ს. მალითიშვილი); შრ.— როგორ მოშორდი? — რა გითხრა, შეიღო ყველაზე ჯიფრო სული ტკბილია, იგი ტყვე არის წუთი-სოფლისა და ეგ ყოველი მის ბორკილია (ილ. პეპკაძე).

სული ფეხის ფრჩხილებში გაეპარა პრ. ფეხის ფრჩხილებიდან ჩუმად გაუძვრა სული. ზვ. არც კი გაუგია, ისე ჩუმად მოკვდა, საშინლად შეეშინდა, შიშისაგან სული განუტევა.

სული ყელში მებჯინება პრ. სული ყელადევა მისული. ზვ. ვიღრჩებო, ვიტანჯვი, სული ამოსვლანება, მეტის

მოთქმნა აღარ შემიძლია. შერ. ღრ-
 ლას გემიაშვილის ქვერქემა გამიხმომ
 ელიის ეკლესიის ეზოში, ჩამივარდა
 ფესებ ქვეშ, — დაიწყო ისიდორემ
 ხმის კანკალითა და დღეებით, ეტ-
 ყობოდა. სული ყელში იტყინე-
 ბოდა და სიტყურს თქმა ეძნელე-
 ბოდა (ს. მაკობლიშვილი). ახ. სული
 ყელში მოსული აქვს.

სული ყელში მოსული მაჭვს პრ. სუ-
 ლი ყელამდნა ამოსული, საცაა, ამომ.
 ხდება. სკვ. მეტის მოთქმნა არ შე-
 მიძლია, მეტს ვერ გავსლებ, სიკვ-
 დილს მიხალოვებულნი ვარ. შერ. ამ
 ყელს ანახანაგებს სული ყელში
 მოსული გვაქვს მისი მოწინააღ-
 ღწეგობისაგან ვაკრობის საქმეში
 (მოგზაური). ახ. სული.

სული ყელში ჩამატანა პრ. თავისი
 სული ზენს ყელში ჩამიძვრინა. სკვ.
 ძალიან მთხოვა, მეტისმეტად შენე-
 ვეწა, კირი მოქვანა. შერ. გისწავლე-
 ბია (როიალზე დაკვრა) თუ არ გის-
 წავლენბია (შენი ქალისათვის), იმ დე-
 დაკაცმა სული ყელში ჩამატან-
 ნა, როიალი უსათუოთ მოჰყვეს!
 (ს. ახიანი).

ძველის დროის რწმენის თანახმად,
 აღამიანისათვის ყველაზე ძვირფასია
 სული — ეს სიმბოლო სკოცულისა
 და არსებობისა. როცა კაცი ძალიან
 მზებერება, როცა მეტისმეტად მთხოვს
 რასნე, ვიტყვი — სული ყელში ჩა-
 მატანაო, ე. ი. მეუბნება: მზადა ვარ
 შენთვის ჩენს სულს განვეშორო და
 შენს ყელში ჩაეუწება, შენ მიგასაკუთრო,
 ოღონდ რასაცა ვთხოვ, ამისრულეო.

სული ცხვირში უზის პრ. სული ცხვი-
 რანდე აქვს ამოსული. სკვ. მოთნი-
 ნება არა აქვს. ახ. სულ წასული.

სული ძირს არ დაჰყვება პრ. ძირს
 მისვლამდე სული წაჰყვა. სკვ. მოკვ-
 დება უტბად. შერ. სამი დღის სა-
 ვალს გაატყორცნის, სული ძირს
 აღარ დამატყვესა (ს. უნიშვილი).

სულმა წამძლია პრ. ნლომა მომგროია.
 სკვ. ველარ მოვითმინე, ცთუნებას
 ვერ გავუძელი. შერ. რაც უნდა თავი
 შეიმავროს კაცმა, მიინც სული
 წასძლევეს ხოლმე (ან. ვრისთავი-ხო-
 შაჩარია).

სული ხორცში აღარ ეტევა პრ. მის
 სულს სხეულში ადგილი აღარ ჰყოფ-
 ნის. სკვ. გაძლიერდა, ძალა და ღო-

ნე მიიცა. შერ. უსისხლოდ ვერ ავი-
 ტან ბოლგარიის გაძლიერებასა (იძა-
 ხის საბერძნეთი): ვინ იცის, იქნება
 გაღონიერებულს ბოლგარიას სული
 ხორცში აღარ დაეტეოს და
 ნაშინ ერთ ლუქადაც არ ვეყოფი
 ბოლგარიასათ (რ. კავაზაძე).

სულს არ იშურებს ვისთვისმე პრ.
 მზად არის. სულიც კი გაინეტოს
 ვისთვისმე. სკვ. მეტისმეტად ჟუჟარს,
 მისთვის თავი არ ეშოგება, თავს ურ-
 ჩევნია, სიცოცხლეს შესწირავს იმის-
 თვის, მოკვდება იმისთვის. შერ. გლე-
 ხობასაც ძიელ ჟუჟარდა (მინა),
 სულს არ იშურებდნენ მიხასა-
 თვის (ს. მაკობლიშვილი); შერ. არ მო-
 გიკვდეთ ჩემი თავი. სულს არ და-
 ნიქერდა გლეხი კაცი, მაგრამ
 რაში გამოვიყენებდი!.. (ოგ. მაკავარ-
 ანი).

სულს აქეთ არა ანადია რა პრ. სულის
 მეტი არა გააჩნია რა. სკვ. უზომოდ
 ღარიბია, უქონელია, არაფერი ამა-
 ღია, ყველაფერი წარათმეული აქვს,
 გაძარცულია. შერ. თქვენ ხომ გავე-
 გონებათ, ბიჭო, ჩენი მოყვარე
 ამრისა ამბავი. სულს აქეთ რაც
 ებადა, სუ ი ერთ ბიჭულად გადა-
 აგო (მელანია); შერ. ცარიელი სული-
 და მაჭვს და ჰლანის, ისიც ამომზა-
 დოს (ყაზარამ). ახლა ლისტი აუ-
 ღია და რაც მზადდია სულს
 აქეთ. იმასაც წამართმევენ (ს. მა-
 კობლიშვილი); შერ. გაიგეს მერე, რომ
 უპატრონაა, და, ლანის, სულს
 იქით აღარათყვრი შემანარ-
 ჩუნონ (ყა. ფავაძე).

სულს გადადგომა პრ. სულის ლალა-
 ტი. სკვ. უსინიღისო საქმის ჩადენა,
 ბოროტება, სინიღისო ლალატი.
 შერ. აბა ნამდვილი თავადიშვილი ის
 არის! ჩემ სულს რომ გადაე-
 დგომოდი და ღვინის ამომღები-
 სათვის ერთი ორიოდე ზომით მე-
 ჩაქვინბა, ოც საპალნეს ხუთმეტრ სა-
 კანლედ ვათმევიენბდი (მელანია).

სულს ვერ წავიწყებდ პრ. ისეთ საქმეს
 ვერ ვიხამ, რომ სული წაიწყებდოს.
 სკვ. ცულს ვერაფერს ვიხამ, მოყუასს
 ვერ ვანებ. ვერ ვანარაღებ, ტყუ-
 ილს ვერ ვიტყვი, წეობრავს მას.
 ხისმეგვლობას ვერ ვიკისრებ. პრ.
 სულს ვერ წავიწყებდ, რაც
 მართალია — მართალია, ტყუილს ვერ

უფრო ხშირად ეს თქმა იხმარება, როცა ადამიანს მოეთხოვება რაიმე საქმის გამო სიმართლის თქმა. ვისაც ეკრძალებინათ სულის სახელის დამსახურებისა, იტყვი: სულს ვერ წაიწმენდ: ტუთის ვერ ვიტყვი, მართალი უნდა მოგახსენოთ... ესე იგი: ისეთს ვერას ვინამ, ჩემი სული წაწყდეს, ჯოჯოხეთში წაიღიდეს საუფროს სატანჯველად.

სულ უკანასკნელი (ფასი) ჰრდ. რაც სულ ბილო არის. ზვ. რაიმე საგნის სულ უნციკრესი ღირებულება. ზვ. ე. საბლი, სულ უკანასკნელი, ოცი ათას თუმანდა ღირს.

სულ ქვეშ თქმა ჰრდ. და ზვ. სეინიდი-სიერად, გულწრფელად თქმა, სიმართლის აღიარება, ზნეობრივად ჰასუხისნებლობა. შდრ. წველ-კი — უნდა ვსთქვა სულ ქვეშა — მიწას არ უმტყუნებია: პური და ღვინო მოვიდა, ნიგოზი, ბლომად ლობიო (რ. ვრისთავი); შდრ. სულ ქვეშ უნდა ვსთქვა სკამი, რომ ეს აზრი მართო ჰქარას არ ეყუთვნოდ — ამაში იმის მეუღლესაც ჰქონდა მონაწილეობა (მელანი). ახ. სულ ზედ შევიარდნა.

სულღებული ჰრდ. ვისაც სული ძირსა აქვს დაშვებული. ზვ. დამწვინდებული, დაწყნარებული, გაჩუქებული, გატრუნული. ახ. სულის აღება.

სულში ჩაკვრა (ვისიმე) ჰრდ. სულში მიჰიღროდ მოთავსება. ზვ. ძლიერად შეყვარება. სიყვარულის გრძნობის გაძლიერება. შდრ. ჯერ გასათხოვარი (ნატერისთელა) ხომ თვალში უჯდა ამის ღვინაცვალს და ახლა ხომ სულში ჩაკვრა (ე. ყარამანიძე). ახ. სულში ჩაძვრენა.

სულში ჩახაძვრენი ჰრდ. სულში მოსათავსებელი. ზვ. მეტად საყვარელი, ძვირფასი, ყოველი ღირსებით შემკული. ახ. სულში ჩაძვრენა.

სულში ჩაძვრენა ვისიმე ჰრდ. თავის სულს შეგნოთ მოქცევა ვისიმე. ზვ. მტრისმტრი სიყვარული და ხატრი ვისიმე. შდრ. ნიქსა გარდა, ზნეკეთილს, სწავლის ხალისიც დიდი ჰქონდა. დიდსა და პატარას, ვინც კი იცნობდა, ყველას უყვარდა და სულში იძვრენდა (აპაი).

სულწახული ჰრდ. ვისაც სული მოშორებული აქვს. ვინც უსულოდა დარჩენილი. ზვ. მოუთმენელი. შდრ. ზოგ-

ნი ნდომით შეფრინვიდეს, ზოგნი იყენეს სულწახული (შ. რუსთაველი).

სუნგალის გაკვრა ჰრდ. სულთქმის შეწყვეტა. ზვ. გაჩუმება, დადუმება ხმის აპოულებლობა. შდრ. მალე გაკვრა ვეღოთ სუნგალსა და მივეცემოდით ძილსა (ს. მალობლინიძე).

სუნგალი ეწოდება სულთქმას. ამიტომ გაკვრა სუნგალისა ხატოვანად გულისხმობს სრულად დადუმებას, რომელიც წინ უძღვის ხოლმე ძილს და ეს უკანასკნელიც ამ სუნგალის გაკვრას მოჰყვება.

სუნი დაიდო ჰრდ. იყნოსა. ზვ. ვაიგო, (მაგალითად) ძალღმა. საით წაეიდა ნაღირი. შდრ. ძალღმა სუნი დაიდო, დაადო ცხვირი ბილიკს და ტუსტუსით გაქანდა (ს. მალობლინიძე).

სულისა და ხორცის გაყრა ჰრდ. სულის გაშორება ხორცისგან. ზვ. მიტისმეტი გაჭირება, სიკვდილი, უსასობა. შდრ. ჩემი ლხინია სიკვდილი. — გაყრა ხორცითა და სულისა (შ. რუსთაველი); შდრ. სირცხვილი და მწარე სიკვდილი ორივე ერთად დამმართებისო. რაღა დროს ჩემი თავზობის დრო არი. ტუბილის სულის და ხორცის გაყრას მივახლებივარო (თომარაიანი). ახ. სული.

სუნი თქნა ჰრდ. ყნოსვის საშუალებით რისამე ნახვის სურვილი. ზვ. მონღომება, ცდა საპოვნელად. შდრ. ჩვენებური გლენკაცობა, რომელიც სუნი თქმეს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულებს იჯარით აღება ცბოვნებასავეთ ენატრება, ვერას ზბით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას (ლ. კვავაძე).

სუნი იქრა ჰრდ. სუნი მოიღინა. ზვ. მიხედა, ვაიგო, შეიტყო, სად იყო. შდრ. ფეფეაც გამომძვრა სოროდან, მიავლ-მოავლო თვალს, სუნი იქრა, ალლო აართო ამ დომხალივით არეულ ხალხს და მიჰყო ხელი ამღვრულ წყალში თევზის ქერას (ე. ბარნოვი). ახ. სული ს დაყრა.

სუნის დაყრა ჰრდ. სულის მოღვრა, სულის დაბნევა ძირს. ზვ. შეტყობა, მიგნება, ვაგება, მიხვედრა, ყნოსვით გამოცნობა რისამე დამალულისა. შდრ. ეღირსა (ჩიტო-ჩიორა) შეილიგრობას, კვერცხები დადო და ბარ-

ტუები გამოჩეკა. დაიყარა სული მილიამა. ნივიდა ჩიტთან და ალერსიანად დაუწყო (თ. თახიანშილი); შერ. ცუუს ადგილას მივიდეთ — მიობრა დელა-ჩიტმა: — მეცხვარე უთარალოა. იმისი სუ შეგეზინდება. მაგრამ ის ძალი დაიყარის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეციდოსო ცვა-ფშაველა).

სუნის შიღენა ჰრ. სუნის მისვლა ვის-ენმე. ზვ. ნაწილობრივ შეტყობა რომელიაპე საგნის გინა საქმის თვისებისა, გინა სადმყოფობისა, მიცემა. შერ. ამანზედ მეტ ცინცა სთხოვს საადგილ-მანელო კრელიტს, იმას კრელიტის სუნცი არ მისდენია (ილ. კავკაჟაე); შერ. ამგვარად ჩაიგლო ადამაღმ სელში მთელი წარმოება თამბაქოსი და სხვის სუნცი აღარ მიადინა (ჟელანა).

სურვილმან და მზემან მისმან ჰრ. მისმა სურვილმა და მზემ იცისო. ზვ. ვფიცივ მის სურვილსა და მის მზეს (სიცოცხლეს). შერ. სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დაემაღე მხისა შუქი. ჩამოვებურე მრავალკეცი სტავრა მძიმე, არსუბუქი (შ. რუსთაველი).

მზემან მისმან ანუ მისმა მზემ უდრის ფიცს ღმერთმანის ანუ (ღმერთმან-ი) ღმერთმან იცის, ე. ი. ღმერთია მოწმე იმისა, რომ ეს (რამე) ასეა, რომ მართალს ვამბობ. თვითონ შენმა მზემ შემოკლებული თქმა — შენმა მზემ (სიცოცხლემ) იცისო.

სუსხის მიცემა ჰრ. კინკრისა ან სიცივისაგან დაწევა. ზვ. შეშინება, გაწყრომაჲ, გაჯავრება, დამუქრება.

კინკარი რომ შიშველ ხორცის კანზე მოგვხვდება და დაგვეწეავს, ვიტყვი — **კინკარმა** დაგვუსხაო. ან როცა მწევე სიცივეა ზამთარში, ამბობენ — **სუსხიანი ზამთარიაო**. სუსხი გადატანითად იხმარება გაწყრომის აზრით. ამ სიცივისა და კინკრის ალაგას სუსხვის როლსა კისრულობს ადამიანის ენა, რომლის საშუალებით უჯავრდება ღონიერი სუსტს და აგრძობინებს თავისს უპირატესობას. იტყვიან: მაჯახს კარგი სუსხი მივეცი ანუ სუსხი დაეყენო, ე. ი. ისე შევაშინე, რომ უღეს ვერას გამიბედავსო.

სუფევითყა ხართ ჰრ. მეფობდით! ზვ. კარგად ბრძანდებოდით, არა-

ვერი გვენოსთ, იცოცხლეთ. შერ. სუფევითყა ხართ თაეთითა, მტერთაგან საკრძალებელითა! (ი. ბრათაველი).

სუფრაზე ფეხის დადგმა ჰრ. სასმელსაქმელზე ფეხის დასიჯება. ზვ. დიდი უმადურობა, პატივისცემის დუფასებლობა. ზვ. ვინ იცის, რა პატივი მიცია მისთვის, მაგრამ დანე, როგორ დანიდგა ფეხი სუფრაზე იმ უნადურნა, ინახ!..

სუფრა გულისხმობს მაგიდას, სადაც დალაგებულია საქმელ-სასმელი და გარშემო ხალხი უსხედს. საეაღდებულოა, რომ ან სუფრას ყველა უღიღესის თაეზით და ჩოწიწიცით ეპყრობოდეს. გადატანითად სუფრა პატივისცემასა ნიშნავს. ხოლო ის კაცი, ვინც ფეხს დაჰკრავს პურა, ე. ი. სხვის პატივისცემას კანღიერად მოექცევა, უმადურობა, მადლიერების გრძობა დახმული აქვს.

სუფრა კაქლობს ჰრ. სუფრა სწორედ ვერ დადის. ზვ. საქმე ცუხად მიდის, სუსტად კეთდება.

იტყვიან, როცა სუფრაზე მარლიი არა აქვთ.

სუფრა ქვეყნისა ჰრ. სუფრა, რომელსაც ბევონი უნდა შემოუსხდნენ საქმელს. ზვ. ცხოვრება, კეთილდღეობა. შერ. მიხვდა (ჩვენი ერი), რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ (ილ. კავკაჟაე).

სუფრის ალაგება ჰრ. მაგიდიდან ალაგება ყველაფრისა, რაც საჭიროა საქმლის კამისათვის, კამის ვათაგება. გაძლობა. ზვ. დასრულება, შორჩობა. შერ. დიად, იყო ერთ დროს ამისთანა მიმართულება რუსეთში, მაგრამ დიდი ხანია ამ მიმართულებით სუფრა ალაგდა. და ჩვენი ლიბერალიზმი დღევანდლამდე მის ნასუფრალით იკვებებიან (ილ. კავკაჟაე).

სუფრის ამატება ჰრ. სუფრაზე ახალ ხორაგის მოტანა და ალაგება სუფრისა. შერ. ღმერთო, ნუ მოგვაკლებ შენს მოწყალებას! — ი. ი. ი. ღმერთო პაპა მანგიური და შეიძებნობდა წაძო-სადგომად. წამოიშობოდნენ. დიაცი-ნი სუფრას აუშმატებდნენ. ყველა თავის საქმეს დაადგებოდა (ც. ბაო-

ნოვი). შერ. გაათავეს ნადიმობა, ყველამ სუფრა აიმატეს (მ. მღვი-
ჯელი).

ქართველებში ქამა-სმის გათავები-
სას, როცა სუფრა უშდა აალაგონ, არ
იტყვიან: სუფრა აელაგოთო, არამედ
სუფრას ავეუმატოთო. არასოდეს
აო იტყვიან: აალაგეთო, რადგან ამ
სიტყვით იგულისხმება — სუფრა აღარ
უნდა იყოსო. წინათ სწამდათ, რომ ამ
წესის დარღვევით ნაკლებობა დაისად-
გურებს ოჯახსაო. სწორედ ისევე, რო-
გორც პური გამოლეული აქვთ კიდო-
ბანში და ამ დროს ვინმე პურს ესხსე-
ბა, ეტყვიან ხოლმე: სავესეთ გახ-
ლავეთო. იხ. სავესეთ გახლავთ!

სუფრისა ბოლოს გდებულნი პრ. სუფ-
რის ბოლოს უპატიოდ მიიჯდარი.
სვ. უპატივებულნი, აგდებულნი,
უუფრადღებოდ დატოვებულნი, პატივ-
აყრილი. შერ. მკაღმა სთქვა: მეც
ვისხსენები სუფრისა ბოლოს
გდებულნი, მდიდარი კაცი არა
ქმანს. თუ არ ყელგადაგდებულნი
(ი. გოგებაშვილი).

სუფრის გაახლება პრ. ახლად გადა-
ქცევა სუფრისა. სვ. ახალ სანოვავის
დაწყობა სუფრაზე. შერ. ახალგაზრ-
დაობა რომ შიდაშობი გაითანტა და
თვრებოდა ეშობით თუ ოცნებით, სხე-
ბი იქვე ჯგუფ-ჯგუფად მასლაათობ-
დნენ: ნოვას სუფრა გაეახლები-
ნა, ხალისი გახაგრძობდნენ (ვ. ბარ-
ნოვი).

სუფრის გაშლა პრ. დაკეცილი სუფ-
რის განლით გაწკობა. სვ. სუფრაზე
მოტანა ყველაფრისა, რაც საჭიროა
ქამა-სმასათვის, საკმელად (ან ვისიმე
დასაპატივებლად) თმობად. შერ.
ქეთი იმას უყვარდა, გზებზე სუფ-
რის გადაფენა („არსენას ლექსი“).

სწორებში გამოკლებული პრ. ტოლებს
მონორებიული, უტოლებოდ დარჩე-
ნილი. სვ. შერკეცილი, ანაბანაკო-
ბიდან გაძევებული, მკდრის მსგავსი.
შერ. მეხევეწებოდა: „ნუ მომკლავ, თუ
ხარო მადლით ცხებული!“ და დღე-
საც მითომ მემშალის სწორებში
გამოკლებული (ვაჟა-ფშაველა).

სწორე გზაზე დადგომა პრ. მიხევეულ-
მოხევეული გზისათვის თავის დანებება
და პირდაპირ გზით სიარული. სვ.
სისწორით კეთება საქმისა, სამშე-
ლობით განთავსება, მიზნისათვის მილ-

წევა, პატიოსნად მოქცევა, სიმართ-
ლის მსახურება.

სწორე გზაზე დადგარი პრ. პირდაპირ
გზით მოსიარული. სვ. სისწო-
რით მკეთებული საქმისა, სამშე-
ლობის გამოსული, მიზანს მიღწეული,
პატიოსნად მომქცევი, სიმართლის
მსახური. შერ. ოცდაათი (თუმანი)
იყოსო, — დაუმატა კიდევ სწორე
გზაზე დადგარი მამა მისემ, მე-
ტი კი აღარ შემძლიან (ილ. ჰაჭავაძე).

სწორე გზით სიარული იხ. სწორე
გზაზე დადგომა.

სწორედ გვილაპარაკნია პრ. ყველა-
ფერი მართალი გვეთქვამს. სვ. ტუ-
ილი არა გვეყარებია.

იტყვიან, როცა სასწორზე ასაწონად
დასდებენ რასმე და ესეც სისწორეს
უჩვენებს.

სწორი პრ. არაბრუნდე, პირდაპირი.
სვ. ერთი კაცი მეორეს ხნისა. ტო-
ლო, ერთი კბილისა. შერ. ხელმწიფე
თავის შვილს ძალიან უფრთხილდე-
ბოდა და არსად უშვებდა სახლის
გარედ. ერთხელ ხელმწიფის შვილი
სწორებში თამაშობდა (თ. ბარნო-
ვილი).

სტრის პრ. მჭრელი იარაღით ჰკვეთს
რასმე. სვ. გაღის, გამოვა რამე, შე-
დგი მოჰყვება: კეთდება, გავლენა
აქვს. შერ. აი ელა ამ „ციცკრის“
ეურნალში ბევრს წავაწყდები ბოლმე
ისეთს სიტყვებსა, რომა არ მესმის,
ჩვენა უწინდებური რუსული აღარა
სტრის (ილ. ჰაჭავაძე).

ეს წინა უპიროვნო წმნაა და იხმა-
რება მხოლოდ აწმკობს. იხმარება ავ-
რეთვე მომავალსა და წარსულ სრულში,
მხოლოდ მიემატება თავსაოთი გა-
მაგ.: გასტრის, გასტრა; „ეს თხოვნა არ
გასტრის;“ „ამ თხოვნამ გასტრა“.

სხვა არა იყოს რა პრ. სხვაზე რომ არ
ვილაპარაკოთ. სვ. სხვას რომ თავი
დაუანებოთ, სხვა რომ ანგარიში არ
ჩივადლოთ. შერ. აბეზარს ვარ მო-
სული, ამ საყდრის მადლმა და შენი
რისხვა არა მაქვს! ძმარს მაწურებს
ცხვირში! სხვა არა იყოს — რა
უფროსი ძმა ვარ (ილ. ჰაჭავაძე).

სხვა არხში გადაგდება საუბრისა პრ.
სხვა არხში გადასვლა. სვ. საუბრის
დროს სხვა საგანზე გადასვლა.

სხვა ბაგაზე დაბმა პრ. უკეთეს ბაგა-

ზე გადასვლა. სკვ. ცხოვრების პირობების შეცვლა საუკეთესოდ; უკეთეს დღეში ჩაყარა. შარ. ამ უბედურობამ კი ფიზიკური ყმაწვილის სხვა ბაგაზე დაბა (ს. მაგლობლიშვილი).

ბაგა ეწოდება გომურში კედელთან მიშენებულ ადგილს, სადაც საკვებს უყრიან ხოლმე დაბმულ შინაურ საქონელს. ამ თქმაში ნაგულისხმევია, რომ უკვე არსებულ ბაგას არ ეჯერდებით და სხვა, ე. ი უკეთეს ბაგაზე გვინდა დაბმულ ვიქნეთ ანუ არსებული პირობები ცხოვრებისა არ გვაკმაყოფილებს და სხვა, უკეთესი პირობები გვინდა შევიქმნათ ამ ცხოვრებისათვის, უფრო ტკბილი, უფრო ხელსაყრელი, უფრო ადვილად ლელოს ვასატანი, ფონს ვასასვლელი.

სხვა გზა არა აქვს პრ. სხვა გზას მოკლებულია. სკვ. არ შეუძლია, იძულებულია ასე მოიქცეს.

სხვა გზიდან მოვლა პრ. საძიებელ ადგილისათვის მოვლა სხვა მირიდან. სკვ. სხვა რომელიმე საშუალების ხმაობა მიზნის მისაღწევად.

სხვათა თვალგვეშ შეყურება პრ. სხვის თვალებისათვის ცქერა. სკვ. სხვის იმედით ყოფნა. სხვისგან მოლოდინი შევლისა. შარ. ბოლოს, ჩარა რომ გაწვდა. სხვათა თვალქვეშ შეყურება მ გული გადაუღია ნატკვისთვალს (ე. ყარამანიძე).

სხვა თვალთ ყურება პრ. შეწყვეტა ნორმალურად მიცქერალ თვალთ ცქერისა. სკვ. იქვიანად. უნდობლად, მტრულად ყურება. შარ. დღეს სწავლის ხელმძღვანელი ჩვენშია; და იქაც (აჭარა-ქობულეთში) მარტო მთავრობაა, მერე რუსისა. ესე იგი იმ ხალხისა, რომელიც სარწმუნოებით და ენით მთა უნდა ეტოვებოდეს. უსათუოდ, ამის გამო რუსთაგან ყოველგვარს ცდას განათლებისათვის სხვა თვალთ დაუწყებენ ყურებას (ილ. კავაძე).

სხვა მწვემ დამკრა პრ. სხვანაირი მზის სიხვი მომედა. სკვ. კარგი მზე მომხვდა. კარგი იღბალი დამკვა: იღბლიანად ვიზრდებოდი. შარ. მე იმისთანა (ცული) არ ვიყავ; გული მობრბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობით სხვა მწვემ დამკრა და სხვა რიგად გამოთბო

გული. მაგრამ ენმა მიმუხთლა (ილ. კავაძე).

სხვას ნურას ვიტყვით პრ. მეტი აღარაფერი ვსთავებთ. სკვ. ესეც საშარისისა, ესეც გვეყოფა. სხვა ზნდნეტია. მეტი არაფერია საჭირო. შარ. მერმე ის იქონიეთ სახეში, რომ გერმანია ერთის მხრით რუსეთს გადაჰყურებს და მეორეს მხრით — საფრანგეთსა და ამისი მარტო ამრეზა ან ერთზე ან მეორეზე. — სხვას ნურას ვიტყვით, — დიდად შეაფერხებს საფრანგეთსა და რუსეთს ხეფრეთზე (ილ. კავაძე).

სხვა ქარი უქროდა იხ. კარგი ქარი უქროდა.

სხვის დასამარხად ვახლომა პრ. თავისიანი რომ არ ეყოლება დამმარხველად. სკვ. უპატრონობა, თავისიანის უყოლობა. შარ. ამ სიბერის ეამს სხვის დასამარხსა მხდი, შეილო! რაზედ მკერი ძძუქნეს? რა გინდა ჩემგან? (ელ. ჩერქეზაშვილი).

სხვის ფრინველს თავზედ არ გადიფრენდა და ფეხქვეშ კიანჭველას არ გაატარებდა პრ. სხვის ფრინველს ნებას არ მისცემდა მის თავზე გადაეფრინა ან მის ფეხქვეშ დანქიანქველა გამძვრალიყო. სკვ. ამაყი, თავმოქმონე, უკადრისი, თავყოყარე. შარ. შეილი. რომელიც სხვისაგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხქვეშ კიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა. რაც უნდა ძლიერ ერთქნა (ილ. კავაძე).

სხვის თევზილოკია პრ. სხვის საკუთარ თევზს რომ ლოკავს. სკვ. სხვისი საკუთრების მოყვარული.

სხვის კალთაში თავის დება პრ. თავის ნაღვეს სხვისი ტანისამოსის კალთაში. სკვ. სხვისი იმედით ყოფნა, უზრუნველობა. შარ. თავი სხვის კალთაში გიძვეს, სხვას შევფოფინებ თვალებით (ვაჟა-ფშაველა).

სხვის კარვითად სიარული პრ. სხვის კარ-და-კარ სიარული, საკუთარ სახლს გარეშე. სკვ. სხვის იმედით ყოფნა, სხვის შემატებლობა. უსაქმეობა. შარ. ბეგრი იარა (ტარემ), თუ ცობა იარა სხვის კარეთად, ბოლოს ისევ თავის დახვრეულ დარბაზს მიატანა (ს. მაგლობლიშვილი).

სხვის ომში ბრძენი ჰრდ. ერთი რომ ომობდეს და მეორე მის ომში ბრძნობას იჩინდეს. სტვ. ვაჭირებულ კაცს მისის ვაჭიროების მიზეზს ასწავლავს სულ გარეშე კაცი, ვინც არაფერი იცის პირველის ვაჭირებისა. შტრ. ის ვერ შეეგნოთ სხვის ომში ბრძენთ, რომ იასესეთის ძნელი-ი იყო ვეალულ გზაზე სვლა (ვ. ბარნოვი).

ეს თქმა შემოკლებდა ანდაზისა: „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, რომელიც იხმარება მაშინ, როცა ერთის ამბის ცოდნას სრულებით გარეშე ჩემულობს და ასწავლის პირველს: როგორ უნდა მოიქცეს ან რა უნდა გააკეთოს; შენზე უკეთ მე ვიცი და გირჩევ ასე და ასე მოიქცეო.

სხვის ოფლით ცხოვრება ჰრდ. სხვის ოფლის შემწეობით ყოფნა. სტვ. სხვის ნიძიმე შრომით ცხოვრება, ხელის გაუხრწველობა, სიზარმაცე, მუშაობისათვის თავის მორიდება. შტრ. ჯერ რა გამოიქნა თავის დედ-მამის სახლიდან? ენა-ტარტალობა, ენის გარყენილობა, უღარდლობა ცხოვრებაში, ზარმაცობა მამისა, რომელიც სულ ყმების ოფლით ცხოვრობდა (ილ. ჭაჭავაძე).

სხვის ულუფაზე ყოფნა ჰრდ. სხვის სარჩო-საბადებლის მიჩნევა თავისად. სტვ. სხვის ხარჯზე ყოფნა, სხვისი სარჩენი. შტრ. მალეც გამოსცადა, რა ძნელი ყოფილა სხვის ულუფაზე ყოფნა: ძმა, რძალი, პატარები აკამდინ რომ უაღფრსებდნენ და მის მზეს ფიცხულობდნენ, ეხლა განზე გადგნენ, რადგან აღარას მოელოდნენ მისგან; უბღვერდნენ, ზურგს უქცევდნენ (ვ. ბარნოვი).

ვის წისქვილზე წყლის დასხმა ჰრდ. წისქვილის ბორბლების საბრუნებლად ღარებში წყლის დასხმა. სტვ. სხვის შეკლა, გარეშეს დახმარება და თავისიანის მიტოვება. შტრ. ეს, ჩემო ძმაო, ისეთი ვინმეა, რომ თავისიანები ავიწყდება და სხვის წისქვილზე ასხამს წყალს.

სხვის ხელად ჩაყრა ჰრდ. სხვის საპატარონოდ გახდომა. სტვ. გულის აყრა, უყურადღებოდ დატოვება, ზრუნვაზე ხელის აღება. შტრ. სირცხვილ არა იცი, რად გეყერი სხვის ხელად აო? (ვაჟა-ფშაველა).

სხვის ხელთ შეწყურე ის. სხვის ხელში მაყურებელი.

სხვის ხელში მაყურებელი ჰრდ. სხვის ხელში მაკეკრალი. სტვ. სხვის ირონიმდე, თვითონ თაოსნობას მოკლებული, სხვისგან მოლოდინე შევლადანმარებისა. შტრ. მკვდარი ვარცხოვრებისათვის, მაშ რა ვარ, როცა გოგამაც კი უარმყო, სხვის ლუკმით გამოზრდილმა, სხვის ხელში შემაყურებელმა გოგამი!.. (ვ. ბარნოვი); შტრ. ცხრამეტი წლის ქალი გავხადე, ცივი ნიაფი არ მიმიკარებია, ფრჩხილი არ წამოსტკივნივთა და ამან-კი, ვილაც ოხერი, უმარტონო მაწანწალაა, სხვის ხელში შემაყურებელი, — ბურთივით აქეთ-იქით ისროლოს!.. (აქეს. ცაგარე-ლი).

სხვის ხელში ყურება ჰრდ. სხვის ნაკეთების ქცევა. სტვ. სხვის იმედით ყოფნა. თვითონ თაოსნობის მოკლება, სხვისგან ლოდინი შევლისა. შტრ. გლუხეკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამასუქია; რომ თავის სატყვივარს თითონვე უნდა უწამლოს, თავის თავს თითონვე უნდა უშველოს (ილ. ჭაჭავაძე).

სხვის ხელში შემაკეკრალი ის. სხვის ხელში მაყურებელი.

სიკვდილის შვილი სტვ. ვინც, ერთხელაც იქნება, უნდა მოკვდეს. შტრ. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ერთხელაც იქნება, უნდა მოკვდეო.

სიკვდილხაც დავიწყებისარ სტვ. სიკვდილს დავიწყებოდეს შენი წაყვანა, დიდხანს გეცოცხლოს. დალოცვის ფორმულაა.

სიკვდილი, ჩვენის ხალხის რწმენით, კარ-და-კარ დადის და ისე მიჰყავს აეადმყოფები.

სისხლის ალაზანი ალაზნის ოდენა სისხლი. სისხლის ალაზანი დაიღვარა ამა და ამ ბრძოლის დროსაო, იტყვის ხალხი.

ალაზანი კახეთში მრავალწყლიან მდინარედ ითვლება. როცა უნდათ რამე სითხის სიბევრე გამოხატონ, ალაზანს აღარებენ.

სიცივეს ლოჯი მოხტაცა სტვ. ზამთრის სიცივე შენელდა, ზამთარს სითბო შეეპარა.

ლოჯი აღამიანის დიდ კბილსა ჰქვიან, ხატოვანად მძაფრი სიცივე ზამთრისა ამ კბილსაა დაღარებული.

სხვის ხელში შემყურებელი ის. სხვის ხელში მაყურებელი.

სხვის ხელში ჩავარდნა პრ. სხვის ხელში მოთავსება თავისა. ჰყვ. სხვის ნებაყოფლობაზე ყოფნა, სხვის განკარგულებაში დარჩენა, საკუთარ ღონისძიებას მოკლება. შტრ. კარგად ჰხედავდა, რომ ხალხი დიდ გაქირებაშია, სხვადასხვა ვაჭრების ხელში ჩავარდნილი, და თუ კუქსაც ვერ გა-

იძღობს, რაღა სწავლა უნდა მოაგონდეს! (ილ. ჰაჰეჰაჰე).

სხვის ხელში ჩავარდნა ნიშნავს — სხვის მიერ თქვენთვის ხელის მოკიდებას ისე, რომ თავის ნებაზე გატაროთ. სავის ხელში ჩავევარდით, ვიტყვი, როცა საკუთარი ღონისძიება ცხოვრების პირობებთან საბრძოლველად წაგვერთმევა და დავრჩებით საყვებით სხვისა შემყურე, საყვებით სხვისი იმედით.

ტ

ტატი სიარული პრ. ახლად ფეხადგმულ ბავშვის სიარული. ჰყვ. ძალიან ნელა, დიდი გაქირებით სიარული. პტრ. სწავლა-განათლება ჩვენში ტატი მდიდრი და გულაქრუვებით საზოგადოდ და ქართველობისათვის საკუთრივ (ილ. ჰაჰეჰაჰე); შტრ. ვირის პატრონი მართლაც ასე მოიქცა: ჩაუბა ვირს ყელზე წველი და წაიყენა მინდორში. ვირი და მისი პატრონი ტატი მდიდრი დენ, რადგან ვირს სიარული უქირდა (ვაჟა-ფშაველა).

ტატი წარმომდგარია იმ სიტყვებისაგან, რომლებითაც ჩვილურს ენაზე მიმართავენ ხოლმე ახლადუზუნდგმულ ყრმას. სახელდობრ: ტაა, ტაა, და ამით სიარულის დამწყებს აქებებენ და თითქოს ეუბნებიან: აბა, ყოჩაღად იყავ, ფეხი გადადგი, ვინძლო სიარული ისწავლო. ასე საერთოდ იტყვიან იმათზე, ვინც ნელა, ზღაზვნით, აუჩქარებლივ მიდინან.

ტაბიკების მტვრევა პრ. უღელში ხარის კისრის დასამაგრებელ ჯოხების გატეხვა. ჰყვ. გაბრაზება, გაცხარება, კირვეულობა, მოურიდებლობა.

ხარის მიერ ტაბიკების დამტვრევა, მისი მხრით, მოითხოვს დიდს, ძალდატანებითს, უსწორმასწორო მოძრაობას სხეულისას და განსაკუთრებით თავისა და კისრისას, დიდ მიწვევ-მოწვევას, კირვეულობას, მოურიდებლობას, ათასნაირად დაჭიმვას კუნთებისას, სანამ აპყურით მოქირებული ტაბიკები დაიმტვრეოდეს და გაანჩხლებული ხარი კისერს გამოიშვებდეს უღლიდან. აი ამ სურათსაა დღღარებული ბრაზიანი ადაშიანის ქცევა, რომელიც იქით-აქით ეწვეტება და მისი ყოველი მოძრაობა

გლებს მოაგონებს გაცხარებულ ბარის მიერ ტაბიკების მტვრევას. გაცხარებული ხარის დღღამარეობაში წყლვ ადამიანს დაცხვით ეტყვიან: მისამარ, ტაბიკებს ნუ ამტვრევ, შენს ქერკში დაეტიეო!..

ტაბუხს იცემს პრ. ფებს ფებს ახვედრებს, ფებებს სწორად არა დვამს. ჰყვ. სტყუის, სიმართლეს დალატობს, სისწორეს გაურბის, ბორძიკობს. შტრ. პირველი დებიუტისათვის ბ. იოსელიანმა მეტად ძნელი როლი იქისრა; მოინდომა გამაჩინილის რეზანისათვის დამტკიცებინა, პბორძიკობსო, მაგრამ იმის ბორძიკი კი ვერავის გვიჩვენა და ის კი ყველას დაგვანახვა, რომ თითონ ტაბუხს იცემსო (ილ. ჰაჰეჰაჰე).

ტაბუხიანი ეწოდება ისეთ ცხენს, რომელსაც წინა ფეხების სწორედ გადადგმა არ ემარჯვება, ერთიმეორეს არტყამს და ზოგჯერ დაისისხლიანებს კიდევ, ამიტომ ფეხების ბოლოებს ზევიდან შეუხვევენ მჩერით, რომ ერთიმეორეს მოხვედრების დროს არ დაიშვოს. აქედან უყეთურად მავალ, უყეთურად საქმის მყეთებელ კაცზე ვამბობთ ხოლმე: ტაბუხს იცემსო.

ტალაზი პრ. ლაფი, წალისაგან დატოვებული და გაფხვიერებული მიწა. ჰყვ. სულ მცირე, უმნიშვნელო სივრცის ფართობი მიწისა. შტრ. საბრალლო მიაა, ჯერ ისევ ყმაწვილი ქალი, ორის ობლით, ქალ-ვაჟით, ქკრივად დარჩა, მაგრამ ორის დღის ტალაზი ქქონდა, ერთი პატარა ეენახი (ს. მაღალაღმევილი).

ტალაზი დასამუშავებელი მიწის აზრით ქართლში იხმარებოდა იმ შემთხვევაში, როცა მისი ფართობი მცირე

იყო, პატრონს ანგარიშში ჩასაგდებად არც კი მიაჩნდა, როცა მისი მნიშვნელობა ოჯახისათვის მეტად დაკნინებულის იოჯობულებიდან იყო.

ტალახში აშოსვრა (ვისიმე) პრ. ქუჩის ან შარაგზის მტვერში, წყლით დასველებულში. გათხუვენა. სტვ. შერცხვენა, გალანძლეა, გინება, უხამსობის კადრება. დამცირება, გაუფასურება. შტ. ანაგათ წყალობით მომეკრა თავი და მავათ უნდათ ტალახში ამოსვარონ ჩემი თავმოყვარეობა!.. (დ. კლიაშვილი); შტ. გაუწყრა იმის ნათელმპრონი!.. მომეკრა პირი, ქალო, და ქვეყნის ტალახში კი მომსვარა!.. (ა. ერისთავი). ის. ლაფის დასხმა.

ტალი-ტალიკი პრ. ქარქაშის, აბჯართ ჩასადებელის ბუღის მსგავსი. სტვ. მოსული ბიკი, კარგი ტანადი და მხარბეჭიანი, აბჯართ ქარქაშივით მოწყვეტილი. შტ. მრავალ ადგილს ვაშლილი სუფრა. შეიყარა მთელი სოფელი. წითელ-ყვითლად მოკაზმული ქალი თუ რძალი, ქაღარა ხალხი, კობტა ბიჭები, ტალიკ-ტალიკი (კ. ბარნოვი).

ტანზე ეკლის ასხმა პრ. ტანის დაფარვა ეკლებით. სტვ. შეშინება, სახარელობა, გულის გახეთქვა. შტ. ტანზე ამისხმა ეკალი ისაფლავთ წინაპართ ევენსამა (ვაფ-ფაფელა).

ტანიოგში დაშლა პრ. ნაწილ-ნაწილად გახდომა ტანისა და იოგებისა. სტვ. მეტად ცუდად გახდომა. შტ. სხვისაგან ვივლო და შენ მოგცე, ისევ წე ჩემი დამემართება: როცა ვნახავ, სირცხვილით სუ ტანი-იოგში დავიშლებ (ვაფ-ფაფელა).

ტანისაშოსიანად გიფთა პრ. იმისი ტანისაშოსიკი გიფთა. სტვ. სულ მთლად გიფთა, ქუჩისა არა ეკითხება რა. შტ. ამას რა უნდა მოჰკითხო, ტანისაშოსიანად გიფთა!..

ტანის აყრა პრ. ტანის წასვლა ზევით. სტვ. ზრდა. სიმალის მატება, განვითარება, წარმატება. შტ. სულიერმა ძალ-ღონემ ერისამ მთელი საუკუნოები მოახმარა ამას, ტანი ააყრევი და გამოიყვანა კუთვნილ გზაზედ შემდეგის წარმატებისათვის (ილ. კავჭავაძე).

ტარიელი პრ. სახელი კაცისა. სტვ. დიდი ვაჟკაცი, რაინდი, უშიშარი, შემ-

მართებელი. შტ. მაგრამ იმედი, ცის ნიკი, რომ გამიელვებს გლახ-გულსა, თავი ტარიელ მგონია, ოცნებით გარემოცულსა (ვაჟკ); შტ. იმან (ელი-საბედმა) ქოქოლა დამაყარა და მი-თხრა: შეილი! თქვენმა სიცოცხლემ, პირლია ლუარსაბსა და კოთხუჩ და-რეჯანს ტარიელი დაებადათო... (აქს. ცაგარელი).

ტარიელი შ. რუსთაველის "ვეფხის-ტყაოსნის" მთავარი გმირია, ცნობილი გმირული, რაინდული თვისებებით, ფი-ზიკური მოხდენილობითა და სიბრძნით. ტარმოტეხილ კოვჭივით ვარდნა პრ. უტარო კოვჭის მსგავსად ერთ ალა-გას გაუჩერებლობა. სტვ. დაუდგრომ-ლობა, ყველგან წაჩრა.

ეს თქმა ლეჩხუმში ისმის ხოლმე. როგორც მოგეხსენებათ, ტარმოტეხილი კოვჭი ერთ ალაგას ვერა ჩერდება, აღ-ვილად ჩავარდება ყველგან, რადგან ტარი მოსტეხია და არაფერი უშლის ვარდნას და თავის წამოყოფას იქ, საცა მისი ადგილი არ არის. ანალოგიით, ეს თქმა ზედგამოჭრილია ისეთ გონებ-რივ წონასწორობას მოკლებულ ადამი-ანზე, რომელიც ყველგან და ყველა-ფერში წაერება, იქაც კი, საცა მისი წრის ხალხი არ არის, საცა არაფერი ესაქმება და არც ვინმე რასმე ჰქითხავს. ასეთი ადამიანი თავის უგვანო ჰქვეით თავს რომ მოაბეზოებს მოყვასთ, ვერ მოუთმენენ და რომ ადვილად მიახვედ-რონ თავის უსაქციელობას, სურათ-ხატოვანად ეტყვიან ხოლმე: რა ტარ-მოტეხილ კოვჭივით ვარდები ყველგანა?!

ტაროხი თქვენს პრ. ავღარი ავტდეთ, კი დარი დაგიდგეთ. სტვ. დარს ხელი მოემართოს მუშაობაში, საქ-მიანობაში, გაგიმარჯოთ. შტ. ტაროხი თქვენ, ჩემო კარგებო, ვინძ-ლო მალე მორჩეთ პურის მკას.

ლალოცვის ფორმულა და განსა-კუთრებით იხმარება სოფლის მეურ-ნეობაში, როცა კარგი დარი ეგრე საჭიროა გლეხისათვის. როგორც მო-გეხსენებათ, გლეხის თითქმის ყოველ-გვარი მუშაობა სრულდება სახლ-გა-რეთ, ცის ქვეშ, გადაუხურავში, მაგ., მკისა, პურის ლეწვისა და სხვ. დროს. და თუ მაშინ ავღარი შეესწრო, მუშა-ობა უნდა შეაჩეროს.

ამიტომაცა ეს დალოცვის ფორ-მულა სახარბიელო და სასიამოვნო შო-

სასმენი მოყვასისაგან. გადატანილად კიდევ ვხმარობთ ამ ფორმულას იმ შემთხვევაში, როცა გვეკრია გარეშეთაგან დახმარება, ხელის მოშართვა, შველა. **ტაფაში დაწვა ჰრ.** მოხარავე ტაფითა. **სჯვ.** დიდი ტანჯვა-წვალემა. **შღ.** შენკ რომ ჩემი დღეები გამოგველო, ჩენს ტაფაში და მწვარი ყავა. შენც გერე ილაპარაკებდი (ილ. პაპავაძე).

ტაშზე სუქს (ლორი) ჰრ. ერთი ტაშის სისქე ქონი ადევს. **სჯვ.** ძალზე მსუქანია, ცარიელი ქონია. **შღ.** ისეთი კარგი გამოვიდა ი ჩვენი ფარნა-ტახი, რომ... რომ... სწორედ ერთ ტაშზე სუქს, — გაშალა თავისი ტაში (შვილმა) და დედას მიუტანა თვლებთან (ს. მაკობლიშვილი).

ტაში ეწოდება ხელის ნებს ანუ გულს, რომელსაც ხელის ხუთივე თითი გამართული და ერთიმეორეს მიწყობილი აქვს. როცა ცალი ხელის ნებს მეორე ხელისას შემოვკრავთ და შიგ მოქცეულ ჰაერს ხმას ამოვადებინებთ, ვამბობთ ხოლმე: ტაში შემოვკრავითო.

ტაში ერთი მოკლე ზომათაგანია, რომელთაც თავის სხეულის და სხეულის ნაწილების შეშეღობის ხმარობდა ჩვენი შორეული წინაპარი და დღესაც ხმარობს ხატოვანად ამა თუ იმ საგნის გასახომად ჩვენი ხალხი, როგორც ეს ნაჩვენებია ს. მაკობლიშვილის მოთბორების ამონაწერში, ხელის ნები ანუ ტაში ყველა ხელისა, როგორც ზომა, ცბადა, ერთნაირი არ არის — ზოგისა დიდაა, ზოგისა პატარა, მაგრამ საშუალოდ, დაახლოებით, გულის 20 სანტიმეტრს. ქართული უღრავაკი, როცა უნდა ღორის სიძსუქნის სინსხოს ცნება ვადმოგვეცეს და გვეუბნება — ერთ ტაშზე სუქსო, ამით უნდა გავგვაკვირნოს, რომ ღორი ძალზე გასუქებულნიო.

ტაშის დაკვრა (ვისთვისმე) ჰრ. ხელეების ერთმანეთზე შემოკვრა. **სჯვ.** მოწონება, თანაგრძნობა, ქება, კნაყოფილების გამოხატვა. **შღ.** ერთის სიტყვით, ქართველობა განჯდარი მაქვს სრულიად ტანში!. რომ მოგწონებართ, თქვენც კი გატყობთ, აბა, დამიქარით ტაში (აჰაი); **შღ.** განდევნა უცხოთა სათაკლოთა და უჟადრისობაა გერმანელთათვის და კვლავ გეუბნებით: კაი შვილები კი ვიქნებით ჩვენთა დიდებულთა წინა-

პართა, თუ ამისთანა ქვეყანს ტაში ვუქარით! (ილ. პაპავაძე).

ტახტოსნობა ჰრ. ტახტზე ჯდომა. **სჯვ.** ნეუოა. უზენაესი უფლება. **შღ.** დღევანდელმაში ახმარე ნუფეს შამანავთიანი, სუფევით ტახტოსნობდენ თუით მისი პირად ნებანი (ფეშანგი).

ტერფით თხემამდე ჰრ. ფეხის ქუსლიდან თავამდე. **სჯვ.** ნთელი ტანის სიმაღლეზე. **შღ.** ტერფით თხემამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა (მ. რუსთაველი).

ტვინთხელობა ჰრ. სითხელე ტვინისა. **სჯვ.** უწყობა, უგონობა. **შღ.** ტვინთხელობა, რომელიც, საკუთარ ტვინმოკლებული, სხვისით ცხოვრობს და მარტო ბაძით სულდგმულობს. ამ შემთხვევაში, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ, ცერცვი შეაყარეთ, არ დაიქერს (ილ. პაპავაძე).

ტვინის დარხვევა საქმეში ჰრ. ტვინის ამოძრავება რაიმე საქმის კეთებისას. **სჯვ.** საქმიანობაში ჭკვიანურად მოქცევა, მიხვედრილობის, წინდახედულობის, გამოცდილების გამოჩენა. **შღ.** აშკარად ეტყობა არჩილს, რომ ამ საქმეში წინდახედულად მოქცეულა, ტვინი კარგად უშეშავებია, ერთის სიტყვით, ტვინი დაურხევიან, რაც დიდაც ეტყობა ყოველ მის ნაბიჯს, ყოველ მის ნათქვამს თუ გაკეთებულს.

იმმარება როცა მავანი გონიერულად იქცევა, სააუგოს და საქირღველს არას ჩაიდენს, მოყვასისაგან ქებისა და მოწონების მეტს არას დაიმსახურებს.

ტვინის წოვა ჰრ. თავის ქალაში მოთავსებული ტვინის უჯრედების წოვა. **სჯვ.** გამოკლა საიდანმე ყველაზე უკეთესისა, ყველაზე უმთავრესისა. **შღ.** მეგრე, როს ხელთ სათბობათაც ჩვენი სახლი აღარ ვარგა, როცა დიდი და პატარა გალარობდა, გალატაკდა, — რა ვაქეთეთ? რას ვჭკვებოდით? თვით შევესხედით მალლა თაროს, დაბლა ყმებდა ტვინსა ესწოვდით (ილ. პაპავაძე).

ტვინის წაღება ჰრ. თავიდან ტვინის გამოკლა. **სჯვ.** თავის მომბერება. დატახვეა. **შღ.** დამეკარგე, სულელი! ტვინი წაიღე ბერის ყბე-

ლობით, — უთხრა კოლამ წყრომითა (ილ. კვეკვაძე).

ტვირთად ჩამოკიდება ჰრდ. ტვირთის მსგავსად აკიდება ვისიმე. სკვ. სხვას გაუხადლო შეხი თავი საზრუნავად, საპატრონებლად, უურის საგდებად. შრ. მიხვდა (სალომე), რომ ეს უმეტე ღურვი (გიორგის მამა) ამთ ჩამოკეიდებოდა ტვირთად. როგორც რამ ლოდი მძიმე და მთლად აუტანელად ვახდიდა მათ სამძიმო ყოფა (მ. ბარნოვი).

ტვირთვა ჰრდ. თავზედ აღება ტვირთისა, სიმძიმისა. სკვ. კისრად აღება რაიმე ზრუნვისა, მოვალეობისა; ზნეობრივი პასუხისმგებლობა.

ტვირთმძიმე ჰრდ. ვისაც მძიმე ტვირთი აქვს წამოკიდებული. სკვ. გაკირბუღლი, შევიწროებული, უზბედური. შრ. ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი, დიდი დროშა დაიშალა... (ილ. ჰეკვაძე).

ტვლეპია დარჩა ჰრდ. მოტვლებილი, მოცარიელებული დარჩა. სკვ. გაღარიბდა, არათფერი შერჩა. ის. თითოვით დარჩენა.

ტიბოკონი ჰრდ. საეკლესიო წესდება. სკვ. ძველი ვაგებით — აზრ-შეხედულება, მიმართულება, ცხოვრებაში სახელმძღვანელო წესები. შრ. არ ვაგვიკირდება, თუ გ. თუმანოვის დაეთარში და მისის ამქრის ტიბოკონში ამაზე უფრო ცხოველყოფელი, ამაზე სერიოზული საგანი ბევრი სხვა ეწეროს, ნამეტნავად ქართველების საოხად და საბედნიეროდ (ილ. ჰეკვაძე).

ტიკონა ჰრდ. ბავშვის სათამაშო დედოფალა. სკვ. ვისაც არც საქმის კეთება ჯუყვარს და აღარც შნო აქვს საქმის კეთებისა.

ტიკი-ტომარა ჰრდ. ტიკი და ტომარა. სკვ. ვეტიჩარა, არამკითხე. შრ. პარმენა ენის მასხარა და ტიკი-ტონარაა, რომ წამდაუწყუმ თავს წამოვიტრუქო და ჩენი საიდუმლოები ვავანდო (მ. შგალობლიშვილი).

ტიკუსხუნე ჰრდ. ვინც ტიკის სუნს ეტახება. სკვ. ღვინის სმის მოყვარული, ლოთი. შგლ. ჩენი მეგობარი ერთი ტიკუსხუნე კაცია, რაც უნდა ბეჭო ასვა, მაინც იძახის — დამალე-ვინეო.

ტირილი ვადავიარე ჰრდ. ტირილისა-

გან თავი ვაგითავისუფლე. სკვ. ტირილს მოვრჩი, აღარ ეტირი. შგლ. დიდი დარდი მასუხებდა, ბევრიც ვიტირე, მაგრამ, ბოლოს, როგორც ინა, ტირილი ვადავიარე.

ტირილის ვადავება ჰრდ. ტირილის ზევიდან ძირს დაშვება. სკვ. ტირილის მიტოვება, ტირილის შეწყვეტა, უტირილობა. შრ. არცა დაავადო ტირილი, არცა რა ვაივონა მან (ტარიელმა) (მ. რუსთაელი).

ტიკბილი ლუქმა ჰრდ. გემრიელი ლუქმა. სკვ. პარტიოსანი შრომით ნაშოვნის სარჩო, სხვისაგან დაუყვედრებელი. შრ. რაც მამისაგან დედულ-მამული გვექონდა, — ცოტა, მაგრამ იმდენი, რომ ტკბილის ლუქმის ილაჯი გვექნებოდა, — სულ მამინაცვალმა წაგეართვა, დავვიყიდა, მივცა-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა (ილ. ჰეკვაძე); შრ. ეხლანდელს წვადავგას არსებობისათვის კიდილისას ჯერ კარის ზარი ამირინდოსი არ დაერევა. ამ ცოლ-ქმარზედ ამბობდნენ: ტკბილს ლუქმას სკამენ და ალალ პურსაო (ილ. ჰეკვაძე).

ტიკვნით ლამარაკი ის. ვაბრტყელებას სიტყვისა.

ტიკვილი ჰრდ. სხეულის ტანჯვა, სიმწარე. სკვ. დარდი, საზრუნავი. შრ. ან რა კეუში მოსასვლელი იქნებოდა ეგვიპტელთათვის კოლხიდაში გამოსვლა, როცა მათი ერთადერთი ტიკვილი და მალეული ის იყო, რომ ეკვრატის მხრით უშიშარ ყოფილიყვნენ (ილ. ჰეკვაძე).

ტიკვა გულისა ჰრდ. ერთ ადგილას გაუჩერებლობა გულისა. სკვ. მოუყენებლობა, აღლევა, აჩქარება, ამოძრავება, აღტყინება; შეყვარება. შრ. ბევრს ახალგაზრდა, დასანიშნ ბიქს ასტოკებია გული, შავებში მოელეკვა ნატვრისთვის პირისახე რომ დაუნახავს (მ. ყარაბანიძე).

ტიოლის ვადება ჰრდ. ვატოლება ურმის უღლის ორისავ წვერის სიმძიმისა. სკვ. იმდენის სიმძიმის ვაწევენება. უღელში შემოულ ხარებისათვის, რის ზიდვა მათს ძალ-ლონეს შეჰძლია. შრ. ვატყდა შუაზედ ჩენის წუთისოფლის უღელიცა, მოგვკვდა, ოთარანთ ქერიოც, ტოლდასადები მეულლე, დარჩი ცალად (ილ. ჰეკვაძე); შრ. კათალიკოსი მეფეს ტოლს არ

უღებდა (კირიონი); შერ. ხარმა სოკეა: ხართან შემაბი, ხარულად გამაწეინე, ოლონდ ტოლსკი ნუღა მინდებ, დამკარ და გამაწეინე (ხ. ბილანისკილი).

ტოლის დადება ნიშნავს უღელში შებნეულ ხარვს შორის მათი ძალღონის მიხედვით სიმძიმის განაწილებას ურმის უღელზე. როდესაც უღელში მგტ-ნაკლები ძალღონის ხარებაა შებმული და ესენი ერთმანეთს ვერ უტოლდებიან, ცალი, უფრო ღონიერი, წინ მიიწეის და უღელს თან მიჰყვს. ხოლო ფეორე ცალი, უფრო სუსტი, უკანა რჩება. ასე რომ უღლის თანასწორი, წესრიგი გაწევა, რა თქმა უნდა, ბრკოლდება.

ამ შემთხვევაში, რათა ხელნების თათები სერანდოქულარულად იდოს უღელზე. იქით-აქით არა ტოკავდეს და უღელი სწორედ მიიმართებოდეს. მეფრემ ტოლი უნდა და უღოს: უღლის გასაწევი წერტილი სუსტ ხარისათვის უნდა დააშოროს იმ წერტილს. სადაც თაბტბიკი (შუა ტაბიკი) ხელნების წინაწილის ანუ თათებს აერთებს. ხოლო ღონიერისათვის მეორე ბოლო უღლისა, სადაც შებნეულია ხარი, დაამოკლოს, ე. ი. ხარების გასაწევი სიმძიმეში ერთიმეორეს გაუტოლოს.

ამის მიღწევა ასე შეიძლება:

უღლის იმ მხარეს, სადაც ღონიერი ხარი უბია, დაამოკლებენ ან შუა ტაბიკის გადასმით (ზოგ უღელს რამდენიმე ნახერეთი აქვს შუა ტაბიკის გასაყრცლად) უღელზე ქაბნით, თოკით ან და წნელით უღლისა და თათების გადაბმით ერთმანეთზე ისე, რომ გადაბმის წერტილი შორს იყოს უღლის ცენტრიდან და უახლოვდებოდეს ღონიერ ხარის ქედს, ხოლო სუსტი ხარის ქედისაგან შორს იყოს.

მაშასადამე, ოწინარის კანონის ძალით, რაც უფრო მოკლეა ცალი მხარე უღლისა, იმდენად მგტი ძალა ადგება ამ მხარეს შებმულ ხარს, და რაც უფრო გრძელია მეორე მხარე უღლისა, სადაც შებმულია სუსტი ხარი, მით უფრო ნაკლები ძალა ადგება ამ სუსტ მხარეს, ე. ი. ურმის ტვირთის უმეტესი წილი სიმძიმისა აწევება ღონიერ ხარს, იმას, რომელსაც ტოლი ადევს, ანუ ტოლდასადებს, ხოლო ტოლდასა-

დების მეუღლეს უხდება თაის სუსტი ღონის საფერი ტვირთის ზიდვა.

ამიტომ, რაკი ტოლდასადებ ხარს უხდება უმთავრესის სიმძიმეს წევა, ენერგიას კარბადაცა ხარჯავს. კიდევ ანეტომაა გამოთვნილი ზეწოთმობათილი ხალხური ლექსი, სადაც ხარი პატრონს ემუღარება: ოლონდ ჩინს ტოლთან შემაბი და რამდენიც გინდა, დამკარი. დაცერას არ შეეუშეაღები, უღელს გაეწეეო!..

ურმის უღლისა და სუსტ და ღონიერ ხარების ანალოგიით, ჩვენს ხალხს გადატანითად, სურათ-ხატოვანად შეუღლებები უწოდებია ცოლ-გმრისათვის, რომელნიც ერთიმეორეს მხარდახმარს წევენ ცხოვრების უღელს, ერთიმეორის მხარდახმარ შეებრძოლებიან ხოლმე კარნე მომდგარ გაკერებასა, ოჯახისათვის ზრუნვასა, შვილების აღზრდასა, მტერ-მოყურისათვის პასუხის გაცეპასა და სხვ. და სხვ. ქალი, მამაკაცთან შედარებით, როგორც მოგვხსენებთ, ფიზიკურად სუსტი გახლავო, ასე რომ ამ ცხოვრების უღლის წევაში მამაკაცს ადგება ხოლმე მთავარი ძალა. და კიდევ ამიტომაცა. რომ ტოლდასადებ ხარის თვისება გადმოტანილია მხნე, გაკერებაში გულად, ნემმარბებელ ქმარზე.

ბოლახ დაუღებლობა პრ. სიმძიმის ცენტრი უღელში თანასწორად რომ მოდიოდეს ორისავე მხარისათვის. ზვე. თანასწორობა, ერთიმეორეს ტოლობა. შერ. იყო ერთი ბრძენი მეფე. ჰყვე დაბრძენივე კათალიკოსი. მეფეს უნდაო სიმბრძენო ცალი არ ჰყოლოდა; კათალიკოსი ტოლი არ უღებდა (ე. კირიონი და გ. ყოფიპე, სიტყვიერების თეოთია და ქრისტიანობა, 148).

უღელში შებმული ხარები თუ ღონიერ ერთიმეორეზე სუსტია, მაშინ სიმძიმის ცენტრს ღონიერისაკენ მისწევენ უღელში. ხოლო თუ ორივე ხარი ერთიმეორეს ტოლია, ცენტრიც სიმძიმის უღლის შუა გულში უნდა გაკეთდეს და მაშინ იტყვიან: ტოლი არ უღევსო ან ტოლს არ უღებენო.

მოტანილ მაგალითში ჰკუთთ პირველობას მეფე სჩემობდა, მაგრამ მის კათალიკოსს მეფეზე ნაკლებ ჰკვიანად არ შიანდა თავისი თავი, ანუ, უკუთ, მას ეტოლებოდა, მეფე ტოლსადები არ იყო. იხ. ტოლის დადება.

ტოროლა ჩიტვით დარჩა პრ. ტოროლა ჩიტის წსგავსად თავის სინაპარა განმარტოვდება. სვგ. მარტო, უამხანაგოდ. შერ. და ასე ჩამოყრით, მიკ და ჩემი ანხანაგებიცა. მრავალნი. ს-აუღასაცა და წუთისოფელსაცა და დაეგჩით ტოროლა ჩიტვითა ინდლონი (ილ. პავკავაჟი).

ტოროლა ჩიტი სულ მინდვრადა, ზანთარნიც კი, ოოცა სხვა ჩიტები სიცივენი თავსა შველიან და მუდრო აღვილს აფარებენ თავს. ტოროლები ისევე ჩინდვრად დაფრენენ მარტოყანი. **ტრაილი პრ.** წრიული მოძრაობა. სვგ. ყოფნა ყველგან, ყველას ნახვა, ყველასთან წისვლა. შერ. სწორედ განგებამ შონიელინა იმისთანა სამსახური. სოფელში მასწავლებლობა, ტრაილი იმ ხალხში, რომელიც უმეტესად საქიროებს შენს დახმარებასა და შველას (ჩუღანია).

ტრაილი ქვეყანა პრ. ქვეყანა ცვალებადი, რომელიც თავის გარშემო მოძრაობს. სვგ. მოლაღატე, დაუნდობელი, უპირული, გაუტანელი, ფლიდი. შერ. იმავე წელიწადს ამოიქაზა (მაძაჩენი) წუთისოფელში; და მე ისე. მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტოდ ადვირი ამ ტრაილ ქვეყანაზედა (ილ. პავკავაჟი).

ტურა და მგელი ერთად დაწვება ამაღამ (ისე ცივა) პრ. ტურა და მგელი ერთმანეთს მოუწყებთან ამაღამ. სვგ. ძალიან ცივა, დაუძინარ მტრებსაც კი დაავიწყდებთ ერთმანეთის მტრობა ამ სიცივისაგან.

ტუტის აღენა პრ. ნაცრის ბულის დაყენება. სვგ. აკლება, მორყენა, დათრგუნვა. შერ. თქვენ არ მიბრძანეთ, რომ ცხვირის დაცემინებაზედ რომ „ნოანბემ“ ლეთის წყალობაც გითხრას, ტუტა აადინეო! (ილ. პავკავაჟი).

ტუჩებზე დაკვდონა სიტყვებისა პრ. პირიდან გარეთ გამოსელის მაგიერ სიტყვების ტუჩებზე დაკვდომა. სვგ. სიტყვების უთქმელობა, გაჩუმება,

დადუმება ერთბაშად მოულოდნელობისაგან, დამუნჯება. შერ. საქმე გავჩარხე. იმი დედა სუ ცას დაეწია; ცოლს ხომ ძიელ იაძა; სიტყვა გაუშრა, ტუჩებზე დააკვდა... (ს. მგალობლივილი).

ტუჩებზე თითის დაფარება პრ. ტუჩებზე თითის მიღება. სვგ. გაჩუმება, ხმის ამოუღებლობა, დარცხვენა, კდემამოსილობა. შერ. დედაცა კები იციროდნენ მის ორანროვებ სიტყვებისოფელზე და თან თითს ტუჩებზე იფარებდნენ კდემის ნიშნად (მ. ბარნოვი).

ტუჩზედ კბენა პრ. კბილების დადგმა ტუჩზე. სვგ. სიცილისაგან თავის შეკავება; სინანული რისამე წამოდენის გამო; წყნა, ბრაზი. მოუთმენლობა. შერ. გამოვიდა დევი. ნახა, მშვენიერი სასახლეები დაუდგამს (ვაეს); იკბინა ტუჩზედ, მაგრამ რალა იქნებოდა (თ. რახიკაშვილი); შერ. კოლა დიდხანს ტუჩების ლოკვით ელოდა გიტოს დაბრუნებას; ბრაზიანობდა, რო დიდხანს არ მოდის და მოუთმენლად ტუჩებს იკვნიტდა (ილ. პავკავაჟი).

ტუჩის აბზუყება ის. ტუჩის აკერა. **ტუჩის აბზუყვა ის.** ტუჩის აკერა. **ტუჩის აკვრა პრ.** ტუჩის კუნთების ზეითიკენ აწვევა. სვგ. დაცივნა, სასაცილოდ აღება, მედიდურობა, არაფრად ჩაგდება. შერ. ოო! მაშინ თვლებს დაუყენებს ამხანაგებს, სწავლაში რომ სჯობიან ეხლა! რა შურით გახეთქავს აღმზრდელ ქალს, უსამართლოდ რომ ემტერება ეხლა, ან მანქია მასწავლებელს, ტუჩს რომ აუკრავს ხოლმე (მ. ბარნოვი); შერ. აცნობეს შუქურის გარდაცვალება სასახლეში. დედოფალმა ტუჩი აჰკრა - მედიდურად; არც კი შეინძრა (მ. ბარნოვი).

ტყავამძვრალი პრ. გატყავებული, სხეულისაგან ტყავმოშორებული. სვგ. გაძარცვული, ყველაფერწართმეული, უზომოდ გაღარიბებული, დასჯილი, წამებული. შერ. ათასი ხარჯებისა და

ბორჯებისაგან ტყავგამძერალ ტეტიებს თვალეზზე მისაკრავი გროშიც ალარ გვაბაღია (ღ. მახანგელი).

ტყავი გაქიმა პრ. მოღუნებული ტყავი სხეულისა გაქიმიული, გამართული გასადა. ზგვ. სიციცხლე შეუწერდა. მოკვდა. მკლ. ჩვენმა ნაცნობმა დიდი ხანა ტყავი გაქიმა.

როცა კაცი კვდება, სხეულის სხვადასხვა ნაწილები მოღუნებულ-ნოკრუნჩხული აქვს სულთაბოძოლისაგან. როცა გული საბოლოოდ შეწყვეტს ძვერას, სხეულის ნაწილები გარმართება; ხორცის კანი გასწორდება. სხეულის ასეთ მდგომარეობას უწოდებენ ტყავის გაქიმვას, ხოლო თვით კაცი რომ მოკვდება, იტყვიან ხოლმე ხატოვანად: ტყავი გაქიმაო.

ტყავის გაძრობა პრ. მოშორება სხეულისაგან მის საფარველ აქისა. ზგვ. ძალათი წართმევა; ტანჯვა, გაძარცვა; ძვირად გაყიდვა რისამე; წამება, არათრის შენარჩუნება. შპრ. ვასო (სარდიონს). — შამოსელის დროს რომ ბრძანებდით: ვინ გაგაძროთ ტყავი, ნათლია? (რ. ვრისთავი); შპრ. როცა კი მოგკვრან თვალიო, იქვე გაგაძროთ ტყავიო (პ. უზიაშვილი).

დასჯის აზრით ადამიანის სხეულისათვის ტყავის გაძრობა უდიდეს წყაბელად და შურისძიებად ითვლება.

ტყავი ხორცზე მასკდება პრ. ტყავი ხორცს გარედან ვერ უძლებს და სკდება. ზგვ. მეტად გასუქდა. შპრ. მე რაღა ჭკვიანი გგონივარ! ხომ ხედავ, ტყავი ხორცზე მასკდება! გული შემღერება, მაშ რა ვქნა, არ დაეყვირო? (ვახა-ფშაველა).

ტყავსა და ხორცს შუა ტრიალებს პრ. ტყავსა და ხორცს შუა მოთავსებულ. ზგვ. უყიდურეს მდგომარეობაშია, მეტად გაჭირებულია, ხსნის გზას ვერა ხედავს.

ტყავ-ტყავ ეკიდება საქმესა პრ. საქმეს ტყავზე ვკიდებ ხელსა. ზგვ. მსუბუქად, უგულოდ, ზეროდ.

ტყავში ალარ ეტევა პრ. ტყავი ვიწროა მისი სხეულის ჩასატყეად. ზგვ. ძალზე გასუქებულია; მეტად მდიდარია, შეძლებულია. შპრ. ნადირთა პატრონი სიხალისი ბალასი გაზაფხულაწდე უზიდავდა ვირსა და თვალშავას. ვირი ისე გასუქდა. რომ ტყავ-

ში ალარ ეტეოდა, ტანიც ერთი-ორად მოიმატა (ვახა-ფშაველა).

ტყაპუტი პრ. დურა ტყავის წამოსახამი, ვისაც ტყაპუტი ატყია. ზგვ. მეცხვარი, გლეხი. შპრ. ერთიც ესნოთ, შენოდის წინი ყულადავდექული ტყაპუტი, მივარდება თუაიში და მეუბნება: აღას ვაჭარაჯოს, აღას! (ღ. მახანგელი).

ტყე ისე დაშტაშულია, მიგ მზის სხივი არ ჩავარდება პრ. ტყეში წმის სიივი ვერ ჩაეტევა. ზგვ. იტყუა ხშირი ტყეა. შპრ. იქცა ქალი დაბურულ ტყედ. იმის ქალწულ გულში მზის სხივი არ ჩაეპრდება (თ. რახიაშვილი).

ტყემალზე ზის პრ. ტყემლის ხეზეა ასული ტყემლის საჭქელად. ზგვ. უეცრია, ქვეყნიერებისა არა გაეგება-რა, ტყუილი და მართალი ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევი.

ტყემალს, მოგესენებთ, სხვა ბილთა შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს, ანუ, უყუთ, ხილად არც კი იხსენიება. მართო მისგან კბილების მოჭრა რაღა ღირს!.. ხილს დანატრებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ტყემლით მოინდომოს პირის გასუქება... ხოლო როცა სხვა ხილიცაა და ამ ღაროს კაცი ტყემალზე ავიდეს და თავის თავსაც აუუშებდეს — ხილსა ვეპამო, და სავასაც მოუნდომოს მოტუთილება, ისეთ უნდა განიერობაზე ხელი აღმებული ზნადაჭკონდეს, დიალაც, რომ ბრიავე ჩასავდებიც იქნება და ტყუილად დარიკეხებს — ქვეყნიერებისა რამე გამეგებაო!.. ასეთს პირდაპირ უბოდიშოდ პირში მიახლიან: შენ, ჩემო ძმაო, ტყემალზე და ზიხარ! აბა საიდან გეცოლინება, რა ხდება ქვეყანაზედა ან შენს გარშემო!.. ან კიდევ, როცა ვისმე დაუშსახებულად მიაკრავენ უვიკობის იარლიყს, ის ხატოვანად მიუგებს თავის გაშმასხარავებელს და ძვირადმისენებელს: შე კიი კაცო, რას შემართლები. ტყემალზე ხომ არა ვზივარო?! ტყემალად არ შევეპუები პრ. ტყემალაც არ ჩავაგდებ ვისმე. ზგვ. ზნადავ არ შევხედავ, სრულებით არ მოვერჩიებო, თავაზას არ შეიქნახავ; ადამიანად არ ვაგდებ. შპრ. ბატონის იარაღზედა, მტერო, რას შეგეპუები! მოგაწურუნდება, ხმალსა გკრავ. ტყემალად არ შეგეპუები (თ. რახიაშვილი).

ტყემალს დადარებული ადამიანი ყოველსავე ღირსებას მოკლებული ადამიანი თულა იქნება, რომელსაც შემოზღობის თვალში არაფერია და ის აქვს ისევე, როგორც ხილთა შოთის ტყემალს თავი განოსახენად არა აქვს.

ან კადევ თქმა: ტყემლის ჩირად მიხხევა ვისინე, თქვენ ისა ბრძანეთ: ჯერ ტყეპალი რა არის, მერე მისი ჩიბი რაღა უნდა იყოს!..

ტყემლის ჩირად მიხხევა ჰრ. ტყემლის ჩიბიან ღირსებისა. სცვ. უფასური, ძალზე მდარე. სულ უბრალო. ურ. სიუპარულის საბუთს ჩააქიდა ხელი მალაზნა. იქნება ამით მაინც მოველებო ნატალის გულიო, მაგრამ იმან ეს საბუთი ტყემლის ჩირადაც არ მიიჩნია (ე. ყაზმაში).

ტყეასავით მძიმე ჰრ. ტყეის მსგავსად ძნელი ასაწევი-ასამოდრავებელი. სცვ. ძალიან მძიმე. ურ. რა ვაი-ვაგლაით და კისრის მტრევეთი მიგოგავს დავარდნილ ცხენავით მისი ოქარკლოვანი, ტყეისასავით მძიმე ლექსები (ილ. ჰავეაძე).

ტყეა-წამალი ჰრ. მძიმე ლითონი, მოლუჯო ნაციონფერისა და მეტად დიდის ანთებადის შენაერთი გვარადლისი, ნახილისა და გოგირდისა. სცვ. საბრალოდელი მასალა. ურ. რა თქვა უნდა, ამნაირის (ჯარისის სიტყვით) ფარმული მეომარი დიდის ტყეა-წამლის პატრონი არ უნდა იყოს. იმიტომ, რომ თითონ ეს იარაღი მეტის-მეტე ძველია და დღეს მარჯო ბავშვებს-და აქეთ ხელში სათაშაშოდ და მარტო იმათი შესაფერი და მსახლებნია (ილ. ჰავეაძე).

ტყეა-წამლის სუნე ჰრ. შეგრძობა, რომელსაც გააოუფებს ხოლმე თოფის წანლის ანაორთქლი. სცვ. მოახლოება ომისა, მომავალი ბრძოლის ნიშანი. ურ. თქმა არ უნდა, რომ შესაძლოა ტყეა-წამლის სუნემა კიდევ იჩინოს თავი შიგ ევროპაში, ამავე ოსმალეთის მიხებით (ილ. ჰავეაძე).

ტყეისათვის გულის მიშვერა ჰრ. ტყეის პირდაპირ გაჩერება. სცვ. სასიკვდილოდ თავის განურება, უშიშროება, თავის დაღება, სინაპაქე. ურ. ამ კაცებმა თავისთავად იკისრეს სოფლის პატრონობა, გაიწიეს თავები და მუდამ ტყეისათვის ჰქონ-

დათ გული მიშვერილი (ს. შავლობლიშვილი).

ტყეის გალოკვიება ჰრ. ენის მოსმევიება ტყეისათვის. სცვ. ტყეის მოხვედრება, ტყეის დაუცილებლობა. ურ. გამოფხიზლდა და ცხეარს სწორედ დანიშნულს ადგილს გაალოკა ტყეა (ს. შავლობლიშვილი).

იგულისმება, რომ როცა, მაგალითად, მონადირე ტყეის მოახვედრებს ნადირს, ეს უქანასკნელი დაქრილ ალაგს ილოკავს. ხოლო თვით თქმა — ტყეის გალოკვიება უნდა გავიგოთ, როგორც ტყეის მოხვედრება ნიშანში ამოღებულ ადგილას.

ტყირპის გაგდებინება ჰრ. გადიდებული ელენთის დაპატარაება, ნისი თავის დონეზე დაყენება, დაცრომა. სცვ. დიდის ჯაფის მიყენება, გადამეტებული შრომის განცდევინება. ურ. აბა, ვისაც ტყირპის გაგდებინება უნდა, იმ კიბეს (მაღალს) უნდა შეუყენონ! (ავტ. ცაგარელი); ურ. მაშ დაძლუპავდა... მამა ჩემი ნუ წამიწყდება, თუ ხელში ჩამივარდა, ტყირპი ვერ გავაგდებინო, შენი ამირინდო აღარ ვიქნები (ბ. უისთავი).

ტყის ნადირი ჰრ. ტყეში მცხოვრები. სცვ. ადამიანი, რომელსაც მეგნებულ ხალხში არ უტოვობის, ან გაურბის ასეთ ხალხს. ურ. ნუ თუ სადნე ხალხს საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ იმისთანა ტყის ნადირი იყოს, არ ესმოდე, — ვისზედ მიენდობა უფრო გული, ვინც უფრო ღირსეული და სარწმუნო კაცია მის ახლო-მახლო (ილ. ჰავეაძე).

ტყის შეკრა ჰრ. ტყის შეერთება, მისი შესასვლელი კარის დაკეტვა. სცვ. აკრძალვა ტყეში ხის მოჭრისა, შიგ არაფის შეშვება რამე მასალის გამოსატანად. ურ. ტყე შეჭკრეს, შიგ არაფის უშვებენ (დ. მაჩხაველი).

ტულაპად და ქალამნის ძირად დაღება ვისთვისმე ჰრ. ტულაპისა და ქალამნის ქვედა ნაწილის მსგავსად ვისსამე ფეხებზე ამოღება. სცვ. ვისიმე მორჩილება, ვისსამე ნება-სურვილზე გავლა. ურ. რაც უნდა უძლური იყო, თავს სცნოდ უსწორედ გვირავდა... არაფის არ დაედებო ტულაპად და ქალამნის ძირად (ვაჟა-ფშაველა).
ტულაპი პირდაპირი მნიშვნელო-

ბით ეწოდება მოხარულ ტყემლის ან შვინდის წვენსა, რომელსაც დაასხამენ თხლად ფუცარზე, მზეზე აშრობენ და ასე მიღებულ თხელ, მრტყულ ფენებს საზამთროდ ინახავენ წვენიისათვის, გინა ლობთის შექამანდისათვის, სიმეავის მისამატებლად. ამ ტყუაპის გარეგნულად მიმსგავსებით ქართლ-კახეთსა, სე-ნეო-ლეხიუმსა, ფშავ-ხევისურეთში ტყუაპს ეძახიან თხის ან ცხევის ტყუაპის მდარე ნაჭერს, რომელიც საქალმნიოდ არ ვარგა და ძირგაცევათილ ქალწუნებს შიგნადან წინ წაუფეხებდნენ ხოლმე ან კიდევ ქუსლთან. თვითონ სიტყვა ტყუაპი გამოხატავს თხელსა და ბრტყელს.

ტყუილებს გუდაა პრ. ტყუილების ჩანაღებელი ხალთა. ზვ. ბერი ტყუილიების მოყვარე. შტ. მაგრამ გაძლეეს აჯამი ხალხი (მკითხავს) და შინკ, მეტი რა გაეუწუბა, უნდა მოხსნა ტყუილები გუდას და გამოკლალო განარღიშებული ტყუილები (დ. მახანელი).

ტყუილი არახელისაა პრ. ტყუილის თქმა უხელო კაცის საქნეაო. ზვ. ტყუილის თქმა ხელთუყარი კაცის საქნეა, კარგმა კაცმა სიმაოთლე უნდა სთქვას. შტ. ტყუილი არახელი-საა: უნდა გითხრა, რომ სულ მოხელეები აბრეყებთ და ათამაშებთ ხალხსა (ს. მგალიბლიშვილი).

არახელი — ჩვენს ხალხს პირდაპირ უწოდებია ისეთისათვის, ვისაც ხელი არა აქვს ან აბია კია ხელი სხეულზე, მაგრამ ასეთი ხელს უხელობა ათას წილად სჯობია. ამ ხელთუყარ და ხელთგამოუვალ ადამიანს ხატოვანად დაერქვა არახელი. მისგან სასიცილო არაფერი გამოდის არც მოყვარისა და ილარც მტრისათვის.

მამასადამე, ეს არახელი ადამიანი რაკი სწორი გზით ვერ ახერხებს ფონს გასვლას, იძულებულია ეძებოს უსწორო, დახლართული გზა, მოიშველიოს ტყუილები და თავისი დღენი ისე გააჩანჩალოს ყველასაგან ყბადაღებულმა, მასხარად ავღებულმა, ხალხში არგასარეგმა.

თვითონ ტყუილი, ტყუილის თქმა ჩვენმა ხალხმა ამ არახელის დამახსიათებელ სიტყვად, მის სინონიმად გა-

დააქცია და, ბოლოს, ანდაზაც კი შექმნა: ტყუილი არახელი სააო!

არახელის მეტოქე სიტყვა იქნება — მოხელე, ე. ი. ვისი ხელიც ხელობს და ამ ხელის ხნარება შეუღლია ცხოვრებაში გზის გასაკვალავად. ამრიგად მრეყუთნა სიტყვა მოხელე ამა თუ იმ თანამდებობის კაცს.

ტყუილის გამოცხობა პრ. ცეცხლის საშუალებით დამბადება სიმართლის საწინააღმდეგოა მისისა. ზვ. სიპარჯლის დართგუნა, ტყუილის თქმა. შტ. ნაშ გუნდ უხეობია ამ ჩვენს გახუნებულს აკტორს იმიოთანა ტყუილის ხელდხელ გამოცხობა? შტ. რომ კაცია და გუნებია! (ილ. ჰვავაძე).

ტყუილი ხელით დააქვს პრ. სიცრულე ხელთ უპარია და იყ მიღი-მოღისა. ზვ. დიდი მატყუარა ვინნა, ცრუა საშინელი. შტ. ზურაბს ტყუილი ხელით დააქვს — შეუძლებელია მისგან სიმართლე გაიგონოს ადამიანმა.

როცა ხელში გვიპირავს რამე, საძებარი არა გვაქვს, სურვილისამებრ შეგვიძლია მოვიხპაროთ. და როცა ამბობენ, მთავარ ტყუილი ხელით დააქვსო, ხატოვანად გამოხატულია იმ ახრისა, რომ მათნს ტყუილის თქმა ძალზე ეადვილბა. ამ ტყუილის თქმისათვის ბევრი ფიქრი არა სჭირია, არამედ მზადა აქვს სათქვლად ყოველთვის.

ტყუილში დაპერა (ვისიმე) პრ. ტყუილის მთქმლად გამოყვანა ვისიმე. ზვ. გამტყუნება, მიხლება. შტ. დიახ. დიახ, ჯერ ერთი — ეგრე წერი ტყუილები, რომ ჩემი ეპქელა შენს ხეხილს ვერ შესწვდებოდა და ვერც ტოტებს დამე გრეგდა! — დაიკირა ტყუილში ბებიაშ პაპა (ი. ანდო-ბელი).

ტყუპ-ტყუპი ტლინკები პრ. წყვილ-წყვილი წიხლები (სახედრისა, ცხენისა, ჯორისა). ზვ. ხშირი. შტ. ცხენებმა, შეიტყვეს რა, რომ მეტი გზა არ არის, ყოველს დაკვარხედ ტყუპ-ტყუპი ტლინკები ჰყარეს, დაძინენ, როგორც იყო, ადგილი-დამ და ძუნძულით გასწიეს (ილ. ჰვავაძე); შტ. ვირმა ტყუპად წიხლი ჰკრა (მგელს), კბილები ჩამტერია. ვირი ველარ შექამა (ს. ორხელიანი).

უ

უნგარიშო პრ. რის ანგარიშიც არ შეიძლება. სვ. ძალზე ბევრი.

უარზედ ღვამა პრ. წინადადებაზე უარი აქვს. სვ. არდათანაზებაზე, თხოვნის გაცდლება. შერ. ლეხო კაცმა ამერიო სახი თუშანი და შეიძლია ბეზერს. ზერე გაუხადა სამი თუშანი ბეზერს და ორი — რძალსა. რძალი უარზედა ს დ გას (თ. რახიკაუილი).

უარზილ პრ. რასაც არშია არ ავლი. სვ. ტლანქი, დაუჯერებელი, უბეში, უ-ესარიგო.

უარზილ პრ. არშის უქონლობა. სვ. ულდი ქვევა, უგვანობა, სიგლამე, უჩრობა. შერ. არ მომწონს შენი ქვევა! ჩრბილივით შემჩენია შენი უარშიობა და გუნებას მიმღვრევს (ფ. ბარნოვი); შერ. მან (მხენელმა) უთხრა: ზანჯელა ხარი უარშიობსო (ს. ორბელიანი).

არშია ფერად-ფერადი ზოლებიანი ვაწრო ნაჭერია ჩითისა გინა აბრეშუმისა, რომელსაც გარშემო შემოავლებენ ყაბას, სუყრას და მისთანათა დასანმეცნებლად. ამგვარად, არშია სინონიმი რისამე სილაფაზისა, ხოლო უარშიობა გამოხატავს ამ სილაფაზის უქონლობას. გადატანით — უგვანობას, უხავსობას, სიგლამეს, უზრდელობას, სიხეპრეს, სიტლანქეს.

უბეში გველი ჩაჯდომია პრ. გველი შესძროძია ტანისამოსში და გულთან ჩამჯდარა. სვ. მტერი, მოლაღატე შესენია. შერ. „იუერიამ“ ამ ყოვლად საზიხლარს პირგახეულობას ბეზლობა დაარქვა და უსაყუდურა „Нисое Одиопешие“-ს: უბეში რომ გველი არ ჩაჯდომია, რატომ ხმას არ იღებო! (ილ. ჰაქვაიაძე); შერ. მათ სამსახურში დავლიე წუთისოფელი მთელია, მანც ვერ ამოვიყვანი უბესსა ჯდომი გველია (ვაკ-ფხავია).

უბეში ტარება (ვისიმე) პრ. უბეში ჩასმა. სვ. სიყვარულით მოვლა-პატრონობა ვ-სიმე, ლოლიობა. შერ. ბევრი რამ ვივაგლობოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაჯედ დამყარებული იწედი. წაინც ბოლოს „ცამთა სულა“ ამ იანონჯედ დავგაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის საიუდაზმოდ დაკარგული დრო იქნება (ილ. ჰაქვაიაძე).

უბეში ჩასხსმელია პრ. უბით სატარებელია. სვ. ტქილი, კეთილი ადამიანია.

იგულისხმება, რომ უბეში შეიძლება ჩავისევთ მხოლოდ და მხოლოდ კაოგი, საყვარელი ადამიანი, განსუყრელად შიგა გვაყადეს, ვუალერსებდეთ, ველარ ველოდეთ.

უბეში ჩაჯდომა (ვისიმე) პრ. ვისიმე უბეში მოთავსება. სვ. დარეგობარება, დაშინაურება ვისთანმე. შერ. ჩენი ავტორი (ნარ-დონი) ამ ჩაკვირვებისათვის რათ შეიწუხებს თავს მაშინ, როდესაც უბეში ჩასჯდომია იმისთანა ავტორიტეტს, როგორც ბაიერნია (ილ. ჰაქვაიაძე).

უბეში ჩიტი უზის პრ. ჩიტი დაუქერია და უბით ატარებს. სვ. უხარია, ბედნიერია.

როცა ბავშვს ვინმე ჩიტს დაუქერს და ისიც უბეში ჩასვამს და ეალერსება, არა ჰგონია იმაზე ბადნიერი თუ კიდე არის ვინმე ქვეყანაზე!..

უბით ტარება (ვისიმე) პრ. უბეში ჩასმა ან ჩადება ვისიმე ან რისამე და ისე სიარული. სვ. ვინმე საყვარელ და ძვირფას ადამიანისა თუ განძისათვის ზრუნვა, ფიქრი უბეში მოთავსებულის მოვლისა და უვნებლობისათვის. შერ. მთელმა საქართველომ კლდიდან კლდემდე ძაძა ჩაიკვა და დიდებულად იგლოვა ილია (ჰაქვაიაძე), რომელმაც სიკვდილამდე თვის უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა (ს. მგალობლიშვილი).

ხალხურ სატრფიალო ლექსში ტყუილად კი არ არის ვაენისათვის სამოთხის საღარ ნატურის საგნად გამხდარი სატრფოს უბეში თავის ჩადება. აი თვითონ ის ლექსი: „ვისი მზე ხარ, ვისი მთვარე, ვის უბეში გძინავს ღამე?“

ზემოთ ამოწერილ ფრაზაში ეხედეთ, რომ ილ. ჰაქვაიაძის ზრუნვის საგანს შეაღვენდა თავის სამშობლოს ბედი, მისი კეთილდღეობა, დღეგრძელობა, წარმატება; ყოველსავე ამას ულოლიავებდა, სანაცვლოდ თავი არ ეზოგებოდა, ანუ, როგორც ჩვენს ხალხს

ხატოვანად გამოუთქვამს — უბით
ატარებდა.

უბის ცეცხლია პრე. უბეში დანთებულ
ციკლია. სკვ. სამინელი ტანჯვაა,
მწვე უბედურებაა.

უბოღეშო პრე. ვინც ბოდიშს არ იხდის
უსამის საქციელისაფხვს, ვინც პატრ-
ემას არ ითხოვს დააშუღლისათვის.
სკვ. ვინც ხბოლოდ თავის პირად სი-
აოცნებას მისდევს, სსვისა ვისანე ან
რისანე დარდით თავს არ იუუებებს;
ვისაც სსვისი არა ენაღვლებდა რა;
უზრდელი. უუწრთნელი, უტუფარა.
მგლ. ეს ვაგნატონი ციდი უბოდი-
შო ვინმე ბრძანებულა!

უგბიღება პრე. მოუხარშავება. სიუჟე.
სკვ. უმეცრება. უზრდელობა, სი-
რევენიე, სიბრიყვე. შარ. შენისა კა-
ცობისა და მოწყალებისა საკადრისი
ვისარს, დაღინებია და უგბიღებო-
საგან ხელი აიღო და ჩემი ვიდრე-
ბა მოისწინო (აქილია და დამანა). შარ.
არა სქავონ მისგანი (უგვარისა) უგ-
ბოღეღი, არც მგბარი წყლითა,
არა ვიდრე მწეარი ცეცილითა (ანოზუა-
თა, XI, 9).

ძველა ქართულით ამის ზნმა იქნე-
ბა გბობა ანუ გბოლვა, რაც ნინნავს
ხარშავს, ცხელი წყლით სამუაღვით
ხორცისა ან ცეცნარეულის რისაზე მო-
ზადებას საქმელად; ზედსართავი სახე-
ლი იქნება: მგბარი ანუ მგბოლვარე,
ხოლო იგივე უუთქმითად: უმგბარი
ანუ უგბოველი. გადატანითად უგბილი
ანუ მოუხარშავი თუ უში დაერქვა უზრ-
დელს, რევენს, ბრიყვს.

უგემურად ყოფნა პრე. გემრიელად არა
ვარ. სკვ. კარგ გუნებაზე არა ვარ.
შარ. მართა — ოპ, ბატონო, უმე-
ნოდ რა უგემურად ვიყავ, მოწ-
ყენილი, ათასი ფიქრები მოდიოდ-
ნენ ამ სულელ თავში (გ. ერისთავი).

უგემური პრე. გემომოკლებული. სკვ.
უსიამოვნო, ცუდი, საზიზღარი, სა-
წუხარი. მგლ. შენი ნათესავი, უნდა
გამოგიტყდე, მტრად უგემური ვინ-
მეა, ხელიდან სიკეთე არათფერი გა-
მოუქვა.

უგზო სიტყვა პრე. სიტყვა, რომელიც
გზას, გავლის საშუალებას მოკლებუ-
ლია. სკვ. უგონო, მიუხვედრელი,
უქყო, ბრიყველი, აუწონავ-დაუწო-
ნავი. შარ. ნუ მამკლავთ, თქვენნი ქი-
რნიმე, აღარას ვიტყვი უგზოსა

(ვაფა-ფშველა); შარ. მაგრამ ქვეის გზებ-
ში ბოდიშისათვის მიყოლა და მიზე-
ზის გაუხსნიჯაუდ დაჯერება უგზო
და უუვანოაო (-ქილია და დამანა).
იხ. გზიანი სიტყვა.

უგზო-უკვლოდ სიარული პრე. სიარუ-
ლი იქ, საცა არც გზაა და არც ვი-
სიმე ნაგალი ევალი. სკვ. გავალად-
გილებში სიარული, აკეა, უწესრი-
გობა. შარ. ცოტა თუ ბევრი უგზო-
უკვლოდ ვიარეთ. პეპიაჰ სიარული
ცელორ წესილო. წანოვიციფე საცო-
დავი ზურგებე (ილ. პავაჰაჰ); შარ.
ლუარსაბიცი დაითურა. მიუშეა ალვი-
რი ლენისაგან მოღუნებულს ენასა
და მოჰყვა უგზო-უკვლო ტიტინს
(ილ. პავაჰაჰ).

უგინებლად პური ვერ უქამია პრე. რამ-
დენ ლუქას ჩაიღებს პირში, იმდენი
უნდა შეიგინოს. სკვ. სალანდავი
სიტყვების მოყვარულია, ერთთავად
იგინება.

უწმაწურ სიტყვების მოყვარულ,
პირწიროშ. პირმოღვეულ, ავსიტყვა ადამი-
ანის დამამასათებელი თქმაა.

უგულა პრე. ვისაც გული არა აქვს.
სკვ. შეუბოალელები, ვისაც არავინ
ეცოდება, ვინც გაკირებულის შველა
და დამამარება არ იცის, ვისთვისაც
უსხვავთა ქირი — ლობეს ჩიბრიოა.
შარ. სთქვი, ვიცოდე, ვისი ვეჭილი
ვარ: ვაჟაკისა, მიჯურისა, თუ უბ-
რალა ვილაცა ადამიანისა, უგულო-
სი, უტვინოსი (ვაფა-ფშველა).

უგულა გული პრე. გული, მოკლებული
ყოველი ცოცხალ არსების თვისებას.
სკვ. უგრძობი, უსიცოცხლო. შარ.
რას დაგირებია გულზედ ეგ დასა-
მიწი ხელები, — აი მოგიკვდეს ეგ
უგულა გული! (ილ. პავაჰაჰ).

უგულად მუშაობა თუ ლაპარაკი პრე.
ისე მუშაობა, რომ გულიც არ მიჰ-
ყვებოდეს თან. სკვ. მოუნდომებლად,
უხალისოდ, უსიცოცხლოვ კეთება
საქმისა, გინა ლაპარაკი. შარ. მძულს
უგულად სიყვარული, ხიფენაკოც-
ნა, მტლაშა-მტლუმი (შ. რუსთაველი).

უდანოდ დაკვლა პრე. დანის დაუხმა-
რებლად დაკვლა მურისა. სკვ. უზო-
რო წვალება, წამება. შარ. ვიცი,
დამკლავს უდანოთა, მიწას
უძღვნის ჩემს ბედკრულს გვამს
(რ. ერისთავი).

უღანოდ ყელის გამოქრა პრ. დანის უხმარებლად გამოქრა ვისიმე ყელი-სა. სვც. სამინელი წვალება, და-ღუქვა. შერ. ქონს ტიანი სული არა-ვის ეღვა იმათში და ეხსა უფრო უციცლოდ დაგეწევენ და უღა-ნოდ ყელს გამოგეჭოიან თა-ვიანთ უძირო ჯიბე-მ-ცქლისათვის (დ. მაჩაანელი).

უღროოდ დაბერებული პრ. იმაზე აღრე დაბერებული, ვიდრე მასა-ლოდნელი იყო. მეჩად აღრე. სვც. დარღისა და მრუთარებისაგან ვატუ-ხილი. მგლ. მამას ორ-ორი შვილი ნოღუდა. გული გაუტყდა, დარღისა-გან უღროოდ დაბერდა.

უღლეთის პრ. ადამიანისა გინა ცხო-ველს შვილი, ორსულობის ხანის გასვლამდე გაჩენილი. სვც. განუეი-თარებელი, უმჭიკარი, გონებრივად ჩააორჩენილი ადამიანი. მგლ. მარტო უღლეთის შუქიდა იგი მსჯელო-ბა და ლაპარაკი, როგორც ჩვენს მე-წოპელი მსჯელობს და ლაპარაკობს. მის ნათქვამს ვერც თავს გაუტებს კა-ცი და ვერც ბოლოს.

ეს სიტყვა ხატოვანად იხმარება და ცინესა, ლანდღისა ან კიდევ ზი-ზლის გამოსახატავად. ამ სიტყვით მი-წართავენ ისეთს, ვისი გონებრივი გან-ვითარება ნაილულოვანია. ვისი გონებ-რივი ჩამორჩენილობა, უწნობა და უქვრგილობა აშკარა და საჩინოა.

უებრო პრ. ვისაც მსგავსი, ტოლი; სჯორი არა ჰყავს. სვც. მშვენიერი, წარჩინებული, საუცხოო. შერ. არცა ძიძისა მისსა მოიგონებ, არცა საყუ-არღლა შვილსა ექვევი და არც უეაროსა პირისა მისისაგან იქა-დით? (ვისრამიანი); შერ. მოსამართ-ლე და მოწყალე (როსტევან), მო-ოეული, გახვეტიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი (ნ. რუსთაველი).

უებრო წარმოებული უკუთქმა უ-სა და სსკავების აღნიშნულ ზედსარ-თავის სახელის დაბოლოება -ებრი ან ებურისაგან.

უერთმანეთოდ სულის დაუბერაობა პრ. უერთმანეთოდ უსუსთქელობა. სვც. უერთმანეთოდ გაუაზრებლობა, ერთმანეთის დიდი, უსაზომო სიყ-ვარული და მეგობრობა. შერ. დიდი მეოჯახე ქალია... დიდი მეოჯახე!...

—არ ვიცი?!. აი, ბეჩა, რა მეგობრობა გექონდა ჩვენს დროზე!.. უერთმა-ნეთოდ სულს არ დაგებერა ე-დიით... ბედნიერი ქალია! (დ. აღლია-შვილი).

უერთმანეთოდ წუალს აღარ აქცევდნენ პრ. ერთმანეთის უეთხავედ წუალს არ გადაუარდნენ. სვც. ერთმანეთი ძალიან ლუყარდათ, ერთმანეთის სიყ-ვარულში ამოსდიოდათ სული, ერთ-მანეთის უკითხავედ ფეხს აი გადას-ღვამდნენ. შერ. საღაპომდე არა თუ მოახლედ გავაცანი, კიდევ დაუუქ-გობრე ისე, რომ უერთმანეთოდ წყალსაც აღარ აქცევდნენ ჩემი „ვილაცა“ და ის ქალი (აააი).

უერთოდ არ იქნება ეს საქმე პრ. ერთი ვინმე უნდა იყოს ამის გამკეთებელი. სვც. თავისით არ გაკეთდებოდა ეს (რამე ცუდი საქმე). ვინმე უნდა იყოს დამნაშავე. შერ. ხინკალი არ ჩაქა-ლო. ლამარის ჯვრის გააზრებამო, თორო, უერთოდ არ მომოჩე-ბი (ვაჟა-ფშაველა); შერ. ამდენი მგელ-თა ყმული უერთოდ არ გადარ-ჩებაო (ხალხური ანაზა).

როცა რაიმე ბოროტების ნამდვილ დამნაშავეს ევლარა პოულობენ და ბრალს ხან ვისა სდებენ და ხან ვისა, იტყვიან: უერთოდ არ იქნებო-დაო, ე. ი. ცხადია, ვილასიც ჩადენი-ლია და სწორედ ეს „ვილაცა“ უნდა აღმოჩენილ იქნასო.

ან კიდევ: როცა ვისზე ვაფრახი-ლებთ — არ ზაიდინოს ცუდი რამ ჩვენს წინააღმდეგ. ვემუქრებით: უერთოდ არ მომჩრებო, ე. ი. რაც უნდა ეცადო სასჯელს თავი დააძვირო, სა-ცა იქნება, მოგასწრებ და ერთს მა-ინც მოგახვედრებ ხელსაო.

უვალო ვიყვე პრ. ვისიმე ვალი არა შემართოს რა. სვც. ჩემი ბრალი არა-ფერი იყოს, მე არაფერ შუაში ვიყო. მე არაფერი დამბრალდეს. შერ. ჩვენ ქალის დამჭერი არა ვართ. ეს-კი იცოდეთ, რომ თუ კარგი არ განო-გადეთ, მე უვალ ვიყო. ნუ დამემღურები (ან. ერისთავი-ხომეტარია).

უვუკაცობა პრ. ასაკს მოუსვლელობა. სვც. უგულადობა, შემართების მოკ-ლებულობა, სიმხდალე, სილაჩრე. შერ. მთოდან მოსული ვიყავი გე-ზელ ქორივით ჰყოლა; თავი ხლმით ჰქონდა დაქრილი, მკერდს სისხლი

გადმოსდიოდა... ორასი ლეის მო-
სკულელი უეა უეა ცობას ჩიოდა...
(ხალხური).

უთავბოლო პრ. ვისაც არც თავი აქვს
და აღარც ბოლო. სკვ. უწესრიგო,
უთაური, დაუღვეარი, გარეწარი; სუ-
ლელი, უაზრო. შრ. ტუჟილი რად
იუნება? მართალია, შენოდენა დედა-
კაცს სიხმარიც დაეჯერება! — წამო-
იძახა უთავბოლოდ ლუარსაბმა
(ილ. პავაჟაძე); შრ. რადგანაც ეხლა
ვხედავ, რომ მაგ უთავბოლო ლა-
პარაკს ბოლო არა აქვს, გთხოვ ან
თავი დავგანებო და შინ წამობრძან-
დეთ ან... (ილ. პავაჟაძე).

უთვალავი პრ. რის დათვლაც არ შე-
იძლება. სკვ. სულ ბევრი. შრ. ჩვენ
კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთ-
ვალავი ფერთა (შ. რუსთაველი).

უიმისოდ პურსაც არ არ სჭამდა პრ.
პური მარტოს არ უნდა ექანა, ისიც
თან უნდა ჰყოლოდა. სკვ. ძალიან
უყვარდა. დიდი მეგობარი იყო. შრ.
მათი (ბეროსა და ცეცოსი) მეგობ-
რობა-კი იზრდებოდა დღითიდღე
და ხშირად ბერო უცეცოოდ პურ-
საც კი არა სჭამდა (ი. ვედი-
შვილი).

უიმისოდ წყალს არ დაღვეს პრ. მარ-
ტო, უიმისოდ წყალსაც კი არ და-
ღვეს. სკვ. ძალიან უყვარს, იმის სი-
ყვარულში სული ამოსდის.

უქანასკნელ დღეში ყოფნა პრ. სულ
ბოლო დღეში ყოფნა. სკვ. ძალიან
მიძილდ ავად ყოფნა, სიკვდილის მო-
ლოდინში. ახ. სიკვდილის პი-
რად ყოფნა.

უქანასკნელი პრ. ვინც ყველაზე ბო-
ლოს მოაყვება. სკვ. საზოლარი, ყვე-
ლაზე უარესი, გაფუჭებული.

უქანდაუხვეველი პრ. ვინც უქან არ
დაიხვეს. სკვ. ძლიერი, პირდაპირ
მავალი, ყოველი დაბრკოლების გა-
დამლახველი, გულგაუტეხელი, მხნე.
შრ. ადვილად წარმოსადგენია, რა
მხნეობა და რა უქან-დაუხვეველი
სულთა-სწრაფეა უნდა ჰქონოდა, რა
გაუტეხელი და რკინის ხასიათი, რომ
თითონ ლუქმა-პურის მონატრულს...
უნივერსიტეტი გაეთავებინა და კა-
ცად გამხდარიყო (ილ. პავაჟაძე).

უქანდაყენება (ვისიმე) პრ. წინის სა-
წინააღმდეგო მხარეს გაჩერება. სკვ.
დაჩაგვრა, დაზარალება, პარტივის აყ-

რა, არაფრად ჩაგდება, დაჯანგა.
შრ. მაკვირებ, მართა ჩემო! ჩემი
სისხლბორცი ხარ... უნდა იეწუღდე...
შენ-კი, პირში გეტყვი. უქან მიყე-
ნებ შეილს (დ. კლდიაშვილი); შრ. ვხ-
ლა ასე უქან რამ დააყენა
აზია? იმან თუ — რომ თავისი სა-
ყუთარი ძარღვები დააწყდა, თუ სხვა
რამ მიზღვმა მოსკრა სულიერი და
ხორციელი მუხლი (ილ. პავაჟაძე).

უქან დაწვევა პრ. წინუსვლელობა, წი-
ნის მოწინააღმდეგე მხარეს სიარული.
სკვ. უარზე დადგომა, მიუღებლობა
რისაზე, გაუყეთებლობა; დაჩაგვრა,
დაზარალება; პროგრესს, განათლებას
ჩამორჩენა. შრ. ამიტომაც (გლუხ-
კაცს) თავის სამმართველოს მოხელე,
და თითონ კანონიც მისთვის მკონია
მოკონილი, რომ მარტო შე დინოს
ცხვირში ძმარი, როცა დაემაყებო,
ან როცა სახელმწიფო სამსახურზედ
უქან დავიწვეო (ილ. პავაჟაძე);
შრ. უსიტყვოდ უწყურებოდა ზვიანო
ქმარს დამცილებულს. ლაშქარს ბრძო-
ლაში წელგაფშენეტილს; ბედს ბრძმს,
რომელმა უკუ დასწია ეტლი მა-
თის დიდებისა (ვ. ბარნოვი).

უქან დახვევა პრ. წინსვლის მოწინააღ-
მდეგე მიმართულებით სიარული. სკვ.
წარმატების, პროგრესის მოწინააღ-
მდეგე გზით სიარული, უარის თქმა,
შიში, სიჯანგე, გულისგატეხა. და-
თმობა, ქედის მოხრა. შრ. მოხუცი
მაინცდადინებ წინ მიიწვედა, ფიქრ-
მა — უქან დაბრუნდიო, ერთხელაც
არ გაუელევა თავში; არც იყო ჩეე-
ული უქან დახვევას, რისთვისაც
ხალხი გაუტეხელს ეძახდა (ვაჟა-ფშა-
ველა).

უქან დევნა პრ. ვისსამე უქან სიარული.
სკვ. მოუშორებლობა, ზრუნვა, გარ-
ჯა, პატრონობა, თვალ-ყურის გდება.
შრ. განა უქანასკნელი ლუქმა თქვენს
სწავლაში არ დაეხარჯეთ? განა თქვენს
უქან დევნას არ მოვანდომეთ
მთელი ჩვენი ჯანი, ღონე, ცხოვრე-
ბა? (ვა. ვაჟაშვილი).

უქან იყურება პრ. თავის ზურგისაკენ
მდებარე მხარეს იქიკრება. სკვ.
ცხოვრებაში წარსულს მინატრის,
ეშინია. შრ. ერთი — იმედით აღსაფ-
სე სულ წინ იყურება და ყოველი
მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსი-

ლობა ხელისათვის, მეორე — სასო-
წარკვეთილი, შიშით სულ უკან
იყურობა და გუშინდელს მშვიდო-
ბით გატარებულს დღეს ნატრულობს
და აიო სწამს ხელე (ილ. პავკეაძე).

უკან მიყრა ჰრდ. უკან დაყენება, უკან-
ნისკენ მიხვეტა. სვფ. ჯობნა, პირვე-
ლობა. სხვის დაჩაგვრა. შტრ. გამო-
დონდენ გოგუბები იგ-რიგობით და
თამაშობდნენ. მერე გამოვიდა ივი-
ნეს გოგოც. გამოვიდა და რა გამო-
ვიდა! ყველა ი უკან მიჰყარა!
თითქო ალაღმა წამოქროლა ჩი-
ტებსო, იგრე გაჩუმდნენ ყველანი და
ყურება დაუწყეს (მელახია).

უკანონო შვილია ჰრდ. უკანონოდ შე-
ულღებული დედ-მამის შვილია. სვფ.
უღირსი, უფლება წართმეული, უფ-
ლებას მოკლებული. შტრ. ვისაც ბედმა
გაუღიპა ცხოვრებაში, ყველა გავიდა
ქალაქ გარედ სულის მოსაბრუნებ-
ლად. ქალაქში მარტო იმისთანა ხალ-
ხი დარჩა, რომელიც ბედის უკანონო
შვილია, რომელიც იბრძვის
მუდამ დღიური ლუკმის საშოვნელად
(ფ. გაბაჯილი).

უკან-უკან სვლა ჰრდ. ზურგს უკან მდებ-
არე მხრისაკენ სვლა. სვფ. რეგრესი,
უარესობა, ჩამორჩენა. შტრ. საუბედუ-
როდ, ავადმყოფი უკან-და-უკან
მიდიოდა. საშინელ სიხისაგან
ხშირად გოძნობა ეკარგებოდა (ნ. ლო-
მოუჩი).

უკან ჩამორჩენა ჰრდ. სხვებზე ნელა სი-
არული, სხვებს უკან მოქცევა. სვფ.
სხვების მიერ ვასწრება, განუფითარ-
ებლობა, წინანდელ დონეზე დარ-
ჩენა, წინაუხსელელობა, წარუმატებ-
ლობა სწავლასა თუ რაიმე საქმიანო-
ბაში; უაგება, ზარალი. შტრ. სემიონ-
ნას ცოლი ნატო, საცოდავი, ჩუმი,
უწყინარი, მუდამ უკანა რჩებო-
და ამას (გიგას ცოლს) (ან. ერისთავი-
ხოშტარია); შტრ. და ჩვენც ჩვენსას ვე-
ცადნეთ, რომ უკან საქმე-სადიდებელ
საქმეში სხვას უკან არ ჩამო-
ვოჩეთ, თორემ ძველებში გაგვრევენ
(ილ. პავკეაძე).

უკაცრაოდ შტრ. კაცის შეუფერებლად.
სვფ. ბოდიშის მოხდა, პატრების,
შენდობის მოთხოვნა უფერობისა და
უაამსობისათვის. შტრ. უკაცრაოდ,
რომ გაწუხებთ, რა დრო იქნება?

ზრდილობის ფორმულაა. ხმარობენ

როცა ვისმე უცაბედად დაეჯახებიან,
ან სიტყვას გააწყვეტინებენ. მოპასუხე
ეტყვის ამის საფერ ზრდილობისავე
ფორმულით: კაცურად, ე. ი. კაცის
შეუფერებელი არაფერი ჩაგიდნით,
შენდობილი ბრძანდებითო.

უკაცრაოდ იხმარება აგრეთვე ბრძა-
ნების კოლონო უთანხმოების, წინააღ-
მდეობის. უკანაყოლების გამოსახ-
ტავად და ამ შემთხვევაში ნიშნავს:
არაფერი დიდებით, არას გზით, სრუ-
ლებითაც არა, ზოგჯერ, აზრის სიძო-
ერისათვის, ემატება ბრძანდებით,
ასე: უკაცრაოდ ბრძანდებით,
მე ამას ვერ ვიხმამ...

უკაცრაული პასუხია იხ. პატრივი
თქვენთან.

უკბილო ჰრდ. კბილებს მოკლებული,
ვისაც კბეჩა ან ლეკვა საქმლისა არ
შეუძლია. სვფ. უშნო, უუნარო, უაზ-
რო, უკუის სიმაივილეს მოკლებული.
შტრ. ამ წერილში არ არის ის უკ-
ბილო საყვედური და უქმი ჩივილი,
რომ აი, თქვე გულქვაო კაცებო, რა-
ტომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გა-
გვიანაწილებთო (ილ. პავკეაძე).

უკბილო დიდ როლს თამაშობდა
აღამიანის ცხოვრებაში. უკბილო ადა-
მიანი უძლური იყო ცხოვრებასთან
ბრძოლაში. დღეს უკბილობა სურათ-
ხატოვანად გვიქვიჩა ჩვენი უნიათობისა
და უძლურებისათვის, ბრძოლაში —
სრული უმწეობისათვის, საქმის გაკე-
თებაში — სისუსტისა და სიბეჩაივისათვის.

უკბილო ბებერი ჰრდ. ვისაც კბილები
არა აქვს ან ცოტა აქვს. სვფ. ულო-
ნო, ვისაც არ შეუძლია ვისმე ავნოს,
ან ვისგანმე გაქირების დროს თავი
დაიკვას. შტრ. შენისთანა უკბილო
ბებერი მე რას დამაჯლებს! იხ.
უკბილო.

უკბილოდ შექმა და უხელოდ და-
მტვრევა ჰრდ. საქმელად კბილის
მოუშველებლობა და დასამტკრევად
ხელების უხმარლობა. სვფ. ადვილად
მორევენ, შემოუსვრა, გინა მოსპობა
მოწინააღმდეგისა. შტრ. შენ რა სუ-
რიელი ხარ, რა ხარ, ვინა ხარ, რომ
ცხვარი მოგირეკია და ჩემს მთას
აძოვებო?! უკბილოდ შეგქამ
და უხელოდ და გამტკრევეო. —
აქ მოდიო, — დაუძახა ვაჟმა, — და
გ მერე გამოჩინდებო (თ. რაზიკ-
ვილი).

უკეთესი კაცის თვალს არ ენახვება პრ. უკეთესს ადამიანის თვალი ვერას დანიხავს. სვკ. მეტად კარგია. შერ. ცეცო მოგიკვლეს, ცეცო, თუმც დრამში საჩაღეთის თავში არ დავბადო ე გუთნეული. გუშინ ლაშიდგან გადმოვიარე, უკეთესი კაცის თვალს არა ენახვება რა: ისეთი ღიქა და მურწა-ბალახია იმ კორდინანზე, სიმინდის თავში, ჭალიანში, როგორც აბრეშუმი (ს. მგალობლი-შვილი).

უკვალოდ დაკარგვა პრ. ფეხის ნავალის კვალიც არ დაუტოვებია, ისე დაიკარგა. სვკ. ისე დაკარგვა, რომ მისის პოვნის იმედი არავისა აქვს.

უკვდავების წყარო ახ. უკვდავების მალამო.

უკვდავების მალამო პრ. მალამო, რომლის წასმა კაცს თავის ღღეში არ მოჰკლავს, ნიადაგ აცოცხლებს. სვკ. დიდი სიკეთე, მუღამ სიცოცხლე. შერ. გოგოს დაწულულებულ გულს ამ სანახავემა თითქო უკვდავების მალამო მოსცხო და უოველივე ტანჯვა-ტყვიელი ერთს თვალის დახამამებანზე გაეხელდა, იოშორდა (ნ. ლომოური).

უკიდურესი პრ. რასაც კიდე ან კიდური არა აქვს. სვკ. უსაზღვრო დაუსრულებელი, საზომს გადასული, უსახომო.

უკმეზობაში ჩამორთმევა საქციელისა პრ. უკმეზობად მიღება ვისგანმე საქციელისა. სვკ. წყენინება, გულის-მოსასუღელი ქცევა. შერ. შვარტყო, რომ ქალია, და უკმეზობაში არ ჩამოართვა იმის საქციელი (თ. რახიკაშვილი).

უკულო მგელზე მგელში პრ. ვინც უკულოგეჯილ მგელზე ჯდება ხოლმე. სვკ. ეშმაკი, თვალთმაქცი, მზაკვარი, გაიძევა.

უკულო, სამეგრელოში სწამდათ, რომ მზაკვარი ქალები მგელს მოაჯდებოდნენ ხოლმე და იქით-აქით დააქენებდნენ თავიანთ მსხვერპლის საპოვნელად.

უკუყრა ჭირისა პრ. უკან გადადგება გაქირებისა. სვკ. მოშორება, განქარება ჭირისა, უქირველად დარჩენა, უდარდელად ყოფნა, მწუხარების გაფანტვა. შერ. ოდეს გიქერვტი შენ ჭირსა, უკუ ვიყრიდი მე ჭირსა! (დ. გურამიშვილი).

უკულმა დატრიალება პრ. წინსყენ წასყლის ნაგიერ ზურგისყენ წამოსვლა. სვკ. დანარცხება, ხელის წარცარვა, გაუმარჯებლობა, ცუდად წასვლა საქმისა. შერ. ნაგარამ, ექ, გატრიალდეს და გამუდრეგდეს! როცა ღმერთი კაცზე ხელს აიღებს, ყველა უკულმა დატრიალდება, აღმართშიც ქვა მოეწევა და ვაკებზედაც ურემი გადაუბრუნდება (დ. მახხაშვილი).

ულვაშებში სიცილი პრ. ულვაშებით დაჯარული სიცილი. სვკ. ვანცდა ეშმაკური კმაყოფილებისა, რომელსაც მოციხანი მალავს, ცდილობს სავსებით არ გამოაჩინოს დაეცინება. შერ. ვარსმოქდობილი თმა-წვერი დახვესებული ხეები ხედავდნენ შიგ თავის ახოვან აგებულობას და მოსწონდათ თავი, ულვაშებში ილიმებოღენ (უ. ბარბოვი); შერ. როცა დანიხა მამასახლისმა ოქროულა, ულვაშებში ჩაიციინა და შეიფუანა სასტუმრო ოთახში (მვლანია); შერ. კაცად წიგნი წაიკითხა, ულვაშებში გაიციინა! თავგო, შენ რამ გადაგარია, მე რას მაქცებ შენსა სისხლსა?! (პ. უშიკაშვილი).

დაუფარავ, აშკარა და გულიან სიცილის დროს პირს ფართოდ ვაღებთ ხოლმე, ასე რომ ყველასათვის დასანახია; დაუფარული აოჯინისათვისა ჩვენ კმაყოფილება თუ მზიარულება. ნაგარამ არის ხოლოდ მდგომარეობა, როცა ჩვენს სიბარულს ვფარავთ, არ გვინდა სავსებით შვეტყობინოთ სხვას ჩვენი გულსავსებობა ან ჩემად გვინდა დავცინოთ, ნიშნი მოუფუგოთ სხვას, მაშინ ტურებს ოღნაე ავამოქრავებთ, თითქო უნდა ვავიცინოთო, მაგრამ ეს სიცილი თავშეკავებულია, თითქო არც გვინდა და კიდევ გვინდა სიცილიო, დამალულია ზვიდან გადმოფარებული ულვაშებისაგან.

ულვაშზე ბუზი აეცმება პრ. ულვაშის წვერზე ბუზი რომ დააჯდეს, ზედ წამოგებაო. სვკ. გამწვეტებული, გაბზეგილი აქვს ულვაში. შერ. თუმცა ბედი გაუხუნდა, არც ჩოხა აქვს თავის ფერზე, მაგრამ ბუზი აეცმება მის ულვაშის ნაგრებ წვერზე (გ. ლომია).

ულვაშზე ხელის გადასმა პრ. ზვიდან ქვევითყენ ჩამოვლება ხელისა ულვაშზე. სვკ. დაფიქრება, მოსაზრება რისამე; გაქირების დროს გამოსავალი

გზის გამონახვა, რაიმე გადაწყვეტილებების მიღება; დამტკიცება, ფიცი; შერ. სამებობას რომ შენიშნა სააკაძემ მეუღის გულსთქმა და ძლიერი ვნებათა დელა, მაშინვე უღვაშზე ხელი გადისო და მოიაზრა საქმე (ვ. ბარნოვი); შერ. ცხენებიც მტერმა აღბათ უყვე მომიყვანა! — გაიფიქრა და აამოქმედა თავის აზრი მკვირცხლი. გაიღიმა. უღვაშზედ ხელი გადისცა (ვ. ბარნოვი).

ქართველობაში უღვაში, როგორც ვიცით, დაეუქაცებისა და დატყვიანების ნიშნად ითვლებოდა, და, ამასთან, როცა დასაფიქრებელსა და მოსაზრებულს წინადადებას რასმე მისცემდა ვინმე, წინადადების მომხმენი, სანამ პასუხს ვასცემდა, უღვაშებზე ხელს გადაისვამდა მოფიქრებისა და მოსაზრების ნიშნად, თითქო უღვაშების პატრონი უღვაშებს ეკითხება რჩევა-დარიგებასო. იგივე ნიშნავს მუქარასაც. როცა კაცს გულს მოაყვანინებს ვინმე, უღვაშებზე ხელს გადაისვამს და გულისმოწყვანს ეტყვის: ეს უღვაში (ვაჟაკობის ნიშანი) ხე მსხმია, თუ შენ ასე და ასე არ გიყოო. იგივე იყო ფიცის ნიშანი: თუ ეს უღვაშები მასხია, ე. ი. თუ ვაჟაკი ვარ, შეგისრულებ ნათქვამსო.

უღვაში არა მქონდეს ზედ ის. უღვაში ნუ მსხმია.

უღვაში მრუდე მაქვსო ჰრ. უღვაში სწორედ არ გიყენია. ჯგ. უღვანაშა-ულო დამნაშავედ მიმანჩინხარ; მიზეზის ძიება. შგლ. არაფერი დამიშვებია, მაგრამ მაინც დამსაჯეს! ხომ გაგიგონიათ — უღვაში მრუდე მაქვსო!..

სამეგრელოს მთავარს დადიანს ერთი გლეხი როგორღაც თვალში არ მოსვლია და მოურავისათვის უბრძანებია — ხუნდელ დასვიო. მოურავისაც უბრძანებია აუსრულებია. გლეხს დიდი შიშითა და კრძალვით უკითხავს მოურავისათვის: თქვენი ჰირონეთ, იქნება ვამიგოთ: რითი გავიწყობე და გავირისხე ბატონიო? მოურავს მთავრისათვის რომ უკითხავს, დადიანს უსაუბრია: როგორ არ დაუშვებია, — უღვაში აქვს მრუდე თ დაჟინებულთ. როგორ გაბედა და ასე როგორ ნეჩენაო!..

ამ თქმას ხმარობენ, როცა უფროსი უნცროსს, ძლიერი უძლურს უბ-

რალოდა სჯის, ალალ-მართალს განგებ აბრალებს რასმე.

უღვაში ნუ მასხია ჰრ. უღვაში ნულა შექება ტუჩებზე. ჯგ. კაცი არ ვიყვე, დედაკაცს ვემსგავსო, სულ უკანასკნელი ვიყო, თუ... შერ. ე უღვაში ნუ მასხია ე ფილუსა, თუ თქვენ უნარი ვერ გიყოთ... — უღვაშიც შეგირცხვეს და ე პირიცა, — და შეუღერა მიხამ სახრე (ს. მაკლობლიშვილი); შერ. მაშ მე დავექიდები! ან მე უნდა ვიყო ამ სოფელში, ან ეგ ჯორ-ზაქარაი... მაშ უღვაში ნუ მსხმია, თუ არ შევასრულო ეს ჩემი ნუქარა (ს. მაკლობლიშვილი); შერ. წუხელი რომ იძახდი: დიდი ვარ, დიდი ჩემის სიმაღლე გავხლიო, ეხლარა გნებავს მერე? ვათხოვება, განა? აი, შე არამხალავ, შენა... დამაქალდე, თუ გიყ მანასეს არ მიგცე და ეს უღვაშები ნულარ მესხას! (ს. ლომოური); შერ. რასთვის იმას არ ურჩიეთ, ზედ თუ გეცხათ უღვაშ-წყვირი! (დ. გურამიშვილი). ის. ფუი შენს უღვაშს. ის. უღვაშის მოპარსვა ვისთვისმე.

უღვაშის აწევა ჰრ. უღვაშის ამოხილვა ზეით. ჯგ. შერცხენა, სახელის გატება, გაწბილება. შერ. არჩილს (კახეთის მეფეს) ენიშნა (ზაზას ნათქვამი), აენთო, შეუტია, უღვაშის აწევას დაემუქრა, გააწვინა ერთგული (ვ. ბარნოვი); შერ. მამასახლისო, ერთი უღვაში აუწიე მაგას (გლეხს) (ხ. ანტონოვი). ის. უღვაშის გაპარსვა ვისთვისმე.

ძველათ რისამე დაშავებისათვის ხელისუფლების მიერ თავის ხელქვეითის დასჯის ერთი სახე იყო უღვაშის აწევა. უღვაშები, ისევე როგორც ქუდი, ითვლებოდა მამაკაცობის ნიშნად, მამაკაცის სინიდის-ნამუსის და პატრიონების ფიზიკურ გამომხატველად. ხოლო აწევა ამ უღვაშისა გულისხმობდა — უღვაშის ღერების ამოგლეჯის მუქარას და მისი პატრონის დატოვებას უუღვაშოდ, ე. ი. უდიდეს შერცხენას, გაწბილებას, უღვაშების ტარების უღირსებას. ტყუილად კი არ იყო საქებარი და თავის მოსაწონებელი ძველად უღვაშის სხმისა და ნამუსის ქუდის ტარება! როცა ვისიმე ქება უნდოდათ, ასე ამოობდნენ: უღვაშიც იმით ესხათ და ნამუსის ქუ-

დი ც ი მ ა თ ე ხ უ რ ა თო! ხშირი იყო ასეთი თქმაც მუქარის გამოსახატავად: აბ ულვაშებს სულ თითო-თითოდ (ღერებდა) დაგადრობ, შე ასეთ-ისეთო... და ანას იტყოდნენ ისეთზე, ვინც ისეთ სააუგო საქმეს ჩაიდენდა, რაც არ იყო შესაფერის თავმოყვარე ვაეკაციისათვის. ულვაშის მოპარსვა ვისთვისმე პრდ. დანით ან სამართებლით ცალ ულვაშის მოშორება ვისიმე პირისათვის. სჯ. დიდი შერცხვენა, საჯაროდ გააძიძღვა, გაწვილება, გხიბაება. შდრ. ცელქა — ჩემო სიღრია, შენ ნუ გეშინიან. ქურდი გამოჩენილია. მორჩომილია. მთელმა ქვეყანამ იცის. ულვაშებს ს მოვი კარსავ, თუ ჩემი ივეი ტყუილი გამოდგება (ვათემაკლავ; შდრ. ბაქარ-ბეგი ლაპარაკში წყნარად გადისვანდა ულვაშზე ხელს და იტყოდა:—მაშ ულვაში მომპარსე, თუ... (მ. ბარნოვი); შდრ. დამაცათ, კაცო, ყრონქში ნუ მეციოთ, ჯერ არ გამოთავებია... ჰო, იმას მოგახსენებდით... (გვიგორა მორუარეს) ნახევარი თავი გადავარასოთ, ცალი ულვაში და ლოყაც და ისე გაეუშეათ... (ს. მაღლობლიწეილი).

ძველათ ქართველები ულვაშს ვაეკაციანს, პატიოსნების, ნაწესიანობის ნიშნად სთვლიდნენ. ულვაშით განირჩეოდა მამაკაცი დედაკაცისგან, რომელიც უფლვაშოა და, მამასადამე, არც მოეთხოვება მამაკაცის თვისებები.

საქართველოში ძველადვე ულვაში მამაკაციისათვის საფიცარი იყო. ულვაში არ შემირცხვეს, ან ულვაში ნუ მესხმისო, რომ იტყოდა მამაკაცი, მის მსმენელისათვის ეს სიტყვები სრული თავდები უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ულვაშით მოფიცარი ცუდს, სააუგო საქმეს ითაკილებდა, „ულვაშს არ შემირცხვენდა“. ან კიდევ, როცა იმავე ქართველ წამაკაცს მცირე რამ სააუგოსა და ცოტაროდნა უხამს და შეუფრებელ რაზედმე მისაწრებდნენ, ყველგანისა და დანინების ნიშნად ეტყოდნენ: ფუი, შეგირცხვეს ეგ ულვაშიო!

როცა ქართველი მამაკაცი მძიმედ შესარცხვენ საქმეს ჩაიდენდა, სოფლის თავი კაცები დასასჯელად ნახევარ თავს გადაჰპარსავდნენ, ცალ ულვაშსა და ცალ ლოყასაც მთაყოლებდნენ, უბელო სახედარზე პირუტყლმა შესვამდნენ და

სოფელში აატარა-ჩაატარებდნენ. ასეთი კაცი მამაკაცებში თავს ვერ გამოჰყოფდა, იმათ მარაქაში ვერ გაეჩროდა, მათთან ურთიერთობა უნდა გაეწყვიტნა, როგორც მეზობლების უღირსი და ვაეკაციობაზე ხელაღებულს.

ფულის სესხების დროს მოსესხებოთ ღერ ულვაშს ანოიძობდა და ფულის მსესხებელს ვექსილის მაგიერად მისცემდა. ნასესხის ჩაბარების დროს თავის მიცემულ ღერ ულვაშს უკანვე დაიბრუნებდა.

მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, სამეგრელოში ახლად შენობებულ მეფის რუსეთის სასამართლოს, თანამდამდ კომოთე გრიგოლის ძის გვასალის გადმოცემის, სხვათა შორის; ასეთი საქმე ჰქონდა გასარჩევი: გლებ ბუნუია კილასონიას გლებ უთუთია ბოჯგუთსათვის უსესხებია ხუთი მანეთი. უთუთია ბოჯგუთს ვალის გადაბა დააჯიანებია. მსესხებელს მოვალესათვის ასლად შენობებულ სასამართლოში უჩივლია. მომჩივან-მოპასუხე სასამართლოს წინაშე წარდგენენ. რუსი მოსამართლე, თარჯიმანის პირით, მოპასუხეს ეუბნება: ბუნუია კილასონიას შენთვის ხუთი მანეთი უსესხებია და რატომ არ უბრუნებ თავის ფულსაო? მოპასუხემ დაადასტურა თავის მოვალეობა და დასძინა: არა მქონდა. ბატონო, და იმიტომ ვერ დაეუბრუნე; როგორც კი ვიშოვნი, დიდის მადლობით დაეუბრუნებო. მოსამართლე ახლა მომჩივანს ეკითხება: საბუთი რა გაქვსო? — ულვაშის ღერიო! — უპასუხა მომჩივანმა. ქართულ ზნე-ჩვეულებების უცნობმა რუსმა მოსამართლემ ულვაშის ღერი ვალის გადახდევინების საბუთად. რა თქმა უნდა. ვერ ჩათვალა, და მოპასუხეს თარჯიმანისავე პირით ეუბნება: შეგიძლია ფული არ დაეუბრუნო მომჩივანს, რადგინ საბუთი არა ჰქონიაო. — რასა ზრძანებთ, ბატონო!... — უპასუხნია, ცოტა არ იყოს, განაწყენებულს და თან უზომოდ გაკვირვებულს მოპასუხეს, — ულვაში მძიმეია და ხუთი მანეთის გულიისათვის უარი ვლობრა და ულვაში შევირცხვინო?! მერე სად გამოყყო თავიო?!... ამა ს ცოცხალის თავით ვერ ვიზამო...

ანალოგიურ შემთხვევას, ვექსილის მაგიერად მამაკაცის ერთ ღერ ულვაშის მიცემისას, ადგილი ჰქონდა არავგვის ხეობაში, სოფ. ნატახტარში, წარ-

სული საუკუნის ოთხმოციან წლებში. ამ სოფლის მღვდელი ალექსი ცაგარელი თავის დიდ მეგობარს და მეუღლის თანამოგვაროს. ერწოელ გლეხს, ბუჯიაშვილს, ასესხებს ოცდაათ ევროთწოდებულ ჯვრიან ვერცხლის მანეთს (რუსეთის დედოფალ ეკატერინეს დროისას). ვალის გადახდის გარანტიად, უთუთია ბოჯგუას მსგავსად, ბუჯიაშვილმა ერთი ღერი ულვაში ამოიძრო და სულიერ მოძღვარს უბოძა. ეს ულვაში. როგორც ფასიანი (და უფრო მეტი ა!) ჭალადი რამე. ჭალადში გახეული, სკიერის ყურში შეინახა მღვდელმა. ხოლო ბუჯიაშვილმა მადლობა გადაუხადა, ვერცხლის ფული გულდაში ჩაილაგა და გაუღდა ერწოს ზასს.

გაიარა ხანმა. ნატახტრელთა სულიერმა მწყემსმა თქვენი ჭირი წაიღო, მღვდელს მისი ერწოელი მეგობარი და მოვალე ბუჯიაშვილიც მიჰყვა.

კიდელ განვლო ხანმა... მღვდლის ჭკრივი თავის სემინარიელ შვილს, ვლადცაგარელს, ეუბნება: ბუჯიაშვილს ცხოვრებულ მამიშენის სამი თუმანი რომ ნატახტრის და მის ულვაშის ღერს რომ ვინახავთ, მივიღებთ. შვილო, მისიანებთან, გამოგართვათ და ამ გაქირებაში ხელი მოვიწოდოთ. შვილს სიცილადაც არ ეყო დედის წინადადება: — შენ-კი გაიხარე. დედი! ულვაშის ღერი კი არა, დღეს რუსთებელმწიფის ბეჭდის ვეკსილები უქირავსთ ხელში და იმაზე უარის თქმას ახერხებენ ახლანდელები! წავიდა ის დრო, დედი, ულვაშს რომ ძალა ჰქონდაო...

დედას, ძელებურათ გაზრდილს, ძელებური წესწყობილებისა და ზნეჩვეულებათა პატივისცემელს აღამიანს, ოღონდაც რომ ეწყინებოდა მამაკაცის ულვაშის პატივის აყრის მოსმენა, მაგრამ რალას იქდა!..

ამის შემდეგაც გაიარა ორმა თუ სამმა წელიწადმა. მღვდლის ჭკრივს უმეტესად გაუჭირდა, ქმრის ნასესხებ ფულის დაბრუნების სურვილი უმეტესადვე გაუცხოველდა და ისევე ეუბნება თავისებურად მოაზროვნე შვილს: წაყრდეთ, შვილო, მამიშენის სულის ცხოვრებასა. ბუჯიაშვილებთან, იქნებ დავკვიბრუნო ჩვენი ფულიო.

ბარემ ემძიმებოდა შვილს დედის თხოვნის ასრულება, მაგრამ ბათრი ვერ გაუტეხა. იქირავეს ცხენები, გავიდნენ

არაგვეში და დილას ნატახტარიდან გასულები სამხრობაზე უკვე ერწოში ავიდნენ. კითხვის-კითხვით მივიდნენ ბუჯიაშვილებს სახლში. ურთ-ერთი მოიკითხეს, მიცვალბულნი მოიგონეს. ძვირფას სტუმრებს შესაფერისად გაუმასპინძლდნენ, მიცვალბულთა შესანდობარი დალიეს, მათი მისადევარი აღვეგრძელეს...

ნასადილევს ალექსი მღვდლის ჭკრივმა დიდის მოზოდიშებით მოაგონა განსვენებული ქმრისა და განსვენებულივე ბუჯიაშვილის მეგობრობის ამბავი, სამი თუმნის სესხება, ულვაშის დატოვება... სურვილი ამ ვალის განაღდებისა...

სიცილით კი არ გაუცინიათ ბუჯიაშვილის მემკვიდრეთ, მაგრამ ფულის გადახდაზე-კი დიდის მოზოდიშებით ზრდილობიანი უარი უთხრეს; რუსული კანონის ხანდაზმულობაც კი აახეხეს, რაკი ოც წელიწადზე მეტი იყო გასული ფულის სესხების დღიდან...

მესამე მაგალითი.

ზემო სვანეთის სოფ. ლახამულას მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა თურმე გლეხი ბათირ დავითიანი. მეზობელთა შორის ბათირი შეძლებულად ითვებოდა და ვისაც ფული დასჭირდებოდა, იმასთან მიდიოდა სასესხებლად. მოსესხე უტოვებდა ულვაშის ღერს და ფულის პატრონიც დაარხინებული იყო: იცოდა, ფული არ დაეკარგებოდა. ბათირი რომ გარდაიცვალა, ცოლ-ქმრის შაკუ ანუ განძთა საცავი პატარა კოლოფი რომ გაუღიათ, უნახავთ მთელი ძულუჯა ულვაშის ღერობა, რომელთაც ყოველგვარ ფასი დაჰკარგოდათ. რადგან ჭკრივს არ შეეძლო დებიტორთა გამოცნობა და მათი ულვაშების რეალიზაცია, მით უფრო, რომ ამ ულვაშების პატრონი ზოგნი კიდევ ვარდაცოლილნი და ზოგნიც უფრო პრაქტიკულნი გამხდარან და ზედმეტად მიუჩნევიათ თავიანთი ვინაობის გამჟღავნება.

როგორცა ხედავთ, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი ამბები თავიანთის რეზულტატით ერთიმეორისაგან განსხვავდება, თუმცა არსებითად ერთისა და იმავე სახისანი არიან.

ულვაშის შეგინება იხ. ულვაშის შერცხვენა.

ულვაშის შერცხვენა პრ. ულვაშისათვის შესარცხვენი საქმის ჩადენა. ზვე.

სააუგრო საქმის ჩადენა, მამაკაცის შეუფერებელი საქციელი. შერ. ეუცხოებოდათ ქართველებსიანგან ისეთი საქციელი (ქურდობა): „ვინ ქართველი და ვინ ავაზაკობაო!“ ვაი შერცხვენილს, ვაი თავმოკრილს! მოგვეხადა ქუდი და შეგვერცხევა ულვაშიც იო! დასხვ. (აჰაჰ); შერ. მერე და მერე, შევაფურთხებ, წერა-ულვაში შევეურცხვინე და გულგაბოროტებულნი და გააცეცხლებული წამოვედი (ს. მგალობლიშვილი).

ულვაშიც იმათ ესნათ და ნამუხის ქულაც იმათ ეხურათ ჰრდ. ულვაშიანები იყვნენ და ქუდიც ეხურათ თავზე. სტვ. ზნეობადაცულები იყვნენ, პატროსნება მტკიცედ სწამდათ, ყოფა-ქცევის შემწიკვლას მათგან ვერ გაიგონებდით. ახ. ულვაში ნუ მსხმია; ნამუსის ქუდის ახდა.

ულვაშმოკრილი ჰრდ. ვისაც ულვაში ჩამოცილი აქვს მკრელი იარაღით. სტვ. შერცხვენილი, აუფიანი. შერ. ვაჟაკსა ულვაშგაკრეკილს ხატში წილი არ ერგება; დაცას მანდილოზილსა ნამუსიმც დეეკარგება (მთხვეური ლექსები). ახ. ულვაშის მოპარსევა ვისთვისც.

ულვაშოსანი ჰრდ. ვისაც ულვაში ასხია. სტვ. მამაკაცი. ვაჟაკი, გულადი, მამაკი, შერმართებელი. შერ. ულვაშოსანი ხარ, კაცად მოიქეცი (ხ. ანტონოვი). ახ. ულვაში ნუ მსხმია.

ულვაშშერცხვენილი ჰრდ. ვისაც ულვაში შერცხვენილი აქვს. სტვ. საჯაროდ გალანძლული. სააუგრო საქმის ჩამდენი. შერ. აძალღებულნი ფილუა ეშმაქურაშეილი ჩვენის ხელით ანწუხუნა ასაგები. ანწუხუნე! — დაიწყო კვლავ ცეცხლს ხმის თრთოლით და კბილების ღრქალით; — ის არაკაცი, ის ულვაშშერცხვენილი, არა! (ს. მგალობლიშვილი). ახ. ფუი, შენს ულვაშს!

ულვაშში ჩაფურთხება ჰრდ. ნერწყვის მოხვედრება ვისამე ულვაშისათვის. სტვ. შერცხვენა, უპატიოდ გახდომა, შეურაცხყოფა, გაქირღვა, უკადრისობის კადრება, საშინელი წყენინება. შერ. თავმომწონე კაცი ვიყავი. თუ ერთი-ორი ბიჭი იყო ჩვენს ხეობაში, მერე მათთან კაცი შერქვა და ქუდი მეხურა! ეხლა რაღა ვარ?! რეზიკომ

ულვაშში ჩამაფურთხა, ულვაშში შემიგინა... (ს. მგალობლიშვილი).

ულუფაში ქატო არ ამირიოს ჰრდ. კერძში ქატოს ვერ შემირეცხ. სტვ. ეერაფერს დაძაკებს, ეერაფერს მიზამს მტერი, ყურზე ხახვს ვერ დამაჭრის.

უმარილო ჰრდ. ვისაც ან რასაც მარილი აკლია. ან სულ არა აქვს. სტვ. უშნო, ულამაზო. შერ. ხოლოშანი — ქალი არ მოსწონს. ნუ გეწევიანება-კი და უმარილო არისო (ილ. ჰავკაიაშ). ახ. მარილი.

უმზრასად ყოფნა ჰრდ. როცა ვინმე ვისმე არ ელაპარაკება, ხმას არა სცემს. სტვ. მდურვა, წყრომა. ურთიერთობის შეწყვეტა. შერ. მას აქეთია რომის პაპი რომში ბრძანდება თავის სრა-სასახლეში. იტალიის მეფესთან უმძრასად არის და ქირვეულობს (ილ. ჰავკაიაშ).

უმზრახველობა ჰრდ. უბრაობა, ხმის გაუცემლობა, უპასუხობა. სტვ. მეგობრობის შეწყვეტა, მდურვა, შეჯავრება, მტრად გადაკიდება. შერ. ამაოდ ხდილობდა ბერო ყოველ წლივ საღმრთოსა და პატივობდა მეზობლებს. სამი წელიწადი ასე აბუებული ჰყავდათ. ძნელია სოფელში ასეთი ცხოვრება, ძნელი ასატანი. ძნელი იყო ერთად მეზობლი დაბერებულ ბეროსი და მის კბილის ხალხის ასეთი უზრახველობა (დვალელი).

სოფლად მეზობლები ერთმანეთს რომ წაეხსებებიან, შესწყვეტენ ერთმანეთთან ლაპარაკს, ზრახვის და ყოველსავე ურთიერთობას. მათს ასეთს მდგომარეობას ეძახიან უმზრახველობას ანუ უბრაობას. ბოლო ერთმანეთისათვის ხილსაუცემელ მეზობლებზე ამბობენ ბოლმე: უმზრახხად არიან ერთმანეთთანაო. თვით სიტყვა ზრახვეა გვიქვია ხოლმე უბრაობისა, ლაპარაკისათვის. ხანი გაივლის, წარსული უსიამოვნება დაევიწყდებათ. მეზობლები შუაში ჩაერევიან, დამდურებულებს, უმზრახველებს შეარიგებენ. ერთმანეთთან დალაპარაკებენ, ერთიმეორესთან დაამზრახებენ, ერთიმეორისათვის ხმას ვააცენიებენ, ერთიმეორისათვის სახლის შეკრულ კარებს აახსენიებენ. ახ. სახლის კარის შეკვრა თუ ახსნა.

უმტვერო თოვლივით თეთრი პრ. თეთრია, როგორც თოვლი, რომელსაც მტვერი არ მიჰკარებია. სვ. ზედმიწევნით თეთრი. მგლ. მოსარეცხემ საოვლები გაგვირეცხა ისე, რომ უმტვერო თოვლივით თეთრია, კაცი წუნს ვერასგზით დასდებს.

უმტკივნეულად პრ. რაც არ გამოიწვევს ფიზიკურ და სულიერ ტკივილს. ტანჯვა, წუხილს. სვ. რაც ნაპირობიანად თავდება, რასაც სამწუარო რამ შედეგი არ მოჰყვება. მგლ. ჩენი და მისი დავა უმტკივნეულად ვათავდა და, როგორც იყო, მოვისივინეთ ერთმან და მეორემაც.

უმძრახი წყალი პრ. ჯერ რომ არ ალაპარაკებულა. სვ. უმანკო, ხელშეუხებელი.

ხალის აზრით, როცა სოფელში ყველა დაიძინებს, მთელი დღე დინების შემდეგ, წალიც ისვენებს, იძინებს და დილაზე, სანამ აღამიანის ხმა არ შემოსენება, უმძრახად არის. წმინდად, უმანკოდ. ახალწულიწადს დილაღრიან გლეხი (მეკვლე) ცდილობს სახლში „უმძრახი წყალი“ შემოიტანოს, — სიკეთე მოჰყვებაო.

უნაფქოდ ყოფნა პრ. უფქვილოდ ყოფნა. სვ. სიკარიგლე თავისა. უჭკუობა, უარაფრობა. შრ. ჰო, რა იყო? უნაფქოდ ხომ არა ხართ? რა ფრთები ჩამოგვიყრა დასეტყვილ ყვაივიეთით? რა მონდა? (აქვს. ცაგარელი); შრ. გამოცდილებაზე დიდი სწავლა ქვეყანაზე არ არის! ეხლა ვებდავ, რომ ძალიან ტუტუცი ვყოფილვარ! ძალიან უნაფქოთა ვბრძანებულვარ აი, აქა! (შებლზე ირაქუნებს) (აქვს. ცაგარელი).

სოფლად გლეხაკის სახლში ყველაზე ნიტი გასაპირი მაშინაა ხოლმე, როცა პურის გამოსაცხობი ფქვილი ანუ ნათქვე არა აქვთ. ამიტომ ნაკლულეკანების სინონიმად ურქვილობა, უნაფქობა იყო გამხდარი. აქედანვე, მიმსგავსებით. უქკუობაზე, გონებრივ ჩამორჩენილობაზე იდაც სიტყვა უნაფქობასა ხმარობენ.

უნახავი პრ. ვისაც არაფერი უნახავს. სვ. უიცი, გამოუცდილი, ხამი. შრ. უნახავმა რა ნახაო? — ცხრა მთა გადალახაო... (ხალსური ანდახა).

უნდომი პრ. რაც არ გინდა, რაც არა გსურს. სვ. უსიამოვნო. შრ. რად

სტირი და ან რა იქნა შენი უნდომი? (ქაიხოსრო).

უმირული პრ. ვისაც პირი არა აქვს. სვ. პირობის გაშტეხა, პირობის არშემსრულებლობა, უპატიოსნო, გაუტანელი, მერყევი, უდეგარი, ცრუ. შრ. ე, რალა საკითხავი ვარ მე, ცრუ და უპირული! შენთან შეერცხვი, თავს ლაფი დავისხი და რალა პირით მოვლდე შენთანაო! (თ. რახიკაშვილი).

უპურ-მარილო პრ. ვინც პურსა და მარილს არ იძლევა, ან ვინც პურისა და მარილის დაფასება არ იცის. სვ. ვინც პატივისცემისა და ამაგის დაფასება არ იცის. ახ. პურმარილიანი.

ურთას მიხტომა პრ. ურთას მთის წინააღმდეგ ამხედრება. სვ. ყძლეველ სიძნელის გადალახვის მონდომება.

ურთა — სახელია სამეგრელოს ერთი მთისა, სოფ. სეთას ზემოდან. ამ მთის თავზე ერთი დიდი, მოყანავე ქვის ლოდი ძვეს. საქმარისია, ხელით ოდნავ შეეხობ, რომ შეტოკდეს, მაგრამ საბოლოოდ მისი გადაგდება, ადგილის ცვლევინება ერთ კაცს ხელით არ შეუძლია. აქ საერთოდ ამოდიან მწყემსები და ბევრ მათგანს უიღია მისი გადაგორება და დასჯაჯაურებია კიდევაც, მაგრამ ამოდ. ამნაირ ცდას — „ურთას მიხტომას“ ეძახიან. და გადატანითად ხმარობენ იმ შემთხვევაში, როცა მოექიდებიან ისეთ კაცს, ვინა საქმეს, რომლის ძლევა მათს ძალღონეს აღემატება.

ურმითა სდევს საქმეს პრ. ურემზე ზის და ისე მისდევს გასაცეთებელ რასამე. სვ. ნელა, აუჩქარებლივ. მაგრამ საფუძვლიანად უყვარს საქმის გაკეთება.

ქართული, ორთავალა ურემი, ისიც თუ კამჩებია შიგ შებმული, მოძრახობის, ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლის, ადგილის შეცვლის ნელ საშუალებად ითვლება.

ურწმუნო თომა პრ. ვისაც არაფერი არა სწამს. სვ. კაცი, რომელიც ადვილად არაფერს დაიჯერებს, სანამ დასაჯერებელი ამბის უტუფარ საბუთს არ დაინახავს. შრ. პოლიციის ბოქაულმა დაიარა დასეტყვილი სოფლები, ნახა თავის თვალთ მათი უბედურება და ამანაც შესაფერი მოხსენება მიართვა თავის უფროსებს.

ამ ამბობმა ჩვენებურ ურწმუნო
თომებზედა (კი მოახდინა თავი-
ანთი გაეღვინა (ნ. ლოზოური); შტ. ბო-
ლო ნან (თომან) ჰრქვა მათ (მოცი-
ეულებს); უყეთუ არა ეიზილო ხელთა
მისთა საი იგი სამსვეალთა და დაფ-
ჰსნე თითინ ჩენნი აღვილსა მას სამ-
სვეალთასა და დაქედდა ხელი
ჩენი გვერდსა მისსა, არა სადა
მჰრწმენ ეს (იოანე).

თანამბად „საბარებისა“, შევდრე-
თით აღვგომილი იესო ქრისტე რომ
ნიილეს მისმა მოწოდებმა, ერთ თორ-
მეტთავანს, თომას, უთხრეს ეს ამბავი.
იმან არ ირწმუნა მათი ნათქვამი და
უთარა: სანამ ჩემის თვალით არ დაეი-
ნახე მის ტანზე ნალურსმ აღვილებს
და ხელს არ მოეუსჯამ, მანამდე არ და-
ვიჯერებო. აქედან ურწმუნო თომა გეიქ-
ვია იუთის თვის, ღინც არაფერს
იჯერება, სანამ თავის თვალთ არ ნა-
ხავს რასმე და არ დაჰრწმუნდება, რომ
ის მართლა არსებობს.

უსახელო ჰრ. რასაც სახელი არა აქვს.
სტვ. ეშმაკი, საშში. შტ. შეჭედა,
მგელს მოუტაცნია ერთი უსახე-
ლო, ეშმაკის პატარა შვილი, უში-
რავს პარში და მიაჩნებინებს (თ. რა-
ხიკაშვილი).

უსახელო აქ ნახმარია რო-
გორკ ხედვითი სახელი ეშმაკისა, ყო-
ველივე, რაც მანერ და მახარალეულია
ადამიანისა, როგორც მაგალითად: მგე-
ლი, დათვი, გველი, კიანჭველა (ბუ-
შუმი სკიის გამოხრდის დროს). ეშმა-
კი და სხვ. და სხვ. თვისი ნამდვილის
და პირდაპირის სახელით არ იხსენე-
ბოდა, რადგან სწამდათ, რომ ერთ-ერთი
მთავანი ძსენებისთანავე ვაჩნდებოდა
და დაზარალებდა მანებლებს. ეს
არის ერთგვარი ნაქრძალი, ტაბუ, რომ-
ლის ძალა ღრმად სწამდათ ჩვენში და
ამ ნაქრძალის თანახმად მოქცევა სა-
ვალდებულოდ მიაჩნდათ.

უსახური ჰრ. ვისაც სახე არა აქვს.
სტვ. სახიარო, უშვირი, მიტად უშ-
ნო, უგლიმი, უგვანი, აღმამუთებე-
ლი. მგლ. მეტად უსახური ადამი-
ანია, კაცს გული არ მიგვია, რამე
სთხოვო.

უსისხლოდ ჰრ. სისხლის დაუღერელად.
სტვ. უბრძოლველად, უომად. შტ. საბერძნეთი იძახის დღეს და იგი,
კაცით, ფულით, ქონებით — ილევა,

ყელამდი ვალში შედის და ამბობს:
უსისხლოდ ვერ ავიტან ბოლგა-
რისს გასლოიერებასაო (ილ. ჰაგვათაე).
უსულოდ დება ჰრ. უსულოდ გართობა
თახედზე. სტვ. უსიცილო, სულ-
უდგელი, მკვდარი. სტვ. უსულო-
და დღეს, სიტყვასის ნიშანწყალი
არა აქვს. იმ. სულ.

უსუნა (ალარის) ჰრ. იყნოსა. სტვ.
ნიითვისა ის, რაც არ ერგებოდა;
ონდა გააკეთა გასაკეთებელი. შტ. იმ
უბედურებაზედ ია გარემოებად
დავითო, რომ ლეენის მონადგილ
უფოსმა ნიჭიერმა სონებმა კიდევ
უსუნა მისს (ყაზარა) დახლს და
მადიანდაც უსუნა (გლანია).

უსურვაზების მოქერა ჰრ. გარეული
ვასის ტოტებით ცაგარდ შეყვრა. სტვ.
ძალზე გავირება საქმისა, ბნის თ-
უცემლობა, შეპყრობა, გზის შიკვრა,
ხელში ჩაგდება, ყოველისავე ინიცი-
ატივის წართევვა. შტ. დიახ. ცომა-
დათა ლაპარაკათ, თქვენ ნუ მომი-
კვლებით!.. ძრიელ ნათლად!.. ახლა
კი მომიქირა უსურვაზები!..
(ო. ერისთავი).

უსურვაზივით გადაბმა ჰრ. უსურვა-
ზივით შეყვრა. სტვ. მკიდროდ გა-
დაბმა, ჩაგრეია, შექსოვა, მოხივევა.
შტ. თუნდა ეგეც არ იყოს, ის კი
ცოტაა, რომ ბშირად სოფლის მო-
ხელე და მახრის უფროსი ერთმა-
ნეთს ხელსა მბანენ. უთმანეთა გა-
დაეებმიან ბოლმე უსურვაზი-
ვითა (ილ. ჰაგვათაე; შტ. რა დანიხა
(რამინ), სიხარულით აჩქარებულთ
ქვე ჩამოვდა (ვისი) და ერთმანეთსა
მოეხივივნეს, ვითა უსურვაზ-
ნი (კისობიანი); შტ. გოგო, ყელში
ჩაგვცარიხე უსურვაზის წნე-
ლივითა (ხალხური ლექსი).

უსურვაზი ანუ გარეული ვაზი —
საუყვესო მასალაა, ბაჭრის მაგიერ
სახმარებელი სოფელში. თითქმის ბაჭ-
რებით დრეკალია და მკიდროდ შეყარის,
რისთვისაც კი საქროა. ამას ამტი-
ციებს ზემოთმოყვანილი ხალხური ლექ-
სიცა.

უსურმაჯი ჰრ. ურჯული, ურწმუნო.
სტვ. მტარვალი, უღმობელი, ბორო-
ტი, გულქვა, შეფრალებილი, დაუწ-
ლობელი. შტ. ვასარჯენით! არ მი-
ვეცეს ხატთ საბატრონო უსჯულოს
ხელში! თუ შემოვლენ უსურმაჯე-

ბი, მოხლიან მანდილს ჩვენთა დი-
აცთა, ქალთ ტალეარს ვაეთ ჩავეც-
მევენ (მ. ბარნოვი).

საშუალო საუკუნეებში და შემდეგაც
ყველა ხალხი, ვისაც კი ამა თუ იმ მოძ-
ვლების მკათილო ჩამოყალიბებული
სარწმუნოება ჰქონდა, თავის თავსა და
თავის თანამორწმუნეთ სჯულისა ეძაბ-
და, ხოლო სხვა სჯულისა და სარწმუ-
ნოების ხალხს — სჯულის გარეგანს,
ურწმუნოს, უღმერთოს, უსჯულოს.
კერძოდ ქართველნი, საქართველოში
ქრისტიანობის შემოღებიდან, მართო
ქრისტეს მორწმუნეთ სთვლიდნენ
ნართლმორწმუნებად, ქეშმარიტ სჯუ-
ლის აღმსარებლებად, ხოლო არაქრის-
ტიანეთ, ისრაელთ და განსაკუთრებით
სპარსთ, თათართ, ოსმალთ, საერათოდ
მაჰმადიანთ, უსურმაგებს უწოდებ-
დნენ. უსურმაგი ანუ უღმერთო და ურ-
წმუნო განსახიერება იყო უაღრესის
მტარვლობისა, ადამიანის სისხლმო-
წყურებლობისა, ბოროტებისა, გულ-
ქვაობისა, უღმობლობისა და შეუბრა-
ლებლობისა. და მართლაც, დღეს
ქართლში უსურმაგი ეწოდება ყველა
გულქვა და შეუბრალებელ ადამიანს.

ქართული უსურმაგი იგივე უნდა
იყოს, რაც რუსული ბასურმანი ანუ
ბუსურმანია, ან არაბული მუსულმანია,
რომელიც აღნიშნავს მაჰმადიანის და
საერთოდ არაქრისტიანის სახელწოდებ-
ას და რომელიც დამკინებელ სიტყ-
ვად ითვლება.

უსუსური ბავშვია ჰრ. სულ ნორჩი ბავ-
შვია. სვ. სუსტი, უძლური, არაფე-
რი გაეგება, არაფერი მოეთხოვება,
დიდი აზროვნება არა აქვს. შრ.
ტყუილად კი არა სწერდით ხოლმე,
რომ ჩვენი ეურნალი ჯერ უსუსუ-
რი ბავშვია, აზრს ნუ მოსთხოვო
(ილ. კავკავაძე).

უტარო დანასებ დაიკარგა ჰრ. ტარ-
მოტეხილ დანის მსგავსად გაუჭინარ-
და. სვ. უქველოდ დაიკარგა, მისი
პოვნა შეუძლებელია. მგლ. ჩვენი მე-
გობარი უტარო დანასებ და-
გვექარგა. ვის არა ვკითხეთ მისი
აშბავი, მაგრამ ვერავინ გვითხრა მი-
სი ისაველ-დასავალი.

უტარო ცულია ჰრ. ისეთი ცულია, რო-
მელსაც ხელის მოსაკიდებელი ტარი
არ უტვია. სვ. უშმარი, გამოუსადე-
გარი, ყოველ ღირსებას მოკლებული.

უტკივარი ლუქმის ჰამა ჰრ. უმტკიე-
ნეულო ლუქმის ჰამა. სვ. პატიოსა-
ნის, უყვედრელის შრომით თავის
რჩენა. შრ. როგორ თუ რა ჰქნა..
განსარჯე და იჩინე თავიო. მე-კი
თითებიდან ზეთი და ერბო მწვეთდა
თუ ვირჯებოდი და უტკივარ
ლუქმას ვქამდიო (ილ. კავკავაძე).

უტვირო ჰრ. ტვინს მოკლებული. სვ.
უქყო, სულელი. მგლ. ბატონი უტ-
ვინოა, შნო არაფრისა აქვს.

უტუს ჯარი ჰრ. ჯარი, რომელსაც
მეთაურობდა უტუს. სვ. აჯანყებული
ხალხი, ამბოჯირებული.

უტუს (სახელია) მიქაეა — მეთაური
იყო 1857 წელს მემამულეების წინააღ-
მდეგ აჯანყებული მეგრული გლეხებისა.
თვითონ სოფ. ჯვარიდან იყო და იელო-
ბით მკვდელი. მის წინამძღოლობით
აჯანყებულ ხალხს დაერქვა უტუს ჯა-
რი. ამ სახელს ხატოვანად ეძახდნენ
ყველა უკმაყოფილო, პროტესტის გა-
მომხატველ, თავის უფლებათა პატივის-
ცემის მომთხოვნ კრებულს ადამიანთა.

უფერული ჰრ. რასაც სრულებით არა
აქვს ფერი. სვ. ბრწყინვას, ელვა-
რებას მოკლებული; ერთნაირი, ერთ-
გვარი. უსიცოცხლო, არაფრით სა-
ყურადღებო. შრ. რამდენი ერიღება
სოფელს, უფრო ხელმოკლე შეძლე-
ბითა, უფრო ღარიბი, და თავის
გასამართლებლად ის მოქყავს, რომ
სოფელი უფერულია; კაცო ვერ
გასძლებს, გასართობი არა არის-
რამ (ილ. კავკავაძე).

უფლის ნათლულია ის. ღვთის ნათ-
ლული.

უფოლადო ის. ფოლადიანი.

უფსკრულში ჩამსვა ჰრ. უფსკერო,
უძირო ადგილას ჩამსვა. სვ. დამ-
ლუპა, დამანელა, გამაობრა, გაქირე-
ბას პირში ჩაუგდო ჩემი თავი.

უფხო ჰრ. უძელო. სვ. მოკლებული
შნოს, უხარიანობას, მოძრაობას,
უმოქმედო. შრ. ხავსმოკიდებული
წარსული საქართველოსი კი, რომე-
ლიც ხსენებულ წერილებს საგანდა
აქვს. მიუნებებია სალექვად და სა-
ცხენელად იმისთანა გაზეთებისა-
თვის, როგორიც ჩვენი უბადრუკი,
უფხო და მკედარი „ივერიაა“ (ილ.
კავკავაძე).

უქახურება ჰრ. ქასურზე დანის პირს
გაუსევას და გამოუსევას. სვ. ელა-

მუნება, ელაქუტება მოსატყუებლად. შერ. მაგრამ ამ ახალგაზრდას შეურაცხყოფა ახალგაზრდობამ თავის-თავზედ რომ არ მიიღოს, მოხერხებულ იქნა აქტორი (ე. ი. შინაური მიმოხილველი) იქვე უქასურებს ამ უკანასკნელთ: ახალგაზრდობა ჩვენი იმედი, ჩვენი რწმუნობა (ილ. კაპაძე).

ქასურ არ მკრელი იარაღის პირის ასაწყობი ქვაა. უკვე გაღუსილ დანას ამ ქვას გაუსვანენ და გამოუსვამენ რამდენჯერმე ან გაუქასურებენ პირის ასაწყობად.

უქობოდ დაცლა ქიქისა პრ. ქიქის ისე გამოცლა, რომ შიგ ქობა არა რჩებოდეს ღვინისა. სვ. სულ დაცლა ქიქისა, ერთი წვეთის დაუტოვებლად. მგლ. ქორწილში თამადამ ისე გვასვა ღვინო, რომ ქობაც კი არ ჩავსვათ ვებინა ქიქებში. სულ უქობოდ, უქობოდო, გვიყვიროდა...

ქობა, ჩვეულებრივ. გვიქვია არშის ანუ ტანისამოსის კიდურისათვის. ხოლო ირონიულად, მინსგაესებით, ქობას ვეძახით სმის დროს ქიქის ძირში ჩარჩენილ ღვინოს, რომელიც კარგმა და თავმოყვარე ღვინის მსმელმა, თანახმად ქართული სუფრის წესისა, შიგ არ უნდა ჩატოვოს; ხოლო ვინც ჩატოვებს, თამადა ვალდებულია დააცლევინოს და ასე უთხრას: უქობოდ დასცალეო! ქართლში ამ ქობას ღვინოსი ქიქია-უქუდბედო პრ. ვინც უქუდბედოდ არის დარჩენილი. სვ. უბედო, საცოდავი, უიღბლო. ახ. ქუდბედი აქვს და ყოლილი.

უქუდოდ სიარული პრ. კაცს თავზე ქუდი არ ეხუროს და. ისე დადიოდეს. სვ. სასირცხვილო, საძრახ, სააუგო საქმის ჩადენა. შერ. თუში ვარ, მთაში გაზრდილი, მტერსაც არ დაუფარდები; უქუდოდ ქვეყნად არ ვივლი, კლდეზედაც ვადაყვარდები (ივ. ბუაჩაშვილი). ახ. ქუდმოხდილი.

ძველათ ქუდი იყო ემბლემა მამაკაცისა, ვაქცაქობისა, პატიოსნებისა, სინდისიანობისა, ისევე, როგორც უღვაშები. ქუდი განუმორებლად თავზე ეხურათ; ეხურათ გარეთ, ეხურათ გზაში, ხურათ შინა, ეხურათ ქამის დროს, და,

ფეხით გათელვა ჰრდ. ფეხით გასრისა, გაქუცტა, ზედ სიარული. სტყ. დამცირობა, ძალაობა, უსამართლოდ მოქცევა, დამორჩილება, მორიდება, წარტყვევება, შეზიზღება, აბუჩად აგდება. შერ. სასაცილოა, როცა ასეთი მწერლობა მძობასა და ერთობას ქადაგებს და იმავე დროს-კი ამავე მოძღვრებას ფეხქვეშა სთელავს (ნ. ზრნელი).

ძველათ, ფეხის დადგმა ვისამე თავზე გინა კისერზე დამონების ნიშანი იყო, ხოლო თავის ან კისრის შეშვება (იგულისხმება—ფეხის დასადგმელად)—მორჩილების ნიშნად ითვლებოდა.

ფეხით გაქვლვა ახ. ფეხით გათელვა. ფეხისა და ხელის გაწვდენა ჰრდ. სიერცეზე გაშვება სხულის კიდურებისა. სტყ. წაპოტინება ქონებისა, სახელისა, დიდებისა ან სხვა რისამე შეძენისათვის, მონდომება განდიდებისა, თავის ამალეებისა. შერ. აი საღამლი გაიწვდინა ფეხი და ხელი მაზრის მმართველობამ, რომ თითონ თავი აიმაღლოს, ხალხის თვალში ძირს დასცეს სოფლის მმართველობა და თავის ყურმოჭრილ ყმად გაიხადოს (ილ. ჰაჰაჰაჰა); შერ. აბა, შენი კენესამე, იმათ ფეხი საღ მოუწვდებათ თქვენამდინ! ელი-საბედოც ვითომ თავადიშვილის ცოლია და თქვენცა? (ილ. ჰაჰაჰაჰა).

ფეხის ადგმა ჰრდ. ფეხების ხმარების სწავლა ერთ ადგილიდან მეორეზე გადასასვლელად. სტყ. საქმიანობის დაწყების დასწავლა. შერ. არ ვიცი, რა მადლობა უნდა გადაუხადოს ქართველობამ იმ კაცთ, რომელთ მეოხებითაც ამ ბოლოს დროს ჩვენში გაძლიერდა სამუდამო ქართულის სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აიდგა კიდევ, რომ სისრულეში მოვიდეს (ილ. ჰაჰაჰაჰა); შერ. მაშასადამე, თუ კრიტიკას დღეს ჩვენში ფეხი არ აუდგამს, ამის მიზეზი სულ სხვა უნდა იყოს და არა იგი, რასაც იძახიან ზოგნი (ილ. ჰაჰაჰაჰა).

ფეხის ამოკვეთა ჰრდ. ფეხის ამოჭრა. სტყ. არგავლა საღმე ან ვისთანმე,

უნახაობა ვისიმე ან რომელიმე ადგილისა, მოსპობა, გაქარწყლება. შტ. დიდიკაცობის ქალ-როძლი ხომ, ძმავ საყვარელო. არ გვექარება. რახან პბეარევი, მათი ფეხი ძოლად ამოვეყვეთოთ (ვ. ბარნოვი); შტ. თავადი-შვილი, თუ გლეხი, ყველა მტრისათვის მენხია, ამათმა მტერმა ქართლიდან ამოიკვეთოს ფეხია... (ზ. ვროსიანი).

ფეხი — მოძრაობის. ადამიანის ადგილგადანაცვლების ორგანოა. მისი ამოკვეთა, ამოქრა საიდანმე გულისხმობს შესაძლებლობის წართმევას კვლავ გაიაროს იქ, საცა უკვე ერთხელ ყოფილა.

ფეხის არევა ჰრ. ფეხის შემლა, უწყს-რიგოდ გადადგმა. ზტვ. ბევრი სხვა-რასხვა ხალხის თავის მოყრა, ერთმანეთში არევა. შტ. მაგრამ აქ ფეხია არეული და ვერ შევსდებთ სმენას გულდასმით, ვერც თქმას გულახლდით. ცალკე გავიდეთ — გაიწვია ახორკი (ვ. ბარნოვი).

ფეხის (ან გზის) აქცევა ჰრ. პირდაპირ მიმართულებიდან განზე გადადგმა ფეხისა, ფეხის არიდება. ზტვ. საესეობა. სიმჭიდროვე, უსაფაგობა. შტ. მიდის, მიდის, კაცებო, რო უყუროთ ამ დღეთა და ამ ღამეთ ქიზიყის ოთხსავე კუთხიდან გაყიდული ძროხა ქალაქისაყენ, რო ფეხს ვერ აუქცევთ (დ. მახანავლი); შტ. ვაქცატი ბევრი დახოცა, მკვდარს ვერ აუქცევს ფეხსაო. შტ. იმოდენა ყრია (ოქრო), ფეხს ვერ აუქცევს კაცი (თ. რახიკაშვილი).

ფეხის აყოლა ახ. ფეხის ხმის აყოლა.

ფეხის აჩქარება ჰრ. ფეხის ჩქარა გადადგმა. ზტვ. მოქმედების აჩქარება, ნორმოების გაძლიერება. შტ. რომ ამგვარს მორიგებას ფეხი ააჩქარებინონ იქ, საცა ფეხი ადგმული აქვს კიდევ, როგორც კახეთში, და ფეხი ადგმევიწონ იქ, საცა უკერ ფეხი არ აუდგამს, საქაროა მთავრობამ ნება მიანიჭოს სახასო გლეხს (ილ. პავლევი).

ფეხის ბრუნება ჰრ. ფეხის მოტრიალება. ზტვ. სიძის მიერ ცოლის წამოყვანის შემდეგ პირველად დაბრუნება სიღდერ-სიმაზრისას. შტ. შენი სტუმარი ვარ მთელის ლაშქრით! ირანის დედოფალმა, შენმა დამ, ფეხი იბრუნა. იმედია, შესაფერად დაგვიხებდები პურადი მეფე (ვ. ბარნოვი).

ფეხის გადაბრუნება ჰრ. ქვევიდან ზევით მოქცევა ფეხის გულისა. ზტვ. მარცხი, უბედობა, წარუმატებლობა, დაბრკოლება. უცაბედობა, შეცდომა. შტ. შენც გლეხკაცი ხარ და მეცა... ოფლის ფასი ორივემ ვიცი, მაგრამ ფეხი უველას გადაუბრუნდება (ან. ვროსიანი-ხომტარი).

ფეხის გადადგმა ჰრ. ფეხის ნაბიჯის მოკლეა. ზტვ. სიარული. შტ. არც მამას და არც დედას შვილთან ფეხი აღარ დაუდგამთ, თუმცა ამ დროელათის პატრონები ეხლა დიდ გაჭირებაში იმყოფებოდნენ (მელანი); შტ. ჩენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაავადებინოთ (ილ. პავლევი).

ფეხის გადადგმა ჰრ. ფეხის იქით-აქით გაწევა. ზტვ. მაგრად დადგომა, საქმის მოგვარება, დამკვიდრება. შტ. ცოდნა უძლეველი ფასია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგვრებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წაიდევით, ჩვენი ეხლა დაუძლურებულნი დღონე ამოხეტქს მაგარ ფესებებს... (ილ. პავლევი); შტ. და შენ ხახე იქაურის ბალახის არევა და აშლა, თუ ჰაჯი მურადმა იქ ფეხი გადადგა და გაიმეგრა (გრ. ორბელიანი).

ფეხის გამოდგმა ჰრ. უკანიდან ფეხის შეტანა სხვის ლაჯებში ცალ ფეხში მოსაუღებად და ფეხის პატრონის წაქცევა. ზტვ. დაბრკოლება, ლალატი, ცულ დღეში ჩაყენება, წაქცევა. შტ. მეგობარი მეგობარ, და ის კი არა, ფეხები გამომდო და წამაქცია. ეს თქმა გულისხმობს მტრისა და სიავის მლომის მიერ მოპარვით, მოლალატურად, უკნიდან სხვის ფეხებში ფეხის ჩარკალვას ისე, რომ ფეხებს სწორე სიარული შეეშალოს, წაფორბილდეს კაცი და ძირს დაეცეს. ხატოვანად თქმა გვიჩვენებს ლალატს, მოწინააღმდეგის მიერ ხელის შეშლას რაიმე საქმეში, უსიამოვნობის მიყენებას, ქონებრივად თუ ზნეობრივად დაზარალებას.

ფეხის ვაქნევა ჰრ. ფეხის განძრევა. ზტვ. ამოძრავება, სიარული. შტ. მაიას ღამე არსად გასტყულოში არც შიმშილის, არც სიხარულისაგან. ისე

ლაუძინებია, რომ თუნდა ზარბაზანიც დასცალოთ მის ყურის ძირში, ფეხს არ გააქნევს (ს. მგალობლი-შვილი).

ფეხის გაყოფა ჰრ. გაჩერებული ფეხის ამოძრავება. სტვ. ავკაცობის დაწყება, ბოროტების ჩადენის შედეგმა. შტრ. ეხლა, თუ ფეხი გააჭო ისაკამა, ისევე აღრიხდელი დაუ (ჟული) დაგვადგება. და თუ გააჭო ფეხსა — ისევე, შვილოსა, ჩვენი უხეირობის ბრალი იქნება (ს. მგალობლი-შვილი).

ფეხის გულეზის დაკოცნა (ვისთვისზე) ჰრ. კოცნა, ტუჩების მიკარება ვისიმე ფეხის გულეზისათვის. სტვ. მორჩილება, მოფერება, თავის დამდაბლება. შტრ. ჯერ ეხამუშება გათხოვება. შეგვიჩვევა, მოიტხინებს, გვი მოზეგრავით თავში იწვეს, მოიცადე, სულ ფეხის გულეზს დაგვიკოცნისო (ფგნ. მენთავაშვილი).

ფეხის დაბიჯება ჰრ. ფეხის დადგმა რაზედმე. სტვ. უღიერად მოპყრობა, არაფრად ჩაგდება. შტრ. მაგრამ ამ წმინდა ჩიულებას შებატონებმა (სამეგრელოში), დიდი ხანია, ფეხი დაბიჯეს, უგულვებელ ჰყვეს, ხოლო ნაომეგვს მათმა სისასტრეემ ყოველსავე სახლვარს გადააცილა (ზ. ბარნოვი).

ფეხის დაკვრა ჰრ. ფეხის დარტყმა ზევიდან. სტვ. გასაქცევად მომზადება. შტრ. მოდი, კიდევ ვეთამაშები, იქნება ღმერთმა ახლა ჩემსკენ გადმოიხედოს და მოვიგო! თუ წავაგებ და — დავეკრავ ფეხს და გავიქცევი, საღ მიმოვიხ ბრმა დღეივო? (თ. ხიკავაშვილი); შტრ. იქნებიან ერთი-თხუთმეტი წელიწადი, მერე იტყვიან: „უკაცრავად, თქვენთან დანაშაული მაქვსო“, დაჰკრენ ფეხსა და წავლენ (ილ. პაპავაძე).

ფეხის დაცდენა ჰრ. ფეხის მოუხვედრელობა გზისათვის. სტვ. უსწორმასწოროდ სიარული, მარცხი, უკან ჩამორჩენა. შტრ. ეტყობოდა, ისეთი საქციკოები ახალი ცდა არ იყო ამისათვის. ბევრჯელ ევარჯიშნა ამგვარად და ამ ვარჯიშში ჯერ ფეხი არ დასცდენოდა (ან. ერისთავი-შობტარია).

ჩვენი ფეხი სიარულის დროს თუ სწორად არ ხედება გზას, ჩვენი სვლა შეზრკოლებულია და წინსვლა შეფერ-

ხებული. ფეხის დაცდენა ხატოვანად კიდევ იმიტომ გამოხატავს მარცხს, რაიმე საქმეში ხელის მოცარვას, წაგებას, სხევის უკან ჩამორჩენას.

ფეხის დაქერა (ვიზედმე ან რაზედმე) ჰრ. ფეხის მაგრად დადგმა ვიზედმე ან რაზედმე. სტვ. გაქარებისა და იწროების მიყენება; ნათქვამზე დადგომა, გადაუთქმელობა; იძულება. შტრ. ქალის. დედ-მამა ცოტა ნაკლებად ცხოვრობდნენ და, როგორც ახლაც იციან, ფეხი დააქირეს, — წლულუდ დრო არა გვაქვს, ვერ ვაბთხოვებთო (თ. რახიშვილი); შტრ. არავის არ დააქერს ფეხს, მაგრამ არც თვითონ გაეთვლინება (აკაი); შტრ. თანაც ხმა დაუყრიათ, ისე იხევეზოდნენ ცალყურანთ, რომ თუ ფეხი დაეჭირებინა, თვითონ მოგვიტანდნენ საქორწილოსაო (ვ. ბარნოვი).

როცა ვისმე ან რასმე ფეხს ვაღამთ და თან ვცდილობთ მაგრად დავაჭიროთ, ამით ჯერ ეს ერთი — ვტკენთ და მეორეც ისა, რომ ვიმორჩილებთ, ვაიძულებთ არსად წავივიოდეს, ჩვენს ნებაზე გაიაროს, ჩვენს ვანკარგულებაში იმყოფებოდეს. ფეხის დაქერა აგრეთვე, როცა ვინმე რასმე ჰყიდის და ერთხელვე ნათქვამს ფასს არ უტყდება. ფეხის დაქერა გვიქვია, როცა აზრს რასმე გამოვსთქვამთ და რაკი ერთი ვსთქვიოთ, არ გადაუხვევთ, გვინდა ჩვენი ნათქვამი გაიყვანოთ, მსმენელმა ჰუმეორიტებად ირწმუნოს, ჩვენ დაგვიჯეროს.

ფეხის ერთად გადადგმა ჰრ. ადგილის გამოცვლა ერთიმეორის უკან გადადგმით. სტვ. ერთად კეთება საქმისა, მეგობრობა, ურთერთის დახმარება. შტრ. აესტრია მიეკედლა თითქმის ინგლისის და ინგლისმაც თითქმის გულში ჩაიყრა. ან რა დასაჯერებელი იყო ამ ცოტა ხნის წინად, რომ იტალია და აესტრია სადმე ფეხს ერთად გადასდგამდნენ? (ილ. პაპავაძე).

ფეხის მიწვდენა (ვისა ან რისადმე) ჰრ. მიახლოება, გვერდით ამოღობა. სტვ. დატოლება, ვისთანმე დადარება, ვისიმე ღირსების მიკუთვნება. შტრ. აბა, შენი ქირიმე, იმათ ფეხი საღ მიუწვდებათ თქვენამდინ? (ილ. პაპავაძე).

ფეხის მოკიდება პრ. ფეხით შეხება, ფეხის დადგმა, ფეხის დაკარება. ჭკვ. დაწყება და მკვიდრებისა, განმტკიცებისა, მომაგრება. ცხოვრება. შერ. ეს ერთისავე და იმავე პირობის შემთხვევად განმეორება წლიდამ წლობით ღიდისხნის განმავლობაში ხალხის სულსა და ხორცში ფეხს იკიდებდა და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მართლა ჩვეულებად შეიქმნა (ილ. ჰავაჰაჰე); შერ. არა ჰქონდეს სახლსამყოფი, ფეხი ვერსად მოეკიდოს (დ. ფურაიშვილი).

ფეხის მომაგრება პრ. ფეხის მაგრად დადგმა სადმე. ჭკვ. განმტკიცება, მკვიდრად გაკეთება საქმისა, მკვიდრად დადგმა ბინისა, დასახლკარება. შერ. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზედმოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში (ილ. ჰავაჰაჰე); შერ. მით უფრო ადვილად განხორციელდა ეს სურვილი, რომ შემარწმუნებელი მტერი თავისთავად უჭკუიწვედა, მიეშურებოდა დიდ ციხეებში-საქენს, რომ ფეხი მრთემაგრებინა იქ და გონს მოსულიყო (ბ. ბარნოვი).

ფეხის მოსაკიდებელი პრ. ფეხის დასაბლაუქებელი, ფეხის დასადგმელი. ჭკვ. დასამკვიდრებელი, განსამტკიცებელი, დასაყრდომი, საცხოვრებელი. შერ. ეს გრძელი სიტყვა ფულის საზოგადო მნიშვნელობაზედ ინიტომ გავაბით, რომ ჩვენის მსჯელობისათვის ფეხის მოსაკიდებელი საფეხი ავეყინა (ილ. ჰავაჰაჰე).

ფეხის მოსხლომა პრ. ადგილცვლა გლუვ ზედაპირზე დასურებით. ჭკვ. ფეხმოუკიდებლად გაელა; ნაკვალავის დაუჩვენელობა, მარცხი, დაშვება. შერ. გარტინგტონმა ერთს კრებაზედ გამოაცხადა კიდევ, რომ თუ ვინი გამოა გოიდსტონს ფეხი მოუსხლტა, მე ჩემის მეგობრებით (ჩამბერლენით და სალუსბერით) ვიკისრებ სამინისტროს შედგენასაო (ილ. ჰავაჰაჰე).

ფეხის მოტეხა პრ. ფეხის მომსხვერვა. ჭკვ. დაბრკოლება; დამარცხება, დაზარალება; დაზიანება; შემცირება. შერ. მაგრამ სადა მქონდა კუთა და მოტყარება! რატომ ფეხი არ მომტყარდა, როცა ჩემი ნაოსტატარის ღუქნიდან ფეხი გამოვდგი სხვაგან

წასასვლელად!.. (მელანია); შერ. ალალოსი (მიხაკას) იზოდენა ვალი ემართა! მასთან მოჯამაგირედ უოფნაში ვალს არამც თუ ფეხი ვერ მოსტეხა, პირიქით, კიდევ გადიდა იგი ვალი (მელანია).

თუ მოვახერხებთ და ჩვენს მტერსა და მოწინააღმდეგეს ცალი ფეხი მოვტეხებთ, თავის საშველად გაქცევა არ შეუძლია, დასუსტებულია და ჩვენთვის უფრო ადვილია მისი მოჩვენა, ან როცა ვისიმე ვალის თუნდ მცირედს ნაწილს გადავიხდით, ამით გავიადივლებთ ამ ვალის საბოლოოდ გადახდას და შეგვიძლია ესთქვათ: ვალს ფეხი მოვტეხეთ! იგივე თქმა მიუღდება რაიმე ძნელად გასაკეთებელ საქმესაც. თუ მოვახერხებთ და ნაწილობრივად გავაკეთებთ ეს ძნელი საქმე, ვიტყვით: ფეხი მოვტეხეთ.

ფეხის მოუცვლელობა პრ. გადაუდგმელობა ფეხისა მანძილის გასაველად. ჭკვ. გაჩერება, უმოძრაობა, სადმე წაუსვლელობა; ნათქვამის გადაუთქმელობა. რაიმე სავაქროზე ერთი ფესის თქმა და იმის დაუქვლელობა. შერ. თუ ძმა ხარ, ხუმრობა არ არისო, ნიკომ შემოგთავალა, შენმა ძმამ, ძმა რა ეშმაქსა და ქაჯსა ჰქვიან, მანდ იყა, ფეხი არ მოიცვალეო... (თ. რაზიკაშვილთან მიწერილ წერილს).

ფეხის მტვერი პრ. მიწა მეტად წმინდა ფეხნილად ქცეული და ფეხზე მიკრული. ჭკვ. მონა, მოსამსახურე; გადასაგდები, მოსაშორებელი რამე, უღირსი შენახვისა; მორჩილი; უკანასკნელი, უღლი. შერ. ეს უკეთესი მოძღვრება რუსულის ლიტერატურისა ხსენებულის წერილის ავტორს როგორღაც დაეიწყებია და ისეთის თავსაცილოთ იხსენებს ქართულს ლიტერატურას, თითქო იმის ფეხის მტვერი იყოს (ილ. ჰავაჰაჰე); შერ. როგორც იყოს, საქმე გაუთავე, იქნაიზი, შენ სიტყვას ყოველთვის გაიგონებს, ოღონდ უშველე რამე, აგრემც კირს მოგქამ და იხარებს შენი კარგი ცოლმეილი და შენი ფეხთა მტვერი გახდება! (მელანია); შერ. დაიპყარ ყოველი ქვეყანა, შეგვექნეს ფეხთა მტვერი ა (მეშახვი).

ფეხის მტვერის ლოკვა (ვისიმე) პრ. ენის მოსმა ვისიმე ფეხზე მიკრულ მტვერისათვის. ჭკვ. თავის დამცირება, უღირ-

სება, თავის შებრალება, თხოვნა. შერ. სასოწარკვეთილებით (პეპომ) თავის თავს დაუწყო ლაპარაკი: წადი, პეპო, მიწა ალოკე, ხალხს ფეხები დაუკოცნე, იმპო ფეხის მტკერი ალოკე (აქვს. ცაგარელი).

ფეხის ნატურფალი იხ. ფეხის მტკერი ი.
ფეხის შემოდგმა (საღმე) ჰრ. ფეხის შემობიგება საღმე, რომელსავე ადგილას. სკვ. შემოსვლა. შერ. მამ შეკოცხალი აღარ ვიქნები, თუ ნატურისთვალა, თუ ვილაცა ვირის ფეხებია, ჩემს სახლში ფეხს შემოსდგამს, გაიწაწანებს, — ჯავრობდა ნატალო (ე. ყარაზანიძე).

ფეხის ჩაქრფა ჰრ. ფეხების ძირს დაშეება. სკვ. გაჩრება, მოსვენება, უმოძრაობა. შერ. თამარს. რაც მუღდაბნოე აროსს გამოეჭკა, ფეხი არ ჩაუქრფეთა (შ. არაგვისიური); შერ. ხარაბთან შეგირდობა მერჩივნა მკედელთან შეგირდობასაო. მთელი დღე ჩემი არ ჩაიხრება — სულ ფეხზე ვდგავარ. საბერეელას ვუბერაე და კვერსა ვცემო ანაი); შერ. მეორე მოსამახურე — ჩვენ კი გულხელდაკრეფილები ვსხედვართ თუ? ვერ უყურებთ, — მთელი დღეა, ფეხი არ ჩაგვიკრფეთა (ილ. პავკვაძე).

ფეხის წამორძიება ჰრ. ფეხის მცდარად გადადგმა. სკვ. შებრალება საქმისა, მარცხი. ხელის შეშლა. შერ. კარგი ერთი, მამა ვიცხონდა, დანებე თავი მაგდენ ბოლიშებსა და სინანულს! ვის არ მოსვლია საფრთხე და არ წაბორძიკებია ფეხი! (გელანია); შერ. კარგია, თუ კაცს საწუთრო გრძალად საქმეს დააუციდესა, წაუბორძიკოს არ ფეხი, გზასა რომელსაც ველიდესა (დ. გურამიშვილი).

ფეხის (ხალხისა) მიწყლომა იხ. ფეხის ხმის მიწყლომა.

ფეხის წამოკვრა ჰრ. რაიმე საბრაკომისათვის ფეხის შებრა. სკვ. შებრაკოლება საქმისა, მარცხისა და მარათვა, სიძნელე. შერ. წინაკაცსა უკან მღმდევარი იმისთვის უყურებს, რომ ვინიბობაა, წინამ ფეხი წამოჭკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და ამ გზას შორს მოუაროს (ილ. პავკვაძე).

ფეხის წატეხვა იხ. ფეხის წამოკვრა. **ფეხის ხმის აყოლა ჰრ.** წინა კაცის

მიყოლა. სკვ. სხვის მიბაძვით საქმის კეთება; კეთება იმისა, რაც არ შეგუფირის, რაც შენს ძალ-ღონეს აღმეტება. შერ. გუშინ რომ ბიბრობე გახალა კაქკაქი, ის ძერაც აქ მოაფრატუნებდა მხრებსა, ფეხის ხმას აჭყვა ისიც (ვაზა-ფშაქაია); შერ. და იგლოეს არც მალღოდან ნაბრძანებ ძალდატანებით, არც სხეების წამხედურობითა და ფეხის აყოლით (აკაი); შერ. სხვის ფეხის ხმას არ აჭყოლოდეს, სხვის ჩაძახილი არ ამოეძახოს და აქ მოსვლისავე უმაღსხვის გულისთქმა მხეში არ გაბმულიყოს (ილ. პავკვაძე).

ფეხის ხმის მიწყლომა ჰრ. ფეხის ხმურობის მოსპობა. სკვ. ხალხის მიერ სიარულის შეწყვეტა. შერ. მეიღანი და ქუჩა — თქვენი მეზობლები არიან და ხალხიც აუარებელი დადის. ძლივს მისწყდა ფეხის ხმა და წამოველ (რ. ეროსთავი); შერ. მამ ვინ აცხოვრებს? — ქვეყანა. იმ გზაზედ ხალხის ფეხი არ მისწყდება, ამველელ-ჩამველი არ დაიღევა: ერთი ღეთის კაცი იქნება ვინმე და მიუღებს ორიოდ ლუკმა პურსა (ილ. პავკვაძე).

ფეხი უკანა რჩება იხ. ფეხი უკან უღდება.

ფეხი უკან უღდება ჰრ. ფეხი უკან ჩერდება, ფეხები წინ არ მიდის. სკვ. სიარული აღარ უნდათ, ძალიან დაღლილები არიან, დარჩობა უნდათ. შერ. ბევრს ახალგაზრდა, დასანიშნ ბიქს ასტოკებათა გული, შავებში მოველვარე ნატურისთვალას პირისახე რო დაუნახავსთ, მაგრამ იმ ფიქრს, რომ ნატურისთვალას თან გერად ქალი მოჰყებოდან, ცივი წყალი გადაუხსამს მათთვის. ფეხი უღებობოდათ უკან (ე. ყარაზანიძე).

ფეხმართალი ჰრ. ვისაც მართალი ფეხები აქვს. სკვ. სწორფეხებიანი, არაკოქლი. შერ. ფეხმართალი ღმერთის შესწირე (ცხვარი). ბრმა და კოქლი გასწორდება! (პ. უშიაკიშვილი).

ფეხმოკიდებული ჰრ. ფეხებით დაბალუქებული რაზღმე. სკვ. დაშვერებული, განმტკიცებული, კარგად დაბინავეული. შერ. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხმოკიდებული ვართ, სხეებსათვით არ დავისაქსენით, არ გადაუ-

ცვივლით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძლით, გავუძლით და გადავარჩიოთ, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩია და დედამიწა — ერსა, — ეგ იმითომ, რომ ერთს ხელში ხვალს გვკვირია და მეორეში — გუთანი დასაბამიდანვე დღედ (ილ. ჰავაჰაჰე).

ფეხმოკლე ჰრდ. ვისაც მოკლე ფეხი აქვს. სვც. სუსტი, უძლური, ვისაც დიდი სიარული არ შეუძლია. შრ. ამ სახით. საპისსტრიქონის მანძილზედ ჩვენს მეცნიერს ლოლიკა ვერ მოკლე და დიდის ბაქი-ბუქით კი ლამის მთელს სამი ათას წლის მანძილზედ ვითარება საქართველოსი განსკვირვითს ამ ულონო და ფეხმოკლე ლოლიკითა (ილ. ჰავაჰაჰე). შრ. ტუილს მოკლე ფეხები აბიო (ხალხური ანდახა).

მოკლეფეხიანი, კაცი იქნება თუ ცხოველი, დიდ ნაბიჯს ვერ გადასდგამს. მაშასადამე, გრძელფეხებიანს, რომელიც თავის გრძელ ფეხების საფერ ნაბიჯებსა დგამს, მოკლეფეხებიანი სიარულში ვერ დაუტოვდება, ძალიან შორს ჩამორჩება; ან გაქცეულ მოკლეფეხიანს, თუ კაცი გამოედევნა, ძალიან მალე დაეწევა და დაიჭერს. აქედან, ფეხმოკლეობა იქცა სინონიმად ყოველგვარი ტუილისა თუ მცდარი აზრისა, რომლის მხილება და გამოაშკარაება ისე ადვილია ხოლმე.

ფეხმოკრეფილი ჯდომა ჰრდ. ფეხმოკრეცილად ჯდომა. სვც. ერთ ალაგას გაუნძრევლად ყოფნა, უსაქმურობა, სიზარმაცე. შრ. თორემ ეს-კი ფეხმოკრეფილი იჯდა (თადეოზ გერამიშვილი, ილ. ჰავაჰაჰის სიმამრი) საგურამოში (ივ. მანუერაშვილი).

ფეხმოპარვით ჰრდ. ფეხების მოპარვით. სვც. ჩემად, ქურდულად, ფარულად, იღუპალად. შგლ. ნიკო ისე ფეხმოპარვით შემოვიდა, რომ ვერავინ გაიგო. ახ. ფეხაქრეთით.

ფეხმოუცვლელად ჰრდ. ნაბიჯის გადაუდგმელად. სვც. სადმე წაუსვლელობა, შინ გაჩერება, ნათქვამის გადაუთქმელად. შრ. გლეხს იმითომ უჯდება მებატონებზედ იაფად (ღეწია), რომ თავის საქმეს თითონ დასტრიალებს ფეხმოუცვლელად და მებატონე კი მოჯამაგირის ანაბარად არისო უფრო ხშირად (ილ. ჰავაჰაჰე).

ფეხმსუბუქი ქალი ჰრდ. მსუბუქი ფეხების პატრონი ქალი. სვც. ზნედაუცველი, თავაშვებული. შგლ. ეს ქალი, უყატარად პასუხია, მერად ფეხმსუბუქი გახლავთ. ზნედაუცვლობის საქმეში დიდი ბოდიშების თავი არა აქვს.

ფეხმძიმე ჰრდ. მძიმე ფეხებიანი, მძიმედ დამამძიმებელი ფეხებისა. სვც. ნელა მოარჯული, მძიმედ მკეთებელი საქმისა, ზანტი, ლობი; ორსული ქალი. შრ. მიწათმოქმედება იმისთანა წარმოება, რომელიც ერთ ხანად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა, არამედ თანდათან და ფეხმძიმედ ზრდის შემოსავალს (ილ. ჰავაჰაჰე).

ფეხრბილი ჰრდ. ვისაც მკვრივი ფეხები არა აქვს, ვისაც რბილი ფეხები ასეხია. ვინც ადვილად დასაძრავია ადგილიდან. სვც. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. ახ. კალთამადლიანი.

ფეხქვეშიდან მიწის (ნიადაგის) გამოცლა ჰრდ. მიწაზე არდაყენება, ნიადაგზე ფეხების არდადგმეუნიება. სვც. დასაყენდობის დაკარგვა, უდაბნოაროდ, უხელისშეწყობოდ დარჩენა. შრ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაქლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მიხეულ-კი თან გვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვატლის, სახელს გაგვიტებს (ილ. ჰავაჰაჰე); შრ. ამ ამბავმა დააღონა გიორგი, რადგან იმის წასვლის შემდეგ ნიადაგი ეტლებოდა ფეხქვეშ და ისეე გაქიოებულ ყოფნა უნდა ჩავარდნილიყო კაცი (ვ. ბარნოვი).

ფეხქვეშ მოდება ჰრდ. ფეხებზე ქვეშიდან მიკრობა. სვც. დაბრკოლება, ხელის შეშლა, წინააღმდეგობა, შეწუხება. შრ. უწინ რომ შტკაველ მიწისათვის მეზობლებს ეტანებოდა და გულზე სკდებოდა, როცა სხვის წარმატება ესმოდა, ეხლა ყველა აპას ზურგი შეაქცია. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ცოტა ადგილი დაეჭირა საძმო სახლში, რომ უფრო მტკირედ შეეწინა თის, ფეხქვეშ არავის მოსდებოდა ძმის ოჯახში, არავინ შეეწუხებინა იქ (ვ. ბარნოვი).

ფეხშეშველა ცეცხლში ჩადგომა (ვისთვისმე) ჰრდ. შეშველ ფეხების გაჩერება ცეცხლში ვისთვისმე. სვც. ერთგულება, სხვისათვის თავის დაუზოგ-

ველობა, სხვის სასიამოვნოდ გაპირების განცდა. შგლ. შენი გულისათვის თუნდა ფეხშიველი ცეცხლში ჩაეგდებო.

ფეხჩაუღებლად პრ. ფეხების გაუჩერებლად. დაუჯდომლად. ჰგვ. განუწყვეტლივ, ერთთავად. შრ. ვაჟიდა თუ არა ძროხა საბალახოდ, მაშინვე კვინტრონი მორთო და სალამომდინ ფეხჩაუღებლად ღარბოდა (თ. რახიკაშვილი).

ფეხწამოსაკრავი პრ. რასაც ფეხი უნდა წამოაკრა. ჰგვ. საბრკოში, სახიფათო, მარცხის შემთხვევი. შგლ. ძალიანა ეფრთხილობ, მაგრამ ისეთი უბედურნი გზაა, რომ ფეხწამოსაკრავი არ დაეღვევა.

ფიალა მოთმინებისა აღივსო პრ. მოთმინების სასმისში მგეტი არ ჩაეტევა, გადმოედინება. ჰგვ. მგეტის მოთმენა არ შეიძლება; უღრტივევლად გაძლევს შეუძლებელია. შრ. ფიალა მოთმინებისა აივსო, უთხრა ერთხელ ზაქარამ თავის მოაზრებებსა, — უნდა გზიდან ჩამოვიცილოთ ბატონი ესტარე და მოურავი სოსიკა (ს. მგალობლიშვილი); შრ. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს აივსო ფიალა მოთმინებისა (ილ. ჰავკავაძე).

ფიალა მოთმინებისა პირთამდე მოყვარა იხ. ფიალა მოთმინებისა აღივსო.

ფიალი სიტკბოებისა პრ. სიტკბოებით სავსე ფიალა. ჰგვ. სავსება სიტკბოებისა, ბედნიერებისა, მზიარულებისა. შრ. ვინ სვა ბოლომდე ამ სოფლის სიტკბოებისა ფიალი? ვის არ უნახავს მის ბედის წაღმა-უქუღმა ტრიალი?.. (აკაკი).

ფიანდაზად გაშლა იხ. ფიანდაზად ფეხქვეშ გაგება.

ფიანდაზად დაგება იხ. ფიანდაზად ფეხქვეშ გაგება.

ფიანდაზად დაფენა პრ. ფიანდაზის მსგავსად დაფენა ფეხქვეშ. ჰგვ. დიდი პატრისცემა, მორჩილება, თავის დამდაბლება უმაღლესის წინაშე.

ფიანდაზი—ფირფისი ფარჩაა, რომელსაც მიწაზე უფეროდნენ დიდებულთ ზედ გასატარებლად. ჯვარის წერის დროს ნეჟედელთაფალს წინათ ფეხქვეშ ფარჩას რასმე დაუფერდნენ ხოლმე, რომელიც მერე დიაკვნასა რჩებოდა. **ფიანდაზად ფეხქვეშ გაგება პრ.** სიგრ-

ძებე გაშორტვა, ვისსამე ფეხქვეშ დაწოლა. ჰგვ. მორჩილების გამოცხადება, თავის დამდაბლება, სხვისი უპირატესობის (ცნობა; სხვისი სიამოვნების ცდა. შრ. თითქოს ყველა ახლო-მახლო ხანები ფიანდაზად ფეხქვეშ ეგებოდნენ ძლევაიმოსილს მეთვალა (ერეკლეს) და რუსეთიც იწვევდა საშველად ოსმალეთთან ომებში (ილ. ჰავკავაძე); შრ. არიან ჩვეყანაზედ იმისთანა ჯურის ფაღავნები, რომ რასაც დღეს მოსაკლავად სდევნენ, იმას ხვალ ფეხქვეშ გაეშლებიან ფიანდაზად (ილ. ჰავკავაძე).

ფიანდაზად ფეხქვეშ გაშლა იხ. ფიანდაზად ფეხქვეშ გაგება.

ფინაჩი პრ. ფეხსაცემლზე ნაქრების და მკერებელი. ჰგვ. ცუდი მოხელე, გინა საქმის რისამე ცუდად მკეთებელი.

ფირფიტა პრ. ფირფიტის მსგავსი. ჰგვ. თხელი და ვიწრო. შრ. უფროსის (ძმის) სახე არ იყო ძალიან მარტივანი; იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წერილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი... (ილ. ჰავკავაძე).

ფირფიტა—ფიცრის თხელი და ვიწრო ნაქერი. სოფლად ხმარობენ ძაფის დასახვევად.

ფირფიტადლაა ღვინო ჰიქაში პრ. ფირფიტას სითხედ დგომა ღვინისა ჰიქის ძირას. ჰგვ. ცოტა, ფირფიტის სისქის ოდენი ღვინის ჩარჩენა ჰიქაში. თითქმის სიცარიელე ჰიქისა. შრ. ჰიქის ძირას ფირფიტად-ლა იდგა ღვინო (შ. ანაგვასპირელი).

ძაფის დასახვევი ფირფიტა ანუ სასარულა პატარა ფიცარიცა ხისა, თხელი, ნახევარი სანტიმეტრი თუ ექნება სისქედ. ღვინის სმის დროს, როცა უნდათ ხატოვანად გამოსთქვან—მავანმა ჰიქად დასცალაო, ფირფიტის სისქეს დადარებენ ღვინის დაღვევის შემდეგ შიგ ჩარჩენილ ღვინის რაოდენობას.

ჰიქაში ცოტა ღვინოს განგებაცა სტოვებდნენ ხოლმე. კახეთში სწამდათ, ანგელოზი რომ ჩამოვიღოდა სალამობით სახლებში, ჰიქაში ჩატოვებულ ღვინით ფეხებს იბანდაო. ამიტომ ღვინის მსმელს ეტყოდნენ კიდევცა: შიგ (ჰიქაში) ჩასტოვე ღვინო, რომ ანგელოზმა ფეხები დაიბანოსო.

ფიტის მოცვრა პრ. თაფლის ფიტის შეძენა. ჰგვ. შეძენა, მომატება. შრ

სილატაკით გაწყალბებულმა გლეხებმა ც მალე ქონების ფიტი მოიკრიეს (თუზადაქუჯი): შერ. მიწის ნუზინი-კი ქონების ფიტს ვერ იკრავენ და ერთს წელიწადს რომ უნოსავლობა შეესწროთ, სულ დაილუპებინან (დ. მახანელი).

ფიქრის მიერ წაღება (ვისამე) პრ. ფიქრის მიერ ერთი ადგილიდან მოტაცება აღამიანისა და სხვაგან ვადატუორცნა. სჭვ. დიდი საფიქრებელის და სადარღებლის გაჩენა. შერ. თუკაცს არა აქვს მართალი ძილი, სიკვდილი არის მისთვის ღვიძილი; ვარდების გონებას, დაიწყებს ღონებას, წაიღებს ფიქრი (დ. გურამიშვილი).

ფიცზე შეგდება პრ. ფიცის თავზე მოქცევა. სჭვ. დაფიცებაზე თანზობის გამოცხადებინება, სიმართლის თქმა, თავის უბრალოების დამტკიცება. შერ. ქურდი ფიცზე შეაგდეს, — შინ მახარობელსა ჰგზავნიდაო (ხალხური ანდაზა); შერ. ნუ დაიფიცებთ, რომ თუ მოდავე ფიცზე შეაგდეს, იმასაც „სამაფიცროში“ სამი ცხვარი ეკუთვნის (ნ. ხიზანაშვილი).

ერთი საზე ორდალიისა ანუ ღვთიურის სამართლისა ქართველში იყო — ბრალდებულის მიერ უბრალოების დასამტკიცებლად მისი ფიცზე შეგდება, ანუ ხატზე დაფიცება.

ფიცზე შეგდებას — იმავე ხატზე დაფიცებას, ვახტანგ მეფის კანონებს გვერდით — დიდი ვასეალი და მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის იურისდიქციაში. ეს საზე სამართლის წარმოებისა საქართველოს ისეთ განაპირა კუთხეებში, როგორებიცაა ერთის მხრით, სამეგრელო და მეორეს მხრით — ხევსურეთი, XX საუკუნის დასაწყისამდე მთელი თვისი პირვანდელი ხასიათით შერჩა.

ფიცზე შეგებული, ვისაც სწამებდნენ ამა თუ იმ დანაშაულს, განსაკუთრებით ქურდობას და მამულის სპზღურის დარღვევას, და მოწმეები კი არა ჰყავდათ უნდაის დარბარებულ დანაშაულისა, მისდა მისულაცი დასაფიცად იმ ეკლესიაში, სადაც ისვენა ამა თუ იმ წმინდანის, განსაკუთრებით ვერცხლით შექედილი და ოქროში დაფერილი ხატი წმ. გიორგისა.

ხატები ყველანი ერთნაირი სიძლიერის მქონედ არ მიჩნდათ. სამეგრელო-

ში განთქმული იყვნენ ხატები: ხეთის წმ. გიორგისა, ილორისა, ქიაჩისა. ხატი სოფ. ყულისკარის ღვთისმშობლისა.

ერთ-ერთ ამ ხატთან მიერთდა ბრალდებული ბრალმდებელთან ერთად, ხელში აიყვანდა მოწმეებით ხატი და ხმამაღლა, დამსწრეთა გასაგონად, იტყუოდა: „ყოვლად ძლიერო წმ. გიორგი, უთუთია დინამიჯია ცხენის მოპარვის რომ მამბრალებს, ვფიცავ შენს ძლიერებას, სრულებით უდანაშაულო ვიყვე... და თუ ვტყუოდი, შენი მადლი მრისხავდეს, და საშუელი არ მომეცეს როგორც მე, ისე ჩემს ცოლ-შვილსა“.

ხალხსა სწამდა, რომ ტყუილად დაფიცება არ ეგებოდა, იმიტომ რომ ხატი აღრე თუ გვიან უქველად გამოჩენდა სიმართლეს და მტყუანს დასჯიდა (ან სიკვდილით ან გაგყვებით) და ანანებდა ტყუილის თქმას.

ფიცზე შეგდების ამბავი ლიტერატურაში აღნიშნული აქვს კ. ბორჯღლის („სამეგრელო-სვანეთი“) და ნიკ. ხიზანაშვილის (ეთნოგრაფ. ნაწერ.).

სამეგრელოში, მეფის რუსეთის სამართალთან ერთად, შემოვიდა ჯვარსა და სახარებაზე დაფიცება. მაგრამ ამგვარ დაფიცებას ყოველგვარი ფასი დაკარგული ჰქონდა და ამის წყალობით ცრუმორწმუნეობამაც ძალიან მოიკიდა ფეხი სამეგრელოს მკვიდრთა შორის.

ფიცის გამტეხელი პრ. დამსხვრევი ფიცისა. სჭვ. დადებული პირობის დამრღვევი. ახ. ფიცის გატეხა.

ფიცის გატეხა პრ. დამსხვრევა ფიცისა. სჭვ. დაშლა პირობისა, შეუსრულებლობა მოცემული პირობისა. შერ. შენ გასტეხე ფიც ჩემი. სიმტკიცე და იგი მტენდა (შ. რუსთაველი); შერ. მე ვითა რა მიქნია? პირველ, ღმერთი გამიწირავს და ფიც გამიტეხი ა, და მერე ასეთისა დიდის ხელწმიფისათვის ცოლ წამირთმევი და გამითხოვებია (აფსრაბიანი“).

ფიცისაგან ვახხნა პრ. ფიცით დაკისრებულ მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლება, აბსოლუცია. სჭვ. რაიმ ვლდებულეებისაგან განთავისუფლება. შერ. საფიცარი მეფის ქალადი... ამო არის! ფიცის გატეხა. ჰა, ჰა, ჰა! ვახხნის ფიცისაგან აქ მოვლდელმთავარი, იქ, — მამალმერათი (ქ. ბარნოვი).

ლეთიურ სამართლის ერთ-ერთ დარგს შეადგენდა ფიცის მიცემა ეკლესიაში ხატზე. ფიცის მიმცემი ალთქვამდა თავის სიმართლის აღიარებას, რამე მოვალეობას დაიკისრებდა და პირობას დადებდა ამ მოვალეობის ასასრულებლად. თუ არ ასასრულებდა ფიცის მიცემისას ალთქმულს, თუ გატეხდა ფიცს, ისჯებოდა უშუალოდ ღვთისაგან. ფიცისაგან გაზომდინარე ვალდებულებათაგან მოფიცარის გახსნა, ფიცისაგან შეკრულ ადამიანის გათავისუფლება შეეძლო მღვდელმთავარს და ქართულად ერქვა ფიცისაგან გახსნა, ხოლო ლათინურად — absolutis.

ფლაურობა პრ. ფლავის ქამა. სტვ. საუკეთესო საქმელების ქამა, ქეთილი და მდიდრული ცხოვრება. შპრ. მაგ სასიკვდილეს კაი შეძლება აქეს, მაგრამ ძალიან კრიფანგია. მერე ვის სარჩონზე ფლაურობს და!.. (ნ. აზიანი).

ფლავისაგან წარმოებულია ზენა — ფლაურობა, ე. ი. ფლავის ქამა თუ მულმივად არა, ძალიან ხშირად მაინც.

ფოლადიანი პრ. ვისაც აქეს ფოლადი ანუ ნივთიერება, რომელიც შედგება რკინისა და მკირე ნაწილ ნახშირბადისაგან და რომელიც შეიძლება მეტად გამაგრდეს წროთობის სამთალებით. სტვ. მტკიცე, ღონიერი, უტეხი, მაგარი, მოხერხებული, მარჯვე, მიხვედრილი.

ფოლადიანია ვიტყუეთ ისეთ კაცზე, ვინც თავის მსგავსთან განირჩევა ხანიათის სიმტკიცით, მოხერხებულობით, მიხვედრილობით, გამჭირაბობით, ცხოვრების შნოთი და უნარით. პირიქით, უფოლადო ისეთისათვის გვიქვია, ვინც მოკლებულია ყველა ამ თვისებას, ვისაც ცხოვრებასთან ბრძოლის უნარი აკლია, ამ ცხოვრებას სულ აღვილად ეჩაგვრებიანება, ყველა იმას იზრიყებებს, ყველას ხელწამოსაკრავდა ჰყავს.

ფონის მიგნება პრ. უხილო მდინარეზე ქვევითად გასასვლელი ადგილის მონახვა. სტვ. გაკვირების აცდენა, დაბრკოლების გადალახვა, სამშვიდობოში გასვლა. შპრ. ხორეზანი (პუბლიკისაკენ) — ფონს მივინჯენი! (ლუარასაბს) ჯაერობით კი არა ჯაერობდა (ღელა), მაგრამ არ იყო, რომ

ცოტა სამდურავივით არ შემოგითვალა: რატომ ცოლს არ ირთავ და არ გამახარებო? (ილ. კავკავაძე). ის ფონს გასვლა.

ფონს ვახვლა პრ. ცურვის გარეშე ქვევითად ან ცხენით გასვლა მდინარის რომელსამე ადგილას. სტვ. გულისნადების ასრულება, სამშვიდობოს გასვლა. გასაქირისათვის თავის დალწევა; საწადელის ზილწევა. შპრ. დღეს ისეთი დღეა, ოღონდ-კი ფონს გახვიდე, შენ შენი გაიყვანო და მოტყუებით იქნება, თადლითობით, თუ ოინბაზობით, იმას ვილა იკითხავს! (ილ. კავკავაძე). იხ. მოფონება.

ფონი იყო ადგილი, რომელიც კაცსა შეელოდა წყლის ერთ ნაპირიდან მეორეზე მშვიდობით გასულიყო. შემდეგში სიტყვა ფონი ხატოვანად გადაიქცა საერთოდ გაკვირებისათვის თავის დასაღწევ, შეელისა და ხსნის ცნებად.

ფოშის ცხენივით ხირბილი სტვ. დაუსვენებელი სიარული; შეუსვენებლო სიარული. შპრ. ეხლა ვგნაშუსია? მოხუცებული დედაკაცი ფოშის ცხენსავით მათროე, ქვეყანაზე თავი შეეირცხენი, საქმე საქმეზედ მოვიყუანე და ახლა მზავს მუეზნები?! ნაშუსია?! (ილ. კავკავაძე); შპრ. ბიძა შენი უჩემოთ ირთავს!.. იპ! იპ! ნეტავი ხანუმას თიებსა! ფოშის ცხენივით ქალაქის ქუჩები მაქვლეინა, ორმოცი წლის ჟამი ამატუნტრულებინა, და ეხლა სხეას ირთავს! (ავს. ცაგარელი).

ძველათ სოფელში გლვებებს ავალდებულებდნენ სოფლის კანცელაში ცხენი რიგ-რიგად მოეყვანათ ხოლმე სხეადასხვა მოხელეთა საქირაობისათვის. ასეთ ცხენს ყველა სურვლისამებრ იყენებდა და ცხენს დღე დაღამე მოსვენება არა ჰქონდა. აქედან, როცა კაცი იძულებული იყო შესვენებლივ ეელო, ამბობდნენ ხოლმე: ფოშის ცხენივით დადისო.

ფრანგული პრ. საუკეთესო ფოლადის ხმალი. სტვ. ძალიან. მჭრელი, ფხიანი. შპრ. ბევრისა თოფი შავკიდე, სიათა, პირკომლიანი, ბევრისა ხმალი დაეადგე, ფრანგული ფხა სისხლიანი (ვაჟა-ფშაველა); შპრ. გული, არ მიცემს საგონთა, თავო, არ დაგაშავება, მტერო, შენ ზავსა არ მოცემ,

ფრანგულო, დაგაფხავება (ხალხური ლექსი).

ფშავ-ზეგესურეთში დღემდე დარჩენილია ცალპირი ჩკრელი ხმლები საუკეთესო ფოლადისა. საფიქრებელია, რომ ეს ხმლები მათ შეიძინეს ფრანგებისა და სხვა ქრისტიან ევროპელებთან, პალესტინაში ჯვაროსნული ომის დროს. ამ ბრძოლაში მონაწილეობას ქართველებიც ლებულობდნენ, და შესაძლოა, ევროპული ნაჭები ხმლებიც იქ შეიძინეს, სამშობლოში წამოიღეს, ძალიანაც აფასებდნენ. როგორც საუკეთესო ფოლადისაგან გაკეთებულებს, რომელთაც ფრანგულები დაარქვეს, ე. ი. ფრანგების (ევროპელთა) გაკეთებულებიო.

შემდეგშიაც შემოდინდა ასეთი ხმლები საქართველოში იტალიიდან, ესპანეთიდან, უნგრეთიდან. სახელი ხმაღს ისევ ძველებური შერჩა — ფრანგული, ე. ი. ფრანგებისააო, როგორც ამაღს გასაზოგადოებთი ეძახდნენ საერთოდ ევროპელთ. ასეთი ხმლების, ლათინურ თუ სხვა ენებზე წარწერებიანების, მთელი კოლექცია ინახება საქართველოში მუზეუმში.

ფრანგულისაგან წარმოებული სიტყვებია: 1) ხზნა გაფრანგება — გაბრაზება, გაანჩხლება, გამძვინვარება, გაწყრომა აღამიანისა, მტრის დაუწოდლობა, სასიკვდილოდ გამეტება; 2) ზედშესრული სახელი გაფრანგებული — გაანჩხლებული, გა(იცხლებული, გამძვინვარებული, უზომოდ გამწყროალი, ისევე მჭრელი და დაუწოდობელი მტრისა და მოწინააღმდეგისა, როგორცაა ფრანგული ხმალი.

ფრენა პრ. ფრთების საშუალებით ჰაერში მოძრაობა. სტვ. სწრაფად სიარული. შერ. თუმცა შვილოსნობის დრო გადასელოდათ, მაგრამ მინისკიდევე ქალაქისაკენ კაცი აფრინეს (ილ. ჰაქვაძე); შერ. მირბის. მიმადრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი (ნ. ბარათაშვილი).

ფრთასხმული პრ. ფრთებგამობულია სტვ. უზომოდ გამზიარულებული. წაქეზებული, შეგულიანებული. შერ. ამან საგულისხმო სადღეგრძელო წარმოსთქვა, იმან ფრთასხმული სიტყვები ააფრიალა სუფრანზე (ნ. ბარათაშვილი); შერ. ეს ფრთასხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანერ-

თისათვის გულისტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი — ის უნერგიაა, რომელმაც უნდა ამოხეტქოს ყოველივე; რაც ჩვენთვის სანატრელია (ილ. ჰაქვაძე).

ფრთაგაშლილი პრ. რაიმე გაშლილი ფრთებით. სტვ. სწრაფად მოარული. შერ. საცა ეს (ნდობა) არ არის ფრთაგაშლილი და ფეხადგმული, იქ ნიშადურიც რომ ამოსცხობ ხალხის სიმდიდრეს და ხაზინისას, რომლის მხოლოდობით წყარო ხალხის სიმდიდრეა, — ერთს ნაბიჯსაც წინ ვერ წაადგმევენებთ (ილ. ჰაქვაძე).

ფრთის ქვეშ ჯდომა (დედის) პრ. ვისსამე ფრთის ქვეშ თავის შეფარება. სტვ. (ვისიმე) მზრუნველობის ქვეშ ყოფნა. შერ. ქალი ხომ უფრო საბოლოო არ არის დედ-მამისათვის; ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიქეთოს ბინა. — მართალია, მაგრამ ქალი, მანამ გათხოვდება, დასაფრენი ბარტყია და ფრთას ქვეშ უხსი დედასა (ილ. ჰაქვაძე).

ფრთების ასხმა (შესხმა) პრ. ფრთების გამომხმა ტანზე. სტვ. შეგულიანება, წაქეზება; გაბარება, გათამამება, გამზიარება. შერ. ამასთან თუ ეახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულით მოსილს პოეტს, დიდი ღვაწლი უდევს, რომ ამ გრძობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა (ილ. ჰაქვაძე); შერ. უტბად ჩამოვარდა ყორანა უზარმაზარ ხაროში. აქეთ ეცა. იქით ეცა, გასავალი არ არის. კამბეჩმა ფრთები შეისხა და ზევით ამოვარდა (ს. მგალობლიშვილი).

ფრთების გაშლა პრ. ფრთების შეუკუმშველობა, გაფართოება. სტვ. გახვითარება, სწრაფად წინსვლა, ამომრავება, უნარიანობის გამოჩენა. შერ. როცა საღამოზე ნიავე ფრთას გაშლიდა და ბაღის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მიადგებოდა, მაშინ ენენია დარეჯანი ერთ ბალანგაცვინულ ხალხას ჩრდილში გააშლევინებდა (ილ. ჰაქვაძე); შერ. ამ რამდენიმე კვირის წინ რომ სავსე ოჯახი დასტოვა, დოვლათით, სიყვარულით, სიხარულით და ყოველივე კეთილით მოპირთავებული, ეხლა გაკვირებული კერა-ლა მოელის, სადაც

ფრთხი გაუშლია შავბნელ უბე-
ლობას (ფ. ბარნოვი).

ფრთხი მოტეხილი პრ. ვისაც ცალი ფრთა
მომტრეული აქვს. ზვ. დასუსტე-
ბული, დაქვეითებული, სანახევროდ
დაუძლეურებული.

ფრთხი ვერ გადავიაროს ის. ჩიტი
ვერ გადაფრინდება ჩემს
თავზე.

ფრთხის დაშვება პრ. ფრთხის უფრო
დაბლა დაწვეა; ფრთხის დროს სი-
მალის დაკლება. ზვ. დარცხვენა,
გულისგატეხა, დასუსტება, დათმო-
ბა, დაღონება, გაძნეობის წართ-
მევა. შრ. ფრთხი დაუშვი
მე დაბლა, ვეღარ მოგვები ფრთხი-
შია: შენ ყმაწვილი ხარ, მე — ბერი,
ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია! (რ.
ეროსთავი); შრ. მაშო — ჰო, რა იყო?
უნაფქოთ ხომ არა ხართ, მარინე?
რა ფრთხი ჩამოგოყრია და-
სეტყველი ყვავივითა? (აქვს. ცაგარელი).

ფრთხის შეკვეცა პრ. ფრთხის შექრა
ფრთხის დასაბრკოლებლად. ზვ. და-
სუსტება, დაჩაგვრა, დაბრკოლება.
შრ. ეს იქიდანა ჩანს, რომ ჩვეულებ-
ამ ფრთხი შეაკვეცა საკომლო
განვითარებას, რადგანაც უკლებ-
საკომლო განსაზღვრული იყო ზოგან
ოცის დღიურითა, ზოგან ორმოცის
დღიურითა (ილ. კავკაზი); შრ. მაგ-
რამ ჩემს ფრთხივად შილი ოცნებას
მაინც არ ელოდება წინ, ჩემს გამ-
ტაცს აზრებს მაინც არ აკვეცს
ფრთხის და სრულ ნებას აძლევს
თავისუფლად ინავარდოს (ფ. ახალშ-
ნიშვილი).

ფრთხი არ წამოსტკივებია პრ. ფრჩხი-
ლის ტკივილიც კი არ გამოუტყობა.
ზვ. თავის დღეში ავად არ გამხდარა,
ოდნავც არ გამხდარა ავად. შრ.
ცხრაშვილი წლის ქალი გავხადე, ცივი
ნიავეც არ მიმიკარებია, ფრჩხილი
არ წამოსტკივებია და ამან
კი, — ვილაც ოხერი მაწანწალაა,
სხვის ხელში შემყურებელი, — ბურ-
თივით იქით-აქით ისროლოს!.. (აქვს.
ცაგარელი); შრ. ხალხი ყველაზე ფრთხი-
ლობდა და ისე არ ეტანებოდა ხიბა-
ხუბას, თუ სხვა რამ მიზეზი იყო,
ფრჩხილიც თითქმის არაკის
წამოსტკივებია (ქორესპონდენცია,
„ივ.“ 1892, 218). ის. თავის წამო-
ტყენა.

ფრჩხილის ოდენა ის. ფრჩხილის-
ტოლა.

ფრჩხილის საკვეთის აღება პრ. ფრჩხი-
ლის მოჭრისათვის გასამრჯელოს აღე-
ბა. ზვ. ამბის რისაზე მოწმობა. შრ.
დიად, შენი კირიზე, მოწმე ვარ,
თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის
საკვეთი ამილითა (იონა მეუნარგია).

ძველათ, როცა მამულს იყიდა ვინ-
მე, ნასყიდობის აქტის სიმტკიცისა-
თვის მოწმეს დაისწრებდა. მოწმობის
ნიშანი იყო — მოწმის თითზე ფრჩხილის
მოჭრა და ამ ფრჩხილის მოჭრისათვის,
გასამრჯელოს ანუ ფრჩხილის
საკვეთის მისცემდნენ.

ამას შედეგ თვითონ ფრჩხილი მა-
მულის შემქნელის შემყიდრებებში
შვილით-შვილობამდე ინახებოდა და
უდრიდა ჩვენს დღევანდელს ნასყიდო-
ბის საბუთს. ხოლო მოწმე, ვინც
ფრჩხილს წააკვეთინებდა ანუ დაესწრე-
ბოდა მამულის სყიდვის დროს, ვალ-
დებული იყო უფროს შვილისათვის
ეამბნა ეს ნასყიდობის ამბავი, შვილი
შვილის შვილს გადასცემდა და, ამგვარ-
ად, ნასყიდობის ამბავი გადადიოდა
მოდგმიდან მოდგმამდე. თუ ვისმე (მოწ-
მისა თუ მყიდველის მხრივ) შვილი არ
ეყოლებოდა, ნასყიდობის ამბავი უნდა
ეამბნა იმისათვის, ვინც გვარში უფროსი
იქნებოდა.

იონა მეუნარგიას მოწმობით, ილია
კავკაზაძის უამბნია ერთი ფრჩხილი
საკვეთის აღების ამბავი. ჩვენი
დღიი მწერალი მაშინ (1864 წ.) მომ-
რიგებელ მოსამართლედ ყოფილა დუ-
შეთში. რომელიდაც ყაზბეგის გვარისა
ერთს მოხვევ გლეხს მიწას ედავებოდა
თურმე. გლეხი ილ. კავკაზაძესთან მი-
სულა და შეუჩივნია: ბატონო, მიწა
ჩემია, თეიმურაზ მეფის დროს მაქვს
ნაყიდი, მოწმეცა შეავს და ახლა ყაზ-
ბეგი მართმევს. მიწელე, შენი მუხლის
კირიზე, დამიფარეო.

ილ. კავკაზაძეს გლეხის მიერ დასა-
ხელებული მოწმე დაუბარებია და უკით-
ხავს:

— შენა ხარ იმის მოწმე, რომ ესა
და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი
თეიმურაზ მეფის დროსაო?

— დაახ, შენი კირიზე, მოწმე ვარ,
თუნდა დამაფიცეთ, ფრჩხილის საკ-
ვეთი ამილითა, — უპასუხა თურმე
„მოწმემ“ გულუბრყვილოდ.

ილ. კავკაზაძეს, მოწმის ჩვენების

თანხნად, სადავო მიწა გლეხისათვის მიუყუთვნებია. გლეხთან მრდავე შემამულე ყაზბეგს კი აპელაცია ვადალუტანია და საჩივარში სწერდა თურმე: მომრიგებელმა მოსამართლემ (ილ. ჰაქვათაძე) მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩვენება ისე ჩამოართვაო...

საქართველოში არსებულ ჩვეულების წარმოშობის ასახსნელად ილ. ჰაქვათაძეს უამბნია, ასეთივე ჩვეულება ძველ ბაბილონშიაც ყოფილაო: ერთ აგურზე წარწერა უპოვნიათ: ესა და ეს მამულე ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ეს და ესა, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გაუტეხნიათ აგური და შიგ მართლა ფრჩხილი უნახავსო.

თუ გაეჩხენებთ, რომ ჩვენი შორეული წინაპრები — ხეთები ბაბილონელთან მეზობლად ცხოვრებულან და ამათგან ჩვენებიც უნდა ვისებდნენ ამა თუ იმ ჩვეულებას, შენა ვიფიქროთ, რომ ფრჩხილის საკვეთის აღება უხსოვარ ღრობიდან არსებულა ქართველებში. და დიდ ილიას, თავისი დიდი შორმჭერტელობის წყალობით, ეს ჩვეულება ბრძნულად ყოველმხრივ რომ არ განეკვრიტნა და მთელი მისი ისტორიული ღირებულება არ შეეფასებინა სათანადოდ, შესაძლებელია შთამომავლობას მისი ხსოვნა უკავლოდ დაჰქარავოდ.

ფრჩხილის საკვეთის არქონა ჰრ. ფრჩხილის მოსაქრელ იარაღის უქონლობა. სვ. საქრელ იარაღის რისამე უქონლობა. შრ. მეთორმეტეს, მეცამეტეს, მეთოთხმეტეს, მეთხუთმეტეს და სხვას და სხვას არ მოეპოვებოდათ მახვილი, ფრჩხილის საკვეთი, როგორც ხალხი იტყვის (ვაჟა-ფშაველა).

ფრჩხილის საკვეთი ნიშნავს სულ უქანსკენლ, სულ მცირე იარაღს, პატარა. დანას, რომლითაც შეიძლება კაცმა ხელზე ფრჩხილებილა დაიქნას. ეს იარაღი, გინა დანა, სხვა არაფრისათვისაა გამოსადგევი; ჯერ ასეთი იარაღი რა ჩასავდებია იარაღად და უშვავისობა ხომ სულ უქონელობას უნდა გულისხმობდეს.

ფრჩხილისტოლა ჰრ. ფრჩხილის სიდიდისა. სვ. ოდნავი, სულ მცირე. შრ. რა ბრძანებაა, ბატონო, აი, გამოიძიე საქმე და თუ ან ფრჩხილისტოლა სიყალბე და წინააღმდეგობა აღმოჩნდეს ან ჩემის მხრით, ან სხვების მხრით, მაშინ ციმბირი კი არა, სადაც გნებავთ, იქ გვიქართ თავი

(მელანია); შრ. ბეერიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს ფრჩხილის ოდენასაც რუსის სოფლის გოგოსა, ამიტომ რომ ეს შემოილი გოგო, თუმცა კახლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარეფანიც არ აცოცა ზედა (ილ. ჰაქვათაძე).

ფუი ეშმაკსი ჰრ. ეშმაკისათვისმც ჩამიფურთხებია! სვ. ეშმაკის მანქანებაც გაქარწყლებულა. ეშმაკის მანქანებისაგან დაგვიფაროს, აგვარიდოს სიყვე. მგლ. კინლამ ხრამში გადავიჩებე, ფუი ეშმაკს!

ფუი შენს უღვაშს! ჰრ. შემიფურთხებია შენის უღვაშისათვის. სვ. საშინლად დამიმცირებინათ, შენთვის ყოველი აღამიანური ღირსება ამიყრია. შრ. დიდი მოურავის კვალში მიმყოლი, ქართლს დაეიხსნელი მტრისაგან, მეგონა; და თეი მე ვავხდ დიაცის მონა. ფუი ჩემს უღვაშს (აჟა). ახ. უღვაშის მოპარსვა.

ფულეზით კოქაობა ჰრ. კოქის მსგავსად თამაშობა ფულეზით. სვ. სიმდიდრე, ბეერი ფულის ქონება. შრ. ახლა ვინც ფულეზით კოქაობს, კაციც ის არის და ქუდიც იმასა ხურავს (ვგ. მენთუშაშვილი); შრ. ის (ლევანი) ახლაც მამითქვენის მოგებელი ფულეზითა კოქაობს, თორემ თქვენ ხომ კარგად იცით, ცხონებულ გეგენასთან და საწყალ მისერ ჩოღართან ჩონხად ვიყავი, მაგრამ ამხანაურად კი შექცეოდნენ (მელანია).

ფულზე მწყარაღადა ახ. ჯიბესთან უმძრახადაა.

ფული არა მაქვს, თვალზედ მივიკრა ჰრ. თვალზე მისაკრავი ფული არა მაქვს. სვ. არაფერი მამბალია, მერად ღარიბი ვარ. შრ. ეჰ, ძმობილო! — ვუთხარი გულნატკენად, — შენშიაც მოცუყუდი! ოსტატს კაი ვადლოდაც უნდა. მე ცალი ფულიც არა მაქვს თვალზედ მივიკრა (ილ. ჰაქვათაძე).

ეს თქმა მომდინარეობს ძველი ჩვეულებიდან. როცა კაცი კვდებოდა, სანამ გაცივდებოდა, თვალებზე ვერცხლის ან სპილენძის ფულს დააფარებდნენ, რომ მის სიმძიმეს ქუთუთოები დაეხურა მომაკვდავისათვის და თვალები ღია არ დარჩენოდა მიცვალბულს.

ფულის კეთება ჰრ. ფულის შექმნა, გაჩენა, მისთვის სახის მიცემა. სვ.

ფულის შოვნა, მოგება.
 ფულის ჰამა პრე. საკმაოდ ფულის ხმა-
 რება. სტვ. ფულის უზომოდ ხარჯვა.
 ფული უჭკავა პრე. ფული მის ჯიბეში
 ქუყვის, ხშირანობს. სტვ. ფული აქვს,
 შეძლებულია. შერ. ას დღიურზე მე-
 ტი სახსნაე-სათესი მამული გვაქვს;
 დაუფატოთ ამას ორი დიდი ჩინე-
 ბული ვენახი... ახლა ცოტაოდენი
 ფული გვიქუყავის დარღუბლის
 კიდობანში!.. (ნ. ლომოური); შერ. ფუ-
 ტაძე დიდს საქმეებშია გაბმული,
 დიდს ჩირთი-ფურთებს ეწევა, ანუ,
 უკეთ რომ ვსთქვათ, ეწეოდა ამ ერ-
 თის თვის წინათ, რადგანაც ფულე-
 ბი ბლომად უქუყაოდა ჯიბეში
 (ვაჟა-ფშაველა).

ფულსა ჰხვეტავს პრე. ერთად მოგრო-
 ვება, თავის მოყრა ფულისა. სტვ.
 მეტად მდიდარი, შეძლებული, დი-
 დის ქონების პატრონი, ბევრს ფულ-
 სა შოულობს.

ფუ შენს კაცობას! პრე. შემოფურთბე-
 ბია შენი კაცობისათვის! სტვ. შერ-
 ცხენილი ხარ, ნამუსგაწვეტილი
 ხარ. შერ. ერთი ჯაფრი ამომყარე კო-
 ტისი და მერე რაც გინდა, მამთხოვე;
 თუ არ შეგისრულო, მაშინ პირში
 ჩამაფურთბე, ფუი შენ კაცობას-
 თქო (მელანი); შერ. წაიღე, შეილო!
 სახელად ჩემი სიკედელიც გეყოფა-
 დღეს ჩემი დღე არ იყო; რა-
 სიცა ევსროლე, ავაკრინე. ვაი, რა
 ცუდად მოვეკიდი?! ფუ ჩემს კაცო-
 ბას! ნიშანიც ვერ დაეასვი (ილ. პა-
 ვაძაძე).

ფურჩია აზნაური პრე. ფურჩის მსგავსი
 აზნაური. სტვ. უყუათო, ტყუილა აზ-
 ნაური, უქონელი, უზნო, მსუბუქი
 ქუყის. შერ. თუმცა სუსტი იყო (ქე-
 თეთო), ხელსაქმეში თუ სახლის სა-
 რისტში არ ჩამოუფარდებოდა დედას.
 ქმრის ნაცნობ-მისადღეობი დაბალი
 მოხელე იყო ან ფურჩია აზნა-
 ური (ვ. ბარნოვი).

ფუტი თამასუქი პრე. ფულის სესხების
 უფარგის ხელწერილი. სტვ. უმნიშე-
 ნელობა, ყოველსავე ძალასა და ღირ-
 სებას მოკლებულობა საჯაროდ და-
 პირებულია რისამე. შერ. თავის ხრა,
 ზორვა კერპისა ფუქი რამ თამა-
 სუქია (დ. გურამიშვილი).

თამასუქი სპარსული სიტყვაა და
 ნიშნავს ფულის მსესხებლისათვის და-

ნიშნულ ვადაზე სესხის დაბრუნების
 ხელწერილ ვალდებულებას. თამასუქი
 იგივეა, რაც გერმანული ვექსილი.
 ფშატის ყვავილობა ის. ასკილის
 ყვავილობა.

ფხა პრე. თევზის ძვალი. სტვ. უნარი,
 შნო რისამე ვაკეთებისა, მოძრაობა,
 მოქმედება, მკრელი პირი მახვილისა.
 შერ. იქ (ხუდადოვის წერილში) ერთი
 აზრია გამოთქმული, რომელსაც ერთს
 დროს დიდი ფხა და ავალა ჰქონდა
 რუსეთში (ილ. პავაძაძე). ის. ფხიანი.

ფხასხმული პრე. ძალიან გაღვსილი,
 მეტად მკრელი. სტვ. უნარიანი, შნო-
 იანი, გაღვსილებული. შერ. ეკლესი-
 ამ შენის პირით უნდა გამოუცხადოს
 ბრძოლა სამეფოს ტახტს, ცოდვისა-
 კენ მიზრილს და სიტყვა მისი განმ-
 კვეთი უნდა იყოს, ფხაასხმული
 მახვილივით (ვ. ბარნოვი).

ფხასავით ყულზე დადგომა პრე. ფხის
 მსგავსად ყულში გაიბრვა. სტვ. სი-
 ავის მიყენება, დაწუნება, ბოროტის
 დამართება. შერ. ამისთანა (სახელოს-
 ნოს) სკოლა არ მოსწონს ვაზეთ „კაფ-
 კაზის“ რედაქციას და ცდილობს ყო-
 ველგავრი ცილი მოუგონოს მას. მაგ-
 რამ რაც უნდა ფხასავით ყულ-
 ზედ დაადგეს „კაფკაზს“ ეს სახე-
 ლოსნო სკოლა, მიიხც მკურნალს ვერ
 იშოვის (ილ. პავაძაძე).

ფხა-ფოლადის გამოჩენა პრე. ფხისა და
 ფოლადის დანახვინება. სტვ. შნოსა
 და უნარის გამოჩენა. შერ. რომ არც
 თამაშობაში გამოიჩინეს ფხა-
 ფოლადი! ერთი უნდა გეყურებინ-
 ნათ, როგორ დაბაჯბაჯებდნენ (მელა-
 ნია); შერ. არა, სტყუილ, მაგას კი, შე-
 ნი ვარ და პირში იმიტომ გეუბნები,
 უხერხული, უმსგავსი საქმეა. მაგრამ
 ჩემ ერთობლივ საგვარეულომ ხვალ
 ფხა უნდა გამოვიჩინოთ (ვაჟა-
 ფშაველა).

ფხიანი პრე. ვისაც ფხა აქვს. სტვ. უნა-
 რიანი, მოქმედი, მოძრავე. შერ. იყო
 ერთი მელია-კულიგოქელია, გონიერი,
 ღონიერი, ჰქვიანი, ფხიანი, თავ-
 ვზიანი და ხანდახან ავზნიანიც (ვაჟა-
 ფშაველა).

ფხიზლობა პრე. ზომაზე მეტის არდა-
 ლევა (მაგარ სასმელისა) ან დაუძი-
 ნებლობა. სტვ. სიფრთხილე, თვალ-
 ყურის დევნება, მზადყოფნა, რამე

უბედურობისათვის მისაგებებლად, დასახედრად. შტრ. ბოლოს, სააკა-
ძემ ველარ მოითმინა და აგრძობინა
გონაშვილს, რომ მეფის კარს ბრმა-
ყრულ არ არიან. აქაც ფხიზლო-
ბენ და ბევრი რამ იციან (ვ. ბარნოვი).
ფხის გამობზა ის. ფხის გამოჩენა

ფხის გამოჩენა პრდ. თევზის ფხის მიტ-
მასნება ტანზე. სტვ. უნარიანობის
გამოჩენა, საქმიანობის, შნოის და-
ნახეება. შტრ. შემდეგში, რასაკვირ-
ველია, ამ საქმეების წარმოებას იმას
(შვილს) გადასცემს, რადგანაც იმის-
თანებში დიდს უნარსა და ფხას
იჩენს (შ. არაგვისპირელი).

ტექნიკური მ. ბონინიძე

ზეღოწერილია დასაბეჭდად 1/III-54 წ. შპ 00884. ანაწილის
ზომა 7,2 X 12. ქალაღის ზომა 70 X 108. სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 13,25. ტრაჟი 8000. შეკვ. № 910.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოცემლობის
ზეკლეთი სიტეის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

**Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.**